83
9(47.922)
ფ-97ზ

# ბრძოლა

## საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად

ანუ

## გიორგი სააკაძე და მისი დრო

ანტონ ფურცელაძისა

ავტორისაგან ახლად შევსებული და შესწორებული

მეორე გამოცემა

ზ. ჭიჭინაძისა.
176499

თბილისი
ელექტრო-მბეჭდავი არ. კერესელიძისა, გოლოვინის პროსპ.
1911 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კრიტიკა.

## ცილები საააკაძეზედ.

რაც საქართველო თავს მოსწრებია, არ დასდგომია იმას ჯერ ის განსაცდელი, რაც იმ დროს, რომელსაც უნდა დაერქვას ისტორიაში, „ბრძოლა საქართველოს მოსპობაზედ“ „მუსლიმს არას ოდეს ის შეუწყალებელი ქვეყნის პირიდამ აღგვის მრისხანებს არა ქვეყანაში არ შეუტანია, რაც განიზრახა და შეიტანა შაჰ-აბაზმა საქართველოშიაო, — მოგვითხრობს შაჰ-აბაზისა და ძააკაძის თანამედროვე მეისტორიე სპარსი, ისკანდერ მუნში. გადაწყვეტილი იყო მუსლიმთაგან მოსპოლვა საუკუნოთ საქართველოსი. ამ საშინელი განსაცდელისაგან იხსნა საქართველო გიორგი სააკაძემ, რომელსაც ისტორია იცნობს უფრო სახელით „დიდი მოურავი“, „მოურავი“

ვიდრემ შეუდგებოდეთ ამ, მოსაგონებლათაც საზარელი დროს აღწერას, საჭიროა გადავავლოთ თვალი იმ საშინელს ცილებს, რომლებსაც სწამებენ სხვა და სხვა მწერალნი გიორგი სააკაძეს, რომელიც თავისი დიდებული სახით და საქმეებით გახდა უმაგალითო არამც თუ საქართველოს ისტორიაში და თვით მსოფლიო ისტორიაშიაც და რომელმანც ამ ბრძოლას, თავისი სამშობლოს სახსნელათ, შესწირა ქონება, დედა, ცოლი, ძმები, და, შვილები და თვით საკუთარი თავიცა, და მით იხსნა საქართველო საუკუნოთ მოსპოლვისაგან, საჭიროა კრიტიკის თვალით გავსინჯოთ: რა იყო მიზეზი შაჰ-აბაზისაგან საქართველოში საქართველოს მოსასპობლათ შემოსევისა? ედო ამაში წილი სააკაძეს რასაც მოგვითხრობენ ჩვენ ზოგი მწერალნი, თუ, პირიქით, იხსნა ამან და აარიდა საქართველოს ეს განსაცდელი?

ამ ბოლო დროს უფრო და უფრო ხშირად ისმის [illegible] სწავლა, რომელიც ჰქადაგებს, რომ, როგორც ყველაფერი ბუნებაში ეგრეთვე კაციც არ არის არაფერს მოქმედებაში თავის უფალი, რასაც ჰმოქმედობს ჰმოქმედობს ბუნების მოვლენათა გავლენის ქვეშა, და ამიტომ კაცი არავითარს თავის საქმეში პასუხის მგებელი არ არის, ამის გამო არც ავზედ დაიძრახვის, არც კარგზედ იქება. მაშასადამე, არც ისტორიული პირნი უნდა იკიცხოდნენ ან იდიდებოდნენ თავისი საქმეებისთვისა.

ამგვარ აზრს საფუძველათა აქვს ღრმათ ჩაუხედაობა საქმეში, ფილოსოფიურათ საქმის აუწონრობა.

ცხადია, რომ არაფერი არც კაცში, არც კაცს გარეთ არა მოხდება რა ისრეთი, რომ იყვეს ბუნების გავლენის გარე: ყველა ემორჩილება ბუნების მოვლენათა და მის კანონს. ბუნების გარეშე არაარის რა. მაგრამ, ნუ თუ, როდესაც რამდენიმე საქმე მიდევს წინ და არჩევანი ჩემზედ არის მივარდნილი, თუ მე ერთი ვარჩიე და მეორე უარ-ვყავ, ეს ჩემი ნების არჩევანი იქნება ბუნების გარეშე მოქმედება, და არა იმავე ბუნების გავლენის ქვეშ საქმის შესრულება? ბუნებითივე საქმის მოწყობილება ისრეთია, რომ მე, კაცს, გონების პატრონს ბუნებისაგანვე ისრე მოწყობილს, რომ მაქვს მოსაზრება, შემიძლიან საქმის აწონ-დაწონვა,—შემიძლიან, სხვა-და-სხვა ბუნების მოვლინებათაგან, მოწყობილი მოსაზრებით, შევიდე არჩევანში, ავარჩიო ერთ-ერთი საქმე და უარ ვყო მეორე. აი, აქ, ჰმოქმედობს ამ არჩევანში, იქ სადაც კაცის ხელთ არის არჩევანი, კაცის ხელთ არის საქმის წაყვანა, კაცი თავის არჩევანში, თავის საქმეში თავის მოქმედებაში არის პასუხის მგებელი როგორც თანამედროვეთა, ეგრეთვე მომავალთა თაობათა და ისტორიის წინაშე. ამისგამო, არა კაცი, და მეტადრე ისტორიაში მომქმედი პირი არ უნდა დარჩნენ განუსჯელნი, არ უნდა დარჩნენ განუკითხავნი—არც ცუდს, არც თავის კეთილს საქმეებში. ამგვარს განსჯას, ამგვარს მსჯელობას აქვს მნიშვნელობა პედაგოგიური, მნიშვნელობა ზნეობრივი, ეს არის ნიმუში, რომე-

ლიც კაცს უხსნის თვალს ავსა და კარგზედ, აძულებს ბოროტს, აყვარებს კეთილს და საქვეყნო საქმეთა, უმატებს მხნეობას, აფრთხილებს თავის საქმეებსა და მოქმედებაებში.

უკეთუ შევხედავთ ამ თვალით საქმეს, უკეთუ ისტორიას, სხვათა შორის ის მნიშვნელობაც აქვს, რომ იქიდამ დავინახოთ კარგისაც და ცუდისაც მაგალითნი, რათა ამითი ცუდი შევიძულოთ და მოვიკვეთოთ, კარგი შევიყვაროთ და მივბაძოთ,—ყველა ამას უხვად ვნახავთ იმ დროში, რომელსაც ჩვენ უწოდებთ „ბრძოლას საქართველოს მოსპობაზედ“ ანუ „გიორგი სააკაძე და იმისი დრო“.

როგორც ყოველივე, რაცა ხდება ბუნებაში არის ნაყოფი წილად მომხდართ მოვლინებათა, ეგრეთვე დღევანდელი კაცი, ყოველივე თავისი აგებულებით, ზნით, ჩვეულებით, ქცევით, ხასიათით არის სხვათა შორის, და უფროცა ნაყოფი თვისთა წინაპართა, მისთა გავლილთა ცხოვრებისა, ჩვეულებისა ზნისა, ქცევისა, ხასიათისა და სხვა, რაც დროთა განმავლობაში სხვა-და-სხვა ისტორიული გარემოებაებით წინაპართ შეუთვისებიათ, გადაუქცევიათ ბუნებათ, სისხლათა და ხორცათ, შეუწოვნიათ დედის ძუძუსთან,—ყოველივე ესე გადადის შთამომავლობაზედ სამკვიდრო ნიჭათ. ამისგამო, თუ უნდა ხალხს ისწავლოს რამე ისტორიისგან, უნდა დაინახოს და გაიცნოს თავის თავში დამკვიდრებული ისტორიისგან ავი და კარგი მხარენი, რომ ამითი ავს გაუწიოს ბრძოლა და მოჰკვეთოს, კარგს მოჰკიდოს მაგრა ხელი, უფრო დაიმკვიდროს თავის თავში და მისცეს წარმატება. ამისათვის არის საჭირო ისტორია პირუთვნელი, სადაც უნდა ცხოვლად იხატებოდეს ავიცა და კარგიც ისტორიულნი მხარენი.

ვიმეორებ, ყველა ამისთვის არ მეგულება საქართველოს ისტორიაში ამ ჩვენგნით აღებულს ისტორიულს დროზედ სამაგალითო მოვლენა, ერთმხრივ ბრძოლა საქართველოს მოსასპობელათ, მეორეს მხრით—ბრძოლა საქართველოს სახსნელათ. ბრძოლა უსწორ ძალათაგან ერთმანეთთან, ბრძოლა საშინელს აწეწილს გარემოებაში, ბრძოლა, რომელიც გაგონებს თავისის გამწვავებული ხასიათით ბრძოლას კართაგენსა და რომს შორის, რომის სენატის ბრძოლას ანიბალთან. მხოლოდ სააკაძე

ამ ბრძოლაში გამოვიდა გამარჯვებული, მოაუძლურა სპარსეთი და იხსნა საქართველო მოსპოვლიდგან; ანიბალი კი იქნა [illegible] რომაელთ, თითქმის, იმის თვალთა წინ მოსპეს და საუკუნოთ ძირიანათ აღმოჰფხვრეს მისი სამშობლო.

ეს იყო მიზეზი, რომ არც ერთს საქართველოს ისტორიაში მომქმედ კაცზედ არ დაწერილა ამდენი, გარდა დავით აღმაშენებლისა, რაც სააკაძეზედ; არც ერთს ქართველს კაცზედ არ არის ხალხში იმდენი თქმულობა, გარდა თამარ მეფისა, რაც ამ უბრალო კაცის შვილზედ, რომელსაც დაერქვა „დიდი მოურავი“.

მაგრამ, ამასთანავე თვით მსოფლიო ისტორია არ გვიჩვენებს არც ერთს იმისთანა ისტორიულს გვამს, რომელიც ჩავარდნილიყვეს იმგვარს აწეწილს ტრაგიულს გარემოებაში, სადაც შენი კეთილი საქმენი, თვით ქვეყნისთვის თავის გაწირვა ცუდათ გამოჩნდებიან. ამისგამო, არც ერთს ისტორიულს გვამს არ დასდგომია მეისტორიეთაგან ის დღე გაუკითხაობისა და უსამართლობისა, რაც სააკაძეს. ეს აწეწილი გარემოებანი და მაზედ მწერალნი იყვნენ მიზეზნი, რომ სააკაძეზედ შესდგა აზრი, — მაგრამ მხოლოდ ისევ მწერლობაში, და არა ხალხში, — როგორც მოღალატისა, ქვეყნის გამცემისა, მოსისხარისა, დაუნდობარისა. სომხების და ქართველების მეისტორიენი, ქართველი სამღვდელო მწერალნი, შემდგომ ანტონ 1-ლი კათალიკოზისა და ვახუშტის ცილებისა, ფრანცუზების მოგზაურნი და მწერალნი — ყველანი ერთხმივ, გარდა თითქმის თანამედროვე ქართველთ მწერალთა არჩილ მეფისა იოსებ თბილელისა, თვით თეიმურაზ მეფისა და თანამედროვე მეისტორიე სპარსის ისკანდერ მუნშისა, — დარწმუნებით ლაპარაკობენ სააკაძის მუხანათობასა, ქვეყნის გამცემლობასა და სხვა ამისთანაობაზედ, და დარწმუნებით მოგვითხრობენ, რომ შაჰ-აბაზი შემოიყვანა სააკაძემ საქართველოში ასაკლებათ, შაჰ-აბაზი აასია საქართველოზედ სააკაძემაო.

რომ გავიგოთ, რამდენი სიმართლეა ამ მწერალთა სიტყვებში, საჭიროა მოკლეთაც არის თვალი გადავავლოთ იმ გარემოებითა, რომელნიც გახდნენ მიზეზნი ამგვარი აზრის შედგენისა, და ამასთან, გაკვრით მაინც გავსინჯოთ იმ მწერალთა სიტყვანი, რომელნიც ამცირებენ და ჰრყვნიან სააკაძის საქმეთა და მის სახელს.

საავაძე იყო უბრალო კაცის შვილი. მეფემ შეირთო იმისი და ცოლად. დიდკაცობა ჯერ იმასაც თაკილობდა, რომ ყმაწვილ კაცის შვილს, ისიც ჯერ, თითქმის, ისევ ბავშვს, ექირა იმათზედ დიდი ადგილი სამეფოში, და ახლა ხომ უფრო ვერ მოითმენდეს, როცა ამ უბრალო დაბალი კაცის შვილს მეფე დაუახლოვებდა, და და იმისი გახდა იმათი დედოფალი. დიდკაცობამ მოსთხოვა მეფეს სააკაძის დის გაშვება და სააკაძის სიკვდილი. მეფე გაუხდა ყაბულს. დაიბარა სააკაძე და უნდოდა ღალატით მოეკვლევინებინა. სააკაძემ გაიგო ეს და გამოასწრო მკვლელებს. იმას დაუწყეს დევნა. ის გაექცა თავის მდევნელებს სპარსეთში და შეაფარა თავი შაჰ-აბაზს, რომელიც ითვლებოდა საქართველოს ხელმწიფეთ. აბაზმა ის მიიღო დიდი პატივით. ამ ამბების უკან, შაჰ-აბაზმა საშინლათ ააოხრა კახეთი, მოსწყვიტა მრავალი, გადაასახლა სპარსეთში დიდძალი კახელობა, დაატყვევა მეფე ლუარსაბ, ქეთევან დედოფალი, დედა კახთა მეფისა, და შვილები ამავე კახთა მეფისა; მოაკვლევინა ლუარსაბ, აწამა ქეთევან, დასაჭურისა თეიმურაზის შვილები და სხვა.

საქმეში ჩაუხედავს კაცს, კაცს გულდამწვარს, მეტიც არ უნდოდა: სააკაძე გავარდა სპარსეთში; ამ გავარდნის უკან სპარსნი შემოესივნენ საქართველოს, დაატყვევეს მეფენი. სააკაძე იყო გაჯავრებული მეფეს და ქართველობაზედ. ის იყო კაცი ძლიერი, დიდებული სარდალი, თავმოყვარე. სხვა ყველა ამის ალაგას არ დასთმობდა იმ ღალატს, რომლითაც ის გაიმეტეს სასიკვდილოთ, არ დასთმობდა ამ უპატიურებას, რომელიც მიაყენეს ამას, ამის დედას, ცოლშვილს, მთელს მომავლობას. მაშასადამე, სააკაძეც ასრე უნდა მოქცეულიყო. მაშასადამე, მიზეზი ყველა იმ უბედურებისა, რომელიც მოადგა საქართველოს, შემდგომ სააკაძის განდევნისა, უნდა ყოფილიყო სააკაძე.

სწორედ ეს დახლართული გარემოებანი მიეცათ მიზეზათ ამ მრავალგვართა მწერალთა, *) რომელნიც საქმეში ღრმათ ჩაუხედაობის

*) სხვათა შორის მაშინდელს მოგზაურს პიეტრო დელლავალლეს, რომელიც ამ დროს მოგზაურობდა სპარსეთში. რასაკვირველია, იმას არ ეცოდინებოდა ამ დროს საქართველოს უბედურების პოლიტიკური მიზეზები და უნდა დაეჯერებინა, რასაც გაიგონებდა სააკაძის მტერთაგან.

გამო, დაუფიქრებლათ ასდევდნენ ერთხელ ნათქვამს სიტყვას; სცხე-დნენ საკაძეს ჩირქს, ავრცელებდნენ იმაზედ იმისსა და იმათი საქმეების დამამცირებელს აზრებსა.

ამაშია ის უმაგალითო ტრაგიზმი, რომელიც შენიშნა ამ მოკლე ხანში თვით ერთმა რუსული გაზეთის „Новое Время“-ს რეცენზენტმა და რომელმაც ჰსპოვა, რომ უკეთესი ტემა ტრაგედიისათვის არც ერთს მწერალს არა ჰქონიათ.

როცა ქართველთ მეისტორიეთა, მემატიანეთა და სხვათა მწერალთა ადევნებ ყურს, ისრე არაფერი არ გააკვირვებს, როგორც ის, რომ ამათ არ იციან, რა არის პოლიტიკა, რა საქმე, რა ძარღვი, რა მართული ამოძრავებს სახელმწიფოთ საქმეებს; რა მიზეზი აღძრავს მტრობას ხალხთა შორის. ესენი აგიწერენ ბრძოლას, შემოსევას, აკლებას, დაცემას, სისხლს, ტყვევნას, ცეცხლს. რათა? რისთვის? რა ხალხს რა კავშირი აქვს მეორესთან, რათ ეტანება ერთი მეორეს დამონებას, მოსპობას, დატყვევებას,—ეს იმათ არ იციან და ნურც ჰკითხავ ისინი ხედავენ მარტო განს. რა დევს ამ განში რას ფარავს განი! ამას არ კითხულობენ. არც იციან ხშირად, სამწუხაროთ, ეს თვით მეფეთა და სახელმწიფოთ საქმეთა გამგე დიდებულთა და მინდობილთა პირთა.

ამგვარი მოკლე აზრის მოხაზულობამ, პოლიტიკის უცნობელობამ დააყენა მწერლები იმ აზრზედ, რომ შაჰ-აბაზი, ეს ლომი ირანისა, ეს სახელოვანი დიპლომატი, შესანიშნავი შორს მხედველი პოლიტიკი, მეხი და რისხვა მთელი ასიისა, ბრძენი გონების კაცი, რომლისაც მსგავსი ხელმწიფე, შემდგომ კვიროსისა, არ ასულა სპარსთა სახელმწიფოთ ტახტზედ, ხელმწიფე, გათქმული ამასთან თავის კაცთმოყვარეობით,—ასდევდა გარეშე კაცთა უბრალო სურვილს, დაჰყავდა ამათს ნებაზედ თავისი უთვალავი ჯარები, დადიოდა იმათს ბრძანებაზედ, იმათი ჯავრების ამოსაყრელად; ჟლეტავდა თავის ჯარებს და უდანაშაულო ხალხებს!!. .

მაგრამ ამაზედ უფრო სამწუხარო ის არის ჩვენთვის. რომ ქართველობა მეტად მძიმედ უდებდა პროზას თავს, ისტორიის წერა ამათთვის იყო ნაილაჩრობისა. ქვეყანა სწერდა ისტორიას და ჩვენი ქართველებიც ასდევდნენ ფეხის ხმას. მაგრამ დაკვირვება ისტორიულთა

მოვლენათა, ფაქტების, შემოწმება იმათი ერთმანერთთან[1]) და იმ მოვლინებებთან, რომელთაგანაც ესენი წარმოსდგებოდნენ და რომლებთაც ჰქონდათ კავშირი, არ იყო საქმე ქართველთა მეისტორიეთა და მწერალთა, არამც თუ ძველად, არამედ დღესაც, როდესაც კაცს მეტი სახსარიცა ცოდნისა, და სწავლა განათლებაც დიდად უწყობს ხელს... სამწუხაროდ ამას ვხედავთ უცხოთ ტომთა მეისტორიეთა შორის, რომელთაც წილათ ჰხვდათ საქართველოს ისტორიის წერა.

ვუჩვენებ მკითხველს ნიმუშებს ამავე სააკაძის შესახებ ერთი ჩვენი განთქმული ძველი მეისტორიეს ნაწერებიდამ, და მეორე ამ საუკუნეში მცხოვრები განთქმული ისტორიული ნაწერების ავტორის ნაწარმოებებიდამ. ვუჩვენებ ვახუშტისა და პლატონ იოსელიანის ნაწერებიდამ.

ვახუშტისაც და პლატონსაც ხელის მძღვანელად ჰქონდათ სააკაძის ისტორიის შესახებ მეტში წიგნი იოსებ თბილელისა „დიდი-მოურავიანი“, რომელიც თავის მხრივ ბევრში არის დამყარებული თვითონ სააკაძის წერილებზედ თეიმურაზ მეფესთან.[2]) ვნახოთ ახლა როგორ კარგათა აქვთ შეგნებული ამათ წიგნა თბილელისა.

[1]) აქ რა გვაქვს ლაპარაკი თანამედროვე მეისტორიე მწერლებზედ, როგორც მაგ. ბარათოვი და ბაქრაძე.

[2]) რომ სააკაძეს წერილები მეფე თეიმურაზთან, საყვედურათ მის ნამსახურობის დაუფასებლობისა, ყოფილა, ამას გვიმტკიცებს პარიჟის სამეფო ბიბლიოტეკაში მყოფი ხელნაწერი ქართლის ცხოვრება, რომელიც ბროსეს გამოუცია 1829 წ. პარისში ლიტოგრაფიით დაბეჭდილი. აქ ვკითხულობთ ამგვარს ალაგებს: ,,დიდმან მოურავმან ვარჩიე: ძმანო დამიჯერეთ'' და სხვა. (გვ. 42) ,,ჩვენზედ ექვსი ზომით მეტი იყო იმათი ჯარი. რაზმი გავმართე მოურავმან და შეუტიე, სასქეს ჯარს მაუხედიდის ნდომით ჩამოვყარე, ჩემი დიდათ მძულს კვეხნა, მაგრამ ვისაც შუბი შევცი უნაგირში ველარ დადგის, საითაც შეუტევდი, შევაძრწუნებდი და შევაშინებდი, სწორედ რაზმს შუა ვბრუნავდი... სამი შუბა გამიტყდა, მასუკან ლახტით ვიბრძოლე, ლახტი გამიტყდა და ხმალი ამოვიღე. (გვ. 43) ,,მე ზედიმან იმაზედ დამქიშპდა: ერთხელ უთხარ: შენს ხმალს არა აქვს გაკვეთა და ძალი მეთქი და თურმე გულში სევდათ ჩაეგდო. სხვას რას დამაკლებს, არამედ ენით მომიდგას მახე.'' (გვ. 46) და სხვა. ამასავე ამბობს ,,ლუარსაბ მეფის წამებაში'' ანტონ კათალიკოსი, რომ იყო თვითონ სააკაძის წერილებიო. თუმცა არ გვიჩვენებს წყაროებს, საიდამ იცის ესა, და ვგონებ, უფრო ამყარებს ,,დიდი მოურავიანის'' წერილზედ, რაკი აქ იოსებ თბი-

„ხოლო იდგა რა მეფე ლუარსაბ ქრცხინვალს, რამეთუ მას მოვლიდიან თვისთა ქვეყანათა ყოველთა: გარნა ესე მოურავი გიორგი იყო მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და შემმართებელი, უშიში, ცბიერი, მწურწვნელი და უნდო. ესე მარად დღე თვითეულთა კაცთა ფურჩვნიდა და არა დაცხრებოდა. იხილა ესე მეფემან და ჰკითხა მოურავს: „რაჲ არს, რომელ არა დასცხრები ფურჩვნად, ანუ რა გნებავს ყოფად?“ ამისათვის ჰკადრა მოურავი მროველსა დომეტისა: „რამეთუ მეტყვიან სიკუდილისა მეფისაგან და არა რა ვუწყი მიზეზი მონებისგან კიდე...“ „ესე ყოველი ჰკადრა მეფესა მროველმან. არამედ მეფე ამისა უცნობელი განჰკვირდა და ამცნო მროველსა გულ-ებულ ყოფა მოურავისა, რამეთუ არა არს მანკიერება მეფესა შინა მისთვის, გარნა ჰკითხოს, ვინა უთხრა იგი. ხოლო მოურავმან არა სთქვა მთქმელი, „რამეთუ ფიცებულ ვარ მათ მიერ“. ამბობს ვახუშტი.[1])

„იმ დროს როდესაც **ლუარსაბ მეფე** იმყოფებოდა ცხინვალს და ჰზრუნავდა დაცემული და შევიწროებული სამეფოსათვის, სააკაძეს აცნობეს სამეფო სახლის სამწუხარო გადაწყვეტილება, რომ ის უნდა მოიკლას, რათა ამით დამშვიდდეს სამეფო და დაზავდეს აღელვებული და აღშფოთებული მთავარნი და დიდებულნი ქართლისანი. რომელიც მრისხანებდნენ მისთვის, რომ სააკაძე, უბრალო კაცის შვილი, იყო ამათზედ მეტად მიღებული და პატივცემული მეფისაგან. მოურავმა მიუგზავნა მაშინვე მეფეს დომენტი მროველ ეპისკოპოზი. მიუგზავნა აგრეთვე ქაიხოსრო (მუხრანის ბატონი) და იასე (ქსნის ერისთავი). ამასთან სააკაძე, რომელმაც არ იცოდა, რა არის შიში და საფთხე, თვითონაც წარსდგა მეფესთან თავის გასამართლებლად. ამდროს აცნობეს მეფეს (ამასვე მოგვითხრობს ვახუშტი, მაგრამ ჩვენ აღარ გამოვწერეთ), რომ ოსმალნი შემოესივნენ ქართლს თრიალეთის მხრივ“. ამბობს პლატონ იოსელიანი თავის წიგნში Жизнь Великаго моурава Георгія Саакадзе“[2]) და ათავებს ამ ამბავს, რომ სიკვდილის

ლელი ლაპარაკობს სააკაძის პირით. ანუ უკეთა ვთქვათ ალაპარაკებს სააკ ძეს.

[1]) ქართლ. ცხ. ტ. 11, გვ. 35.

[2]) გვ. 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგიერათ მეფემ სააკაძე გაგზავნა ოსმალებზედ, რომელნიც სააკაძემ უწყალოთ გამუსრა.

როგორც ჰხედავს მკითხველი, ვახუშტიცა და პლატონიც გვიწერენ, რომ ზემოთ მოყვანილი ამბავი მოხდა მეფე ლუარსაბსა და სააკაძის შორის. ცხინვალში მდგომს მეფე ლუარსაბს განუზრახავს სააკაძის ღალატით მოკვლა, ეს სააკაძისთვის შეუტყობინებიათ, სააკაძეს ამაზედ მოციქულად დომენტი მროველი მიუგზავნია მეფესთან. აქ შემოსყვიან ქართლს ოსმალნი და ამას დაუზავებია სააკაძე და ლუარსაბ ერთმანერთში.

ვნახოთ მართლა ლუარსაბ იყო ის მეფე, რომელმაც ცხინვალში დგომის დროს განიზრახა სააკაძის ღალატით მოკვლა, და რომელსაც ამაზედ მიუგზავნა მოციქულათ სააკაძემ დომენტი ეპისკოპოსი, თუ ვინმე სხვა მეფე.

მოვიყვანოთ ცნობანი იმ წიგნიდამ, რომელიც ახლოც არის დაწერილი სააკაძის დროსთან და რომლიდანაც აქვთ თავისი ცნობანი ამოკრეფილი ვახუშტისაც და პლატონსაც. აი სიტყვანი თბილელისა ამ ამბავზედ იმის „დიდ-მოურავიანში“.

„ქრცხინვალს იდგა მეფე შვებით, მას გვერდს ახლდა მოურავი.
იშვებდნენ და იხარებდნენ, ქარი უქრისთ მათ არ ავი,
მტერი ყოვლგნით შეაშინა, ომის იყვნეს არ მზარავი.
ავი ენა მათაც გაჰყრის, ქვეყნისათვის ეს არს ავი.

„სამნი კაცნი მოურავთან მოვლენ სიტყვის მოხსენებად:
პირველ ჰკადრეს, ჩვენ შენისა სახელისა გართო ქებად,
განგიცხადებთ ხვაშიადსა, ჭირსა ჭირზედ მოსავსებად,
მაგრამ ფიცს გთხოვთ, არვის უთხრათ, არ შეგვიქნეთ გაცხადებად“

—

„ბევრი ეუბნა არ უთხრეს, ვიდრემ არ მისცა ფიცია,
მაშინღა ჰკადრეს: სიკვდილი ხვალ შენი დანამტკიცია...“

„ჰკითხა კიდევ, რა სიტყვა სთქვეს, რად სწრაფობენ ჩემად მკვლელად.
მათ უთხრეს, თუ ის შეიქნა ლუარსაბის სისხლის მღვრელად“..

„მაითხრეს: ერთხელ კიდევ მორჩი სიკვდილსა და დალატობას
დაგვიჯერე, ნუ მოელი მეფისაგან შენ დანდობას:
ლუარსაბის სიკვდილს გადებს სულ ამას იქვს სიტყვის თხრობას..“

—

„ავალიშვილი დომენტი, ჭკვიანი კაცი მრთველი;
მას ვკადრე, თქვენ გაისარჯეთ, მეფესთან ამას მოველი;
ეს ჭკადრე: რა დავაშავე, ვიყავ ხმლით ბევრის მშოველი...

—

„კიდევ გავგზავნე მრთველი, ვახელ მოციქულები...
ლუარსაბ მეფის სისხლს მადებთ, გაქვთ სადმე სიტყვა თქმულები.
მაგრამ თავიდამ შეგკადრო თქმად და თუ შემრჩა სულები“...

—

„მეფეს ებრძანა აწ გითხრა, სიტყვა უცდურათ მრთელია:
ქვეყანამ იცის შენ იყავ მისის სისხლისა მღვრელია.

—

„მოვთვალე მეფევ ისმინე ეს სიტყვა გათავებამდის,
მეფეს ლუარსაბს რომ ვახლი, ვით ვიყავ მისად ქებამდის,
ოცის წლის მამამ მიმართვა, ის იყო ცამეტ ბამდის,
უწინაც მაპატივებდა, სამუდმოდ გვერდს ხლებამდის“.

—

„ხანი გამოხდა, მოვიდა ამბავი ლაშქართ ყრისანი,
თათარხნის შემოგროვება, თრიალეთს გარდმოსვლისანი,
მან იარალის უბრძანა, შენ იცი შეკვრა გზისანი,
თან ზაქარია წამოგყვეს, ემარი არ გინდა სხვისანი.“

—

აქ ცხადად დაინახავს ყველა, თვით უბრალო მკითხველიც კი, რომ ქრცხინვალს მბრძანებელი მეფე, რომელიც დალატით უპირებს საა-კაძეს მოკვლას, და რომელსაც მოციქულად ამ ამბის გასაგებათ მიუ-გზავნა სააკაძემ დომენტი მრთველი ანუ რუისის ეფისკოპოზი, თუ მიტროპოლიტი, ლუარსაბ მეფე კი არ არის, არის სრულიად სხვა მეფე, მეფე, რომელიც ადავებს სააკაძეს ლუარსაბ მეფის სისხლს და სხვათა შორის ამის მიზეზით უპირებს ღალატით მოკვლას სააკაძესა. თუ

საკაძეს სწამებენ ღუარსაბ მეფის სიკვდილს და უნდათ აიღონ საკაძისა-გან იმისი სისხლი, მაშ ნუ თუ მოკლული ღუარსაბ გაცოცხლდა, მიჰყავდა ცხინვალს სახელმწიფო საქმეების საპატრონოდ და თვითონვე ეძიებს საკაძისაგან თავისი სიკვდილის სისხლს?! ნუ თუ საკაძე უამბობს გაცოცხლებულს ღუარსაბ მეფეს თავისსავე ამბავს ისრე, როგორც უცხოს, როგორც მესამე პირის ამბავს?!..

ცხადია აქ არის ლაპარაკი სრულიად სხვა მეფეზედ და არა ღუარსაბზედ. მაგრამ ჩვენი მწერალნი და მეისტორიენი ამ მოუფიქრებელს და ცხადს შეცდომასაც არა ჰხედავენ: ვერ ჩაჰფიქრებიან, როგორ მოხდა, რომ მკვდარი მეფე განაგებს სამეფოს, ეძიებს თავის მკვლელებისაგან თავის სისხლს; უპირებს და ისიც ღალატით თავის მტრებს სიკვდილსა!

რომ უბრალოთაც არის საქმეში ჩაეხედნათ, რომ ერთი ბეწვაც არის გაექრათ გონება და სრულიად ბრმათ არ ეწერათ რაც პირზედ-მოადგებოდათ და რაც კალმის წვერს მოედებოდა, პლატონ და ვახუშტი არამც თუ არ გააცოცხლებდნენ მკვდარს ღუარსაბს სახელმწიფო საქმეების განსაგებლათ და თავისივე სისხლის საძიებლათ, პირიქით ადვილათაც გაიგებდნენ, რომელ მეფეზედაც არის ლაპარაკი, — თუმცა ეს მეფე პირ-და-პირ დასახელებული არა ჰყავს თბილელს, — რომელი მეფეც ეძიებდა საკაძისაგან ღუარსაბის სისხლს. აქ არის ლაპარაკი თეიმურაზ პირველზედ რომელიც თვით საკაძემვე გაამეფა ქართლშიაცა და კახეთშიაც. ეს ცხადათ სჩანს თბილელის წიგნების შემდეგი ადგილებიდამ, რომელსაც უთვლის საკაძე მეფეს მის შემდეგ, როცა გაიგებს, ღალატით მოკვლას მიპირებსო:

„თქვენ ყველა იცით, რა მმართებს ამბისა წვრილად ხსენება,
სად ბრძანდებოდით, რა საქმით, რა გქონდათ რა მოსვენება,
ვით მოგიყვანე ხელმწიფევ, ან გკადრე რა მოხსენება,
ერთ პირად კახნი მის ალაგს მოვასხი, როგორც ენება.

—

ბიბლიოთეკა

„ყორჩიბაში რომ მოვიდა თქვენ იყავით მეფეთ მჯდომარე*)

—

„შებმა დავშალე მე მათი, არ სჯობდა მაშინ ომია,
არ დაიშალეთ, ომისა წილი მეც რამე მხდომია.

მერე აგონებს ამავ წიგნის სიტყვით სააკაძე ამავე ცხინვალში მდგომს მეფეს, რომელიც ამას ლუარსაბის სისხლს ადავებს, შაჰ-აბაზის შემოსევას და ამბობს:

„უწინ კახეთსა მობძანდა, იცით რომ იქნა რაები,
მერედ ქართლსა მოვიდა, არ ვინ ჰქო შესაძრავები.
ორნი მეფენი იქმენით სამკვიდროდ დასაძრავები,
თქვენ გადაბრძანდით იმერეთს, მე რავქენ დასაშავები.
„მოციქულები გაახლათ, მოსვლის და შერიგებისა,
თქენ არ მობძანდით, იცოდით მათი წყენის და რგებისა,
მეფე ლუარსაბ მობრძანდა, აწ სიტყვა არ ეგებისა".

რომელი ქართველია, რომელსაც წაუკითხავს ის მედგარი დრო შაჰ-აბაზის შემოსევისა ქართლის ცხოვრებაში თუ სხვაგან, არ იცოდეს, რომ ის ორნი მეფენი, რომელნიც შაჰ-აბაზს გაექცნენ და იმერეთს გადასცვივდნენ, იყვნენ მეფე კახეთისა თეიმურაზ და ქართლისა ლუარსაბ. ამასთან ესეც ყველამ იცის, რომ შაჰ-აბაზის დაბარებით, თეიმურაზ არ გადმოვიდა იმერეთიდამ, და ლუარსაბ გადმოვიდა. ყველა ეს ცხადად გვიჩვენებს, რომ ეს ცხინვალში მყოფი მეფე რომელიც უბორებს სააკაძეს მოკვლას და რომელსაც სააკაძე უამბობს თავის ნამსახურობას, არის თეიმურაზ. თქვენ არ მობრძანდით მეფე ლუარსაბი მობრძანდაო, ნუ თუ ამას ლუარსაბს ეუბნება და არა სხვას ვისმე მაგრამ ვახუშტიმ და პლატონმა მკვდარი ლუარსაბ აქციეს ცოცხალ თეიმურაზათ. ეს კიდევ ცოტაა.

*) ყორჩიბაში იყო თავი სარდალი სპარსელებისა იმ დროს, როდესაც ქართველები თეიმურაზ მეფის თავსარდლობით ასრე უწყალოთ დამარცხდნენ და ამოსწყდნენ მარაბდის ომში.

პლატონ იოსელიანი, როდესაც აგვიწერს თავის წიგნში „ისტორია Великаго Моурава“ ოსმალების უცებ შემოსევას საქართველოში და ამაზედ სააკაძის დიდს გამარჯვებას, სხვათა შორის ამბობს: „ოსმალთ, რომელთაც მთავარ სარდალი იყო დელი-მამად-ხან, დაიჭირეს მანგლისი“

ცხადია ამ სიტყვებიდამ, რომ ოსმალების მთავარ სარდალი იყო ახალი დელი მამად-ხან, ვნახოთ **დელი მამად-ხან** ოსმალების სარდალი იყო თუ იყო საქართველოს მომხრე.

როდესაც ლუარსაბს უცებ შემოერტყა ცხირეთში ყოფნის დროს აუარებელი ოსმალთა ჯარი და შეშინებულმა ლუარსაბმა აღარ იცოდა, რა ექნა, ამ დროს სააკაძე უმაგრებს იმას გულს, სთხოვს შვიდი საათის ვადას, რომ გააბრუნოს ჯარი ოსმალთა ამ შვიდს საათში. ის გავთისხევს და მის გარშემო სოფლებში აგროვებს ოთხასს ხუთასს კაცს ჯარსა, ამითი მიუხდება თათრებს და ამავე დროს სწერს ყველა ქართველ სარდლებს, ჩქარა მოგვეშველეთ თქვენის ჯარითაო, და სხვათა შორის ამბობს „მოურავიანში“.

**დელუ-მამად-ხანს** ვაცნობე, წამოდი მალე ირები,
**მალ მოგვეშველე,** შეგვექნა დღეს რამე გასაჭირები,
**ნუ გაგვიდრკები, აქამდის ჩვენ ერთად გვქონდა პირები...**

შემდეგ ერთი თავი ამავე მოურავიანში ასრე იწყობა, რომელიც თვით პლატონისაგან არის გამოცემული: „რჩევა დიდის მოურავისა, ნუგზარ ერისთავისა, დელუ-მაჰმადისა და მათთა სხვათა ვეზირობა და გამორჩევა, თუ რას გზით მიუხდეთო“.

ამავე წიგნში არის ჩამოთვლილი ვინა და ვინ მოუშველნენ ამ ომში სააკაძეს.

„დელუ მამად-ხან მოვიდა, შვიდასი კაცი ხლებოდა,
გულსრულობასა ჩემობდა, მამაცად რასმე დგებოდა,
მგლის ტყავოსანთა შევებნეთ, ომი მწე შეგვეძლებოდა“...

ამასვე გვიწერს პარიჟის სამეფო ბიბლიოთეკის ხელთნაწერი „ქართლის ცხოვრების„ ანონიმნი ავტორი: „მოურავმან [illegible] ხანს შეატყობინა: მოდი მალე საქმე გაგვიჭირდათ, ნუ გაგვიდრკები, აქმდის თქვენი და ჩვენი პირობა ერთი იყოსო“ [1]) „შამად-ხან მოვიდა შვიდასი მეომარი კაცითა“ [2]).

და სხვა ამისთანაები. ცხადია რომ დელუ-მამად-ხან იყო სარდალი და მომხრე ქართველთა და არა სარდალი ანუ მხედართ-მთავარი ოსმალთა. მაგრამ პლატონ იოსელიანმა ასრე ინება—დანიშნა ოსმალების სარდლად. ისკანდერ მუნშის ისტორიიდამა სჩანს, რომ დელუ-მამად ხან იყო ხანი შამშადილისა, რომელიც დააყენა აბაზმა გიორგი მეფის დროს თბილისის ციხეში სპარსთა ჯარებით ციხის თავად და რომელიც ბოლოს დროს იყო დანიშნული ყარაბაღის ამირად.

ერთიც კიდევ ნიმუში.

როდესაც სააკაძე და ზურაბ არაგვის ერისთავი გადუდგნენ შაჰ-აბაზს, ზურაბის ცოლი დარჩა სპარსეთში. აი რას გვიწერს ამაზედ პლატონ „განრისხებულმა აბაზმა მოაჭრევინა თავები მოურავის შვილის პაატასი და ზურაბის ცოლისა და საჩქაროთ გაუგზავნა საქართველოში. [3]) ახლა უყურეთ მეორეთგან რას ამბობს. „ზურაბ ერისთავის ცოლი გაათათრებინა და მისცა მოახლედ თავის ცოლებს. შემდგომ შაჰ-აბაზისა და ზურაბის სიკვდილისა, ის მოვიდა საქართველოში 48 წლისა, მოინათლა მეორედ, შედგა მონოზნად და მიიცვალა არმაზის დედათ მონასტერში“ [4]).

ახლა რა უნდა იფიქროს მკითხველმა, რომელია მართალი ამათში: ისა რომ აბაზმა მოსჭრა თავი ზურაბის ცოლს თუ ისა, რომ გაათათრა, და ის თავის დღეში მოკვდა მონოზნათ შემდგარი?!..

და რომ გასინჯოთ ვახუშტიცა, პლატონიცა და სხვა მეისტორიენი, და მეტადრე საეკლესიო მწერალნი [5]) თავის ნაწერებში, შეადა-

---

[1]) გვ. 39.

[2]) გვ. 40.

[3]) Жизнь Великаго Моурава გვ. 58.

[4]) გვ. 51. იქვე,

[5]) აი ნიმუში ისტორიული საბუთების გადმოცემისა ტიმოთე ეფისკოპოსის მოგზაურობიდამ: „წერილთა შინა მდებარეთა მუნ, წერილ არს ვითარ-

რით ამათი ნაწერები მასალებთან, ნამდვილ საბუთებთან, გამოვარდება. პეტრეს საქმეს აწერენ პავლეს, პავლეს საქმეს იოთამს, იოთამისას [illegible]რეს; დღევანდელს საქმეს სთვლიან შარშანდელად, შარანდელს წლევანდელად, როცა სხვა რამ დააკლდებათ, მასალებიდამ შევსების მაგიერად სთხზამენ თავის თავად, როგორც სხვათა შორის ჩანს ამას ანტონი კათალიკოსი ლუარსაბ მეორისა და ქეთევან დედოფლის წამების აწერაში, და მკითხველი, რომელიც არ არის საქმეში ჩახედული, არის დარწმუნებული მათგან აღწერილი ამბების სინამდვილეზედ. ეს შეთხუზული და შეთითხვნილი ამბები ვრცელდება ქვეყანად. ამგვარი მწერლების მოწყალებით მკითხველის გონებაში ქვეყნის მხსნელნი გამოდიან მოღალატედ, ქვეყნის მოღალატენი, ქვეყნის მხსნელებათ, უგუნურნი გონიერებათა, გონიერები უგუნურებათ, უზნეონი ზნიანებათ, ზნიანები უზნეოებათ. და ყველა ესე, რასა თქმა უნდა, ჰმოქმედებს მკითხველზედ ცუდათ.

რა შთაბეჭდილება უნდა გამოიტანოს ან რა კეთილს აზრზედ უნდა დასდგეს მკითხველი, როდესაც ის წაიკითხავს მეისტორიესაგან სააკაძისა და ზურაბ ერისთვის გმობას იმგვარი დიდებული საქმისათვის, როგორც მათი შეთქმულობა და ხსნა საქართველოსი შაჰ-აბაზის

---

მედ სულტანი მისირ-ეგვიპტისა ევედრა მეფესა საქართველოსასა **ვახტანგ-გორგასლანს**, რათა წარმოვიდეს ლაშქარით, განსდევნეს ფრანგნი იერუსალიმით, რომელიცა მაშინ ეპყრათ მათ, და თვით დაიპყრას. ამისთვის მოვიდა სპითა დიდითა და განიოტნა და თვით დაიპყრა იერუსალიმი და აღაშენა მონასტერნი მრავალნი". (მოხილვა ტიმოთესი გვ. 149-50) ვახტანგ გორგასლანი იყო მეხუთე საუკუნეში. ეგვიპტის სულთნები დადგინდნენ არა უადრეს მე X საუკუნისა. ფრანგთ ანუ ჯვაროსანთ ევროპიელთა (ფრანგთ ევროპიელთ ეძახდნენ) აიღეს იერუსალიმი 1099 წ. ვახტანგ მიიწვიეს ეგვიპტის სულთანთა საშველად ფრანგების წინააღმდეგ შემდეგ თითქმის შვიდასი წლის სიკვდილისა!! ცხადია რომ ან ეს წერილი არ არის, რომელსაც ამბობს ტიმოთე, ან თუ არის, ვახტანგზედ არ არის და უნდა იყვეს ან დავით აღმაშენებელზედ ან სხვა ვისმე მეფეზედ. გოთფრიდ ბულიონერმა აიღო იერუსალიმი სწორედ დავით აღმაშენებელის მეფობის დროს.



БИБЛИОТЕКА

ჯარებისა და მთლათ აურისა და მოსპობისაგან. ამგვარს [illegible] ხუდობით ამ დიდებული საქმისათვის ამათზედ პლატონ იოსელიანისაგან მის წიგნში „Описаніе города Душета". *)

აი ამგვარი მეისტორიენი და მწერალნი იყვნენ მიზეზნი იმ საზიზღარი ხმებისა, რომელნიც გავრცელდნენ სააკაძეზედ... ამ გვართა მეისტორიეთა ხვდათ წილად წერა იმ საქმეთა და ამბავთა სააკაძისა და იმის დროზედ, რომელნიც ათასის ქსელით იყვნენ გამბულნი ტრაგიკულს და პოლიტიკურს გარემოებაებთან, სხვა-და-სხვა უცნაურს ამბებსა და შესანიშნავ მსოფლიო პირებთან, სადაც იყო საჭირო ღრმად გამჭვრეტი გონება და ღრმად დაკვირვების ნიჭი, რომ გაეგო, სად იყვნენ წვერნი იმ ქსელებისა, სად იყვნენ ნასკვნი, სად იყო თავი სად იყო ბოლო. რაღა თქმა უნდა მეისტორიეთა, რომელნიც ერთგან განგებ იგონებდნენ საზიზღარ ცილებს,*) მეორედკან განსაბრწყინვებელს და ადამაღლებელს უცნაურებაებს, და რომლითაც ცოცხალი მეფე თამურაზ ვერ გაერჩათ მკვდარს ლუარსაბში, მკვდარს ლუარსაბს აძიებინებდნენ თავისსავე სისხლს; ქართველთა სარდლებს ვერ არჩევდნენ ოსმალთა სარდლებიდამ,—ამათ არ შეეძ-

*) გვ 38.

**) მაგ. პლატონ იოსელიანი, რომ უფრო ჩირქი მოსცხოს სააკაძეს—მოგვითხრობს, რომ ისკანდერ მუნჯი ძალიან აქებსო სააკაძის საქმეებსა და მოქმედებაებს ქართველების სამტროდ შაჰ-აბაზის ჯარებში საქართველოში შემოსევის დროსაო. ისკანდერის ნაწერები ეხლა გვიჭირავს ხელში, ვკითხულობთ და ვერ გვიპოვნია ეს ქება. არამც თუ ქება და ხსენებაც კი არსად არის ამ ნაწერებში სააკაძეზედ აბაზის შემოსვლის დროს, რაც ცხადათ ამტკიცებს, რომ სააკაძე კახეთის აკლების დროს არ იყო შაჰ-აბასთან ამასთან პლატონ იქამდის მიდის, რომ ამბობს, ისკანდერ მუნჯმა შაჰ-აბაზის ისტორია საქართველოში შემოსევისა შეარდგინა სააკაძის ჩვენებითაო, წარმოიდგ ნეთ რომ სააკაძის ჩვენებით შეარდგინა, და ამავე დროს ჰლანძღავს სააკაძეს და ეძახის მუხანათს სპარსეთისას, შაჰის მოღალატეს და სხვა ამისთანებს. ან საიდამ აიღო ეს პლატონმა, რომელი წყაროებიდამ, ღმერთმა უწყის! ვთქვათ დააწერინა სააკაძემ. მუნჯი ხომ სპარსნი იყო, რატომ არაფერი არა დააწერინა-რა ისეთი საქმეები, სადაც რამე გაეკეთებინოს საქართველოში სპარსთ სასარგებლოთ სააკაძეს?!..- რაღა სულ თავისი ლანძღვა და თავისი სპარსთა წინაღმდეგი საქმენი აწერინა და ქართველებისა კი არა.?!

ლოთ გამოკვლევა და გაგება სინამდვილისა და ჭეშმარიტ[illegible] ულნაური დროსა, პირების გარემოებებისა, და რომლებ[illegible] სწერდნენ.

ეოველს ნაბიჯზედ, თვით ჩვენ თავშიაც ვხედავთ იმ გვარს ფსიხოლოგიურს მოვლენას, რომ კაცი, უბრალო მდაბიო კაციც კი, რომელმაც არც ისტორია იცის, რა არის, არც ისტორიულთა მწერალთა დაფასება ავისა და კარგისა, იკავებს თავს ბევრს საძაგლობაში, ბევრს სიწამხდრეში, ბევრს ცუდს საქმეში, რა არის – საშვილისშვილოდ ცუდი სახელი არ დამრჩესო, შთამავალმა ცუდათ არ მომიხსენიოსო. თქმა არ უნდა, რომ კაცს, გონებით განვითარებულს, რომელსაც ესმის ისტორიაცა, ისტორიის მნიშვნელობაცა, აფასებს მეისტორიეთა აზრსაც, უფრო ცდილობს, წინაშენ ისტორიისა თავი არ შეირცხვინოს, არ გაიხადოს თავისი საქმენი სამუდამოდ საკიცხავთა და საწყევლელად, ბევრნი შთამამავლობისა და ისტორიის კარგათ მოხსენებისათვის სწირამენ კეთილს საქმეს თავს, ჯანს, ღონეს, ცოლს, შვილს, მახლობელთ, სარჩო-საცხოვრებელს, თავისუფლებას, და წარმოვიდგინოთ, რა საძაგლათ უნდა მოქმედობდეს კაცზედ ის გარემოება, როდესაც დარწმუნდება, რომ იმის ავათ და კარგათ მოხსენება შთამამავლობისა და ისტორიისგან არის დამოკიდებული იმის საქმეებსა და მეცადინეობაზედ კი არა, მაზედ ვის წილათ შეხვდებათ ამათი დაფასება, მიუწვდებათ იმათ გონება და მეცადინეობა სინამდვილის გამოკვლევისა, საქმის ჩაფიქრებისა, ავისა და კარგის გარჩევისა! ცხადია, იმ გვართა მეისტორიეთა და მწერალთა უნდა იქონიონ გამურყვნელი და ზნეთა დამცემი გავლენა შთამამავლობაზედ, შკითხველებზე.

მაგრამ, სამწუხაროთ, როგორც ვნახავთ ქვემოთ, ამას არ აფიქრდებიან ჩვენი მეისტორიენი, როგორც, საუბედუროთ, არ აფიქრდებიან ამას ჩვენი თანამედროვე მწერალნიც, რომელთაგანაც, მრავალთ, არამც თუ დაუკარგავთ ცნობა ავისა და კარგისა, თავისი ცოდნა და ჭკუა ამი აქვთ იარაღათ მხოლოდ პირადი ჯავრის ამოსაყრელად, სადაც არა ჰზოგამენ არც ცილს, არც ჭორს, არც ჩირქს, არც თვით ბეზღობას, და შეაქვთ ამითი სრული გადრწნა ზნეობისა, სრული გონე-

ბით დაცემა მკითხველს საზოგადოებაში. ჩვენი წიგნდა[illegible] ტელლიგენციაც, ნაცვლად მისსა, რომ ზიზღით შეაქცია [illegible] უმეცერებასა და უზნეობას, ჩაუხუტნია ამგვარი მწერალნი გულში, ყოველს მათს ახალს ცილს და ახალს მისისიანებაზედ სცემენ ტაშს, განძახიან ბრავოს და აქეზებენ ახალს და უარესს საქმეებზედ. რომლითაც ეს სენი ელექტრიზმის გამტარებელივით, გადააქვთ თავიდამ თავის ქვევით მდგომს საზოგადოებაში, რომელიც თავის მხრივ ლიტერატურიდამ თხოულობს მხოლოდ შემახურებელს სიტყვებს, ერთმანერთის გაუპატიურებას, ლანძღვას, ცილს და სხვა ამისთანაებს. მოთხოვნილება ჩვენი მწერლობიდამ გონებისა, აზროვნებისა, პატიოსნებისა, ცოდვნისა, სწავლისა—გაჰქრა ჩვენს საზოგადოებაში. და, სამწუხაროთ, აქამდის არა ვხედავთ რეაქციას ამ მიმართულობის წინაალმდეგ, არა ვხედავთ ბრძოლას ამ გარყვნილებასთან... ჯერ აქამდის არა გვყავს, არამც თუ გამრჩევი და კრიტიკულად შემხედველი ჩვენთა მეისტორიეთა და მემატიანეთა, არა გვყვანან კაცნი, რომელნიც აქტიურად ებრძოდნენ ჩვენს თანამედროვე ზემოთ მოყვანილს ლიტერატორულს მიმართულობას...

რა იყო, რას სწამებდნენ ჩვენი ან სხვა მეისტორიენი და მწერალნი სააკაძეს?

ვახუშტის თქმით: „მიერიდგან (რაც მივიდა სააკაძე შაჰ-აბაზთან) აზრახებდა მოურავი ყეენსა დაპყრობად ქართლისად“ სააკიძის სიტყვით წამოვიდა ქართლზედ შაჰ-აბაზი და თუ მაშინვე არ მივიდა ამ სამეფოზედ და პირველად შევიდა კახეთში, იმატომ რომ, როდესაც; მოვიდა განჯას უგრძნეულოდ შაჰ-აბაზ შესვლად კახეთს, რამეთუ ეახლა მოურავი და ეუწყა ყეენისთვის შესვლად ქართლს უმჯობეს არს ზამთარს, ვინაიდგან ვერ წარვლენ ხიზანნი მთათა შინა და ხელთ იგდებთ ყოველთა. აქვე მოგვითხრობს, რომ თეიმურაზს, კახთა მეფეს, მოეშველა ქართლის მეფე ლუარსაბიცაო.

არტონ 1-ი კათალიკოსი სწერს: — „იტყვიან მომთხრობელნი სომეხთანი, განზრახვითა გიორგისათა (სააკაძე) შაჰ-აბზ, თვესა შინა დეკემბერს დღესა დიდისა დღესასწაულისა, ოდეს იგი არს დრო ზამთრისა მკსინვარისა და მთათა თოვლთა აღვსებისა, განიმხედ-

რა შაჰ-აბაზ კახეთსა ზედა ეტიკობითა გიორგისათა...“ [1])

პლატონ იოსელიანის სიტყვით: „გიორგი სააკაძე [illegible] გავიდა ყეენთან—შეიტანა შაჰ-აბაზთან საჩივარი მეფე ლუარსაბზედ და ამის სამეფოზედ, სადაც მოახსენა, რომ მეფეცა და მის სამეფოცა არიან იმისი მოღალატენი. აცნობა შაჰს საიდუმლო მიწერ მოწერა რუსეთთან და მოახსენა აგრეთვე, რომ საქართველოს მეფენი აპირებენ თავის მეერთგულე რუსების მფარველობა მიიღონ.“ შემდეგ, ამავე სააკაძის შეგონებითა, შაჰ-აბაზი წამოვიდა ქართლ-კახეთზედ [2]) როდესაც კახეთს მოადგა შაჰ აბაზ, სააკაძის ხელმძღვანელობით და იმისავე შეგონებით მოატყუა თეიმურაზ და მოტყუებით მოადგა კახეთსა, სადაც მთელი კახელობა „სწყევლიდენ დღესა სააკაძის გაჩენისასა“, მაშინ რაკი ნახა, ეს არის ხუმრობა აღარ არისო: „თეიმურაზმა მიჰმართა უკანასკნელს ღონეს და სთხოვა ლუარსაბ მეფეს დახმარება... ლუარსაბმა იცოდა, რომ შაჰ-აბაზს უძღოდა იმისი მტერი სააკაძე და ამის გამო შეკრიბა ჯარები, დადგა ჯარებით მუკუზანთან... აქ ლუარსაბმა და თეიმურაზმა გაავლეს ჯებირები—სანგრები—იმ ერთად ერთის გზის შესაკრავად, რომელიც შედიოდა კახეთში, და რომელიც მადიოდა ტყე-ტყე. შაჰ აბაზს გული გაუსკდა ამ ომის სამზადისის დანახვაზედ, გულ გახეთქილი ის ეცა სააკაძეს. გმირი, გამბედავი და მოსაზრებული სააკაძე დაემხო წინაშე შაჰისა და მოახსენა:“ ხელმწი-

---

[1]) წამ. მეფე ლუარს. გვ. 323. (ჩუბინოვის ქრ-ტომი გამოცემა 1846 წ.)

[2]) აქ ხომ ამას ამბობს იოსელიანი, ახლა უგდეთ ყური რას ამბობს სხვაგან: „მთელი თავის მეფობის დროს შაჰ-აბაზი ემუქრებოდა საქართველოს ხალხსა და საყდარს დამხობასა: იმისი თხოვნა ქართველთაგან სულ ის იყო, რომ ისინი გამხდარიყვნენ სრული ამისი მორჩილნი, გადასდგომოდნენ ქრისტეს და ეწამებინათ აალყორანი. რაკი დარწმუნდა, რომ ჩვენი მეფენი და მთავარნი არ იდრეკენ მასთან მუხლს, მაშინ დაესხა საქართველოს და თბილისამდი ყოველივე შემუსრა ფეხქვეშ, წალეკა სისხლით და ყოველივე აქცია დაბა და ქალაქნი, ტაძარნი და მონასტერნი მტვრათა და ფერფლათ“. (краткая истор. Грузинской церкви стр. 105, 106). აქ გამოდის, რომ შაჰ-აბაზი თვითონ თავისი მიზეზებით შემოსევია საქართველოს; იქ კი საკაძეს ადებს ბრალსა.

ფეო! ჩემი სიცოცხლე მომიცია თავდებათ, რომ სამს [illegible] ცილებით თავიდამ ამ განსაცდელს". შაჰი დამშვიდდა და მოხდა სააკაძეს ურიგელი საქმე. სააკაძემ აუქცია მხარი ამ გავლილს ჯებირებს და გაიყვანა შაჰის ჯარები ტეე-ტეე მთის წვეროებზედ და მიადგა ზედ სიღნახსა და მთელს კახეთს [1]) შეშინებულმა ამ უცნაური სააკაძის მოხერხებით, ქართველმა ჯარებმა ანებეს თავი სიმაგრეებს მაშინ შაჰი დაუბრკოლებლათ შეუერთდა სააკაძის ჯარებს და შეესია კახეთს." შემდეგ აგვიწერს ქართლში შესვლას, და მასუკან მოჰყავს ციტატები, რომლითაც აგვიწერს ქართლ-კახეთის აკლებას და აურას, რომლებსაც აბრალებს სულ სააკაძეს.

კათალიკოზის ანტონ პირველის სიტყვით ყველა უბედურების მიზეზი, რომელნიც კი ამ დროს მოხდნენ საქართველოს თავს, იყო სააკაძე. თუმცა ამავე დროს არც ერთს ქართველს მწერალს არ გვიჩვენებს, რომელიც ამბობდეს ამას: ის ყველა ამას ამყარებს სომხების მეისტორიეთა და მეტადრე არაქელზედ

ფრანცუზების მწერლის პეისონელის სიტყვით შაჰ-აბაზის საქართველოში შემოსევისა და აოხრების მიზეზი იყო სააკაძე, რომლისაც ასული გააუპატიურა ლუარსაბმა. „მოურავი, ვითარცა მამა შეუდგა საშუალების მოპოვებას, რომ ამოეყ'რა ლუარსაბის ჯავრი... ამ დახელოვნებულმა პოლიტიკმა იცოდა, როგორც მოეყვანა სისრულეში თავისი გულის წადილი... ვითარცა კაცის გულის ღრმად მცოდნემ, იმედენი იმეცადინა, რომ მოახერხა შაჰ-აბაზის გულში განუსაზღვრელი სიყვარულის შთანერგვა. იმან ჩაუნერგა შაჰ-აბაზს სიყვარული თეიმურაზ მეფის ცოლისა, რომელიც იყო ლუარსაბ მეფის და, მოათხოვინა იმისი გაშვება და თვითონ მოანდომებინა ცოლად. ეს იმიტომ მოახდინა, რომ იცოდა ამაზედ მეფე ლუარსაბისა და თეიმურაზისაგან უარი მოუვიდოდა შაჰს. ასრეც მოხდა. შაჰს მოუვიდა უარი ამაზედ განრისხდა შაჰი და წამოვიდა საქართველოზედ განრისხებული. სააკაძეს შეუსრულდა სურვილი".

[1]) ვინც იცის მუკუზანი, სადაცა სდევს, დარწმუნდება, სადამდის უმეცარი უნდა იყვეს კაცი, რომ ესა სთქვას: როდესაც სპარსეთიდამ მოდიხარ, თუ მუკუზანს მოადევგ, სიღნახს გავლილი უნდა იყვე, რადგან მუკუზანი დევს 40 ვერს ზევით თელავისკენ სიღნახიდამ.

მაგრამ, როგორც ზემოთ ნათქვამიდამაც სჩანს, ამ დავთრების დაკარგვაში უმთავრესი ადგილი უჭირა არაქელს, რომელ[illegible]ნა შეცდომაში თვით ვახუშტი, ახტონ კათალიკოსი და სხვანი, მათ შორის ბროსსეც და ბროსსეს ისტორიის მთარგმნელი სვიმონ დოდობერიძეც და რომლისაც გონივრული გამოკვლევანი და აზროვანი წერილები ძალაუნებურად აჯერებდნენ მკითხველს მასაც, რაც შეცდომითა და საქმეში ღრმათ ჩაუხედველობით მოუხდა ამას თავის ნაწერებში. ამის და ამისგან გავრცელებულს სიტყვებს დაემყარნენ ჩვენი და უცხო მწერალნი, სხვათა შორის გამოჩენილი მოგზაური შარდენიც, რომელიც ორმოც სამოცის წლის შემდგომ ამ საშინელი ამბებისა იყო გზათ საქართველოში და აღწერა თავის მოგზაურობაში სხვათა შორის შაჰ-აბაზის შემოსევა ქართლ-კახეთში, სადაც ეს მოგზაური სიტყვა-სიტყვით იმეორებს არაქელის სიტყვებს და ყველა ბრალს სდებს საკაძეს.

აი, რა საშინელს საქმეებს სწამებს არაქელ სააკაძეს, რომელიც მკითხველის გონებაში მით უფრო დასაჯერებელი ხდება, რომ არაქელ ლაპარაკობს საშინელი გულმტკივნეული საქართველოსი და მისი მეფეების დაცემას და წახდენას. იმის სიტყვით, გავიდა თუ არა სააკაძე სპარსეთში, სულ მუდამ აქეზებდა შაჰს, რომ ლუარსაბის ჯავრის საყრელად, შეჰსეოდა საქართველოს. ასწავლიდა შაჰს, როგორ ამოეწყვიტნა ქართველთა მეფეები ერთმანეთისათვის. ასწავლიდა, რომ შეეყვანა თეიმურაზისათვის შერთვა ლუარსაბ მეფის დისა, რომლითაც უნდა დარღვეულიყო ნათესაობა, რომელიც ქრისტიანული წესით შეუძლებელი იყო. მეფენი ამას არ შეასრულებდნენ და შაჰს მიეცემოდა მიზეზი საქართველოში შესევისა. როდესაც შაჰ-აბაზი შემოესია საქართველოს,—არაქელის თქმით,—ლუარსაბ და თეიმურაზ დახვდნენ შაჰს დიდძალი ჯარით, დაუმარცხეს ჯარები და გააბრუნეს. ამაზედ შაჰი გაურისხდა სააკაძეს, დაუბარა მოკვლა: რათ შემაცდინე, მომიყვანე აქა და ამ ხიფათში ჩამაგდეო. სააკაძემ ორი თვის ვადა *) სთხოვა საქართველოს აღებათ და კიდეც აღებინა შაჰს საქართვე-

*) პლატონ ამას თავისებურად ასხვაფერებს და ამბობს სამი დღე ვადა სთხოვაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოთვო. არ დააჯერა ამასაც: აკლებინა შაჰს საქართველოს ... ტინა და აარევინათ და სხვა ამისთანაები.

ვნახოთ ახლა, რამდენი სიმართლეა ყველა ამ ნაწერებში.

სხვა ფაქტებსაც რომ არ ჩაჰკვირვებოდნენ და არა ჰქონოდათ თვალწინ, უბრალო ლოღიკური მოსაზრებაც აი რას დაანახვებდა ამათ.

თუმცა, როგორც ქვემოთაცა ვნახავთ პირველს შემოსევაზედ, როდესაც სააკაძე ახლდა აბაზს თანა, არც ქართლი და არც კახეთი აბაზს არ წაუხდენია მაგრამ დავთანხმდეთ ჯერობით, რომ ასრე იყო. ყველა ეს ნწერალნი თანახმად აგვიწერენ, რომ შაჰ-აბაზი უფრო განრისხებული იყო თეიმურაზზედ, ვიდრე ლუარსაბზედ. კახეთი უფრო აოხრა და წაახდინა, ვიდრე ქართლი. თეიმურაზს დასტყუა შვილები, დედა, უპირებდა თვითონაც მიტყუებას და ყველას უპირებდა ამოწყვეტასა. დედა და შვილები ხომ კიდეც დაჰხოცა და დაასახიჩრა. თუ ამ შემოსევაში რამე შუაში იყო სააკაძე, თუ სააკაძეს ჯავრი სჭიროდა მეფე ლუარსაბისა და ქართლის თავადებისა, თუ შაჰ-აბაზი მოვიდა საქართველოში სააკაძის თქმით და შეგონებით,—თეიმურაზსა და კახელობას ხომ არ მიუძღოდა სააკაძესთან არაფერი დანაშაული.—მაშ რათ მოუპყრა აბაზი ერთი ასად, ერთი ათასად უფრო სასტიკად კახეთს, ვიდრემ ქართლს?!..

ეს კიდევ ცოტაა. მოვიდა სააკაძის სურვილით და შეგონებით აბაზი ქართლში სააკაძის ჯავრების ამოსაყრელად. ვისი უფრო ჯავრი სჭირს სააკაძეს?!—ფარსადან ციციშვილისა, რომელმანც აიკლო ამისი ოჯახი, შეიმწყვდია ამოსაწყვეტათ, მოუკლა ძმა, და მთელმა სახლის ქალ-რძალმა ძლივს გაასწრეს ღამე გაპარვით ციხიდამ, და ფეხშიშვლებმა ფეხით ციხიდამ იმერეთამდის იარეს ქვეითათ; შადიმან ბარათაშვილისა, რომელიც ამას დასდევდა სასიკვდილოთ; ლუარსაბ მეფის, რომელმაც გაიმეტა ეს სასიკვდილოთ, გაუგდო დაჲ სახლიდამ და გაუუპატიურა, ბერუკა ჯავახისშვილისა, ქაიხოსრო ჯავახიშვილისა და სხვა თავადებისა ცხადი საქმეა, სააკაძემა და სააკაძის გულისათვის შაჰმა უნდა ისრულონ გულის ბუხარი და იყარონ ჯავრი ამათზედ. მაგრამ რას ვხედავთ? არც ფარსადან ციციშვილს, არც შადიმანს, არც

ბერუკას და არც ქაიხოსრო ჯავახიშვილებს. არც სხვა თავის მტერს თავადებს, არამც თუ არაფერს მტრობას არ უწევს სააკაძე, თვით–უმცირეს წყენასაც არ აკადრებს. პირიქით, ისინი არიან შაჰისაგან მიღებულნი, და გასვლის დროს პირველს სააკაძის მოსისხლე მტერს, ფარსადან ციციშვილს მეფის მაგიერ ნიშნავს ქართლის გამგეთ. რაც შეეხება ლუარსა მეფეს, ის გადავარდა იმერეთში. არც ერთს ნიშნას არა ვხედავთ, რომ სააკაძე ჰხმარობდეს რამე ღონეს იმის საგრებლად. პირიქით სააკაძე უშლის აბაზს იმერეთში გადასვლას... მაშასადამე. თუ სააკაძე არა ერიდობს თავისი მტრების ჯავრს, მაშ რისთვის უნდოდა შაჰ აბაზის შემოსევა საქართველოში?!..

ჯერ ეს უბრალო მოსაზრებაც რომ ჰქონოდათ სახეში, ეს მწერალნი დადგებოდნენ იმ აზრზედ, რომ საქართველოში შაჰ აბაზის შემოსევას უნდა ჰქონოდა საბუთად უფრო სხვა და ღრმა მიზეზები, ვიდრემ სააკაძის სიტყვებზედ მთელი სპარსთა ჯარების აყრა და სახიფათო გზებზედ სიარული, სადაც, თუ ქართველებს თავი ექნებოდათ, შესაძლებელი იყო მოწყვეტოდა მთელს ქართველობას და ოსმალოს შუაში, და ჯარიცა და თავიც ზედ დაედო.

და თუ ფაკტებს ჩავხედეთ, ფაკტები გავსინჯეთ, ფაკტები ავწონეთ და ერთმანეთს შევამოწმეთ მაშინ აი რასა ვნახავთ.

გავსინჯოთ ჯერ ის არაქელისა და სხვათა აზრი რომ სააკაძე სპარსეთში გავარდნის უკან აქეზებდა აბაზს, რომ თეიმურაზი აიძულე ლუარსაბის დაჲ მეორეთ ცოლათო, რომ ეს მოგცემს მიზეზად საქართველოში შესევისათ. ვნახოთ, შესაძლებელია, რომ ეს რჩევა მიეცა სააკაძეს შაჰისათვის თუ არა. ჩვენ ახლავე ვნახავთ რომ სააკაძე ისევ, საქართველოში იყო, როდესაც შაჰმა აიძულა თეიმურაზი შეერთო ლუარსაბ მეფის დაჲ ხორეშან, რომელიც იყო ცოლის დაცა შაჰ-აბაზისა.

აი ქრონოლოგიური აღწერა ამ ამბებისა, მოყვანილნი პარიჟის სამეფო ბიბლიოტეკის საქართველოს ცხოვრების ხელთნაწერისა:

„ქკ სა სჟ ზ (1609 წ.) მიიცვალა დედოფალი ანნა. ბატონი თეიმურაზ სანადიროდ იყო, მოვიდა და იტირა და დამარხა ალავერდს“.

„ამავე ქკ-ს (1609 წ.) შაჰ-აბაზთან წავიდა ბატონი თეიმურაზი“.

„ამავე ქორონიკონს კახეთს მობრძანდა და მეფემ ლუარსაბმა სთხოვა ხორაშან. ამათში ნათესაობა იყო და ქალიც არაგვის ერის თვის შვილის ნაქადები იყო და ბერნი და ხუცესნი უარს იყვნენ. მერმე საკანონო გაიღო ბატონმა თეიმურაზ და პატრიარქმა და ეპისკოპოსთ კრება და რჩევა ჰქნეს, საქრისტიანოს გასაძლიერებლად ნება დართეს ბატონს თეიმურაზს და ხორაშან წაიყვანა ბატონმა თეიმურაზ და შეირთო და კახნი და ქართველნი ერთგან შეიყარნეს და გასაკვირვებელი ქორწილი და ლხინები გადიხადეს“

„ამავე ქკ-ს სჟ-ზ (1609 წ.) მოვიდა ამბავი მეფე ლუარსაბთან დაშქართ შემოკრთვება თათარხნისა და თრიალეთს გადმოსვლისა“ აქ არის დაწვრილებით აღწერილი ბრძოლა თათარხანთან და სააკაძის გამარჯვება.

„ქართველთ მეფის ლუარსაბისა და კახთ მეფის თეიმურაზის დამოყვრება და გაერთება და გაძლიერება ქართველთა და კახთ (მტერს) ეწყინა, დაუწყეს ყეენთან დაბეზღება და ამათი დამოყვრება ავგვარად ყეენს გაასინჯეს“...

„ხანი გარდახდა. ამაში მოურავმან დაჰპატიჟა მეფესა. ეწვია მხიარულად სასახლეში უხვსა, გულტკბილსა. . და მოურავისა მოიწონა მეფემან და თვალი იმას მიაპყრა“. და სხვა.[1])

ცხადია, მაშასადამე, რომ თეიმრრაზმა შეირთო ცოლად მეფე ლუარსაბის დაჲ ჯერ ისევ მაშინ, როდესაც სააკაძე არ გასულიყო სპარსეთში, იყო ქართლში და ჯერ ლუარსაბ არც კი დამოყვრებოდა ამასა. თუ ეს ასრეა, მაშასადამე ცნობანი არაქელისა არიან შეცდომანი და არიან მოგონილნი სააკაძის მტერთაგან.[2])

---

[1]) (გვ. 37—45).

[2]) თვით ანტონ I-ი კათოლიკოსიც ვერა ჰბედავს დასწამოს სააკაძეს ეს ცილი. ის ამბობს ქეთევანის წამებაში, რომ შაჰ-აბაზმა უთხრა თეიმურაზს:ერთი დაჲ ლუარსაბისა ელენე (ლელა) მე ვითხოვე და მეორე შენ შეიერთო. ამითი უნდოდა: რათა ჰპოვოს მიზეზი ლმობისა,რაიცა და მეცლად ელო ბოროტსა და ჰშვას ქვეყანათა და მეფეთა ჩვენთათვის! „ქეთ. დედ. წამ,“ ქრისტ. ჩუბ. გვ. 309.

შეიძლება ითქვას, რომ პარიჟის ხელნაწერის ავტორი [illegible] ქრონოლოგიაში სცდებოდეს. მაგრამ შემდეგი საბუთები [illegible]ტკიცებენ, რომ ამ დროს სწორედ სააკაძე ისევ საქართველოში იყო. ვახუშტი, პლატონ, პარიჟის ბიბლიოტეკის ხელნაწერის ავტორი ერთხმივ ამბობენ, რომ თათრხნის ჯარი, რომელნიც ისრე საშინლად დაამარცხა სააკაძემ, შემოესია ქართლს ივნისის თვეში 1609 წ. ამავე ავტორების სიტყვით მეფე ლუარსაბისაგან მოურავის დის მოწონება მოხდა ამ ომის უკან. როდესაც ლუარსაბს გაუგებენ სააკაძე და იმისი დედა, რომ იმას იმათი ქალის დასხლოვება უნდოდა ცუდი აზრით, სააკაძე უთვლის ამ თათარხნას ომზედ: „რად დაგვავიწყდა და აღარ გახსოვს—ომი მარმანწინანდელი, „მაშასადამე, ლაპარაკები სააკაძის დის შერთვაზედ მოხდა ორი წლის უკან შემდეგ ამ ომისა, ესე იგი 1611 წ. იოსებ თბილელისა და პარიჟის ხელნაწერის ავტორის სიტყვით ექვსი თვეც კიდევ ამის უკან გავიდა მინამ გადასწყვეტამდენ სააკაძის სიკვდილს. მაშასადამე, გამოდის, რომ სააკაძე გავარდა სპარსეთში არა უადრეს 1612 წ. თეიმურაზმა შეირთო ხორეშან 1609 წ.

ეს უეჭველნი საბუთნი გვიჩვენებენ, რამდენი სიმართლეც არის არაქელისა და სხვა ავტორთა ლაპარაკში მაზედ, რომ სააკაძის რჩევით შერთო შაჰმა თეიმურაზს ლუარსაბის და.

გავსინჯოთ ახლა პლატონ იოსელიანის სიტყვები, რომ სააკაძემ აცნობა შაჰ-აბაზს ლუარსაბ მეფის მიწერ-მოწერა რუსებთან და ლუარსაბისაგან რუსების მფარველობისა და ქვეშევრდომობის მიღება.

ვისაც ნებავს შეუძლიან აიღოს და გასინჯოს მთელი მიწერ-მოწერა ქართველთ მეფეებისა რუსთა ხელმწიფეებთან, რომელნიც არიან ცალკე წიგნებად გამოცემულნი, [1]) და ჰნახავს, რომ, არას ოდეს არავითარი მიწერ-მოწერა და მითქმა მოთქმა ლუარსაბს რუსებთან არა ჰქონია. მაშ თუ არა ჰქონია, არც მიწერ-მოწერა არც ლაპარაკი, რა მოახსენა სააკაძემ შაჰ-აბაზს, ლუარსაბზედ?! საიდამ გამოიღო პლა-

[1]) ფრანციხკო პლოენისა ფრანციცულიდამ რუსულად ნათარგმნი „Истор. обзор. диплом. сношенiи иежду Россiйск. Госуд“. и груз, цар. и владѣт. “ „переп. груз. цар. съ рус Госуд. და „сношенiе Россiи съ Кавказомъ“ Белокурова.

ტონმა ეს უცნაურება?! ჰქონდათ მიწერ-მოწერა და მითქმა-მოთქმა რუსებთან კახთა მეფეს ალექსანდრეს და ქართლის მეფე გიორგის, ლუარსაბ მეფის მამას, ლუარსაბზედ წინად. სააკაძეს შეეძლო ეს მოე-ხსენებინა. აქ ლუარსაბის ხსენება რა შუაშია?! მაგრამ ვნახავთ ახლავე, რომ ამაზედაც მოხსენება სააკაძისა შაჰთან არც შესაძლებელი იყო და არც საჭირო, რადგანაც შაჰმა უამისოდაც ბევრი ხანია იცოდა ესა, და, როგორც რუსთ მოციქულების მოხსენებიდამ 1604 წ. სჩანს აბაზი კიდეცა ხმარობდა ამის წინააღმდეგ ღონესა. როგორც ზემოთ ვნახეთ, სააკაძე გავიდა სპარსეთს 1612 წ. მიწერ-მოწერა და მითქმა-მოთქმა რუსთა და ქართველთა მეფეთა შორის იყო ჯერ 1586 წლამდისაც; და ამ წლიდამ ხომ სულ გაჩაღებული მიწერ-მოწერა და მოციქულობა გაიმართა. მაშ, რა საიდუმლო მიწერ-მოწერა გასცა სააკაძემ მეფის ლუარსაბისა, როდესაც ეს მიწერ-მოწერა არა ყოფილა, და ალექსანდრე მეფისა და გიორგი მეფის მიწერ-მოწერა აბაზმა იცოდა ბევრით წინათ სააკაძემდის?! მაშ საიდამ და რათ ჩასწერა ეს პლატონმა თავის წიგნში? რომელი დოკუმენტებიდამ ამოიღო ეს ცნობანი და რაჲ შესთხზა?! იმიტომ რომ... ასრე მოუარა სურვილმა. *)

გადავიდეთ ახლა სხვა ზემოთ მოყვანილი სხვა-და-სხვა მწერალთა აზრების გარჩევაზედ შესახებ სააკაძისა.

ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ ვახუშტი ამბობს: „მიერიდგან აზრახებდა მოურავი ყეენსა დაპყრობად ქართლისად...“

„ეახლა მოურავი და ეუწყა ყეენისთვის შესვლად ქართლისა

---

[1]) რომ უფრო სრული წარმოდგენა იქონიოს მკითხველმა იოსელიანის სიტყვებზედ, მოვიყვან ერთს ნიმუშს იმისი ლაპარაკისას. თავის სამგზავრო წერილებში, რომელსაც არდგენდა გზა გზა, თბილისიდამ ახტალამდის, ერთგანა სწერს: „კოდიდამ რვა ვერსის მიაშორებით ქციის ანუ ხრამის ნაპირასა დევს სოფელი მარაბდა, საბარათაშვილო მამული.“ (стр. 9. отъ Тиф. до Ахталы.) აქ ხომ მარაბდა ხრამზედ დაასახლა, ახლა უგდეთ რამდენსამე გვერდის შემდგომ, რას ამბობს. „მარაბდა დევს ალგეთის მარცხენა ნაპირას“ (стр. 13 там же.) რომელი დაუჯეროს, ვინც არ იცის სადა დევს მარაბდა ხრამზედა თუ ალგეთზედ? ამავე წიგნში გვარწმუნებს, რომ მარაბდის ომი იყო როსტომ მეფესთან, როდესაც ის შაჰ-სეფიმ გამოგზავნა ქართლის მეფედაო.

ბიბლიოთეკა

უმჯობეს არს ზამთარს, ვინაიდგან ვერ წარვლენ ხიზანნი, მ[illegible]-ნა და ხელთ იგდებთ ყოველთა.“

შემდეგ იგივე ვახუშტი აგვიწერს, „ჩამოვიდა (შაჰ აბაზ თბილისიდამ) კახეთს, მოხსნა, მოსტყუევნა, აჰყარნა და მოაოხრნა, განცარცვა ეკლესიანი, ხატნი და ჯვარნი შემუსრნა, და მათნი სამკაულნი ჰყო ხარჯ თა თვისთა აღსამკობლად.“ და ქართლისთვის კი არა უვნია არა, მხოლოდ ლუარსაბის მაგიერად ქართლის მეფედ დასვა გამაჰმადიანებული ბაგრატ, ბიძ. ლუარსაბისა.

კარგი და პატიოსანი!

მაშ რაღათ უნდოდა ეს ქართლის „ხელთ გდება“ ან სააკაძეს, ან შაჰ-აბაზს თუ კი არა ავნებდნენ?

ქართლის ჯავრი სჭირდათ, ქართლის ხელთ გდება უნდოდათ, ქართლს არა ავნესრა და კახეთი “მოასრნეს, მოსწყვიტეს, აჰყარეს და გადაასახლეს“.

ამ გვარსავე მოსაზრებასა ვხედავთ პიეტრო დელავალეს მოხსენებაში პაპთან ისიც სააკაძეს აბრალებს შაჰ-აბაზის შემოსევას, რადგან ქართლის მეფემ და ქართლელებმა გააუბედურეს, და გაუპატიურეს და განდევნესო, და ამავე დროს ამბობს კახეთი აიკლეს, ქართლს არაფერი ავნეს, მხოლოდ ლუარსაბ მეფის ალაგას ვიღაცა რაიერი (?) ბაგრატ მირზა დასვეს, და კახეთი მოსწყვიტეს და ააოხრეს.

ლოღიკა! სააკაძეს ქართლის ჯავრი სჭირს, თავისი ჯავრის ამოსაყრელად შაჰ-აბაზი წამოიყვანა: ქართლს კი არა ავნეს-რა, კახეთი კი მოსწყვიტეს. ეს სწორედ ამ ქართულ თქმულებასა ჰგავს, რომ მაჩაბელმა ცოდვა ჰქნა და ურიას ყურები დააჭრეს.

ამასთან თვით დელავალე ამბობს რომ აბაზს, კახეთის მოსაწყვეტად და ასაკლებლად თვით კახელები მოუძღოდათ.

(ივერია 1879 წ. № 3. გვ. 43—45 [1])

---

[1]) აქვე საჭიროა შევნიშნოთ რომ, როგორცა სჩანს თამარაშვილის წიგნიდამ: „კათოლ. ისტ. საქართვ.“. პიეტრო დელავალეს წერილებიდამ ბევრი რამ არ არის თარგმანში, რომელიც ივერიაში იყო დაბეჭდილი. მაგალითად არ არის იგი, რომ ქეთევან დედოფალს წამების წინად მოუღია კა-

სხვათა შორის ჩვენ ვნახეთ, რომ ჩვენი თუ სხვა მწერალნი ამბობენ თეიმურაზ და ლუარსაბ მეფენი ერთათ დაუხვდნენ შაჰ-აბაზს და სააკაძეს დიდის ჯარებით, ზოგთა სიტყვით კიდეც დაამარცხეს, და სააკაძემ ისეთი ოსტატობა იხმარა, რომ გაამარჯვებინა შაჰსა და დამარცხდნენ ქართველებიო.

დაუგდოთ ყური, რას ამბობენ ნამდვილი უეჭველი საბუთნი ამაზედ.

მეფე არჩილ, მეისტორიე, მაქებარი, სიძე *) და მომსწრეც მეფის თეიმურაზისა, აი რას მოგვითხრობს ამაზედ თავის წიგნში „თეიმურაზიანი“. აქ ათქმევინებს მეფე თეიმურაზს შაჰ-აბაზის ამ შემოსევაზედ.

„ვიცოდი არასფერითა დამლიდა აღარ მოსვლასა,
რაც ჰქნა ეს სწადდა საქნელად, ტყუოდა სხვაგან წასვლასა
მირჩევდნენ შვილის მიცემას, ჩემთვის მზის მუქთა დასვლასა

თოლიკობა. არ არის ეგრეთვე, რომ ქართველი ტყვეები. სპარსეთში დადიოდნენ სალოცავად კათოლიკეთა ეკლესიებში. რომ სააკაძე (მოურავი), დაიარებოდა სახლობით ამავე ეკლესიაში სალოცავად და იყო დაახლოვებული კათოლიკეთა მისიონერებთან. რომ ბევრი ქართველი დიდებულნი, რომელნიც შაჰის მოტყუებით და შეცდენით გადაუდგნენ ქართველთა, ახლა ნანობდნენ თავის შეცდომას და ელოდნენ მარჯვე დროს, რომ შაჰის გადასდგომოდნენ. თვითონ ლავალეს შეურთავს ცოლად სპარსეთში ქართველი ტყვე ქალი ქეთევან დედოფლის საყვარელი, ვინმე თინათინ წიბა (გვარი შეცდომით იქნება ან ჩაწერილი ან თარგმანი, როგორც მოურავს ხან მურადს ხან მორავს ეძახიან, ხან მორის, ხან მერაბს) და სხვა კიდევ ბევრი რამ.

*) არჩილ მეფეს ცოლად შვილის შვილი ჰყავდა თეიმურაზისა, დავითის ანუ დათუნას ასული, ბაგრატ იმერთა მეფის ნაცოლარი, იმ ბაგრატისა, რომელიც თავისმა, დედის ნაცვალმა დარეჯან დედოფალმა ზურაბ ერისთავის და იმერთა მეფის ალექსანდრეს ნაცოლარმა მოინდომა ქმრათ იმ დროს სწორეთ, როდესაც ამ ბაგრატს ცოლად ჰყავდა ეს მეფე არჩილის ცოლი, ქეთევან, ძმისწული დარეჯან დედოფლისა; და რაკი ბაგრატ არ გაუხდა ყაბულს, შეიპყრა დარეჯანმა, დასთხარა თვალები და დააპატიმრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვეწნას, დედის გაგზავნას, უთუოთ მის წინ მისვლას.
„მივაგებე დედა ჩემი, ალექსანდრე თან წავგვარა.
ეს ცოტაა არ მინდათ, დაუწყნა, რა მიჭგვარა;
აწ უფროსი უნდა მივსცე საქმე ასე მომიგვარა
ეს სწადიან ამოწყვიტოს თავშვილიან გვარის-გვარა.
„ეთქვა თუ ასრე ცოტასა, რას ვაქნევ არ ვარ ძიძათ.
რა გვარათ მე გაგიზარდო, ჭითამც ვეოფილვარ ბიძათ.
გულში სხვა უძევს, ენითა მან ქლიაკვი გაქინძაო,
მწარესაც ტკბილად იტყოდა, ბადენი დამიხინძათ.
„მერმე კაცი მომივიდა მათის სავიცრის მტკიცითა,
ერთი ღმერთი და მეორე, ჩვენ ფეხამბარი ვიცითა,
აქაც მეოფვი და ყოველგან, ქვეყნად და კვალად ვიცითა,
თუ ლევან მომცე, ეს მოგცე, ეს დამიჯერე ფიცითა.

—

„ვიცოდი უსაცილობით, რაც იმას სწადდა საქნელად:
მისრულებს ამოსაწყვეტად, ამოდ, წყნარად და ნელ-ნელად...
„უთხარ, კახნო დაშეხსენით, თქვენი რჩევა არ ივარგსა,
რა ამასაც გამომართმევს, ჩვენ გავსწრებთ ველარ ბარგსა,
შემოგვიტევს მასვე წამსა, სულ წამოსცლის მისსა დარგსა,
ლევანსა და ალექსანდრეს, რათ მიკარგავთ ორთავ კარისა.
„გარდაიცვეს თავს საბელი კახთ, სულ ასრე დაიჟინეს.
ქვეყნისა და თავისათვის, რად არ დასთმო, თქვა ეს ვინეს.
მერმე კიდევ უარი ვთქვი, გამოჩენით მათ იწყინეს.
გამომართვეს, გაუგზანეს, გაზაფხული მომიყინეს.
„ორივ შვილი გამომართვეს, მერმე მეც ხომ დამიბარა.
თუ მეც მასთან მივსულიყავ ჩემ წილ აქ და დამიბარა.
რო არ მიველ, შემოვიდა ბარი მთა ჰყო, მთა მიბარა.
სულ კახეთი ამიოხრა საძირკველიც დამიბარა.
„დამიყინეს მეც ზოგ-ზოგმა, თუ არ მიხვალ თემი წახდა
შიში ათქმევს უთქმელს საქმეს, თვარ გუნებას ვინ ვერ ჩახდა,
თუ მეც მასთან მივსულიყავ, კიდევ უფრო არ გაოხრდა.
აგვერია შიგნით საქმე, ღვთის რისხვითა ასრე მოხდა

„მაშინდელი საქმეები არ იმბობის სრულად წვრილად,
ასრე ვამბობ სულ ნაკლულად, ვითომც იყო რამე ჩრდილად.
წყნარა წყნარა მოგვეახლა, იგი სადმე სიტყვა რბილად,
ვინმე მართლა არ მოვიდა, მოსვლა ჰქონდა ზოგს სიცილათ.

„აწ ეგების ეს გეგონოთ, მაშინ ვერას ვერ შევძლებდი,
ქვეყანასა დანდობილსა, არც სულ ასე ავაკლებდი.
თავს გავსჯიდი სასიკვდილოთ, ზოგ მასაც არ დავაკლებდი,
დაგვამშვიდა ტკბილის სიტყვით, ჯებირს არსად არ ვავლებდი.

„რა შევიტყე მართლა მოსვლა, სხვა ვეღარა გავაწყევით,
მეკუზნიდამ გაღმა მთამდის, სულ ჯებირი წავავლევით.
გავსჯებირეთ ორ მთა შუა, უკან რაზმი დავაწყევით
რა შეიგნა მოგვაშურა, ვითა შმაგი მოვაწყევით.

ზოგნი კიდევ მისვლას მირჩევს ზოგნი არჩევენ შებმას,
სჯულისათვის სისხლის. დაღვრას კვლავ სამართლად ხმლისა შებმას,
ასრე მოაქვს რჩევაშიგა, ერთმანეთის სიტყვის აბმას,
ომი ვეღარ გაუბედეთ, რა ლამოდეს ჩემს იქ დაბმას.

ვინც ან ღმერთი შეიყვარა და ანუ მე მიერთგულა,
წამომყვეს და წამოვედით ჯებირს კარი დაეგულა.
ვინც იქ დარჩა სიავკაცით, ზოგნი ავად დანერგულა,
ამოწყვიტეს, დაატყვევეს, დარჩნენ დამწვარ დადაგულა".

ცხადია, რომ ლუარსაბ აქ არა ყოფილა თეიმურაზთან და არცა რა ომი გაუმართნიათ, არც დაუმარცხებიათ შაჰ-აბაზი.

ეს კიდევ ცოტაა.აი უფრო ცხადი საბუთი, რომელსაც მოგვითხრობს იგივე მეფე არჩილ ამავე წიგნში, როდესაც კახეთიდამ გაქცეული თეიმურაზ გადავა ქართლში და ლუარსაბ მოეგებება.

„მიბრძანა თუ, როგორ დახვდი, მცირე სტუმარს, უცებ მოსულს.
ზურადობას იჩემებდი, არ უშვერდი სტუმარსა სულს.
მხიარულად დახვდებოდი, აწ გეძებენ სადაც წასრულს...

„მოვახსენე შენც გეწვევა, გაგიჩნდება ვით დახვდები,
თუ შენც მაშინ დხინს აჩვენებ, ჩემგან უფრო გაუხვდები,
ან გაიცდი თვალით წინა, ანუ ხელში მოუხვდები,
ნუ დამცინი შენმან მზემან, ჰგავს რომ მართო მე არვხდები.

შეგვექნა აქაც რჩევა და ერთად რამ შეყრილობანი,
გაგრძელდა რჩევა ქართული, სიტყვა და ვეზირობანი...
„ვერცარა ერთად გავაწყეთ, რადგან ეს სწადდა ღმერთსაო,
სხვაზედ რაზედამე ვიქადით, ვაბრალებთ ერთმანერთსაო.
ვეღარც სად ქართლში დავდექით და ვეღარც ქვე ერეთსაო,
ავეყარენით წავედით, მივმართეთ იმერეთსაო".

ამასვე მოგვითხრობს უცნობი ავტორი პარიჟის სამეფო ბიბლიოთეკის ხელნაწერისა:

„ბატონს თეიმურაზს ზოგიერთა ყმანი გაორგულებოდა, ომი ვეღარ გაბედა და წავიდა ქართლს თავისის ეპისკოპოზ დარბაისელ აზნაურებითურთ და შეიტკბო სიხარულითა დიდითა მეფემან ქართველთამან ლუარსაბ".

„შემდგომ მიუხდა ქართლსა და მეფენი ქართლისა და კახეთისანი მეფე თეიმურაზ და მეფე ლუარსაბ წარვიდნენ ლიხით იმერეთს".*)

ამასვე ვკითხულობთ ბატონიშვილი თეიმურაზის თხუზულებაში, „მოწმობა ქეთევან დედოფლისა". „შეითქვნენ მეფე ქართლისა ლუარსაბ და თეიმურაზ რათა, სრულიად ქართლისა და კახეთისა მხედრობათა ბრძოლა უყონ შაჰ აბაზს... არამედ ვიეთთამე თვისთა სამეფოთაგანითა მამულისა ორგულთა და შინა გამცემელთა მიზეზთა დაუტევეს ბრძოლა და გარდიხიზნენ იგინი სახლეულებითურთ მათითა იმერეთს". ამასვე მოგვითხრობს თვით თეიმურაზ მეფე ქეთევან დედოფლის წამებაში.

უფრო კიდევ ცხადს და შეურყეველს საბუთს ამისას გვიჩვენებს „Дипломатическое сношеіе между русск. Госуд. и Груз. царями", სადაც არის მოყვანილი წიგნი მეფის თეიმურაზისა რუსთ ხელმწიფე მიხეილ თევდორიჩთან, რომელიც გაატანა ამან 1618 წელსა არხიმანდრიტს ხარიტონს. ამ წიგნში სწერს სხვათა შორის, რომ შაჰ-აბაზმა მთხოვა ცოლად დაჲ და დამპირდა მონათვლასაო. მერე მთხოვა პირველთა თავადთა და დიდებულთა შვილები. ერთიცა და მეორეც შეუსრულეო. მაგრამ შაჰ-აბაზმა მაინც ჩემი მტრობა არ

*) გვ. 56—57.

ამთილო გულიდამ და ფარულად მოადგა ჩემს სამეფოს დიდძალი ჯარით. მთხოვა იმან, რომ შენი შვილი მომეცით. მე გავუგზავნე უმცროსი შვილი ალექსანდრე. მაჰი არ დასჯერდა ამასა და მთხოვა მეორე შვილი ლევან და დედა ქეთევან. შაჰ-აბაზი მპირდებოდა, რომ როდესაც დედაშენს ვნახავ და საქმეზედ მოველაპარაკები, შენს შვილებსაც და დედაშენსაც მაშინვე დაგიბრუნებო. ეს სიტყვები დაუჯერე: დედაცა და უფროსი შვილი ლევანიცა გაუგზავნე. აბასმა არც აქ შეასრულა თავისი სიტყვა და უცებ შემოესია კახეთს დიდძალი ჯარით. მე, რა კი არ ველოდი შემოსევას, არა მქონდა მომზადება და ამის გამო, მხოლოდ ცოტაოდენი წინააღმდეგობა გაუწიე და მასუკან გევეცალე და გადაველ იმერეთსაო.

ამასვე მოგვითხრობს ვახუშტიცა: „ხოლო შაჰ-აბაზ მიერ ჟამიდგან, ოდეს მოჰკლეს კახთა კონსტანტინე, შური აქვნდა და ვერა ჰპოვა ჟამი შურის გებისა უცალოებათა (მოუცლელობით) შინაგანითა, ვინაითგან ვერ სრულ ექმნა ნება თვისი. გარნა აწ ჰპოვა მიზეზი, წარმოუმართა და მოვიდა უცნობელად განჯას. განჯიდამ მოუმცნო თეიმურაზს: „ მე მივალ ბრძოლად ოსმალთა. ამისთვის აწ მომეც მძევლად ძე შენი, რათა არა ემწო (შეეწიო) ოსმალთა, ვითარცა ჰყო პაპამან შენმან.“ [1])

„ესმა შაჰ-აბაზს მაგრება თეიმურაზისა, წარმოავლინა იდუმალ სპანი ჟალეთს და თვით გამოვიდა მტკვარს და მომართა კახეთს. შეპყრობილს ყიზილბაშთაგან კახთა მწყემსთ მისცნა ხალათნი და გამოუტევა. იხილეს რა ესე კახთა, ივლტოდენ თეიმურაზისაგან და მიერთმოდნენ (უერთდებოდნენ) შაჰ-აბაზს, ჲ იგი ფრიად პატივს უყოფდა, მისცემდა ბოძსა (საბოძვარს, წყალობას). ამისათვის თეიმურაზ ველარა წინა აღუდგა და წამოვიდა დადაწულით“. [2])

ყველა აქედამ ცხადია ჯერ ერთი ის, რომ, როგორც თვითონ თეიმურაზ ბრძანებს თავის წერილში რუსთა ხელმწიფესთან, და მეფე არჩილ არჩილიანში, შაჰ-აბაზს ხჭირდა ამისი და ამის გვარისა რაღაცა ჯავრი და უნდოდა მთლად ამათი ამოწყვეტა. ამასვე მოგვითხრობს

[1]) ქართლის ცხოვრება ნაწ. II გვ. 115—16.
[2]) ქართლის ცხოვრება ნაწ. II გვ. 117.

დიმიტრი ბაგრატიონი თავის ქეთევან დედოფლის წამებაში, რომე-ლიც ამბობს შაჰ-აბაზზედ: „იზრახა კახთა აღმოფხვრა, [illegible] დიდის ხნისამან“ ¹) ამ ჯავრს თეიმურაზსა და კახეთზედ ცოტა-ოდნად გვიცხადებს ვახუშტი, რომ კონსტანტინეს მოკვლის უკან შაჰ-აბაზს სჭირდა კახეთის ჯავრი და თუ მაშინვე ვერ შეისრულა თა-ვისი სურვილი, იმიტომ რომ შინაური საქმეებისაგან ვერ მოიცალა. მეორეც ისა, რომ ლუარსაბ მეფეს ფეხიც არ მოუცვლია ქართლიდამ თეიმურაზის მისაშველებლათ. მესამეც ესა, რომ თვით თეიმურაზსაც ხელი არ გამოუღია შაჰ-აბაზისთვის და უომრათ გაქცეულა. მეოთხეც ისა, რომ შაჰ-აბაზ ტკბილათ მოჰქცევია ხალხს და ხალხი ამიტომ გადასდგომია თეიმურაზს. სად არის აქ წაქეზება და რჩევა სააკაძისა, რომ შაჰ-აბაზი შემოსულიყო საქართველოს?! სად არის აქა და ან რა-და საჭირო იყო, რომ სააკაძეს გამოეხსნა თეიმურაზსა და ლუარსაბ-თან ბრძოლაში შაჰ-აბაზი გაჭირვებისაგან, როდესაც ლუარსაბ იქ არა ყოფილა და თეიმურაზს საომრად ხელიც არ გაუნძრევია და არც ჯა-რი შეუკრებია, არც უფიქრია ომი?! თუ ეს გაჭირვება არა ჰქონდა შაჰს, მაშ რომელი გაჭირვებიდამ იხსნიდა სააკაძე იმასა?!

პირიქით, როგორც ეს საბუთები გვიჩვენებენ და კიდევ ბევრს სხვა საბუთებსაც ვნახავთ, არ შეგვიძლიან არ დავიჯეროთ შემდეგი სიტყვები, რომელსაც გულმტკივნეულად ათქმევინებს საკაძეს იოსებ თბილელი თავის წიგნში:

„მერმე ბრძანება გამოსცა, ქართლს წასვლის დასაპირენი,
წამობრძანდა და წამოვყე, ჯარნი შეექნა ხშირენი.
არ დამიჯერებთ მოსვლისთვის გული მაქვს ასატირენი...

„უწინ კახეთსა მობრძანდა, იცით რომ იქნა რაები,
მეორედ ქართლსა მოვიდა, არ ვინ ჰყო შესაძრაებლი.
ორნივ მეფენი იქმენით სამკვიდროდ დასაძრავები.
თქვენ გადაბრძანდით იმერეთს, მე რა ვქენ დასაშავები“!

გადავიდეთ ახლა იმ აზრზედ, რასაც არაქელ, პლატონ, ანტონ I ლი კატალიკოსი და სხვა მწერალნი სწამებენ საკაძეს, ვითომც იმას აყურევინებინოს და აკლებინოს საქართველო.

¹) გვერ. 5.

ვახუშტი, რომელიც, ვერ ახსენებს გულგრილათ სააკაძის სახელს და სცდილობს ყოველი ჩირქი და ტალახი მოსცხოს იმას, რომ [illegible] მეფე ლუარსაბ და კახთ ბატონი თეიმურაზ აამაღლოს, აი რას ამბობს პირველს შაჰ-აბაზის შემოსევაზედ, როდესაც ახლდა სააკაძე თანა, და მეორე შემოსევაზედ, როდესაც სააკაძე აღარ მოჰყოლია შაჰ-აბაზს.

„შეპყრობილთა კახთა მწყევსთა ყიზილბაშთაგან მისცნა (შაჰ-აბაზმა) ხალათნი და გამოუტევა. იხილეს რა ესე კახთა ივლტოდნენ თეიმურაზისაგან და მიერთმოდნენ შაჰ-აბაზს. და იგი ფრიად პატივ-ყოფდა და მისცემდა ბოძსა (წყალობას, საბოძვარს). ამისთვის თეიმურაზ ვეღარა წინააღუდგა და წარმოვიდა დედა-წულით“.[1]

შემდეგ ამბობს მეორეთ შემოსევაზედ:

„თეიმურაზ კვალად დაიპყრა კახეთი. შაჰ-აბაზ განრისხნა და წარმოემართა სპითა ძლიერითა... იგი განძვინდა ვითარცა ვეშაპი და წარმოვიდა სწრაფად: მაშინ კახთა, მგონებელთა, ვითარცა უყოთ წინარე შაჰ-აბაზ უვნებელობა და ბოძნი (საბოძვარი), მისთვის არცა აწ ინებეს ბძოლა და მაგრება“.[2]

აქედამ ცხადია, რომ პირველს შემოსევაზედ, როდესაც სააკაძე მოჰყვა შაჰ-აბაზს, თვით ვახუშტისავე სიტყვით, აურა ხალხისა და კლება არა ყოფილა.

ახლა ვნახოთ, რას ამბობს ვახუშტი და მასთან მეფე არჩილიც მეორეთ შემოსევაზედ, როდესაც სააკაძე აღარ ახლდა შაჰ-აბაზს.

ჯერ მოგვითხრობს ვახუშტი, რაც ზემოთ ამოვწერეთ, და ამბობს იმ ამბავზედ მობმითვე:

„ამითი ულონო იქნა თეიმურაზ (რომ კახელებს ეგონათ შაჰ-აბაზი ძველებურათ ტკბილათ მოგვექცევაო, და ამისგამო არ ემონენ) და წარვიდა იმერეთსავე .. ხოლო შაჰ-აბაზ მოვიდა კახეთს და მუნიდგან თბილისს. ეზრახა ლეკთა: „რამეთუ მნებავს მოწყვეტა კახეთისა და რომელნი შემოვიდნენ თქვენ კერძთა მთათა შინა, თქვენ მოსრენით და ტყვე ჰყვენით იგინი და აღგავსნე მეცა ნიჭითა. მსმენელთა

[1]) „ქართლის ცხოვრება“ ტ. II, გვ. 117.

[2]) იქვე.

მათ სიხარულითა აღუთქვეს. მაშინ შაჰ-აბაზ წარმოავლინნა [illegible]-სიდამ სპანი დიდნი ხერგსა და ერწო თიანეთსა ზედა. ხოლო თვით ჩამოვიდა კახეთს, მოსრნა, მოსტყვევნა, აჰყარნა და მოაოხრნა, განძარცვა ეკლესიანი, ხატნი და ჯვარნი შემუსრნა, და სამკულნი მათნი ჴუთ ხარჭსათა (ხასსათა) თვისთა აღსამკობელად. გარნა ვიეთნიმე მორჩნენ ფშავს, ხევსურეთს, თუშეთს და სიმაგრეთა, კლდეთა, ტყეთა და მთათა შინა. არამედ ლეკთაცა უყვეს აგრე, ვითარცა აღუთქვეს შაჰ-აბაზს“.*)

ამასვე ამბობს არჩილ შაჰ-აბაზის მეორეთ შემოსვლაზე.

„რა მოვიდა განჯას აქეთ გამოსცილდა, დაგვახლოვდა,
ვინც შეიძლო აიყარა, წამოვიდა მუხლ მალოდა,
ვინც იქ დარჩნენ, საბრალონი, თავთა შვილთა მათთა ჰკლოვდა,
ამოსწყვიტა სამესისხლოდ, აჰყარა და დაბოლოვდა“.

რაც შეეხება ქართლს, არც ერთი ჩვენი მაშინდელი მწერალი არ ამბობს, რომ ან პირველს შემოსვლაზედ, ან მეორე შემოსვლაზედ ან აკლოს, ან აოხრებინოს შაჰ-აბაზს. პირიქით, შემდეგი საბუთები გვაქვს, რომ შაჰი ქართლში ამ შემოსვლების დროს არ შეჰხებია ცუდათ ქართლს. გარდა ლუარსაბის წარტყუებით წაყვანისა.

პირველს შემოსვლაზედ ვკითხულობთ ქართლის ცხოვრებაში:

„მაშინ მისრულმან წინაშე მეფისა—როდესაც ლუარსაბ მეფე იყო იმერეთს გაქცეული და შაჰ-აბაზი იბარებდა—მადიმან სარწმუნო ჰყო (დაარწმუნა) ყეენისგან ლუარსაბ მეფე, და აღეკაზმაცა მეფე წამოსვლად... „უკეთუ არა წარვიდე, ამიერის ქვეყანათა და მოაოხრებს, რა მადლი არს ჩემდა“. იხილა რა შაჰ-აბაზმა ლუარსაბ, იწყო ტირილი, მეტყველმან: „ვითარ გიყოფ ბოროტსა ახოვანსა და მშვენიერსა, ერთგულთა ჩემთა ძესა. სცა პატივი სწორ თვისად და შემდგომად წარმოვიდა (გორიმდამ) ტფილისს“. შემდეგ მოგვითხრობს ვახუშტი, როგორც ტკბილის ქცევით და ალერსით გაიტყუვა შაჰმა ლუარსაბ სპარსეთში. ჯერ ეს სიტყვები, რომელსაც ლუარსაბ ამბობს: თუ არ წავედი, ქვეყნებს ამიერის და ამაოხრებსო, გვაჩვენებს, რომ ეს აურ

*) ქართლის ცხოვრება“ტ. II, გვ. 117.

და აოხრება არა ეოფიდა, თორემ ხომ აღარ მოერიდებოდა ლუარსაბ. თუ ვიფიქრობთ, რომ ლუარსაბ გადმოიტყუა, და შემდეგ აოხრა და წარტყვევნა ხალხი, აქაც ხომ ცხადი იქნებოდა ლუარსაბისთვის, რომ, რაკი ასრე მუხანათურად მოიქცა შაჰი, არც ამას დაინდობდა, და ლუარსაბ აღარ ენდობოდა, აღარ დაუჯერებდა შაჰის ტკბილს სიტყვებს, აღარ გაჰყვებოდა სპარსეთში. ამასთან არც არის ამაზედ თვით ხსენებაც კი ქართლის ცხოვრებაში, რომელიც, მარტო სხვა არა იყვეს რა, საკაძის ჩირქის მოსაცხებლათ მაინც მოგვითხრობდა ამ ამბავს: თუ საჭიროდ ჰნახა მეორეთ შემოსვლაზედ კახეთის აურა-აკლებაზედ ლაპარაკი, არც ქართლზედ დაიდუმებდა.

ამის დასამტკიცებლად გვაქვს კიდევ ის საბუთი, რომ ქართლის აურა აკლებაზედ არას ამბობს აგრეთვე არჩილ. თბილელის წიგნი ხომ ცხადათ გვიჩვენებს, რომ აურა-აკლება ქართლისა არასოდეს არა თანამედროვეთაგან არა სდებია ბრალად საავაძეს. სხვათა შორის აქა ვპოვებთ ამგვარს ალაგს

„უწინ კახეთსა მობრძანდა, იცით რომ იქნა რაები,
მეორედ ქართლსა მოვიდა, არ ვინ ჰყო შესაძრავები,
ორნივ მეფენი იქმნით სამკვიდროთ დასაძრავები,
თქვენ გადაბრძანდით იმერეთს, მე რა ვქმენ დასაშავები“.

აქ ცხადათ არის ნათქვამი, რომ ამ შემოსევის დროს ქართლში არვინ შეუძრავს, არ შეუწუხებია შაჰ აბაზს.

არაქელ ამბობს.

შაჰმა უბრძანა თავის მხედრობას: „ქართლის მცხოვრებელნი არავინ შეაწუხოთ, რაც საჭირო იყვეს კაცთა ან პირუტყვთათვის, ფასით შეისყიდეთ ცხოვრებთაგან იმათ ნებაზედ და როგორც დაგიფასონ თავიანთი საქონელი, ის ფასი მიეცით.

თუმცა არაქელ ამბობს, ამას იმიტომ ჩადიოდა შაჰ-აბაზი, რომ ხალხი ჩამოეტყუებინა სახიზნავი ადგილებიდამ და აეყარნა. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ეს აურა ქართლში არ მოხდა. ეს მტკიცდება თვით არაქელისავე სიტყვებით, რომ ლუარსაბს შაჰი ჰპირდებოდა არეზს (რახსი, არაქსი) აქეთ ჩემს ქვეყნებს სულ შენ მოგცემო. ძნელი საფიქრებელია, რომ რაც უნდა ბრიყვი ყოფილიყო და მიუხვედრელი

ლუარსაბ, თუ ჰნახავდა, რომ არამცთუ არეზს აქეთ არვინ რას აძლევს, და პირიქით ამის ხალხსაცა ჰყრიან და იკლებენ,—გა[illegible] სიცრუვესა და აღარ გაჰყვებოდა თავის ნებით სპარსეთში.

მაგრამ უკეთესი საბუთები ამისა, რომ პირველად შაჰაბაზის შემოსევის დროს ქართლი სრულიად დამშვიდებული იყო, არც აყრა და არც აოხრება მაშინ ქართლს არ გამოუვლია, გვიმტკიცებს ერთი ხელნაწერი დოკუმენტი, შემდგარი 1620 წელსა. ეს დოკუმენტი არის განაჩენი სხვა-და-სხვა დავასა და სალაპარაკოზედ დიდ მოურავს საკაძესა და ქაიხოსრო ჯავახისშვილის შორის. ამ დოკუმენტიდან სხვათა შორის სჩანს, რომ ქართლელნი ისრე გულდამშვიდებულნი და დაჯერებულნი ყოფილან შაჰაბაზის პირველს შემოსევის დროს, როდესაც საკაძე თან ახლდა, რომ თვით საკაძეს, რომელიც უნდა ამ დროს მეხი და მედგარი ყოფილიყო თავისი მტრებისა, უბედავდნენ წინააღმდეგობას, დავას და ძალით პასუხის გებას. ამ დოკუმენტში არის სხვათა შორის შემდეგი ადაგი: „სარჩლა კიდევ ბატონმან მოურავმან, რომე სასათვლაოზედ მომიხდესო, ერთაწმინდური ნახირი წაასხესო და ეს ყოველი უკაცრაული და უპატიობა ჩემს სასათვლავოს და ჩემს მამულს უყვესო. ქაიხოსრო (ჯავახისშვილი) ერთაწმინდის მიხდომისას და ნახირის წამოსხმისას ამას უპასუხებდა: ბედნიერი უენიც აქ, ქართლს იყო, ბერუკაც (ჯავახისშვილი) აქ იყო და მისავე აქ ყოფაში ნახირი წასხესო“. ცხადია, აყრა და აოხრება რომა ყოფილიყო ქვეყნისა შაჰ-აბაზისაგან, სრულიად დამშვიდებულნი არა ყოფილიყვნენ ამ დროს ქართლელნი, არცარა ვის გული ექნებოდა ერთმანერთის ტაცებისა და ძალმომრეობისა, მეტადრე ამისთანა კაცს, როგორც საკაძე, ხომ უფრო ვერავინ შეჰბედავდა ამას.

რაც შეეხება მეორეთ შემოსევას ქართლში, ამისი აღწერა ვახუშტისაგან „ქართლის ცხოვრებაში“ ამ ლაკონიური სიტყვებითა თავდება, რომ შაჰი მოვიდა თბილისს „დასვა მეფედ ქართლისად ბაგრატ, ძე დაუდხანისა, და თვით უკუნიქცა, აჰყარა კახეთი და მივიდა ისპაანს“.

ამასავე ეთანხმება სპარსთა მეისტორიე ისკანდერი მუნჯი, რომელიც დაწვრილებით აგვიწერს კახეთის აკლებას და მოწყვეტას,

ქართლში შესვლისას კი იმასვე ამბობს, რასაც ვახუშტი. აბაზი, მოვიდა თბილისს, დასვა ქართლის მეფედ ბაგრატ, რომელსაც [illegible] უძახოდათ, თბილისიდამ შევსია კახეთს და დაუწყო კახეთს კლებათ. პიეტრო დალავალლე, რომელიც ამ ხანებში იყო მოგზაურად სპარსეთში, 1627 წელსა მოახსენებს პაპს ურბანოს მერვეს, რომ შაჰ-აბაზს ქართლი არ წაუხდენიათ. ისა სწერს: „მის (ლუარსაბის) ქვეყანაში ხელმწიფეს (შაჰ-აბაზს) არაფერი არ უვნია, იმან გაგზავნა მართველად ვიღაც რაიერი ან ბაგრატ მირზა“. [1])

ეს საბუთები ცხადათ გვიმტკიცებენ, რომ ყველა ის საკაძის სახელისა და საქმეების ჯამამცირებელი და ჩირქის მომცხები აზრები რომელნიც გავრცელდნენ ჩვენი თუ სხვა მწერლებისაგან, არიან შექმნილნი ჯერ იმ აწეწილი გარემოებისაგან, რომელშიაც ჩავარდა საკაძე, და შემდეგ ამ მწერლობის უცოდინრობისა, საქმეში ჩაუხედავობისა და დაუკვირვებლობისაგან.

პირიქით, ვინც საქმეს ღრმათ ჩააკვირდება, ისა ჰნახავს, რომ პირველი შემოსევის დროს, როდესაც საკაძე ახლდა შაჰ-აბაზს, ქართლიცა და კახეთიც სრული აკლებისა და მოსპოლვისაგან იხსნა საკაძემ. ჩვენ ზემოდ ვნახეთ, რომ ამ შემოსევის დროს დიდათ ლმობიერათ ექცეოდა შაჰ-აბაზი მცხოვრებთა. სპარსი, ისკანდერ მუნჯი, რომელიც მომსწრეცა და დამსწრეც იყო ამ ამბებისა და სწერდა ამაზედ ოფიციალური და პირდაპირი ცნობებიდამ, მოგვითხრობს, რომ კახეთში პირველად შემოსევის დროს შაჰმა გასცა ბრძანება, რომ არავის არ გაებედნა შეწუხება ქართველობისა, და როდესაც გაიგო, რომ ზოგიერთს ამის ჯარის კაცთ დაეწყოთ ცარცვა და ალაფობა, იმან დააჭერინა ისინი და მთელი თავისი ჯარების თვალწინ დაათავაშვინა, რომ ამითი სხვებიც დაეშინებინა და აღარავის გაებედნა ქვეყნის შეწუხება. ამასთან, როგორც არაქელ, ეგრეთვე ისკანდერ მუნჯიც მოგვითხრობენ, რომ ბრძანება იყო აბაზისაგან გაცემული: არავინ გაჰბედოს უფასოთ რამე გამოართვას ქართველებსაო და იმ ფასად იყიდონო იმათგან ყველაფერი, როგორც დ უფასონო. ამასვე მოგვითხრობს თვით ანტონ 1-ი კათალიკოსი, დაუძინარი მტერი საკაძისა, რომლისაც ყოველი სიკე-

[1]) „ივერია“ 1873 წ. № 3, გვ. 44.

თის დათვარვას ცდილობს და ყოველს ბოროტს მიაწერს: [1]) შაჰ-აბაზმა სცა ბრძანება ქართლშიო, რომ ის არ მოსულა ქართლის წასახდენათ, „ბრძანება არს დიდისაგან მსოფლიო აღმაშენებელის მეფისა შაჰ-აბაზისა, რათა ქვეყანა ქართლისა ყოვლით დაბნებითურთ და მთავრებითურთ და გლეხით ეგნენმცა მშვიდობასა შინა...“ და ქართლს სრულიად არაფერი არ ავნოო. თუმცა აქედამ ახირებული დასკვნა გამოჰყავდა ანტონს... ამას სულ სააკაძე ჩადიოდა მეფე ლუარსაბისა და ქართველების მტრობითაო... ქართველები გადაარჩინა მოწყვეტას ქართველების მტრობით!!. გამოდის ამგვარი მწერალთ აზრით, რომ მოწყვეტა იქნებოდა სიკეთე, მორჩენა—მტრობა. მეორე შემოსევაზედ კი კახეთში, როდესაც, არამც თუ სააკაძე, და როგორც ისკანდერ მუნში მოგვითხრობს, აღარც ერთი ქართველი დიდებული აღარ იახლა აბაზმა თანა საპარსეთიდამ, ვერარავინ იხსნა კახეთი იმ საშინელი განსაცდელისაგან რომელსაც აგვიწერენ მომსწრენი და მეისტორიენი. კახეთი განადგურდა და გასწორდა მიწასთან, მაგრამ ქართლი გადარჩა კიდევ. ამ დროს სააკაძემ მოისწრო კიდევ ქართლს მოსვლა. შაჰ-აბაზი კიდევ ვერ შეეხო ქართლსა. რა იყო მიზეზი, რომ სააკაძე როცა თანა ჰყავდა, არ შეეხო აბაზი არც ქართლსა და არც კახეთსა,—მეორედ შემოსევაზედ, როცა აღარ იყო სააკაძე იქ, მოსრა, გაათხრა და გადაასახლა კახეთი, და არაფერი არ ავნო ქართლს, სადაც მოასწრო მოსვლა სააკაძემა?—თუ ვიქონიეთ სახეში განვლენა სააკაძისა შაჰ-აბაზზედ, მისი მაღალი დიპლომატიური ნიჭი და რიდი აბაზისა სააკაძის ხმლისა,—ცხადათ ვნახავთ, რომ პირველს შემოსევაზედ ქართლისა და კახეთის აუკლებლობისა და მეორე შემოსევის დროს ქართლის გადარჩენის მიზეზი იყო იგივე სააკაძე, რომელსაც სწამებდნენ და ხდიდნენ ყველა ამ ქართლ-კახეთის უბედურების მიზეზად.

ამას ცხადად გვიმტკიცებს შემდეგი საბუთი. ჯერ იმავე ხანებში, როდესაც მეფე ლუარსაბ ტყვეთ იყო, ქართლი სპარსთ ეჭირათ და კახეთი უპატრონოთ აოხრეს, დასტყვევნეს და მოსწყვიტეს, როდესაც მტრობა სააკაძისა სცდილობდა ამისთვის მოეცხო ყოველი ჩირქი და სადაც კი

[1]) ლუარსაბ მეფის წამება, ქრისტ. ჩუბ. გვ. 333—34.

მოხერხდებოდა, დაედო ამისთვის ბრალი; როდესაც ჯერ კიდევ მოემწყვდეუ-ტა სააკაძეს სპარსთა ჯარი, მოსული მთლათ კახეთის მოსასწყვეტათ და ქართლის ასაურელად,—სააკაძეს უყურებდნენ, როგორც შეუდარებელს ქვეყნისთვის თავდადებულს და მხსნელს კაცს არამც თუ მთელი ქართველნი, და თვით იმისი მტრობაცა. 1620 წელს სდგება ზემოთ ხსენებული განაჩენი სააკაძესა და ქაიხოსრო ჯავახიშვილის შორის სხვა-და-სხვა სადაო საქმეებზე. ამ განაჩენში სააკაძე, სხვათა შორის, მოახსენებს მოსამართლეთა: „მე რომ სპარსეთიდამ დავბრუნდი (შემდგომ შაჰ-აბაზის შემოსევისა), ქაიხოსრო ჯავახიშვილმა ფარსადან (ციციშვილს),—რომელიც მაშინ გამგე იყო ქართლისა,—გამოართვა სამასი კაცი, უნდა თავს დამსხმოდა და ღამე ჩუმათ მოვეკალიო. ჯავახისშვილი როგორც ქვემოთა ვნახავთ, ამისი მოსისხლე მტერი, აი რა პასუხს აძლევს ამაზედ მოსამართლეთა: „აშოროს ღმერთმან, რასაც დროსა და ჟამს ფარსადან ლაშქრით მოსულიყო, ბატონის თეიმურაზის თავს დასხმა და სიკვდილი მე არ მერჩიოსო, და მისად სასიკვდილოთ რომ წამოვსულიყავი, თავადამც ღვთის შემცოდე ვიქნებოდი, და მემრე სრულიად ქართველთა“.[1])

არცარავინ თანამედროვე ქართველთაგანი, რომელთაც იცოდნენ საქმის გარემოება, არც თვით მეფე თეიმურაზ, რომელიც ბოლოს სასიკვდილოთ ჩამოეკიდა, არა სდებენ ამ ბრალს სააკაძეს, რასაც ზემოთ მოყვანილი იმისი მოწინაღმდეგე მწერალნი. რაც შეეხება თეიმურაზს, იმან კარგად იცის ყველა მიზეზები, რათაც არის შაჰი-აბაზ ამასა, ამის გვარსა და ქართველობაზედ ჩამოკიდებული. იცოდა კარგათ, რათაც შემოესია შაჰ აბაზ საქართველოს, იცოდა ვინცა წინამძღვრობდნენ შაჰის ჯარსა და იკლებდნენ საქართველოს, იცოდა ვინც როგორ იქცეოდა ამ საქმეში. იცოდა ისიც კარგათ, რომ არც ამას და არც ლუარსაბს შაჰ-აბაზის საბრძოლველად თითიც არ გაუნძრევიათ, მაშასადამე არც დაედებოდა სააკაძეს ბრალი მათის დამარცხებისა. როდესაც, შემდეგში, ჩამოვარდება თეიმურაზსა და სააკაძის შორის უსია-

[1]) Архивъ Тифл. губ. правл. кн. № 30, документъ № 197, явленный Въ 1821 году Января 23 дня.

მოვნება და მტრობა, როდესაც თეიმურაზ ქძებს მიზეზებს, [illegible] სამართლებლად სააკაძის მტრობაზედ, ადებს სააკაძეს ბრალად [illegible] ლუარსაბის სიკვდილს, ხალხის ფურჩვნას (ლადობას), ჯარების ყოლას.[1])

ეს იყო დანაშაული, რომელსაც სდებდა ბრალად თვით მეფე ქართლისა და კახეთისა თეიმურაზ სააკაძეს. არავის, არავის არ გავლია გულში არც თეიმურაზს, არცარავის სხვა მაშინდელთ მწერალთა და მომქმედთ პირთ, რომ ქვეყნის ღალატი დაეწამებინათ სააკაძისთვის, და პირიქით, როგორც ზემოთაც ვნახეთ, თვით იმ დროს, როდესაც აოხრდა კახეთი ქართველები უყურებენ იმას როგორც ქვეყნის მხსნელსა და პატრონს. იმოდენს მიწერმოწერაში, რომელიც აქვს თეიმურაზს გამართული რუსთ ხელმწიფეებთან, იმოდენა ნაწერებში, რომელიც ამას დაუწერია და ეხება ამ დროს და საქმეთა, არც ერთგან სააკაძის ღალატზედ ხსენება არა აქვს. ის სჩივის სააკაძეზედ რუსთ ხელმწიფესთან მხოლოდ ბაზალეთის ომზედ, რომელიც ჰქონდა სააკაძეს ამასთანა და ზურაბ არაგვის ერისთავთან.[2])

ამასთან მრავალი დოკუმენტების თ. ჟორდანიასაგან შემდგარს ქრონიკებში ამ დროს მომხდარს ამბებზედ და გარდა ქებისა და დიდებისა იმ დროთა მწერალთა და მემატიანეთა, როგორც ამას ქვემოდაც ვნახავთ, თქვენ ვერა ჰნახავთ.

ან რომელს კაცს უნდა მოსვლოდა თავში, ვინც კი იცოდა საქმეთა გარემოება, რომ დაეწამებინა სააკაძისთვის თავის ქვეყნის ღალატი, თავის სამშობლოს გაცემა! როდესაც კაცი ჩადის ამისთანა რამე საქმესა, სამარცხვინოსა და სათქმელადაც საზარელს საქმეს, უნდა უეჭველად ან თავისი ან მახლობელთა ბედნიერება ჰქონდეს სახეში. განა ამასა ვხედავთ სააკაძისაგან?! ჩვენ ვნახეთ, რომ პირად ჯავრს არავიზედ ერიდობდა და თავის გაძლიერების დროს არც ერთი თავისი მტრისთვის ბეწვიც არ აუფრენია. მაშ დარჩენილა ერთი, რომ უნდა

[1]) „დიდ-მოურავიანი“ ხანანი 5—27, „ქართლის ცხოვრება“ ტ. II, გვერ. 35.

[2]) Дипл. снош. стр. LXIII.

ეს ჩაედინა რამე პირადი სარგებლობისა და მახლობელთა[illegible] რით. მაგრამ აქაც სრულებით სხვასა ვნახავთ. წარმოვიდგინოთ ჯერ ის უმაგალითო შეთქმულობა, რომლითაც იმან ქართლ კახეთი გადაარჩინა მთლად მოწყვეტას და აურას. უკეთესი შვილი ამისი, პაატა ჰყავს მძევლად შაჰ-აბაზს ისპაჰანში, სადაც იმას ელოდა უმაღლესი ალაგი სპარსეთის საბრძანებელში. სააკაძემ იცის ნამდვილად, რომ ამ შეთქმულობის უკან იმის შვილს აბაზი ცოცხალს აღარ გაუშვებს. მაშასადამე თავისს უკეთესს შვილს სწირავს ქვეყნის საქმეს. თვით შეთქმულებაში, როდესაც სააკაძე რჩება სპარსთა ჯარში ოთხი კაცით, რომლებითაც უნდა დაიწყოს შესრულება შეთქმულობისა, იმას თავისთანა ჰყავს მეორე თავისი შვილი, ავთანდილი. ამავე შეთქმულობაში უნდა მოჰყოლოდა ზურაბ არაგვის ერისთავს ამისი მესამე შვილი ზურაბ. მაშასადამე, სწირავს ამ საქმეს სააკაძე სამთავე თავის ვაჟიშვილს და თავითონ თავის თავს. ეს არაფერი. მრავალი შანსი იყო, რომ გამარჯვნათ აქ სპარსთა. მაშინ. არამც თუ ესა და ამისი სამი ვაჟიშვილი შვილი, და დანარჩენი ცოლშვილიც გახდებოდნენ მსხვერპლნი სპარსთა საშინელი ზღვევისა. სიტყვით, კაცი სწირავს საქვეყნო საქმეს თავის თავს, თავის დედას, თავის ცოლს, თავის შვილებს, შვილისს შვილებს, ყველა მახლობელთა და დამოკიდებულობას. თუ კი ამათ ყველას იმეტებს თავის ქვეყნის ხსნისთვის, მაშ ვიღასთვის მოინდომებდა თავის ქვეყნის დაღუპვას, თავის ქვეყნის ღალატს?! ვიღას საბედნიეროთ-და უნდოდა თავის ქვეყნის ბოლოს მოღება?! ნუთუ შაჰ-აბაზისა და სპარსელებისათვის?! რა იყვნენ იმისი შაჰ-აბაზი და სპარსელნი?—ვიკითხოთ ისევ ჰამლეტის სიტყვით,—ან რა იყო ეს სპარსელებისა და აბაზისა?!—იყვნენ ერთმანერთის: მოსისხლე მტერნი მამა-პაპით. მაშ თავისი მოსისხლე მტერისთვის ჩადიოდა ამას სააკაძე?! თუ ეს ასრეა, მაშ რადათა ჰღალატობს ის აბაზსა და სპარსთა სწორეთ მაშინ, როდესაც შაჰსაცა და სპარსთაც უნდა შეესრულებეთ თავისი საწადელი: მოსპობა საქართველოსი ქვეყნის პირიდამ?!

შეიძლება გვიპასუხოს ამაზედ ვახუშტის სიტყვით, რომელიც ამბობს შემდეგს:

„მოუწოდა მოურავსა და ზურაბს (შაჰ-აბაზმა), ვინაითგან მოურავი სახელოვან იქნა მის წინაშე ბრძოლათა შინა და იახლა ბაღდადს

და ყანდაარს, ამისთვის სწყალობდა და უსმენდა: ამათ წარმოატანა ყარჩიხან სპითა დიდითა, და ამცნო რათა მოსწყვიტონ კახეთი და აჭყარონ ქართლი... არამედ მოურავმან, მონადირემან ლოჭინის ხევსა შინა, იხილა შიკრიკი ერთი მომავალი... შეიპყრა იგი და იხილა წიგნი, რომელსა შინა ეწერა ყარჩიხანისათანა შაჰ-აბაზისა მიერ... „მოჰკვეთე თავი მოურავსა და წარმოგზავნე წინაშე ჩემსა“ განცვიფრებულმან მოურავმან მოჰკლა შიკრიკი იგი და დაჰფლა მუნვე, და მოვიდა ზურაბ ერისთავისათანა ფარულად, ეძრახა მოწყვეტასა ყიზილბაშისასა... (გარნა თუმცა არა ეხილა მოურვსა წიგნი იგი შიკრიკისა, აურილმცა იყო ქართლი. გარნა იხსნა ღმერთმან ერი თვისი ესრეთ)“.

აქაც კიდევ ეს აზრი წარმოდგა ჩვენთა მწერალთა დაუფიქრებლობით და გამოუკვლევლობით. როგორც თვით ვახუშტი მოგვითხრობს, სააკაძე იყო შაჰის ერთგული, საქართველოს მტერი. მაშ, რა მიზეზი იყო, რომ ამ ერთგული კაცისას შაჰი უცებ იწერება:—მოჰკვეთეთ თავი და გამომიგზავნეთო?!

ამის პასუხს იძლევიან ჩვენი საეკლესიო მწერალნი და მეფე არჩილ, ეს მართალი და უტყუარი ბრჯე, რომელიც თითქმის მოესწრო ამ დროებსა, იყო მეფე ქართლისაც და კახეთისაც, იყო სიძე თეიმურაზ მეფისა და იცოდა დაწვრილებით ყველა გარემოება.

აი რას ამბობს არჩილ, როდესაც მოგვითხრობს შაჰ-აბაზისაგან ჯარების გამოსევას კახეთის მოსასპობლათ და ქართლის ასაოხრებლად.

„დაასკვნეს და გამოგზავნეს ამ მიზეზით სულ ესენი.
აწ უყურეთ მოურავსა, ვით შეჰყარის მძიმე სენი.
ზურაბს თურმე იქივ უთხრა: ვერ სჯვრეტ არის, რის მთესენი?..
მე სხვა რამე გამიგია... ხმალი იქავ მოვლესენი.

შემდეგ მოგვითხრობს მეფე არჩილ მოურავისა და ზურაბ ერისთავს შორის ლაპარაკს სპარსთა ჯარების მოწყვეტის თაობაზედ, როდესაც სააკაძე ცდილობს მოიმხროს ზურაბი, რომ გადაარჩინოს ქართლ-კახეთი მოსპობას.

„რასაც ვაპირებთ არ არის ეს საქმე ჩვენგან საქნელი,
ამ სოფლის შემარცხვენელი და საუკუნოს დამთქმელი,
მან დაგვატყუვა, რად შექმნა ჩვენ ჩვენი ხორცის ამქნელი,

დამამხობელი ქვეყნისა, ჩვენი ქვეყნისა დამქნელი.

„კახეთიც რომ ამოვწყვიტოთ, კვლავ ქართლიდა იქ ჩავასახლოთ;
მონასტერნი ავაოხროთ, შერცხვენილთა გვარის გვაროთ,
მაგას ნუ ვიქთ, ნურა საქმით, სხვაფრივ რამე მოვაგვაროთ.

„ზურაბ უთხრა: მართალია, მაგრამ რატომ იქ არ მითხარ,
ცოლიც თანა მოჰყვანა, აჳმრჩეველი შენ ამით ხარ.
აწ რადა გქნა, ცოლის სირცხვილს თავს მადებ და სამარს მითხარ...

„მუნ ამისთვის არ გაცნობე, ცოლს თან არ გამოგატანდნენ;
ვთქვი თუ უთხრა და არა ჰქნას, ბოლოს რისთვის დავანანდნენ.
აქ მოვიყვან, საქართველოს წახდენაზედ ცრემლს დავადენ.
მე შვილს დავთმობ ქვეყნისათვის, შენ ესე ჭყავ იყოს ესდენ“.

ამასთან, თვით პლატონ იოსელიანივე იჩვენებს, ჩვენი საეკლე-სიო მწერალნი მოგვითხრობენო, რომ სააკაძე სპარსეთიდანვე გაენდო ქათალიკოზს ზაქარიას და წილკნელ მიტროპოლიტს პართენს,[1] რომ სპარსთა ჯარი მოდის საქართველოს მოსასწყვეტათ, და ნუ მიუ-შვებთ იქამდის, დამეხმარეთ, ჩვენ თვითონ მოვწყვიტოთ ისინიო.

მაშასადამე, სააკაძეს იქვე, ისპაანში, ჰქონდა გარდმწყვეტილი რომ არ მიეშვა სპარსელები მოელოთ ბოლო საქართველოსთვის. ეს განზრახვა ცხადია, არ გამოჰპარვია იუგიანს აბაზს, გაუგია იმისი დაწყობილი საქმეები, და ამის მიზეზათ მოუწერია მოკვლა მოურა-ვისა. ამასთან, როგორც შემდეგში ვნახავთ, ეს წერილი მოვიდა მა-შინ, როდესაც სააკაძეს ყოველივე მოწყობილი ჰქონდა ამ დიდი საქ-მისთვის და ელოდა მარჯვე დროს.

ცხადია, რომ ყოველივე ჩირქი, რასაც სააკაძეს სწამებენ, იყო აშენებული მტრობასა და აწეწილს გარემოებაზედ, ეს ხმები შესდგა საქართველოში მასზედ, მის შემდგომ, როდესაც თანამედროვე მცო-დნე პირთ მოწმობა აღარ იყო. და, რომ თანამედროვენი ამას ყოვე-ლთვის ისრე უყურებდნენ, როგორც ქვეყნის მხსნელს და პატრონს, ამას გვიმტკიცებს კიდევ სხვათა შორის დოკუმენტი, რომელიც მის-

---

[1]) მაშინ წილკნელ ეპისკოპოსად იყო მირმანოსი, მეომარი სააკაძისა და არა პართენ. აქ პლატონ სცდება

ცა როსტომ მეფემ სააკაძის შვილის შვილს თარხანს,—როსტომ მეფემ, რომელმაც იცოდა ყველა გარემოება და რომელსა და სააკაძეს შორის ჩამოვარდა ბოლოს დიდი მტრობა, როდესაც სააკაძე გადუდგა სპარსთა და როსტომ მეფე, ხოსრო მირზას სახელით იყო სპარსთა ჯარების წინამძღოლი ამ დოკუმენტში სხვათა შორის სწერს როსტომ მეფე. „შენმა წინაპარმა დიდი სამსახური გაუწია ჩვენს ოჯახს და ქვეყანას, ამისგამო გიბრუნებთ თქვენ უკანვე თქვენს მამაპაპეულს“.[1])

---

[1]) აი კიდევ ნიმუშები პლატონისაგან საქმეში ჩაუხედაობისა, და მოუსაზრებლათ საქმის დაჭერისა.

იმან გამოსცა 1851 წ. წიგნი იოსებ თბილელისა „დიდი მოურავიანი». ამ გამოცემულს წიგნში შიგა და შიგ სხვა-და-სხვა თავებს დაურთო სათაურები და სხვათა შორის, ერთგან ამგვარი სათაური: „ამას ყველას სვიმონ მეფეს ეუბნება მოურავი; ლუარსაბის სისხლს რომ ადებდენ და ამისთვის ყველა მოახსენა. .მაგრამ მოურავს ამის მეტი არა დაუშავებია რა: ერთხელ ეს უთხრა ყეენს, დაჭერილი რომ ჰყვანდა ისტარაბადს,მანამ მეფე ლუარსაბ ცოცხალია, მანამ ქართლი არ დ წყნარდებაო. ზოგმა კიდევ სხვა უთხრა და ამაზედ თავი მოსჭრეს ლუარსაბს“. (დიდი მოურავ. გამოცემული პლატონ იოსელიანისა გვ. 33).

მე როდესაც ეს სათაური და სხვა სათაურებიც წავიკითხე პლატონისგან გამოცემულს „დიდ-მოურავიანში“ და ვნახე, რომ სათაურები წიგნის შინაარსს არამც თუ არ ეთანხმებოდნენ, არამედ სრულიად სხვა ეწერა სათაურში და სხვა თვით წიგნში იქვი შემივიდა, რომ ეს სათაურები ჰკუთნებოდა თვითონ ავტორს, ესე იგი იოსებ თბილელს. ავდექი და დავიწყე ხელნაწერი „დიდ-მოურავიანების“ ძებვნა და შინჯვა. მე ჩამივარდა ხელში შვიდი ხელნაწერი,—ოთხი ამათში ეკუთვნოდა წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას,—და რა გგონიათ, მკითხველო?—არც ერთგან ეს სათაურები ვერა ვპოვე. ცხადიც არის, არც იქნებოდნენ, რადგან. როგორც ეხლავე უჩვენებ მკითხველს, სათაური სრულიად სხვას ამბობს და შინაარსი წიგნის სხვასა

ზემოთ მოყვანილს სათაურში არის ნათქვამი, რომ მოურავი ყველა ამ ამბავს მეფე სვიმონს ეუბნებაო. ამ თავის შინაარსში კი ხსენება სვიმონ მეფისა არც არის და არც შეიძლება იყვეს, რათგან იმ დროს, რომელსაც ეს თავი ასწერს, სვიმონ მეფე თვით სააკაძისაგანვე იყო საქართველოდამ გაძევებული და ქართლის მეფედ ჰყავდა დასმული მეფე თეიმურაზ პირველი, რომელსაც ელაპარაკება, როგორც ამ თავში, ეგრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიზეზი შაჰ-აბაზის მრისხანებისა და საქართველოს აოხრებისა.

მაშ რა იყო მიზეზი, რომ შაჰ-აბაზმა ასრე უწყალოთ გაიმეტა საქართველო და გადასწყვიტა მოსპოს ის საუკუნოთ ქვეყნის პირიდამ?

შაჰ-აბაზი იყო ერთი უდიდებულეს ხელმწიფეთაგანი, რომელნიც კი ასულან, შემდგომ დიდის კვიროსისა სპარსთა ტახტზედ. ის იყო შორს მხედველი გენიოსი დიპლომატი, ამასთან კაცთმოყვარე, უცხოთა შემწყნარებელი, უცხო მორწმუნეთა სათნო. ნუ თუ ამგვარი კაცი განრისხდებოდა საქართველოზედ ასრე უწყალოდ მარტო იმი-

---

თვე მთელს წიგნში და აყვედრის თავის ნამსახურობის დაუნახავობას, აგონებს, როგორ გადაარჩინა ამან საქართველო მოწყვეტას, როგორ გახდა თეიმურაზი მიზეზი მარაბდის ომის წაგებისა; როგორც გახდა მიზეზი ბაზალეთის ძმათა შორის სისხლის ღვრისა; როგორ მოიყვანა სააკაძემ თეიმურაზ გონიიდამ,—საოსმალოდამ,—და ჩააბარა ორი სამეფო, აღუდგინა და აუშენა ისევ კახეთი და სხვა ამისთანები, და აყვედრის, ამ ნამსახურობის მაგიერათ შენ სასიკვდილოთ გამიმეტეო. განა ეს ამბები რაშიმე შეეხებიან სვიმონ მეფეს? განა სვიმონ მეფე გაურისხდა რაშიმე და სდევნიდა სააკაძეს სასიკვდილოთ? განა გონიიდამ სვიმონ მეფს გადმოიყვანა და გაამეფა ქართლ კახეთში? განა სვიმონ მეფეს გაუშენა კახეთი? განა მარაბდის ომში სვიმონ მეფე სააკაძის მომხრე იყო და არა დევნილი ამ დროს სააკაძისაგან? და სხვა ამისთანაები. ერთი სიტყვით არც არის და არც შეიძლება რომ იყვეს მთელს „დიდ-მოურავიანში“ საჩივარი სააკაძისა სვიმონ მეფესთან.

რაც შეეხება მას, რომ „ეს უთხრა ყეენს, მანამ ლუარსაბ ცოცხალია, ქართლი არ მოისვენებსო, ზოგმა ახლა სხვა უთხრა და ამაზედ ლუარსაბს თავი მოსჭრესო“, ეს არამც თუ ამ თავს და მთელს „დიდ-მოურავიანს“ მთელს ისტორიულს ფაქტებს ეწინაალმდეგება „დიდ-მოურავიანში“ თავიდამ ბოლომდის სულ უარსა ჰყოფს ავტორი ამ წიგნისა, რომ სააკაძე ან სიტყვით ან საქმით რეულიყვეს ლუარსაბის სისხლში. მეფე თეიმურაზიც ბოლოს ეთანხმება ამ წიგნში ამაზედ და უთვლის, რომ მე მაგ ბრალს არ გდებო. მაშ საიდამ შესდგა ეს სათაური ამ თავისა, სათაური, რომელიც ვერც ერთს ხელნაწერში მე ვერ ვიპოვე, და რომელიც ეწინაღმდეგება მთელი წიგნის შინაარსს, მთელს ისტორიულს ფაქტებსა, რომ თვით ნამდვილს ისტორიულს ფაქტებს ეწინაალმდე-

სთვის, რომ ქართველებმა გააჯავრეს საკაძე?! აბაზის ღრმად აწონ-ვილს პოლიტიკაში, მარტო საქმის დაუკვირველობა და ბავშური შეხედულობა აჰოვნინებდა მეისტორიეთა ამგვარს მართლაც და ბავშურს ქცევას.

სწორეთ შაჰ-აბაზის გამეფებას წინა ხანებში გაძლიერდა დიდათ მოსკოვის სამეფო. იოანე მრისხანეს წინადვე, იოანე მესამემ ვასილიჩმა, რომელმაც მოსპო თავისუფლება ნოვგოროდისა და მათი დამოკიდებულება განზის კავშირთან, იწყო შეერთება ცალკე სამთავროე-

გება ამას, გარდა არაქელისა და რუსთა მეისტორიეთა, რომელნიც დაწვრილებით მოგვითხრობენ, რომ ლუარსაბის სიკვდილის მიზეზი იყო რუსის მოციქულების მისვლა სპარსეთში ლუარსაბის სარჩლადაო, მოგვითხრობს ამას რუსის მოციქული ბრეხოვი, რომელიც 1614 წ. იყო გაგზავნილი შაჰ-აბაზთან და ჰნახა ლუარსაბ სპარსეთში. ის სწერს: „ლუარსაბს ატყუებს (შაჰ-აბაზი), რომ გაგიშვებო საქართველოში, მაგრამ არ გაუშვებს და არც დაუბრუნებს თავის ქვეყანას" (**Бѣлокуровъ, стр. CXV**) ცხადია, რომ ლუარსაბის სიკვდილი, როგორც ზემოთაც განვიხილეთ და ბოლოსაც ვნახავთ, იყო პოლიტიკური მოსაზრება აბაზისა, და არა ისა, რასაც გვიწერს ზემოთ მოყვანილი სათაური.

ამგვარივე წინაალმდეგია, შინაარსისა და ფაქტებისაც ის სათაური, სადაც სწერია, რომ ლუარსაბის თავი აბაზმა სუფრაზედ დაიდო და უთხრა: შენი დაი მე კი არ მომეცი და თეიმურაზს მიეციო. ამას როგორ იტყოდა აბაზი, როდესაც ჯერ იმან შეირთო ცოლად ლუარსაბის და, ლელა თვით შაჰ-აბაზისავე სურვილით და სრული ნებართვით როგორც ლუარსაბის მხრივ, ეგრეთვე მისი დედის თამარის მხრივ, და მემრე შეირთო თეიმურაზმა მეორე და ხორეშან შაჰისავე ბრძანებით, რომლისაც წინაალმდეგნი იყვნენ როგორც თვით თეიმურაზ, ეგრეთვე დედა ამ ქალისა და ძმა ამისი ლუარსაბ, რათგან იყვნენ მახლობელი ნათესავნი. ამას ვკითხულობთ ამაზედ ქართლის ცხოვრების მეორე ნაწილში (გვერდი **115** და სხვა.)

„მოკვდა ანა (მეუღლე თეიმურაზისა.)... ესმა ესე შაჰ-აბაზ და ამისთვის მოუწოდა თეიმურაზ, რათა განაგდოს გლოვა და იხარებდეს მასთან... და წარვიდა მასთან (თეიმურაზ) შავით მოსილი. ხოლო დედისგან (პირველად) წარგზავნილმა შესძლვნა ძმა და ტყვენი შააბაზს თეიმურაზ, და აწ მისრმულმან დაი თვისი და ტყვენი ქალყრმანი, წარჩინებულთა კახთა შვილნი. ხოლო შააბაზ კეთილად შეიწყნარა... შემდგომად ეტყოდა

ბათ დაყოფილის რუსეთისა, ანუ როგორც მაშინდელნი მემატიანენი ამბობენ, შეკრება რუსეთის ქვეყნებისა, დასცა ძალი მანღულთა ანუ თათართა რუსეთში. იოანე მრისხანემ მოუღო სამუდამოთ ბოლო მანღულთა ბატონობას, დაიპყრა ყაზანისა და აშტარხნის თათართა სამეფონი, დაიმკვიდრა მთელი დიდი რუსეთი თავის სკიპტრის ქვეშ, და აქ ისრე გაძლიერდა რუსეთი, როგორც არას ოდეს მინამდის არა ყოფილა გაძლიერებული. ჯერ კიდევ რამდენიმე საუკუნის წინათ იოანე მრისხანემდის, მანღულთა შემოსევამდის, რუსეთის თემის ხალხნი მოუახლოვდნენ კავკასის მთებს და გააშენეს მთელი სამეფო, ტმუტარაკანი, რომელიც არსებობდა რამდენისამე საუკუნეს, (X—XII საუ-

---

შაჰაბაზ თეიმურაზს საიდუმლოდ: „შეირთე ცოლად დაი ლუარსაბ მეფისა და იქმენ ქვისლი ჩემდა და მოყვარე... ამისთვის თეიმურაზ მიუგო ვედრებით, რამეთუ არს პაპის ასულის ჩემის ძის ძე და ესე არა ჯერ არს სჯულისა ჩვენსა ყოფად“. განრისხდა შაჰაბაზ და აიძულებდა თეიმურაზს ყოფად იმისად. მაშინ, ვინაიდგან აღარა იყო სხვა ღონე, დართო მანცა ნება“. და არც სადმე სხვა წყაროებში ამას არა ვკითხულობთ.

მაშ, ვიმეორებთ, საიდამ გაჩნდა ეს უცნაური, ფაქტებისაცა და თვით წიგნისაც ანუ, უკეთა ვთქვათ წიგნის ავტორის სიტყვების წინააღმდეგი სათიური, პლატონის გამოცემულს წიგნში?

ეს სიტყვები არის მოყვანილი პარიჟის ბიბლიოტეკის ხელნაწერს „ქართლის ცხოვრებაში“, რომელიც დღეს გამოსცა ჩვენმა დაუღალავმა წიგნების გამომცემმა ზაქარია ჭიჭინაძემ. ამ წიგნიდამა აქვს აღებული დავით რექტორს, თუ სხვა რამე წიგნიდამ აუღია ან თვით შეუთლზავს ძნელია სათქმელად. მაგრამ ასრეა თუ ისრე ამ სიტყვებს არავითარი. კავშირი არა აქვს არც დიდმოურავიანთან, არც მის შინაარსთან. თავიდამ ბოლომდის ეწინააღმდეგება როგორც მთელი წიგნის აზრს, ეგრეთვე წიგნის ავტორის აწერილს ამბავს. ესა და ამგვარი მოუსაზრებლობა და ფაქტების წინააღმდეგი წერილები, რომელსაც ამ წიგნშიაც უჩვენებთ და რომელნიც მეათედსაც არ შეადგენდნენ, რაც მე ნაკლნი შემინიშნავს, იოსელიანის ნაწერებში გვიმტკიცებენ, რაოდენი სიფრთხილე ჰმართებს ისტორიის მკვლევარს ამ ჩვენი ისტორიკოსის ნაწერებში. მაგრამ ეს სიტყვები მარტო იოსელიანზედ არ ითქმის. გარდა ერთი ორისა ეს ითქმის ყველა ჩვენი ისტორიის მწერლებზედ. ისრე გაუფრთხილებლად, ისრე საქმეში ჩაუხედავათ, ისრე უგულოთ როგორც ჩვენი მეისტორიენი ექცევოდნენ და ექცევიან, ჩვენს ისტორიას, ძველათ თუ სხვაგან სადმე შეხვ-

კუნძები) და რომელმაც დაადო ხარკი აფხაზთ, ჩერქეზთ, ოსთა და სხვათა კავკასიის ხალხთა; გადაასახლა მრავალი მათგანი რუსეთში: „и Ясы (ოსნი) побѣдили и косоги(ჩერქეზნი) и приведе въ Кыеву“. მოუღო ბოლო ხაზართ სამეფოს, რომელიც იდო კავკასიის მთებისა და თემების მახლობლად. თუმცა XII საუკუნეში ველური ხალხების შემოსევამ, და ჩერქეზთა თქმით, იმათმა მრისხანებამ რედედის მოკვლისთვის, რომელიც იყო ამათი გმირი და მოჰკლა რუსის მთავარმა მსტისლავმა, მოუღო სრულიად ბოლო რუსთა სამთავროს ტმუტრაკანსა და ხალხიც კი სულ ან გასწყვიტა, ან განაძევა, ან გადაასახლა; მაგრამ, რუსეთმა, რაკი სძლია მანღულთა და თათართა, იწყო ისევ წევა კავკასიის სამძღვრებისაკენ. რუსეთის სამძღვრები უახლოვდებოდნენ სპარსეთს. რუსის ხალხი თან-და-თან სახლდებოდა კავკასიის ადგილებში, უახლოვდებოდა კავკასიის კალთებს. რუსებს ვხედავთ ქართლის მეფის სვიმონ პირველის ჯარებში, ვხედავთ კახთა მეფე ალექსანდრესთან მთის ყარაულებათ; და რუსეთმა აშტარხნის თათართა სამეფოს დაცემით ჩასდგა ფეხი კასპის ანუ, როგორც ძველად ქართველები ეძახდნენ, დარუბანდის ზღვაში. რუსეთმა დაიპყრა ციმბირი, მიადგა ჩინეთის სამზღვრებს, რუსეთი, რომელიც სპარსეთზედ უფ-

---

დება კაცი. გარდა სხვა შეცდომებისა აიღეთ თუნდა ვახუშტის ისტორია კახეთის აკლებასა მოწყვეტასა და ტყვევნაზედ. თვით სპარსთა მეისტორიე, მტერი საქართველოსი და მღაღადებელი შაჰაბაზის საქმეებისა, ისკანდერ მუნჯი გულ-მტკივნეულად ლაპარაკობს და ვრცლად მოგვითხრობს ამ საშინელს აბაზის მტარვალობას და მთელი ქვეყნის ოხრებას, აგვიწერს კახთა უმაგალითო გმირობას; და ვახუშტი კი, ქართველი მეისტორიე, თვითონ მეფის შვილი ორი სიტყვით აგვიწერს ამ საცოდავობის ამბავს, მთელი ქვეყნის მოსპობას: „ხოლო თვით (შაჰი აბაზ) ჩამოვიდა კახეთს, **მოსრნა, მოსტყვევნა აჰყარნა** და მოაოხრა“. ახლა შეადარეთ ამას აღწერილობა ისკანდერ მუნჯისა, სომხის მეისტორიე არაქელისა, მოგზაური პიეტრო დელავალესი, და ჰნახეთ როგორ ეცეოდნენ ჩვენი მეისტორიენი ჩვენს ისტორიას. ნაწერებსა და გამოცემაებში სიფრთხილე უნდა იქონიოს მეისტორიემ და არ ენდოს იმისს თვით დაბეჭდილის სინამდვილეს ხელნაწერებთან, რომლის ნიმუშებს, გარდა ამისა, ქვემოთ კიდევა ვნახავთ.

რო ხალხ-მრავალი იყო, იდგა მწირს ადგილებში, ეტანებოდა ნაყოფიერს და მდიდარი ბუნების ქვეყნებს. სპარსეთი, ინდოეთი, რომლისაც გზები იდვნენ სპარსეთზე დ, იყვნენ ნაყოფიერნი. სპარსეთის გზა იდო საქართველოზედ, საქართველოს მეზობელს კავკასიის ხალხზედ. რუსეთი სცდილობდა საქართველოს დაახლოვებას, საქართველო ატანდა ხელს. რუსეთსა და საქართველოს შორის მკვიდრდებოდა კავშირი. ჯერ ისევ 1492 წ. სჩანს მეცადინეობა რუსთა და ქართველთა ერთმანერთის დასაახლოვებლათ „Послѣ зимы (7000) пріде посолъ отъ князя Александра именемъ Муратъ“, მოგვითხრობს რუსეთის მატიანე [1]). რუსის მეისტორიე სოლოვიოვის სიტყვით, იოანე მრისხანეს დროს და უფრო ადრეც, იქამდის მტკიცე კავშირი ჰქონიათ ქართველებს და რუსებს ერთმანერთში, რომ, როდესაც თვითონ იოანეს ძე, შვილი იოანე მრისხანისა, ავიდა ტახტზედ, მიიღო, სხვათა შორის ტიტული საქართველოს ხელმწიფობის: „Государя Земли Иверской, Грузинскихъ царей“. ინგლისის ვაჭარი ჯენკინსონი მოგვითხრობს თავის წერილებში, რომ, როდესაც მე ვიყავი შამახიაში 1563 წ., ჩემთან მოვიდა ერთი სომეხი, ქართველთა (კახთა) მეფისაგან გამოგზავნილი, და მიამბო საშინელი შეწუხებული მდგომარეობა საქართველოსი, რომელშიაც ჩააგდოთ ეს ქვეყანა სპარსთა და ოსმალთა. ქართველთა (კახთა) მეფემ ამ მოციქულის პირით მთხოვდა რჩევას, როგორ მოვახერხოთ, რომ რუსეთში მოციქული გაუგზავნოთ და შევატყობინოთ საქართველოს შეწუხებული მდგომარეობაო. 1564 წელს იყო რუსეთში მოციქული კახთა მეფის ლევანისა. სიტყვით, შაჰ-აბაზამდის იყო გაზმირებული მიმოსვლა მოთქმა და მოციქულობა ქართველთა და რუსთა შორის.

ჯერ შაჰ-აბაზზედ წინათ, პაპა ამისი, შაჰ-ისმაილი სეფი, რომელმაც გააძლიერა სპარსეთი და შეჰკრიბა ერთად მანღულთა ანუ თათართაგან დაყოფილი და განცალკევებული სპარსთა ქვეყნები, ჰხედავდა, რად მისდევდა რუსთა გაძლიერებას და საქართველოსთან დაახ-

[1]) Бѣлокуровъ, Сношенія Россіи съ Кавказомъ, выпускъ первый, стр. XIII. „Карамзинъ“ т. VI стр. 370. Соловьевъ т. V стр. 118.

ლოცვებს. [1]) ამ შაჰ-ისმაილმა, რაკი დაამკვიდრა სპარსეთში შიხის გვარი ადერბილიდამ, მოდგმით თათარი, რომელ გვარს თვითონაც ეკუთვნოდა და რომელსაც უწოდა თავისი გვარი, სეფი, იმარჯვა სამონელი დრო საქართველოს ჯავრის საყრელად. ოტომანის ტახტზედ იყო იმ დროს ქრისტიანობის სულთამხუთავი, სალიმ სულთანი ანუ, როგორც ძველად ქართველები ეძახიან, ხვანთქარი. სალიმ ხვანთქარი, ეს საშინელი ძლიერი ხელმწიფე და მოსისხარი, იყო იმ აზრისა, რომ გაეწყვიტა ორი მესამედი მაინც ქვეყნიერებისა, რომ ამითი ეცხონებინა ერთი მესამედი ქვეყნიერებისა, რომელნიც ან იყვნენ მუსლიმანი, ან ამ რისხვის უკან იწამებდნენ მაჰმადს. თუ არა და გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ გაეწყვიტა თორმეტი მილიონი მაინცა ქრისტიანობისა. 1501 წ. მიჰმართა შაჰ-ისმაილმა ამ საშინელს, სისხლით გაუმაძღარს ხელმწიფეს და შეეკრა პირობით, რომ მოეწყვიტათ ამათ სრულიად მთელი საქართველო, როგორც ერთად-ერთი თავისუფალი საქრისტიანო სახელმწიფო, რომელიც დარჩენილიყო მთელს გარშემო შემორტყმულს მაჰმადიანთა შუა. შაჰ-ისმაილი აფრთხილებდა და უხსნიდა სალიმს, რომ საქრისტიანო საქართველოსაგან ცუდი ბოლო მოელის სამაჰმადიანო ოსმალეთსაც და სპარსეთსაცაო. თქმა არ უნდა, რომ სალიმ სულთანი, რომელიც სუნით ეძებდა ქრისტიანეთა სისხლს, უშაჰ-ისმაილოთაც მზათ იყო მოესპო მთელი საქართველო, მაგრამ, საბედნიეროდ საქართველოსიც და მთელი საქრისტიანოსიც, იმასა ჰქონდა

[1]) ამ გონიერმა ხელმწიფემ სპარსთა ცენტრალური ძალის მისაცემად იხმარა ერთი ღონე, რომელიც წააგავს ცოტა დღევანდელს ევროპიულს ბიუროკრატიულს წყობილებას. სპარსეთში ეჭირათ მემკვიდრეობით ცალკ-ცალკე ადგილები ძველად დარჩენილს გაძლიერებულს გვარებს, როგორც ევროპაში ფეოდალებს, საქართველოში მთავრებს. ამან დააყენა რამდენსამე ამ გვარს სპარსთა სამთავროებზედ თავისი ბეგლარ-ბეგები, ეხლანდელი გუბერნატორი ანუ პრეფექტებივით მოხელენი, რომელთაც თვითონ შაჰები უჩენდნენ სამსახურის სასყიდელს და ულუფას. ესენი განაგებდნენ ამ სამთავროებსა ანუ სახანოებში სახელმწიფო საქმეებს. ამითი მოიკიდა სეფის გვარმა ფეხი მთელს სპარსეთში, რომელიც არ უდებდა ამას თავს და არც აღიარებდა თავის სამეფო გვარად, რადგან არ იყვნენ სპარსნი არც სპარსთა სამეფო გვარისანი.

პირველ ვეზირად გაჭმამადიანებული ილირიელი ბერძენი, სახელად მაჰმუდ. ეს საოცარი გონების და კაცთმოყვარების ხასიათის კაცი იყო, რომელსაც დიდს ხანს ეჭირა სალიმი ხელში, უჩენდა ნაცვლად ამ, სიკვდილით შემაქცევარს კაცს, სხვა-და-სხვა საქმეებს, სხვა-და-სხვა მიზეზებს, რომ შააკავებინა იმისი მოსისხარობა: აკისრებინა თავისს სახლში სწავლა განათლების შეტანა და სხვა ამგვარები, რომლითაც თვით ამის ხალხს უმვრებოდა სიკეთეს და ამასთან ამას უჩენდა შინ საქმეს; გარდა ამისა, რაკი იცოდა, რომ ის მაჭიადიანებს უფრო არ იმეტებდა სამესისხლოთ, უჩენდა ომებს ისევ უფრო მაჭმადიანებთან, და სხვა ამისთანაები, რომლებითაც აცილებდა საქრისტიანოს ამისა შეუწყალებელს მახვილს. სალიმას სიცოცხლის დროს არ შეუსრულდა შაჰ-ისმაილს თავისი განზრახვა საქართველოს შესახებ. სალიმის სიკვდილის შემდგომ 1522 წელს შაჰ-ისმაილი შეეკრა ამაზედ პირობით სულეიმან სულთანს, რომელიც, თუმცა არ იყო ისრე მოსისხარი და ქრისტიანობის მტერი, როგორც სალიმი, მაგრამ მაინც ჰნახა საჭიროთ მოსპობა საქართველოსი. ეს მოსპობა უნდა დაწყობილიყო სპარსთაგან აღმოსავლეთით, ოსმალთაგან დასავლეთით. ის იყო, უნდა შესდგომოდნენ ამ საქმეს, რომ სულეიმან სულთანს მოუვიდა ისპანელთა და ალბანელთაგან (გერმანია) ტყვედ დაჭერილი საფრანგეთის ხელმწიფის ფრანსუა პირველისაგან ხელის ბეჭედი და საიდუმლო თხოვნა, რომ ის დაჰხმარებოდა ამას და ეს დაახმარებდა თავის ჯარებს ავსტრიის და ვენის დასაპყრობელად. დიდი ხნის ოსმალოთა სწორდათ ჯავრი ალბანელებისა (Германцевъ) დიდი ხნის უნდოდათ დაპყრობა აღმოსავლეთის ევროპისა. ისინი კიდეც დაიძრნენ დიდძალი ჯარებით ალბანეთისაკენ, რომ უნგრების, ან, როგორც ძველად ქართველები ეძახდნენ, მაჟრების სახელოვანს გმირს ჰუნიადს არ შეეყენებინა მოძრაობა ოსმალებისა გულ-ევროპისაკენ. რაკი სოლიმანს მოუვიდა ახლა ამგვარი სათხოვარი ერთი უძლიერესი სახელმწიფოს—საფრანგეთის მეფისა, რომელიც აღუთქვამდა კავშირს და დახმარებას, იმან მოჰკიდა ცხარეთ ამ საქმეს ხელი, ეს უფრო დიდი საქმე იყო, ვიდრე საქართველოს დაპყრობა და მოსპობა. იმას აღარა ჰქონდა იმდენი ძალა, რომ საკმაო ჯარი მოეცლია საქართველოზედ გასასევად. ის-

დაიძრა მთელი თავისი ძალით ავსტრიისაკენ, შაჰ-ისმაილის დაწყობილების შესასრულებლად გამოგზავნა მხოლოდ მცირედი ჯარი. მარტო შაჰ-ისმაილი ვერას გახდა და გადარჩა იმ ხანად საქართველო განსაცდელს. გადარჩა მით უფრო, რომ სულეიმან სულთანს უღალატა ფრანსუამ, არ დაახმარა დაპირებისამებრ ჯარები, სულეიმან თავისი მთელი ძალით გამოაბრუნეს ვენიდამ. *) ის კვალად ემზადებოდა ავსტრიის ჯავრის ამოყრას. ფრანსუა კი ისევ ჰპირდებოდა დახმარებას. სულეიმანმა ვეღარ მოიცალა საქართველოსთვის. შემდგომ აუტყდა ომი თვითონ სპარსელებთანვე.

შაჰ-ისმაილის პოლიტიკასვე ადგა შვილი იმისი მძლავრი შაჰ-თამაზი რომელიც, გარდა წვრილ-წვრილათ ბრძოლისა და შეწუხებისა, ოთხჯერ შემოესია საქართველოს მთელი თავისის ჯარითა, მაგრამ, საბედნიეროდ საქართველოსი, იმას შეხვდა ისეთი მეფე, როგორც მეფური სიამაყის პატრონი, ლუარსაბ პირველი, რომელიც საოცარი სიმარჯვით და თავგამეტებით იბრძოდა და ახერხებდა ქვეყნის გადარჩენას. აღარც ოსმალთა პოლიტიკა ეთანხმებოდა ამ სპარსთა დაწყობილებას: ოსმალნი ჩემობდნენ მთელს საქართველოს და ყოველს მარჯვე შემთხვევაში უშლიდნენ სპარსთ ამ საქმეში ხელსა.

აქედამ შეიქნა ცილაობა საქართველოზედ ოსმალთა და სპარსთ შუა. გაყოფილი და მოუძლურებული საქართველო იძულებული იყო ნიადაგ ეწია ორპირობა, ნიადაგ მდგარიყო მუხანათს გზაზედ წინაშე ორთავე მძლავრი სახელმწიფოსი. თქმა არ უნდა, ეს უფრო აღელვებდა და აბრაზებდა სპარსთაცა და ოსმალთაც, და მეტადრე სპარსთა, რომელნიც იმაზე ძველადვე ეპატრონებოდნენ საქართველოს და ისევ სტრაბონის დროსვე შეადგენდა სპარსთა სასატრაპოს. მაგრამ ამავე ორპირობაში იყო ხსნა საქართველოსი: როდესაც უჭირდათ ოსმალთაგან, იჭერდნენ სპარსთა მხარეს, როცა სპარსთაგან, ოსმალთა მხარეს, ან არა და ასისიანებდნენ იმათ ერთმანერთზედ.

მოუძლურებული გარეშე მტრისა, სამეფოთა და სამთავროთა ერთმანერთთან ბრძოლით, საქართველო არ ერიდება რუსეთთან დახლოვებას, იმართება ცხადი დაახლოვება და მისვლა-მოსვლა რუსთა

*) ვგონებ იან სობესკიმ.

ხელმწიფეებისა და ქართველთა მეფეთა მოციქულების ერთმანეთში. მეფე თევდორე იოანეს ძე ჰგზავნის ყაზანიდამ საქართველოში იგნატი რუსინს, რომ შეჰკრიბოს საქართველოზედ ყველა ცნობანი. იგნატი რუსინის მოვა საქართველოში, მოივლის საქართველოს და დაბრუნდება იქიდამ 1586 წელსა. საქართველოდამ მოიყვანს კახთა მეფის, ალექსანდრე ლევანის ძისაგან, მოციქულთ, რომელნიც მოართმევენ თევდორე იოანეს ძეს ალექსანდრე მეფისაგან წიგნსა, სადაც ისა სთხოვს მფარველობასა. აქედამ იწყობა სრული და ცხადი დაახლოვება რუსეთის და ქართველთა მეფეების. რუსთა და ქართველთა შორის იმართება კავშირი.

აი, ამ ხანებში ადის სპარსთა ტახტზედ „ლომი ირანისა“—აბაზი, და რას ჰხედავს?—გაჩაღებულს მიწერ-მოწერას ქართველთა მეფეთა და რუსთა ხელმწიფეთა შორის. კახთა მეფე ალექსანდრე მეორე, ძე ლევანისა და პაპა თეიმურაზ პირველისა; მეფე ქართლისა გიორგი, ძე დიდი სვიმონისა, მამა ლუარსაბ მეორისა, იქამდის უახლოვდებიან რუსეთსა, რომ სდგებიან მის საფარველს ქვეშ, ფიცითა და ხელშეკრულობით ხდებიან რუსეთის ქვეშევრდომნი. მეფენი, რომელნიც ფაქტიურად იყვნენ სპარსთა ქვეშევრდომნი, ახლა სპარსთა საიდუმლოთ იღებენ სხვა ხალხის ქვეშევრდომობას. გაძლიერებული რუსეთი უებ ართმევს სპარსეთს ჩუმად, უომრად, ხელგაუნძრევლად ნაწილს და რა ნაწილს—რომელიც უფრო საშიში იყო სპარსეთისათვის, რომელიც იმავ თაობითვე იყო დაუცხრომელი მტერი სპარსეთისა. ერთმხრივ საქართველო, რომელიც საშიშ ძალას შეადგენდა სპარსეთისთვის და შეადგენდა თვით სპარსეთის ძალასაც, ეცლებოდა ხელიდამ, მეორეს მხრივ, ეს საქართველო უმეზობლებდა სპარსეთს ისეთს სახელმწიფოს, რომელიც ყოველთვის უნდა სპარსთა საბოლოვოსათვის საშიში ყოფილიყო.

ამის უკან, რის მომლოდნე უნდა ყოფილიყო ყოველი გონიერი ხელმწიფე სპარსეთისა საქართველოსაგან?! რა ღონის ძიება და დარჩენილიყო, რომ სპარსეთი ასცდენოდა იმ საშინელს მომავალს, რომელიც მოელოდა ამგვარი მძლავრი სახელმწიფოს დამეზობლებით?! ერთათ ერთი ღონე იყო: ან უნდა სულ გაჰმამადიანებულიყო საქართ-

თველო,—რომელიც შეუძლებელი და იყო, რაკი დადგა ას[illegible] მძლავრი სახელმწიფოს სათვარველს ქვეშ, როგორც რუსეთი; ან უნდა სრულიად ბოლო მოჰღებოდა საქართველოს ხალხსაც და მეფეთაც. ერთი დარჩენილიყო. ან მოსპობა ქართველთ სახელისა, ან გაწირვა სპარსთა საბოლოვოსი. რაღა თქმა უნდა, როდესაც სხვა მეცადინეობა არ გაუვიდა, აბასმა არჩია, თავის სახელმწიფოს დაღუპვას, ბოლოს მოღება საქართველოსი.

ამას არა ჰხედავდნენ დღევანდლამდისაც ჩვენი მემატიანე და მწერალნი, რომელთაც ყველა უბედურებაში ხელი ჩამოაწმინდეს სააკაძეს. მაგრამ ეს მაშინვე არ დაემალათ რუსთა მოციქულებს, რომელნიც ამ ხანებში იყვნენ საქართველოში.

აი რას ვკითხულობთ ამაზედ რუსეთის არხივებიდამ გამოკრებილს ცნობებში, რომელნიც არიან მოყვანილნი წიგნში Дипломатич. сношенія Русск. Госуд. съ царями грузинскими, შემდგარი ლოენისგან. [1])

1586 წ. ტოლმაჩი რუსინი, რომელიც მეფე თევდორე ივანიჩმა გაჰგზავნა ყაზანიდამ საქართველოში ამ სამეფოებზედ ცნობების შესაკრებლად, დაბრუნდა მოსკოვში და მოიყვანა თან ალექსანდრე მეფის მოციქულები. ეს მოციქულები იყვნენ მღვდელი იოკიმე, ბერი კირილე, ჩერქეზი [2]) ხურშეთი და მათი ამალი, რომელიც შედგებოდა ხუთი კაციდამ. მეფემ ინახულა ისინი ამავე წლის 9 ოკტომბერს. იმათ მოართვეს თავისი ხელმწიფის წიგნი, რომლითაც ისა სთხოვდა მფარველობას.

„11 აპრილს 1587 წ. ქართველთ მოციქულები წავიდნენ მოსკოვიდამ. იმათ გაატანა მეფე თევდორემ ალექსანდრე მეფესთან თავისი მოციქულები: ბირკინი, პივოვი და პოლუხანოვი. იმათ ჰქონდათ

[1]) ამასვე ვკითხულობთ ბელოკუროვის წიგნში: сношенія Россіи съ Кавказомъ.

[2]) როგორც სხვა საბუთები გვარწმუნებენ ეს ჩერქეზი იყო ჩერქეზიშვილი კახელი. უცხო მწერალნი ამათ ასრე უწოდებენ, და მათს მამულს აჩერქეზოს ეძახიან. ასრე უწოდებს ისკანდერ მუნჯიც. ამიტომ ბევრს აჩერქეზო ჩერქეზეთი ჰგონიათ.

ინსტრუქციით ნაბრძანები, რომ მიიღონ რუსეთის ქვეშევრდომებათ მეფე ალექსანდრე, იმისი შვილები, მისი დიდებულნი და მთელი ივერიის ხალხი.

„1588 წ. დაბრუნდნენ მოსკოვში ეს რუსის მოციქულები და მოახსენეს მეფეს, რომ შეასრულეს ბრძანება და სურვილი მისი: მეფე ალექსანდრემ მიიღო ქვეშევრდომობა და ხელქვეითობა რუსეთისა, და უნდა აძლიოს რუსთ ხელმწიფეს ხარჯი, რომელიც უნდა უდრიდეს 50 სპარსულს მძიმე ზარის (ოქროს ქსოვილს) ფარჩას, ან უკეთესს საგანგებოთ ნაკერს ხალს და სხვა. ამასთანავე მოართვეს—იმათ და ალექსანდრეს მოციქულებმა თავადმა ყაფლანმა და ხურშითმა—ქვეშევრდომობის ხელშეკრულობის ქაღალდი, ხელმოწერილი ალექსანდრე მეფისაგან 28 ენკენისთვეს 1587 წ., რომლითაც ამტკიცებდა და აღიარებდა, რომ ისა, იმისი შვილები: ირაკლი, დავით და გიორგი; იმისი დიდებულნი: იასონ, გორჯასპი, შერმაზან, სოლომონ, დავით და ანდერმან (?!) და ყოველი ივერიის (კახეთს ეძახდნენ მაშინ რუსები და რუსეთთან მიწერ-მოწერაში კახთ მეფენიც) სამეფო ხდებიან მორჩილნი და ქვეშევრდომნი რუსთ ხელმწიფისა და მათის შთამამავლობისა".[1])

შემდგომ იმავე ქვეშევრდომობის ხელშეკრულობას აძლევს კახეთის მეფე გიორგი, შვილი ალექსანდრესი, რომელსაც თვითონ მამა თავისსავე სიცოცხლის დროს ჰსვამს ხელმწიფეთა.

აი რასა სწერენ ამაზედ რუსეთის მოციქულები:

„1 იანვარს 1605 წ. მეფე გიორგიმ (კახეთის მეფემ)[2]) მოიწვია რუსის მოციქულები და იმათთან დასდო ფიცით აღთქმა, რომ იქნება რუსთ ხელმწიფის ერთგული, მოაწერა ქვეშევრდომობის ხელშეკრულობას ხელი და დაასვა ბეჭედი. ესე ყველა ხდებოდა საიდუმლოთ, რომ სპარსეთის შაჰს არ გაეგო".

ჰმალავდნენ ამ ამბავს, მაგრამ აბაზი არ იყო იმ ხელმწიფეთაგანი, რომელთაც ამგვარი საქმეები დაჰმალოდა. იმან დიდი ხანია იცოდა ეს მიწერ-მოწერა. ახლა დარწმუნდა ყველაფერზედ და მიჰმართა

---

[1]) გვ. 1—11.

[2]) ამ დროს კახეთში ორნი მეფობდნენ: ალექსანდრე და იმისი შვილი გიორგი.

კიდეც ამის მოშლის ღონისძიებას. იმას მაშინ არ ეცალა, როგორც ამბობს ვახუშტ, რომ ბოლო მოეღო მთელი საქართველოსთვის, ამის გამო ის შეუდგა ჯერობით იმ პართა მოწყვეტას, რომლების მოთავობით საქართველო უახლოვდებოდა რუსეთს. იმასა ჰყავდა თავისთან შვილი ალექსანდრესი, კონსტანტინე, რომელმაც მიიღო მაჰმადიანობა. ამ კონსტანტინეს მისცა შირვანი, რომელიც დევს კახეთის მეზობლად, და უბრძანა, მოჰკალ შენი ძმა და მამაშენი და კახეთსაც სამეფოთ შენ მოგცემთო.

აი რას ვკითხულობთ ამაზედ ზემოთ ხსენებულს წიგნში Дипл. сношенія.

„8 მარტს 1605 წ. მეფე ალექსანდრე და შვილი იმისი კონსტანტინე მოვიდნენ ზეგანში სპარსეთიდამ. თანა ჰყავდათ ოთხი ხანი, ექვსი სულთანი და რვა ათასამდინ ჯარი სპარსებისა... რუსის მოციქულებმა შეიტყეს საიდუმლოთ, რომ კონსტანტინე იყო შაჰისაგან გამოგზავნილი და ჩუმათ ჰქონდა ნაბრძანები: ან დაეჭირა და სპარსეთში გაეგზავნა გიორგი მეფე, ან მოეკლა.

„12 მარტს მეფე ალექსანდრემ მოიწვია თავისთან რუსის მოციქულები. მაგრამ, მინამ ესენი წავიდოდნენ, უცებ მოვიდნენ იმათთან ზაქარია ნეკრესელი და აბელ-ბეგი (ანდრონიკაშვილი), რომელთაც უთხრეს მოციქულებს, რომ ურიგო არ იქნებოდა ჯერ არ წასულიყვნენ მეფე ალექსანდრესთან, რათგან დილას აქეთია იმასთან არის იმისი შვილი კონსტანტინე ყველა სპარსეთიდამ მოყვანილი ხანებით, სულთნებით და დიდი ჯარითა, და რაღაცა მძიმე მოლაპარაკება აქვთ.

„ეს ლაპარაკი არ გაეთავებინათ ჯერა ნეკრესელს და აბელ-ბეგს რუსის მოციქულებთან, რომ შეიქნა საშინელი არეულობა. მეფე ალექსანდრეს კარმიდამოზედ ასტყდა თოფის სროლა. სპარსელებმა დაუწყეს ქართველებს ხოცვა და ცარცვა ქუჩებსა და სახლებში. ყველგან შეიქმნა ძახილი, რომ სპარსნი დაეცნენ მეფე ალექსანდრეს და მის შვილს გიორგისა.

„რუსის მოციქულებმა გაჰგზავნეს მაშინვე კაცი კონსტანტინესთან და შეუთვალეს, რომ აეღო უბრალოთ სისხლის ღვრაზედ ხელი. კონსტანტინემ შემოუთვალა, რომ ეხლა საქმეს აღარა ეშველება რა,

რათგან იმისი მამა ალექსანდრე, ძმა, გიორგი, მათი ყველა ერთგულები და სამღვდელონი კიდეც ამოსწყვიტეს. მაგრამ ამაში იმისი დანაშაული არა არის-ოა. [1])

„გაგზავნილმა კაცმა მოახსენა რუსთ მოციქულებს, რომ კონსტანტინე ტყუილს ითვლეინება, ვითომც იმას ამაში დანაშაული არა ჰქონდესო: მე თვითონა ვნახე, რომ იმის წინ ეჭირათ თავი იმის მოკლული მამის ალექსანდრესი, და ამ დროს იმის წინ იდგა დაჩოქვილი პაწაწა შვილი იმის ძმის გიორგისა (იასე) და ეხვეწებოდა, შენი ჭირიმე ძია, ნუ მომკლამთო.

„ამაში კონსტანტინე დაჯდა მეფეთ კახეთისა...

„ამის შემდგომ კონსტანტინე მოესია ქიზიყს ჯარებით, რათგან ქიზიყელებმა გამოუცხადეს—მინამ ქრისტიანობას არ მიიღებ, მინამ ჩვენს მეფეთ შენ არ გიცნობთო. როცა მოადგა ქიზიყს, მოისყიდა იმათი თავადები და იმათის შემწეობით დაიმორჩილა ქიზიყელები...

„ამ საშინელმა ამბავმა აიძულა რუსის მოციქულები გაეგოთ მიზეზი ამ სამარცხვინო და საზარელი მკვლელობისა, და შეიტყეს, რომ შაჰი დიდი ხანია არის განრისხებული საქართველოზედ, რომელიც იყო საყმო, ან როგორც ეხლა ვეძახით, ქვეშევრდომი—იმისი, და ამ ბოლოს დროს გადუდგა იმას და მიეცა რუსეთს".

ამგვარად, როგორც ვხედავთ, შაჰ-აბაზის მრისხანებას საქართველოზედ აქვთ სხვა ღრმა მიზეზები, ვიდრემ ეს ჰგონიათ იმ დროებზედ მწერლებს.

რასაც ღონის ძიებას ჰხმარობს შაჰ-აბაზი კახთა მეფეთა წი-

[1]) სხვათა შორის რუსის მოციქულები სწერენ ამ მკვლელობაზედ. ჩვენ მოვიწვ ეთ ბოქოული კონსტანტინესი მამად-ბეგი, დავათვრეთ და ვკითხეთ: თავის ნებით მოკლა კონსტანტინემ თავისი მამა და ძმა, თუ მართლა შაჰისაგანა ჰქონდა ბრძანებაო. „და გვითხრა ჩვენ მაჰმადმა,—სწერენ ისინი:—განა ამ საზარელს საქმეს თავის თავათ იზამდა კონსტანტინეო. ის მთელი ღამე სტიროდა ამ მკვლელობის წინათაო: მამა მოვკლა, ღმერთს რა პასუხი ვუგოო, არ მოვკლა, და შაჰი მე თვითონ მომკლამსო". (Белок. снош. Росс. съ Кавк. стр. 486—7.)

ნააღმდეგ, რომ მოუღოს ბოლო იმათს რუსეთთან დაახლოვებას, ამა-ვე დროს ჰხმარობს წინააღმდეგ ქართლის მეფე გიორგიზედ, რო-მელმაც ეგრეთვე მიიღო ქვეშევრდომობა რუსეთისა.

აი ამ ქვეშევრდომობის მიღებაზედ, რას ვკითხულობთ იმავე წიგნში „Дипл. снош.“

„კახეთიდამ რუსის მოციქულები წავიდნენ ქართლში გიორგი მე-ფესთან... 28 აპრილს მიიღო ეს მოციქულები გიორგი მეფემ...

„მოციქულებმა მეფეს ჩააბარეს თავისი ხელმწიფის წიგნი. მეფემ მიიღო წიგნი და აკოცა ამ წიგნის ბეჭედს. მოციქულებმა გამოუცხა-დეს, რომ რუსთ ხელმწიფე მზათ არის მიიღოს ის თავის მფარვე-ლობის ქვეშ. გიორგიმ უპასუხა, რომ ის დიდათ მადლობელია ამ წყა-ლობისა და მზათ არის შეასრულოს ხელმწიფის სურვილი მთელი თა-ვისის სახლობით. ამასთანავე მოიხადა ბოდიში, რომ აქამდის თვითონ ვერ აახლა ამაზედ ხელმწიფეს თავისი მოციქულები“.

მაგრამ:

„2 მაისს მეფე გიორგიმ გაუგზავნა რუსთ ხელმწიფის მოცი-ქულებს არხიეპისკოპოზი თეოდოსი, ქსნის ერისთავი—Эристовъ Сонскій—და ერთი შინა მოხელეთაგანი ასლამაზი და შეუთვალა: ის დიდათ დავალებულია და მრავალს მადლობას უძღვნის რუსთ ხელმწი-ფეს, რომ იმან ინება იმისი მეგობრობა და მოყვრობა, იკადრა და თხოულობს იმის ქალს ელენეს—ლელა[1])—თავისის შვილის თევდორე ბორისიჩისათვის. მაგრამ, სამწუხაროთ, იმას ეშინიან, რომ ამ ამბავმა არ აუშალოს იმას სპარსელები და ოსმალები. ეხლაცაო,—შეუთვალა გიორგიმ,—მამა ჩემი და ჩემი შვილები ტყვეთ არიანო ოსმალეთში. მეშინიან, ვაი თუ რუსეთთან დაახლოვებით და დაკავშირებით ავისიო ამისთანა მძლავრი მეზობლები, როგორც სპარსეთი და ოსმალეთიო, და ვაი თუ ამის გულისთვის გაიმეტონ და სრულიად ბოლო მოუღონო საქართველოსაო. ამისგამო სთხოვს მეფე გიორგი,

---

[1]) რომელიც ბოლოს შეირთო შაჰ-აბაზმა და მასუკან კახეთის გამ-გებელმა ფეიქარ-ხანმა და რომელიც აღუთქვა სააკაძემ ზურაბ არაგვის ერისთავს ცოლად.

ეროვნული

რომ რუსთ ხელმწიფეშ ჯერ ამისი ურჩიოს რამე [1]).

„რუსის მოციქულებმა შეუთვალეს, რომ, რაკი რუსთ ხელმწიფემ თავისს შვილს შერთავს ამის ასულს, მაშინ რუსთ ხელმწიფე ყოველი თავისი ღონით და ძალით დაეხმარება იმასა და არავის დააჩაგვრინებს... მოციქულებმა, სხვათა შორის, შეუთვალეს მეფე გიორგის, რომ თუ ის დაუმოყვრდება და დაუკავშირდება რუსთ ხელმწიფესა და რუსეთს, მაშინ დიდს შემწეობას მიიღებს რუსებისაგან: რუსები მისცემენ ყოველს თავის საფარველს, მოაგერებენ ოსმალებსაცა და სპარსელებსაც, ქრისტიანობას აღადგენენ და დაამკვიდრებენ. საბუთად იმისა, რომ ქრისტიანობა მაშინ დამცირებული და შემუსრვილი იყო, მოციქულები უჩვენებდნენ იმ მაგალითზედ, რომ სპარსნი ახდენენ არამც თუ ხორცით და თვით სულითაც ქრისტიანთა ყმაწვილებს, რომელთაც თავალები აძლევენ სპარსთა. ჰნახეთ რა უყვესთ სპარსთა,—უთვლიდნენ რუსის მოციქულები მეფე გიორგის,—კახთა მეფის დავითის ასულს და გურიელის ქალსაო! ისინი ორივენი გააუპატიურა შაჰმა და გაუპატიურებულები გამოგზავნაო. ამის გამო უთუოდ და უთუოდ ურჩევდნენ, რომ უეჭველად მიეცა რუსთ ხელმწიფის შვილისთვის თავისი ასული ელენე და მიეღო ქვეშევრდომობა რუსეთისა. ამასთან ისიც დაუმატეს, რომ რუსებსა და სპარსთ ერთობა და მეგობრობა აქვთ ერთმანერთში და ამისგამო სპარსეთისა გიორგის არ უნდა ეშინოდესო.

„მაშინ,—ამავე Дицлом. сноw. სიტყვით,—სხვათა შორის, მეფე გიორგიმ შეუთვალა: ჩვენს ქვეყანაში ჩვეულება ისრეა, რომ როდესაც ვისმე ქალს სთხოვენ, მთხოვნელებმა სამჯერ უნდა მიუგზავნონ კაციო. ამისგამო რაკი თქვენ მარტო პირველათა ხართ მოსრულებიო, შეუძლებელია ეხლავე ქალის მოცემაო, და საჭიროა, რომ ორჯერ კიდევ მოვიდენო“.

---

[1]) ამ ქალის თხოვნაზედ არის დარჩენილი ძველად ამბავი ქართველებში: გიორგი მეფეს შეუყრია სამსჯავრო სარჩევლად ამ საქმისა. სხვათა შორის ამ ს. მსჯავროს გადაუწყვეტია: „არა ჯერარს ქართველთა მეფისაგან დამოყვრება სკვიტთდამი“.

ბოლოს მაინცა და მაინც დაიყოლიეს მეფე გიორგი [illegible].

„10 მაისს,—ვკითხულობთ ხსენებულსავე წიგნში,—მეფემ მოიწვია რუსის მოციქულები და უბრძანა წაეკითხათ ფიცის ქაღალდი, რომლისაც მიღებას სთხოვდნენ აჰას ისინი. ქაღალდი წაიკითხეს და მოაწერეს ორთავე მხარემ ხელი.

„გამოცილების დროს კიდევ აღუთქვა მეფემ რუსის მოციქულებს, რომ ისა და იმისი სამეფო—ქართლი დარჩებიან რუსთა ხელქვეითად იმ იმედით, რომ რუსთა ხელმწიფე ყოველთვის დაეხმარება და მოსცემს ძალსა საქართველოს მტერთა საძლეველად.

„18 გიორგობისთვეს ელჩები დაბრუნდნენ მოსკოვში და მოართვეს მეფე ბორისს ქართლის მეფის ფიცის ქაღალდი, სადაც ის აღუთქვამდა ქვეშევრდომობას და რომ თავის შვილს ელენეს მიათხოვებდა იმის შვილს თეოდორეს“.

რაც დაჭმართა კახთა მეფეთ ალექსანდრეს და მის შვილს გიორგის, შაჰ-აბაზმა ესევე დაჭმართა ქართლის მეფე გიორგის ამგვარი გადადგომისთვის.

აი რას მოგვითხრობს ამაზედ არაქელ, სომხების მეისტორიე.

„იყო შაჰიაბაზ ერევანს და ებრძოდა ოსმალთა რომელნიც ერევნის ციხში იყვნენ. იგი იყო მდიდარი განძრახვათა შინა ბოროტისასა და განიძრახა შაჰაბაზმა, რათა მეფენი ქართველთანი შეიპყრას, რომლისათვისაც წარჰგზავნა მათთან მომწოდებელი...მოუწოდა გიორგი მეფესა თბილისისასა... როდესაც გაგზავნა მომწოდებელი, შეუთვალა რომ მტკიცედ იყვნენ პირველს პირობაზედ, რომელნიც ჩვენთა წინაპართ დაამტკიცესო. თანამდებ ხამთ იშრომოთ და მოხვიდეთ ჩვენს შესაწევნელად...

„მეფენი ქართველთანი დაბრკოლდნენ ამ ამბავზედ. იმათ არ უნდოდათ მისვლა. მაგრამ, შემდეგ ბევრის მოფიქრებისა და რჩევისა, წავიდნენ... წავიდნენ თავის ნებით კიარა, არამედ ულონობით, რათგან ეშინოდათ, რომ, ვინიცობაა შაჰი მორჩება ბრძოლას ოსმალებთან, გაი თუ მოუბრუნდეს ქართველებს და ქვეყანა აოხროსო... ის კი არ იცოდნენ, რომ ამათი მომავალი იმის ხელით წარხდებოდა“.

„შემდგომ (შაჰ-აბაზმა) გრძნეულობითა და ხელოვნებითა თვი-

სითა სასმელი რაიმე სასიკვდილო მოუმზადა გიორგი მეფესა, რომლითაც ის უნდა მომკვდარიყო შემდეგ რამდენისამე ხანისა. გიორგი მეფემ არ იცოდა მაშინ ამგვარი საქმეები შაჰისა და სჯეროდა გულ-წრფელობა მის ტკბილათ მიღებისა და ქცევისა. შაჰ-აბაზმა სიყვარულით და სიტკბოებით გაისტუმრა გიორგი თავის ქვეყანაში. ის წავიდა ერევნიდამ და რამდენისამე ხანის შემდგომ მოკვდა... ისრე, როგორც უნდოდა და მოუხერხა მას შაჰმა... რათგან ის მოეწამლა შაჰსა“ [1]).

აი ბოლო ამ სამთავე მეფეთა, რომელთაც განიზრახეს გადაგდება სპარსთა და მიკერძება იმ საქრისტიანო სახელმწიფოსი, რომლისაც ასრე ეშინოდა შაჰ-აბაზს.

შაჰ-აბაზი, როგორც შემდეგში უფრო დაწვრილებით ვუამბობთ მკითხველს, ამითი არ ათავებს საქმეს.

ის ჯეროვით სცდილობს როგორმე სხვაფრივ გამოაბრუნოს საქმე, რომ რუსნი და ქართველნი დააშოროს ერთმანერთს, საქართველო მკვიდრათ დაიჭიროს ხელში.

ის სცდილობს ჯერ როგორმე ნათესაობა და მეგობრობა ჩამოაგდოს თავისსა და ქართველთა მეფეთა შორის, რომ ამითი დაიახლოვოს ისინი და მოახერხოს იმათი დაჰმამადიანება. ამის გულისთვის ის ირთავს ცოლათ ჯერ ლუარსაბ მეფის დას ლელას, რომელიც უნდოდათ რუსთა მოციქულებს თავისი მეფის, ბორის გოდუნოვის შვილის თევდორისთვის და რომელსაც რუსები ეძახიან ელენეს; შემდგომ ირთავს თეიმურაზის დას და ბოლოს აიძულებს თეიმურაზს, რომ შეირთოს და ლუარსაბისა ხორეშან. ამითი აბაზი ჰფიქრობდა ორნაირად საქმის მოგებას: ერთი, რომ დაიმოყვრებდა ქართველთ მეფეებს; მეორე—როგორც თეიმურაზი ლუარსაბს, ეგრეთვე ლუარსაბ თეიმურაზის სამეფოებს აგრე ადვილად აღარ შეეცილებოდნენ. როგორც დაახლოვება ქართველებისა რუსეთთან, ისრე შეერთება ქართლ-კახეთისა იყო საშიში სპარსეთისათვის.

მაგრამ ეს არა ჰშველის საქმესა. ვერც თეიმურაზ და ვერც ლუარსაბ ვერ მოიხიბლა. ისინი იდგნენ მტკიცედ ქრისტიანობაზედ. იმათ

[1]) „ივერია“ 1885 № VII.

ეპყრათ თვალი რუსეთისაკენ, იქიდგან ელოდნენ შველას. აბაზი გამოდის მოთმინებიდამ. მაგრამ იმას ჯერ კიდევ არა სცადოს საქართველოსთვის და ჯერ არც საკმაო ძალასა ჰხედავს თავში, მინამ არა სძლევს სხვა აშლილ მტრობასა და არ დაამშვიდებს შინაურს წინააღმდეგთა. მინამ ის სცდილობს ჯერ შორიდამ როგორმე მოუგვაროს და მოუღოს ბოლო ქრისტიანე ბაგრატიონთა, რომ ამათს ალაგს ჩააყენოს გამაჰმადიანებული ბაგრატიონები.

ქრისტიანე ბაგრატიონების მოსაწყვეტათ, არაქელისა და ვახუშტის სიტყვით, შაჰ-აბაზი სხვათა შორის ჰხმარობდა შემდეგს ღონეს. ჯერ მოსწერს ყაზახის ხანს საიდუმლოთ, რომ მოჰკლას ლუარსაბი; ამავე დროს ლუარსაბსა სწერს ეგრეთვე საიდუმლოთ, რომ მოჰკლას ყაზახის ხანი. ლუარსაბ დაასწრებს და მოჰკლავს ყაზახის ხანს.[1] შემდეგ, რაკი აქ ლუარსაბი გადარჩა, აბაზი მოსწერს საიდუმლოთ თეიმურაზს, რომ ლუარსაბს შენი სიკვდილი უნდა და შენი სამეფოს დაჭერაო; მოჰკალ ლუარსაბ და მისი სამეფო შენთვის მომიციაო. რასაც სწერდა თეიმურაზს ლუარსაბზედ, იმავე დროს ლუარსაბს იმასავე სწერდა თეიმურაზზედ და ურჩევდა თეიმურაზის სიკვდილს და ჰპირდებოდა კახეთს.[2] შერმაზან ჩოლაყაშვილის მოწყალებით უტყობენ ამას თეიმურაზიცა და ლუარსაბიც და არ ასრულებენ შაჰის რჩევას.

რაკი ეს განზრახვაც არ უსრულდება და მიეცემა მოცალეობასა, მაშინ შაჰ-აბაზ დაიძვრის საქართველოსკენ. ის შემოესევა საქართველოს, ორთავე მეფეს მიიწვევს მიზანდარანს, ვითომც სანადიროთ. იგივე გონიერი და გამოცდილი გამზრდელი თეიმურაზისა და არჩეული კაცი ქეთევან დედოფლისა, შარმაზან ჩოლაყაშვილი, გააჩენს ორთავე მეფეებს ამ განსაცდელს: იმისი რჩევით ისინი არ მიდიან მიზანდრანს. მაშინ შაჰ-აბაზი შემოუთვლის, რომ სოსმა-დოზედ მივდივარ სომრთაო. თეიმურაზიცა და ლუარსაბიც უჯერებენ. აბაზი მოადგება კახეთს და თხოულობს რომ ორივე მეფენი მოვიდნენ ამასთან დასარწმუნებლათ, რომ ამისა და ამის ჯარებს არა

[1]) ქართლ. ცხ. ტ II, გვ. 37.

[2]) არაქელ, „ივერია“, 1885 № VII.

მჳრებათრა. იგივე შარმაზან გააფრთხილებს ორთავე მეფეთა, და მე-
ფენი არ მიდიან. ისინი გარბიან იმერეთს. ბოლოს ლუარსაბ მარტო
ტყუვდება და მიდის აბაზთან. აბაზი სცდილობს მიაღებინოს ლუარ-
საბს მაჰმადიანობა. ლუარსაბ არ მაჰმადიანდება. მაშინ აბაზი აკვლე-
ვინებს ლუარსაბს. რაკი თეიმურაზი ვერა ცბიერებით ვერა ჩაიგდო
ხელში, მაშინ აბაზი უსევს ამას საიდუმლო მკვლელებს ქუთაისში,
როგორც მოგვითხრობს ამას არაქელ და რომელსაც სრულიად ემოწ-
მება ბახუტაანთ დოკუმენტი, მიცემული მეფე თეიმურაზისაგან 1622
წელსა.

სიტყვით შაჰ-აბაზი ისე ბრუნდება ქართლ-კახეთიდამ, რომ თეი-
მურაზს ვერ ჩაიგდებს ხელში. ჟველა ხელთა ჰყავს: ლუარსაბ, რომელ-
საც არა ჰყავს შვილი, ორი შვილი თეიმურაზისა; თეიმურაზი-და
აკლია.

მაგრამ კიდევ ეს თეიმურაზია, რაც არის. ჯერ—ერთი ესა, რო-
მა ჰყავს ცოლი და შვილოსნობს, მაშასადამე კიდევ მოშენდება ამისი
სახლი, ქრისტეს სარწმუნოებაზედ მდგომი. მეორეც ესა, ის ტრადი-
ციითვე არის მომხრე რუსეთისა. თეიმურაზ ამას იქით უფროც უახ-
ლოვდება რუსეთს. გავარდნილი კახეთიდამ იმერეთში, 1618 წელსა,
თეიმურაზ სწერს რუსთ ხელმწიფეს შაჰ-აბაზზედ საჩივარს, ხელმეორეთ
სთხოვს მფარველობას და აღუთქვამს ქვეშევრდომობას. თეიმურაზი-
საკე შეგონებით, ამგვარსავე წიგნსა სწერენ იმერთა მეფე, გიორგი,
ოდიშის მთავარი, დადიანი, და გურიელი. ამის პასუხათ რუსთ ხელ-
მწიფე სწერს, რომ კისრულობს მათს მფარველობას და იღებს მათს
ქვეშევრდომობას.

და, როგორც მოგვითხრობენ იგივე „Дипл. снош.“, არაქელი და
პეისონელი, რუსთა ხელმწიფემ კიდეც იწყო მფარველობა საქართვე-
ლოსი: გაჰგზავნა მოციქულები სპარსეთს, რომ გამოიხსნას თეიმურა-
ზის დედა და შვილები და მეფე ლუარსაბ ტყვეობიდამ. ეს დახმა-
რება გახდა მიზეზი, არაქელის და პეისონელის სიტყვით, ლუარსა-
ბის სიკვდილისა და თვით ქეთევანის სიკვდილისაცა.

ეს ბოლო ჰქონდა თეიმურაზის მეცადინეობას ლუარსაბისათვის.
ასევე ბოლო ჰქონდა იმის შვილებსა და დედაზედაც ამ ცდას: ქეთე-

ვან აწამეს, შვილები თეიმურაზისა დაასაჭურისეს, რომელთაგანაც ერთი მოკვდა ამ ურჯულო წამებით და მეორე შესცდა [illegible]

თეიმურაზ უფრო და უფრო უახლოვდებოდა რუსეთს, სწევდა ინტრიგებს შაჰ-აბაზის წინააღმდეგ. შაჰ აბაზი აღარა ჰხედავდა საშველს. ქართლელები არ ემორჩილებოდნენ შაჰ-აბაზისაგან დაყენებულს მეფეებს ბაგრატს და მის შემდგომ მის შვილს სვიმონს, რომელნიც იყვნენ გამაჰმადიანებულები, კახელები იასეს, რომელიც მგრეთვე იყო, მაჰმადიანი. შაჰ-აბაზ ჰხედავდა, რომ ერთათ ერთი საშველი-და იყო სპარსთა საბოლოოთ დასახსნელად საქართველოს ამოწყვეტა და მთლათ თავისი მიწა-წყლიდამ საუკუნოთ გადასახლება. ამისგულისათვის იმან კიდეც გამოჰგზავნა საქართველოში უთვალავი ჯარები, რომელთაც, სხვათა შორის, უთავა გიორგი სააკაძე. და თუ აბაზს არ შეუსრულდა აქ თავისი სურვილი, ეს იმიტომ, რომ სააკაძე, გამოგზავნილი საქართველოს მოსასპობლათ სპარსთა ჯარებით, მოევლინა საქართველოს მხსნელად. იმან, ქართველების მაგიერათ, მოსწყვიტა სპარსთა ჯარები და მით იხსნა საქართველო საშინელი განსაცდელისაგან. [1])

---

[1]) სადამდის შიშობდენ რუსეთის მოახლოვებაზედ და სადამდის სძაგდათ სპარსთა ეს ხალხი. სხვათა შორის ჩვენ შეგვიძლიან დავიახოთ შაჰ ჰუსეინის ფირმანიდამ, რომელსაც ისა სწერს საქურის მთავარს ალი ხულთანს 1701 წ. „დღეს შამხალმა შეგვატყობინა, რომ სამოცი ათასი რუსი მოსულა თარქამდის რვა ფარსახის მანძილზედ... ამისთვის გიბრძანებ, მიიღო თუ არა ეს ჩვენი უწმინდაესი ფირმანი, მაშინვე შეჰყარო მთლათ შენი ჯარი და მიეშველო შამხალს, და თუ რუსებმა რამე მტრობა იჩინეს, მაშინვე მისცე მხარი შამხალსა, რომ მოსწყვიტონ ეს შეჩვენებული ტომის ხალხი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შაჰ-აბაზ და სააკაძე.

განგება თითქო ჰპირებსო ქართველთა ძალისა და სპარსთა ძლიერების შეწონვას, ეს ორი დიდებული: სპარსელი, ანუ უკეთა ვთქვათ, გასპარსებული თათარი [1]) შაჰ-აბაზ, და ქართველი სააკაძე გამოიყვანა ასპარეზზედ და ბოლოს დაუპირდაპირა ერთმანეთს. ორივე ეს გმირნი იყვნენ იმ გარემოებაში, რომ ყველა თავისი ძალა და ღონე უნდა მოეყვანათ მოძრაობაში თავისი განზრახვების შესასრულებლად. აბაზისთვის იყო საჭირო საუკუნოთ ბოლო მოეღო საქართველოსათვის, რომ ამითი ეხსნა სპარსეთის სახელმწიფოს საბოლოვო განსაცდელისაგან. სააკაძეს ედვა კისრად ვალი, რომ საქართველო ეხსნა საუკუნოდ მოსპობისაგან. შაჰ-აბაზს ყოველივე უწყობდა ხელს: იყო დამკვიდრებული და სახელოვანი სამეფო გვარის შთამომავალი; იყო თითქმის უწინააღმდეგო მემკვიდრე თავის მამისა, ტახტი და სახელმწიფო ერგო მამა-პაპათგან გაძლიერებული; ტრადიცია, ძალა მეფობისა, ძლიერება სახელმწიფოსი, უძლურება მტერთა—ყველა იყო დამხმარე აბაზის გაძლიერებისა. სააკაძე იყო უბრალო აზნაური, მას ჰყავდა მტრად თავისივე მეფენი და სამეფოს დიდებულნი; იყო შვილი პატარა ხალხისა, მთლად მოუძლურებული ქვეყნისა; ის უნდა გამკლავებოდა გარეთ იმ გვართ ძლიერთ მტერთა, როგორც სპარსეთი, ოსმალო და სხვა; უნდა გამკლავებოდა შინაურს ღალატს, შინაურს არეულობას, გარეულს ცბიერებას. ამას ყველა ამისთვის უნდა გაეწია ბრძოლა ცარიელი ხელით.

---

[1]) შაჰაბაზი იყო შთამომავლობით ადერბილერი თათარი, შიხის შთამომავლობისა, სეფის გვარისა. სპარსნი არ უდებდნენ რიგიანად თავს, რისგამოც ამას თავის ჯარში დიდძალი უცხო ტომის ჯარი ჰყავდა, სხვათაშორის, ბოლოს ოცდა ათი ათასი ქართველი. თვით აბაზი იყო დედიდამ ქართველის შთამომავალი. იმისი ბებია, შაჰ-თამაზის ცოლი, იყო ასული ოთარ შალიკაშვილისა, რომელიც იყო სახელოვანი სახელმწიფოს მმართველი კაცი სამესხოში.

მარტო თავისი გონება და მკლავი იყვნენ ამის იმედნი, ამისი შემწენი. თქმა არ უნდა, ბრძოლა იყო უსწორო. მაგრამ, ქართლმა დაიჩენიყო: ან ბრძოლა და გამარჯვება, ან გმირულად სიკვდილი მთელი საქართველოს სახსნელად. და გაიმართა ბრძოლა ორს ლომს შუა...

რომ უფრო კარგათ გავიცნოთ, რა დროს და რა გარემოებაში შეხვდათ მოქმედება ერთს სახსნელად და მეორეს საქართველოს მოსასპობელად, საჭიროა მოკლეთ მაინც არის გადავავლოთ თვალი, საიდამდის იყო მიღწეული საქართველოს შინაური საქმეები.

იმ სისტემატიურს ზნეობრივს გახრწნილებას, რომელიც ბიზანტიას შემოჰქონდა თავის საბატონოდ საქართველოში, ამ იმპერიის დაცემის უკან, დაერთო ბარბაროსული პოლიტიკა მანღულებისა—ანუ მუღანლოებისა ანუ როგორც დღეს ვეძახით თათართა[1]) საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას მოუღო ბოლო მანღულთა ხანებისა ანუ ყეენების პოლიტიკამ. იმათ მარჯვეთ ისარგებლეს საქართველოს მეფეების შეცთომებით—საქართველოს რამდენსამე ნაწილად დაყოფით. რაკი ეს დაყოფა მოხდა, მანღულნი, როგორც მეუფენი საქართველოსი, სცდილობდნენ, ეს შეერთება აღარა მომხდარიყო.

საქართველოს ბოლოს მოღება იწყობა სწორედ იქიდან, როდესაც ვერ იცნეს საქართველოს დიდებულთა გონივრული მოქმედება რუსუდან დედუფლისა, და იძიეს შური ეგარსლანზედ. რომ საქართველო ორად არ გაყოფილიყო, რუსუდანს უნდა დაეთმო ან შვილი ან ძმისწული, დავით, შვილი ლაშასი. თქმა არ უნდა, არჩია დათმობა ძმისწულისა. ამან თავისი ძმისწული გაისტუმრა თავის სიძე ყიასდინ სულთანთან ბოლოს მოსალებათ. მაგრამ, როდესაც დავით, შვილი რუსუდანისა, წავიდა ბათო ყაენთან ჩინმაჩინს, ჩინეთის სამძღვარზედ, საქართველოს დიდებულთა არ დაუდეს თავი ეგარსლანს, რომელიც იყო რეგენტათ დაყენებული დავით, რუსუდანის შვილის მოსვლამდის; ითაკილეს, ჩვენზედ მდარე კაცის შვილი რათ უნდა იდგეს ჩვენზედ მაღლაო, და წავიდნენ ყაისდინ სულთანთან ლაშა გიორგის შვილის საძებნელად; იპოვნეს და მოიყვანეს. მაშინ გაიყო საქართველო

[1]) თუმცა მანღოლნი და თათარნი სხვა და სხვა არიან.

ორად—ამერად და იმერად. იმერეთის მხარე დაინარჩუნა რუსუდანის შვილმა დავით ნარინმა და ამერი ლაშას შვილმა, დავითმა. გაიყო ორად საქართველო და თათარნი უფრო გაძლიერდნენ. თუმცა ამბობს ქართლის ცხოვრება, რომ ორთავე დავითები ტკბილად და სიყვარულით სცხოვრობდნენო, მაგრამ ჩვენ ამას არა ვხედავთ. მაშინ, როდესაც იღებდნენ თათარნი ამერთა, იმერნი ხელსაც არ ანძრევდნენ; როდესაც იკლებდა მტერი იმერთა, ამერნი შორიდამ სეირს უყურებდნენ. აქედამ იწყობა დანაწილება ანუ, როგორც ვახუშტი ამბობს, დაკნინება საქართველოსი.

რაკი ის დანაწილება მოხდა, გაძლიერდნენ მთავარნი. რაკი მთავართ ამ საქართველოს მოუძლურებით ძალა მოიპოვეს, მაშინ თათართ საქართველოს მოსაუძლურებლათ მისცეს ძალა და მხარი საქართველოს სხვა-და-სხვა მთავართა და დიდებულთა, რომელნიც არ უდებდნენ მეფეებს თავს, არა ნდომობდნენ საზოგადო ულღის გაწევას; იღებდნენ იმათ მეფეთა თანასწორად, იწყნარებდნენ მეფეებზედ იმათს საჩივარს, აძლევდნენ შემწეობას მეფეების საძლეველად და ქვეყნების საოხრებელად. ამ პოლიტიკამ მოიტანა თავისი ნაყოფი. საქართველოს დიდებულნი, რომელნიც მოაუძლურეს დავით აღმაშენებელმა და გიორგი მეფემ, თამარის მამამ, გაძლიერდნენ კვალად, მოიგდეს ძალა ხელში. გახდნენ სრულ მეფეებათ თავის სამთავროებში, ებრძოდნენ ერთმანერთს, ებრძოდნენ მეფეებს, ებრძოდნენ მთელს საქართველოს; აძლევდნენ საქართველოს მტრებს მხარსა, მოჰყავდათ მტერი შუაგულს საქართველოში. სიტყვით. ყოველივე გაიღრწნა, ყოველივე დაეცა, იწროეგოისტური შეხედულობა გახდა ხელმძღვანელი საქართველოს დიდებულთა, საქართველოს თავს მდგომი წოდებაებისა. ზრუნვა ერთობისა, ზრუნვა ქვეყნისათვის თან-და-თან იხშობოდა და უძლურდებოდა. გაძლიერდნენ მთავარნი, დაეცნენ მეფენი, დაეცა ხალხი; მრავალი მდაბიო ქართველობა გარბოდა თავისს ქვეყნიდამ დაღესტანში, სათათრეთში, რჩებოდა გათათრებას, გალეკებას შინაური კლება ოხრებისა და დაუსრულებელი ხარჯისა და ბეგრების ატანას... სიტყვა ბოდბელისა: „თუ მე არა ვიქნები ქვა ქვაზედაც ნუ იქნება“ გახდა უმთავრესი ხელის მძღვანელი ქართველთა წინამძღოლებისა.

ბიბლიოთეკა

სადამდის მიაღწია ამ გვარმა საქმეებმა, სხვა აუარებ[illegible]თა შორის გვიჩვენებენ შემდეგი მაგალითნი.

ქართლის ცხოვრება მოგვითხრობს შემდეგს ამბავს. ბითო ყაენმა, დავით მეფის, ლაშა გიორგის შვილის, მეფობის დროს, მოახდინა აღწერა ქვეყნის ხარჯის დასადებლად, რომლისათვისაც წარავლინა კაცნი: „რუსეთსა, ხაზარეთსა, ოვსეთსა, ყივჩაყეთსა, ვიდრე ბნელეთამდე და აღმოსავლეთსა, ვიდრე ჩრდილოეთამდე და ხატაეთამდე“. რა თქმა უნდა ამ აღწერამ, ანუ, როგორც ქართლის ცხოვრება უწოდებს, აღთვალვამ მოაღწია საქართველომდისაც. „და იწყეს აღწერად კაცთაგან და პირუტყვთამდე, ვენახამდე და წალკოტით ბოსტნამდე და ცხრასა გლეხსა სრულისა მიწისა მქონებელსა ერთი ლაშქარსა წარმავალი კაცი შეაგდიან... „ამ აღწერილობით ქართლ-კახეთიდამ უნდა გასულიყო საომრად და მუდამ მანღოლთა ანუ თათართა ჯარში ყოფილიყვნენ ოთხმოცდაათი ათასი კაცი—„ცხრა ბევრი“—ხარჯი თვითო სოფელს ხვდებოდა: ასი ცხვარი, ას რვა დრაჭკანი – ფული, —ოცდა შვიდი თეთრი—ფული—ცხენის ქირა. გარდა ამისა, სადაც რაც უნდა გაუიდულიყო, ასზედ სამი სათასური ამ გასყიდულისა იყო ყეენისა, იქამდის მივიდა საქმე, რომ: „თუ სამზარეულოსა მეფისასა ცხვარი, გინდა კრავი ისყიდებოდა, მასზედაც ხარაჯა წარუღიან, რომელსაც იგი ტაღმად უწოდდეს“. ამავე დროს ქართლის ცხოვრება მოგვითხრობს, რომ ჯარში წაუვანით ქართველებს სხვა ხალხებზედ მეტი ძალა ადგათ, რადგან ქართველები სხვებზედ კარგად იბრძოდნენო. ყეენა ეს ვერ აიტანა ქართლ-კახეთის მეფე დავითმა და, როდესაც ყაენი ულო აიმხედრა მისრეთის სულტანზედ და მოსწერა ბრძანება ამასაც, რომ ესეც ამხედრებულიყო და წასულიყო, ეს გადუდგა ყეენს, ავიდა სამცხეს სარგის ჯაყელთან და არ წაჰყვა მისრეთში საომრად. მაგრამ ქართლ-კახეთის მთავართა და დიდებულთ ყურიც არ უგდეს მეფის დიდებულს და საქებურს თავგამოდებას. იმათ შეჰკრიბეს თავისი სამთავროების ჯარები და წაჰყვნენ ყეენს ულოს. ის გამარჯვებული დაბრუნდა უკან. აქედამ დაბრუნებულმა, გაუსია ოცი ათასი ჯარი სამესხოში დავით მეფეს და სარგის ჯაყელს. ყეენის ჯარში იყვნენ ქართლ-კახეთის დიდებულნიც. მეფემ შეჰკრიბა მარტო რვა ათასი კაცი „ვინცა

დადგრომილიყო ერთგულებასა ზედა მისსა". ამათ გაუძღვა სარგის ჯაყელი: „კაცი მხნე, შემმართებელი, მრავალჯერ გამოცდილი და სახელოვანქმნილი წყობათა შინა, ტანათ ახოვანი, ხელოვნად მბრძოლი ცხენსა ზედან, მხნე მოისარი". სარგის ჯაყელმა საშინლად დაამარცხა ამ მცირე ჯარით ჯარი თათართა. ზარდაცემულნი თათარნი სრულიად დაიძრნენ და აპირებდნენ სულ გაქცევას საქართველოდამ. „გარნა აუმნებდნენ ქართველნი წარჩინებულნი და ეტყოდეს: ქართველნი მეცნიერნი ვართ ომისა მათისანი. ჩვენ ვიბრძოდეთ მათ წილ. და ესრედ ძლიით არწმუნეს და დადგა ადგილსა მას ზედა, რომელსა დაებანაკა და განაწყო მხედარნი თვისნი." აქ ქართველთ დიდებულთ თავისებურათ გააწყეს ჯარი და საშინლათ დაამარცხეს თავისსავე მეფის ჯარები. შეესივნენ და აიკლეს სრულიად სამესხო, დაამონეს თავისი მეფე თავისს ქვეყნისა და ხალხების მტყვევნელს თათართა ყაენს.

მერე მაგალითს მოვიყვანთ უცნობი ავტორის ისტორიიდამ, რომელიც არის დაბეჭდილი „ქართლის ცხოვრების" II ნაწილში. როდესაც დიდი სვიმონ მეფე დაატყვევს სპარსთა და წაიყვანეს ისპაანს „ცოლი მეფისა სვიმონისა, დედოფალი ნესტან დარეჯან იყო კავთის ხევს და ჰყვა ძე ერთი, რომელსა ეწოდა გიორგი, და ოდეს დაიდასტურეს ქსნის ერისთავმან და ამილახვარმან ტყვეობა მეფისა სვიმონისა და სიკვდილი ცოლის ძმებისა მისისა კახთ ბატონისშვილებისა, მაშინ განარისხეს ღმერთი, სძლია ანგარებამან და ვერცხლის მოყვარებამან, შეესივნენ დედოფალსა ნესტან დარეჯანს და იავარ-ჰყვეს საუნჯენი მისნი და წარიღეს ყოველივე, რაცა აქვნდათ მეფისა სვიმონისა და დედუფლისა ნესტან-დარეჯანისა, და მიმოაქვნდათ ყოველთავე დიდთა და მცირეთა". 1)

ამავე ხანებში, მოგვითხრობს იგივე უცნობი ავტორი—მასთან ვახუშტიც.

„ხოლო კახსა ბატონს ალექსანდრეს ესვა ცოლად ასული ამილახვრისა, თინათინ და ესხნეს ალექსანდრეს ხუთთ ძე: დავით, ერეკლე, გიორგი, კონსტანტინე და როსტომ... ხოლო ძე მისი ერეკლე ურჩ ექმნა მამასა თვისსა ალექსანდრეს და წარვიდა სტამბოლს. მაშინ მოუს-

1) „ქართლის ცხოვრება". ტ. II, გვ 287.

მა შაჰ-თამაზ და წარმოუმართა, რამეთუ ჰგონებდა განდგომილებასა ალექსანდრესსა და მოვიდა სპითა ურიცხვითა ყარაბაღს და შეწუხნა ფრიად ალექსანდრე. მაშინ სახლთ უხუცესმან ჩოლოყაშვილმან მოიპოვა ღონე რაიმე... ხოლო მას ჟამსა გარდაცვალებულიყო ათაბაგი ქაიხოსრო და იპყრობდა ძე მისი მცირე მანუჩარ. მაშინ წინაღრჩევითა ჩოლოყაშვილის სახლთ-უხუცესისათა წარავლინეს კაცი და მიუწერეს დედის-იმედისა, მეუღლესა ქაიხოსრო ათაბაგისასა, ესრედ: „ვითარმედ შალიკაშვილს ვარაზს ჰნებავს ღალატი შენთვის და ძისა შენისა მანუჩარისათვის, რამეთუ მაგას ჰნებავს დაპყრობა საათაბაგოსი და მოჰკლავს ყეენი სპითა ურიცხვითა საათაბაგოსა ზედა და აწ უკეთუ ძალგიძს შეიპყარ ეგე და მოჰკალ, ვითარცა ორგული და მკვლელი ძისა შენისა და აღარა მოვალს მაჰ-თამაზ და წარვალს სახით (სახლსა) თვისად და უმეტესად მტკიცედ იპყრობ ქვეყანასა მაგას“. ხოლო ესე დედის იმედი იყო ჭკუით სულელი და ულმობელი. ვითარცა ესმა საქმე ესე, ვერ გულის ხმა-ჰყო მზაკვარება იგი კახთა და სარწმუნო ქმნილმან სიტყვისა ამას ზედა, შეიპყრა ღალატათ შალიკაშვილი ვარაზ და მოჰკლა იგი და დასთხია სისხლი უბრალო, რამეთუ ესე ვარა იყო ძე ოთარ შალიკაშვილისა, მრავალგვარათ ერთგული და ნამსახური ქაიხოსრო ათაბაგისა და ცოლის ძმა შაჰ-თამაზისა“.

„ხოლო ესმა შაჰ-თამაზს სიკვდილი ვარაზისა, განრისხდა ფრიად, მაშინ არღარა მოვიდა კახეთსა ზედან, არამედ მოვიდა რისხვითა საშინელითა სამცხეს. ამოსწყვიტა სრულიად საათაბაგო და ჰქმნა მრავალი ზოროტი“ [1])

სამწუხაროა, არამც თუ საქმით, გასაგონათაც კი ამგვარი ძმობისა და ერთობის დავიწყება და ღალატი, მაგრამ დაუგდოთ ყარყესებს ყური, თუმცა მკითხველს იქნება ვერც კი წარმოუდგინოს ყარყესოროგორც უყურებდნენ მეფენი მაშინ არამც თუ მოძმე ერს, და თვით იმ ერს, რომელიც შეადგენდა ამათს სამეფოს, ამათ ზრდიდა და ინახავდა, გვიჩვენებენ შემდეგი მაგალითნი მოყვანილნი ქართლის ცხოვრებაში ორს სახელოვანს ქართლისა და კახეთის მეფეზედ ალექსანდრე მეორესა და სვიმონ პირველზედ, რომლებსაც მოუსწრო სააკაძე.

[1]) „ქართლის ცხოვრება“ ტ. II, გვ. 288—109.

„რამეთუ ესრედ შენ (გამეხებული) იყო კახეთი, ვითარცა [illegible] (ძვირად ან ძნელად) სადმე იპოვებოდა სანადიროთნი, და ალექსანდრე (კახთ მეფე) ფრიად მოყვარე იყო ნადირობისა, რამეთუ იტყოდაცა: „ახ, ნეტარძი (ნეტავი) ოხერ მექმნეს (გამითხრდეს) კახეთი, რათა მპქონდეს სანადიროთნი მრავლად“ [1]).

ესეც კიდევ ცოტაა იმ ურცხვებასთან, რომელსაც ვკითხულობთ კიდევ ქართლისავე ცხოვრებაში.

„მხოლოდ კახთა ბატონს ალექსანდრეს აქვნდა შური ქართლის მეფის სვიმონისა,—სვიმონ იყო დისწული ალექსანდრესი,—თავის დის გამო... შეუტყობრად მიუხტა სპითა დიდითა დიდომს მდგომს სვიმონ მეფეს. მაშინ სვიმონ ივლტოდა უსპოობისა გამო (უჯარობისგამო) და ალექსანდრემან იავარ ჰყო დედუფალი, და თვისი და ნითხავი მისი თვითონ აიცვა შუბსა ზედან და წარვიდა“ [2]).

სვიმონ მეფე, ესრედ წოდებული დიდ სვიმონად, მართლაცა დიდი მრავალი და დიდი ვაჟკაცური საქმეებისთვის, მოადგა გორს, სადაც იდგნენ ოსმალნი.

„ჯდა რა გორის ჯვარსა, შთანთქა ორიაქი და სვა ღვინო. მოიხსენა მწვანილი მტილთაგან (ბაღებიდგან), მეტყველმან სპათა თვისთა: „არა არს თუ სირცხვილი თქვენდა, რამეთუ მწებავს მწვანილი, ვხედავ თვალითა და ვერ მიგემებიეს“! ამისა მსმენელნი სპანი განჯიდნენ გორს, რათა მოიღონ მწვანილი. მოუტევნენ ციხიდამ ოსმალნი და იქნება ბრძოლა და მოსწყდნენ მრავალნი ოსმალნი. არამედ უფროსად მოვრიდიან (ოსმალნი) ციხიდამ თოფ—ზარბაზნითა. მაშინ მოჰკლეს ძმისწული მეფისა გოჩა, სპასპეტი მოწინავისა, მოართვეს მწვანილი მეფეს და აყვედრეს მოწყვეტა სპათა მისთვის“ [1]).

---

[1]) „ქართლის ცხოვრება“ ტ. II გვ. 110.

[2]) „ქართლის ცხოვრება“ ტ. П, გვ. 29. ამასვე მოგვითხრობს უსახელო ავტორი „ქართლის ცხოვრებისა“: „მაშინ შეესია (მეფე ალექსანდრე) და იავარ ჰყო საჭურჭლე და ბარგი მისი და სირცხვილთა საფარველი დედუფლისა, დისა თვისისა, თვით მანვე ალექსანდრემ აიცვა წვერსა ზედან შუბისა თვისისა, და ჰქნა მრავალი უკადრისი. “(ქართლის ცხოვრება“ ტ. II, გვ. 246).

[3]) „ქართლის ცხოვრება ტ. II გვ. 33.“

„არამედ ლევან დადიანი არა დაცხრა და უხდებოდა მაცხოვრის შობას, ნათლის ღებას, აღდგომას და ყოველთა დღესასწაულთა შინა, ვინადგან უწყოდა დღესასწაულთა შინა განცხრომა, შვება და მოც'ლეობა იმყოფის მოსვენებისთვის... განზრახვით პაატა წუწკისათა (წულუკიძე იყო), რამეთუ სძულობდა ცოლი დადიანისა პაატას და მტერობდა მას წუწკი. ამისგამო შეუთქვა (შესწამა) ლევან დადიანმან ცოლსა თვისსა სიძკა მეწინდისათანა თვისისა, შეიპყრა იგი ძეებითურთ, შთადვა ზარბაზანსა შინა და განტყორცნა და გაიფანტნენ სრულიად“ [1]).

აი რას მოგვითხრობს ფარსადან გორგიჯანიძე, თვითონ მომსწრე და დამსწრე ამ ამბებისა. როსტომ მეფე კვდებოდა უშვილოდ. ქართლიცა და კახეთიც იმას ეჭირა ამ ხანად. ორივე სამეფო შეაერთა როსტომმა. სიკვდილის ხანებში ჰკითხავს ქართლ-კახეთის დიდებულთა: ვინ დასვას მეფეთ და ვის მისცეს მეფობა თავის სიკვდილის შემდგომ. ზაალ არაგვის ერისთავი და ელიზბარ ქსნის ერისთავი, რომელთაგანიც ზაალ მთელს კახეთს განაგებდა თითქმის, აი რა პასუხს აძლევენ ამაზედ მეფე როსტომს ქართლ-კახეთის მაგიერად: „რა თქვენ ცოცხალი ბრძანდებით, შენს მეტი პატრონი არ გვინდა, და თქვენს უკან სხვას საქართველოს პატრონს ჩვენ ყმობას არ უზავთ. ჩვენი ბატონი ყეენი არის“ [2])

გადავიდეთ ახლა სხვა ცნობაებზედ! აი რასა სწერს მეფე თეიმურაზ პირველი რუსთა ხელმწიფე მიხეილ თეოდორეს ძეს 1636 წ.

„დადიანმა [3]) მოჰკლა თავისი ბიძა, გაუშვა კანონიერი ცოლი და შეირთო ცოლად ცოლი თავისი ბიძისა. ყოველ წლივ ჰყიდის სოსმა-

---

[1]) „ქართლის ცხოვრება“ ტ. II, გვ. 199.

[2]) „ქართლის ცხოვრება“ ტ. II. გვ. 504.

[3]) აქ დიდს ლევან დადიანზედ არის ლაპარაკი. სადამდის იყო ჩვენი ძველების ძვალსა და რბილში გამჯდარი ვანდალიზმი, ამას გვიმტკიცებს ეს საოცარი კაცი. ამ საქმეების ჩამდენი, რასაც აქ იმაზედ ვკითხულობთ, იყო ამასთან დიდე`ული მმართველი და ითვლება ერთ უკეთეს კაცთმოყვარე მთავრად. აი რას ვკითხულობთ არქანჯელო ლამბერტის საუცხოვო წერილებში პაპთან. ეს ლამბერტი იყო კატოლიკეთა-

ღოში ათი ათასიდამ—თხუთმეტ ათასამდის ქრისტიანთა ყმაწვილებს ტყვეთა, რისაც მოწამე არის მთელი ქვეყანა... სულთანს და ვეზი-

მოძღვრების მისიონერად სამეგრელოში ლევან დადიანის დროს და სცხოვრობდა აქ დიდს ხანს.

„მისი საქმეები,—სწერს ის,—ცხადად გვიჩვენებენ, რომ ეს მთავარი ჩვენს განათლებულს ქვეყანაში რო აღზრდილიყო, ჩვენი საუკეთესო მასწავლებლებისაგან სწავლა-განათლება მიეღო, ვერც ერთი მთავარი ამას ვერ აჯობებდა. უმოძღვროთ, უოსტატოთ, მხოლოდ ბუნებით შეუთვისებია მას მარად საქებური ზნე-ჩვეულება. საჭმელში დიდი ზომიერია. ღვინით დამთვრალი არას ოდეს არ უნახავთ...“

„უსაქმურათ ხომ იმას ვერას ოდეს ვერავინ ჰნახავს. კაცი მუდამ დაუღალავად ჰშრომობს. ლაშქრობაში სწრაფია, ჩუმი და მხნე. ამიტომ ყოველს ომში იმარჯვებს. ისრე უყვარს თავისი ქვეშევრდომნი, რომ, როდესაც კი იმათ რამე მწუხარება მიადგებათ, ან ანუგეშებს მამობრივი სიყვარულით, ან ამოუჩენს საჭირო შემწეობას. ისრე ზრდილობიანად ექცევა თავის კარის კაცთ, რომ ყველა მათგანი დარწმუნებულია, რომ სხვებზედ დაახლოვებული მე ვარო. ამისგამო ყველას ესრე უყვარს ისა, რომ არც ერთი იმათგანი იმისათვის სიცოცხლეს არა ჰზოგავს. მეხსიერება საოცარი აქვს... ქვეშევრდომთათვის ისრე თავდადებულია, რომ ესაია წინასწარმეტყველის სიტყვას გაგონებს იმ მთავარზედ, რომელიც ამბობს: „არა ვიყო მე თქვენდა წინამძღვარ. რამეთუ არა ვარ მე მკურნალი და არა არს სახლსა ჩემსა პური, არცა სამოსელი“ ამ ადგილიდამა სჩანს, რომ ძველად მთავართა მოვალეობა იყო ეზრუნათ თავისი ხალხისთვის საზრდო, ტანისამოსი და წამლობა. ეს მოვალეობა ჩვენს ქვეყანაში სრულიად გადააგდეს. მაგრამ დადიანი კი თავის ქვეყანაში მტკიცედ ადგია ამ მთავართ მოვალეობას... წამლებს თვითონვე აკეთებს და თვითონვე სწამლობს სნეულთა. წამლები გზაშიაც თან დააქვს და ყველა ავადმყოფს თვითონვე სწამლობს.“

„ვინც უნდა მივიდეს მის სასახლეში, ყველას სრულიად უსასყიდლოთ ეძლევა საზრდო... სუფრაზედ როცა დასხდებოდნენ, ყველას, სუფრაზედ მჯდომს თავისი ხელით სთავაზობდა საჭმელს, ასრე რომ ზოგჯერ თავისთვის აღარა რჩებოდა-რა. თავისი ხალხის ჩაცმა-დახურვისათვის დიდათა ჰზრუნავს. კონსტანტინეპოლიდამ და სპარსეთიდამ იბარებს იმათთვის საქონელს... იმიტომაც დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ის სწორეთ ღირსია მთავრობისა, რათა ჰკურნოს თავისი ერი და მოუპოვოს პური და სამოსელი...“

რებს წელიწადში უგზავნის თითოს ას ოცს ყმაწვილს ფეშქაშად. ამავე დადიანმა დასთხარა თვალები მამია გურიელის შვილს სვიმონს, რომელიც არის ჩემი შვილის-შვილი, წაართვა სამთავრო და მისცა არხიეპისკოპოზს, რომელიც გახადა მთავრად გურიისა. ეხლა ის არ-

---

„ფრიად მოყვარული ა მართლმსაჯულებისა. ამ ჟამად ველარ გაიგონებთ მის საბრძანებელში ისეთს ქურდობას, როგორც აქამდის იყო. უწინ ძლიერი მებატონები კანონს არ ემორჩილებოდნენ, უძლურებს ისაკუთრებდნენ და უცხოველს, ვინც კი კოლხიდაში (კოლხიდას სამეგრელოს ეძახის. როგორც ეტყობა კოლხიდა იმას მარტო სამეგრელო ჰგონია) მოვიდოდა, სცარცვამდნენ. ახლა კი ისრე შეშინებულნი არიან, რომ ველარც უცხოველთა სცარცვამენ, ველარც უძლურთ აწიოკებენ“.

„დადიანს ფრიად პოლიტიკურად უჭირავს თავი ოსმალთა შესახებ. იცნობს ოსმალთა მტარვალობას და იცის რაოდენი მეზობელი ქვეყანა დაიპყრეს და შთანთქეს. რომ ამისი ქვეყანაც არ გაანადგუროს, დადიანი სცდილობს მათი გულის მოგებას და მათთან დამეგობრებას; ამასთან ისრე ღირსეულად უჭირავს თავი, როგორც შეჰფერის დიდებულს მთავარს. თუმცა მცირეოდენ ხარკს აძლევს, მაგრამ არავითარს ოსმალთა ბრძანებას არ ასრულებს“.

„რაოდენიმე წლის წინად სულთან მურადმა, როდესაც ის ეომებოდა სპარსთა, შემოუთვალა ამას, რაკი სპარსეთი შენზედ ახლოა, და შენ ჩემი მოხარკე ხარ, უნდა შენი ჯარით მომეშველოვო. ამაზედ დადიანმა უპასუხა, არაოდეს არც მე და არც ჩემს წინაპრებს არ ედო ვალად თქვენი ომში სამსახურიო. ხარკს იმიტომ კი არ გაძლევთ, რომ თქვენ ჩვენს ბატონად გიცნობდეთო, იმიტომ გაძლევთ, რომ ჩვენს ქვეყანას ჯარი არ შემოუსიოთო. თუ თქვენ ამის მეტს რასმე მოითხოვთ, მაშინ ამ ხარკსაც აღარ მოგცემთ, რასაც აქამდის გაძლევდით, და თუ ძალის ხმარებას მოინდომებთ, დარწმუნდით, რომ ჩემი ჯარით შემიძლიან ჩემი ქვეყანა დავიცათ თქვენი მძლავრობისაგანაო“.

„დადიანმა სრულიად განაახლა ქვეყანა იმით რომ მრავალი უცხო ხალხი მოიწვია, უფრო სომხები და ურიები, რომელნიც დიდს ვაჭრობას ეტანებიან. მათ მისცა ცხენები და ფული, გაჰგზავნა სპარსეთსა და ოსმალეთში, რომ ამ ქვეყნებიდამ მოეტანოთ სავაჭრო საქონელი, რომლისაც სახელები აქამდის არც კი გაეგონათ. აქამდის ვაჭრობაში ფულის ხმარება არ იცოდნენ მეგრელთა და თავის ნაწარმოებს ერთმანეთზედა სცვლიდნენ. ახლა კი მთავარმა გამართა ზარაფ-ხანა, სადაც სჭრი-

ხიუპისკოპოზი ყოველ წლივ ჰყიდის საოსმალოში ათი ათასიდამ თორმეტ ათასამდის ქრისტიანთა ყმაწვილებსა და უგზავნის სულ-თანსა". [1])

ამასვე მოახსენებენ რუსთა ხელმწიფეს რუსების მოციქულები: თეოდორტე ელჩინი და მღვდელი პავლე:

„ლევან დადიანი და თვით უპირველესი სამღვდელო პირნი ჰყიდიან ქრისტიანთა ტყვეებს საოსმალოში, ჰყიდიან თავისსავე საყმოს შვილებს საოსმალოსა და სპარსეთში, ეს არც სათაკილოთ, არც სირცხვილად არ მიაჩნიათ. იმითი მართლულობენ თავს, რომ უამისოთ ჩვენ ცხოვრება არ შეგვიძლიანო" [2]).

ეს ყველა ცოტაა იმ ამბავთან, რომელსაც ეს მოციქულები აქვი მოახსენებენ თავისს ხელმწიფეს:

„როდესაც ლევან დადიანსა და იმერთა მეფეს ალექსანდრეს ჰქონდათ ერთმანეთში ომი, ლევანმა დაიჭირა ალექსანდრე მეფე ტყვეთ. ალექსანდრე გამოისყიდეს თვისმა შვილებმა და ხალხმა. ამაში მისცეს დადიანს ორმოცდაათი ური და სომეხი... პირველად ამ სომხე-ბისა და ამ ვაჭრებისაგან გაჩნდა ალებ-მიცემობა სამეგრელოში" [3])...

„კოლხიდაში ამბობენ,—მოგვითხრობს არქანჯელო ლამბერტი,

ან ფულს... თავის ქვეყნის წარმატებისათვის დიდ-ანი დიდის სასყიდლე-ბით იზიდავს და იწვევს უცხო ქვეყნების ხალხს, მეტადრე ხელოსნებს, რომ ეს მოწვეული ხალხი დარჩეს აქა და აღარ წავიდნენ აქედამ, ის აძლევს ამათ სახლკარს, მიწა-წყალს, და ყველა მას, რაც ამათთვის სი-ცხოვრებლად საჭიროა [4]) და სხვა ამგვარები. (ჟურნ. „ივერია" 1900 წ. №№ V, გვ. 9—14)".

**შენიშვნა.** უნდა მოვახსენო მკითხველ, რომ ამ ციტატებში ზოგ-ჯერ სიმოკლისა და აზრთ სიმარტივესთვის ზოგი ალაგები შემოკლე-ბით მომყავს.

[1]) Переп. Груз. царей съ Русск. Государ. გვ. 22—24.

[2]) Дипломатичеткія сношенія Грузин. царей съ Русск. Госуд. стр. I, V.

[3]) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ დადიანმა ალექსანდრე კი არ დაიჭირა ტყვეთ, დაიჭირა მამა ალექსანდრესი, გიორგი, იმერეთის მეფე, და ალექ-სანდრემ გამოიხსნა.

რომ დადიანის (ლევანის) გული იქამდის გაბოროტდა, რომ თავისი შვილები, რომელიც პირველი ცოლიდამ ჰყავდა, მოსწამ[illegible] ქრობენ, ასეთი მტარვალობა თავისი მეორე ცოლის შთაგონებით ჩაიდინაო. („მოამბე“ 1900 წ. № 5, გვ. 7).

ამაზე უარესებს გკითხულობთ ამავე ლამბერტის წერილებში სამეგრელოზედ, რომელნიც გვიჩვენებენ, რა გახრწნილებამდის მივიდა ჩვენი ქვეყანა, რა თვის მოსპობის გზაზედ ვიდექით და ჩვენვე ვუღებდით ჩვენს თავს ბოლოსა.

„ჩვენ მოვთვალეთ,—გვიანბობს ისა,—ყოველნაირი ქურდობანი, რომელნიც კი მოიპოვებიან სამეგრელოში. გარდა ამისა არიან აქ იმისთანა ქურდებიც, რომელნიც იპარამენ კაცებს, ქალებს, პატარა ბავშვებს და ჩუმათ ჰყიდიან ოსმალებში, მუდამ ვაჭრობენ ტყვეებით... აქ მოჰყავთ გასასყიდათ ტყვეები ქართლიდამაც, კახეთიდამაც, აფხაზეთიდამაც და ყველანი ისრე არიან ამ საქმეში დახელოვნებულნი, რომ ადვილად იპარამენ კაცებსაც და ქალებსაც, დიდებსაც და პატარებსაც. ეს აფაზაკები ხშირად თავს ესხმიან ღამე თავის მეზობლებს, კარებს უნტვრევენ და ვისაც მოასწრობენ, იჭერენ, შეჰბოჭვენ და მიჰყავთ ქობულეთში გასასყიდათ“ („მოამბე“ 1900 წ. № 10, გვ. 59—60).

„მე ხომ დიდს ხანს დავრჩი სამეგრელოში, სწერს იგივე ლამბერტი,—და დარწმუნებით ვამბობ, თუ არ მკრეხველობისთვის დადიანს (ლევანს) არავისთვის სიცოცხლე არ გამოუწირავს. მაგრამ მისი სამთავროს დიდებულნი და თავადები სულ სხვაფრივ იქცევიან. მათ სრული უფლება აქვთ ყველა თაყისი საყმოს სიკვდილისა. ამიტომაც ხშირად სარგებლობენ ამ უფლებითა, და ბევრს კაცს უსპობენ სიცოცხლეს... მახსოვს ჩემს დროს ერთი მათგანი, რომელმაც მცირე ეჭვი შეიტანა ცოლის შესახებ ერთს თავის ყმაზედ. იმან ააგო ეს კაცი ერთს გრძელ მსხვილს შამფურზედ, დაანთებინა დიდი ცეცხლი და როგორც უბრალო მწვადი ისრე შეაწვევინა ცოცხლივ. მეორეს ჰყავდა ომში დატყვევებული ტყვედ, მკერვალი კაცი. ეს მკერვალი იყო კარგი მცოდნე თავისი ხელობისა, და ერთგულადაც ემსახურებოდა ამ თავის მტყვევნელს. რითი გადუხადა ეს ერთგუ-

დება ამ საცოდავს ტყვევს თავისმა მტყვევნელმა? — მითი, რომ, არ გამეჭრესო, მოსჭრა ცალი ფეხი... მრავალი სხვანიც [illegible] უბრა-ლო საქმეზედ სჭრიან თავებს, ან სხვა ათასნაირ წამებით უს-პობენ სიცოცხლეს“ (იქვე, გვ 62)

„მთავარი თუმცა გულ კეთილია, მაგრამ გასამართლებაში სა-სტიკია და არც ერთს დანაშაულს არ უშვებს დაუსჯელად. სასჯელი ასრეთია:. ქურდებს სჭრიან ან ხელს, ან ყურებს, ან ფეხს. მკვლელს სჭრიან ხელს. მაგრამ ეს თუ ბევრი მკვლელობის ჩამდენია, ან სხვა ბოროტებაც ჩაუდენია, მაშინ უწვენ თვალებს, თვალებს უწვამენ მე-ამბოხეთაც და მასთან სჭრიან ცალ ხელსა და ფეხს. თუ ვინიცობაა ვისმე ცოდო შეემთხვა სასახლის რომელსამე ქალთან, ქალსაც და კაცსაც სჭრიან ცხვირებს და ასრე უცხვიროებს ჰრთამენ ერთმანერთს“. (იქვე გვ. 63.)

„ამ სასჯელებში ყველაზედ ძნელი თვალების დაწვაა. ამისგა-მო მრავალნი სიკვდილს რჩეობენ ვიდრე თვალების დაწვას. აი რა საშინელი წამება უნდა გამოიარონ, ვისაც თვალების დაწვითა სჯი-ან. ჩასჭსვამენ მიწაში ოთხს ბოძს, ამ ოთხ ბოძზედ აკრამენ ფეხე-ბით და ხელებით დამნაშავეს ისრე რომ, განძრევა არ შეეძლოს. აიღებენ ორს რგვალს და ორს ბრტყელს რკინის ნაჭერს, რომელ-ნიც თვალზედ ცოტა დიდები არიან. ამ რკინებს წამოაცვამენ ორს გრძელს რკინაზედ. ამ გრძელს რკინებს გარდააბამენ ერთმანეთზედ ხის ტარით. მასუკან ძალიან გააცხელებენ რკინებს, ამ რკინებს მო-აჭერენ თვალებზედ და ისრე უჭირავთ, ვიდრე ეს რკინები სრუ-ლიად არ ამოუშრეტენ ორთავ თვალის კაკლებს“ (იქვე).

„ხელებსა და ფეხებს სჭრიან გახრებული ანჯახებით (ცულე-ბით); რომ სისხლით არ დაიცალოსო. ხელფეხს სახსრების ზემო-დამა სჭრიან და შემდგომ ჩხირით აცლიან ძვლებიდამ ტვინს, რომ შიგნით ლპობა არ შეეპაროსო. (იქვე). [5])

---

[5]) აქვე ერთი რამ უნდა შევნიშნოთ ლევან დადიანის დასახასია-თეალად, როგორც ორგვამოვანი კაცისა. აქ შვილები დ ჰხოცა, რომელ-ნიც ჰყვანდა პირველი ცოლიდამ, თავისა მეორე ცილის შთაგონებით; რა-

სადამდის მოუძლურდნენ მეფენი და სადამდის ავიდა [illegible] მებატონეთა, ვკითხულობთ შემდეგს ამბავს პატრების მოხსენებებში.

პატრი ამბროზი სწერს 1640 წ. პაპს გორიდამ. „ჩვენი მონაზნები (მისსიონერი, ბერები) ამ ქრისტიანებში (ქართველობაში) დიდი სიკეთის ქმნას შეიძლებენ რამდენიმე სოფლის ყიდვით, როგორც სომხები შვრებიან. როდესაც ქართველები მათი ყმები ჰხდებიან, ბევრი მათგანი გადადის სომხის რჯულზედ... ამაზედ უარესიცა ვნახეთ: ზოგიერთა მდიდარმა ურიამ, რომლებიც საქართველოში სცხოვრობენ, გაასურიავეს თავისი ყმები და მოსამსახურენი". ¹) თამარაშვ. ისტ. კათოლ. გვ. 236).

---

ოდენი მტარვალობა ჩაიდინა ამავე დროს, რაოდენი კაცთ-მოყვარეობას იჩენს იქ სადაც ამას არაფერი აღელვებს. ამ პირველი ცოლიდგან შვილების დამხოცავი თავს იკლავს, მეორე ცოლიდამ ნაყოლს მკვდარს შვილს, რასაც ვკითხულობთ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიაში, რომელიც ამავე დროს მოგვითხრობს, რა საშინელი წამებით, ტანჯვით და უკადრისის საქციელით მოუღო ბოლო იმერეთ მეფის ალექსანდრეს ძმას, მამუკას, რომელიც ტყვეთ ჰყავდა და რომელიც არ შეიბრალა არც თეიმურაზ მეფის თხოვნით არც სხვა საპატიო კაცთა ხვეწნით, არც მისი გმირობით, არც მშვენიერებით არც ახოვნებით.

არა ნაკლებ სამწუხარო ამბავს ვკითხულობით სხვაგან. პატრი იოსებ 1675 წ. სწერს პაპსა სხვათა შორის:

„ოჰ! როგორ დასწყდებოდათ გული წმინდა პეტრე ნოლასკელს და წმინდა პავლინოს აქაური სამწუხარო სრვა რომ ენახათ! უმანკო ბავშვებს, ქალებს თუ ვაჟებს, სავაჭრო მოედანზედ ჰყიდიან ოხერ ფასად, რათა მითი დააკმაყოფილონ ოსმალების უწმინდური მადა. გვესმის და ვხედავთ მათს შესაზარს ქღივილს და ტირილს. ამათაგანი ზოგნი წყალში იხრჩობენ თავს, ზოგნი თვალებს ითხრიან, ზოგნი ცხვირს იჭრიან, რათა ურწმუნოებმა აღარ იყიდონ... ჰყიდიან 25—30 რომაულ სკუდათ (სამ-ოთხ თუმნად)... ეს საზიზღარი ჩვეულება იმიტომ გავრცელდა ასრე ადვილად, რომ ბატონები არიან მრავალნი და მეტი ულმერთონი... ამათ განუსაზღვრელი უფლება აქვთ, თავიანთ ყმებზედ და რასაც უნდა იმას უშვრებიან, როგორც უნდათ ისრე ექცევიან... ბატონების ხელშია ყმათა ქონება, სიცოცხლე და ნამუსი. ამიტომ ეგცევიან ასრე თავის საყმოს და როგორც უბრალო ნივთს ისრე ჰყიდიან ოსმალებზედ.„

¹) ქართველების გადაგვარებაზედ ვკითხულობთ სხვაგანაც თამა-

გრომის გულისთვს ჭყიდიან სჯულს, ჭყიდიან ნამუსს,
ეროვნული ბიბლიოთეკა
კათოლიკოზი იყო წინააღმდეგი ფრანგის მისიონერებისა. როსტომ მეფე იყო მომხრე იმათი. ის ეუბნება კათოლიკოზს. „ყოველ დღე ვხედავთ ჩვენი თვალებით რომ მრავალი ქართველნი სომხდებიან. მეტი წილი თათრდებიან. მაშ, ვისაც უნდა გაფრანგება, რაღათ უნდა დაუშალოთ იმათ ეს". (თამარაშვ. ისტ. კათ. ნაწ. II გვ. 127).

რაც შეეხება ტყვეების ყიდვას, კათოლიკოზები იძულებულ იყვნენ ყოველი ღონე ეხმარათ შეეწყვიტათ ტყვეების ყიდვა. თ. ჟორდანიას გამოცემულს „ქრონიკონში" ვკითხულობთ, რომ მაჩაბლები, ამირეჯიბი, ავალიშვილები, ფალავანდიშვილები და სხვანი პირობებს უდებენ კათოლიკოზებს, რომ ტყვეების ყიდვაზე ხელს აიღებენ-(ნაწ. II, გვ. 477—79). არქანჯელო ლამბერტი სწერს „არა ერთხელ მომხდარა მამას შვილი გაეყიდოს, შვილს მშობლები" სწერს ერთს საზიზღარს ამბავსაც: ერთს აზნაურს მოსწონებია აზნაურის ცხენი, ფული არა ჰქონია და ფულის მაგივრად ცხენში დედა მიუცია „(ისტ. კათ. ნაწ. II გვ. 178).

დიახ, საშინელი იყო, საშინელი ის დრო, რომელსაც შეეწრო სააკაძე. დავუგდოთ ყური, რასა სწერს თეიმურაზ პირველი რუსთა ხელმწიფეებს, როდესაც გაემართებათ მოციქულობა ქვეშევრდომობასა და დაახლოვებაზედ.

„დიდებულო მეფევ, მე ძალიან და ძალიან მიძნელდება გონიერი და სანდო კაცების ამორჩევა. არ ვიცი, რა უნდა ვქნა! არც ერთი ჩემი სამღვდელოთაგანი არ იყო ღირსი და იქამდის გონიერი, რომ შესძლებოდა შენი დიდებულების სიტყვა-პასუხი. აგრეთვე არ მოიპოვება ღირსი ჩემს დიდებულებშიაცა. სადაც უნდა გავგზავნო, არასფერს ჩემთვის არ არიგებენ, მხოლოდ თავის თავისთვისჰ ზრუ-

---

რაშვილის წიგნში, ნიკიფორებერი, ელჩი თეიმურაზ მეფისა, აცხადებს რომის კრებაში, რომ ბევრი ქართველები სომხდებიანო. (ისტ. კათოლ. ნაწ. II. გვ. 236).

ნამენ, და რომელსაც ხელმწიფესთან უნდა გავგზავნოთ, ჩუმათ ნურა-ფერი ამბავი არ მოაქვთ, რაშიაც დარწმუნდნენ თვით თქვენი მოციქულებიც" [1]).

„განა მე არა მყავს ეპისკოპოსნი და მართლმთავარნი (ბერები). განა არა მყავს დიდებულნი მოხელეები, რომ თქვენს წინაშე გამოგზავნა? დიახაც და ბევრნი მყავსან და მთხოვენ კიდეცა, რომ გაახლო. მაგრამ მე ამათ ვერა გგზავნი, რადგანაც არ იციან თქვენი საკადრისი სიტყვა-პასუხი. თქვენს აზრს მე ვერ გადმოცემენ და ჩემსას თქვენ ვერ გაგაგებინებენ" [2]).

„მე კი, დიდებულო ხელმწიფევ, არა მყავს არც ერთი გონიერი კაცი, რომელსაც ვენდობოდე ან ენდობოდეს რამე სახელმწიფო საიდუმლო საქმე".

„და მითხრეს ყოველთა დიდებულთა სამღვდელოთა და ერის კაცთა... თუ ნიკიფორე მიტროპოლიტი [3]) არ წავიდა, სხვას ნურავის გაგზავნი და ნურც ენდობი, რათგან სანდო კაცი არა გყავსთ"...

[1]) Переп. стр. 10.

[2]) Переп. стр. 7.

[3]) ეს ნიკიფორე ბერი, მიტროპოლიტი,—როგორც ვფიქრობ უნდა იყვეს ან ალავერდელი, ან რუსთაველი მღვდელმთავარი, იყო გაზრდი ლი იერუსალიმს, იცოდა ბერძნული და სხვა ევროპიული ენები, თითქმის გაბერძნებული. გვარად იყო ომანიშვილი — ჩოლაყაშვილი, ძმა სახელოვანის ქაიხოსრო ომანიშვილის ჩოლოყაშვილისა. (ეს შეცდომით არის ნაჩვენები რომთა მისსიონერთა წერილებში ამ ქაიხოსროს შვილად.) და ბიძა, დედის ძმა, სახელოვანისავე ზურაბ არაგვის ერისთავისა, რომელსაც ეს უწოდებს ყარაქალქანის ერისთავად. (ყარაქალქანს ეს უწოდებს საზოგადოდ ხევის კარს ისკანდერ მუნშიც ყარაქალაქანს ეძახის არაგვის ხეობას და ხევის კარს ანუ დარიალს.) ამ მღვდელ მთავარს, როგორც მოგვითხრობენ კათოლიკეთა მისსიონერები. მიუღია კატოლიკობაც და მიწერილა წმინდა ბასილის წესის მონოზანთა (ბერთა). ამას ეს მისსიონერები და წერილები რომელნიც იმანხებიან ჰრომში, ეძახიან ნიკოლოზსაც. ეძახიან ეგრეთვე ერბაჩოს ანუ ერბახს. ამ სახელს რათ უწოდებენ—არა სჩანს. იქნება ეს სახელი იყვეს კატოლიკური სახელი. ან იქნება თვითონვე დაირქო ასრე, რათგან იმას ძალიან მიაჩნდა რაღაცა

ამაზედ ძირს დაცემა ზნეობით და პოლიტიკურად უძლურებაც იყო. ეს მოყვანილი მაგალითნი არიან ნიმუშნი მრავალი ამგვარი ამბებისა და გარემოებათა. ამავე დროს მოხდნენ ის მაგალითნი, რომელნიც ავწერეთ ზემოთ შესახებ კახთა მეფე კონსტანტინესი, რომელმაც დალატით მოჰკლა მამა და ძმა, და რომელიც არ იყო პირველი მაგალითი ამავე კახეთში.

სიტყვით, ყოველივე იყო მოშლილი, ყოველივე იყო დაცემული, ქვეყანა და ქვეყნის ზრუნვა იყო მივიწყებული.

მართალია, ესევე ბოროტება იწვევდა შიგა და შიგ თავგანწირულთა პირთა, რომელნიც გმირულად სცდილობდნენ ამ ბოროტების გამ-

---

სასიკვდილოდ თუ სხვაფრევ გამოსაყენებლად იგონებდა სხვა და სხვა უცნაურს სახელებს. თავის ყოფნის დროს ელჩად მეფის თეიმურაზისა ჰრომში თეიმურაზს უწოდებს თეოფილეს როგორც ვიცით დარიალისა ანუ ხევისკარსა და არაგვის ხეობას უწოდებს ყარაქალაქანს. შეიძლება ურბახი ანუ ურბაჩო თვითონვე უწოდა თავის თავს. ამასთან ამ დიდ მცოდნე ბერს კვეხნაც ძალიან ჰყვარებია. ეს უწერს თეიმურაზს რუსთ-ხელმწიფესთან ქაღალდებს და ამ თვისსავე ნაწერს ქაღალდებში უწერს თეიმურაზს, რომ ამას არა ჰყავს არც ერთი ისრეთი კაცი, როგორც ეს, ნიკიფორე მიტროპოლიტი. ჰრომში ჰკვეხულობს, რომ ამისმა მამამ, სხვა მრავალ გამარჯვებათა შორის ოცი ათასი კაცით მოსწყვიტა ოთხმოცდაათი ათასი სპარსეთი. ამგვარს ამათი მამის ომანის გამარჯვებას არ მოიხსენებს არსად არც ერთი წყარო.რც ქართული, არც სპარსული და არცა სხვა. მაგრამ ამასთანავე ძალი ან დიდებულად სცოდნია თავის დაჭერა ყველა დიდებულებთან, როგორც პაპთან ეგრეთვე სხვა ევროპის ხელმწიფესა და მთავრებთან.

ამისავე შეწევნით 1624 წ. შერდგა ჰრომში ქართულ—იტალიანური ლექსიკონი და დაიბეჭდა კიდეც. ეგრეთვე გაამართვინა ქართული სტამბა და სხვა ამგვარები.

ესევე მიართმევს პაპს თეიმურაზის ვრცელს წერილს, სადაც თეიმურაზ აღიარებს პაპს საქრისტიანოს მამად და მთავრად და ჰპირდება ყოველს მორჩილებას და პატივს. თუმცა ბოლოს ამ წერილს თეიმურაზი უარსა ჰყოფს და ვერც უპოვნია ჰრომში ბ. თავარიშვილს ქართული ტექსტი. (ისტ. კათოლ. საქართველოში. გვ. 92--95.)

გლავებას. მაგრამ მათ ჰნთქავდა გარემოცული ბოროტის ძალა: ისინი ჭხდებოდნენ მსხვერპლნი ან შინაური ინტრიგებისა, ან გარეშე მტრეთა ძლიერებისა. უძლური ბრძოლა საქვეყნო საქმეების გასასწორებლად იწვევდა ხალხში მისტიციზმს, მისტიკურს თავგანწირულებას, ძალა იყო ხალხში, ძალა ძლიერი, მაგრამ საქმენი იყვნენ ისრე აწეწილნი, სახელმწიფოს მმართველი ჩარხები ისრე მოშლილნი, რომ არა ძალა აქ აღარ ვარგობდა და ძალა უნებურად ეს ძალა ივლტოდა მისტიციზმოზისაკენ, უცნაურების ძალის საფარველს ქვეშ და იქ ეძებდა ქვეყნისთვის მშვიდობას, მყუდროებას და ბედნიერებას, რომელსაც ვერ მისწვდომოდნენ აქ, სადაც კაცი ტრიალებდა ცოცხლივვე ჯოჯოხეთში და ამ ჯოჯოხეთიდამ ღსნისთვის არა ვარგობდა არავითარი ძალა. უდაბნოები და მონასტრები ივსებოდნენ ბერებითა და მონოზნებით, სამღვდელოების შეადგენდა თითქმის ნახევარ სამეფოს ძალას; ეკკლესიები შენდებოდნენ ათასობით; ხალხი ტუავდებოდა შესაწირავზედ. იმგვარი, ქვეყნისათვის თავგანწირულნი, გმირნი, როგორც ლუარსაბ პირველი, პაპა ლუარსაბ მეორესი, როგორც ქაიხოსრო ომანისშვილი, იგივე ჩოლოყაშვილი, დავით ასლანისშვილი—ჯანდიერი, როგორც იყო ასულდგმულებდნენ მოუძლურებულს ქვეყანას და აბრუნებდნენ ქვეყნის მოშლილს ბორბალს, მაგრამ ბოროტი შინაური და გარეული იყო დიდი და ეოველი კეთილი ძალა ინთქმოდა ამ თან-და-თან გაძლიერებულს ბოროტების მორევში.

რასაც ვხედავთ პოლიტიკურს მდგომარეობაში, მასვე ვხედავთ ეკონომიურს მდგომარეობაში. უკეთესი ძალა, როგორც ითქვა ზემოდ, მიდიოდა უდაბნოებსა და მონასტრებში, რომლებიც სავსენი იყვნენ ბერებითა და მონოზნებით. კაცმა რომ თვალი გადაავლოს ჯერ მარტო ჩვენს საეკკლესიო გუჯრებს, გაოცდება იმ გადასახადებს, რასაც ხალხი აძლევდა მონასტრებსა და საყდრებს, ბერებსა და მღვდელს. გარდა ამისა, რომ ეს უკეთესი ძალა, რომელიც ბერათ და მონოზნად მიდიოდა, აკლდებოდა ქვეყანას, როგორც მშრომელი ხალხი, აკლდებოდა როგორც მეომარი და მტრის პასუხის გამცემი, ამასთანავე აკლდებოდა ქვეყანას თვისს ნაყოფიერებითა: ბერობას და მონოზნობას მოსდევდა უნაყოფობა; უკეთესთა საზოგადოების წევრთაგან არა რჩე-

ბოდა შვილი. ერთმხრივ ჰმუსრავდა მტერი, სტყვევნიდა ხალხს; მეო-რეს მხრივ თვითონ ხალხი ბერ-მონოზნობით კლებულობდა, შვილოს-ნობას და არა მრავლდებოდა. ვის არა აქვს ჩვენში გაგონილი, რო-მელმაც უცხო მწერლობამდისაც კი მიაღწია, რომ ჯერ მარტო დავით გარეჯის მონასტერში იმყოფებოდა ექვსი ათასი ბერი, რომელნიც ერთს ღამეს ამოწყვიტა შაჰ-აბაზმა. ხუთი ათასი ბერი იყო შიო მღვი-მეში. წარმოვიდგინოთ ახლა, რამდენი მონასტერია საქართველოში და რამდენი ბერი უნდა ყოფილიყო ამ მონასტრებში, თუ მარტო დავით გარეჯაში იმყოფებოდა ექვსი ათასი ბერი, შიო მღვიმეში ხუთი ათა-სი. გარდა ამისა, რომ როგორც ზემოდ ითქვა, ამოდენა ბერობით აკლდა ქვეყანას მთამომავლობის მომშენებელი ხალხი, აკლდა მეომარი და მშრომელი ხალხი, ამოდენა ბერობას და სამღვდელოებას, ტაძრებ-სა და მონასტრებს უნდებოდა ნახევარი სახელმწიფოს შემოსავალი. რამდენი ქონება ინთქმებოდა ამაზედ, ამის მაგალითს გვიჩვენებს რუს-თავის (დღევანდელი მარტყოფი ანუ სულ ძველად ბოსტან ქალაქი) ეკკლესიის გუჯრი, დავით იმამყულისაგან განახლებული და მიცემული. მარტო რუსთავის მღვდელ მთავარს და სამღვდელოებას ჰქონდა შე-სანახად მიცემული: ნახევარი საბალახო მარტყოფის მთებისა და მინ-დვრებისა, სამარტყოფოშა სამღებროების შემოსავალი, მეხუთედი იმ სამხედრო ალაფისა, რასაც სარუსთაველო ლაშქარი იშოვნიდა. რუს-თავის საკუთრებას შეადგენდნენ სოფელი მარტყოფი, ნასომხარი, მამკოდი, ლილო, გლდანი, ჯაჭვნი, დელუბანი, გადაღმა, უთონი, ბუ-ლაანი, ჩოფიჩაური, ხოვა, მძოვრეთი, ხეობა, ხერკი ყველა სოფლე-ბითა, თეზმათი, ჩრდილოვანი, ბაქურტაძენი, ერთგულიანი, ჩაირი იო-რამდის, იგულავთისა და ერწოს მთები, ვარგანეთი, ჯიღაური, დევანთ-კარი, მაჩუქაძიანთ კარი, ონეთი, ახალკალო, თელეთუბანი, ჩეკურთა, ბზიკაური, ბოდაშენი, ენისელი, ჩუმლაყი, ჯიმითი, ახალსოფელი, ნორიოში ვენახები, ჭოპორტი. ახლა რამდენი ამისთანა ეკკლესია და მონასტერი იყო საქართველოში.

ამას გარდა ხალხს აწვა სხვა კიდევ აუარებელი ხარჯი. გარდა ბატონებისა, სამეფო, სახასო, სამღვდელო და საბერო გადასახადებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხს ედვა: მაგალითათ, ქართლს ასი მარჩილი, [1]) (მარჩილი—სამი აბაზი) კომლზედ ფულად, ესე იგი ექვსი თუმანი, რომელიც შაჰმა პირველმა დაადო შაჰის სასარგებლოთ, რომ თვით ქართლიდამ ადარ გაეღოთ ის სამარცხვინო გადასახადი უმაწვილი ვაჟების და ქალების ყეენის სასარგებლოთ, რომელიც ქართლს ედო. ახლა ამ ფულით ყიდულობდნენ ამ უმაწვილ ქალ-ვაჟთ მთის ხალხებში [2]) ამ სამარცხვინო გარდასახადს—ყმაწვილი ქალ-ვაჟებით—იღებენ კახელები პირ-და-პირ. ამასთან ეს შეარდგენდა უბრალო ფეშქაშსაც, რომელიც ყოველს შემთხვევაში ეგზავნებოდა კახთა მეფეთაგან ყეენებს. თვით სახელოვანი და ქრისტეს მოწამე ქეთევანიც კი უგზავნიდა შაჰებს ამგვარს ფეშქაშებს, უგზავნიდა ეგრეთვე თეიმურაზ პირველი და სხვა [3]). საომარი ბეგარა და გადასახადი ხომ კიდევ სხვა იყო, და ამასთან, გარდა იმ აუარებელი მამულებისა, რომლიცა ჰქონდათ შეწირული ამ მამულებზედ მცოვრებლებით იერუსალიმს, სიონს და სხვა უცხო მონასტრებს, თეიმურაზ აძლევდა ექვსი ათას სკუდს შესაწირავს ბერძენთა პატრიარხს (თამარაშვილი ისტორია კათ. 67. გვ. 125)

ყველა ამას უნდა დავუმატოთ ის მოუსაზრებლობა, რომელიც სჭირდათ საავაძის ასპარეზზედ გამოსვლის დროს ქართლისა და კახეთის მეფეთ: გიორგის და ალექსანდრეს.

ჩვენ, როგორც ვიცით, შაჰ-ისმაილიდამ იწყობა სპარსთაგან საშინელი სასტიკი და შეუწყალებელი დევნა ქართველთა. შაჰ-ხუდაბანდას დროს ოსმალნი აუძლურებენ სპარსთა საშინლად. ამაში თვით კახთა მეფე ალექსანდრე აძლევს ოსმალთა დიდს შემწეობას. გამოდის შაჰ-აბაზ პირველი ასპარეზზედ და აუტეხავს ბრძოლას ოსმალთა, სცდილობს წაართვას უკან ოსმალთაგან დაჭერილი მამის სამკვიდრო ქვეყნები. შაჰ-აბაზ ადგია ერევანს და დიდს ხანს ვერა სძლევს. ის იბარებს მისაშველებლად გიორგისა და ალექსანდრეს. მის მაგიერად, რომ

---

[1]) უსახელო ავტორი „ქართლის ცხოვრება“ გვ. 303.

[2]) ამ გადასახადს იხდიდნენ ქართველები სპარსელების სასარგებლოდ ისევ გეროდოტის დროსვე. Ган. „Извѣстіе древн. грековъ н Римлянъ о Кавк.“ (стр. 16).

[3]) „ქართლის ცხოვრება“ ტ. II. გვ. 115.

ამათ მისცეს პირი ოსმალთა და დაუხმართ შაჰ-აბაზთან ბრძოლაში, ან არა და მისცეს პირი ერთმანერთს და გადგნენ განზედ: არ მიეშ-ველნენ არც შაჰს, არც ხვანთქარს, ისინი მიდიან აბაზის მისაშველებ-ლად, აიღებენ ერევანს, დაუმარცხებენ ოსმალებს, აძლიერებენ აბაზს და სპარსთა. გაძლიერებული აბაზი ართმევს ოსმალთ თავრიზს, ნახ-ჩევანს, განჯას, შაქ-შირვანს და ამითი აუძლურებს ოსმალთა, რო-მელნიც არ აძლევდნენ სპარსთა ნებას, რომ საქართველოში მოეკიდ-ნათ მკვიდრათ ფეხი ან მოეწყვიტათ ქართველობა.

სიტყვით, თვით გიორგი და ალექსანდრე აძლიერებენ თავის მო-სისხლე მტრებს, თვით თავისივე ხელით ხდებიან თავის ხალხის საფლავის მთხრელნი.

მარტო ამგვარი გარემოებანიც საკმაო იყვნეს, რომ ყოველივე ძალა გაეტეხნა, ყოველივე ძლიერება მოეუძლურებინა საქვეყნო ზრუნ-ვისთვის. და სააკაძეს დაერთო ამასთან მოქმედება იმგვარ მეფეებთან, რომელთაც არავითარი ნდობა თავის ხალხისა და მახლობელებისა აღარა ჰქონდათ, არავითარი ძალა ხასიათისა არა საქმეში არ შეს-წევდათ, ნიადაგ იყვნენ მაბეზღართა და ინტრიგანთა მორჩილებაში. ფასი ქვეყნის მზრუნველთა ჰქონდათ დაკარგული; უბრალო სიტყვა, უბრალო მიზეზი საკმაო იყო, რომ ქვეყნის მხსნელი კაცნი გაემე-ტებინათ სასიკვდილოთ არამც თუ მარტო, და მთლად ცოლით და შვი-ლითა და მისხის მისხით.

ამ ორთავე მეფეს, ლუარსაბ მეორეს და თეიმურაზს, სააკაძემ გაუწია ისრეთი სამსახური, რომლისაც მსგავსი ძვირად თუ მომხდარა. სააკაძემ იხსნა ლუარსაბ სიკვდილიდამ და ტყვეობიდამ, როდესაც შე-მოესია თათარხანი სამოცი ათასი ჯარით ქართლს და უცებ შემოერ-ტყა ცხირეთში სრულიად უჯაროდ მყოფს მეფეს. სააკაძემ შეაკვეცა ფრთები გაძლიერებულს თავადობას და მისცა ძალა მეფეს სამეფოსა და თავადებზედ. მაგრამ... ლუარსაბმა ამავე თავადებისა და დიდებულ-თა სიტყვით და ძალის დატანებით გაიმეტა სააკაძე სასიკვდილოთ, მოინდომა იმისი ღალატით მოკვლა, მთელი გვარეულობის ამოწყვე-ტა. არამც თუ ავიწყდება ლუარსაბს ამაგი, სამსახური და მოყვრობა სააკაძისა, ის ივიწყებს იმასაც, რომ ის იმეტებს სასიკვდილოთ ერთად ერთს კაცს, რომელსაცა აქვს თავი ქვეყნის მოვლისა და მტრის პასუ-ხის გებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდგომ ლუარსაბისა, რომელსაც ამოსწყვეტავს სპარსებს და მთლად ქართლ-კახეთს გაანთავისუფლებს სპარსთა მონებიდამ, [illegible] წავა, მოიყვანს ოსმალეთიდამ მეფე თეიმურაზს, რომელიც იქ იყო გაქცეული სპარსთაგან, ჩააბარებს ორთავე სამეფოს: ქართლსა და კახეთს, დაუმორჩილებს თეიმურაზს დაღესტანს, ოსებს, გარშემო სახნოებს, მთლად ქართლ-კახეთის თავადებსა და გაძლიერებულს გვარებს, დაასახლებს მთლათ გაოვანტულს და განიორწყლებულს კახეთს, მისცემს დიდს ქონებას თეიმურაზს, რომელიც თვითონ შეეძინა თავისის მკლავითა და წაერთმია სპარსთათვის; სცდილობს სააკაძე თეიმურაზი გახადოს მთელი საქართველოს მეფეთ, მაგრამ... თეიმურაზ უცებ იღებს შურს სააკაძეზედ, ეძებს მიზეზს, შემთხვევას, რომ მოუღოს ბოლო. სააკაძე ორჯერ გადარჩება მეფე თეიმურაზის დალატს.

ლუარსაბს მალე მოეღო ბოლო და ამისგამო, სხვა ამგვარს მაგალითს, რაც სააკაძეზედ ჩაიდინა, ვეღარა ვხედავთ იმის მოქმედებაში. მაგრამ თეიმურაზმა თავის დიდის ხნის ცხოვრებაში ბევრი ამგვარი საქმე მოახდინა, რაც უეო ან რასაც უპირებდა სააკაძეს. როგორც ჰნახავს თეიმურაზ ვისშიმე ან ძლიერს სახელმწიფოს მოვლისა და გაძღოლის ნიჭს, ან ძლიერს სარდლობის ძალას, ის მაშინვე ღებს ამათ დალატით ბოლოს. მის მეფობის დროს ძლიერდება კახეთში ქაიხოსრო ომანიშვილი, იგივე ჩოლოყაშვილი სარდალი სახელოვანი და მართლაცა და დიდებული. მეფისავე ბრძანებით გადუხტება დაღესტანს. შეარყევს, დასცემს, და სრულიად დაამორჩილებს მეფეს. მაგრამ თეიმურაზ დაიბარებს ამ სახელოვანს გმირს და მოაკვლევინებს დალატით. ამის უკან ძლიერდება დაღესტანი, რომელიც შაჰ-აბაზთან ერთათ ჰმუსრავს, იკლებს და აჭურის კახეთსა. როდესაც თეიმურაზ ახდება ორთავე სამეფოს მეფე—ქართლისა და კახეთისა, როდესაც ის ახლად განდევნის ზურაბ არაგვის ერისთავის შემწეობით საქართველოდამ სააკაძეს, ამ დროს ძლიერდება ზურაბ ერისთავი, ხდება პირველი კაცი სამეფოში. ზურაბმა სააკაძესთან ერთად გაანთავისუფლა სპარსთაგან ქართლ-კახეთი, მოიყვანა თეიმურაზ და ჩააბარა ორთავე სამეფო; თეიმურაზმა მისცა ზურაბს თავისი ქალი სააკაძის თხოვნით; ზურაბმა გამოიტყუა სვიმონ მეფე, მაჰმადიანი და შაჰ-აბაზისაგან

ქართლის მეფეთ გამოგზავნილი, თბილისიდამ, სადაც ის, თეიმურაზს არ უშვებდა სპარსთა ჯარების შემწეობით, მოსჭრა თავი და მიართვა თეიმურაზს, და სხვა ამგვარები, მაგრამ... შეიპყრა ესეც ღალატით თეიმურაზმა და მოსჭრა თავი. ამასვე უპირებდა ეს ზაალ არაგვის ერისთავს, ზურაბის ძმის წულს, რომელსაც ეგრეთვე დიდი ამაგი მოუძღოდა თეიმურაზთან და სხვა და სხვა.

თქმა არ უნდა, თუ ამგვარი კაცნი, როგორც ქაიხოსრო ომანიშვილი, ზურაბ არაგვის ერისთავი, ზაალ არაგვის ერისთავი და სხვანი თავის ძლიერებით აღძრავდნენ იჭვსა და შურს თეიმურაზის გულში, ეს უფრო არ დაინდობდა სააკაძეს, რომელიც ისრე გაძლიერებული იყო, რომ იმის სიტყვაზედ თვით პირველი მთავარნი და დიდებულნი, როგორც მოგვითხრობს მეფე არჩილ, „თუ იტყოდის—აღგებიან, თუ იტყოდის—დასხდებიან“, რომელიც დღე და ღამ დაუცხრომლად ზრუნავდა სახელმწიფო საქმეებზედ: ელაპარაკებოდა ხვანთქარს, ოსმალთა ფაშებს, იმერთა მეფესა, თავადებს და მთავრებს; ებრძოდა მტრებს, ჰკრეფავდა ჯარებს, ამაგრებდა ციხეებს, აკეთებდა გზებს, შიშსა და ელდის ქვეშ ჰყავდა გაძლიერებული თავადობა, აშენებდა ქვეყნებს, ასახლებდა უდაბურსა და ვერანა ადგილებს; ჰგზავნიდა ხელმწიფეებთან მოციქულებს, ჰგზავნიდა ოსმალოში ჯარებს სპარსთა წინააღმდეგ მისაშველებლად, მიდიოდა თვითონ, მიუძღოდა ოსმალთ სპარსებზედ, ყველას უგებდა პასუხს, ყველასაგან თხოულობდა პასუხს, სიტყვით, განაგებდა ყველა სახელმწიფო საქმეებს, დაუცხრომლად ჰზრუნავდა, ჰფიქრობდა, არ ისვენებდა და არც სხვათ აძლევდა მოსვენებას. თეიმურაზ აღარა ჰხედავდა თავის თავს. ცხადია თეიმურაზისთვის, რომ ამგვარი კაცი იყო საშიში სხვებზედ უფრო და უნდა მოკვდეს...

სიტყვით, იქამდის მიდის თეიმურაზის უნდობლობა თავისს ხალხზედ, რომ, როგორცა ვნახეთ, ის მრავალ-გზით სწერს რუსთა ხელმწიფეებს, რომ ჩემს სამეფოში ვერავის ვერ ვენდობი, სანდო კაცები არა მყვანანო არც საერო არც სასულიერო წოდებაშიო... ამისგამო იმისი ნდობა გადადის გაიძვერა ბერძნების ბერებზედ, ის მიენდობა სულითა და გულით ბერს ნიკიფორეს, იერუსალიმიდამ მოსულ გაბერძნებულს ქართველს, რომელსაც მისცემს მიტროპოლიტობას, კახეთში

პირველს ადგას სამღვდელოებაში და ყველა თავის საიდუმლო საქმე-ებს იმას მიანდობს. ის მარტო ამას დაენდობა, ამას ჰგზავნის მოცი-ქულად რუსებთან, ამას აწერინებს საიდუმლო ქაღალდებს. ამისით და ამისი რჩევით აპირებს რუსებთან დაახლოვებას. ეს ბერიც თქმა არ უნდა, სარგებლობს ამ ნდობით და რომ დაიმსახუროს ყურადღება და წყალობა რუსთ ხელმწიფისა, უნდა წავაკითხათ ჯერ რა რიგ აქებს თავისს თავს თეიმურაზის წიგნებში, რომელსაც ეს უწერდა თეიმუ-რაზს ბერძნულს ენაზედ: მთელს 34 გვერდზედ, რომელიც არის დაბეჭდილი დიდი ფორმატის ქაღალდზედ, სულ ამისი ქება-დიდებით არის გაჭრელებული, სადაც ეფიცება მეფე თეიმურაზ რუსებს, რომ თუ არ ნიკიფორე ბერი ბერძენი, საქართველოცა, მისი მეფენიცა და ქრისტიანობაც საქართველოში სრულიად დაიღუპებოდა. აქვე თავის ქებით აუწერს ნიკიფორე რუსთ ხელმწიფეს, როგორი მეცადინეა ეს რუსებისთვის საქართველოში, როგორ სცდილობს, აღმოუჩინოს რუსებს სახსარი საქართველოს მდიდარი ბუნების სარგებლობისა, როგორ სცდილობს, დაიყოლიოს მეფე თეიმურაზ და იმისი დიდებულნი ამა-ზედ და რუსების მორჩილებაზედ, და სხვა-და-სხვა, და, თქმა არ უნ-და, ამ ნდობამ, რომელიც უჩინა თეიმურაზმა ბერძნის ბერს, რო-გორც ადიდებს ნიკიფორე თავის თავს, მოუტანა კიდეც მეფეს თა-ვისი ნაყოფი...

აი, სხვა გარემოებაებს გარეთ, რა მეფეებთან შეხვდა სააკაძეს სამსახური და მოქმედება.

ყველა ამას დაურთოთ ის, რომ საქართველო ორმა ვეშაპმა—ოსმალომ და სპარსელებმა გაგლიჯეს შუაზედ. სამცხის, გურიას ჭა-ნეთს, აფხაზეთს, ოდიშს, იმერეთს დაეპატრონენ ოსმალონი, ქართლ-კახეთს—სპარსები. აქ შეუძლებელი-ღა იყო შეერთება საქართველოსი, თუნდაც რომ ამ შეერთების შიში არა ჰქონოდათ არც ოსმალს, არც სპარსთა, თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა; ისინი ჰხედავდნენ იმაში საქართველოს გაძლიერების მიზეზს და ყოველის ღონით სცდილობდნენ ეს შეერთება არ შესრულებულიყო.

ამგვარივე საშიში იყო შაერთება საქართველოსი ერთს სკიპტრას ქვეშ ყველა მძლავრი მთავრებისა და თავადებისათვის, რადგან ამითი ისინი დაჰკარგავდნენ თავისს სამთავროებსა და საყმოებში თავისს მე-

ფურს ძალას, გახდებოდნენ სრული მორჩილნი მეფისა.

აი, ამ მდგომარეობაში იყო საქართველო, როდესაც [illegible] შეხვდა ცხოვრება და შეხლა უკეთესს სპარსთა ძალასთან — შაჰ-აბაზთან, რომლისაც სახელი დღესაც მოდებულია მთელს აზიაში და რომელსაც განცვიფრებული ხალხები უწოდებენ დიდსა შეხვდა შეხლა იმ დროს, როდესაც სპარსეთი იდგა უმაღლეს წერტილზედ თავისს ძლიერებისა, და ქართლი მთლად მოუძლურებული იდგა ნაპირსა ნაპრალისასა, ცალი ფეხი ედგა სამარეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერი და შორს მხედველი გონება საკაძისა ჰხედავდა რაშიაც მდგომარეობდა უძლურება საქართველოსი, ჰხედავდა საიდამაც უნდა დაწყობილიყო და რა გზაზედაც უნდა წასულიყო საქმეთა მიმდინარეობა, რომ ძლეულიყო შაჰ-აბაზიცა და სხვა მტრული გარემოებანიცა, რომელნიც უშლიდნენ საქართველოს საბოლოვოს დამკვიდრებას. მაგრამ, იმასთან იმასაც ჰხედავდა, რა ძნელიც იყო ამისი პატრონობა. ამის გამო ყველა ამის საქმეში, ყველა იმის დაწყობილებაში ჰხედავს კაცი ისრეთს საშინელს სიფრთხილეს, ისრეთს საშინელს იდუმალებას, რომ თვით ისინი, ვისიც სამტროდ ეს არის აღჭურვილი, ვერა ჰხედამენ ხშირად ამასა; ხშირად მახლობელთაც არ იციან, რა აქვს სახეში, როდესაც ის რამე ამგვარს საქმეს ჰკიდებს ხელს, რომლებიც არაფრად მიაჩნიათ და უალაკოთაც ეჩვენებათ თანამედროვეთა და მის შემდგომაც თვით გონიერ კაცთაც.

იმ გზას, რომელსაც დაადგნენ მეფენი კახთა მეფის ალექსანდრე მეორიდამ დაწყობილი. ვიდრემ თეიმურაზსა და ლუარსაბამდის, სააკაძე არა ჰხედავდა საქართველოსთვის საკეთილოდ. იმან კარგათ იცოდა, რომ თუ საქართველო იხსნიდა თავს მძლავრთა ხელთაგან, ქართველნი იქმნებოდნენ პატრონნი მთელი კავკასიისა, დაწყობილი შავი ზღვიდამ კასპის ზღვამდე. დამკვიდრება ამ ორთა ზღვათა შუა, დაზავება აქაურს ვაჟკაცს ხალხებთან და დაკავშირება იმათთან მოსცემდა ისრეთს ძალას, რომ მაშინ არა მძლავრი მტერი აღარ იქნებოდა საშიში საქართველოსა და მასთან დაკავშირებული ხალხებისათვის.

რომ შესრულებულიყო ეს აზრი, საჭირო იყო გაძლიერება ლუარსაბ მეფისა შინვე თავადებსა და მთავრებზედ: მემრე იყო საჭირო,

მთელი საქართველო ჩავარდნოდა ან მარტო ოსმალს ან მარტო სპარსეთის ხელში. როდესაც ეს მოხდებოდა, უფრო ადვილი [illegible] ბა და შეერთების უკან თავის ხსნა და განთავისუფლება. სასწორი ამ შემთხვევაში საით გადიწევდა—ძნელი სათქმელი იყო: სპარსეთიცა და ოსმალოც ამ ხანებში თითქმის თანასწორი ძლიერნი იყვნენ, თუმცა ძალა სპარსეთისა იყო დამყარებული უფრო შაჰ-აბაზის პირად ძალაზედ, და ოსმალო იყო უფრო დამკვიდრებული ძალით. საფიქრელი იყო: საით გაეწია საქართველოს—ოსმალოსაკენ, თუ სპარსეთისაკენ. შემდეგში თავის დაღწევა სპარსთაგან უფრო ადვილი იყო, რა კი მკვიდრი შინაგანი სპარსეთში უფრო არა სჩანდა, და შეიძლება კიდეც გამხდარიყო მსხვერპლი გაძლიერებული საქართველოსი. მაგრამ სპარსს არა ჰქონდა იმდენი ძალა, რომ მთელი საქართველოს ქვეყნები ჩამოერთმია შავს ზღვამდის ოსმალთათვის და მკვიდრათ დაეჭირა. ამისგამო სააკაძე პირველად იწევს უფრო ოსმალებისაკენ: აქვს საოსმალო ქართველობაში მოყვრობა, მისვლა-მოსვლა ოსმალებთან. სიტყვით; გული ამისი უფრო ოსმალებისაკენ არის. მაგრამ ამას მოშლის დროებით ერთი გარემოება. ვიდრემ რასმე დააწყობს სააკაძე ამ მხრივ, საქართველოს შემოესევა სამოცი ათასი ოსმალოს ჯარი. სააკაძე იძულებული იყო შეებმოდა ამათ და ამ შებმაში მთლად ამოსწყვიტა ეს ჯარი. თქმა არ უნდა, რომ აქ, ჯერობით მაინც, შეუძლებელი-და იყო ოსმალების მეგობრობა. მაშინ სააკაძე სცდილობს მოიგოს გული სპარსთა. ის უგზავნის შაჰ-აბაზს გამარჯვების ტროფეის, რომელიც დარჩა ამას ოსმალებზედ გამარჯვების უკან. მაგრამ სააკაძე ისევ მალე იწყობს ოსმალებთან მეგობრობას. ის, როდესაც ლუარსაბ უპირებს მოკვლას, აპირებს გაქცევას სპარსეთში კი არა, რომელსაც, როგორც ბოლოს ვნახავთ, ის სრულიად არ ენდობა, აპირებს გაქცევას ოსმალეთში. როგორც სჩანს, ამას უგრძნობენ მეფე და იმისი მტერნი, და შეუკვრენ აქეთ გასასვლელს გზებს. მაშინ, რაკი სხვა ღონე აღარა აქვს, სააკაძე გარბის სპარსეთში. რაკი გარემოებამ ის ჩააგდო სპარსეთში, სააკაძემ ყოველმხრივ ხელი მოუმართა შაჰ-აბაზს, რომ შეებმოდა ოსმალებს. სცდილობს ამითი მოაუძლუროს ოსმალო. წაართმევს ოსმალთ თითქმის ნახევარს ქურთისტანს, უკე-

თესს ქალაქს სასომაღლო აზიაში—ბაღდადს. მაგრამ, რადგანაც ჰხედავს, რომ შაჰ-აბაზს საქართველოზედ სულ სხვა განზრახვა აქვს,—გადაწყვეტილია, რომ უნდა ამან საქართველოს ბოლო მოუღოს, მაშინ ეს პირს იბრუნებს ისევ ოსმალებისაკენ და სცდილობს სპარსთა მოუძლურებას. ყოველივე, რაც ამ დაწყობილებას მოსდევს, სააკაძე საზრავს წინადვე. იმან იცის, რომ ამის გულისთვის იმან უნდა ოსმალოს ხელით ნარი მოგლიჯოს და შეაერთოს საქართველო; შემდეგ ისარგებლოს რამე მარჯვე შემთხვევით და ჯერ ერთი მეფე მოიშოროს თავიდამ, მერე მეორე, მერე ათაბეგი, გურიელი, შარვაშიძე, სვანთა მთავარნი და სხვა, და ამგვარათ შეაერთოს მთელი ძველი საქართველო რკინის პალომდის, შირვანამდის, დევგუბანამდის. ძნელი წარმოსადგენია, რა ძალა უნდა ჰგულებოდა სააკაძეს თავის თავში, რომ ეგეთა ამისთვის შეემართნა ხელი, რამოდენა მოხერხება და ოსტატობა უნდა გამოეჩინა, რამოდენა გამბედაობა და გაუტეხრობა. ყველას ამას კიდეც გვიმტკიცებს თავის ცხოვრებით, თავისის საქმეებით. არც თავს, არც ცოლს, არც შვილს, არც დას, არც დედას არასოდეს, არასოდეს არა ჰზოგავს ის ამ საქმისთვის. და რომ ყველა ეს წავიდეს წინ. მოვიდეს აღსრულებაში, როგორც ზემოთაც ითქვა, უნდა ემოქმედნა ისრე იდუმალათ, რომ თვით იმ მეფეთაც, რომლებისათვისაც ამზადებდა მთელი საქართველოს გვირგვინს, არა სცოდნოდათ. და ეს არ დარჩათ შეუნიშნავი უცხო ტომის მწერალთათაც კი: აი რას ამბობს ამაზედ რუსის მწერალი პოტტო: „въ его (Саакадзе) энергичной головѣ возникаетъ и смѣлый и цѣлесообразный обширный планъ объединенія грузинскихъ царствъ.“ [1]) როგორ აწონვით, შორს საქმის დაჭერით და თავის გაწირვით ელტვის ის ამ დიდს საქმეს, სხვათა შორის გვიჩვენებენ შემდეგი საბუთნი: სააკაძე, შემდეგ თავის სპარსეთში გავარდნისს და ლუარსაბ მეფის სპარსეთში დაპატიმრებისა, სრულიად რწმუნდება, რომ ლუარსაბს არ შეუძლიან გაძღოლა იმ დიდი საქმისა, რომელიც ამას აქვს განზრახული. ეს გაიცნობს სპარსეთში მივიწყებულს, ძლიერი ხასიათებისა და დიდი ნიჭების პატრონს, ხოსრო მირზას, რომელიც ხვდება ბიძათ მეფე ლუარსაბს, და რომე-

---

[1]) Потто „Кавк. Война“ т. I, выпускъ I, стр. 263.

ლიც იყო მეფე დავითის შვილი, რომელსაც გათათრების [illegible] დაუდ-ხან. სააკაძე ამ შესანიშნავ კაცს წააყენებს წინ: გა[illegible] აბაზს, გახდის ერთ პირველ კაცათ შაჰ-აბაზის წინაშენ და სცდილობს ოდესმე ამას ჩაუგდოს ტახტი საქართველოსი. ამისთანა კაცთან, როგორც ხოსრო მირზა, რომელიც შემდეგში კიდეც გახდა ქართლის მეფედ და ერქვა როსტომ, სააკაძე დარწმუნებული იყო, ამ დიდის საქმეს წასწევდა წინ. მაგრამ, სამწუხაროდ, შემდეგ გარემოება ისრე მოეწყო, რომ სააკაძე და ეს გახდნენ ერთმანეთის მოწინააღმდეგენი. რაკი ეს ისრე მოხდა, რომ სააკაძე და ხოსრო მირზა უნდა ერთმანერთს დაშორებოდნენ, მაშინ სააკაძე აწყობს სხვაფრივ საქმე. შემდგომ ლუარსაბის სიკვდილისა, შაჰ-აბაზი დასვამს ქართლში მეფედ სვიმონს, ბიძაშვილს ლუარსაბისას, გამაჰმადიანებულს, კაცს უძლურს, უხასიათოს, გაუბედავს. როდესაც სააკაძე ამოსწყვეტავს სპარსთა და გაანთავისუფლებს ქართლსა და კახეთსა, ქართლში ჰზის მეფედ ეს სვიმონ, რომელიც შაჰ-აბაზისაგან ჰყავდა სააკაძეს ჩაბარებული. სააკაძე არა ნდომობს ამას. შემდგომ ამისა ტახტი ქართლისა ეკუთვნის გიორგის, გოჩაშვილს, ბაგრატიონს, რომელიც იყო ძმისწულის შვილი დიდი სვიმონისა და რომელიც არაფრით არ არის შესანიშნავი; შემდგომ იმისა ისეკუთვნის თეიმურაზ მუხრანის ბატონს, რომელიც იყო დიდი მეგობარი სააკაძისა და იყო მოყვარეცა —იყო სიმამრი გიორგი არაგვის ერისთავისა, რომელიც იყო სააკაძის ცოლის ძმა. სააკაძე არც ამას დომობს ქართლის მეფედ. ეს კიდევ თვით ცოტაა სააკაძეს შეეძლო გამეფება. ამას ხომ რამდენი ხანია, ჯერ ისევ ლუარსაბ მეფის სიცოცხლის დროსვე, შაჰ-აბაზი ეუბნებოდა; ახლა ხომ ამაზედ უპრიანი არავისი იყო, რადგან ამან ამოსწყვიტა სპარსნი და გადაარჩინა საქართველო მთლად ამოწყვეტას და ტყვეობას, ეპყრა ყოველი ძალა ხელში, პირველი თავდები იყვნენ ამის სრულს მორჩილებაში: „თუ უბრძანის ადგებიან, თუ უბრძანა დასხდებიან.“ ჯერ ამ დიდს საქმემდის სააკაძეს ისრეთი ხმა ჰქონდა, რომ თვით პირველი თავადები ამას აყენებდნენ მეფეებზედ მაღლა. ერთს დოკუმენტში, სადაც სააკაძესა და ჯავახიშვილის შორის არჩევენ სადავო საქმეებს, რომელზედაცზე მოთაცა გვქონდა ლაპარაკი, სხვათა შორის დამოუვრებაზედ არის სანდუ-

რავი ამათ შორის; ქაიხოსრო ჯავახიშვილი ამბობს: „ღმერთმან ჩემ-შან გამიგონოს, რომ კახის ბატონის, ქართველის ბატონის და იმერ-ლის ბატონის ქალიც ვისმე ჩემი შვილისათვის მიეცათ, მაშინაც ბა-ტონის მოურავის ქალის და მისი მოყვრობის მონატრე ვიყავით“. ამასთან კიდეც იცოდა სააკაძემ, ამისავით ვერცარავინ მოუვლიდა ქვე-ყანას. მაგრამ არც აბატონებს ქართლში სვიმონს, არც გიორგის, გო-ჩაშვილს, არც აძლევს მეფობას თავის მოყვარეს თეიმურაზ-მუხრანის-ბატონს, არცა ნდომობს თვითონ მეფობას. იმას მოჰყავს საოსმალო-დამ კახთა ბატონი თეიმურაზ, უბრუნებს კახეთს, აძლევს ქართლსაც და ამითი აერთებს ქართლსა და კახეთს.

ამის შემდგომ, სააკაძე ძალიან უახლოვდება ოსმალებს.- როდე-საც სააკაძე ჯერ ისევ სპარსეთში იყო, შაჰ-აბაზმა ბაღდადსა და ქურ-თისტანთან წაართვა ოსმალთ, სხვათა შორის თითქმის მთელი სამეს-ხო-საათაბაგო, დაიჭირა თვითონ და ჩააყენა შიგ მეციხოვნენი და ჯა-რები. როდესაც შაჰ აბაზ შემოუსევს მარბიელის ომის დროს ახლად ჯარსა საქართველოს ამოსაწყვეტად, როდესაც სააკაძე ჰნახავს, რომ მარტოკა ვერარას გახდება სპარსებთან, ის გავარდება საოსმალოში თავისი მცირე ჯარითა, ვითომცა და ოსმალების მისაშველებლად, შეუ-ტევს სპარსთა, მოიმხრობს მესხთა და განდევნის სპარსთ აქედამ. ამი-თი ჯერ ერთი მოიგებს ოსმალთა გულსა, მეორეც ესა, ასტეხავს ოს-მალთა და სპარსთა შორის ომსა, რომლისგამოც სპარსნი იძულებუ-ლნი ხდებიან ანებონ საქართველოს თავი, რომ გაუმკლავდნენ ოსმალ-თა. სააკაძე თან-და-თან ძლიერდება, ის გზავნის ხონთქართანა და მეფეებთან ელჩებს. სრულიად იგებს სულტანის გულს. ის დღე,დღე-ზედ ელის შველას ოსმალთაგან, რომ სრულიად იხსნა თავი ქართლ-კახეთმა სპარსთაგან. ოსმალნი, სულთანი დიდის სიამოვნებით დასთ-მობენ იმერთა მეფესაც, ათაბეგსაც, დადიანსაც და სხვა იმერთა მთა-ვართა, მისცემენ ნებას საქართველოს შეერთებისას, ოღონდ სააკაძემ უშველოს, ისინი იხსნას შაჰ-აბაზის მძლავრობისა და ძალისაგან. შაჰ აბაზმა შეარყია ოსმალეთი. შაჰ-აბაზი ემუქრის სამუდამოთ ოსმალ-თა. აქ დრო აღარ არის ოსმალთათვის საქართველოს შინაურ საქმე-ებში გარევის, ეხლა მარტო აბაზია ამათი საფიქრებელი, და ისინი

მზათ არიან ბევრი და ბევრი დასთმონ, ოღონდ იხსნან თავი ტ[illegible] ლომისაგან. აქ საქართველო და სააკაძე თუ მხარს მისცემენ [illegible] მე არ არის ძნელი. უკეთეს დროს საქართველო ვეღარა ჰნახავდა. სააკაძე თან-და თან მხნეობდა. ის ჩავიდა სამესხოდან იმერეთში, შემოუარა ყველა მეფეთა და მთავართა. მაგრამ... მეფე თეიმურაზ ელოდა შველას სხვა მხრიდამ, ის გაჰყურებდა დარიალის კარს, ესმოდა ჟღარუნი იარაღისა, რომელსაც წინ უძღოდა ჯვარი... თეიმურაზმა აიღო შური სააკაძეზედ. სააკაძე ჩადის ყველა სამეფო საქმეებს, მარტო ის-და სჩანს სამეფოში.

„მეფემან ჭირად არ ბრძანა, გულს შიგან შექმნა წყენანი,
რომლისაც არის იქმნების იმისი სისხლის დენანი!
მე მეფე, იმას სახელი, ხვანთქართან თავის ჩენანი,
ქართველთა ისრე დახვევა, ზოგთ ზავთით შესაშენანი“!

თეიმურაზმა გადასწყვიტა სააკაძის სიკვდილი. სააკაძემ გაუგო. თქმა არ უნდა, თეიმურაზთან საქმის დაჭერა ძნელი-და იყო. მაშინ სააკაძე ჩამოართმევს თეიმურაზს ქართლს, და იმის მაგიერად, რომ აქაც თვითონ გამეფდეს, ან გაამეფოს ვახტანგ მუხრანბატონი, შვილი თეიმურაზისა, რომელსაც ეკუთვნის ქართლის ტახტი, ის დროებით ქართლის გამგეთ, მეფის მაგიერ, აყენებს ქაიხოსრო მუხრანის ბატონს, და სთხოვს იმერთა მეფეს, გიორგის, თავის შვილს, ალექსანდრეს ქართლის მეფეთ, რათგან იცის, რომ მემკვიდრე იმერთა მეფისა არის ეს და შემდეგ ორივე სამეფო — ქართლი და იმერეთი — დარჩება ამას. ამასთან, სთხოვს იმერთა მეფეს ჯარს. ცხადია, იმას უნდა თეიმურაზის გადაგდება კახეთიდამაც, რომ ეს სამეფოც ალექსანდრეს ჩააბაროს. ჯერ ამ თეიმურაზსა და სააკაძის შორის ომის ატეხამდის, სააკაძე გადაუხტება ქველს წერეთელს, რომელიც დიდათ იყო გაძლიერებული და სრულიად ეურჩებოდა იმერთა მეფეს, მოჰკლავს და იმის საუფლოს მოიყვანს მეფის სრულს მონობაში. ჰპირდება საიდუმლოთ იმერთა მეფეს გიორგის დადიანისა და გურიელის დამონავებას. ის აპირებს შეუსრვას ლევან დადიანისას, რომელიც ასრე აწუხებს და ავიწროვებს მეფესაცა და მთელს იმერეთსაც, როგორც ზემოთაც ავწერეთ თეიმურაზის წერილში რუსთ ხელმწიფესთან. მაგრამ, სამწუხაროდ, ბაზა-

ღეთის ომი უდებს ყველა ამ დაწყობილებას ბოლოს. აქ მარცხდება, აქამდის უძლეველი სააკაძე. ის გარბის ოსმალოში. მაგრამ, აქ უყურებს [illegible]ხარს გმირს, აქ უფრო უცხოვლდება სურვილი თავისი დაწყობილი საქმეების. ის სთხოვს ხონთქარს ჯარსა. ხონთქარი ჰპირდება დახმარებას. მაგრამ, საუბედუროთ, არც აქ ასცდა ღალატი. ის მოიკლა ღალატით. თუმცა ამ სიკვდილს აბრალებენ სულთანის დას, დიდი ვეზირის ცოლს, რომელმაც შური აიღო, რომ ჩემს ქმარს სულ დაუმცირა თვის საქმეებითა და ვაჟკაცობით სახელიო, მაგრამ, ტოტლებენისა და მეფე ირაკლისა არ იყვეს, იქნება სააკაძესაც გაუგეს ოსმალთა განძრახვა, რათაც იბრძოდა ასრე, რათაცა სთხოვდა ხონთქარს ჯარსა, და ამისგამო მოუღეს ბოლო!...

ეს იყო მიზანი ქართველთა გმირის სააკაძისა, რომელიც უნდა გავეყვანა აღწერილს აწეწილს გარემოებაში, რომ მიეცა საბოლოვო საქართველოსათვის.

მიზანი აბაზისა იყო—მოსპობა და ბოლოს მოღება საქართველოსი, რომ ამითი აეცდინა სპარსეთის საბოლოვო იმ განსაცდელისაგან, რაშიაც ჩავარდა დღეს საქართველოს მოწყალებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ისტორია.

## სააკაძე.

„იყო კაცი ესე,—ამბობს სომეხთა მეისტორიე, არაქელ,—სრული საქმითა, ძლიერი განძრახვითა, გონიერი ყოველს საქმეში, წარმოსადეგი, ძლიერი ტანადი, დიდი მებრძოლი, უძლეველი შემმართებელი, და, ვისაც ის ბრძოლას გაუმართავდა, ყოველთვის იყო ის დამარცხებული, და თავის მოპირდაპირე მხედრობას, ვითარცა მხალსა აღხოცდა და გაჰფანტავდა დედამიწაზედ“.

„ჰფშვინავდა—მრისხანების დროს—ამბობს იგივე არაქელ,—ვითარცა მებრძოლი ცხენი და შესძახებდა, ვითარცა ლომი, ვითარცა ველის მოფშვინავი ვეშაპი“.

„გარნა ესე მოურავი გიორგი იყო მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და შემმართებელი უშიში“. ამბობს ვახუშტი.

იოსებ თბილელის სიტყვით, ამისი ერთი შეძახილი არევდა და გაჰფანტავდა ჯართა.

პეისონელის სიტყვით, ის იყო დიდი დიპლომატი და ღრმად მცოდნე ადამიანის თვისებისა და გულისა.

პლატონ იოსელიანი ეძახის ამას „გმირს მხედართ-მთავარს, რომელმანც შეარყია ერნი და სამეფონი, რომელიც აოცებდა ყველას თავისი გაუდრეკელი ხასიათით, რკინებრ მტკიცე თავისი გატაცებული აზრებით; აოცებდა ქვეყანას თავისი მდევ-გმირული სანახავობით და ახოვნებით, რომლითაც დასცემდა მტერთა ზარს“. ეძახის გმირს, „რომლისაც მახვილი, როგორც აგვიწერენ პოეტნი, ჰქუხდა საჭურველთა ზედა, საყვარი ჰგმირავდა გულთა, და რომლისაც ძლიერებით ირყეოდა ბრძოლის ველი“.

ამ გვარად აგვიწერენ მეისტორიენი სააკაძის ძალას.

სააკაძიანი, როგორც მოგვითხრობს გვართა აღწერა, მეფეთაგან შემდგარი, არიან გამოსულნი დაღესტნიდან, რომლისაც მთავარნი ყო-

ფილან, და იქიდამ განუდევნიათ, შემდგომ გასულან ნახჭევანს, და იქიდამ მოსულან ქართლში, სადაც მეფეებს მიუცია» ამათთვის მამული.

გიორგი სააკაძე იყო შვილი უბრალო აზნაურისა — არაქელის თქმით, უბრალო გლეხისა, — შიოშ სააკაძისა. თუმცა სააკაძენი ყოფილან აზნაურნი. მაგრამ, როგორც სჩანს, არც გიორგის მამა, შიოშ სააკაძე, ყოფილა შეუნიშნავი კაცი, რადგან თვით გიორგი სააკაძეს ხშირად იხსენიებენ შიოშის შვილად. ოჯახი შიოშ სააკაძისა ხომ მართლაც და შესანიშნავი იყო. ამისი ოთხი ვაჟი შვილნი იყვნენ ერთმანეთზე უკეთესი ვაჟკაცნი და შემმართებელნი, და შვილის შვილები შიოშისა — გიორგი სააკაძის ძენი: პაატა, ავთანდილ, ზურაბ, იორამ არ ჩამორჩებოდნენ გმირობით თავის მამა ბიძათ. ამ გვარივე და უფრორე განთქმული იყო ძმისწული გიორგისა, შვილის შვილი შიოშისა, ბეჟან სააკაძის შვილი, როსტომ ხან სააკაძე, სპასალარი მთელი ირანისა, რომელსაც შაჰ-სეფისა და შაჰ-აბაზ მეორეს დროს მთელი სპარსეთის სამხედრო ძალა ხელში ეჭირა და ყეენებს ერეკებოდა და ჰსვამდა ტახტზედ. როგორც მრავალი საბუთები გვარწმუნებენ გიორგი სააკაძისა და სხვა მის მამის შვილების აღზრდაზედ ჰქონიათ დიდი გავლენა როგორც მის მამას შიოშს, ეგრეთვე, და უფრორე შიოშის ცოლს, დიდათ გონიერს და ვაჟკაცური განუდრეკელი ხასიათის მქონეს, თამარს, რომელსაც მთელი ოჯახი გაუზრდია მართლაც და გმირულად.

გიორგი სააკაძე დაიბადა 1582 წ., პლატონ იოსელიანის თქმით, ნოსტევში, რომელიც დევს გორის ახალ-ქალაქიდამ სამ-ოთხს ვერსზედ. მაგრამ, როგორც თარხნიანთ საოჯახო დოკუმენტებიდან უნდა ვიგულისხმოთ დაიბადა ფელის ციხეში, რომელიც ჰდევს ატენის ხეობისა და ჯავახიანთ მთების შორის. ეს უფრო მით არის საფიქრებელი, რომ, როგორც სჩანს თარხნიაათ ქაღალდებიდან, ნოსტე არის ნაშოვნი თვით გიორგი სააკაძისა, და ფელს კი, ერთს დოკუმენტში, სააკაძე უძახის თავის სამკვიდრო ციხეს. ამასთან, შესაძლებელია, როგორც პირად თქმულობა ამბობს, გიორგი სააკაძე იყვეს დაბადებული ატენის ხეობაში, სადაც დღესაც არის დარჩენილი დიდებული ციხე-დარბაზი შვიდეტაჟიანი, ტანის წყლის გაღმა-გამოღმა გადგმული ძ ზემოდამ მოჯირით

და ცადაქნილებით გადაბმული, რომელსაც დღესაც გარშემო [illegible] ნი ეძახიან სააკაძის ციხეს, და ხალხის თქმით, არის გაკეთებული დიდი მოურავის,—გიორგი სააკაძისა. [1])

სააკაძე ჯერ ისევ სრულად ბავშვი იყო, რომ სვიმონ მეფე არ იშორებდა იმას ომების დროს გვერდიდამ. სააკაძე ხდება თითქმის მარჯვენი ხელი გაუტეხარის მეფისა. სააკაძის სახელი, სააკაძის საქმენი თან-და-თან ხდებიან შესანიშნავნი. სააკაძე იჭერს სახელმწიფოში დიდს ალაგს. მაგრამ, სამწუხაროდ, გამოჩენილი თავის ვაჟკაცობით, ~~და არა გამოცდილებით,~~—სვიმონ მეფე, თავისი გაუფთხილებლობის გამო, ჩაუვარდა ოსმალთ ხელში, რომლებთანაც ჰქონდა იმას ასეთი გაცხარებული ომები და რომელთაც ის ასრე უწყალოდ ამარცხებდა. პარიჟის ბიბლიოტეკის ხელნაწერი უსახელო ავტორის ქართლის ცხოვრების თქმით, მაშინ, როდესაც სვიმონ მეფე წავიდა ოსმალთა ჯარის დასაზვერავად, ოსმალთ გაუგეს ესა და გამოეკიდნენ. თვალაშვილმა, ერთმა თვისმა მხლებელთაგანმა, მოუკლა ცხენი, რომ არ გამოესწრო ოსმალთათვის, თუმცა ქართლის ცხოვრება ვახუშტის მოგვითხრობს, რომ ცხენი ჩაეფლა ჭანჭრობში და ამიტომ ვეღარ გამოასწრო. სვიმონ მეფე ტყვეთ გაგზავნეს სტამბოლს, და თან გააყოლეს გულშარა დედოფალი, სახელოვანი ქალი თვისი დიპლომატიური ნიჭით [2]) და, სხვათა შორის, გიორგი სააკაძეც, როგორც ეს სჩანს პიეტრო დელავალეს წერილებიდამ. [3]) როგორ გადარჩა

---

[1]) ეს დაწერილი გვქონდა, რომ ჩვენ გვითხრეს საშინელი ბარბაროსული ქცევა ერთის განათლებულის უცხო ტომის კაცისა, რომელსაც ეს ადგილი წილათა ხვდა. იმას ეს საოცარი შენობა, რომლისაც ბადალი ნამთი ძველთაგან საქართველოში არა მენახა რა, დაუნგრევია და მოუხმარებია რაღაცა შენობის მასალათ. მაგრამ, რა გავამტყუვნოთ უცხო ტომის კაცნი, როდესაც ესევე ჩაიდინეს თვით მისმა ჩამომავლობამ, თარხნის შვილებმა თავისი სახელოვანი წინაპარის, შესანიშნავის, ნასტეს შენობაზედ.

[2]) ამ გულშარას პირით ელაპარაკებოდნენ ოსმალ-სპარსნი ერთმანეთს, ეს მოციქულობდა ამათ შორის.

[3]) თამარაშვილის წიგნი „ისტორია კათოლიკებისა საქართველოში“ (გვ. 88). როგორც ზემოთაც ითქვა, პიეტრო დელავალე გვიამბობს, რომ სპარსეთში ყოფნის დროს მოურავი (მოურავს უცხო მწერალნი ხან მო-

იქ სიკვდილს ან ტყვეობას, არა სჩანს. მხოლოდ, როგორც ეტყობა, დაბრუნებულა შემდგომ სვიმონის სიკვდილისა. შემდგომ სვიმონ მეფის შვილმა, გიორგი მეფემ კიდევ უფრო დაიახლოვა საკაძე. იმან ის იახლა ლორეს ოსმალებთან საომრად. აქ ისურვა მეფე გიორგიმ საკაძის საშუდამოთ გვერდს ხლება, და იმისმა მამამ, შიოშმა, ოცი წლის შვილი თავისი გიორგი, ახლა მეფეს კარის კაცად სასახლეში. ამ ხანებში წაიყვანა საკაძე მეფე გიორგიმ ერევანში შაჰ-აბაზთან ოსმალების საომრად, ამ ომებშიც საკაძემ აჩინა ისრეთი ვაჟკაცობა და საზოგადოთ ისეთი სახელმწიფო გამგეობის ნიჭი, რომ ეს შენიშნა თვით შაჰ-აბაზმა. გატაცებულმა ამისი საქმეებით მეფე გიორგიმ, ოცდა-ერთი წლის ბავშვს მისცა სამეფოში პირველი ადგილი: მისცა ქართლის ამირთ-ამირობა[1]) და დიდ მოურავობა: მოურავობა თბილისისა, ცხინვალისა და მთელი ოსეთისა. საკაძე ხდება თითით საჩვენებელი, საკაძე ხდება საქებარი და სადიდებელი, ქვეყნისათვის თავის მოსაწონებელი; იმის დამოყვრებასა და დანათესავებას სცდილობენ უპირველესნი თავადნი და დიდებულნი. ნუგზარ არაგვის ერისთავი, რომელიც ყველა თავადებზედ გაძლიერებული იყო მაშინ, აძლევს ცოლად თავის ასულს. იმას უყურებენ მეფის დარად.

ამ გარემოებაში, რომ გიორგი მეფემ მოინდომა გამოხსნა თავის მამის სვიმონის ოსმალთ ტყვეობიდნ, ქართლი ჩაავდო საშინელს განწირულებაში. ოსმალთ აღუთქვეს განთავისუფლება სვიმონისა, თუ

ურავს ეძახი ნ, ხან მოურაოს, ხან მერაბს, ხან მურადს და სხვა, რაც პლატონ იოსელიანმაც შენიშნა), დადიოდაო თავის სახლობით კათოლიკეთა წირვა—ლოცვაზედ და იყო დაახლოვებული კათოლიკეთა მისსიონერებთანაო. დელავალეს მხოლოდ ეშლება სახელები მოურავის სახლობისა. იმის შვილს, მარაბდისა და ყორჩიხანის ჯარების მოწყვეტის გმირს, ავთანდილს იხსენიებს მოურავის ძმისწულად; მოურავის შვილს, პაატას, ეძახის ვახტანგს. ეგრეთვე შეჰშლია მოურავის ძმისწულის, როსტომ სააკაძის სახელი და მის სახელის მაგიერად იხსენიებს იმის მამის ბექანის სახელით.

[1]) ამირთ-ამირი—უფროსი ყველა მხედართ მთავართა, ანუ მთელი სამხედროს მთავარი, სპასალარი. ძველად, არაბულათ საზოგადოთ მხედართ მთავართ-მთავარი.

გიორგი მეფე ქართლს გახდიდა ოსმალთა მოხარკეთ. მაგრამ ამ ახირებულს კაცს, სვიმონ მეფეს, ისრე სძულდა ოსმალნი და ისრე ერთგულობდა სპარსთა, რომ ტყვეობა არჩია ოსმალთა მოხარკეობას. რა-კი ეს არ მოხდა, მაშინ ოსმალთა მოსთხოვეს მძევლად გიორგი მეფის შვილები: ერთი ასული და ერთიც ვაჟი, დავითი: ძმა და და ლუარსაბ მეორისა, და იმოდენა განძეული და ფული, რომ უნდა მთელი ქართლი გატყავებულიყო ამ გადასახადში. რაკი თვით მეფის სახლს არა ჰქონდა იმოდენა შეძლება, მაშინ გამოიტანეს განძეულნი ტაძართა და მონასტერთა, გამოართვეს წარჩინებულთა და ყველა დიდებულთა რაც კი რამ ებადათ. სიტყვით, მეფის შვილებთან ერთად, გაისტუმრეს მთლად, თითქმის, მთელი ქართლის განძეული სტამბოლში სვიმონ მეფის გამოსახსნელად. ეს გაგზავნილი კაცნი მივიდნენ ხვანთქართან, მაგრამ სვიმონ მეფეს ველარ მიუსწრეს ცოცხალს. თუმცა მეფე სვიმონ აღარ იყო ცოცხალი, მაგრამ ხვანთქარის ბრძანებით ეს განძეული და ფული წაართვეს ქართლის მოციქულებს და გადმოუგდეს მკვდარი მეფე. არ დააჯერეს ამასაც, თვით დავით ბატონიშვილი და იმისი და დაიჭირეს იქ მძევლად და აღარ დაუბრუნეს თავის მშობლებს, და ამათაც მოეღოთ იქ ბოლო.

ქართლი გატყავდა. გლეხკაცობა დრტვინავდა ფულის გადასახადით. კომლს გლეხს, სვიმონ მეფის სპარსეთიდამ დაბრუნების უკან, ედო ხარჯად ასი მარჩილი, ესე იგი, ექვსი თუმანი. ექვსი თუმანი იყო ეს საშინელი გადასახადი კომლს გლეხზედ. თავადობა იყო ასეული ამოდენა გადასახადების გაცემით. ისინი სარგებლობდნენ მეფის მოუძლურებით და თავს აღარავინ უდებდა. ოსნი და სხვა მთის ხალხნი, ქართველთა მოხარკენითუ თავის-ყოფალნი, ჰსარგებლობდნენ ამგვარი არეულობით საქართველოში. ამდენს უბედურობასთან, შაჰ-აბაზმან მოსწამლა მეფე ქართლისა გიორგი ერევანში იმგვარი საწამლავით, რომელიც კაცს ჰკლავს ნელა-ნელა შეუმჩნევლად. გიორგი დაბრუნდა ქართლში და მოკვდა, შემდეგ ერთის წლის გადებისა, მეჯვრიხევში ყოფნის დროს. დარჩა მეფედ იმის ყმაწვილი შვილი, ლუარსაბ მეორე, გამოუცდელი, დედის ერთა, ნებიერი, თვითნება.

ამითი უფრო ისარგებლა ქვეყანამ: აღარც თავადობა, აღარც გლეხობა, აღარც მთის ხალხნი აღარ უდებდნენ მეფეს თავს, ყველა ასისა,

ყველა გადგა განზედ, ყველა თავადი თავის სათავადოში ჰხადოდა თავს მეფედ. მეფე იყო განწირულებაში. ერთი მტრის დასხმა და ქართლის ბოლოს მოღება იქნებოდა ერთი.

ამ ხანებში, რომ რუსთა მეფეს არ დაუმკვიდროსთ სამეფო და ამოთი არ დავკარგოთ გავლენა საქართველოზედაო, შაჰ-აბაზმა თვითონ მოინდომა დამოყვრება მეფის ლუარსაბისა და მოსთხოვა ცოლად სწორეთ ის და, რომელსაც რუსები სთხოვდნენ ცოლად მეფე ბორის გოდუნოვის შვილისათვის, ლელა, რომელსაც რუსები ეძახდნენ ელენეს.

როდესაც გაჰგზავნეს მეფის ასული შაჰ-აბაზთან ისპაანს, თან ახლდა ეს ყმაწვილი სააკაძე. სააკაძის რიხმა, გონებამ და დარბაისლობამ კიდევ უფრო აღტაცებაში მოიყვანა შაჰ-აბაზი. შაჰ-აბაზმა მიიღო ის დიდათ და გამოისტუმრა მრავლითა და დიდითა წყალობითა. გიორგი დაბრუნდა სპარსეთიდამ უფრო ძალა მოცემული. გავარდა ხმა: შაჰ-აბაზთან სააკაძე გახდა შესული და გაძლიერებულიო. ეს დიდათ საჭირო იყო იმ მდგომარეობისათვის, რომელშიაც ქართლი იყო ჩავარდნილი. ხალხის თვალში ყოველთვის აქვს ძალა-მოცემულს კაცს პატივი, ხალხი სცემს პატივს, ემორჩილება ძალას.

მეფის სახსარი ქართლის დამშვიდებისა და თავადების დამორჩილებისა არავინ იყო, თვინიერ დიდი-მოურავისა, ესე იგი გიორგი სააკაძისა. თავადები არ იყვნენ სანდო, რადგან, ჯერ ერთი ესა, ახსოვდათ, რომ სვიმონ მეფის დასახსნელად მეფე გიორგიმ სულ დაატყვევა ესენი, მეორეც ესა, მეფის მოუძლურებით თვითონ გაძლიერდნენ როგორც თავის საუფლოში, ეგრეთვე სახასო ადგილებსა და უძლურს თავად-აზნაურთა საუფლოებზედ. სამღვდელოებაც არ იყო კმაყოფილი, რადგან სვიმონ მეფის გამოსასყიდათ ამათაც დიდი ზარალი მოუვიდათ მეფის სახლობისაგან; გლეხნი ხომ, უფრო შევიწროვდნენ ახალი ფეოდალის ხარჯით, რომლისაც საშოვარი მაშინდელს დროში თითქმის სულ არ იყო, ეურჩებოდნენ მეფეს. აქ იყო საჭირო ჯერ ერთი ძლიერი გაუტეხარი და მოხერხებული კაცი, ამასთან კაცი, რომელსაც სტკივებოდა გული მეფისა და ქვეყნისათვის. ამგვარი კაცი იყო მარტო სააკაძე, რომელსაც აქამდის არ შეემჩნეოდა არაფერი, გარდა ქვეყნის ერთგულებისა და ამასთან იყო სიყრმის მეგობარიც მეფისა.

საკაძე შეუდგა საქმეს. დრომ შეუწყო ხელი: გარეშე მტერი ჯერ მიუუჩნებელი იყო, ოსმალს და სპარსთ ჰქონდათ ერთმანეთში ომი და არ ეცალათ საქართველოსათვის.

საკაძემ დაამშვიდა ჯერობით გლეხობა. შეუსუბუქა ფულის გადასახადი, უმამულოსა და მამულის ნაკლებთ კაცთა მისცა და მოუმატა მამულები იმ ადგილებიდამ, რომელნიც იყვნენ თავისუფალნი და ვერანანი; გამართა სავაჭრო ადგილები, სადაც დაასახლა აღებ-მიცემისა და ხელოსანი ხალხი, რომ ჰქონოდა ქვეყანას ალაგი და ჰყოლოდა მთხოვრული თავის მოსავლის გასასაღებლად. ამასთან, იწყო ახალი მოსახლობაებით გავსება იმ ადგილებისა, სადაც სრულიად აღარავინ ესახლა. იმან მოიყვანა მრავალი ტყვენი, დააბრუნა გაქცეულნი უცხო ქვეყნებში მძლავრთა მებატონეთა და ბევრი გადასახადებისაგან გლეხობანი; მოიყვანა რჯულიდამ გადამდგარნი, მისცა სამკვიდროებს ნაბიჭვართა და განდევნილთა; აძლევდა მამულებს და სამკვიდროებას, ვინც ან ახლად მიიღებდა ან დაუბრუნდებოდა გადადგომიდან ქრისტიანობას. ახლათ მოსახლეთა და დამკვიდრებულთა ანთავისუფლებდა ხარჯიდამ, ვიდრემ დამკვიდრდებოდნენ თავის ადგილზედ. ამითი საკაძემ, არამც თუ მოუგო გული გლეხობას, დაამკვიდრა კიდეც ქართლი, დაასახლა ცარიელი ადგილები, გაამაგრა მთები და ვიწროები, დამართა გზები. შეუკრა გარედამ მტერს გზა, დაამშვიდა შიგნიდამ დაცემული დაბალი ხალხი.

რაკი აქედამაც ზურგი მოიმაგრა, საკაძე შეუდგა ახლა ასეულთა კავკასიის ხალხთა დამორჩილებას. ამათში თავი და თავი იყვნენ ოსნი.

თავადების წინათ ოსების დამშვიდებას შეუდგა საკაძე იმიტომ, რომ იცოდა თავადები ამას ამ საქმეში მხარს მისცემდნენ, რათგან ოსთაგან ყველანი—გლეხნი, თავადნი, აზნაურნი, სამღვდელონი შეწუხებულნი იყვნენ. ჩამოდიოდნენ ქურდულათ ჯარად თუ ცალკ-ცალკე, მოიტაცებდნენ, მოიპარავდნენ, რაც მოხვდებოდათ, და იმალებოდნენ თავის ვიწრო კლდეებსა და დაბურულს ტყეებში. გულდამწვარი ამათგან თავადობა, ცხადი საქმეა, მხარს მისცემდა საკაძეს. მართლაცა და ყველა თავად-აზნაურობამ ერთპირათ მისცეს ამას მხარი, და ის შეუხ-

ტა შეუვალს დვალეთისა და მაღლა დვალეთისა (მაღლანდოღლელთა მდა-ბიო ხალხის პირში,) მთებს.[1])

ვისაც არ უნახავს, ვერ წარმოიდგენს, რა არის მაღლა დვალეთი. ბევრს ადგილას არ მოიპოვება ცხენის გზაც კი, მომეტებული ნაწილი უნდა იარონ იმისთანა მთებზედ, საიდამაც მარტო ერთი გადმოხედვა შეუჩვეველს კაცს გასტაცებს თვალს და თავის თავად გადაიჩეხავს უძირო უფსკრულში. თუ მთის ძირობაზედ მიდის სადმე ბილიკი, თქვენ მიდიხართ იმისთანა ვიწრო ხეობაებსა და შეკრულს მთებს შუა, საიდაც აუდებულს ცათამდის კედელივით შეკრულს სალს მრისხანე კლდეებს შუადღისასაც კი ვერ ჩასტანს მზე. მაღლიდამ ყოველსწუთას გემუქრიან ზვავნი საუკუნოდგან აუღებლის თოვლისა, მომზღვლეულის მიწისა, მოწყვეტილის პიტალო კლდის ბორცვებისა... ოცს, ორმოცს კაცს შეუძლიან უიარაღოთ, მარტო ცარიელი ქვებით გასცეს პასუხი მთელი მილეთის ჯარს... ამ მთას ასხია შუდამ ომებსა და ყაჩაღობაში გაწრთვნილი მარდი ცხენოსანი, მსროლი, მშვენიერი მოყვარილი, ვაჟკაცი ხალხი ოსისა.

აი აქ და ამ ხალხთან ჰქონდა სააკაძეს საქმე. ეს მთა და ეს ხალხნი უნდა გაეტეხნა სააკაძეს, რომ დამშვიდებულიყო ქართლი, მოებრუნებინა ქართლის ხალხს სული, დაეჭირა ხელში ქონება, რომელსაც არ არჩენდნენ ამას.

სააკაძემ სძლია ეს საშინელი გარემოებანი. ის შეესხა ოსებს მათს გაუტეხარს მთებში. მას დაუხვდნენ მართლაცა და გმირულად ოსები. აუტეხეს მედგარი ბრძოლა. საიკვდილოთ დაუჭრეს ამ ბრძოლაში ერთი უკეთესი მეომართაგანი და მებრძოლთაგანი თამაზ მაჩაბელი, რომელიც თვით სააკაძემ თავისის ხელით გამოსტაცა გარს შემორტყმულს ოსთა მეომართა, და ცოცხალ-მკვდარი ჩააბარა თავის ჯარებს. გაუტეხრად და შეუფერხებლათ მიდიოდა სააკაძე წინ და სძლევ-

---

[1]) იმ ადგილებს, რომელთაც ჰქვიანთ დვალეთი და მაღლა დვალეთი ანუ მაღლანდოღლეთი, ესახლნენ ძველად ქართველნი, რომელთაც ეწოდათ დვალნი. ეს ხალხი, რომელიც აერთებდა რაჭას მთიულებთან და ხევის კართან ერთი ტომის ხალხთ, ავთა დროთა გამო ზოგი გადმოსახლდა იქიდამ და ზოგიც შეუერთდა ოსთა.

და ყველგან თავის წინააღმდეგთ ოსთა მეომართ. წაართვა ამ [illegible] ოსთა უმაგრესი ადგილები და ციხეები, ჩააყენა თავისი ჯარი და მეციხოვნენი, წამოიყვანა ოსების მძევლები, გაბეგრა თვითონ ხალხი და მოიყვანა სრულს მეფის მორჩილებაში.

დარჩნენ ახლა მოსამორჩილებლად ურჩი თავადები ანუ, როგორც მაშინ ეძახდნენ, მთავარნი.

ვიდრემ ყველა თავადს თავისაკენ გაუშვია ცხვირი, ვიდრემ იმათ ეჭირათ მეფური ძალა ხელში, ძნელი იყო სამეფოს გაძლიერება. როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, თავადნი მეფეთ თითქმის არ იპატონებდნენ, ჰქონდათ, მეფის დაუკითხავათ, ერთმანეთთან ომი, ესეოდნენ ერთმანეთის საყმოებს, იკლებდნენ, აწიოკებდნენ, ათხრებდნენ, ჰყრიდნენ და სწყვეტავდნენ ხალხს; სწყვეტავდნენ გვარეულები ერთმანეთს, ერთმანერთის თვის-ტომსა, მის ხის-მისხს. ისე გარეშე მტერი ვერ იკლებდა, ვერა ჰმუსრავდა საქართველოს ხალხს, როგორც ქართველი თავადები. თვით ძლიერთ მეფეთაგანაც ძნელი იყო ამათი ძლევა, თორემ ასრეთი მოუძლურებელი მეფობა, როგორიც ჩაჰბარდა ლუარსაბს, ხომ ვერ დაიმორჩილებდა ამათ. ვის არ ახსოვს ბრძოლა ორბელიანებისა თვით იმ მეფეებთან, რომელთაც მთელი საქართველო ეჭირათ ხელთა. თვით სახელოვანსა და უძლიერეს მეფეს, დავით აღმაშენებელს უჭირდა ამათი ძლევა, და, ძალა უნებურათ უნდა ზოგში დაჰყოლოდა ამათს ნებას. ცხადია, ლუარსაბს უფრო არ შეეძლო მთავართა გაძღოლა. მით უფრო ძნელი იყო ესა, რომ, როგორც ზემოთაც ითქვა, სპარსეთის შაჰებიცა, ოსმალეთის ხონთქრებიც თითქმის მეფეთა თანასწორად აღიარებდნენ ქართველთა მთავრებს, ისმენდნენ მათგან მეფეებზედ საჩივარს, აძლევდნენ მეფეების საძლეველად და საბრძოლველად ყოველ რიგს შემწეობას, როგორც სიტყვით, ეგრეთვე ჯარით, ეგრეთვე ფულით.

სააკაძე ახლა ჰხედავდა თავის თავში ძალას, რომ დაეჭირა ხელში თავადობა. ჯერ ერთი ესა, იმას ებარა უძლიერესი სამოურავოები: თბილისი, ცხინვალი, მთელი ოსეთი; იყო მბრძანებელი სამეფო ჯარებისა, ამირთ-ამირი მათი; მეორეც, ჰყავდა მოყვრათ უძლიერესნი მაშინდელს დროს თავადნი: ნუგზარ არაგვის ერისთავი, რომელიც იყო

ამისი სიმამრი, თეიმურაზ მუხრანის ბატონი, ისე ქსნის ერისთავი, რომელთაც ჰყავდათ ცოლად ნუგზარის ქალები, ცოლის ძმა სააკაძისა, და სხვანი; ჰმეგობრობდა ამას ხანი შამშადილისა დელუ-მამად ხან,—მაშინდელი ციხისთავი თბილისის ციხისა, სპარსთაგან დაყენებული. მეფე ჰყავდა მოსარჩლედ, შაჰი მწყალობლად. ამასთან, იმან მოიგო გული გლეხთა. ჰყავდა ნიადაგ მზათ თავგამეტებული ამისათვის ახალი დასახლებული ხალხი. თითქმის მთელი ძალა, რომელიც იყო თავადთა გარეშე სამეფოში, ეჭირა ამას. სააკაძე აყენებდა წინ ნიჭიერთა და გამოცდილთა მდაბიო კაცის შვილთა, როგორც ქვემოთაც ვნახავთ, სამეფო მოხელეებათ; სრულიად უარ-ჰყოფდა რამე სამეფო საქმეში უქმთა და უძლურთა დიდებულთა, რომელთაც არ შეეძლოთ რამე საქმეში გამოდგომა. გაძლიერებულთა და მძლავრთა დიდებულთა, რომელნიც არაფრად აგდებდნენ მეფეს და სამეფო საქმეთა, სრულიად ჩამოართვა საერთო სამეფო საქმეში მოხელეობა, და მზა ჯარით, თავის პასუხის საგებრათ მზად ყოფნით სრულიად შეაკვეცა იმათ ფრთები. ასრე რომ უომრად, უძალადოდ ყველა მოიყვანა მეფის მორჩილებაში. ყოველი ბრძანება მეფისა, ანუ, უკეთა ვსთქვათ, სააკაძისა სრულდებოდა დაუყოვნებლივ. შესწყდა სამეფოში თავადებისაგან ერთმანერთის ბრძოლა, ერთმანერთის თავს დასხმა, ერთმანერთის საყმოების აკლება, ერთმანერთის ჟლეტა, ერთმანერთსა და მთელი სამეფოს აოხრება. სამეფომ შეისვენა. ხალხის შეძლება, ქონებითა და სახლობით წარმატებაში მიდიოდა. სააკაძე იყო ბატონი სამეფოსი. ის უფრო და უფრო ჰმართავდა გზებს, სიმაგრეებს, ციხეებს, ასახლებდა გავერანებულს ადგილებს, მოჰყავდა ვაჭარი ხალხი, აძლიერებდა ვაჭრობას, ავრცელებდა სავაჭრო ადგილებს.

ძლიერდებოდა და შენდებოდა ქართლი. მაგრამ, არ ეძინა ხვანთქარს. იმას კარგად ახსოვდა, რომ შაჰ-აბაზმა წაართვა ამას გიორგი მეფის შემწეობით ერევანი, ალაგნი არარატისანი, ადერბიჯანი, შაქი, შირვანი, თვით გიორგიმ ლორე და სხვა.

სწორედ ამ ხანებში, რომელიც სააკაძემ იმარჯვა და მოიყვანა ქართლის ქვეყანა არსებაში, აუტყდათ ოსმალთა და სპარსთა ბრძოლა ერთმანერთში. იბრძოდნენ ბაღდადის გულისათვის, რომელიც არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი ბაბილონის ალაგს აშენებული და არის უდიდესი ქალაქი საოსმალო აზიაში, აშენებული აბუ-ჯაფარ ხალიფასაგან 762 წ. ხვანთქარმა გაჰგზავნა ბაღდადზედ ყოველი თავისი ძალა. შაჰ-აბაზ ამ ხანებში იყო მოკლებული ქართველთა დახმარებას, რადგან კახეთში იყო არეულობა კონსტანტინეს გამეფების გამო, რომელმაც შაჰ აბაზის ბრძანებით მოჰკლა თავისი მამა ალექსანდრე და ძმა, გიორგი მეფე, ყველა ერთგულებით და მახლობლებით. კახეთს განაგებდა ქეთევან დედოფალი, რომელმანც გაიმარჯვა კონსტანტინეზედ და მოაკვლევინა კიდეც. მეფედ იჯდა თეიმურაზ არეულს და მოუძლურებულს ქვეყანაში. ქართლიც სანდოთ არ ეგულებოდა, რადგანაც ეშინოდა, ვაითუ ქართველნი მოხვედრილნი იყვნენ, რომ გიორგი მეფე ჩემი მოწამლით მოკვდაო. აქ იძლია აბაზ. ხვანთქარმა დაიბარჩუნა ბაღდადი შაჰ-აბაზ და ხვანთქარი მორიგდნენ. ამ ხანად ხვანთქარი იყო განრისხებული საქართველოზედ, რადგან გიორგი მეფე ქართლისა და ალექსანდრე მეფე კახეთისა დაეხმარნენ აბაზს, როდესაც შაჰმა წაართვა ხვანთქარს ერევანი, თავრიზი, და სხვა ალაგები. ამის ჯავრის ამოსაყრელად, განრისხებულმა ხვანთქარმა გამოუსია აქედამ ჩუმად ქართლს სამოცი ათასი კაცი თავისი ჯარი [1]).

ხვანთქარი და იმისი სარდლები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს ჯარი ბევრიც იყო სვიმონ მეფის გამოსყიდვითა და სხვა გარემოებებით სრულიად გადატვირთულისა და ერთმანერთში ასეულის და არეული ქართლისათვის, რომელსაც ამასთანავე ჰყავდა ყმაწვილი და გამოუცდელი მეფე [2]).

---

[1]) ანტონ 1-ლი კათოლიკოზის თქმით, ეს ჯარი პირ-და-პირ კონსტანტინოპოლიდამ იყო გამოგზავნილი, მაგრამ ესეც ისეთივე შეცდომაა, როგორც მრავალი სხვა რამ მისი ისტორიული ნაწერნი, რომლებშიაც, რამდენათაც კრიტიკაა ნაკლები, იმდენათ ძლიერი მოუფიქრებლობა და საკუთარი ფანტაზია.

[2]) ქვათახევის გულანი ამბობს ამ ჯარზედ: ,,აქა მოვიდა **თათარხანი** და სამცხისა, შავშეთისა და ნიგილის ხევის ფაშები და ლაშქარი და შეება მეფე ლუარსაბ და გააგცივა, მცირენი ლა (გადარჩნენ უნდა იყვეს, რადგანაც ამისი შემდგომი წაშლილია. ქრ. თ. ჟორდანიასი გვ. 438).

ყანჩაეთის გულანზედ აწერია: „ქრონიკონს სყზ. აქა თათარხანი მოვიდა ქართლს და ლუარსაბ მეფემან გაიმარჯვა“. (იქვე)

ბიბლიოთეკა

1609 წელს ივნისის თვეში ხვანთქარის ჯარი უცებ შემოესია ქართლს.

მეფეს და სააკაძეს აცნობეს, რომ თრიალეთზე მოდის დიდ-ძალი ოსმალოს ჯარით.

---

ცაიშის ჟამნ-გულანზედ აწერი. „ქორონიკოს სკზ. ამა ქორონიკონსა თათარხანი ჩამობრძანდა და ავად წაბრძანდა“. (იქვე)

„ქრონიკოს სკზ. თათარი (თათარხანი) ჩამოვიდა. მოსწყვიტა მეფემან ლუარსაბ და მოურავმა ქართველთა. (წიგნი ქრონიკონი. იქვე).

ამ თათარხანზედ აწეწილი ცნობებია ჩვენს ისტორიაში და ქრონიკებში: ჯარი იყო თათარხანთა, თუ ამ ჯარის მხედართ მთავარს ერქვა თათარხანი.

ზემოთ ვნახეთ, რომ თათარხანი იწერება მხოლოობითი რიცხვით. ამგვარვე მხოლობითი რიცხვით იხსენიება „დიდ-მოურავიანის“ სათაურშიაც, რომელიც არის შეტანილი თავისით დავით რექტორისაგან. ამ სათაურში სწერია: „შებმა მოურავისა და თათარხანისა“, თვით „დიდ-მოურავიანში“ კი სწერია: „ამბავი მოვიდა ლაშქართ ყრისანი, **თათარხნის შემოგროვება**“. აქ თითქო ჯარი უნდა იყვეს ან ხალხი თათარხანნი, და არა სახელი. „საქართველოს ცხოვრებაში“, რომელიც ინახება საფრანგეთის სამეფო ბიბლიოთეკაში, ხან იხსენიება, როგორც ჯართა მხედართ-მთავარი, ხან როგორც ლაშქრისა ან ხალხის სახელი: „მოვიდა ამბავი მეფე ლუარსაბთან **ლაშქართ შემოგროვება თათარხნისა**“. მეორედვან სწერია: „**თათარხნის ლაშქართა** თრიალეთი გადმოიარეს“. აქ თითქო იგულისხმება, რომ თათარხანი იყო ამ ლაშქრის მხედართ მთავარი. (გვ. 38). სხვაგან ამავე წიგნში კიდევ არეულათ ვკითხულობთ. ერთგან სწერია „მოუხდა ყეენს ხუდაბანდას ცოლი ბეგუმ შირვანშა... შეიბნენ... **თათარხანი ხელთ დაიჭირეს**“, აქ კიდევ მხოლობითი რიცხვით არის ნახსენები, თითქო როგორც სახელი. მეორედგან აქვე სწერია „და **თათარხანიცა** ყ ენმა **დაახოცინა**“. აქ მრავლობით რიცხვით არის მოხსენებული. (გვ. 22).

„ქართლის ცხოვრებაში“ვახუშტი ჰხმარობს მრავლობითი რიცხვით, როგორც ჯარის ან ხალხის სახელს. „**მოვიდნენ ხვანი დიდნი თათარხანთა**“. „**დაეხსნეს თათარხანნი** და მოსწყვიტეს“. (ქ. ც. გვ. 37).

აქ ესეც უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ჯარს „მგლის ტყაოსანთაც“ ეძახდნენ. თუ ყირიმის ჯარი იყო, როგორც მოგვითხრობს პლატონ და

20 წლის ყმაწვილი[1]) მეფე ლუარსაბ იდგა იმ დროს ცხირეთს, მშვენიერს საზაფხულო სადგომს, რომელიც ჰდევს ქართლის დედა-ქალაქის თავს, მთის ძირას, ხშირს ტყეში, ორი-სამი ვერსის მოშორებით ნოსტედამ, სადაც საკაძეს ჰქონდა გამართული ბინადრობა.

მეფემ აფრინა გზების შესაკრავად ვინმე იარალი და ზაქარია,— რომლების გვარს ჩვენი მატიანე არ იხსენიებს,—როგორც გამოცდილნი, დიდი ვაჟკაცნი და დახელოვნებულნი ამ გვარს საქმეში.

მაგრამ, სამწუხაროთ, მანამ ესენი მივიდოდნენ და გზებს შეჰკრავდნენ, ოსმალნი შემოესივნენ ქართლს სხვა მხრიდამ. ეს გვიან გაიგეს ამ ორთა გმირთა სარდალთა. მაგრამ, გაიგეს თუ არა, მაშინვე დაედევნენ ოსმალებს უკან და მოსდევდნენ თითქმის ფეხ-და-ფეხ.

ოსმალებმა გადმოიარეს საბარათიანო, გადმოიარეს კველთა, მანგლისი და გასწიეს პირ-და-პირ ცხირეთისაკენ, სადაც ეგულებოდათ მეფე.

აკლებული და განიორწყალებული ამათგან ხალხი, ანებებდა საქმეს თავს და მოსდევდა იმათ უკან მდევრად. ბარათიანთაც შეჰყარეს ჯარი და გამოუდგნენ ოსმალოს გზას.

კველთიდამ,[2]) კლდე-კარზედ, საშინელს ტყიანს და ჩარაბადგილებში, ოსმალთ აღარ იცოდნენ, რა გზით წასულიყვნენ ცხირეთზედ, რომ მეფეს უცებ დასხმოდნენ თავს და შეეპყრათ.

კველთაში, ზარდაცემული ხალხი ეცა ტყესა და სამალავებს. ოსმალთ მოასწრეს სოფელში მარტო იქაურს მღვდელს, თევდორეს — გვარი არც იმისი სჩანს,— შეიპყრეს და უბრძანეს, გასძღოლოდა და ჩაეყვანა ესენი ცხირეთში მეფის შესაპყრობლათ. შეპყრობა მე-

ყირიმელთ ეძახდნენ ქართველნი „თათარხანთა?“ ამას არსად არ შეხვდება მკვლევარი ჩვენთა ძველთა ნაწერებში.

[1]) როგორცა სიონის გურჯიდამ სჩანს, რომელიც მიეცა მეფე სვიმონ პირველისაგან, ლუარსაბ 1589 წ. ყოფილა და იხსენიება. მაშასადამე ამ დროს 20 წლისაა ზედ მეტიცა უნდა ყოფილიყო. უფრო საფიქრებელია რომ 21-22 წლისა ყოფილიყო ამ დროს.

[2]) კველთა იყო სოფელი, სადაც დღეს არის შტაბ-კვარტირა მანგლისი, მის გვერდით, სადაც ეხლა არის ნაძვის ყორული შტაბკვარტირისა.

ფის იყო ადვილი, თუ შეუსრულდებოდათ ოსმალთა თავისი წადილი, რათგან გველთა ცხირეთიდამ არის ცხენით სულ სამ-ოთხის საათის სავალი.

ოსმალთ შეუტყეს, რომ ღვდელი არ აპირებდა ამათს დამორჩილებას. მაშინ შეუკრეს ოსმალთ იმას ხელები და ჯიგლაგებისა და ხმლის უკის ცემით გაიძღოლეს წინ. მაგრამ, საბედნიეროთ ქართლისა კიდევ ჰღვივოდა აქა-იქა ქართული გული, ქვეყნის სიყვარული. თევდორე ღვდელი არა ჰგავდა იმ დიდებულთა, რომელნიც ერთს ხალათში მზათ იყვნენ გაეცათ და მტრის ხელში ჩაეგდოთ, არამც თუ მეფე, და მთელი ქვეყანაც. თევდორე ღვდელი არ ეკუთვნოდა ამგვართა კაცთა. იმან იცოდა, რომ მტრისაგან მეფის ხელში ჩაგდებას მოსდევდა ქართლისათვის უარესი დღენი, ვიდრე სვიმონ მეფის დატყვევნით გამოვლო ხალხსა. სვიმონს ჰყავდა მოსწრებული მემკვიდრე, ცოლშვილიანი, რომელსაც შეეძლო მამის უკან კიდევ გასძღოლოდა ქვეყანას. ლუარსაბ იყო უცოლო, უძეო. ამის დაპყრობით ქვეყანა დარჩებოდა უპატრონო. თავადობა ქვეყანას შესჭამდა, ერთმანერთს გაჟლეტავდნენ. თევდორემ გადასწყვიტა გულში, შესწიროს თავის მშობელს ქვეყანას თავი. „განა მარტო ჩემს თავს უნდა ვანაცვალო ქვეყანას“, სთქვა იმან, და გაუძღვა ოსმალთ სხვა გზაზედ, რომელიც სრულიად არ მიდიოდა ცხირეთზედ. თევდორე გაუძღვა გოსთიბედამ, რომელიც ცხირეთიდამ სულ ექვს ვერსზედ დევს, ქვენადრისის გზაზედ, რომელიც დევს 10—15 ვერსის მოშორებით ცხირეთიდამ დასავლეთის მხარეს. ასრე, რომ თუ უკანვე მოინდომებდნენ ამ გზებზედ წამოსვლას, უნდა შემოევლოთ საშინელი შეღმართები და დაბურული ტყიანი ადგილები, თუ არა და უნდა თითქმის 20 ვერსი მოევლოთ გარშემო, რომ მისულიყვნენ ცხირეთს.

ეს გაუგეს ქვენადრისს თავგაწირულს მღვდელს ოსმალთა და კიდეც გადუხადეს სამაგიერო. შემდგომ დიდის გვემისა და წამებისა, მოჰკვეთეს ამ სამაგალითო მოწამეს თავი, და გვამი იმისი გადუგდეს ყვავთა და ყორანთა გამოსაზრდავად ერუ თქმის წყლის ხევში.

მოკვდა წამებით მღვდელი თევდორე, მაგრამ სახელი და ხსენება მისი იქნება ცოცხალი, ვიდრემ სადმე-და ჰღვივის სახსენებელი ქარ-

ფელი კაცისა. იმან თავისი წამებული სიკვდილით იხსნა გარ[illegible]-საგან თვისი მშობელი ქვეყანა, ტყვეობისაგან თავისი მეფე, სიკვდი-ლისაგან ათასი და ასი ათასი თავისივე მოძმე.

მეორე დილას, მოყოლებული თეძმის ხევიდამ მტკვრამდის და გარშემო თითქმის ოცა ვერსის მანძილზედ, დღეინდელს ახალქალაქს ქვემოდამ მთელს ვაკეს მოედო ჯარი ოსმალთა, რომელიც თან და-თან მატულობდა და მოდიოდა თრიალეთის მხრივ.

სააკაძე ახლდა მეფეს.

მეფე და სააკაძე ყოველ წუთას ელოდნენ ცნობას იარაღისა და ზაქარიადამ.

სისხამ დილას, ელდანაცემმა მცავებმა აცნობეს მეფესა და სააკა-ძეს, რომ მტერი, ტბორესავით მოდებული კარზედ გვადგიაო.

მეფე, სააკაძე და ამათი ამალა გამოცვინდნენ კარზედ გაშლილს მოედანზედ რომელიც მწვანე ხალიჩასავით გადაფენილი უდევს წინ ცხირეთის ციხეს. იმათ დაინახეს მართლაცა და შესაზარი სანხავი. ახალ-ქალაქს ქვემოდამ, მთელი ვაკე მოდებული იყო ოსმალთა ჯა-რებით.

მეფეს გადაჰკრა ფერმა.

იმას რაც მზა ჯარი ჰყავდა, სულ იარაღის და ზაქარიას გაა-ტანა გზების შესაკრავად. ზოგნიც კიდევ ციხეებში იყვნენ გაგზავნი-ლები საყარაულოთა და ჩასასაფრებლად. სხვა ჯარები ახლო-მახლო თა-ვის მომხმარებლად ამ გაჭირვებაში აღარ ეგულებოდა.

ძლიერი მტერი იდგა შუაგულს ქართლში. გამაგრება ამოდენა ჯარისა შეუძლებელი იყო. თვით მეფე იყო საფთხეში. ადვილად შე-საძლებელი იყო ის ჩავარდნოდა ტყვედ ოსმალთა. იმას წარმოუდგა თვალწინ თავის პაპის სვიმონის ტყვეობა. მეფემ არ იცოდა, რა ექმნა.

შეჰკრთა მეფე, მაგრამ გამხნევდა გიორგი, რომელსაც რამდე-ნიც უფრო დიდი გაჭირვება იყო, იმდენი უფრო ემატებოდა ძალა გო-ნებისაცა და სხეულისაცა.

— შვიდი საათი მაცალე მეფევ,—უთხრა სააკაძემ ლუარსაბსა, და მერე ფიქრი ნურასი გაქვს, ჰნახავ, რა მოგებითაც წავლენ ეგ დაუპატიჟებელი სტუმრები

მეფემ იცოდა, რომ თავდაჭერილი სააკაძე არას ოდეს არ [illegible]ტავდა უბრძოლოთ ჰაერში სიტყვებს და გამხნევდა.

სააკაძე აქვე ჰსაზრავს, რომ უნდა მოიშველიოს მთელი ქართლი, რომ გასცეს პასუხი ამოდენა შემოსეულს ჯარს. ის მინამ შეუდგება თვითონ ჯარის შეგროვებას, ჰგზავნის ყველა ქართველთა დიდებულებთან სასწრაფო წიგნებს, რომ მოუშველნენ თავის ჯარებით. ის სწერს ბარათაანთ, შამშადილის ხანს დელი—მამადს—სპარსთა ციხისთავს თბილისში, ნუგზარ ერისთავს, ქსნის ერისთავებს, ამილახვრებს, მუხრან-ბატონებს, ციციშვილებს, ამირეჯიბებს და სხვათა.

გაგზავნის ამ წიგნებს და ფიქრის უმალეს გაჩნდება ის კავთის ხევში, რომელიც დევს ცხირეთიდამ შვიდ რვა ვერსზედ. აქა და გარშემო სოფლებში შეკრიფა სასწრაფოთ ოთხას—ხუთასი კაცი. სწორეთ, როგორც მისცა მეფეს პირობა, შვიდი საათის განმავლობაში, ამ მცირე ჯარით ჩაუხტა ოსმალებს თავის ბინაზედ. ის პირველად დაეცა მოწინავე ჯარს, რომელიც მიდიოდა ცხირეთზედ, მეფის შესაპყრობლად, და ეს ჯარი, ზარდაცემული შერეკა უმთავრეს ურდოში. იმან შეატბორა ზღვის გუბესავით ამ ოთხას-ხუთას კაცით მთელი აქ მყოფი ოსმალოს ჯარი. არამცთუ აღარ წარმოადგმევინა ამ თავისი მცირე ჯარით თათართ წინ ფეხი, და ისეთი შიშის ზარი დასცა, რომ ახლა თათართ თვითონვე იწყეს მაგრება.

ამ დროს მოეშველა იმას სახელოვანი ზაზა ციციშვილი, სამასი კაცით მოვიდნენ თავისს ჯარებით ჩასასაფრებლათ გაგზავნილი ზაქარია და იარალი.

მობრძანდა მეფეც სააკაძესთან.

სააკაძეს შეუდგა ათასზედ მეტი მეომარი.

ამ მცირე ჯარით უნდა შებმოდა ერთი ათათ მეტს მტერს.

მაგრამ სააკაძე არ შეფერხდა ამითი. ის არ არჩევდა ცოტასა, ბევრსა. ცოდნა და გაბედვა იმის აზრით იყვნენ გამმარჯვენი.

ის მიუხტა სხერტის ჭალიდამ, რომელიც დევს მეტეხსა და სასირეთს შუა, თეძმის წყალზედ, მტკვართან, შესართავში, [1]) აქედამ არ-

[1]) ვახუშტის თქმით ერთგან: მეტეხის ხევით, სწორეთ იქ სადაც ჩვენ ვამბობთ, მეორედგან გომსა და მეტეხს შუა, მტკვარზედ, რომელიც იქნება

ყია სააკაძემ ბრძოლა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მტერი ღია ადგილებიდამ ჭალას არ შეჰფარებოდა, მეორე იმიტომ, რომ მის მეთოფერებს და ისრე ჯარს, გაჭირვების დროს, სიმაგრე და თავშესაფარი ჰქონდათ. ამასთან იცოდა, რომ აქედამ დაცემას მტერი არ მოელოდა, რადგან ელოდნენ ჯარს ცხირეთის მხრივ, სადაც იყო მეფის სადგომი, რომელიც საჭირო იყო, ქართველთ დაეცვათ ამათგან.

ათასმა კაცმა შეჰბედა სამოციათასს! მაგრამ საშინელება იყო მრისხანება, რომლითაც სააკაძე ამ მცირე ჯარით მიუხტა თათართა ურდოს. მართლაცა და, როგორც მოგვითხრობენ სომეხთა მეისტორიენი, სწორეთ მხალივით ჰკაფავდა თვისივე ხელით სააკაძე თათართა. ქართველობა გაცოფებული ჰბრუნავდა თათრის ჯარში და აყენებდა სისხლის ღვარს, მგვდართა ხრავას. სააკაძესა და ზაზა ციციშვილს მხარ-და-მხარ მოსდევდა მხნედ მებრძოლი ყმაწვილი მეფე.

შეიქნა ომი მრისხანე, ომი მედგარი! ზარდაცემული თათრობა თან-და-თან ეტანებოდა სიმაგრეებს და იკრიფებოდნენ აღუა, მაგრამ ზარის გამხდელი სააკაძის მრისხანება და საშინელი ყიჟინა და გრიალი, თითქო მომკალნი ყანას შეჰსევიან სამკალათათ, თან-და-თან სცემდა თათრის ჯარს შიშის ზარს.

საშინელი სანახავი იყვნენ ამ ბრძოლაში. გარდა სააკაძისა და ზაზა ციციშვილისა, მეფის სასახლის კაცი ჯავახიშვილი და უფროსი ძმა სააკაძისა (სახელი არა სჩანს) [1]. როგორც ნამდვილი ლომები აპობდნენ რაზმებს რაზმებზედ და მიდიოდნენ თათრების შუაგულში.

სააკაძემ შენიშნა, რომ ერთი ფაშა ყველაზედ მეტათ მხნეობდა, ყველაზედ ძლიერ იბრძოდა, ყველაზედ კარგად აწყობდა ჯარებს. ეს ფაშა იყო სამიმარი, აქ სააკაძე მიუბრუნდა და უჩვენა ზაზა ციციშვილს

---

ქვემოთ, მეტეხისა ბ̃ არა ზემოთ. „დიდ-მოურავიანის“ სიტყვით, ნიაბის ბოლოს, მაგრამ სხერტის ჭალა არის სწორეთ იქა, სადაც ჩვენ ვამბობთ, და როგორც ომის აწერილობაა, აქაც უნდა ყოფილიყო სწორეთ ეს ომი, რაკი ეს ადგილებია ცხირეთისაკენ.

[1]) ვგონებ ბეჟან უნდა ყოფილიყვეს, მამა სპარსეთის ამირ სპასალარის, როსტომ ხან სააკაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ფაშა, და უთხრა, რომ იმისი თავი უნდა უთუოდ მოერთვას მე-ფეს.

ზაზა ციციშვილმა, რომელიც დიდის ხნითვე გაწრთვნილი იყო სვიმონ მეფის დროს ცხარე ომებში და იყო ერთი უძლიერესი იმ დროს თავადებში, შესძახა თავის მოყვანილს სამასს საუკეთესო გამოცდილს ვაჟკაცებს, რომ უნდა გავაპოთ მტრის რაზმი და აგერ იქიდამ რომ ფაშა მრისხანებს, უბრძანებს, თავის ჯარებს და ჩვენ გვისევსო, მოვჭრათ თავი და ჩვენ დიდებულს მეფეს მოვართვათო.

ამ სიტყვის თქმა და იმ ფაშისაკენ გაწევა ერთი იყო, მაგრამ არც ფაშა იყო, როგორც ეტყობა მშიშარა. ის თვითონაც მოეგება ზაზას თავისის ჯარებით. იმათ შექნათ ხელდახელობა მარტო ხმლის ჩახანი-და ისმოდა გარშემო, და გაჰქონდა ათასობით ჰაერში შემართულ ხმლებს მზისაგან ჰრიალი. ფაშა და ზაზა იბრძოდნენ მარტო-ნი. ფაშა ჰხედავდა, რომ ეს არ იყო უბრალო კაცი და ცდილობდა თვითონაც ეშოვნა თავისის ხელით ამისი თავი. ის იბრძოდა ხელოვ-ნად, თავგამეტებით. მაგრამ, აგერ აუკრა ზაზამ ხმალს ხმალი, გაჰკრა გვერდზედ თავის ხორასანი და ფაშის თავი გაჰგორდა ძირს. ზაზამ სასწრაფოთ აიტაცა თავი ფაშისა, დაიჭირა წვერით პირში, ხმალის ქნევით გააპო მტრის გუნდი და მიართვა გაცხარებულს ომში მყოფს მეფესა.

სააკაძემ გააპო რამდენგანმე რაზმები ოსმალებისა. ერთი რაზმი-დამ გადადიოდა მეორე რაზმზედ, ამხნევებდა შემდრკალთ და, და-მღალილთ ბრძოლით ქართველთა, ახდენდა განკარგულებას, აწყობ-და რაზმებს, ჰგზავნიდა ერთი ადგილიდამ მეორე ადგილას მისაშველს ჯარს. ეტევებოდა თვითონ იქ, სადაც უფრო მაგრა იდგა მტერი.

ოსმალოს ჯარი დაძაბუნდა. ჰნახეს, რომ ახირებულს კაცებსა და ძალოსთანა ჰქონდათ საქმე. ჰნახეს, რომ ქართველს ჯარს თან და-თან ემატებოდა. თბილისისაკენ წასვლა შეუძლებელი იყო, რადგან სააკაძის ჯარი ასე გმირულად უდგია წინა და ისრე ოსტატურათ შეაფერხა და გასდრიკა ესენი. ცხირეთზედ წასვლაც ეგრეთვე ძნელი იყო და აღარც ჰღირდა, რადგან მეფე ახლა თვითონვე მოუხტა აქა.

დგომაც ძნელი იყო, რადგან ჰხედავდნენ, რომ ჯერ ამ მცირე ჯარმაც ასეთი ზარი დასცა, და თუ მოჰმატებოდა კიდევ, მაშინ სრულიად შეუძლებელი იყო გამაგრება. ისინი დაიძრნენ გორისაკენ. ოსმალების სიმაგრე უოველთვის იყო ხოლმე გორი. ახლაც ისევ გორის მაგარს ციხეს მიმართეს, რომელიც როსტომ მეფემ შემდეგში უფრო გაადიდა და გაამაგრა. აქ შეეძლოთ იმათ გამაგრება და ფეხის მოკიდება, აქედამ დატყვევნა, აკლება და აოხრება ქართლისა.

სადამდის ცხარე იყო ეს ბრძოლა, სადამდის თავგამეტებით იბრძოდნენ აქ ქართველნი, ამას გვიჩვენებს ისა, რომ ამ ბრძოლაში დაიხოცნენ მთლად თავისის ჯარებით იარალი და ზაქარია, რომელნიც ცხარე ბრძოლის დროს შეცვივდნენ ახალს დარწყულს ხნულებში, და აქ ცხარეგე ბრძოლაში შესწირეს ქვეყნის ხსნას თავი.

სხერტიდამ ოსმალო დაიძრა გორისაკენ ყარალაჯის გზით. იმათ თან-და-თან ემატებოდა უკან მთებში დარჩენილი ჯარი. ოსმალნი თან-და-თან ძლიერდებოდნენ. ბრძოლისაგან დაღალულს და მოწყვეტილს ქართველობას არ შეეძლო მაშინვე ფეხ-და-ფეხ მოყოლა. იმათ მცირე ხანს მისცეს თავი მოსვენებას. მინამ სააკაძე კიდევ ჰგზავნიდა კაცებს ჯარების დასაძახებლათ. ამაში რაკი ოსმალოთა მოემატა დიდძალი ჯარი, რომელიც უკან მთებში დარჩენილიყვნენ და ცალკ-ცალკე წყობით მოდიოდნენ, მოისწრეს რაზმების დაწყობა, რომ არეულს მტერმა არ მოუსწროსო, და მიდიოდნენ წყნარად, წყობისად, ისინი უოველს წუთას ელოდნენ სააკაძისა და ლუარსაბ მეფის დაცემას.

სააკაძემ ამოალებინა ქარი ჯარს და დაედევნა მაშინვე ფეხ-დაფეხ. რომ თბილისის გზისაკენ საითმე არ გამასწრონო. სააკაძე არ აძლევდა იმათ მოსვენებას და სადმე ფეხის მოკიდების ნებას. მაგრამ არც ისინი აძლევდნენ გზას, რომ სააკაძეს წაესწრო იმათთვის და გორის ხიდი ჩაეჭრა, რომელიც იდო ხიდისთავთან. ამასთან ოსმალნი ახლა ისრე გაძლიერდნენ ახალი მოსული ჯარით, რომ აღარ ეშინოდათ სააკაძის მცირე ჯარებისა.

მაგრამ, რაც ვერ მოისწრო სააკაძემ მტრის დასანთქავად და გორის გადასარჩენათ, ის მოისწრა გორის სომხების მღვდელმა ტერ-სააკა ტერ-სააკაშვილმა.

ბიბლიოთეკა

ეს ღვდელი მიდიოდა გორიდამ სოფელს დოესს იქაური მოსახლეობის სამწყვსელად.

რა უცები უნდა ყოფილიყო ეს ამოდენა მტრის შემოსევა ქართლში, რომ გორში არ იცოდნენ ეს ამბავი. დაუვიწყარი ტერ-სააკა გულდამშვიდებული მიდიოდა დოესს, რომ უცებ შეეფეთა დოესის ბოლოს ამოდენა რაზმით წყობილს ჯარს, რომელიც მიეშურებოდა გორის ხიდისაკენ. სხვას ეს სანახავი დასცემდა შიშის ზარს, დაბნეული ვეღარას მოახერხებდა, მაგრამ ტერ სააკამ, არამც თუ არ დაჰკარგა ცნობა, პირიქით იმან მაშინვე მოსაზრა, თუ ამ მტერმა მოასწრო მტკვარს გასვლა, მაშინ ქართლის საქმე წასული იყო: ისინი დაიჭერდნენ მაგარს გორის ციხეს, და აქედამ მათი განდევნა შეუძლებელი და იყო, მით უფრო, რომ თუ ერთი ჩოიკიდებდნენ ფეხს, მცირეს ხანს უკან, ახალციხიდამ, აჩრუმიდამ, ყარსიდამ, არტაანიდამ ჯარები ადვილად მოეშველებოდნენ. უნდა ვთქვათ, რომ სომეხნი, რომელნიც კი შემოჭხიზვნოდნენ საქართველოს ან ძველადვე იყვნენ საქართველოს მკვიდრნი, ისრე უყურებდნენ ამ ქვეყანას, როგორც საკუთარს სამშობლოს, ისრეთივე თავგამეტებით, თავის გაწირვით იბრძოდნენ, შრომობდნენ და იღვწოდნენ საქართველოსთვის, როგორც მკვიდრნი ქართველნი. ამისი მაგალითები ჩვენ ბევრი გვაქვს ჩვენს ისტორიაში და თვით დღევანდელს ჩვენს ცხოვრებაშიაც. რაც ჩაიდინა თევდორე კველთელმა ღვდელმა ქართლისთვის, ისვე ჩაიდინა ტერ-სააკამ. დაინახა თუ არა ეს ამოდენა ჯარი გორზედ მიმავალი, ის მაშინვე საჩქაროდ გაბრუნდა უკან, შეკრბა ვინც შეხვდა გზაზედ ხალხი, ეცა გორის ხიდს და იქვე, ოსმალთა ჯარის თვალწინ, აჭყარა ფიცრები და ჩაუშვრა თავხე და ხარიხები, რომ ჯარს ხიდის გაშართვა და გასვლა აღარ შესძლებოდა.

შენს მტერს ის ელდა, რაც იმან ოსმალოს ჯარს დასცა. წინ ჩაშლილი ხიდი, გაღმა, გორიდამ და მის გარემოდამ მოვიდა ჯარი, რომ არ მიეცათ ნება მტრისთვის ხიდის გამართვის. უკან, თავისი გაფითრებული მხედრობით, აწვებოდა სააკაძე. წყალს გაღმა გასვლა აქ აღარ შეიძლებოდა. მიჰბრუნებოდნენ სააკაძეს? —ესეც ვერ გაებედნათ: იმათ ჰქონდათ ნაწვნევი, რაც სახუმარი კაცი იყო ისა: მაშინ მათ

არჩიეს მტკვრის პირ-პირ შეუყოლა, მინამ ხიდს ან კარგს ფონს ნა-ხავდნენ გასასვლელად.

ისინი შეჰყვნენ ცარცვით: სკრას, ქარელს, სამწევრისს, წრომს და სხვა საციციანო სოფლებს. დაიჭირეს ვიწროები და მოიმარჯვეს საქმე, დააწყეს რაზმები და იწყეს საომრად მზადება. სააკაძემ დაიჭირა ატე-ნის ვიწროები და ციხე, რომ ჰქონოდა ზურგით სიმაგრედ თავს შესაფარებელი. აქ მოუშველნენ იმას ბარათიანი, ციციშვილები. საა-კაძეს მოეცა ძალა, ის გაემართა ოსმალებზედ. ოსმალნი ისევ დაიძ-რნენ. მოვიდნენ ბრბონას ვიწროებში აქ, ამ ვიწროებშა, მტკვრის პი-რას შეუკრეს გზა სააკაძის ჯარს, რომ აღარ შეეწუხებინათ და ტაშის კარის პირდაპირ, რომელიც დევს ბორჯომის ხეობის პირს, შესა-ვალში, სახალციხო გზაზედ, ქვიშხეთთან სურამიდამ ათიოდე ვერსის მოშორებით, ბრბონას [1]), გამართეს ფიცრული ხიდები სახლების ნან-გრევებისა და იქვე შეკრებილი ხე-ტყიდამ, გავიდნენ ამგვარად გაღმა ტაშის-კარს. აქედამ აპირებდნენ, თუ ვინიცობაა ვერ დაამარცხებდნენ ქართველებს და ვერ შეუვიდოდნენ გორის ციხეში, გაცლას ბორჯო-მის ხეობით აწყურისა და ახალციხისაკენ ან არა გადასვლას კორტა-ნეთზედ ქვაბლიანსკენ. თუ გაიმარჯვებდნენ, მაშინ აქედამ ღია იყო გზა დოღლაურზედ გორისა და შუაგული ქართლისკენ.

ასრე ჰფიქრობდნენ ოსმალნი. მაგრამ სხვაფრივ ჰფიქრობდა სააკაძე.

იმან განიძრახა, მიიყვანოს ოსმალნი სწორეთ იმ ადგილებში, სადაც ყველა ჯარნი ოსმალთა ერთათ, ერთს ადგილას შეყრილ-იყვნენ და ჯარის გაშლა აღარ შესძლებოდათ. ამისთანა ადგილიდამ გამარჯვე-ბული სააკაძე არ გაუშვებდა მოამბესაც. ამგვარი ადგილი თვითონვე აარჩიეს ოსმალთა. ეს ადგილი იყო ტაშის-კარის ვიწროები. იმის მა-გიერად, რომ სააკაძე მიჰყოლოდა აქაც ზურგიდამ, როგორც აქამდის საციციანოში მოსდევდა, იმან გადუხვია გზა, ავიდა დორნაკალისა და კეჭარაქის კალთობის ძირობაებზედ ახალდაბას, თითქმის შუაგულს

[1]) პარიჟის ბიბლიოთეკის ხელნაწერი „ქართლის ცხოვრების“ თქმით, ხიდი გასდევს ქვა-ხვრელს, გორის მახლობლათ, გავიდნენ გორს და აიკლეს გორი და ზემო ქართლი. მაგრამ ეს სხვა უფრო სანდო საბუთებით არა მტკიცდება, როგორც ბევრი რამ სხვა ამ წიგნში მოქცეული ამბები.

ბორჯომის ხეობაში; თუმცა მტკვარი მოდიდებული იყო, და წაეღო ახალდაბის ხიდი, მაგრამ მაინც არ დაიშალა და გავიდა სრულიად უვნებლად და უეცრად ოსმალოს ჯარს წინიდამა. აქ ჩაუდგა ვიწროებში და აღარ მისცა წინ წასვლის ნება.

ახლა ოსმალებს ერთი-და რჩებოდათ, რომ დაბრუნებულიყვნენ უკან ან გორისკენ გაეტანებინათ, ან კორტოხტსა და კორტანეთზედ იმერეთს გადასწროთ.

მაგრამ სააკაძეს ყველა ჰქონდა მოსაზრებული. იმან გაგზავნა შალვა, ქსნის ერისთავი, ჯარებით კორტანეთის გზების შესაკრავად. ქვიშხეთსა და მტკვარს შუა სურამისა და დოდლაურის მხარეს ჩაუყენა ახლად მოშველებული ჯარები მუხრან ბატონებისა, ამილახვრისა, ნუგზარ ერისთავისა, ქსნის ერისთვებისა, ფალავანდიანთი. ამირეჯიბებისა, ხერხეულიძიანთი და სხვანი. თვითონ თავისის ჯარით, ციციშვილებისა, ბარათაანებისა, დელი მამადისა, რომელიც მოვიდა შვიდასი სპარსთა მეცხოვნე კაცით თბილისიდამ, მოექცა ახალდაბის მხარეს, ზურგიდამ ოსმალთა.

ქართველი ჯარი შეიყარა ახლა სულ ექვსი ათასი კაცი.

სააკაძემ გადასწყვიტა შებმა ამ ჯარებით. შეუკრა ოსმალთ საითმე მოძრაობის გზა. ოსმალები იყვნენ ახლა მოწყვდეულნი როგორც ყაფაზაში.

მეტი გზა არ იყო უნდა ოსმალთ გადაწყვეტილი ბრძოლა გაეწიათ. დარწმუნდნენ, რომ მოენწყვდნენ მახეში. მეტი გზა არ იყო, უნდა გამზადებულიყვნენ საომრად. იმათ შემოირტყეს გარშემო თხრილები, გაიკეთეს საფრები და სანგარები, დაიჭირეს სიმაგრენი. გამაგრდნენ ისრე, როგორც კი იციან გამაგრება მხოლოდ ოსმალთა. იმ დამეს ოსმალთა მესტროლაბნი ჰკრიდნენ რამლსა და ჰკითხავდნენ ვარსკვლავთ ხვალინდელს საქმეს. როგორც აცნობეს სააკაძეს გამოქცეულთ ქართველთ ტყვეთა, ოსმალთ სულ მარცხის რამლი გამოსდიოდათ და იყვნენ შეფიქრიანებულები.

სააკაძე მოადგა ორსავე მხარეს: ახალციხის მხრივ და სურამის მხრივ. ჯარი ჯარზედ იყო მოსული.

შეიქნა მეფესა და დიდებულთა შორის რჩევა ომისა.

ყველას სწყუროდა ომი, ყველა მზათ იყო გაეწირა თავი. ყველა დიდებული მართლაცა და გონივრულსა და გამბედაობით სხვა რჩევას იძლეოდა. მაგრამ მარტო ამითი არ რიგდებოდა საქმე. მტერი იყო ერთი ათათ მეტი და ამასთან, თუმცა იყო მომწყვდეული, მაგრამ იყო გამაგრებული და იდგა ბუნებითაც სიმაგრეში. ასრე მცირე ჯარით იმათზედ გამარჯვება ძალიან საეჭვო იყო. ამისგამო თვით პირველი გამოცდილნი და სახელოვანნი დიდის ხნითვე დიდებულნი შალვა ქსნის ერისთავი, ნუგზარ არაგვის ერისთავი, ზაზა ციციშვილი, დედიმამდ-ხანი და სხვანი ვერ დამდგარიყვნენ ერთს პირზედ.

ახლა სააკაძემ გადასწყვიტა საქმე: იმან აუხსნა მეფესა და დიდე-ბულთა თავისი დაწყობილება და მოსაზრებანი. აუხსნა ყოველი გარე-მოება მეომართა და საომარი ადგილებისა.

აქ ყველა დარწმუნდა, რომ სააკაძის მოსაზრებაების ძალით ძლევა იყო უეჭველი, თვით ამის მოსაზრებანი უნაკლულო და ძლიერნი.

მაშინ ყველა, თვით იმ დიდებულთაც კი, რომელთაც ომში გო-ნება და მკლავი ჰქონდათ ნაწვრთვნევი, ვიდრემ სააკაძე დაიბადებოდა, და მეფემ გადასწყვიტეს ომის გამგეობა და თავსარდლობა მინდობოდა სააკაძეს, სააკაძეს, რომელიც მაშინ იყო სულ ოცდა შვიდის წლის უმაწვილი კაცი. არც შეიძლებოდა უამისობა, რათგან ყველა საქმე აქამდის ეკუთვნოდა სააკაძეს, ამასთან სააკაძე იყო ამირთ-ამირი ანუ მთავარ სარდალი მთელი ქართლის მხედრობისა.

მეორე დილით ადრიან სააკაძე შეუდგა საქმეს. იმან ჯერ რიჟ-რაჟი არ იყო, რომ აშალა სასწრაფოთ და ჩუმათ ჯარი. ჯარი მიიყვა-ნა ზედ ოსმალოს თხრილებსა და სანგრებზედ. სააკაძემ იცოდა ბუნე-ბა ამ ხეობისა: ყოველს მზის ამოსვლისა და ჩასვლის დროს უბერავს თერხვის სიო. მეთოფურები ჩაუსხა იმ მხარეს, საიდამაც იქროდა დი-ლის სიო. დილის თერხვმა დაჰბერა. სააკაძემ უბრძანა მეთოფურებს სროლა. ატყდა საშინელი თოფის სროლა. თერხვმა [1]) მიიტანა შედე-ბული თოფის—ან როგორც ზოგან ეძახდნენ მაშინ—ხელმეხას კომ-ლი ზედ თათრის თხრილებზედ და გაჰხვია შიგ სათფრებში ჩამსხდარი

1) თერხვი ჰქვიან ქარს, რომელიც ყველა დილა საღამოს მოწმენდილ დამშვიდებულს ჰაერში დაჰბერავს ხოლმე ბორჯომის ხეობიდამ.

ოსმალთ ჯარი. ამ კომლს მიაყოლა სააკაძემ ჯარები, დაუბრძანა მი-სულიყვნენ ზედ თხრილებზედ უხმაუროთ. კომლში გახვეული ჯარი უჩინრად მიადგა მტერს.

ერთი თვალის დახამხამებაზედ სააკაძე თავის ჯარებით მოექცა ზედ ოსმალთა თხრილებსა და სანგრებს, და ჩაერია ხმალ-და-ხმალ მედგარზედ უმრისხანეთ თათრის ჯარს შიგ შუაგულში.

ამგვარს გამბედაობას და უცნაურებას არ ელოდნენ ოსმალნი. როგორც ზეციდამ მგელს, ისრე ასრე სასწრაფოთ არ ელოდნენ ისინი, რომ გადმოხტებოდნენ ამ საშინელს სიმაგრეებზედ ქართველნი. ჯერ ომიც არ გაჩაღებულიყო, რომ ქართველობა მოიქცა შიგ შუაგულში... შეიქმნა საშინელი ომი და, როგორც მოგვითხრობს მატიანე:

„იბრძვიან ერთპირ ქართველნი, ხმა ისმის ჩახა-ჩუხისა...
მრავალთ აბჯრისა ცემისაგან, სთქვეს ხმა არისო ქუხისა“...

მაგრამ, როდესაც ჩამოერია მთელი ქართველობა საშინელი ყიჟინით და თვალებიდამ ცეცხლის ფრქვევით; როდესაც გააპო სააკაძემ ერთი რაზმი, გააპო მეორე, მოუშალა ოსმალთ ერთი დაწყობილობა. ჩაუშალა მეორე, მესამე და სხვა,—მაშინ აიტანა ოსმალნი შიშის ზარმა, იმათ უცებ შეაქციეს მტერს ზურგი და პირველი ფაშებმა იკადრეს დაძვრა თავის თავების საშველად. საშინელმა შიშის ზარმა აიტანა ყველა. გარბოდნენ, ვინ ვის გაასწრებდა. გარბოდა მთელი ჯარი, და გადადიოდნენ ერთმანერთზედ. ცხენი, კაცი, ჯორი, აქლემი, მეგდარი, ცოცხალი აირია ერთმანერთში. დაჰყარეს გუდა-ნაბადი, ბარგი-ბარხანა, საგძალი, თოფ-იარაღი, განძეული, კარავნი და რაც კი რამ ებადათ, ისწრაფოდნენ მხოლოდ თავის შველას და მრისხანე მტრის ხელიდამ თავის დახსნას.

გაქცევით და აპირებდნენ ოსმალნი თავის ხსნას, მაგრამ, როგორც ზემოთაც ითქვა, სააკაძემ ყოველმხრივ დაუგო იმათ მახე. ყოველი გზები, ყოველი ბილიკები, ყოველი ვიწროები ჰქონდა დაჭერილი სააკაძეს.

აქ შეიქნა უმაგალითო მარცხი ოსმალთა. საქმე იქამდის მივიდა, რომ თუ სადმე ვინმე ოსმალის ჯართაგანმა გაასწრო სააკაძის რისხვას და ხმალს და შეაფარა ტყესა და ღრეში თავი, იმათაც უბრალო

მწყევსი ბიჭები და დედაკაცებიც კი იჭერდნენ და ატყვევებდნენ.

ბრძოლის დროს მარტო სააკაძემ დაიჭირა თორმეტი ტყვე თავისის ხელითა, როგორც გვიამბობს პარიჟის ბიბლიოტეკის ხელნაწერი „ქართლის ცხოვრება“.

სამი დღის განმავლობაში მთელი ოსმალოს ჯარიდამ აღარ დარჩა არავინ მოუკლავი და დაუტყვევნავი, გარდა თორმეტი კაცისა. [1]) ყველა ფაშები და წინამძღვარნი ჯარისა ან დაიხოცნენ და ან დარჩნენ ტყვეთ სააკაძეს.

რომ შეარდგინოს მკითხველმა აზრი სააკაძის პირად გმირობასა და ბრძოლაზედ, მოვიყვანთ მატიანეს სიტყვათა,—რომელსაც ათქმევინებს:

„ჩემი რა ვსთქვა,—დიდათ მძულდა ტრაბახი და ცუდი კვეხნა,—
ვეღარ დასდგის უნაგირზედ, ვისაც ჩემი შუბი ეხა.
სად მივმართო, შევაძრწუნი, ლახტის სთქვიან არის ჭექა...
„ვხოცდით, გულმედგრათ ვიბრძოდით, სწორეთ რაზმთ შუა
ვბრუნევდი,
რომელსაც სისქის ჯარს მივხვდი, ერთმანერთშიგან ურევდი...
„ფიცით შეგკადრო, მეფეო [1]) სამი გავტეხე შუბია,
მასუკან ლახტით ვიბრძოდი, სისხლით ავევსო უბეა.
ლახტიც რომ გატყდის, ხმალს ხელი მივყავ, ვაყენე გუბეა...
„ისრის რა გკადრო სიხშირე, რამდენი რამე მომესო,
ჯაჭვს შიგან მომხვდის ნანტვრევი, სადაც რომ ხელი მომესო“.

ამასვე გვიამბოპს უცნობი ავტორი პარიჟის სამეფო ბიბლიოთეკის ხელნაწერი ქართლის ცხოვრებისა. აქ ათქმევინებს მოურავი; „ისცა შუბი შევსცი, უნაგირში ვეღარ დადგის და სითაც შეუტევდი, შევაძრწუნებდი და შევაშინებდი, ვხოცდი, გულმედგრათ ვიბრძოდი, სწორედ რაზმშუა ვბრუნევდი, ჯიღიანს უფრო შეუტევდი და მოვკლი: სამი შუბი გამიტყდა, მასუკან ლახტით ვიბრძოლე, ლახტი გამიტყდა

[1]) ბესარიონ კათალიკოზის თქმით, რომელიც იყო 1724 წ. კათალიკოზათ, გადარჩა მარტო თორმეტი კაცი ცოცხალი. ბესარიონ იყო ანტონ პირველზედ წინათ.

[1]) თეიმურაზ მეფეს უამბობს სააკაძე „მოურავიანში“.

და ხმალი ამოვიღე. დიდი ომისა და ცემისაგან ქუხილის მსგავსი იყო ხმა ბრძოლისა.. თორმეტი კაცი მარტო მე დამრჩა". ამავე ავტორის სიტყვით „დილას შებმული, ცხრა საათამდის ომი იყო. მაშინდელს გამარჯვებას მართლა ენა ვერ იტყვის".

ამგვარ გათავდა ეს მოულოდნელი შემოსევა ამოდენა ჯარისა ოსმალთა ქართლზედ.

---

ოსმალთ ამ საშინელი დამარცხებით და ამოდენი ჯარის მოსპობით, დიდი ხნობით მოაკლდათ ძალა საქართველოში შემოსევისათვის, მაგრამ, მაინც სალოდინო იყო, რომ ოსმალნი ამას არ შეარჩენდნენ ქართლელებს და დღეს იყო თუ ხვალ მოსთხოვდნენ თავისი ამოწყვეტილი ჯარის სისხლს.

სააკაძემ იცოდა ეს კარგათ. ამასთან ისიც იცოდა, რომ მარტო ერთი ბეწვა ქართლი ვერ გასცემდა პასუხს მთელს იმოდენა ოსმალოს, რომლის წინ ძრწოდნენ მთელი ევროპის სახელმწიფონი, მთელი სპარსეთი. ამისგამო საჭირო იყო ძლიერი მომხრე. მომხრესაც ამ ჟამათ უკეთესს ვერ იშოვნიდნენ, როგორც შაჰ-აბაზს და სპარსეთს, რომელნიც ჯერ იმავ თაობითვე ოსმალების მოსისხლე მტერნი იყვნენ, მეორეც, შაჰ-აბაზიცა და სპარსეთიც გულ-დამწვარნი იყვნენ ოსმალებისაგან ამ უკანასკნელი დამარცხებით მესოპოტამიაში ანუ შუა მდინარეში და ბაღდადის წართმევით. ამისგამო, ჯერ ერთი ესა, რომ დაარწმუნოს ქართლის ერთგულებაზედ, რომელზედაც შემდგომ კახთ მეფის ალექსანდრესი და ქართლის მეფის გიორგის მითქმა-მოთქმისა რუსეთთან შაჰ-აბაზ ქართლზედ ძალიან გულ-აყრილი იყო; მეორეც ესა, რომ სამოს შაჰ-აბაზს ამგვარი ოსმალების დამარცხებით; მესამეც ესა, რომ ხარიდოს იმისი მტრობა, გაიხადოს მომხრეთ, თუ, ვინიცობაა ოსმალთ განიზრახავს ქართლზედ წამოსვლას,—სააკაძემ ახლა მოციქულები შაჰ-აბაზს, გაუგზავნა დახოცილ ფაშათ თავები და სხვა მრავალი ნიშანნი გამარჯვებისა, და მიულოცა გამარჯვება შაჰის ჯარისა, შაჰის ხმალისა, რაკი შაჰი ეპატრონებოდა ქართლს და აძლევდა შაჰს ხარჯსა, ქართლი ითვლებოდა საყეენოთ.

თქმა არუნდა, შაჰ-აბაზს იამა ამგვარი დამარცხება ოსმალთა და ერთგულება ქართლელთა. მაგრამ ამაზედაც იჭვი არ უნდა ჰქონოდა, რომ ამ დიდამ უნდა ამის შორს მხედველს გონებას მური აღდო-ქართლის გაძლიერებაზედაც და ქართლელების გმირს სააკაძეზედაც. რომელმაც ასეთი წესიერება შემოიტანა ქართლში და ხდებოდა რა დაც უძლეველი კაცი შინა თუ გარეთ ის, უეჭველია, ეგრეთვე დაინახვიდა ამ მოციქულებასა და საქმეშიც, რომ ამგვარი კაცი, როგორც სააკაძე, უსაფუძლოთ და უაზროთ არ გაუწევდა თავის ქვეყნის მტერს ამგვარს მონებას. ვინც იცის პოლიტიკა, მოქმედება და შორს მხედველობა შაჰ-აბაზისა, იეჭვში არ იქნება, რომ ის ჩაიდებდა გულში, სააკაძე ამგვარვე ჩაეგდო ხელში, როგორც ეს უყო კახეთის მეფეს თეიმურაზ პირველს, რომელსაც მოსთხოვა მიცემა თავისი უკეთესი სარდლისა და სამეფოს გონიერი გამგესი ადამ აბელიშვილისა, ¹) რომელიც მისცა თეიმურაზმა და რომლისაც უკან მართვა კახეთისა და პატრონობა წავიდა უკან და უკან; ან მოუღოს ბოლო ისრე, როგორც სახელოვანს კახთა სარდალს ქაიხოსრო ომანიშვილს ჩოლოყაშვილსა და სხვა.

მაგრამ, მეფე ლუარსაბმა და ქართლის დიდებულთ აღარ დააცადეს ეს შაჰ-აბაზს: იმათ თვითონვე გადუდგეს იმას სააკაძე., როგორც მავნე სამეფოსი, როგორც მტერი ქვეყნისა.

## რომანი სააკაძის სახლში, რომელიც გადიქცა ტრაგედიათ.

შემდგომ ამ გამარჯვებისა, რომლისაც მსგავსი დავით აღმაშენებელსა და ზაქარია მხარგძელს აქეთ საქართველოს აღარ ენახა, მთელი ქართლი მიეცა ლხინსა და ნეტარებას. იმ აუარებელი ნადავლით, რომელიც ამ უცნაური გამარჯვების უკან დარჩათ ქართლელთა, ქართლმა წამოიწია უფრო კიდევ. ყველას პირში და ყველგან მარტო სააკაძის ხსენება და იყო. ხალხის თვალში სააკაძე იყო შეუდარებელი

¹) ეს იყო ანდრონიკაშვილი, ბოლოს სპარსეთში იყო სულთანთან, როგორც მოგვითხრობს პარიჟის ბიბლ. ხელნაწ. ქ. ც, და ანტონ კათალიკოზი ქეთ. დედოფ. წამებაში.

გმირი. მდაბიო ხალხი მას უყურებდა, როგორც თავის პატრონს, მთელი ქართლი—როგორც თავის მხსნელს. მეფეს, რაღა თქმა უნდა, უფრო შეეკვეთა გული თავის სიყრმის მეგობარს სააკაძეზედ. რომელმანც ჯერ ერთი ეს, გააძლიერა ეს მთავრებზედ. გაუმაგრა და გაუძლიერა სამეფო, დაუმორჩილა წინააღმდეგი მის სამეფოს საქმონი ოსები და სხვა., და ახლა ხომ გადაარჩინა ტყვეობას, სიკვდილს, დაუმარცხა ასრე უცებ შემოსული ძლიერი მტერი, გადურჩინა სამეფო ტყვევნისა და ოხრებას.

დიდებულნი ჰგრძნობდნენ საშინელს ძალას სააკაძისას და თავის უძლურებას. სააკაძე! ეს უგვარო კაცის შვილი, ეს ჯერ ისევ დაწირაკი, აჯდა ამათ თავსა, განაგებდა სამეფოს, ელაპარაკებოდა მეფეს, ემოციქულებოდა იმას, უმკლავდებოდა ხვანთქარს! ხალხი აღრავის ჰხედავდა მის მეტს. გაუბატონა სრულიად მეფე დაიჭირა ისრე საქმე, რომ თვით შაჰთანაც აღარ გაუვლოდათ რა ამის წინააღმდეგ. ჩამოართვა ისრე ჩუმათ, უღუმელოთ, უძალოთ ამათ მეფური ძალა; აუკრა კრიჭა ქვეყნის ცარცვისა და ყვლეფისა, ერთმანერთის აკლებისა და აოხრებისა. რაღა იყვნენ ესენი? ვიღა იყვნენ? რა ერქვათ? ვინ აჯდა თავს?! ვინ შეუკრა ამათ ხელები?!—მეფემ კი არა! თავისმა ტოლმა კაცმა კი არა!—სააკაძემ! უგვარო, უჯიშო სააკაძემ?!.. ძნელი იყო მათთვის მოსანელებლათ. ისინი ეძებდნენ დროს, და კიდეც მიეცათ მარჯვე შემთხვევა.

ორი წლის უკან, შემდგომ, ამ გამარჯვების ოსმალებზედ, სააკაძემ მოიწვია თავისთან მეფე, მთლათ ქართლის დიდებულნი, თავისისოჯახობაებით, მრავალი აზნაურნი და საპატიო მდაბიო ხალხი ნოსტეში. უზომო იყო მასპინძლობა სააკაძისა. წყლის მაგიერათ ღვინის მადრევნები ჰქონდა გამართული. უთვალრიგი მოსაკრავენი, მუტრიბნი და მზმელნი შეამკობდნენ ამ მასპინძლობას. მთელი ქართლის უკეთესი ქალნი ამშვენებდნენ მასპინძლის სახლსა და მოწვეულთ სტუმართა. მეფე იყო უზომოდ მხიარული. სააკაძეს ჰყავდა სრულიად ახალგაზდა და საოცარი მშვენებისა დაჲ, რომელიც თავის სილამაზით გახდა საანდაზო მთელს საქართველოსა და სპარსეთში. ყველა სპარსეთის კუთხეში ისმოდა სიმღერა, შემკობა და ქება ამ ქალისა. მელექსენი არდგენდნენ ამაზედ ლექსებს, მომღერალნი აწყობდნენ ხმებს. მთელს სპარსეთში და-

დიოდა ხმა ამის შვენებისა და სინაზისა. იმაზედ ლაპარაკობდნენ, როგორც საოცარს მოვლინებაზედ, შეზარხოშებულმა მეფემ მოწყურე-თვალი უმაწვილს სააკაძის დას, იმისმა საოცარმა შვენებამ თილისმა-სავით დაუარა გულში. ის ვეღარ აშორებდა ამ შვენიერს ნორჩს ქალ-წულს თვალსა. სუფრაზედ მეფემ მოითხოვა, რომ სააკაძის დას აემსო-ოქროს თასი ღვინითა და თავის ხელით მიერთმია იმისთვის. სააკა-ძემ უბრძანა თვის დას ხლება. უმაწვილმა ქალმა შეასრულა ნება და ბრძანება თავისი მეფისა და ძმისა. მეფემ იხილა სრულიად ახლო მშვენიერი ქალწული. იმას ესმოდა იმისი აჩქარებული გულის ცემა, მისდიოდა სულთქმა. მორცხობის ფერი ახამებდა უფრო უმანკო სახეს. გატაცებული ღვინისა, საკრავებისა და მხიარული მასპინძლობისაგან, 22-24 წლის უმაწვილი და სათუთათ გაზდილი მეფის სისხლი სრუ-ლიად აიმღვრა, გული გახდა ტყვე უმაწვილის, ნორჩის ქალის.

ლუარსაბს ამის უკან აღარც დღე, აღარც ღამე, აღარც შინა, აღარც გარეთ, აღარც მარტოს და აღარც ხალხში, არც ჭირსა და არც ლხინში აღარ გამოსდიოდა ეს ქალი გონებიდამ. ამან უხშირა სააკაძისას სია-რული, ხშირად იწვევდა თვით სააკაძეს თავისის სახლობით. მაგრამ ჯერ ვერ გასტეხოდა თავს. რას ნიშნავდა ეს სურვილი ნიადაგ ამ უმაწვილი ქალის მახლობლათ ყოფნისა და ცქერისა? ამ დროს ამას ელა-პარაკებოდნენ სხვა-და-სხვა მთავართა და დიდებულთა ქალების შერთვა-ზედ, მაგრამ ამაოდ. მეფე იყო უარზედ ის არ ირთავდა ცოლს.

რამდენიც უახლოვდებოდა და ხშირათ ჰხედავდა ამ ქალს, იმდე-ნი უფრო უცხოვლდებოდა ამისი სიყვარული, იმდენი უფო ვერა სძლევდა მეფე უამისოთ, იმდენი უფრო უნდოდა იმისი დაახლოვება. მეფემ ნახა, რომ უამქალოთ იმას სიცოცხლე უძნელდებოდა, უიმი-სოთ ეს არ იყო თავის გონზედ. მეფემ იგრძნო ეს, მაგრამ ვერ გაე-ბედა ეთქვა დედის და დიდებულთათვის. ვერა ჰბედავდა ჯერობით მეფე ამის თქმას, მაგრამ იმისმა ოხვრამ და ნიადაგ სააკაძის დის ხსოვნაში ყოფნამ აღებინა იმათაც იჭვი, რომ ამას გაგიჟებით მოს-წონდა დაჲ სააკაძისა. ბევრი იმაგრა მეფემ თავი, რაკი იცოდა, რომ დედაც არ მოუწონებდა და დიდებულნიც უფრო აყაყანდებოდნენ ამა-ზედ, მაგრამ ჭირმა თავი ვეღარ დამალა: როცა იყო, გამოუცხადა თა-

ვისი სიყვარული და გატაცება სააკაძის დისგან. იმათ, თქმა არ უნდა, იტკიცეს ეს საშინელათ და დაიჭირეს შორს. მეფე იდგა [illegible] მაშინ, როგორც სჩანს, ურჩიეს მეფეს უგვირგვინოთ დაახლოვება ქალისა. იყო თუ არა ეს მეფის ნამდვილი სურვილი, ძნელია სათქმელად, რადგან მეფემ ბოლოს შეჰფიცა სააკაძეს, რომ მე ეს გუნებაში არა მდებიათ; მხოლოდ ეს კი ცხადია, რომ სააკაძის დისა და დედამდის მიაღწია ამ ამბავმა, რომ მეფემ მრუშება მოინდომათ: ეს უთხრა დედამ გიორგის.

საშინელება იყო ეს გაგონება თავმოყვარე სააკაძისთვის.

ჩვენ მოვიყვანთ აქ მაშინდელთა მწერალთა სიტყვებს რა რიგ აღელდა, განარისხვა და ააშფოთა ამაყი გული სააკაძისა.

„ამ გაგონებაზედ მოურავი შეძრწუნდა სულით და გულით, ის ეძებდა სიკვდილს და ვერა ჰპოვებდა... იტყოდა მოურავი: მოვკლავ ლუარსაბს, ვინაიდგან არ ძალმძის ესეოდენი შერცხვენის ტვირთვა. ჰფშვინვიდა, ვითარცა მებრძოლი ცხენი, შესძახდა, ვითარცა ლომი, აღმოიფშვინევდა ლუარსაბზედ, ვითარცა გველის მოფშვინავი ვეშაპი...“ ამბობს არაქელ.—არაქელ ჰფიქრობს, რომ სააკაძე მიტომ მრისხანებდა ასრე ლუარსაბზედ, რომ იმან კიდეც გააფუჭა დაჲ სააკაძისა.

„რა შევიგე, მე ესე ვთქვი, არ მეოლოდა ნეტარ მე და...
შერცხვენა და ხმლის შემოსხნა, მეფემ როგორ გამიბედა!..
მეფეს კაცი გავუგზავნე. ეს რა იყო თქვენგან ქნანი,
რომ ჩემი და გავაბოზო. სიტყვით ნუ გაქვს ამის თქმანი.
ნუ მიჰყვები ბოროტს საქმეს, ნუ გაქვს ცუდი გულის თქმანი,
თვარემ თავი მოგაკვლიო, არ მაქვს სიტყვის უკუთქმანი...
„ეს მინდოდა, შვილისათვის მე დამეგდო ხმლის სახელი;
აწ ესე სთქვან, მოურავის სახლი გახდა საბოზველი...“

ამბობს იოსებ თბილელი.

„მოურავმა თქვა... მეფემ ეს რომ მიყოს, მე და ის ხომ ვეღარ გამოვდგებითო, შერცხვენა და ხმლის შემოსხნა არისო, ნეტარ როგორ გამიბედაო... მოურავმან მეფეს შეუთვალა..., რა სათქმელია, რომ ჩემი დაჲ გავაბოზო, მინდოდა შვილისათვის ხმლის სახელი დამეგდოვო და აწ ასრე უნდა თქვან, მოურავის სახლი საბოზველი გახდაო!!.“ ამბობს პარიჟის ბიბლიოთეკის ხელნაწერის ავტორი.

რაკი ამ გვარი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ამბავმა მოურავზედ იმის სახლობაზედ, მაშინ მახლობელთა და დიდებულთა ურჩევვეს ამოეღო საკაძის ქალი გულიდან. მაგრამ ლუარსაბმა შეუგო, ვიტყვით არაქელის სიტყვებით. „არ ძალმძის იმ ქალწულისგან განშორება, რამეთუ სულისა ოდენ მიყვარს იგი და რათგან ჩამცივებიხართ, იცოდეთ რომ ვიდრემ ცოცხალი ვარ, ვერც მე თვინიერ მისსა და ვერც ის ქალი თვინიერ ჩემსა ვერ შევირთავთ ვერავის.“

ლუარსაბმა სააკაძისგნით გაგზავნილი კაცების პირით შემოუთვაფიცი, რომ იმას არასოდეს არა სდების გულში იმისი დის გაუპატიურება და ვერც შეჰკადრებდა იმას სააკაძის სახლს. გაუპატიურება კი არა, იმასა ჰსურს, რომ იმისი დაჲ შეირთოს ცოლად და იყოლოს ქართლის დედუფლათ. ამის გამო სთხოვს ამაზედ ჯვარის დაწერის ნებას.

სხვა ყველა დიდ ბედნიერებად მიიღებდა ამგვარს კარზედ მომდგარს ბედს, მაგრამ სააკაძემ დაიჭირა ძალიან შორს. იმან იცოდა, რომ ამას მოჰყვებოდა დიდი განსაცდელი. იცოდა, რომ საწყალო საქართველოს დიდებულთა ამისი ასრე ამაღლებისათვის იყო აღვსილი და ერთი წვეთიც კიდევ და გადმოიღვრებოდა ის. იცოდა უხასიათობაც ლუარსაბისა, რომელსაც ეს თუ არ ახლდა ნიადაგ გვერდსა, დიდი განცვლენა ჰქონდათ სხვებსაც ამაზედ, და მეტადრე შადიმან ბარათაშვილს რომელიც ჯერ ერთი ესა იყო ამ დროს პირველი გაძლიერებული გვარის თავადი, მეორეც ესა, იყო მეფის აღმზრდელი, მეფის სუფრაჯი, მუდამ გვერდს მხლები და ამასთან მოსისხლე მტერი სააკაძისა. სხვა სამტროს გარდა შადიმანს ჰქონდა გულს ჩახსოვნებული, რომ ერთხელ რადაც საქმეში სააკაძემ უძრახა ამას გაუკაცობა. სააკაძეს არ უნდოდა, მინამ საქმეს საქმეზედ არ მოიყვანდა, უდროვოთ აეშალა თავის თავზედ თავადობა და ამათი აწეწილიყო კვლავ მზა დაწყობილი საქმე და თვით გარემოება სამეფოსი. ამისგამო, სააკაძემ შეუთვალა უარი, და მოაგონა, რომ ამას საქართველოს დიდებულნი არ მოუწონებდნენ, აუშლებოდნენ, თავს არ დაუდებდნენ, ამასაც მტრად გადაჰკიდებდნენ და მოაკვლევინებდნენ უბრალო ქალის

შერთვით და სამეფო გვირგვინის დამცირებით. მოაგონა ეგრეთვე, რომ შადიმან ისაგრებლებდა ამითი და ჩამოაგდებდა [illegible] მეფს.

მეფემ მოიხსენა სააკაძის შეთკლილობა, მაგრამ ახლა კიდევ უარესად იტკიცა. პასუხათ შეუთვალა სააკაძეს, რომ იმას იმსი დის შეურთავობა არ შეუძლიან, რომ ეს თავისი ცოცხალი თავით ამ ქალს თავს არ დაანებებს. სააკაძეს, თითქო გული უგრძნობს, რაც წარმოსდგება ამ ქორწინებიდამო, ახლა დედოფალს, ლუარსაბის დედას, თამარს შეუყენა კაცები, რომ როგორმე მოიყვანოს მეფე ცნობასა და არიდოს ამ ქორწინებას. თქვენი შვილი ისრეთი ბედნიერი სასიძოა უთვლიდა სააკაძე დედოფალს, რომ ყველა მეფე და მთავარი ბედნიერათ ჩასთვლიან თავს მაგისი დამოყვრებითაო. თქვენ თვითონვე იცითო, რომ თქვენს საყმოში მე, თითქმის ყველაზედ უკანასკნელი გვარისა ვარო, და რათ გინდათ თქვენი გვარისა და გვირგვინის დამცირებაო.

აქაც იგივე პასუხი მოუვიდა მოურავს. დედოფალი უთვლიდა, რომ ჩემი შვილი თავისი ცოცხლის თავით არა შვრება შენი დის შეურთავობასო, თუმცა მეცა და ყველა დიდებულნი ბევრს ვეცადეთ იმისთვის დაგვაეშლევინებინა ესაო. ზედაც დაუმატებინა დედოფალს: კარგს იზავ, შენი და მისცე მეფესა, რათგან ჩვენთვისაც კარგია, რომ შენისთანა ერთგული და საჭირო კაცი ნათესაობითაც დაკავშირებული და დაახლოვებული გვყავდესო.

სააკაძე თავისას არ იშლიდა. იმან შეუთვალა ლუარსაბს კიდევ უარი. ის ჰხედავს რაც ღრუბელი ჰზავდებოდა იმისა და მთელს სამეფოს თავს ამგვარი მეფის აჟინებით.

აქ კი, საშინლათ განრისხებულმა მეფემ, შემოუთვალა სააძაძეს: თუ კიდევ უარი შემოგითვლია ჩემთვის, მაშინ ჩვენი ერთამანერთობა აღარ იქნება და ან შენი სისხლი უნდა დაიღვაროს ან ჩემიო.

მაშინ სააკაძემ მოსთხოვა საფიცრის წიგნი, პირველი მაზედ, რომ ამითი არც ამას არც ამის დას არა ევნებოდა რა, მეორე მაზედ, რომ რაც უნდა ასტეხოდნენ მთავარნი და დიდებულნი ამის სამტროდ, ეს იმათ არას და[illegible]რებდა და ამაზედ გულს არ შეიცვლიდა; მესამე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაზედ, რომ ეს არავისი სიტყვით და ძალდატანებით არ გაუშვებდა ამის დას.

ამ დასტურის უკან მეფის აღტაცებას აღარ ჰქონდა დასასრული. იმან სიხარულით მისცა სააკაძეს იმისაგან შემოთვლილი საფიცრის წიგნი, ხელმოწერილი როგორც მეფისა, ისრე დედუფლისგან.[1])

მეფემ საჩქაროთ გადიხადა ქვათახევს ქორწილი. მაგრამ ამ რომანიულს ქორწილს მოჰყვა ის საშინელი ტრაგედია, რომელიც შემდეგში გადახდა ამას, ამის საყვარელს და ამოდენა მეცადინეობით ნაშოვნს ცოლს, ამის სიყრმის მეგობარს, მოყვარეს და ქვეყნის ხელში დამჭერს სააკაძეს.

თუმცა სააკაძეს უბეს ედო მეფის საფიცრის წიგნი, მაგრამ ვერცა რა ამან უშველა. ამ ქორწინებით ისარგებლეს სააკაძის მტერთ, ქართლის მთავართა და დიდებულთა, რომელთაც მოთავეთ და წინამძღვრად გაუხდა ამ საქმეში გამოცდილი ინტრიგანი შადიმან ბარათაშილი, როგორც ითქვა, აღმზრდელი მეფისა და განმკლე პირი დედუფალზედ, ხელობით სუფრაჯი მეფისა.

იმათ იმდენი კი დაადეს ლუარსაბს, რომ მოჰკლა პირველი გატაცებული ცხარე ტრფიალების ჟინი და შემდგომ შეუდგნენ საქმეს...

---

[1]) ანტონ კათოლიკოზის თქმით ეს ქორწილი არა ყოფილა, ტყუილათ მოიგონა სააკაძემაო. ამ აზრსაც ამყარებს არაქელს. ამასთან ამბობს, რომ სააკაძემ განგებ უჩვენა დაჲ ლუარსაბ მეფესა, რომ ეგება ცუდ რამ განეზრახოს, რომ მიზეზი მომეცეს იმისი მოკვლისაო, ამასთან მოგვითხრობს, სააკაძე დიდი შეძლების კაცი იყო და ისყიდამდა მთელს ქართველთ დიდებულთა, რომ ამით ძალა ჩაეგდო ხლთა და ლუარსაბისთვის ბოლო მოეღოვო. მაგრამ არასფერს ამის მსგავსს არაქელის წიგნში არა ვკითხულობთ. ამასაც არ აფიქრდება ანტონ კათალიკოსი: როცა სააკძეს და ჰნახა, ლუარსაბმა მაშინ ხომ ისევ კარგი ერთობა ჰქონდათ მოურავსა და ლუარსაბს, მაშ რა მიზეზი ჰქონდა მოურავს რომ ეძებდა მიზეზს მეფის მოსაკლავად. და აჩვენა, ცუდი რამ განმძრახოს, მოვკლაო! განარომ თუ არ ამგვარი მიზეზით, სხვა მიზეზს ვერ იპოვიდა მოსაკლავად?... აი ამგვარი ბავშვური აზრებით არის სავსე ჩვენი მეისტორიეთა მწერლობა.

ვინც ჩაჰკვირვებია, შენიშნული ექნება, რომ ქართველთა დიდებულთა ქალთ უფრო ამპარტავნი და გოროზი გულ[illegible] მამაკაცთ. ისრე სააკაძის გაძლიერებამ და მათი გვარების ფრთების შეკვეცამ არ აადელვა ეს ასულნი ამინადამისანი, როგორც იმისი დის გადედუფლებამ. აი როგორ მოგვითხრობს ამას სომხების მეისტორიე არაქელ.

„გარნა კოარტი, ამპარტავანი და თავის მომწონი გვარნი ქართველთა დიდებულთა, რომელნიცა აფასებენ გვარსა, მისდევენ და ამაყობენ წინაპრებითა, ითაკილეს ესა... ცოლნი და დედანი მათნი რომელნიც იყვნენ დიდებულის გვარისანი, აეშალნენ ქმართა, შვილთა და ძმათა თვისთა და ეტყოდნენ. „ვითარ შესაძლო არს, რომ ჩვენ, ასულნი დიდთა თავადთა და აზნაურთა, ვიახლებოდეთ და თაყვანსვცემდეთ ერთი უბრალო გლეხის ქალს. უკეთუ შეაგონებთ მეფესა, რომ აიღოს ხელი და შეირთოს ცოლათ მეფის ასულთაგანი ვინმე ხომ რა კარგი, თუ არა, ჩვენ არას ოდეს არ დავიმცირებთ თავს და არ ვიკადრებთ უბრალო გლეხის ქალის ხლებასა. თუ თქვენ ვერ აქნევინებთ ამას მეფესა და იმ ქალს იდედუფლებთ, მაშინ გაგვიტევეთ ჩვენ თქვენი ცოლობიდამ და შეირთეთ სხვა ცოლები".

ამგვარად, უამისოთაც, აღელვებულს და სააკაძეზედ გულმოსულს დიდკაცობას, მიესივნენ ახლა ცოლნი დანი და დედანიც.

აქ შეიქნა ნანდვილი მღელვარება მთელს ქართლში შადიმან და მასთან მომატებული დიდებულნი შეადგნენ მეფეს, რომ გაეშვა სააკაძის ქალი და შეერთო ასული დადიანისა, რომელიც წინათაც ეძლეოდა ამას. ამასთან დაუწყეს ბეზღება ჩუმ-ჩუმათ. აბეზღებდა შადიმან და ქაიხოსრო ბარათაშვილები, ლორის მელიქი ქაზუმ და სხვანი ფარსადან ციციშვილის, რომელიც მაშინ იყო ქართლში უძლიერესი მთავარი, ეჭირა მხარი სააკაძის მტრებისა. სწამებდნენ ათას ცილებს და სცდილობდნენ აეყარნათ იმაზედ მეფის გული. მაგრამ იყვნენ თითო-ოროლა დიდებულებშიაც ფხიზელნი, საქმის ამწონავნი და შორსმხედველნი, რომელნიც აფასებდნენ და ჰხედავდნენ სააკაძეს საჭირო კაცათ ქვეყნისთვის. ამათ გამოუცხადეს მეფეს, რომ ამგვარად გაუპატიურება სააკაძისა, ამასთანავე გატეხა ფიცისა, რომელიც იმან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილით მისცა იმას, იქნება ჯერ ერთი ესა ქვეყნის შერცხვენა, და მეორეც ესა, სააკაძის დაღუპვას მოჰყვება ქვეყნის დაღუპვა.

მეფე პირველ ხანათ იდგა დიდს უარზედ. იმას არ ეთმობოდა არც თავისი საყვარელი ცოლი და არც გიორგი სააკაძე. მთელს ქართლში შეიქნა განხეთქილება სააკაძის მტერთა და მომხრეთა შორის. სააკაძეს ეჭირა ხელში საფიცრის წიგნი ლუარსაბისა, იმის დედის ხელმოწერითაც დამტკიცებული, და არა სჯეროდა, რომ ამ ფიცს გასტეხდა და გადუდგებოდა ლუარსაბი. არა სჯეროდა აგრეთვე, რომ გაიმეტებდა ამას, ასრეთს ნამსახურს კაცს და გასწირავდა ამის დას, რომელიც ესრეთის ტრფიალებით შერთო. ამისგამო ის არ უგდებდა აგრე რიგათ ამ მითქმა-მოთქმას და მიხეთქ-მოხეთქებას ყურს. არ ეგონა, რომ მეფე გადუდგებოდა, და უმეფეოთ კი იმას თავადებისა და დიდებულებისა არ ეფიქრებოდა—ყოველი ძალა იმათს შესამუსრავათ ეჭირა ხელთა. არ ელოდა ლუარსაბის გადადგომას, მაგრამ ლუარსაბმა იჩინა აქაც თავისი უხასიათობა.

შადიმან შეუჩნდა ლუარსაბს. „მეფე რომ სუმად (ნადვინევი) იყვის, სეფერაჯი (შადიმან) მაშინ შეუჩნდის და დაუწყის ლაპარაკი.“ ამბობს პარიჟის ბიბლიოტეკის ხელნაწერის ავტორი. შადიმან წინამძღვრობდა ყველა სააკაძის მტრებსა. რამდენჯერმე მომეტებულმა წილმა ქართლის დიდებულთა ან, როგორც ზემოდ ხსენებული ავტორი ამბობს, სრულ ქართველთა დიდებულთ, შეიღრძოვეს საიდუმლოთ ლუარსაბ და მოსთხოვეს სააკაძის სისხლი. ლუარსაბმა ბევრს ხანს იმაგრა თავი, არა ჰყაბულდებოდა. „ნუღარ მეტყვითო იმის წახდენასაო, იმისთანა ყმა რომელს მეფეს ჰყოლიაო ან ეყოლებაო, დიდს ომსა და გაჭირვებაში მაგისთანა კაცი როდისღა იქნებაო!“ ეუბნებოდა ლუარსაბ ქართველთა დიდებულთა ხსენებული ავტორის თქმით. მაშინ, ერთს, საიდუმლო ყრილობაში, ყველამ ერთხმივ გამოუცხადეს მეფეს, რომ ჩვენ აღარ გვმეფებთ, გადაგიდგებით, სხვას მივცემთ საყმოდ თავსაო. ან ჩვენი თავი ინდომე ან სააკაძეო.

ლუარსაბ ჩავარდა განწირულებაში, არ იცოდა, რა ექნა. იმან გამოცდილებით იცოდა, რა ადვილიც იყო ამ მუქარის შესრულება თავადებისაგან. ხონთქარიცა და ყეენიც, როგორც კვლავ ყოველთვის, მზათ

იყვნენ შეეწუნარებინათ, მიეღოთ და მხარი მიეცათ ყველა ქართველი მეხსნათებისათვის. ამისგამო, რომ სააკაძეც არის გადაწყვეტილი, გა-მოუცხადა: სააკაძის სისხლს კი ვერ დავღვრი, და რაკი იმისი დის-ერთგულობა აგრე საშძიმოთ მიგაჩნიათ, ავიღებ იმაზედ ხელსა.

—როგორ! შესძახეს დიდებულთა: შენ სააკაძის და გაუშვა, სააკაძე ცოცხალი დარჩეს და ჩვენ კიდევ გვედგომინება საქართველო-ში?!... სააკაძის სისხლი! ამის მეტი ახლა ვეღარა დაამშვიდებს რა ჩვენს მრისხანებას, მეფის გვირგვინის დამცრობას!... ან ჩვენ ყველა-ნი, ან სააკაძე!.. რომელიც გირჩობდეს, არჩიე... ერთი კაცი, თუ მთე-ლი დიდებულნი... არჩიე სააკაძე და ვნახავთ, როგორ იმეფებ მარტო-ობის ამარა...

უხსნიათო ლუარსაბ დაჰყვა ნებასა.

გადასწყვიტეს ღალატით მოკვლა.

მეფემ მისწერა სააკაძეს წიგნი: უნდა წავიდეთ ყარაიაზზედ სანა-დიროთ და საჩქაროთ წამოდიო.

იმ დროს, როდესაც სააკაძე იყო დაუცხრომლათ სამეფო საქმეე-ბის ზრუნვაში, არც დღე და არც ღამე არ აძლევდა თავს მოსვენებას; მოუვიდა ეს წიგნი იმას კოჯრიდამ ანუ, როგორც ზოგან არის ნათ-ქვამი, წავკისის თავიდამ, [1]) სადაც იმ დროს მეფე იყო გასული სა-ზაფხულოთ.

სააკაძე მაშინვე იახლა მეფეს. ღამე იყო, როდესაც ეს მივიდა კოჯორზედ, ანუ წავკისს.

ყველა ამის მტრობას, თავისის ამალითა და ჯარებით აქა ჰქონ-დათ მოყრილი თავი. გულის ფანცქალით ელოდნენ სააკაძის მოსვლას. გადაწყვეტილი იყო——მოსვლა და იმისი სიკვდილი ერთი უნდა ყოფი-ლიყო.

რათგან ნაცადი ჰყავდათ სააკაძე და იცოდნენ, რომ ადვილათ შეიძლებოდა იმას კიდევ დაეხწრა ამათთვის თავი, ამისგამო მოახდინეს-

---

[1]) კოჯორი არის წავკისის თავს.

ყარაიაზედ გაწვევა სანადიროთ მიზეზად მოიდეს. მოკვლა უნდოდათ იქვე კოჯორში, როგორც ეხლავე ვნახავთ. ჯანაშვილს წარმოუდგენია, რომ უნდოდათ ყარაიაზედ მოეკლათ.

განკარგულება, რომ წინათვე შეეკრათ ამისთვის ყველა გასწრების და გაქცევის გზები, როგორც თვით კოჯრიდამ, ეგრეთვე თვით ქართლიდამაც.

დაღალულმა გიორგიმ მისცა თავის სადგურში მაშინვე ძილს თავი.

დიდ-კაცებს და მეფეს აცნობეს იმისი მოსვლა; ისინი საჩქაროთ ამოიშალნენ მძინარენი და წამოშალეს ჯარები. საშინელი სითხალით და ფეხ-აკრეფით ეშურებოდნენ სააკაძის სადგურისაკენ. ჯარი ერტყმოდა ალყა სააკაძის სამყოფს.

მივიდნენ და უცებ დაიდგრიალეს.

—დაჰკა, ბიჭო! დაანგრიე თავს სადგური! შესძახეს ჯარს წინამძღვრებმა.

ჯარებმა შეანტვრიეს სააკაძის სადგურის კარი და ეცნენ ყოველ კუთხეს. გადააქოთეს იქაურობა, მაგრამ სააკაძე აღარსად იყო...

სააკაძე, მგზავრობისაგან მოწყვეტილი გულძილში იყო, ის იყო ირაჟრაჟა, რომ მოესმა ბრთხილი და ძლიერი კარის რაკუნი.

სააკაძე წამოხტა შემკრთალი და შეშფოთებული.

იმას უძახოდა ფარეშთუხუცესი მეფისა კახაბერი ხერხეულიძე, რომელსაც ეძახოდნენ ეგრეთვე ბააკასაც.

სააკაძე ეცა კარებს.

კახაბერმა აცნობა: მოდიან შენი მტერნი, მოდის მეფის ჯარი შენს შესაპყრობლათ, შენს მოსაკლავადაო. აქ თვითონ კახაბერი გავარდა საჩქაროთ.

მორს, შეუუჩებულს დილის ჭაერში, მოისმა ფეხის ხმა და ჩუმი აჩქარებული მოძრაობა სააკაძეზედ გამოსეული ჯარებისა.

მოურავმა ვეღარ მოასწრო ტანთ ჩაცმა, გარდა ახალუხისა. ახალუხზედ საჩქაროთ შემოირტყა ხმალი, და ისრე ფეხშიშველა, პერანგის ამხანაგის ამარა, გავარდა საჩქაროთ შინიდამ, ძლივს მოასწრო ბელო ცხენზედ გადაჯდომა და გასწია მარტომ.

ამან იცოდა თავისი მტრების ამბავი, რომ აღარც იმისი ცოლშვილს, აღარც დედას, არც ძმებს, არც სხვა მახლობელთ აღარ დაინდობდნენ. იცოდა ისიც, რომ გზებიც შეკრული ექნებოდა. იმან გას-

წია პირდაპირ ნოსტესაკენ, სადაც ჰყვანდა მთელი ცოლშვილი ელოდა გასწია უგზო-უკვალოთ, რომ მცველებს არსად წასდგომოდა თავს!

ის იჯდა თავის უკეთესს ცხენზედ და არ არჩევდა არც ხევს, არც ღადოს, არც კლდეს, არც ტყეს, გარბოდა საჩქაროთ, რომ დრო-ზედ მიჰპატრონებოდა და გაესწრო ცოლშვილი...

სააკაძის მტრებმა, რაკი ვეღარ იპოვნეს სააკაძე, იყარეს ჯავრი იმის მხლებლებზედ. მაგრამ, როგორც ბატონი, ისრეთი მსახურიო, ამბობს ერთი ქართული ანდაზა. მოურავის მსახურთა და მხლებელთ იჩინეს თავი აქაცა და დაამტკიცეს, რომ ისინი თავის პატრონს არ შეარცხვენდნენ. სხვათა შორის, პაპუნა ჩივაძე, რომელიც იყო მოუ-შორებელი ამალა სააკაძისა, იქვე, მეფის ჯარების თვალწინ, გამოვარ-და სახლიდამ, გამოიტაცა მოურავის იარაღი, ჭაჭვ-ჩაჩქანი, მოაჯდა მგრეთვე უბელო ცხენს, გამოაპო შუა გარს შემორტყმული ჯარი და გამოუდგა თავის საყვარელს პატრონს. ჯარებმა დახოცეს მსახურნი და მხლებელნი სააკაძისა, რომელთაც ვერ გაასწრეს, დასცეს ძირს სახ-ლი, სადაც იდგა სააკაძე, და ეცნენ საჩქაროთ სააკაძის კვალს და ნოს ტეს გზას.

ჯარი ცხენების ხათქა-ხუთქით და თითქმის ძალზედ ჭენებით მიეშურებოდნენ სააკაძისაკენ.

მზე ძალზედ ამოსული იყო, რომ ჯარმა მთის ძირობიდამ მოჰ-კრა თვალი სააკაძეს, რომელიც გაშურებული ესწრაფოდა თავის გზას.

შადიმანმა ძლივს ნახა, რომ სააკაძე გარბოდა.

— სად გარბი, დაკვეხებულო ვაჟკაცო?!.—შესძახა შადიმანმა.— თითქო შენ სხვას უძრახიდი ვაჟკაცობას! დადეგ! გვიჩვენე შენი გმი-რობა.

სააკაძეს დაავიწყდა, რომ იყო მარტო, თითქმის უიარაღო, და იმას მოსდევდა მთელი შეიარაღებული ამისი მტრობა დიდძალი ჯარით. იმან გაიბრუნა ცხენი და შესძახა.

— მობრძანდი! მობრძანდი, გმირო შადიმან! მაგ ჯარებს კი ნუ ეფარები!.. .შენ იარაღიანი და მე უიარაღო...

სააკაძემ გაიგდო იქითკენ ცხენი. შადიმან შეეფარა ჯარსა...

სააკაძეს შეხვდა გზაზედ ორი იარაღიანი კაცი, რომელთაც იც-

ნეს სააკაძე და, თუმცა გაგებული ჰქონდათ, რომ იმას მეფე და მეფის-ჯარნი დასდევდნენ სასიკვდილოთ და დასაჭერათ, იცოდნენ—კიდევ, რომ იმის მკვლელს ან დამჭერს დიდი ჯილდო ელოდა, მაგრამ პირველსავე სააკაძის გამოცხადებაზედ, მისცეს ამას თავისი ფეხთსაცმელი და იარაღი და ისრე გაისტუმრეს თავის გზაზედ. სააკაძეს ახლა ჰქონდა იარაღი, უფრო მოეცა გული. რაკი ნახა, რომ ჯარი მოსდევდა ფეხ და ფეხ, ცხენი უფრო გაამურა. ალაგები იყვნენ ნაცნობნი და გზის დაკარგვისა არ ეშინოდა. სამოცდაათი ვერსი მეტი გაარბინა ცხენით ფეხ-ჩამოუდგომლათ, დაუსვენრათ, უნაყროთ. იმისი ფიქრი იყო იმისი ყმაწვილი ცოლი, წვრილშვილობა, ან როგორც იმას ათქმევინებს, „მოურავიანში“ თბილელი:

„თუ ცოლშვილი გარდავხვეწე, მე არ მინდა სხვა რამ ბარგი…
ნოსტევს ღელვი ამოსთხარე, თავო ჩემო, სხვაგან დარგი“.

სააკაძე აღელვებული, მიდიოდა უგზო-უკვლოდ საშინელს მთებსა, ბორცვებსა და გაუვალს ხრიოკებში უბელო ცხენის ჭენებით, ტყეებსა და ჯაგებში სიარულით ტანისამოს შემოცრცვლი, მოვარდა ოფლში გაწურული, თავპირზედ ალმურ ავარდნილი. მზე იყო გადაწვენილი:—აბა, ჩქარა, გასწით ტყისაკენ,—შესძახა იმან აუჩქარებელის, თუმცა მღელვარე ხმით.—მეფე მრისხანებს, მტრობა გარს გვერტუმება.

სახლობაში შეიქნა საშინელი არეულობა და ყრიამული. ისინი მახვდნენ, რაც ამბავი უნდა ყოფილიყო, იმათ ესმოდათ თავადობის მღელვარება. სახლობა თვითანაც მიხვდა, რომ დახსნება აღარ იქნებოდა, რაკი ჰნახეს თავისი პატრონი თითქმის ტიტველა, უბელო ცხენზედ, შემოძრცვილი ტანისამოსით, გლეხიკაცის ქალამნებით. გიორგიმ თვითონ დასტაცა თავის რამდენსამე წვრილშვილს ხელი და დაუძახა:
—ეგრე, როგორცა ხართ, გასწით ტყისაკენ!

სახლობა სასწრაფოთ შემოიკრიბა, გულის ხეთქებითა და ქაქანით შეუდგნენ მთას ფეხშიშველანი, ქვეითები, ხშირი ტყისაკენ. დაღამდა, რომ ესენი გულის ქაცქაცით, ფეხებ და კანჭებ დასისხლიანებული ეკლისა და ჯაგებისაგან, ტანისამოს შემოძრცვილნი, ავიდნენ ერთს ყრუ, უალაგო ტიანს მთის წვერას. საშინელი სანახავნი იყვნენ ისინი ამ დროს, ყველას

გულში რაღაც ცეცხლი ტრიალებდა, რაღაც, შავი ღრუბელივით ნაწოლილი, შავი ფიქრები აწვათ გულის სიღრმესა. „რათ?! [illegible] ხშირათ ტრიალებდა ეს კითხვა ყველას თავში. გმირი, რომელმაც ქართლი დააყენა ფეხზედ, რომელმაც მეფეს მისცა მეფური ძალა, მოსწყვიტა უმრავლესი მტერი საქართველოსი, რომელმანც იხსნა ქართლიცა და მის მეფეც საშინელი განსაცდელისაგან, იდევნებოდა იმავე ქართლელთა და იმავე მეფისაგან ცოფიანი ძაღლივით. იმისი თავი იყო დაფასებული, იმის მკვლელს ჰპირდებოდნენ ჯილდოს. მაგრამ, გაუპატიურებული, მოძულებული და დევნილი მტრისაგან გმირი მხნეობდა:

„კლდეებში ბორდღვა სვლისაგან ფეხთ აღარ შემრჩა მე კანი. გულსა ვეტყოდი: გამაგრდი, ამ დღეს არ უნდა დრეკანი!...“

ამ სიჩქარეში, იმათ ვერაფრის წამოღება ვერ მოასწრეს, ვერც ფულისა, ვერცა რამე განძეულისა, რომ გაჭირვებაში გამოსდგომოდათ. მაგრამ ამის რამდენსამე მსახურს გამოეტაცნათ კიდევ რაოდენიმე ნივთი და ფული. იმათ მოსწიეს ეს მთის წვერას, სადაც შედგა საააკაძე და იმისი ცოლშვილი დასასვენებლათ და სულის მოსაბრუნებლათ.

ჯარი შემოესია მოურავის სასახლეს. მაგრამ საააკაძის მტრებმა ვეღარც აქ იპოვეს ვერც მოურავი და ვერც იმისი სახლობა. მაშინ სულ მქძებრებით მოედო ჯარი გარშემო ადგილებს, ზვრებს, ვენახებს, ტყეებს, მთებს, ყველა სამალავებს, სადაც კი შესაძლებელი იყო იმათი თავის შეფარება. მაგრამ ამაოთ. ვეღარ იპოვნეს კვალიც იმათი.

მაშინ მიესივნენ სასახლეს და იწყეს აოხრიაქება. საააკაძე იყო მდიდარი არამც თუ მარტო თავისის შეძენილით, თვით მამის სარჩოთიც, რომელიც, როგორც საქმიდამაც სჩანს, თუმცა იყო აზნაური, მაგრამ უნდა ყოფილიყო შეძლებული და გაძლიერებული აზნაურთაგანი. ეს ამოდენა თავისა და მამა-პაპის ნაშოვარი ქონება გაჰქრა ერთს წამს მცარცვავთა და მყვლეფავთა ხელში. ერთს დღეს საააკაძე გახდა ღარიბი, გლახაკი.

მაგრამ ყველა ეს არაფერი იმასთან, რაც საააკაძემა და იმის მახლობელთ დაინახეს თავისი დასასვენი მთის წვეროზიდამ.

დაღამდა... მოწყვეტილი დევნისა და საშინელი განსაცდელიანი მგზავრობისაგან, მიეყარნენ საააკაძე და მისი სახლობა მთის წვეროს

მწვანე მდელოზედ დასასვენებლათ. ისინი გაჰყურებდნენ გაშტერებულნი უნებურათ იმ მხარეს, სადაც დასტოვეს თავისი სახლ-კარი და ბინადრობა, სადაც აღელვებული მტრობა შეესია ასაკლებლად და ასაოხრებლათ. უცებ მოჰკრეს ამათ თვალი ამ მხარეს საშინელს ცეცხლს. ალი ჯოჯოხეთის ცეცხლივით თან და თან ძლიერდებოდა და ედებოდა გარშემო არესა. ის, კუდიანი ქარივით, ხან აბრდღვიალდებოდა, აიხვევოდა, აწოწოლავდებოდა და ადიოდა მაღლა ჰაერში, თითქო ზეცას უნდა მისწვდესო, ხან იშლებოდა და ედებოდა გარშემო, თითქო უნდა მთელს ქვეყანას გადასწვდესო.

სააკაძე და იმისი ცოლშვილი წამოსცვივდნენ, წადგნენ მთის წვერისაკენ და გადაჰხედეს ძირობას.

გაძლიერებული და გაშმაგებული ცეცხლი ჰნთქავდა იმათს საგანგებოთ აგებულს სასახლეს, იმათს კარმიდამოს, მთელს სოფელს.

სააკაძე, როგორც ქვისგან გამოქანდაკებული კაცი იდგა ფრიალო ბორცვის პირათ უძრავად, უსიტყვოთ, უგრძნობლად...

მოცვივდნენ ექვსნი იმასთან თანაშეზრდილნი მხლებელნი, რომელნიც იყვნენ წასრულნი დასათვალიერებლათ, რა გზით უფრო სამჯობინარო იყო წასვლა, გაგცევა, თავის დაღწევა. იმათ ჰნახეს ამ ფიქრში მყოფი მოურავი. ისინი არ იყვნენ დაჩვეულნი ამ სანახავს. მაშინ ათქმევინებს ამათ იოსებ თბილელი ამ პოეზიით სავსე გონიერს სიტყვებს სააკაძისთვის:

„კაცი ხარ, ბევრ ჭირნახული, ბევრს ომში გამოცდილია.
ზოგჯერ მზის შუქი მოგხედავს, ზოგჯერ დაგფარავს ჩრდილია“.

სააკაძემ მალე მოიკრიფა ცნობა და მისცა თავისებურათ მხნეობას თავი. დადგომა აქაც მეტს ხანს აღარ იქნებოდა, უნდა ესწრაფათ გაქცევა და გასწრება მტრისა.

გარშემო ყველა გზებს და ბილიკებზედ ეგზნო საყარაულო ცეცხლები: ყოველს ნაბიჯზედ სააკაძეს უდგა მცავები. დაუწვეს სარჩოსაბადებელი, სახლკარ-ბინადრობა, ახლა, როგორც გველი ცეცხლ მოკიდებულს ბუჩქში, ჰყავდათ ეს ცოლშვილით შუაში გამომწყვდეული. იმას ელოდა ცოლით და შვილით ერთათ მოწყვეტა. იმედი წარსვლისა სრულიად აღარსად იყო, ქვეითობა ვაჟკაცობას კიდეც რომ შეს-

ძლებოდა ამ უგზო უკლო გზებსა, ტყესა, კლდესა და ნაპრალებში, აღარ შეეძლოთ ქალებს, არ შეეძლო წვრილ-ფეხობას. ფეხთაგან მოცვეთილი, მუხლთ მოკვეთილნი. სისხლი თქრიალით ჩამოსდიოდათ კანჭებიდამ, თავპირიდამ,—ფეხის გულები ჰქონდათ დახეთქილი უამ-უამა ეკლისა და კლდის პირებისგან. ცხენები არსად იყვნენ.

ფხიზლობა მტრობა. შეუკრეს ყველგან გზები, მაგრამ არ ეძინა სააკაძესა და იმის მსახურთაცა. ისინი არ იყვნენ დაჩვეულნი გაჭირვების წინ ქედის მოხრას. მოურავმა გაგზავნა თავისი გამბედავი მხლებელნი და შეუკვეთა უთუოთ რა დღენისამე ცხენის შოვნა. მხლებელნი სასწრაფოთ გაჰქრნენ ბნელა ღამეს ხეობის სიღრმეში. ისინი წაეპარნენ გზის ყარაულებს, რომელთაც სააკაძისათვის ჰქონდათ შეკრული გზა, თვით იმავე ყარაულებს მოჰპარეს შვიდი მზათ შეკაზმული ცხენი და იახლნენ თავის პატრონს. მოუვიდა გოსტივიდამაც რავდენიმე თავისი ულაყი ცხენი, რომელნიც საზაფხულოთ ჰყავდა იქ სათიბებში გაგზავნილი. ამგვარად ცხენები იშოვნეს საკმაო.

მაგრამ საფიქრებელი იყო ახლა წასვლა და გაპარვა.

სააკაძეს უნდოდა წასვლა სამესხოში, ესე იგი, საოსმალოს საქართველოში, რადგან იქა ჰყავდა ნათესაობა. არ უნდოდა წასვლა შაჰ-აბაზთან, რადგან შაჰ-აბაზ იყო სიძე ლუარსაბ მეფისა ამან დაათვალიერებინა სამცხოს გზა. მაგრამ ეს გზები უფრო შეკრული იყვნენ, ვიდრემ სხვა გზები.

მეტი გზა არ იყო, უნდა ახლა გასცლოდა იქით, საითაც უფრო შეეძლებოდა გაცლა.

აქაც კიდევ გამოადგა სააკაძეს თავისი ბუნებრივი სტრატეგიული მოსაზრებანი. იმან მოსაზრა, რომ ის გზები, რომელნიც იდვნენ იმავე მხარეს, საიდამაც ეს მეფე გამოეგცა, ესე იგი, კოჯრისა და თბილისისკენ, აღარა იქნებოდნენ აგრე რიგათ შეკრებულნი, რადგან ამის მტრებს არ ექნებოდათ მოლოდინი, რომ ეს გასაქცევათ უკანვე დაბრუნდებოდა და წავიდოდა მტერთა საბუდრებისაკენ. ამან გასწია სწორეთ ამ მხარეს და მართალიც გამოდგა ამისი მოსაზრება, სააკაძემ არა თითქმის ისევ თბილისამდე ის ჩავიდა თელოვანის თავამდე,

აუქცია მხარი იმ ადგილებს, სადაცა გაბმით იდგნენ იმისი გზის მცვე-ლები. გათენდა, რომ ჩავიდნენ თელოვანის ტბის პირას, რომელიც იმყოფება ტყეში. მთელი დღე, დაღამებამდის სულ განაბულები, უხმაუროთ იმალებოდნენ აქ ერუ, ტყიანს ადგილებში, დაღამების დროს აუქცია მხარი იმ რიგობას და კვლას, სადაც გაბმით იყვნენ გარიგებულნი იმისი მდევარნი. შემოუარა ამ წყობას გარშემო და შუაღამე იქნებოდა, რომ ჩამოვიდა ცხეთის თავს.

აქედამ იმავე ღამითავე ჩაგზავნა ხიდზედ კაცნი მცველების და სათვალიერებლათ.

ხიდსა ჰყარაულობდა სამოცი კაცი და ჰქონდათ ცილაობა, ვინ უფრო დაიჭერდა საპკაძეს, ვინ უფრო გახდებოდა ღირსი მეფის წყალობისა.

გაგზავნილმა კაცებმა მოახსენეს ეს სააკაძეს.

მაშინ კი სააკაძე გამოვიდა მოთმინებიდამ. იმას მოაწვა სისხლი თავში. იმის დაჭერას ცილაობდნენ გლეხნი, რომელთათვისაც ეს არასფერს არასა ჰზოგავდა, რომელთა გულისთვისაც ამან გაიხადა მტრად ამოდენა დიდკაცობა, ცილაობდნენ ამის დაჭერას მდაბიონი, რომელთა გულისთვისაც ამას სდევნიდნენ ახლა დასაჭერათ, მოსაკლავად!!...

— მე შევანანებ მაგ არამზადათ მაგ თავხედობას, მაგ ქადილსა და ტრაბახს!— შესძახა გიორგიმ და დააპირა ჩახტომა და თავს დასხმა იმათი, ამოწყვეტა და ისრე გასვლა ხიდზედ.

არც მხლებლებმა გაიძნელეს ესა. იმათ იცოდნენ, რომ გიორგის არ გაუჭირდებოდა უფრო მცირე ძალითაც იმათ მუსრის გავლება. ერთი სააკაძის დანახვა და იმითი დავთრის დაკარგვა ერთი იქნებოდა. მაგრამ იმათ დააშოშმინეს მრისხანება თავის ბატონისა.

— რა ჰქნან, ბატონო, მეფის ბრძანება აქვთ და უნდა შეასრულონ,—უთხრეს იმათ.

ამასთან ამითიც დაიშალეს ეს საქმე, რომ შეეძლოთ ამ ყარაულებს აეყარათ ხიდის ფიცრები, და ამ გვარათ შეეკრათ გზა გაღმა გასვლისა; შეიქმოდნენ ყვირილს და შეჰყრიდნენ მთელი ცხეთის ხახლს, სხვა ყარაულებს, და ჩაუვარდებოდნენ ძალაუნებურათ თავის მოსისხლე მტრებს ხელში.

გადაწყვიტეს, გასულიყვნენ ფონში.

მაისში ტკვარში გასვლა, ისიც ცხეთასთან, სადაც თოვლი ზამ-თარშიც კი არ არის ხოლმე!...

სააკაძე თავისის ამალით ჩამოვიდა მთის წვეროდამ, ჩაუარა გვერდს ხიდის მცველებს, რომელთაც ეს სრულიად ვერ უგრძნეს და ეძინათ ზედ ხიდზედ.—ხალხის თქმულებით ისინი დააძინა ღვინით სააკაძის ჩაგზავნილმა კაცმა.

მოადგნენ და დაჭხედეს მტკვარს. მტკვარი მოდიოდა აღელვებუ-ლი და მოჭქონდა თან არე-მარე. უკეთესი ადგილიც კი ფონისთვის იყო ვიწრო და გაუვალი, მაგრამ ერთი და დარჩენილიყო: ან შებედვა და ფონით გასვლა ან მტერის ხელში ჩაცვივნა.

ქალები შეკრთხენ.

— ნუ გეშინიათ!—შესძახეს სააკაძემა და მისთა მხედართა:— სულ ხელით გაგიყვანთ.

სააკაძის ცოლი პირველი ეცა თავისის ცხენით აზღვავებულს წყალს და შესძახა:

— განა დიდი მოურავის ცოლს უნდა ეშინოდეს რისიმე!—და შეაგდო ცხენი წყლის დურდუმში. იმას მიყვნენ სხვებიც. წყალი ზედ გადადიოდა ცხენებს და ადამიანებზედ. ცხენებს ძლივს უჩანდათ თვა-ლები და ყურები. ისინი ფსუტუნით მიცურავდნენ მეორე ნაპირისა-კენ. წვრილი ბავშვები ეჭირათ თვითონ გიორგისა და მის მხლებლებს ხელში, ჭყავდათ თავზედ მაღლა აშვერილები, რომ წყალმა თავზედ არ გადაასხასო. ცალი ხელით ეჭირათ აღვირები და ჭმართავდნენ ცხენებს.

თავით ფეხებამდის გალუმპულები გავიდნენ ესენი გაღმა.

ასე დასველებულნი, ამავე ღამით მივიდნენ სვეტის ცხოვლის ტაძართან, შესწირეს მადლი წყალში განსაცდელისაგან გადარჩენის-თვის, დაჰკვრეს თავები, შესწირეს ერთი ვერცხლის თასი, რომელიც მსახურებს გამოესწროთ სახლიდამ, და ასრე სველებმავე გასწიეს ამავე ღამით ნუგზარ ერისთავისაკენ.

მცხეთას იქით ერთი თხუთმეტიოდე ვერსზედ მისაქციელიდამ იწყობოდა ნუგზარის საყმო. იქ სამშვიდობოს იყვნ, გასულნი. მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდნენ მისაქციელს და ამოისუნთქეს თავისუფლად. ნუგზარ ერისთავიც აქ დახვდათ. აქ გამოიცვალეს და დაიმშრალეს ტანისამოსი.

მტრებმა არ იცოდნენ, რომ გაასწრო სააკაძემ მტკვარსა და ისევ მტკვარ გაღმა ეძებდნენ გაცხარებულნი. ისინი ვერას ოდეს ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ამოდენა სახლობა გაეპარებოდათ სადმე ასრე მაგრათ შეკრულს გზებში და ამასთან ამოდენა ადელდებულს წყალში ამოდენ წვრილ ფეხობით და ქალებით შეჰბედავდა მტკვარს. მაგრამ, ახში გაიგეს, რომ სააკაძე წავიდა არაგვზედ ნუგზართან. ეს იყო საშიში. ახლა თვითონ მეფე და სააკაძის მტრები იყვნენ საფრთხეში, თუ ეხლავე არ დაესხმოდა თავს და მისცემდნენ დროს ჯარის დაძახებისას; იმათ მაშინვე მთელი ჯარები დასძრეს ნუგზარისაკენ.

ნუგზარის მრისხანებას არა ჰქონდა საძღვარი. იმან დაუწყო საყმოს საომრად ძახილი. მაგრამ სააკაძემ უთხრა უარი. იმან იცოდა, რომ გვიანღა იყო. მეფე და იმისი მტრობა, მინამ ესენი ჯარს შეჰყრიდნენ, დაიჭერდნენ კიდეც არაგვსა. ამასთან, სააკაძე მოერიდა კიდეც შინაურ არეულობას. იმას არცა სჯეროდა, რომ ლუარსაბ სამუდამოთ გაიმეტებდა იმას. იმას ჰქონდა იმედი, რომ ის მოვა გონსა და „კიდევ წყალობით მოჰხედავს კვერთხი იესეს ძისასა“... გაცლის მეტი გზა ჯერეობით არა დარჩენილიყო რა. რაკი არ უყო სააკაძემ მეფეზედ გალაშქრება, მაშინ ნუგზარმაც გადაწყვიტა სპარსეთს გაცლა. სააკაძე უშლიდა ამასაც, მაგრამ ისრე განრისხებული იყო ნუგზარ ამ უცნაური უსამართლობითა, რომ არ დაიშალა.

— ვის?! ამ მეფეს-ღა დაუდო თავი?!—გაიძახოდა ნუგზარ.— თუ კი შენ არ დაგინდო, მე კი უნდა ველოდე დანდობას?!

სააკაძე უხსნიდა თავის სიმამრს, რომ ამითი ვნება ნიეცემა ქართლსა, და სთხოვდა შენ ისევ აქ დარჩიო. მინამ არ მისცა ნუგზარმა სიტყვა, რომ იქაც არაფერს საქართველოს სავნოს არ ჩავიდენო, არ მისცა ნება, რომ ნუგზარიც წასულიყო სპარსეთს. ნუგზარ აძლევს ამის პირობას: „მეფესა და ქართველებს არას ვაწყენ, არას ვავნებ. დიდს ხელმწიფეს შევისწავლი, ჯავრსა არას არ გათავნებ“. ნუგზარ უთხრა: მეც წამოგყევებიო უსაცილოთაო და ნუ ვახანებთო, წავიდეთო, მეფესა და ქარ-

თვალთ არას გაწყენთ... მოურავმა მოახსენა: (არ იქნება), მეც წავიდე და ახლა სხვა ყმაც წავართვათ!“ მოგვითხრობს პარიჟის ხელნაწერის ავტორი. როდესაც ეუბნება სააკაძე, რომ მეფე ისევ მოიბრუნებს გულ-საო, ნუგზარ ასრე ჰსახავს ლუარსაბის უხასიათობას: „ისევ გაწითლდეს სპილენძი, რა გინდა ხშირად ჰკალავდეს“. (დიდ. მოურ. გვ. 27).

ნუგზარმა და მოურავმა გააშურეს საქართველოდამ. მაგრამ მეფის ბრძანებას სასტიკად ასრულებდნენ იმისი საყმონი. როდესაც მოვიდა სააკაძე ყარაიასთან ყურყუთას ფონზმდ მტკვარში გასასვლელად, იქ წამოსწვდა მდევარი, რომლისაც წინამძღვარი იყო ვინმე კოლატაური. ამ კოლატაურმა მოინდომა დაჭერა სააკაძის. სააკაძე ბევრს ეხვეწა დაენებებინა თავი. ამასთან გამოდგა, რომ კოლატური იყო მუხრან-ბატონის საყმო. სააკაძემ მოაგონა, რომ ამასა და მუხრანის ბატონსა არა აქვთ ერთმანეთში მტრობა, არიან მოყვრებიც კი ერთმანერთისა; ¹) არა აქვს ამას მეფესთან არავითარი დანაშაული. კოლატაური არ უგდებდა არასფერს ყურს, ის იყო გატაცებული ჯილდოთი, რომელიც მოელოდა მეფისაგან იმას სააკაძის დაჭერითა. ის ამაყათა და დიდგულათ უტყვდა სააკაძეს, რომ დამორჩილებოდა. სააკაძე გამოვიდა მოთმინებიდამ. იმან სასიკვდილოთ კი ვეღარ გაიმეტა ეს ბრიყვი და თავხედი მდევარი, მაგრამ ისე ცხარეთა ჰკრა შუბის ჯიგლაგი, რომ ის გადმოვარდა ცხენიდამ დაბნედილი და ჩამოვარდა ბუჩქში. დანარჩენი მხლებელნი კოლოტაურისა გაიქცნენ. სააკაძემ მიბნედილს კოლოტაურს მიანება თავი და გავიდა ფონს.

ნუგზარის საყმოს შეესია მეფის ჯარი და დაიჭირეს, აიღეს უმაგრესი იმისი ადგილები არშა და მთიულეთი. ქვეყნის ოხრებას არა ჰქონდა დასასრული.

სააკაძემ დადგა ფეხი სპარსეთის სამფლობელოში. ეს იყო ალ-ჯაყალას, ანუ ალსტაფას, ყაზახის სახანოში ²). აქ მიიღეს სააკაძე

¹) ვგონებ ზურაბ ერისთავს პირველი ცოლი თეიმურაზ მუხრან ბატონის ქალი ჰყავდა. რაკი ხორეშან, ლუარსაბ მეფის და, რომელიც ზურაბს დაპირებული ჰყავდა, შაჰ-აბაზმა თეიმურაზს შერთო ზურაბმა თეიმურაზ მუხრან-ბატონის ქალი შეირთო.

²) პლატონ იოსელიანს ალჯაყალა' სადაც სააკაძე გავიდა, ჰგონია ის

როგორც თავისი ბატონი და პატრონი, როგორც უღირსი სტუმარი. სააკაძემ აქ გაუშვა ცოლშვილი, და თვითონ წავიდა ყიზილ-ბაშის შამახისაკენ, სადაც ამხანათ იყო საომრად შაჰაბაზი.

## განზრახვანი აბაზისა. იმასუსრულდება გულის წადილი.

შაჰ-აბაზს ის შეუსრულეს ქართველთა, რაც, დიდი ხანია, იმისი გულითადი სურვილი იყო. ქართველებმა თვითონვე მისცეს ყველაზედ უფრო სამიშარი ამისთვის კაცი ხელში; თვითონვე აიყარეს იარაღი და ჩააბარეს შაჰ-აბაზს.

გარდა ამისა, რომ სააკაძის გაცლით საქართველო რჩებოდა უთავო, უხმლო, და ახლა შაჰისთვის ადვილი იყო აღსრულებაში მოყვანა იმ აზრისა, რომელიც იმასა ჰქონდა გულში—სააკაძის შოვნით იმას ემატებოდა შინაც ღონე, ისა ძლიერდებოდა სხვა მძლავრს მტრებთანაც. იმან მაშინვე ისარგებლა სააკაძით. იმას ჯერ არ ეცალა საქართველოსთვის, იმასა ჰყავდა აშლილი ინდოეთი, ავღანი, ყანდაარი. ოსმალებთან იყო გასასწორებელი: ბაღდადისა და მთელი ქურთისტანის წართმევა ვერ მოეხელებინა. აქ ყველგან საჭირო იყო სააკაძე და იმისი ხმალი. იმან წაიყვანა ის ისპაანს. იმან გაიძღოლა ის წინა.

მინამ იმ მტრებს მოერიგდებოდა, აბაზისთვის საჭირო იყო ისრე ეჩვენებინა ქართველებისათვის თავი, ვითომ ეს იმათი მეგობარი და მოკეთე იყო. მინამ სხვა მტრებს მოიშორებდა თავიდამ. საქართველოს აშლა, დარღვევა იქნებოდა საპარსეთისათვის. იმან გულწრფელი ქართველები სრულებით დაარწმუნა, რომ ამას იმათზედ ცუდი არა ედო რა გულში.

ეს კიდევ ცოტაა, რომ უნდა მოეხერხებინა შაჰ-აბაზს ჯერობით ქართველების გული მოეგო. იმისთვის საჭირო იყო, საქართველო არ შეერთებულიყო. ეს მარჯვე დრო ჰქონდათ ქართლ-კახეთს, თუ გენიოს დიპლომატს შაჰს არ მოეხერხებინა ისე საქმე, რომლითაც არამც თუ არ აგრძნობინა ქართველებს მტრობა თავისი, პირიქით, უჩვენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაუმტკიცა იმათს თვალში დიდი წყალობა და სიყვარული ქართ-ველებისა.

მე ზემოთ ვუჩვენე მკითხველებს, რომ კონსტანტინე იყო გამოგზავნილი შაჰ-აბაზისაგან, და იმისის ბრძანებით დაჰხოცა იმან თავისი მამა ალექსანდრე, კახთ მეფე და ძმა თავისი გიორგი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ეგრეთვე იყო კახთავე მეფეთ ამავე შაჰ-აბაზის ბრძანებით. კონსტანტინე ჯდება კახეთის მეფეთ, თავის მამისა და ძმის მაგიერათ. რომ უფრო დაიმკვიდროს კახეთი, კონსტანტინე მოინდომებს თავისი რძლის ქეთევანის შერთვას ცოლათ.

მაგრამ ქეთევან დედოფალი, სახელოვანი მოწამე ქრისტესი და სახელოვანი ქართველი ქალი, საშინლად აღელვა ამ საქმემ და ის ყო-ველი თავის ღონით აღუდგა წინ კონსტანტინესა და მის სპარსთა ჯარებს აქ მოვიყვან სიტყვა-სიტყვით პარიჟის სამეფო ბიბლ. ხელ-ნაწერი ქართლის ცხოვრებიდამ ამ ამბავს. „კახნი დიდნა თუ მცირე-ნი შეეფიცნენ ერთგულებაზედ დედოფალს!... ამისი ამბავი კონსტანტინემ შეიტყო და სწუხდა და რცხვენოდა დედაკაცის გან ამდენი დამემარ-თაო, და არდაველს მივიდა და ეს ამბავი ყაენს მისწერა. იქით ბრძა-ნება მოუვიდა: ადერბეიჯანის ლაშქარი თან წაიტანეო, შირვანი ხომ შენიაო.[1]) მიუხე და რომელიც კახი შენი ორგული იყვნესო ამოსწყვი-ტეო, რომელიც ერთგული, იმას მრავალი წყალობა დამართეო. მეხუ-თე თვეს იგივ შირვანე მივიდა ადებერიჯანის ლაშქრითა. დიდის ლაშ-ქრით წამოვიდა კახეთს დასაწველად და მოსაოხრებლად. დედოფალს ემუქრებოდა—სატანჯველით ცეცხლში დაგწვამო, ეს ამბავი დედოფალს აცნობეს და ყველა კახთა. შეიყარნეს კახნი, დედოფალს იმედი უთხრეს... წამობრძანდი ჩვენთანაო. ლაშქარნი შეიყარნა წაიძღვანა ჯვარი პატიო-სანი და ამაგრებდა, აძლიერებდა ჯარსა.. მოივლა კონსტანტინე დიდის ჯარით... ეს ამბავი ქართლის მეფეს გიორგის მისწერეს. იმან პაპუ-ნა ამილახვარი სარდლად უჩინა და ქართლის ლაშქარი თან გაატანა,

[1]) შირვანი წინადვე მისცა კონსტანტინეს აბაზმა, რომ ამითი უფრო დაეყოლიებინა ისა მამისა და ძმის სიკვდილზედ.

აოჯალა, რომელიც ბორჩალოში სდევს, და არ დაჰფიქრებია მაშინდელ თაა მწერალთა სიტყვებს.

დედუფალს მოაშველა .. სრულ კაზნი რომ შეიყარნენ, მათნი ჯალაბიც მოსრულიყვნენ და ასრე დაეფიცნათ — დედუფალი და ქალებითურთ წაიყვანოთ—ჯალაბნი დედოფალს უკან ჩამოუყენოთ და ჩვენ წინ შევიბნეთო.. ლაშქარნი კახთანი, რომელნიც დედოფალს ახლდნენ წყნარ-წყნარა წადგნენ და დადგნენ — კონსტანტინეს ჯარებს—პირ-და-პირ. ასრე რომ ხედვიდნენ ერთმანერთს იქით და აქეთ, გაათენეს ღამე ლოცვითა და ვედრებითა ღვთისათა. გათენდა და მზე რომ მოეფინა, ადგნენ ყველანი და ეზიარნენ, ჩაიცვეს ჯაჭვები, შეიმოსეს იარაღები, აიღეს შუბები და თოფები, შეჯდნენ ცხენსა და დააწყეს რაზმები. დედოფალი და ჯალაბნი დრომას ქვემ დააყენეს .. მზე მზა იყო. კონსტანტინეს ჯარი წყნარე წყნარა წამოდგნენ, კახნი მაგრა იდგნენ. როგორც წყლის თათართა მიდევნება ეტლისა და ვარსკვლავთ მრისხველობისა, ისრე კოსტანტინემ რამლი ყარა, ცუდათ გამოუვიდა—და არ უნდოდა იმ დღეს ომი. ვინც კახი კაცი ახლდა კოსტანტინეს ასე გამოურჩიეს: ქართლის ლაშქრის თავათ თქვენი ბიძაშვილი ამილახვარი არისო და თქვენი ურჩევნიან; ქეთევანს ერთი შვილი ჰყავს ემაწვილი. ისიც ყეენთან არისო და სხვა მემკვიდრე პატრონიშვილი ალარავინ არისო, და კახნი ვისის გულისთვის შეგებმიანო, შენ თავის მემკვიდრე პატრონსო. ცოტას კახით წინ წადექითო, ისინიც რა თქვენ გიცნობენო, სახვეწად კაცს გაახლებენო და მასუკან, რომელიც სჯობდეს, ისრე ქენითო. იმასაც ეს სიტყვები მოუწონა დაუჯერა და შეჯდა ცხენსა, ჩქარად უვლიდა თავის ლაშქარსა და მოსდევდა. კახთ სიახლოვეს რომ გამოვიდა, იცნეს კოსტანტინე. კახთ თავადთა თავი გამოიმეტეს, წავიდნენ, შეუტივეს. ჯანდიერის შვილი, — დავით,[1] ვაჩნაძე თამაზ და ძმა მისი ბებურ.[2] ჰკრეს შუბი კონსტანტინეს და ჩამოაგდეს ცხენიდამ, ძალიან დასცეს მიწას, ისევ ცოცხალი იყო, იცნა ის კაცნი და შეეხვეწა—ნუ მომკლამთ, დაგრჩენივართო, თქვენს ხელთა ვ'რო:

[1] რომელს ასლანის შვილად უფრო უწოდებენ და რომელსაც ასლანის შვილის სახელობით ხშირად შევხვდებით, ამ ნამდვილს პატიოსნებით სავსე გმირს.

[2] შეცდომა დაიბეჭდა ჩემს ბროშურაში: „დავით ასლანის შვილი ჯანდიერი“ ბებურ ვაჩნაძე დავით ვაჩნაძეთ. ანუ იყვეს ბებურ ვაჩნაძე.

სხვას მრავალს წყალობას უქადებდა, მაგრამ ყური არ მიუგდეს და ჰკრეს თავსა ორად გაუპეს. მოჰკვეთეს თავი და მოართვეს დედოფალს ქეთევანსა. გამარჯვებული კახთა ლაშქარი გამოეკიდა თათართა, მრავალი დახოცეს და დაიჭირეს, ნაშოვარი საქონელი მრავალი იშოვნეს,“

ამ გამარჯვების უკეთ მთელს კახეთს თვითონ დაიჭირეს დედოფალი და აქედამვე პირდაპირ აფრენს მოციქულებს შაჰ-აბაზთან თხოვნით. რომ დაუბრუნოს იმისი შვილი თეიმურაზ და დაუბრუნოს კახეთი. ანტონ კათალიკოზის თქმით, ქეთევან სწერდა აბაზსს: „მომეც მე ჩემი თეიმურაზ, რამეთუ სახმარ არს (გამოსადეგი) მეფობისა შენისა მკვიდრნი განგებად მეფობის. რომელიცა დამორჩილებულ არს შენკან, თუ არასამეფო ესე განუდგეს ნებასა მეფობისა შენისასა და ერჩდეს სულთანსა საბერძნეთისასა და აღმოსავლეთისასა.

თქმა არ უნდა, ეს წიგნი ეკუთვნის ანტონსა და არა ქეთევანს. ქეთევან ამგვარს მუქარის წიგნს არ მისწერდა. მაგრამ ეს კია, რომ ქეთევანმა მისწერა ხვეწნა, და უდებდა მრავალს აღთქმასა შაჰ-აბაზს თუ ამის შვილს მისცემდა კახეთს. ადვილი წარმოსადგენია, რა გარისხებული უნდა ყოფილიყო ამ ამბით შაჰ-აბაზი. ამ დროს იმას იქა ჰყავდა სპარსეთში ერთათ ერთი შვილი ქეთევანისა, თეიმურაზ, ყველა ელოდა, რომ შაჰ-აბაზ თეიმურაზს მოუღებდა ბოლოს და გაუსევდა კახეთს ახალს ჯარს. მაგრამ შაჰ-აბაზმა ეს ამბავი არამც თუ გულგრილათ მიიღო, პირიქით, ისე უჩვენა თეიმურაზსაც და მთელს ქვეყანასაც თავი, ვითომც იმას ძალიან იამა მამისა და ძმის ბოროტი მკვლელი კონსტანტინეს მოკვლა და ქეთევანის გამარჯვება. იმან მაშინვე დაიბარა თეიმურაზ და მიულოცა დედის გამარჯვება, მოულოცა მეფობაცა კახეთისა

—ახია მაგისთანა ბოროტზედ, მაგისთანა ბოლო—უთხრა შაჰ-აბაზმა ყმაწვილს თეიმურაზს,—წადი ეხლავე და მიეპატრონე კახეთს, შენს მეტი მემკვიდრე იმას არავინა ჰყავს. მიეპატრონე დედაშენს. ჩემს მაგიერათ მადლობა გადაუხადე, რომ მოუღო ბოლო ისრეთ ბოროტს კაცს და არ შეუსრულა თავისი ბოროტი განზრახვა; კახეთი დამილოცნია შენთვის.

ამგვარი ტკბილი სიტყვებით გაისტუმრა აბაზმა საჩქაროთ თეი-

შურაზი კახეთს, და ჩამოართვა ფიცი, როგორც ამას, ეგრეთვე კახე-ლობასაც, რომელნიც მოსულიყვნენ ქეთევან დედოფლისა და კახელე-ბისაგან თეიმურაზის სათხოვნელად—რომ ისინი არასოდეს სპარსეთს არ გადუდგებიან.

ამასთან მისცა დიდძალი საჩუქარი: „ყოვლის ქარხანებიდამ სა-ხელმწიფო მორთულობა უბოძა, ოქრო, ვერცხლი, თვალმარგალიტი, ცხენი, იარაღი, მოფენილობა, აქლემი და ჯორი და ყოველი საბატო-ნო მოსახმარისი, „როგორც მოგვითხრობს პარიჟის ხელნაწერი, ამას გარდა თეიმურაზმა და კახელობამ მისცეს პირობა, რომ შირვანდზე შაჰის მისვლის დროს თეიმურაზ მიეშველებოდა მთელი თავისის ჯარით. შაჰსაც ეს უნდოდა. მიზეზი თეიმურაზის გამეფებისა იყო, სხვათა შორის ესეც.

კახელებსაც და თეიმურაზსაც სჯეროდათ გულ წრფელობა შაჰ-აბაზისა ამ საქმეში.

მაგრამ... შაჰს არ ეცალა მაშინ კახეთისთვის „უცალოებათა ში-ნაგანთა.“ ჰქონდა ბრძოლა ბაღდადისთვის ოსმალებთან, ჰყავნდა აშლი-ლი ათასი გარეშე მტერი. ამასთან, როგორც საბუთიანათ აქვს შე-ნიშნული ვახუშტის „ქართლის ცხოვრებაში,“ შაჰ-აბაზს ეშინოდა, რომ არ ისარგებლოს ამ სპარსეთისა და კახეთის მდგომარეობით ქართლის მეფემ და არ დაიჭიროს კახეთიცაო. ეს მით უფრო საშიში იყო, რომ ქართლის თავს მაშინ იდგა იმგვარი ძლიერი და გამბედავი კაცი, რო-გორც სააკაძე. ეს კიდევ ცოტაა. რომ უფრო მოსპოს ლუარსაბსა და თეიმურაზში შუღლი, რომ ამ სპარსთა მტრებთან ბრძოლის დროს არ ისარგებლონ და ან თეიმურაზმა ლუარსაბი არ გადააგდოს და არ დაიჭიროს ქართლიცა, ან ლუარსაბმა თეიმურაზი და არ დაიჭიროს კახეთიცა და არ გაძლიერდეს ამითი საქართველო, ის აიძულებს დაქ-ვრივებულს თეიმურაზს, რომ შეირთოს ცოლად და ლუარსაბისა, ცოლის და თვითონ შაჰ-აბაზისა. ამგვარად შაჰ-აბაზ ქართველებსაც ისრე აჩვენებდა თავსა, ვითომც ამათი მოკეთე იყო, და ამითი თავის-თვის ორნაირად ირიგებდა საქმეს: ჯერ ერთი, რომ ამ მოყვრობით ლუარსაბ და თეიმურაზ უფრო აღარ ზოინდომებდნენ ერთმანერთის მტრობას ქართლ-კახეთის შესაერთებლათ, მეორეც ესა, აღარ აუშლე-

ბიდნენ ამ გაჭირვების დღეებში ქართველები სპარსთა. ამავე დროს, როგორც ზემოთაც ითქვას, ირთავს ცოლათ თეიმურაზის ასულს. აბაზს კიდეც შეუსრულდა ეს გულის წადილი. ის ებრძოდა ქართველთაგან მოსვენებული, თავის მტერთა. ქართლ-კახეთის მეფენი იყვნენ დამშვიდებულნი, და დარწმუნებულნი, რომ შაჰ-აბაზ იმათ აღარას ერჩოდა. ისინი გახარებულნი მიეცნენ სიამოვნებას, განცხრომის უდარდელს ცხოვრებას, შექცევას და პირიქით, ვინც ქვეყნის მზრუნველნი გამოჩნდებოდნენ და საბოლოოსთვის ჰფიქრობდნენ, იმათაც უდებდნენ ბოლოს... იმათ ფიქრათაც არ მოსდით, რომ ისარგებლონ სპარსეთის აწეწილი მდგომარეობით, შეუერთდნენ სხვა სპარსეთის მტრებს და მოუღონ ძალა სპარსთა სახელმწიფოს, რომელიც იმავე თაობითვე გალესილი ხმალივით იყო დაშვებული საქართველოს თავს.

აი, რას ამბობს მეფე არჩილ, როგორ ისარგებლეს ქართველთ მეფეთ სპარსთა აწეწილი მდგომარეობით:

„დილით შევსხდით, ვნადირობდით, შუადღისას შემოვიქცით,
აწ ბურთობას ხელი მივყავთ, შენ საძილოთ არ გავიქცით,
მერმე დავსხდით ერთა ჯამათ, ლხინი ლხინზედ ზედ დავიცით,
ვმობდით, ვმღერდით, ღვინოს ვსვემდით, ვიდრემდისინ გარდავიქცით.“

ისინი ზრუნავენ მარტო შექცევასა და შესაქცევარი საქმეების დაწყობილობას, იჩენენ აუარებელს სანადირო ფრინველებს, ძაღლებს, ბაზიერებს.

„ფიცით გითხრობ, არა ვცდი მე რიცხვი ბაზიერისა.“ [1])
ამბობს მეფე თეიმურაზ „არჩილიანში.“

სადამდის იყვნენ გატაცებულნი ნადირობითა და რაოდენ მნიშვნელობას აძლევდნენ ესენი ნადირობას, ამას გვიმტკიცებს მეფე ალექსანდრეს ნატვრა: ნეტავი კახეთი გამიოხრდეს, რომ ბევრი სანადიროები გამიჩნდესო,—და ამასთან ისიცა, რომ ეს თვით რუსთა ხელმწიფეებამდისაც კი იყო მისული და ისინი ფეშქაშებათ, ასრე გასინჯეთ, ალალებსაც კი (КОБЧИКОВЪ) უგზავნიდნენ.

ამ დროს ძლიერდებოდა სპარსეთი გენითა შაჰ-აბაზისათა. შაჰ-

1) ბაზიერთ უხუცესი, მეძაღლეთა უხუცესი ანუ ეხლანდელი ეგერმეისტერი. ბაზიერი—მეძაღლე.

აბაზს ჰყავდა თავისთან უკეთესი კაცი, ადამ აბელიშვილი. [illegible] დას უკეთესი ქართველი, გიორგი სააკაძე. ერთი დასთმო [illegible] ნით თეიმურაზმა, მეორე გადუგდო, როგორც უვარგისი, ლუარსაბმა. მეფენი იშვებდნენ, სტკბებოდნენ. მაჭი ზრუნავდა, მხნეობდა.

—

გავიდა სააკაძე სპარსეთში და შეიქნა საშინელი დევნა ყველა მის მახლობლებისა და ერთგულებისა. სააკაძის დედა, თამარ, ძმები, თავისი ცოლშვილით დარჩნენ ქართლში. ისინი შეიმწყვდიეს მეფის ერთგულთ ფარსადან ციციშვილმა, რომელიც მაშინ დიდათ გაძლიერებული იყო, და სხვა სააკაძის მტრობამ დიდის ჯარებით ფელის ციხეში. ისინი არ ელოდნენ ამ უცნაურებას, ამისგამო სრულიადაც არ იყვნენ მზათ მტრის დასახვედრათ. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ გაიმეტეს სააკაძე, როგორც მტერი გაძლიერებული გვარებისა, გაიმეტებდნენ მის დედასაც, ძმებსაც, მათს სახლობასთაც, მის მისადევრადაც. მაგრამ, რასაც სააკაძე და მისი მახლობელნი ვერ წარმოიდგენდნენ, ის ჩადიოდნენ სააკაძის მტრობანი. ნუგზარის სიტყვა მართლდებოდა, როდესაც ის მიდიოდა სააკაძესთან ერთათ სპარსეთში, სააკაძე არ უშვებოდა იქ წასვლას და ის ეუბნებოდა: არც მე მაბოგინებენ აქაო. შეიმწყვდიეს მოულოდნელად სააკაძის მახლობელნი,—მაგრამ იმათ დაუმტკიცეს თავის მტრობას, რომ ისინი იყვნენ ღირსნი ძმანი და თავისნი მოურავისა. იმათ ადვილათ არ დაუთმეს მტრობას თავისი წახდენა და სირცხვილი თავისი და თავისი ცოლშვილისა. იმათ იცოდნენ, რომ ამათ აღარ ჰქონდათ შველა. გაუმართეს საშინელი ბრძოლა და ამ ცხარე ბრძოლაში გაასპარეს მოხუცი დედა და ცოლშვილი ღამით ხიდამ ტყეში. ისინი გაიპარნენ წვრილფეხობით ფეხშიშველანი, ატენის მთის ტყეებზედ. მიდიოდნენ ტყე-ტყე და მიიპარებოდნენ ტურასავით ღამ-ღამე იმერეთისაკენ თავის შესაფარებლათ. და მოსთქვამდნენ იმ დღეს, რა დღესაც მეფე ლუარსაბი გახდა იმათი სიძე. ვისაც იარაღის ხმარება შეეძლო, დარჩნენ ციხეში და იბრძოდნენ დაუცხრომლათ, იჭერდნენ მტერს, რომ არ გაეგოთ და არ გამოჰკიდებოდნენ

მათს ქალებს და წვრილშვილებს, არ ჩაეყარათ ისინი სამძიმოს განსაცდელსა და სირცხვილში. ამ საშინელს ბრძოლაში მოკვდა ერთი ძმა გიორგი სააკაძისა. დანაშთენი ორი ძმა: უფროსი ძმა ბეჟან და მეორე, რომელიც ბოლოს მოიკლა ბაღდადში და რომლისაც სახელი არ არის დახსოვნებული, რამდენიმე მხლებლებით გადარჩნენ: ისინი გამოცვივდნენ ციხიდამ, როდესაც მტერმა ციხეს მისცა გარშემო ცეცხლი და ხსნა არსად იყო. ისინიც გაცვივდნენ სპარსეთში თავის ძმასთან და წაასხეს იმერეთიდამ თავისი ცოლშვილი. ბეჟანსა გაჰყვა თან თავისი მოზრდილი შვილი, როსტომ, რომელიც, როგორც წინათაც ითქვა, გახდა ბოლოს მთელი ირანის სპასალარი, მთელი ძალა სპარსეთისა ეპყრათ ხელთა, შაჰები აჰყავდა ტახტზედ და ერეკებოდ ტახტიდამ და რომელსაც ემონებოდა მთელი ირანი... სააკაძის მომხრეთა და ერთგულთ აღარა ჰქონდა დანდობა. შეიქნა, როგორც რუსები იტყვიან, მათი травля. ქართლი დაიცალა უკეთესთა ვაჟკაცთა და მცველთაგან.

---

შაჰ-აბაზის გული აღივსებოდა სიხარულითა. ისა სცდილობდა საქართველოს დასუსტებას და ქართველნი თვითვე უწყობდნენ იმას ამაში ხელს.

ამ ხანებში აშლილობა იყო ინდოეთისა და სპარსეთს შუა. სპარსეთი სცხოვრობდა მეტი წილი უფრო ინდოეთთან ვაჭრობითა. ინდოელთ შეჰკრეს სავაჭრო გზანი და ამასთან დაიჭირეს კიდეც ყანდაარი. ამან ჩამოაგდო საშინელი სიძვირე სპარსეთში, როგორც მოგვითხრობს რუსის მოციქული ბრეხოვი. ამას უნდოდა შველა. შაჰისთვის საჭირო იყო რომ წაერთმია ინდოელთათვის ყანდაარი და აქედამ გაეხსნა გზა ინდოეთში, ამისგულისთვის იმან გაამზადა ისპაანს ჯარები, გაიმძღვარა, ქართველებისაგან დაწუნებული სააკაძე, იახლა თან ყველა საქართველოდამ დევნილნი და გაემხედრა ინდოეთზედ.
ამ დროს, გარდა დევნილთა საქართველოდამ შაჰის ჯარში იყო მრავალი გუნდი ქართველები, რომელთაც ცხადის უძღოდა სააკაძე.

ელდა და მედგარი დასცა სააკაძემ ინდოელთა და ავღანთა, რომელნიც ეგრეთვე ცილაობდნენ ყანდარზედ. მარცხი მარცხზედ მოს-

დიდდათ შაჰ-აბაზის მტერთა ციხე ციხეზედ, სიმაგრე სიმაგრეზედ ერთმევოდა იმათ. სააკაძემ სრულიად დაამარცხა ინდოელნი, დაუმტვრია ჩილა აბაზს ავდანი, წაართვა ინდოელთა ყანდაარი, გატეხა კარი ინდოეთისა. ინდოთ დაუდეს შაჰს პირობა თავისუფალი ვაჭრობისა. სპარსეთს მოეცა შვება. შაჰი უფრო გაძლიერდა

სააკაძის ხმა გავარდა მთელს აზიაში. სააკაძე გახდა რაღაცა ზღაპარ-თქმულ გმირათ. მთელს სპარსეთსა და სპარსეთის მეზობლებს ხალხებში დადიოდა ათასი მომხდარი და მოგონილი ამბავი და თქმულობანი სააკაძეზედ.

ინდოეთის ომიდამ დაბრუნდა შაჰ-აბაზ სპარსეთში ისევ. აქედამ იწყო მზადება ახლა ოსმალებზედ ისევ ბაღდადის და ქურდისტანის წასართმევად.

შაჰმა ახლა უფრო ისწავლა ფასი სააკაძისა, იცნა რა ხალხიც იყო იმასთან ქართლიდამ გამოქცეული ქართველობა. შაჰი უფრო გაბედვით შეუდგა ახლა ოსმალებთან ბრძოლის მზადებას: ინდოეთის საჭირო კარი ჰქონდა ღია, შეეძლო მკვიდრათ საქმის დაჭერა ჯარების სამზადისისათვის, უკეთესი სარდალი ახლდა გვერდს, უკეთესთა ქართველთა ვაჟკაცებით. იმან დიდის პატივით წაიყვანა ახლა ბაღდადში სააკაძე და ქართველი ჯარი.

აქაც გამარჯვება გამარჯვებაზედ რჩებოდა სააკაძეს. ქართველები იჩენდნენ ბრძოლაში ნამდვილს სასწაულებს. ოსმალნი, რომელთაც წინათაც ჰქონდათ სააკაძისაგან წვემი ნაწვნევი ზარდაცემული გარბოდნენ ამისა და ამისი ქართველების წინ. ბაღდადი, ეს დიდებული ქალაქი საოსმალეთ აზიაში, დაემორჩილა სააკაძის ხმალსა და დაწყობილებას. თუმცა ერთი უკეთესი მებრძოლთაგანი შაჰ აბაზის ჯარში—ძმა გიორგი სააკაძისა, მოიკლა ბაღდადის აღების დროს ცხარე ბრძოლაში.

გამარჯვებულმა სააკაძემ, რომელიც შეუძღვა შაჰ-აბაზს შუაგულს საოსმალოში, დაიჭირა მთელი ძველი მესოპოტამია, ანუ შუა მდინარე აიძულა ხონთქარი მოეხარა თავი წინაშენ შაჰ-აბაზისა. ძლეულთ ოსმალთ დასთმეს ბაღდადი, დასთმეს ნახევარი ქურთისტანი, გადიხადეს შაჰ-აბაზის სასარგებლოთ დიდძალი გადასახადი

შაჰ-აბაზი გაძლიერდა ისე, როგორც არასოდეს არაყოფილა გაძ-

ბიბლიოთეკა

ლიერებული, განძლიერდა სპარსეთი ისრე, რომ კვირიას (Кирд.) აქამ ისრე განძლიერებული არა ყოფილა.

სააკაძის სახელი უფრო და უფრო გაითქვა. ხალხი სთხზავდა ათასს სიმღერებსა და ლექსებს ამაზედ. შაჰის კარზედ, თუ სხვა დიდებულების წინ მგზმელნი და მეტრიბნი ამკობდნენ ლექსებითა და სიმღერებით სააკაძის სახელს. დაბასა და ქალაქებში, ყავახანასა და ხამ-ლამხანებში გაისმოდა სიტყვით და მღერით ქება და დიდება სააკაძისა.

ქართველთა ხალხის თქმულებაში არის დარჩენილი ერთი ამბავი, რომელიც გვიჩვენებს, რა გმირობის სახელი ჰქონია სააკაძეს.

ამ თქმულებით, შაჰმა ჰკითხა ერთხელ სააკაძეს, რა იარაღი სჯობიან საომრათო. ამაზედ მოურავმა უპასუხა: ის იარაღი, რომელიც ხელში შეგვხვდებაო. შაჰმა მოინდომა იმაში ამის გამოცდა და ამასთან უნდა ეცადნა მართლა ისრეთი გულოვანი და ძლიერი იყო, როგორც ამბობდნენ, თუ არა. ამის გამოსაცდელად შაჰმა უბრძანა თავის კარის კაცთა, რომ იმათ ჩუმათ მიესიათ იმისთვის ორი ლომი, რომელიც შაჰს ჰყავდა თავის სამხეცეში. ეს ლომები უნდა ჰყოლოდათ დამალული ერთ ადგილას, სადაც უნდა შეჰფეთებოდნენ მარტო მიმავალს სააკაძეს.

კარის კაცთ შეასრულეს ბრძანება შაჰისა. დანიშნულს ერთ ადგილას სააკაძე მიდიოდა მარტო, რომ უცებ აქედ-იქიდამ შეუყალდუდა ორი გაბრდღრენილი და თვალებ ანთებული ლომი. ამ ლომების დანახვაზედ სააკაძემ ცალი ხელით ჩასჩარა ერთს ლომს პირში ქუდი, მეორეს დაუსო გულში ტარამდის ხანჯალი. მინამ მეორე ლომი გამოაგდებდა ქუდს. შემოჰკრა ამას შეუალეგებულს ტარამდის სისხლში ამოგლებული ხანჯალი და გააგდებინა თავი.

ამითი დაუმტკიცა შაჰს თავისი სიტყვაცა, გულიცა და ძლიერებაცა, ამბობს ხალხის გადმოცემა.

ამგვარი ხმა ჰქონდა სააკაძეს სპარსეთში, ასრეთ ძლიერ კაცათ იცნობდნენ ამას ყოველგან.

---

გაძლიერდა შაჰ-აბაზ სააკაძის ძალით. ყველა დაიმონავა, ყველა სძლია, ყველა შეაშინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩა ახლა მარტო საქართველო.

ან უნდა საქართველოს აექცია იმ გზისათვის, რომელზედაც საში-ნელს განსაცდელს უმზადებდა სპარსეთი საბოლოოთვის, ან უნდა მოჰდე-ბოდა ბოლო, ესე იგი ან უნდა სულ დაშორებოდა რუსეთს, დაედო-თავი სპარსთათვის, ან არა და მისი დარჩენა შეუძლებელი იყო. საა-კაძე სდუმებდა ის არ უჩვენებდა სახეს, რომლიდამაც „ჰო“ ან „არა“ გამოსულიყო. შაჰ-აბაზ უფრო და უფრო იახლოვებდა სააკაძეს, აძლევდა მეფურს დიდებას. ხშირად ლაპარაკში აგონებდა, რომ ის იყო ღირსი მეფის გვირგვინისა, მეფობისა... აგონებდა რომ, ქართლი იმას უფრო ეკუთვნოდა.

შაჰმა იწყო მზადება საქართველოსაკენ...

ის დიდი ხანია ემზადებოდა ამ დღისათვის, ის ემზადებოდა მას აქეთ, რაც ავიდა სამეფო ტახტზედ. საოცარი მოხერხებით და შორიდამ დაჭერილი საქმით იმან ისრე მოაუძლურა ქართლ-კახეთი, რომ დიდათ გასაჭირად აღარ მიაჩნდა ახლა ამ ქვეყნის ძლევა.

როდესაც გამორკვევით გაიგო შაჰ-აბაზმა მითქმა-მოთქმა და მო-ქიშპეობა რუსებისა და ქართველებს შორის, როდესაც გაიგო, რომ ქართველებმა ფიცით მისცეს საუმოდ თავი რუსებს, როდესაც დარწმუნ-და, რომ საქართველოს მიზეზით არ ასცდებოდა დამეზობლება ამ გაძ-ლიერებული ხალხისა, მაშინავე შეუდგა ქართლ-კახეთის დასუსტების საქმეს რომ ბოლოს აღარ გასჭირვებოდა ამ ორი ქვეყნის ბოლოს მოღებაც.

ამის გულისთვის ის იწყობს აქედამ.

ჯერ პირველად ის შეუკვეთავს კახთა ბატონს ალექსანდრე მეო-რეს, რომელმაც მისცა რუსეთს ქვეშევრდომად თავი და თავისი სამე-ფო, რომ დაუთმოს იმას კაკი, ანუ დღევანდელი საინგილო, ქურმუ-ხი, გასუხი, ნუხი უდებითურთ, გიშის ხეობა რომელსაც ერქვა წუქეთის საერისთაო. შაქი, (ნუხის მაზრა). ამაში დაჰპირდა შაჰი ალექსანდრეს შვიდასს თუმანს ჯამაგირს წელიწადში. კაცი, რომელიც ამ-ბობდა ნეტავი კახეთი გამოიხრდეს, რომ ბოლომდ სანადიროები გამიჩნდე-სო, თქმა არ უნდა, ადვილად დასთმობდა ფულში, რომელიც უნდა კუთხე უოფილიყო თავის სამეფოსი. ალექსანდრემ დაუთმო ეს უკეთესი ადგი-

ლი თავის ქვეყნის მტერს, თავის სისხლის მსმელს: შაჰმა ნუხთას სა-რისთო გახადა სასულთნოდ მთელი გარშემო ადგილებით, შემდეგ გა-თათრებულს ვახვახის შვილს, რომელსაც უწოდა ერისთავის მაგიერად, სულთნობა, ჩაასახლა შიგ შირვანელნი, ლეკნი, გათათრებული ხომ-ხობა, ისე თათრები და დაუწყო ძალათი გათათრება ქართველობას. ამ ადგილებსა და კახეთს შუა, ესე იგი საელისენოში რომ უფრო მოს-წყვიტოს ამ ქვეყნებსა და დანაშთენი ქართველების შუა კავშირი, შაჰ-აბაზი ჭარის ლეკებს, რომელნიც დაასახლა ლეკან მეფემ იმ მთიდამ ყინულის საზიდავად, უმატებს ახლა დიდძალს ლეკობას, ჭურის აქედამ ქართველობას და ასახლებს სხვაგან, ავსებს ამ ადგილებს გაბმით ლე-კობით, აძლევს ამ ლეკებს ქართველების აოხრებისა და ამოწყვეტის ნე-ბას, ამათი სრულიად სწობს კაკსა და კახეთ შუა მისვლა მოსვლას, ნათესაობას, კავშირს. ამგვარად გახეთს ერთმევა ნახევარ მხარი ალექ-სანდრე მეფის მოწყალებით, და მითი მოუდო იქაურს ქართველობას ბოლო [1])

რაკი ეს სურვილი შეუსრულდა შაჰსა მაშინ, ანუ უკეთა ვთქვათ, ამავე დროს მიჰმართა იმან მოუძლურებულს ქართლის მეფეს გიორგის, ლუარსაბის მამას და სთხოვა ლორე, ხუნანის საერისთო და ბერდუ-ჯი. გიორგიმაც დაუთმო. აბაზმა აჰყარა ამ ადგილებიდამ ქართველობა და მათს ალაგს დაასახლა სპარსეთის აფაზაკი ელი ბორჩისა, რომლი-საც გამო ძველს ბერდუჯს დაერქვა ბორჩალო. ამგვარად ქართლსაც შიგ კრიჭაში ჩაუთესლა ეს საშინელი ბორჩის ხალხი, რომელიც იკ-ლებდა არამც თუ ქართლს და კახეთს და თვით გარშემო თავისი გვა-რის თათრებსაც.

ამის შემდგომ ხომ ვიცით, რაც საქმე დამართა კახთ მეფე ალექ-სანდრეს, მის შვილს, გიორგის, და ქართლის მეფე გიორგისაც: კახთა მეფენი: ალექსანდრე და გიორგი მოაკვლევინა კონსტანტინეს, რომე-ლიც იყო შვილი ალექსანდრესი და ღვიძლი ძმა გიორგისა; ქართლის

---

[1]) დღესაც ვინც ჰნახავს ნუხის გარშემო მცხოვრებლებს ანუ შაჰის სახანო ხალხებს და ჩააცქერდება მათს ქალის თუ კაცის ტიპს, ცხადათ ეცნობა ქართული სახე, და ჰნახავს, რომ სხვა თათრებსა და ამათ შორის არავითარი მსგავსება არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე გიორგი მოჰსწამლა თვით შაჰ-აბაზმა ერევანში. კახეთი მისცა ძმისა და მამის მკვლელს კონსტანტინეს.

მაგრამ კახეთმა იხსნა აბაზისაგან მოულოდნელი გმირობა. კახეთის მმართველად და სამხედროების თავს დადგა სახელოვანი დედოფალი ქეთევან, ცოლი დავით კახთა მეფისა, დედა თეიმურაზ პირველისა, ასული აშოთან მუხრან ბატონისა.

მათდა საგულისხმოდ, რომელთაც გაუმლიათ ალამნი თავისნი ქალთა წინააღმდეგ და ცხარეთ ჰქადაგებენ, რომ ქალნი დაბლა სდგანან გონებით და ხასიათების სიმტკიცით კაცებზედა, უნდა შევნიშნოთ, რომ ძვირად, თუ ოდესმე ასულან ქალები სამეფო ტახტზედ ან გამხდარან ქვეყნის მმართველნი, მაგრამ ვინც კი ქალთაგანი ჰღირსებია ტახტს ან მმართველობას, თითქმის ყველას უჩენია გონიერებაცა და ხასიათების სიმტკიცე. ავიღოთ სემირამიდა, კლეოპატრა, თეიმურა, მამია, ალექსანდრე სევერის დედა, ჩვენი თამარ, თუნდა რუსუდან, ელისაბედ ინგლისის ხელმწიფე, ეკატერინე მეორე რუსთა ხელმწიფე, დღევანდელი ინგლისის ხელწიფე ვიკტორია, ზინობია პალმირას დედოფალი და სხვანი. ყველა ესენი იყვნენ სახელოვანნი და, მეტნი მათგანნი, საუკეთესო ხელმწიფენი, მაშინ, როდესაც მამა-კაცთაგან ასს მეფეში ორი ძლივს მოიპოვება გონიერი მმართველი და მტკიცე ხასიათების მქონე. გარდა ამისა, რომ მმართველი ქალები თვით ჰმართავდნენ და ჰსაზროვდნენ კარგათ საქმეს, საკვირველად გონივრულად იცოდნენ არჩევა და დაახლოვება სახელმწიფო მოხელეთა და მხედართმთავართა.

ქეთევან დედოფალმა ცხადათ დაგვიმტკიცა, რომ ქალი ღირსეულად იცავს თავის ვალს როდესაც იმას მიენდობა საქვეყნო საქმენი. იმისს მოკლე მართვის დროს კახეთი იღვიძებს, ფხიზლდება, ძლიერდება, ის ირჩევს თავის თანაშემწედ სამეფოს მმართველად და მხედართმთავრებად მართლაცა და სახელოვანთა პირთა, რომელნიც იჩენენ დიდს გონივრებას და ძალას სამეფოს მოვლასა და მტრის პასუხის გებაში. აქვე არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ ბედნიერება იქნებოდა საქართველოსთვის ეს დედოფალი რომ ბოლომდის დარჩენილიყო კახთა გამგეთ, ჲ დიდი უბედურება იყო საქართველოსათვის გამეფება იმის-

შვილის თეიმურაზისა, როგორც, იტყვიან, მოუვლინა საქართველოს მამნე ენით, თუმცა ზოგნი სთვლიან იმას შეუდარებელ მხედრად და გმირად.

სამეფოს კაცად და მახლობელ მრჩეველად ჰყავდა ქეთევანს ვინმე ადამ აბელიშვილი, ანდრონიკაშვილი. [1]) ეს იყო ნამდვილი ბრძენი გამგე სამეფო საქმეებისა. ამისი რჩევით, ამისი დაწყობილებით გაიმაგრა ქეთევან დედუფალმა თავი, ამით სძლია კონსტანტინეს, ამისით მოიგდო სამეფო ხელში. მთელი კახეთი, მთელი სამეფო შეჰყურებდა ამას, როგორც თავის პატრონს, თავის მომვლელს. თქმა არ უნდა, რომ თეიმურაზის გამეფების დროსაც ეს განაგებდა მთელს კახეთს, ეს უვლიდა ქვეყანას. აბაზმა ეს ყველა კარგათ იცოდა. ვიდრემ ამგვარი კაცნი იდგნენ სამეფოს თავს, მანამ ადვილი არ იყო შებმა კახეთისა მის ბოლოს მოსაღებად. ამისთვის საჭირო იყო ამისი თავიდამ მოშორება. თუ მოეკვლევინებინა, როგორც ეს უყო ალექსანდრესა და გიორგი მეფეებს, არ იქნებოდა, რადგან აწეწილსა და არეულს გარემოებაში იყო: ავღანი, ინდოეთი, თურქისტანი, ოსმალო ასეული ჰყავდა, თვით სპარსნი არ უდებდნენ თავს, და ახლა კახეთიც აუშლებოდა შაჰმა მიჰმართა სხვა ღონეს. როდესაც იმას იახლა ისპაანს თეიმურაზ, პირველი ცოლის სიკვდილის უკან, სთხოვა რომ ეს აბელიშვილი ეჩუქებინა იმისათვის. თეიმურაზს არ ჰქონდა იმდენი შორსმხედველობა, რომ გაეგო, რასაც ჰნიშნავდა ეს თხოვნა შაჰისა. იმან დაუთმო აბაზს პირველი კაცი კახეთისა. კახეთს მოაკლდა უკეთესი სარდალი, უკეთესი სამეფო მრჩეველი კაცი.

მაგრამ ჰყავდა ქეთევანს ახალგაზდა გამოჩენილი და სახელოვანი მხედართ-მთავარი, რომლისაც მსგავსი დიდი ხანია აღარ ენახა კახეთს, კაცი როგორც გონებით, ისრე თვალტანად მშვენიერი. ეს იყო ქაიხოსრო ომანიშვილი ჩოლოყაშვილი მხედართ მთავარი. აბაზისთვის ეს უფრო საშიში იყო აბელიშვილზედ, რადგან სარდლობით ეს მაღლა იდგა იმაზედ და მთელს საქართველოში, გარდა საკაძისა, არ მოიპოვებოდა მისი ბადალი მხედარი. ის იყო დიდათ პატივცემული ქა-

[1]) ერთს მონაწილეობას ანდრონიკაანთში დღესაც აბელაშვილებს ეძახიან.

თევან დედუფლისაგან. ქეთევან აფასებდა მის დიდებულს ნიჭს, მის ერთგულებას. ამ ომანიშვილმა შეარყია და დასცა მთელი [illegible] დაღესტანი, რომელიც წინად შეადგენდა საქართველოს ნაწილს და დიდი ხანია ქართველთ თავს აღარ უდებდნენ, დაამონა კახთა მეფეს და გაჰხადა კახეთის მობეგრედ. ქაიხოსრო ომანიშვილი იყო ისევ დაღესტანში, საუკუნოდ დაღესტანის გასატეხად, რომ თეიმურაზ წავიდა ყეენთან ცოლის გამოგლოვების უკან. აბაზს ჩასდიოდა ეს საშინელი ომანიშვილის ძლიერების ამბავი. აბაზისთვის საჭირო იყო იმისი ბოლოს მოღება. აბაზი თავის სურვილის შესასრულებლად არ ერიდებოდა არავითარს სახსარს. იმან გადაჰკრა რამდენჯერმე ლაპარაკში თეიმურაზს, რომ ომანიშვილი ძლიერდება დაღესტანში, და ამითი უნდა აქედამ დაღესტანიც და კახეთიც თვითონ დაიჭიროსო. ქეთევანს ის ქმრად უნდა და იმიტომა ჰყავს დაახლოვებული, რომ ბოლოს ის შეირთოს და კახეთიც იმას მისცესო. შაჰ-აბაზის შეგონებით თეიმურაზს ესევე გაუმეორეს მის სიყმის მეგობართა, რომელნიც იმას ჰყავდა სპარსეთში და ენდობოდა. იმათ გადაკვეთით უთხრეს, ეს უეჭველი ამბავიაო. ეჭვიანი თეიმურაზისათვის მეტიც აღარ იყო საჭირო. ის დაბრუნდა კახეთში, ომანიშვილზედ შურით ავსებული. ამ დროს მოუვიდა დაღესტნიდამ თეიმურაზს კაცი ომანიშვილისა და სთხოვდა სამეფო ბუკებს. ომანიშვილმა იცოდა, რა გავლენაცა აქვს ველურს ხალხებზედ დიდებულს სამკაულებს და იარაღს. იმას სამეფო ბუკებით უნდა ეჩვენებინა იმათთვის თავის ძალა და ძლიერება მეფური. ახლა კი თეიმურაზისთვის ეჭვი აღარ იყო შაჰის ნათქვამზედ. ამაზედ ომანიშვილის მოშურნე კახელობამაც კვერი დაუკრა და უთხრეს, რომ თუ მართლა მეფობა არ უნდოდეს, როგორ ითხოვდა სამეფო ბუკებს, რომლისაც ხმარება შეუძლიანთ მხოლოდ მეფეის წინ და მეფესაო. თეიმურაზმა არცა ჰკრა, არც აგინა, დაიბარა ომანიშვილი დაღესტნიდამ და ჩუმათ ღალატით მოაკვლევინა.

იყო კიდევ კახეთში მეორე სამეფო საქმეთა მცოდნე და მზრუნველი, შარმაზან ჩოლოყაშვილი, მაგრამ ამისი აბაზს არ ერიდებოდა ეს ჰყავდა სპარსეთში გაცნობილი, სადაც ახლა ის თეიმურაზს გამზრდელად, მიჩენილი ქეთევან დედუფლისაგან. შარმაზან იყო კაცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭკვიანი, მეფისა და ქვეყნის ერთგული, გონიერი მრჩეველი, მაგრამ არ იყო მხედარი, არა ჰქონდა ნიჭი მხედარ-მთავრობისა.

ამგვარად შაჰ-აბაზმა დააუკაცურა კახეთი. ამ ქართლ-კახეთის დაუკაცურებაში უწყობდნენ ხელს ცბიერს აბაზს თვითონ ქართველებივე. როგორც ვიცით, ერთად ერთი ქართველი, რომელსაც კიდევ შეეძლო ქვეყნის შველა-სააკაძე — ქართველებმა თვითვე მისცეს შაჰ-აბაზს,

დაუკაცურდა ქართლ-კახეთი, მაგრამ მაინც ადვილი არ იყო ორი სამეფოს შებედვა, მეტადრე თუ ისინი მიჰმართავდნენ ოსმალოს და სთხოვდნენ დახმარებას. მინამ მეფეებს აქვთ ერთმანერთში ერთობა, მინამ მეფეები მკვიდრობენ აქა, ქართველებს აქვთ დროშა, რომლისაც გარშემო მოიყრის ხალხი თავსა და გაუწევს ქვეყანას სამსახურს. აბაზმა, როგორც ზემოთაცა ითქვა, რაკი ჰნახა, რომ ვერაც მეგობრობით, ვერც დამოყვრებით ვერ აქცევინა ქართველთ მეფეებს იმ გზას, რომელსაც ის ჰხედავდა სპარსთა საბოლოოსათვის საშიშრად; რაკი ვერ დაიყოლია ისინი და ვერ მიაქცია მუსულმანობაზედ; — მაშინ საქართველოს სრულიად მოსაუძლურებლად მიჰმართა ამგვარს ღონეს, იმან ჩუმათ, ყველას საიდუმლოთ მისწერა ქართლის მეფე ლუარსაბს, რომ მოუხტეს ყაზახის ხანს, მოჰკვეთოს თავი და ამას გამოუგზავნოს. ამავე დროს ამგვარისავე წიგნსა სწერს ყაზახის ხანსა, რომ ის ჩუმათ მიუხტეს ლუარსაბსა, მოჰკვეთოს თავი და ამას გამოუგზავნოს, ყაზახის ხანს დაასწრო ლუარსაბმა: იმას მოუვიდა თუ არა შაჰის წერილი, არც იკითხა თუ რათ, უნდა დავესხა, ავიკლო და მოვკლა დიდებული კაცი სხვის უბრალო თხოვნით და სურვილით, რით უნდა გავიხადო საუკუნოთ მტრად მეზობელი ხალხი, — სასწრაფოთ ჩაუხტა ალსტაფას, შეიპყრა ყაზახის ხანი, მოჰკვეთა თავი, აიკლო ყაზახი, და მოკვეთილი თავი ხანისა გაუგზავნა შაჰ-აბაზს.

თუმცა არ შეუსრულდა აბაზს სურვილი ლუარსაბის სიკვდილისა, მაგრამ შეუსრულდა მეორე სურვილი: ვაჟკაცი. ხალხი ყაზახის თემისა, რომელიც იყო მეზობელი და ხშირად ქართლის მოხარკეცა, რომელიც ამასთანავე იყო სუნის რწმუნებისა და აგრე რიგათ არ უდებდნენ სპარსთა თავს, რადგან სპარსნი იყვნენ შიის რწმუნებისანი, — გაუხადა მტრად ქართველებს. ეს ჩამოკიდება ყაზახის ხალხისა ქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებზედ დიდათ გამოსადეგი იყო შაჰისათვის და კიდეც გამოადგა ბოლოს.

რაკი ლუარსაბ გადურჩა ყაზახის ხანსა, მაშინ შაჰ-აბაზმა ისრე აისუმბუქა თეიმურაზისა და ლუარსაბის იჭვიანობა, უხასიათობა და უნდობლობა, რომ მოინდომა ძეეხოცვნა ესენი ერთმანერთისათვის და მოეხდინა არეულობა ქართლსა და კახეთში. იმან მისწერა კახთა მეფეს თეიმურაზს საიდუმლოთ ამგვარი წიგნი: თქვენ ქართველები იმიტომ ხართ უძლურები რომ ისრეც პატარა საქართველო, დანაქუცმცებული გიჭირავთ ცალკ-ცალკე სხვა-და-სხვა მეფეთ და მთავართა. რომ გაძლიერდეს საქართველო, გაძლიერდე შენ, ჩემო ერთგულო, ჩემო გაზრდილო და ჩამსახურო, მომიცია შენთვის მთლათ ქართლიცა. ლუარსაბ არის შენი მოღალატე. ის ბევრი ხანია შემოდეგილია, რომ იმას მივცე კახეთიცა. ის უთუოდ და უთუოდ გაპირებს შენ ღალატით სიკვდილსა, რომ კახეთიც თვითონ დაიჭიროს, მაგრამ, რაკი იმან შენ, ჩემი გაზრდილი და ნაამაგდარი, გაკიმეტა სასიკვდილოთ და მოინდომა შენი ღალატი, ის არც მე დამინდობს,—ამისგამო მე მომიცია შენთვის ნება, დაასწარ იმას სიკვდილი და მომიცია შენთვის ქართლიცა. ამგვარივე წიგნი მიწერა ლუარსაბსა. თეიმურაზმაც და ლუარსაბმაც, სიძე—ცოლის ძმათ იწყეს მზადება ერთმანერთზედ და ჯარების გროვება. ლუარსაბ და თეიმურაზ მოადგნენ დიდძალი ჯარებით ერთმანერთს მოსისხლეთ. აგერ მზათ იყო მახვილი ძმის სისხლის დასაღვრელად, თუ არ ისევ შერმაზან ჩოლოყაშვილი. ის მიხვდა, რომ ეს უნდა ყოფილიყო ცბიერება აბაზისა და შეაყენა თეიმურაზ. შარმაზანის რჩევით თეიმურაზმა გაუგზავნა ეს წიგნი ლუარსაბს. წარმოიდგინეთ გაოცება თეიმურაზისა, როდესაც ამ წიგნის პასუხად მოუვიდა ლუარსაბისაგან სრულიად, თითქმის სიტყვა-სიტყვით ამგვარივე წიგნი აბაზისა ლუარსაბთან მიწერილი, სადაც ის ურჩევდა ლუარსაბ თეიმურაზის სიკვდილს და კახეთის დაჭერას.

ომის მაგიერად ეს ამხედრება გათავდა ლხინით.

რაკი ნახა შაჰ-აბაზმა, რომ ეს არ გაუვიდა, მაშინ მოიგონა ნადირობა მაზანდარანს, სადაც, ვითომც და სანადიროთ, 1613 წელს

დაიბარა თეიმურაზიცა და ლუარსაბიც. მაგრამ აქაც იმავე შარმაზან-ჩოლდაყაშვილმა დაიხსნა ესენი შაჰის ხელიდამ: იმან დაარწმუნა, რომ აბაზი ამათ სახეიროთ არ იბარებდა. იმათ დაიმალეს და არ წავიდნენ.

---

შაჰ-აბაზს არც ეს ოსტატობა გაუვიდა. მაშინ, რაკი დროც ხელს უწყობდა და აღარა ჰქონდა არავისთან ომი, იმან იწყო დიდ-ძალი ჯარით მზადება, მაგრამ სად და ვიზედ?—არავინ იცოდა. [1])

შაჰ-აბაზ ამ აუარებელი ჯარით დაიძრა საქართველოსაკენ.

როგორც ზემოთაც გვქონდა ნათქვამი, ერთმანერთში მორიგების ძალით ო მალთა და სპარსთა შუა, ქართლი და კახეთი ეკუთვნოდა სპარსთა. მაგრამ მაინცა და მაინც, რომ ოსმალმა არ მიიღოს ეს შესევა საქართველოში მიზეზად და არ წამოესარჩლოს ქართველებსაო, ან არ ეგონოს, რომ ოსმალეთზედ ცუდს განვიზრახავო, აბაზმა გაჰგზავნა შესტუობრათ და დასამშვიდებლად ნასუჰ ფაშასთან ელჩათ თალიშის ხანი, რომ საქართველოზედ მივდივართ. რასაკვირველია, ამგვარს სიფრთხილეს თავი არა სტკიოდა. და იმედიც იყო, რომ ოსმალნი არ შეიძროდნენ ამ ხანად რადგან ნასუჰ-ფაშა, რომელიც განაგებდა მთელს საოსმალო აზიას, იყო მომხრე შაჰ-აბაზისა.

სააკაძე იახლა აბაზმა თანა.

---

[1]) როგორც „ქართლის ცხოვრებამ" და სხვა მწერალთა—გარდა რუსის მწერლებისა,—ისრე ისკანდერ მუნჯმაც არ იცის თავი მიზეზები აბაზის საქართველოზედ მრისხანებისა. ისკანდერის სიტყვით ამ მრისხანების მიზეზი სხვათა შორის ის იყო, რომ თეიმურაზ არ ასრულებდა არავითარს პირობას, რაც კი აბაზისთვის დაედო. სხვათა შორის კახთა და თეიმურაზმა, როდესაც თეიმურაზს ჰგზავნიდა კახეთში მეფედ, აღუთქვეს შაჰსა, რომ როდესაც მოხვალ შირვანზედ, მთელს კახეთის ჯარს მოგაშველებთო. მაგრამ, როდესაც შაჰი მივიდა შირვანს და შემოადგა შემახიას, თეიმურაზმა არ შეასრულა თავისი აღთქმა: მთელი კახეთის ჯარების მაგიერად, იმან გაგზავნა მოსაშველებლად თავისი დედა ქეთევან მცირეოდენი ჯარითა. ეს გახდა მიზეზი აბაზის კახეთზედ გამხედრებისაო.

შაჰ-აბაზ დიდათ ჰმალავდა თავის განზრახვას, ის ყველას ეუბნებოდა, რომ მიდიოდა საოსმალოში და უნდა მხოლოდ გაიაროს საქართველოზედ, რომ აქედამ შეესიოს ოსმალოს.

საავაძეს, თქმა არ უნდა, არ დაუმალა ეს. ის ჰხედავდა მოციქულობას სპარსთა და ოსმალთა შუა, ჰხედავდა, რომ სპარსთა მზადების დროს ოსმალნი წარბსაც არ იხრიდნენ. ის ჰხედავდა, რომ ცბიერი შაჰი ატყუებდა მეფეებს და მიდიოდა ამისი სამშობლო ქვეყნების დასანთქავად. ახლა უფრო იგრძნო იმან, რომ ის არა სცდებოდა, როდესაც ერიდებოდა სპარსეთში გასვლას, საქართველოდამ განდევნის დროს ამისმა სპარსეთში გასვლამ გააძლიერა სპარსეთი და ახლა ამისივე ხმლით გაძლიერებული შაჰი მიდიოდა ამისავე ქვეყნის დასანთქავად: საავაძეს სიკვდილამდის ჰქონდა სამწუხაროდ, რომ ის იძულებული იყო გასულიყო სპარსეთს და არა საოსმალოში. თუმცა ამ გასვლამ გააცნა სპარსთა პოლიტიკა და შეაძლებინა თავის დროზედ თავს საქართველოს სახსნელად.

ნანობდა საავაძე იმასაც კი, რომ ის აუცილებელთა გარემოებათა გადაავდეს სპარსეთში, რომლითაც გაძლიერდა სპარსეთი. მაგრამ არა ნანობდნენ ამას არც მეფე და არც ქართლის დიდებულნი. არა ნანობდნენ მაშინაც კი, როდესაც ძლიერი შაჰი ურიცხვი ჯარით ადგა საქართველოს კარს, აპირებდა მთელი საქართველოს ქვეყნის პირიდამ აღგვას, და ქართველთ კაცი არა ჰყავდათ, რომელსაც შესძლებოდა განრისხებული აბაზის გამკვლავება, პასუხის გება. არა ჰნანობდნენ საავაძის დაკარგვას, არა ჰხედავდნენ თავის შეცდომას, რომ ერთათ ერთი კაცი, რომელსაც შეეძლო ეხლა ქვეყნის პატრონობა, თვითონვე მისცეს თავის მტერს ხელში.

არვითარი სამზადისი, არავითარი ზრუნვა მტრის დასახვედრად არც ქართლს და არც კახეთში არ იყო [1]).

აბაზმა შემოიარა ყარაბაღი და დადგა განჯას.

განჯიდამ თეიმურაზს გაუგზავნა იმისი სიყრმის მეგობარი სა-

---

[1]) გარდა ზემოდ მოყვანილი საბუთებისა, ამას მოგვითხრობს ეგრევე პიეტრო დელავალეც, რომელიც თითქმის ამ ხანებში იყო გზათ სპარსეთს და სწერს საქართველოს ამბებს.

ქირ-აქო-ქუჯი და შეუთვალა, რომ ოსმალოზედ მივდივარ, შენს ქვეყანაზედ უნდა გავიარო და მძევლად ერთ-ერთი შენი შვილი მომეციო, რომ შენგან ჩემს ჯარს შენს ქვეყანაში არ ევნოს რა და პაპაშენი ალექსანდრესავით შენც ოსმალთ არ მიუდგე.[1])

თეიმურაზს გულმა უგრძნო, რასაც ნიშნავდა ეს და უთუმობდა შვილის მიცემას. მაგრამ კახელობამ საკვირველი სულმოკლეობა იჩინა აქა, რომელიც აიხსნება იმითი, რომ, შაჰის პასუხის საგებლად არავითარი სამზადისი არა ჰქონდათ, კაცი არა ჰყავდათ და განჯიდამ კახეთი ღია იყო მტრის შემოსასვლელად, რათგან არავითარი ბუნებრივი სიმაგრენი გზად არ იყო

მართალია, დღესაც ბევრი მიმდევარი ჰყავს იმ სწავლას, რომელიც ამბობს, რომ ერთს კაცს ქვეყნის საქმის მოძრაობასა და წინ ან უკან წასვლაში არავითარ მნიშვნელობა არა აქვსო, მაგრამ ყოველს ნაბიჯზედ ფაქტები სულ სხვას გვიჩვენებენ აღარა ჰყავთ კახელებს ადამ აბელიშვილი, აღარა ჰყავთ ქაიხოსრო სარდალი ჩოლოყაშვილი—ომანიშვილი, და დაჰკარგეს იმათ თავი, დაჰკარგეს გამბედაობა, დაჰკარგეს გმირობის სახელი.

კახელებმა ერთპირად მოსთხოვეს, რომ გაეგზავნა თეიმურაზს ერთ-ერთი შვილი შაჰისათვის.

თეიმურაზ დამორჩილდა კახელების სურვილს. გაუგზავნა აბაზს თავისი უმცროსი შვილი ალექსანდრე, რომელსაც გაატანა თან სახელოვანი დავით ჯანდიერი ასლანიშვილი.

შაჰ-აბაზმა, ვითომ იწყინა, რატომ პატარა შვილი გამოგზავნა თეიმურაზმა და არა დიდიო.

— ძმა ხომ არა ვარ,—შეუთვალა იმან თეიმურაზს,—რომ ძუძუმწოვარა ბავშვს მიგზავნი. თუ ცუდი რამ არ გიდევს გულში, რატომ უფროსი შვილი არ გამომიგზავნე. გამოგზავნე უფროსი და ეს წაიყვანე უკანა. უფროსს მე თვითონვე გაგიზრდი ისრე, რომ თავის დღეში შენ ისრე ვერ გაზარდო. მაგ უფროს შვილს გამოატანე დედაშენი, რომ მასთან მოსალაპარაკებელი მაქვს. რაკი მოვილაპა-

[1]) ისკანდერ მუნჯი ამბობს: შაჰა გაუგზავნა თეიმურაზს საქირ-აქოქუჯი, დამორჩილდი და აღარას გერჩიო.

რაკებთ მე და დედაშენი, მაშინ ორთავე შენს შვილს იმას გამოგვცან.

— გვატყუებს, კახელებო! გვატყუებს შაჰი! — შესძახა მწუხარებით თეიმურაზმა, როდესაც მოუვიდა ეს ამბავი: — ის იმიტომ იბარებს ახლა დედაჩემსა და ჩემს უფროს შვილსა, რომ მთლად ბაგრატიონების მოწყვეტა უნდა!..

კახელები თავისას გაიძახოდნენ. თხოულობდნენ, დედაცა და უფროსი შვილიც გაეგზავნა.

— უნდა შესწირო ქვეყანას ეგ შვილიცა! — შესძახოდა კახელობა.

— უარესი დაგვემართება, — ეუბნებოდა განწირულებით თეიმურაზ: — რაკი მაგასაც ხელით ჩაიგდებს, მაშინ მეც მომითხოვს, და მასუკან მაინც არ დაიშლის და გაათხრებს კახეთსაც.

რაკი ასრეთს უარზედ დადგა თეიმურაზ, მაშინ კახელებმა, როგორც მეფე არჩილი მოგვითხრობს:

„გარდაიცვეს თავს საბელი, კახთ სულ ასე დაიჯინეს,
ქვეყნისა და თავისათვის, რად არ დასთმო სთქვა ეს ვინეს“,

თეიმურაზ არ იყო მზად მტრის პასუხის საგებლად და მეტი გზა არა ჰქონდა, უნდა აქაც დამორჩილებოდა თავისი დიდებულთ სურვილს. გაუგზავნა შაჰს დედა ქეთევან და უფროსი შვილი ლევანიც. ამათ გაატანა თან თავისი დაჲ ელენე, [1]) რომელიც წინათ ცოლად ჰყავდა შაჰ-აბაზს და შემდგომ მისცა ცოლად ლორისტანის ვალს: გაატანა ეგრეთვე მრავალი თავად-აზნაურთთა ყმაწვილები!..

რაკი ესენიც მიუვიდნენ, მაშინ აბაზმა შემოუთვალა თეიმურაზს — მართალია, დედაშენი და შენი შვილები არიან ჩემთან მძევლებათ, მაგრამ ჩემთვის მაინც საფიქრებელია, რომ შენ არ დაიჭირო ოსმალების მხარე და შენს ქვეყანაში შესულს ჩემს ჯარს არ მისცე ვნება. რომ უფრო გულდამშვიდებული ვიყვე, შენც ჩემთან მოდი განჯას და მინამ შენს ქვეყნებს გავივლიდე, იყავი ჩემს გვერდით.

[1]) ანტონ კათალიკოზის თქმით, ამას ერქვა თინათინ და იყო ასული თეიმურაზისა. ეს ირღვევა თეიმურაზის წერილით რუსთ ხელმწიფესთან და სხვა საბუთებითაც: იმას ერქვა ელენე და იყო დაჲ თეიმურაზისა.

გახელებმა დაუჟინეს, რომ ხლებოდა მაჭს თვითონ თეიმურაზიცა.

მაგრამ თეიმურაზს მეტად უყვარდა თავი, რომ შეესრულებინა ეს თხოვნა გახელებისა. ამასთან მოუვიდა საიდუმლოთ დედის წერილიც, რომელიც მოუტანა დავით ჯანდიერი ასლანიშვილმა, რომ მაჭს არავითარი სახეირო ჩვენთვის გულში არ უდევსო და არამც და არამც შენც არ წამოხვიდეო. ესევე გაუმეორა დავით ასლანიშვილმა.

თუმცა სხვა ირჩევდა ან თავის დედასა და შვილებთან სიკვდილს, ან, თუ დარჩებოდა ცოცხალი, მისთვის მაინცა, რომ ქვეყანა ეხსნა განსაცდელისაგან, თუ არა გმირულად შეაკლავდა მტერს თავსა; მაგრამ თეიმურაზმა არ ირჩია არც ერთი და არც მეორე. ის არც მიიოდა მაჭთან, არც ემზადებოდა მტრულად დახვედრასა. ის ყურწაგდებული გაჭყურებდა: აცა რას იზამს მაჭიო.

მაჭი ამავე თეიმურაზის სიტყვით „არჩილიანში“

„წყნარა წყნარა მოგვეახლა იგი სადმე სიტყვა რბილად,

ვინემ მართლა არ მოვიდა, მოსვლა ჭქონდათ ზოგს სიცილად“.

ამასვე სწერდა თეიმურაზ რუსთა ხელმწიფეს თავის წერილებში.

თავის გასამართლებლად ამბობს თეიმურაზ „არჩილიანისავე“ სიტყვით:

„აწ ეგები ეს გეგონოთ, მაშინ ვერას ვერ შევძლებდი:

ქვეყანასა დანდობილსა არც სრულ ასრე ავაკლებდი,

თავს გავსჯიდი სასიკვდილოთ, ზოგს მასცა რას დავაკლებდი.

დაგვამშვიდა ტკბილის სიტყვით, ჯებირს [1]) არსად არ ვავლებდი“.

როდესაც ჭნახა, რომ ეს არის შემოვიდა მაჭი და აღარ იმლიო, მხოლოდ მაშინ მოინდომა თეიმურაზმა გამაგრება. იმან გამართა ჯებირები მუკუზანთან, მაგრამ გვიანღა იყო: თეიმურაზს არც ჯარი ჰყავდა საკმაო და არც შესაფერი გარემოებისა მხედართ-მთავარი.

გაიგო თუ არა მაჭმა, რომ თეიმურაზ ჭმართავს სიმაგრეებს, მაშინვე უბრძანა ჴირ-ბუტაყ, თავრიზის ხანსა და მრავალი ამირთა, რომ დასცემოდნენ თეიმურაზსა და შეეპყრათ „როგორც ველური მხეცი“, როგორც მოგვითხრობს თანამედროვე სპარსთა მეისტორიე ისკანდერ მუნში, ამ ჯარს ამავე მუნშის სიტყვით გააყოლეს წინამ-

---

[1]) ჯებირი-სათარი, სანგარი, ტრანშეი (траншей).

ძღვრად დელუ-მამად-ხან შამშადილელი, ამირი ყარაბაღისა, რომელმანც, ამავე ისკანდერის სიტყვით კარგათ იცოდა ყოველივე საქართველოს ადგილები და გზები. ეს იყო ის დელუ-მამად-ხან, რომელიც შვიდასი ჩინებული მეომარით მოეშველა საააკაძეს თათარხნის შემოსევის დროს, და რომელიც, როგორც ვიცით, წინათ იყო თბილისში სპარსთა ჯარების ციხის-თავი.

თვითონ შაჰი ყუბან-ელთან გამოვიდა მტკვარში, ალაზნის შესართავთან (როგორც ვფიქრობ, დღევანდელს მანგიჩაურის ფონში).

გზიდამ შაჰმა კიდევ შეუთვალა თეიმურაზს რომ, ეს ხლებოდა შაჰსა და მისულიყო იმასთან.

რაკი ჰნახეს ისრეთი აუარებელი ჯარი სპარსებისა, ზარდაცემულმა კახელობამ კიდევ დაუწყო თხოვნა თეიმურაზს, რომ ისიც წასულიყო და ხლებოდა შაჰსა.

თეიმურაზ ვერ ჰბედავდა. იმან მისწერა შაჰს წიგნი, სადაც სწერდა, რომ, რაკი დანაშაული აქვს შაჰთან, ვერა ჰბედავს ხლებასა, სთხოვს მამობრივს შენდობასა და აღუთქვამს, რომ ამას იქით ეს სრულს იმის მორჩილებაში და მონებაში იქნება. მაგრამ ამავე დროს სწერდა საიდუმლოდ ქართულდათ ბაგრატ მირზას, რომელიც იყო ქმარი თეიმურაზის მამიდისა, ბიძა ლუარსაბისა, გამაჰმადიანებული, ახლდა შაჰსა და იყო შაჰისა დიდი მეგობარი. ამ საიდუმლო წიგნში სწერდა ბაგრატს სრულებით სხვასა და მის წინაამდეგს, რასაც სწერდა შაჰსა. აბაზმა გაიგო ესა. ის უფრო განრისხდა ამაზედ. იმან გაისტუმრა ქეთევან დედუფალი და ორივე თეიმურაზის შვილი თავისის ამალით ირაყს. თვითონ თავისის ჯარებით გასწია თეიმურაზზედ ისრეთის სისწრაფით, რომ თეიმურაზმა ძლივს მოასწრო გაქცევა. ის გავარდა ქართლში ლუარსაბთან. კახეთი უომრად, უსისხლოდ მისცა მოსისხლე მტერს უიარაღოთ ხელში.

სასაცილო არის და სამწუხაროც, როცა კითხულობ თეიმურაზ მეფის თავის მართლებას ამაზედ. მოვიყვან ისევ „არჩილიანიდამ“ ამის სიტყვებს.

„ომი ვეღარ გაუმართე, რა ლამოდნენ ჩემს იქ დაბმას“,

ესე იგი ომი იმიტომ ვეღარ გავბედე, რომ ჩემი დატყვევება უნდოდათო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო კიდევ თან სასაცილო და თან სამწუხარო შეხედულობა ამავე მეფისა თავის ერთგულებასა და ორგულობაზედ.

„ვინც ან ღმერთი შეიყვარა და ანუ მე მიერთგულა,
წამამყვეს და წამოვედით ჯებირს კარი დაეგულა,
ვინც იქ დარჩა სიავკაცით, ზოგნი აკად დანერგულა,
ამოსწყვიტეს, დაცასტყვევნეს, დარჩეს დამწვარ დადაგულა.

თეიმურაზს თავის ერთგულათ და ღვთის მსახურათ მიაჩნია ისინი, ვინც თავი დაანებს ამისგნითვე გავლებულს ჯებირებს, გაუხსნეს მტერს ამის სამეფოში შემოსვლისა და ოხრების კარი და გაიქცნენ ამასთან ერთათა ქართლსა მერმე და იმერეთში. ავკაცებათა, თავისა და ღვთის მტრებათ მიაჩნია ისინი, ვინც თავის გაწირვით, თავის სისხლით მოინდომეს დაცვა ჯებირებისა, შველა თავის უპატრონოდ გაშვებული ქვეყნისა. ბოლოს ნიშნსაც უგებს ქვეყნისთვის თავგანწირულთა: "ამოწყვიტეს დასასტყვევნეს, დარჩნენ დამწვარ დადაგული!"

გავარდა კახეთში ზარის დამცემი ხმა, რომ თეიმურაზ თავისის ხიზნით, თავისის ამალით, თავადობით გაიქცა ქართლში და დასტოვა კახეთი უპატრონოდაო. საშინელი იყო ელდა, რომელიც ამ ანბის უკან მოედო ხალხს, არსად ხალხის მშველელი და პატრონი აღარ სჩანდა. გავარდა საზარელი ხმა: „გაიხიზნევით!!. სხვა შველა აღარსად არის!" და ეს სიტყვები მეძგარივით მოედო მთელს კახეთს. დაიძრა მთელი ზარდაცემული ხალხი სახიზნავებისაკენ. ჰყრიდნენ შინ რისაც წაღება არ შეეძლოთ, ჰყრიდნენ უძლურთ, მოხუცთ, სნეულთ, მელოგინეთა, პაწაწა უსუურთათა ბავშთა, — ყველას მათ, ვისაც არა ჰქონდა ფეხი, არა ჰქონდა ძალა გაესწრო და წასვლოდა მტერსა. ურმით, ცხენით, ქვეითი, დედები პაწაწინა ბავშვებით ხელში, იმ საშინელს და დაუვიწყარს იანვრის თვეში, მოედო და შეესია მთელი მილეთის ხალხი ტყესა და ღრესა. თვითო ვიწრო ტყისა და ღრის ყინულისაგან მოლიპულს ბილიკებსა და გზებზედ, თვითო ვიწრო ნაქარისგან ამოვსებულს ვიწრო ხევებზედ იჭედებოდა ათასობით ხალხი, ურემი, ცხენი, ყველა სწრაფობდა, ყველა ეშურებოდა სამშვიდობოს. მშიერნი, ქანც-მოწყვეტილნი, დაღლილნი, მკლავს და მუხლებში ძალა გამოლეულნი დედანი ხშირად ჰყრიდნენ გზა-გზა ძველს ძონძებში

გახვეულს და პირში დოლბანდ ჩადებულს ძუძუმწოვარა ბავშვებს, და თვითონ დანამთენი შვილებით ეშურებოდნენ საშველს გზას [illegible] რჩეობდნენ თავის შვილებთან სიკვდილს. ყოველს ნაბიჯზედ ეყარა გზაგზა გაყინული და გათოშილი ბავშვები, მათი დედები, ისრე დავარდნილი და სიარულის სახსარ მოწყვეტილი ხალხი. გლოვის ზარი იყო მოდებული მთელს ჭვერში, მთელს მიდამოზედ.

გავარდა ქვეყნად ხმა, რომ ყეენს მოუძლვის საავაძე, ყეენი საქართველოს შემოუსია საავაძემათ. მდაბიო და დიდებულნი, მღვდელნი და ბერნი, ქალი და კაცი, დიდი და პატარა, შინა თუ გარეთ სახლში თუ ეკლესიებში იხსენებდნენ წყევლით და შეჩვენებით საავაძის გაჩენის დღეს. მოთქმასა და ტირილში ისმოდა მხოლოდ შეჩვენება საავაძის სახელისა.

საავაძე კი, განდევნილი თავის სამშობლო ქვეყნიდამ, იყო მტრის ბანაკში გულ-ჩათუთქული, მეჭვურებოდა იმის თვალწინ უპატრონოდ გაშვებულს ქვეყანას და არა სჯეროდა, რომ ამ ქვეყნის პატრონები იყვნენ ისრეთი იოხსულნი, ისრეთი გლახაკნი სულითა და გულითა, ისრეთი უძლურნი, ისრეთი გულქვანი, ისრეთი სიცოცხლისა და ანგარების მოყვარენი, რომ არავინ, არავინ მათგანმა არ მოჰხედა უპატრონო ქვეყანას, არ მოჰხედა ამოდენა ცრემლს, საშინელს ცოდავობის გოდებას.

ჰხედავდა ყველა ამას საავაძე და დარწმუნდა, რომ ისევ ამას, ამ განდევნილს თავისი ქვეყნიდამ კაცს უნდა ეშველა ქვეყნისათვის. ისევ ის დარჩა ქვეყნის პატრონად, ისევ ამან უნდა მოარჩინოს ქვეყანა მოსპოლვას, განადგურებას.

სწყევლიდა ქვეყანა ამას, და ქვეყნისთვის ზრუნავდა მხოლოდ ეს ძალით შველა შეუძლებელი-და იყო. მეფენი გაცვივდნენ, დიდებულთ თავისი თავი და ხმალი მისცეს ყეენს, თვით კახელობავე მიუძღოდა ყეენს თვისავე ქვეყნის ასაკლებად, ამოსაწყვეტად. ცბიერს აბაზთან გამოდგებოდა მხოლოდ-და ცბიერობა.

საავაძემ თავისი გონივრული რჩევებით, შორს მხედველობით, ღრმათ საქმეში ჩახედვით დიდი ხანია შეიძინა სრული ნდობა შაჰისა, და, არამც თუ ნდობა, შაჰი მეჭვურებოდა ამას, როგორც თავის უსაჭი-

როჳსს და უერთგულეს კაცსა. აქაც შაჰს არა ჰქონდა საბუთი არ დაუ-ჯერებინა სააკაძისათვის, არა ჰქონდა არავითარი მიზეზი, რომ სააკაძე ჰგულებოდა ქართველების ერთგულ კაცად. სააკაძე განდევნეს ქართველთა, სააკაძე გაიმეტეს სასიკვდილოთ, სააკაძე აიკლეს, გადუწვეს სახლ-კარი და სარჩო საცხოვრებელი; დააპატიმრეს დედა, და, მოუკლეს ძმა, დასდევდნენ ყველა ამის მახლობელთა და ერთგულთ სასიკვდილოთ! სააკაძე ასრე ერთგულათ თავგაწირული იბრძოდა და სისხლსა ჰღვრიდა ამისათვის, სააკაძის სიტყვა ყოველთვის უჯდებოდა ამას მაშასადამე არ იყო მიზეზი, რომ აქაც არ დაეჯერებინა აბაზს ამისათვის.

რაკი დარწმუნდა სააკაძე, რომ ეს არის აბაზი აპირებს ბოლო მოუღოსო ამის საშობლოს, ის შეუდგა საქმეს. მაინც-და-მაინც აბაზისათვის აქ დაკითხვა და რჩევა სააკაძისა იყო საჭირო. იმან იცოდა, რა ძნელი საომარი ადგილებიც იყო საქართველოში და რა ვაჟკაცი ხალხიც ჰყვია იმასა. აქ უსააკაძეობა ძნელი იყო. სააკაძეს ახლა უნდა ისრე დაეჭირა თავი, რომ შაჰს არ ეგრძნო იმისი გულის შემატკივრობა ქართველობაზედ და ამავე დროს ეხსნა ეს უპატრონო ხალხი საშინელი განსაცდელისაგან, რომლისაც მსგავსი განსაცდელი, თანამედროვე მწერალთ თქმით საქართველოს არასოდეს არ დასდგომოდა. ისკანდერ მუნშის თქმით, ჯერ მუსლიმი საქრისტიანოს ასრე მრისხანედ არ შეჰსევია. სააკაძეს უნდა შეეგონებინა შაჰისათვის, რომ ცუდი მოპყრობით ის აშლიდა მთელს ხალხს, ამათ მოუშველებოდნენ იმერნი, ჩერქეზნი; რომ ადგილები იყვნენ საომრად მიუდგომელნი, ამასთან, თუ მოიპოვებდა შაჰი ქართველების გულს, ესენი იქნებოდნენ პირველი მტერნი ოსმალთა და ყოველთვის დიდს ძალას მისცემდნენ მტერზედ საძლეველად, შეადგენდნენ დიდს ძალას სპარსთათვის; გადუდგებოდნენ იმ გზასაც, რომელსაც დაადგნენ მეფე ალექსანდრესა და გიორგის აქეთ; რომ ქართლ-კახეთის მოსპოლვით მოუძლურდებოდა თვით სპარსეთიც; რომ არც სპარსთა ძალაა ახლა ისრეთი, რომ სრული იმედი იყვეს შაჰის სურვილის შესრულებისა; ამასთან ორივე მეფეთ გაასწრეს და არ შეიძლება შორიდამ მაინც არ მოხედონ თავის ქვეყნებს, მოიშველებენ ხონთქრის ჯარს; გარდა ამისა ნახე-

ვარზედ მეტი ხალხი არის გახიზნული და სხვა-და-სხვა. ის ურჩევდა, რაც შეიძლებოდა ტკბილად მოჰქცეოდა ქართველობას და მოეგო იმათი გული; შაჰს დაუჯდა ეს ჭკუაში, მით უფრო რომ, თუმცა ნასირ ფაშა იყო ამისი მომხრე და ჰსურდა მშვიდობა, მაგრამ თვით ნასირ ფაშასაგან მოსდიოდა ამბავი, რომ იქნება სტამბოლში ეს ამბავი არ მოიწონონო. შაჰმა დაუშვა ძირს მახვილი მოისხნების. იმან გასცა სასტიკი ბრძანება, რომ არა სპარსელს მხედარს არ გაებედნა, არამც თუ ხელის ხლება ქართველების სარჩო-საბადებლისა და არ გაებედნათ ვისთვისმე გამოერთმიათ რამ უფასოთ: როდესაც არ დაიშალეს და დაიწყეს შიგა და შიგ ალაფობა და ცარცვა სპარსთა მხედრებმა, შაჰმა მთელი სპარსთა ბანაკის წინ გამოათავაშვინა რამდენიმე მცარცვავი, [1]) და ამითი შეწყვიტა კლება და თხრება ქვეყნისა. ეს კიდევ ცოტაა. შაჰი გასცემდა მრავალს წყალობას, მდაბიო ხალხს ასაჩუქრებდა დიდათ, ასაჩუქრებდა თავად-აზნაურობას, სამღვდელობას, სდევნიდა ლოდ თავი სწინააღმდეგთა.

გაქცეული და გახიზნული კახელობა დაბრუნდა თავთავის ბინაზედ და შეუდგნენ მშვიდობით შინაურს საქმეებს.

მოწყვეტისა და მოსპობის მაგიერათ ქართველთ ნახეს, რომ იმათ მშვიდობის მეტი არა ელოდათ რა. ქართველთ ამოისუნთქეს მოსვენებით.

ეს იყო მიზეზი, რომ ამ შემოსევის უკან ქართველები უყურებდნენ სააკაძეს, როგორც თავის მხსნელს, როგორც შეუდარებელს საქართველოს ერთგულს კაცს, როგორც გვიჩვენებს განაჩენი სააკაძისა და ჯავახიანთ შორის, რომელზედაც ზემოთაცა გვქონდა ნათქვამი.

[1]) ისკანდერ მუნჯი მოგვითხრობს ამ აბასს კახეთში შესვლის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შაჰაბაზი ქართლ-კახეთში პირველად

1615 წლის დამდეგს შაბათს დღეს შაჰი [1]) გავიდა ალაზანს, შევიდა შერმაზან ჩოლაყაშვილის მამულში, და დაიბანაკა აქა თავისის ჯარებით. კახეთი მისცა იასეს, გიორგი მეფის შვილს, რომელიც იყო მასთან გაზრდილი და გამაჰმადიანებული. დავით ასლანიშვილი [2]) და ნოდარ ჯორჯაძე დაუყენა გამგეთ ანუ მეურნეთ (ოპეკუნათ) იასეს.

სჩოლაყაშვილოდამ, რომელსაც ისკანდერ მუნში ეძახის ფონაკს, შაჰი წავიდა გრემს, კახეთის სამეფო ქალაქში. აქ ჰნახა, ისკანდერის სიტყვით, მშვენიერი ეკლესია. გრემში სცხოვრობდნენ ქრისტიანები და ურიანი. აქ, როგორც ამბობს იგივე მუნში, მას აქეთ, რაც წინას-წარმეტყველი მაჰმადი მოუვლინა ქვეყანას, არ აღიარებულა მაჰმადის სახელი და მარტო გაგონებით იცოდნენ, რომ არიან სადმე მაჰმადის სჯულის მწირავნი. პირველად დიდებულმა აბაზმა აღიარა მაღლა საქვეყნოდ დიდება ალაჰისა მაჰმადისა სახელით კახელების პირველს ტაძარში. ესევე ჩაიდინა აბაზმა სხვა ეკლესიებშიაცაო.

---

[1]) ჩვენ აქ მივდევთ ისკანდერ მუნჯის ქრონოლოღიას, რათგან ეს უფრო დაწვრილებით აგვიწერს და როგორცა სჩანს, თვითონაც ყოფილა ამ დროს აქა, თუ არა და სცოდნია ყველა ამბავი ოფიციალური ცნობებიდამ.

[2]) როგორც ზემოთაც ითქვა, ეს დავით ასლანიშვილი იყო გვარად ჯანდიერი. თუმცა ამას ჩვენი მწერალნი არსად მოგვითხრობენ, მაგრამ ეს მტკიცდება შემდეგის საბუთებით. 1633 წ. მეფე თეიმურაზ პირველი აძლევს წყალობის წერილს ახია ყორჩი ჯანდიერისშვილს, სადაც ამბობს, რომ შაჰ აბაზმა მამაშენს დავითს ჩააბარა კახეთი ჩემი განდევნის დროს და იასეს სახლთუხუცესად დანიშნაო. კახეთი და იასე, როგორც ვიცით, შაჰ-აბაზმა ჩააბარა დავით ასლანიშვილს და ნოდარ ჯორჯაძეს, უწინ ხშირად იყო, რომ გვარის მაგიერად ეძახდნენ მამის სახელს, რომელიც ზოგჯერ გვარადაც გადიქცეოდა ხოლმე. გვარი ასლანიშვილი არც ეხლაა და არც უწინ სადმე სჩანს ცხადია, რომ ასლანიშვილობა ამ სახელოვანს კაცს ეწოდებოდა მამიდამ ან პაპიდამ ისკანდერ მუნჯი ანუ მუნში, ამას ეძახის დავით ბეგს, და ყოველთვის მოწიწებით იხსენიებს ამის სახელს, როგორც სახელოვანი ქვეყნის მოყვარე კაცისას. ამავე დავით ჯანდიერს, ასლანიშვილს, პლატონ იოსელიანისაგან გამოცემულ „თეიმურაზ პირველის ცხოვრებაში“ მარაბდის ომის დროს იხსენიებს ეს წიგნი დავით ხანიშვილად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრემიდამ შაჰი წავიდა ალავერდს, სადაც ეგრეთვე თავისის ჯი-რით პირველმა აღიარა სახელი ალლაჰისა.

აქ შეიტყო აბაზმა, რომ ამ ადგილის ზემოდამ არის ალაგი თორღა, სადაც არიან შეყრილნი და გამაგრებულნი ის კახელნი, რომელთაც ისევ არ ინდომეს ბატონად. ამასთან გაიგო, რომ აქ არის შენახული განძეული თეიმურაზისა. შაჰმა გაჰგზავნა აქ მაჰმად-თექი-თავრიზელი, ადერბიჯანის მეთოფურთა მხედართ მთავარი, ადერბიჯანის ჯარით. დიდს ხანს გაუწიეს ბრძოლა და წინააღმდეგობა აქ ქართველობამ სპარსთა, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებულიყვნენ გასცლოდნენ მტერს. ციხე და განძეული ჩაუვარდნენ სპარსთა. სხვათა შორის სპარსთ დარჩათ მიტრა ალავარდელი მიტროპოლიტისა ძვირფასის თვლებით შემკული, რომელიც დააფასეს შაჰის წინ 5625 მანეთათ.

შაჰმა გამართა ალავერდის გარშემო ციხე სიმაგრე, ჩააყენა შიგ ჯარი და გასწია ქართლისაკენ მეფეების შესაპყრობათ.

შაჰის ჯარი მიდიოდა უალაგო-ალაგებში, ისრეთს ადგილებში.

---

დავით ხანიშვილი ამ წიგნის მეოხებით უნდა სხვა ვინმე ეგონოს მკით-ხველს და არა დავით ასლანიშვილი. მარაბდის ომის დროს არის ნათქვა-მი, რომ დავით ხანიშვილი იბრძოდა გლდანელებითაო. სრულიად შემ-თხვევით ავიღე აზრი, რომ დავით ხანიშვილი უნდა ყოფილიყო დავით ჯანდიერი—ასლანიშვილი. ჯერ იმიტომ მომივიდა ეს ფიქრი, რომ გვა-რი ხანიშვილი არც ძველად და არც ახლა არ მოიპოვება ქართლკახეთში; მეორეც იმიტომ, რომ გლდანის ბატონები, როგორც მე ვიცოდი, რო-გორც სახელ-მწიფო საქმეების წარმომადგენელმა, რომელსაც შემთხვევა მქონდა გამესინჯა გლდანის სადავო საქმეები სხვა-და-სხვა მებატონეთ ხაზინასთან იყვნენ ჯანდიერები. ხანიშვილების ხსენება საგლდანოში არ-ს დ იყო. ავღექ და შევამოწმე პლატონის დაბეჭდილი წიგნი ხელნაწერ-ებთან და გამოდგა, რომ ხელნაწერებში ყველგან დავით ასლანიშვილი სწე-რია და არა ხანიშვილი. აქაც კიდევ გამოდგა, რომ პლატონ სტყუ-ვის თვით ხელნაწერებთანაც კი. ასრეა მთელი ნაწერები და გამოცემანი ამ მწერლისა ეს გვაყენებს იმ აზრზედ, რომ საჭიროა გაირჩეს ყველა თხუ-ზულებანი დაგამოცემანი იოსელიანი'ა, და დარწმუნებული ვარ, ნახევარი მაინცა იმის წარმოთქმული აზრებისა და მოყვანილი ცნობებ სა გამოდგე-ბა უვარგსნი, მოგონილნი, ლოღიკისა, ფაკტებისა და თვით მისგანვე წა-რმოთქმული აზრებისა და საბუთების წინააღმდეგნი.

როგორც მოგვითხრობს ისკანდერ მუნში, სადაც დიდს ჯარს ქართველებისასაც კი არ გაუვლია. დრო იყო გაზაფხულისა, [illegible]ტელი ჟუჟუნა წვიმები. გზები იყვნენ მთლად გაფუჭებულნი. ჯარი აბაზისა ძლივს მიიზლაზნებოდა, არა ჰქონდათ მოძრაობის არაქათი. მარტო სამარცხვინო შიში და თავის ტრფიალება აქნევინებდა ფაფაცხმას, რომ გასცლოდა აქ, რაც უნდა ძლიერი მტერი და გამოწვრთნილი ჯარი ყოფილიყო, და არ ესარგებლა ამ საშინელი გზებით, საშინელი ამინდებით, შაჰის თავხედური წათამამებით. დაბურვილს ტყეებში გომბორის წვერობებზე და ხერკის ვიწროებში, ვიწრო მთის ავდრისაგან დალიპულს ბილიკებზე და შედედებულს ტალახებში, თავით ბოლომდის წვიმისაგან ამოლუმპული და ტალახში მოსვრილი ჯარი შაჰ-აბაზისა თრთოდა შიშით და ელოდა ყოველ წუთას მტრის თავს დასხმას, მტრის სანგლებზე თავს წადგომას, მტრის მახეში გაბმას, მტრის ხელთ ჩავარდნას... [1])

საგომბოროს, ხერკისა და ამ ადგილებში გზათ მდგომმა ვაჟკაცმა ქართველობამ მაინც ვერ მოითმინა. თუმცა შაჰი უჩენდა ყოველს წყალობას, ეტყოდა ყოველს წყალობის სიტყვებს, მაგრამ მტერი მტერია, მთის ხალხის თქმით ჯარი შაჰისა მოდიოდა წვრილწვრილათ, რაკი ერთბაშათ წამოსვლა საშიშიც იყო, შეუძლებელიც. გზის მაჩვენებლათ ატანდნენ ადაგობრივ მცხოვრებთა. იმის მაგივრათ, რომ გაეყვანათ ესენი სამშვიდობოს, იმათ მიჰყავდათ ეს ჯარები უვალგო ალაგს, გაუტანებელს მთებსა და ტყეებში, იმწყვდევდნენ შუაში და ადენდნენ მუსრს.

ერთი რიჯიანი პატრონი, ერთი რიგიანი მოთავე — და მთელი შაჰის ჯარები თავის ძვლებს ჩაჰყრიდნენ საუკუნოთ ამ საშინელს ალაგებში.

შაჰმა გაუგო ხერკისა (დღევანდელი საგურამოს ადგილები იორ:მდის) და სხვა გზათ მდგომს ქართველობას, რომ იმათ განგებ მიჰყავდ'თ სპარსელები ასრეთს საშინელს ადგილებში, და, თქმა არ უნდა, აღარ მიანდო ამათ თავისი ჯარები, და დიდის გაჭირვებით და

---

[1]) მუნჯი ამბობმ რომ შაჰაბაზი ამგვარს გაბედულებას და საშიშის გარემოებას არ მოერიდა რათგან ამას თხოულობდა სპარსეთის ინტერესიც

სიფრთხილით ეხწია სამშვიდობოს—დია, გზიან ადგილებს აქედამ შაჰმა გაუსია ხერკს, საგურამოსა და გომბორის მხარეს ჯარი-დარა-ტისთვის, აიკლო მთლად, გადასწვა, დაიჭირა ოცდაათი ათასი ტყვე, გაჰგზავნა ირანსა და მთლად ყველანი ძალათი დაამაჰმადიანა. ალაფად, სხვა საცხოვრებელს გარდა, წამოიყვანა ორმოცი ათასი ცხვარი, ძრო-ხა, ცხენი, კამბეჩი და სხვა საქონელი.

როგორც ზემოთაც ითქვა, შაჰმა გამოუსია თეიმურაზს გზების შესაკრავად ფირ-ბუდაყ-ხან, თავრიზელი დიდი ჯარითა და ამიერებით და უბრძანა, რომ უთუოდ და უთუოდ შეიპყრას თეიმურაზ, „როგორც მხეცი ველისა“. ფირ-ბუდაყ-ხანმა ყელდა წინ, დაუხვდა თეიმურაზს ყალყეთთან. თეიმურაზს მეტი გზა არა ჰქონდა: ან უნდა მისცემოდა თა-ვისის სახლობით, ამალით, ჯარით ან უნდა გაეწია ბრძოლა, რადგან გაქცევის გზა აღარსად იყო. თეიმურაზმა უნებურად შეჰბედა სპარსთა. მაშინ კახელებმა იჩინეს აქ თავი და დაუმტკიცეს სპარსთა, რაც ძალა აქვთ ამათა, თუ გამოიღებენ ხელს, კახელები როგორც გაავ-თრებული ლომები, ჩაერივნენ ხელ-და-ხელ სპარსთა და, შემდგომ ცხარე ბრძოლისა, ისრე საშინლათ დაამარცხეს სპარსთა ჯარები, რომ ნახე-ვარზედ მეტი სპარსელებისა დაიხოცნენ და დარჩნენ ბრძოლის ველ-ზედ. მთელი ალაფი ამ ჯარებისა დარჩათ კახთა.

მაგრამ არც ამ გამარჯვებით ისარგებლა თეიმურაზმა. ამის მაგიე-რათ, რომ ამ სპარსთა დამარცხებით გამხნევებული და წაქეზებული გა-რუნებოდა ყეენს და დაეწყო ბრძოლა, თუ დიდი ჯარით არა, თარე-შობით მაინც, თეიმურაზ გავარდა კახეთიდამ და გავიდა ქართლში.

მუხრანში მოეგება ამას მეფე ლუარსაბ. მოეგება .. ხუმრობითა და მასხარაობით, თითქო დედა, შვილები და მთელი სამეფო კი არ დაეკარგოს თეიმურაზსა,—რაღაცა უბრალო მასხარაობა გადაჰხდოდეს. ხუმრობს ლუარსაბ და ემასხრება თეიმურაზიც. აი ამისი ნიმუშები არჩილ მეფის წიგნიდამ.

„გავვლეთ ერწო და არაგვი, შევეყარნეთ მუხრანს მეფეს.
მომილოცა გამარჯვება (ყალყეთისა) მე მუნ მათსა სისხლთა მჩქეფე-
კარგს დროს, დრო რამ ავი შეგვხვდა. ჩვენ ორთავე ვარდთა მკრეფელს,
მერმე მითხრ, სიცილითა: „არ უჯობდა შენსა სეფეს.

„მიბრძანა თუ: როგორ დახვდი მცირე სტუმარს, უცებ მოსულს?
პურადობას იჩემებდი, არ უჭერდი სტუმარსა სულს.
მხიარულად დახვდებოდი, აწ გქებენ სადღაც წასრულს…"

„მოვახსენე: „შენც გეწვევა, გამოხდება, ვით დახვდები,
თუ შენც მაშინ ლხინს უჩვენებ, ჩემგან უფრო გაუჩვდები.
ან გაიცდი თვალთა წინა, ანუ ხელში მოუხვდები.
ნუ დამცინი, შენმა მზემან, სჩანს რომ მარტო მე არ ვხდები."

თუმცა ჟალეთის დამარცხებამ ცხადად უჩვენა რომ მტერი არ იყო ისრეთი საშიში, როგორც ეგონათ მეფეთა, თუმცა ჰხედავდნენ, რომ მაჭი ოსმალოზედ კი არა საქართველოზედ მოვიდა ასაოხრებლად, მაგრამ მაინც ვერც ორთავე მეფემ შეჰბედეს ბრძოლა მაჭ-აბაზსა და ყოვლად სამარცხვინოდ, უომრად ხელგაუნძრევლად გაიქცნენ თავისის ამალით იმერეთს, წაიყვანეს თან ზაქარია კათოლიკოზიც, ნოდარ ჯორჯაძის ძმა, რომელიც შემდეგში ერია სააკაძის მეთქმულობაში გაუშვეს უპატრონოდ, მტრის ხელით მტრის გასაგლეჯად, მტრის აფთარს პირში შესაჭმელად თავისი გამზრდელი, თავისი შემნახველი ხალხი. არც ერთმა და არც მეორემ—არც თეიმურაზმა და არც ლუარსაბმა—არ ინდომეს თავისი ქვეყნის დაცვა, თავისის ხალხთან სიკვდილი.

---

გარბოდნენ გულგახეთქილნი თავის ქვეყნიდამ ლუარსაბ და თეიმურაზ, მაგრამ არ აპირებდა წასვლას თამარ დედოფალი, დედა ლუარსაბისა. ის იყო სიდედრი მაჭ აბაზისა. იყო ცოლი ნამსახური კაცისა, რომელისაც შემწეობით მაჭმა გაანთავისუფლა ერევანი და დაამარცხა ოსმალნი. ის ელოდა აბაზს, როგორც სტუმარს. ის დარჩა ქართლში. იმან უშალა შვილსაც, რომ არ აჰყოლოდა თეიმურაზ და არ გავარდნილიყო იმერეთს, მაგრამ შეშინებულმა ლუარსაბმა არ დაიშალა. დარჩა დედოფალი. ამრეზილი ქართველობა, რომ მეფემ იმისთანა გაჭირვების დღეს ანება თავი თავის ქვეყანას დაუწყეს უკადრისად ქცევა დედოფალს. რაკი ესეები ჰნახა დედოფალმა, დაიძრა ისიც იმერეთისაკენ.

იმან დიდის დიდებით გასწია ქართლიდამ. მაგრამ ავიდა თუ არა ჭერათხევს, მოუწიგნენ იმას ზემო-ქართლის დიდებულნი თავად-აზნაურნი. წაართვეს, რაც საქონელი მიჰქონდა, წაართვეს მხლებლები, მოუპყრნენ საშინლად უპატიურად, და გაისტუმრეს ისრე რავდენიმე მხლებლის ამარა. ჩაიდინეს ეს ქართლელობამ ავაზაკობით, თუ იმი-ტომ, რომ იყვნენ გაჯავრებულნი მეფესა და იმის სახლზედ ქვეყნის უპატრონოდ გაშვებისათვის—ძნელია სათქმელად, და ამასთან არის სამწუხაროცა, რომ ჩვენი მემატიანე და მწერალნი ვერას გვაგებინე-ბენ ამაზედ.

დარჩა ქართლიც უპატრონოდ, უჯაროთ, მოუმზადებლათ, რომ გასცენ რითიმე პასუხი საშინელს მტერს,—მტერს, რომელსაც მოუძ-ღოდა განრისხებული ქართლელებზედ სააკაძე, რომელიც ქართლელე-ბის აზრით მოუღებდა მთელს ქართლელობას ბოლოს.

ქართლშიაც შეიქმნა ის არეულობა და მოძრაობა, რაც კახეთში შესვლის დროს. მთელი ხალხი დაიძრა დასახიზნავად. იყო მოდებული ქვეყნად მოთქმა და საშინელი გოდება. სააკაძის მტრობა ძრწოდა და ესწრაფებოდნენ გასწრებას.

მაგრამ მოვიდა შაჰი არაგვზედ ქართლ-კახეთის სამძღვარზედ და დადგა აქ. ის არ აპირებდა ქართლში შესვლას. შაჰის ჯარებს მიეცათ ბრძანება, რომ არ გაჰბედონ ქართლელების სარჩოს ხელის ხლება, იქ გადასვლა, და თუ რამე გაჭირვების გამო გადავლენ, არ გაჰბედონ რი-სამე უფასუროთ გამორთმევა მცხოვრებთაგან. შაჰმა აცნობა ქართლე-ლებს, რომ ის არ მოსულა ამათ სამტროდ, წყალობის მეტი ამას იმათზე არა უდევს რა გუნებაში: იმას უნდა მხოლოდ ნახვა იმათი მეფისა, რომელიც არის ამისი მოყვარე და ცოლის ძმა, რომ ისინი ტყუილად რასმე შიშობენ ამისაგან, რომ, თუ კახეთს არ ავნო-რა, ქართლს უფრო ეს არას ავნებს.

ქართლმა იწყო დამშვიდება. საბუთები უჩვენებდნენ, რომ შაჰი არ აპირებდა ამათ ვნებას.

არაგვიდამ შაჰმა დაუწყო იმერთა მეფეს მოციქულობა. იმან გაჰგ-ზავნა იმერეთს გამოქნილი დიპლომატი ხოჯა-მამად-ირზა ანუ, რო

გორც ქართველები უწოდებენ, სარუხოჯა ადერბიჯანის ვეზირი (ქესაფი) და მისწერა გიორგი მეფეს: ორი ტიტეი ეგა [illegible] შენ შეგიფარებია: მეფე თეიმურაზ და მეფე ლუარსაბ. ოსმალებთან ზირობის შეკრულობის ძალით ისინი არიან ჩემი საუმონი. ისინი აიტანა უმიზეზო შიშმა და გამოცვივდნენ იმერეთში. ამავე ზირობის შეკრულობის ძალით საოსმალო ხალხთ არ შეუძლიანთ შეინახონ და დაჭიროვრონ ჩემი საუმონი. როგორც გონიერს მეფეს, გიორგის არ შეგშვენის, რომ ინახავ თეიმურაზსა და ლუარსაბს: ამითი აწყენიებ ხვანთქარსაც და მეცა, და შეიძლება ამითი გახდე მიზეზი ორი ძლიერი სახელმწიფოსი ერთმანერთთან ბრძოლისა, სადაც ყველაზედ მეტად გამოიჭყლიტები თვითონ შენა და შენი იმერეთიო. ამისგამო სთხოვს აბაზი, ორთავე მეფენი გამოუგზავნოს გიორგი მეფემ და აძლევს ზირობას, რომ ორთავეს წყალობის მეტს არაფერს ვნებას არ მიაყენებს, შეიწყალებს და შეუნდობს იმათ თავიანთ დანაშაულს, როგორც ხელმწიფე.

• პასუხი გიორგი მეფისა იგვიანებდა, მოდიოდა ამბავი, რომ გიორგი მეფე უარზედ სდგასო.

მიიღო თუ არა შაჰის მოთხოვნილება, გიორგი მეფემ ვერ იკისრა მარტო საქმის გადაწყვეტა—იმან დაიბარა დადიანი, გურიელი და შარვაშიძე. მინამ ესენი შეიკრიბებოდნენ და გადასწყვეტავდნენ რასმე, შაჰმა იწყო მრისხანება. გიორგი მეფის მუქარად ის დაიძრა შუაგულს ქართლისაკენ. დაიჭირეს ქართლი ისრე, რომ არ ამოღებულა ერთი ხმალი, არ გავარდნილა ერთი თოფი. ის დადგა გორს, რათა ამითი ეგრძნობინებინა გიორგი მეფისათვის, რომ ეს არ ეხუმრება და მიდის იმერეთზედ, თუ გიორგი არ მოსცემს ორთავე მეფეთა. დაიჭირა შაჰმა ქართლი...

მოვიდა ქართლში განდევნილი მტერთაგან სააკაძე. და გაჰკვირდა თავის მტერთა ურცხვებასა და უძლურებაზედ. იმათ განდევნეს ეს, და თვითონ დაჰრჩნენ შინ ქვეყნის პატრონად. პატრონობის მაგიერად ისინი გაექცნენ, ან არა და პირველი თვითონ იახლნენ შაჰს თავისის ჯარებით, მისცეს თავისი ხმალი, თავისი ძალა თავისს ქვეყნის მტერს, თავისის ქვეყნის მმუსვრელს..., შადიმან—მეფის გამზრდელი, მე-

ფის ერთგული, მეფის ტახტის ბურჯი, სამეფოს გამგე და პატრო-ნი... პირველი იახლა ყეენს, პირველმა მისცა თავისი ხმა[illegible] ნამუსი, თავის მეფისა, გაზრდილისა და თავის ქვეყნის მტერს, მო-სისხლე მდევნელს; ფარსადან ციციშვილი გახდა პირველი ერთგული, პირველი მრჩეველი შაჰისა.

შევიდა სააკაძე ქართლში. ზარდაცემული იმისი მტრობა გარბო-და ქათლიდამ. სააკაძემ ყველას მათ მოსწია კაცნი და დააბრუნა უკან. სხვათა შორის დააბრუნა უკან ქაიხოსრო ჯავახიშვილი, რომელიც ერია იმ მტრობაში, რომელნიც მიუხტნენ ამის დედასა და ძმესბა ფელის ციხეში, მოუკლეს ძმა, უპირობდნენ ამოწყვეტას მთელს სახლობას, თუ ისინი დამით არ გაჰპაროდნენ და ფეხშიშველანი არ გადაჭრი-ლიყვნენ იმერეთს. გარდა ამისა, ამ ქაიხოსრომ მიაყენა უპატიურობა სააკაძეს იმითი, რომ თავის შვილისათვის დანიშნა ამისი ქალი და როდესაც დაუწყეს იმას დევნა, და გავარდა სპარსეთს. მაშინ შერთო შვილს ცოლად ზურაბ არაგვის ერისთავის ქალი და ამის ქალზედ აალებინა ხელი. ჯავახიშვილს ეგონა, სააკაძე უზავდა სამაგიე-როს. ის გაიქცა, იმერეთში გადასავარდნელად, მაგრამ სააკაძემ დააბრუ-ნა, და, არამც თუ არ უგო მაგიერი, პირიქით მისცა იმას ბეითალმა-ნი საციციანო,

სიტყვით, სააკაძე იქცეოდა ისრე, თითქო არავისგამ წყენა, არა-ვისგან მტრობა არ გამოევლოს. ის სცდილობდა ყოველი ღონისძიე-ბით ჩამოეგდო მშვიდობა ქართლში. არამც თუ არ უხდიდა მტრებს მა-გიერსა, ის ისრე უჩვენებდა ქვეყანას თავს, რომ რაც მე ვარ შაჰის წინაშენ, ის სხვანიო. შაჰი დადიოდა თითქმის სრულს ამას ნებაზედ. ცხადია, ბევრჯერ იყო ისრეთი გარემოება, სადაც სააკაძე ვერ ამოიღებ-და ხმას, რომ ამითი ცხადლივ არ აელებინა შაჰისათვის იჭვი. მაგრამ, მომეტებული ნაწილი იმას ეჭირა შაჰის სადავეები ხელში. შაჰმა თა-ვის მოისხნება გადაიტანა მარტო მეფეებზედ. ორი ქვეყანა, რომლი-საც მოსპობა გულში ჰქონდა შაჰს გადაწყვეტილი, გადარჩა სააკაძის გონებისა და მოხერხების ძალით ამ განსაცდელს. იქამდის მშვიდო-ბიანობა იყო, რომ ხალხი, გულდანდობილი, შეუდგა მუშაობას. არც კი ეტყობოდა, რომ უძლიერესი და უბოროტესი მტერი უდგა სახლში.

სპარსთა ჯარი, არამცთუ ვერა ჰბედავდა ხალხის შეწუხებას, და პირიქით ძვირფასად ჰრიდულობდნენ ყველაფერს იმათგან, რომელიც ღმერთმა მოუვლინა ქვეყანას პატრონად, ქვეყანა ჰხედავდა ამასა და ეთაყვანებოდა, ის უყურებდა ამას, როგორც თავის პატრონს. თავის ბატონს, მაჰმადიანს ხშირად აგონებდა, რომ ეს იყო ღირსი მეფობისა, რომ იმას ამისთვის უნდა ქართლი. შორს მხვედველი სააკაძე ჰხედავდა, რაც უნდოდა ამითი შაჰს და იყო გაჩუმებული: არც „ჰოს“ და არც „არას“ სახეს არ უჩვენებდა ამაზედ შაჰს.

სააკაძემ, თქმა არ უნდა, დაიბრუნა ჩამორთმეული საყმო. მივიდა თუ არა ქართლში მაშინვე გასწია თავის ნოსტეს, განაახლა თავისი სასახლე. მის გარშემო იწყეს კრება მისმა ძველმა მხლებლებმა, რომელნიც გადარჩნენ მტრის დევნას. გაიმართნენ იმისი საყმო და მომხრენი წელში. იმათ სიხარულსა და ნეტარებას აღარა ჰქონდა დასასრული. ისინი მოუსწრნენ კიდევ იმ დღეს, რომ თავისი დიდებული ბატონი, თავისი დიდებული მოურავი იყო იმათთან თავის სახლში, თავის მამულში.

---

დაბარებისამებრ შეიკრიბნენ გიორგი მეფესთან ქუთაისში ლევან დადიანი, რომელიც იყო ლუარსაბის დედის ნათესავი და თვით ლუარსაბს აძლევდა თავის ასულს, რაკი დაჲ სააკაძისა გაუშვა; მამია გურიელი, რომელიცა იმ დროს იყო გათქმული სიმდიდრით,[1]) შარვაშიძე და სხვა მთავარნი და დიდებულნი იმერეთისანი.

ამ იმერლობამ, რომ შეაგვეცოს ფრთა აბაზის მეტის მეტს ბედნიერებას, ჯერ დაუწყეს წვეულობა სარუხოჯას, რომ ეჩვენებინათ თავიანთი შეძლება. ბინათ მისცეს მამია გურიელის კარავი, რომელიც იმ დროს ითვლებოდა ფას-დაუდებელ კარავათ; აჩვენეს თავიანთი ადგი

[1]) პარიჟის ბიბლიოტეკის ხელნაწერის თქმით მაშინ იყვნენ დადიანად მანუჩარ და გურიელად ვახტანგ. მაგრამ მანუჩარ ორი წლის წინად მოჰკლა ირმის ხროვამ, ვახტანგიც აღარ იყო ცოცხალი. ამ ხანებში რუსებთან მიწერ-მოწერიდგან სჩანს, რომ გურიელად იყო მამია, დადიანად— ლევან.

ლები, სიმაგრენი და ძალა თავის საყმოში. ამასთან უწყვდნენ დიდათ უხვს მასპინძლობას და უხსნიდნენ გულს, აძლევდნენ ძღვენს საჩუქრებს ამ შაჰის მინდობილს კაცს. სიტყვით, თან უჩვენებდნენ ისრე საქმეს, რომ ესენი არ იყვნენ სახუმარნი, თან უგებდნენ კიდეც გულს ამ თავის მხრივ გამოქნილს ყიზილბაშს. სარუხოჯას მართლა ცა დი უკვირდა ამათი ძლიერება სამეფოში და სამეფოს ერთგულება და სრული მორჩილება ამათი. სხვათა შორის ის გაიწვიეს ლუარსაბის ნიშნობაში ლევან დადიანის ქალზე, სადაც გააკვირვეს სიუხვითა და უშრობელი მასპინძლობით.

აქ შეიქნა მოლაპარაკება. სარუხოჯამ ითხოვა გადაწყვეტილი პასუხი. ის სულ იმაზედ იდგა, რომ ტყუილათ ეშინიანთ ლუარსაბსაც და თეიმურაზსაც შაჰისა, შაჰს წყალობის მეტი ამათზედ გუნებში არა უდევს რა. თეიმურაზ იდგა დიდს უარზედ და ამაგრებდა ლუარსაბსაც. მეფემა და დიდებულთ გადასწყვიტეს მოწიწებით უარი. ამ უარით გაისტუმრეს სარუხოჯა.

სარუხოჯას გაატანა გიორგი მეფემ შაჰთან მოციქულები აფხაზეთის კათალიკოსი მალაქია და ლევან აბაშიძე. ამათთანავე გაჰგზავნეს ლუარსაბმაც და თეიმურაზმაც თავისი მოციქულები. გიორგი მეფემ გაუგზავნა შაჰს დიდძალი და ძვირფასი საჩუქრები.

გიორგი სწერდა სწორეთ იმერულს წიგნს. ბრძანებო რათ ეშინიანთ მეფეებს ჩემი და რათ გამოიქცნენო. „ყმას რომ ბატონისა-ეშინოდეს, ერთგულებაში უნდა ჩაითვალოს. მაშ, რა საკვირველია, რომ ამათ თქვენი ეშინოდესო!“ ამასთან მრისხანებო, რომ მანდ რათა გყავთ შენახული მეფეებიო. ჩვენს სახლში ისრეთი ჩვეულებაა, რომ სტუმრის სახლიდამ დათხოვნას, კაცი სიკვდილს ირჩევსო. ამასთან, ესენი ორივენი არიან ჩემი ნათესავები და არ შემეძლო არ მიმეღო ჩემს სახლშიაო. მაგრამ თუნდა კიდეც მე რომ დავითხოვო, ესენი წავლენ აფხაზეთში, საოსმალოში და იქ უშველიან თავსაო. რაც შეეხება თქვენს მრისხანებას, რომ გადმობრძანდებით და წამახდენთ, თქვენს მტერს, რაც აქ წასახდენი არა მქონდეს რაო. საჭმელი რომ გინდოდეთ „ღომის მეტს ვერას იშოვნითო“. [1]) თუ როგორც ბრძანებთ,

---

[1]) ამ შემთხვევებში ისკანდერი და უცნობი ავტორი პარიჟის ხელნაწერის ქართლის ცხოვრებისა ერთმანეთს ბევრში ეთანხმებიან.

საოცარია, რომ ამგვარვე არწმუნებდა ლევან დადიანი ოსმალებს-

არა ხართ ამაზედ გამწყრალი, და მოუძღვით რამე ამათ [illegible] დანაშაული, მე მთელი ჩემი დიდებულებით, ჩემი ხალხით [illegible] მოიბრუნოთ ამაზედ თქვენი მამობრივი გული, უყოთ ხელმწიფური წყალობა, დაუბრუნოთ თავისი სამეფო, და უბრძანოთ თქვენს ჯარებს, დაბრუნდნენ თავის ქვეყნებში. შეფვენიცა და მეც ჩემი დიდებულებით და ხალხით ვდებთ პირობას, რომ ესენი მუდამ თქვენს ერთგულებაში იქნებიან და აღარას დროს თქვენს საწყენს არაფერს გაბედამენ.

ლუარსაბ და თეიმურაზ სწერდნენ ხვეწნას ეპატივებინა იმათთვის მათი შეცდომილება და შეცოდებანი, მოეცა ამათზედ წყალობა და დაებრუნებინა ამათთვს თავთავისი სამეფონი, რომ ესენი აღარადროს არ გაჰბედამენ არაფერს მის უნებურს; იქნებიან მუდამ მისს მსახურებასა და ერთგულებაში.

შაჰმა მიიღო დიდი პატივით ყველა ეს მოციქულები, თუმც გულში საშინლად მრისხანებდა. ლუარსაბის მოციქულის ნახვაზედ ბევრი იტირა. როგორ! ვინ! ლუარსაბ, ჩემი საყვარელი ცოლის ძმა, ჩემი შვილი, ჩემი ერთგული ნამსახური კაცების შვილი არ უნდა მეჩდობოდეს, უნდა მიყურებდეს, როგორც მტერს, როგორც თავის

არქანჯელო ლამბერტი მოგვითხრობს მის ოსმალებთან პოლიტიკაზედ. ის ცდილობს მტკიცედ დაარწმუნოს ოსმალები, რომ სამეგრელოზედ ღარიბი და უბედური ქვეყანა დედამიწაზედ მეორე არ მოიპოვება. რომ ამაზედ დაარწმუნოს, როცა ოსმალეთიდამ ელჩები მოდიან, დადიანი სამზღვარზედ ახვედრებს თავის კაცებს, რომელთაც ნაბრძანები აქვთ, კარგს გამართულს გზაზედ არ გაატარონ, მშვენიერს და მდიდარს ადგილებს აარიდონ, ატარონ უდაბურსა და მწირს ადგილებზედ, კლდეებზედ, ციცაბოებზედ, დაბურულს ტყეებში, ლაფებში, წყლებში გასვლის დროს არ ეტარებინათ ხიდებზედ, გაეყვანათ, სადაც უფრო ღრმა ფონები იყო, ღამით ბინა ეძლიათ ღარიბს გლეხკაცთა ფაცხებში, ლოგინათ მიეცათ უბრალო ჩალა. საჭმელად მარტო ყველი და მწვანილი. ელჩები ჰფიქრობდნენ, მთავრის სასახლეში როცა მივალთ, მაშინ მაინც კარგათ მოგვასვენებენო. მაგრამ მთავარი აქაც თავისებურად უხვდებოდა. ის მიიღებდა ხოლმე ხის ქვეშ. ძველს ხალიჩაზედ მჯდომი, ღარიბული ტანისამოსით. მხლებლებს თუმც ბევრს უჩვენებდა, მაგრამ სულ ღარიბად ჩაცმულებს.

მოსისხარს!... არამც თუ ქართლი, და თვით არეზს აქეთ ყველა ქვეყნები მინდა მაგისთვის... რათა?! რათ აჰყვა ეგ თეიმურაზის სიტყვებს!?... მამით, პაპით თეიმურაზ იყო ჩემი მოსისხლე მტერი. მაგრამ, რა მტრობა ჰქონდა ჩემი ლუარსაბს, რომ ის აჰყვა ჩემს მტერს, ჩემს სისხლის მსმელს?!...

სარუხოჯამ დაარწმუნა შაჰი, რომ თეიმურაზთან ყოველთვე მოლაპარაკება იქნება ამათ, რომ ის, არამც თუ თვითონ არ წამოვა, და ლუარსაბსაც ის ამაგრებსო.

შაჰი დარწმუნდა რომ, თეიმურაზთან ლაპარაკი აღარა ჰქონდა, ვეღარც მიიბირამდა. ამისგამო გაჰგზავნა ხელმეორედ იმერეთს სარუხოჯა და მისწერა გიორგი მეფეს თხოვნა, როგორმე შეერიგებინა ლუარსაბთან. სწერდა, რომ ლუარსაბი ამას ისრე უყვარდა, როგორც თავისი საკუთარი შვილი, რომ ის არის გაბრიყვებული თეიმურაზისაგან, რომ ამისი ნახვა უნდა თვით ამის დასაც. ამასთან მისწერინა თავის ცოლს ლელას [1]) წიგნი, რომ ის ენდოს სრულის გულით შაჰსა და ნურას ფიქრი ნუ აქვსო. ლუარსაბს თვითონაც მისწერა

მოსასვენებლად აძლევდა ერთს უკარო და უბანო სახლს რომელს ერთი კუთხეც არ მოეპოვებოდა, რომ წვიმის დროს თავი შეეფარებინათ. აქ აჭმევდნენ მარტო გამხდარს ბებერი თხის ხორცს, რომელსაც კბილსაც ვერ ავლებდნენ. პურს ისრე აძლევდნენ, რომ ამ პურით ვერ იკლამდნენ სიმშილს... ელჩები სწყევლიდნენ იმ დღეს, რა დღესაც ისინი ჩავარდნენ ჯოჯოხეთზედ უარეს ქვეყანაში. ყველა ამას დადიანი ამიტომ ჩადიოდა, რომ ხონთქარი არ დაჰხარბებოდა ამის ქვეყანას, არ მოემატებინა ხარჯი და სრულიად არ დაეპყრა ამისი ქვეყანა, „(ივ." 1879 წ. № 3 გვ. 13).

[1]) ვახუშტის სიტყვით იმას ერქვა თინათინ. მაგრამ არსად მაშინდელს წერილებში ეს არა სჩანს. პარიჟ. ბიბლ. ხელთნაწერის საქართველოს ცხოვრების თქმითაც ეს იყო ლელა, რომელიც ბოლოს გახდა ცოლი ფეიქარ ხანისა. ეს ისელენია, რომელიც უნდოდათ ბორის გოდუნოვის შვილისთვის. „დიდ-მოურავიანიც" ლელას ეძახის. თინათინ იყო უფროსი და ლუარსაბისა. ეს თინათინ და უფროსი ძმა ლუარსაბისა, დავით, მათმა მამა გიორგიმ გაჰგზავნა თავის მამის სვიმონის სანაცვლოდ. ხონთქარმა არც სვიმონ გაანთავისუფლა და თავი მოსჭრა, არც ეს და დაუბრუნა გიორგის, და სტამბოლს და-ძმანი დაიხოცნენ.

თავის ხელით საკუთარი წიგნი. ეს წიგნი იყო, არაქედეს [illegible]
შემდეგი:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„უძლიერესი და ძლიერთა ხელმწიფეე შაჰ-აბაზ მრავლის სიყვარულითა და სიტკბოებით უგზავნის თავისს სალამს მეფესა ქართლისას ლუარსაბს კვლავაც მრავალ ჯერ მომიწერია და დამიმტკიცებია თქვენთვის ჩემი სიყვარული და კეთილის მყოფელობა, მაგრამ თქვენ არ ერწმუნეთ ჩემს სიტყვას. მაგრამ ჩემი საქმენი უნდა ცხადად გიჩვენებდნენ, რა ძლიერია ჩემი თქვენდამი სიყვარული. თქვენ ჰნახეთ, რა უწყალოთ მოვექეც კახეთს, თეიმურაზის ქვეყანას, მაგრამ ქართლს კი სრულიათაც არ შევხებივარ და ისრეთივე აშენებულია, როგორც აქამდისინ ყოფილა. ქართლს არ ვახდენ, რადგან შენია' და შენთვის ვინახამ. მე მხოლოდ ველი თქვენს მოსვლასა, რომ ჩავაბარო- ისწრაფე მოსვლა ჩემთან, ნუ უსმენ უგუნურთა, ორგულთა, ავად დამრიგებელთა. რათ იღებ შენ შენისავე ნებით ხელმწიფობაზედ ხელს. რათ გაგონებენ, ვითომც მე მქონდეს რამე მზაკვარება გულში შენზედ, ან რათ მექნება შენზედ ცუდი გული, როდესაც შენ ჩემთვის თავის დღეში ცუდი არა გიქნია რა. მე თუ ვთხოულობ შენს მოსვლას, უფრო იმიტომ, რომ ჩვენშა ჩამოვაგდო ისრეთივე ერთობა, როგორც ყოფილა წინათ ჩვენსა და თქვენს წინაპართა შორის, ქართველთა და სპარსთა შორის; მე მინდა მოგცე და გაგხადო უფლად არეზს ზემოთი, ესე იგი ჩრდილო სპარსეთის ბატონად და მე დავიჭირო სამხრეთი, რათა შენ იზრუნო და მოუარო არეზს აქეთ ქვეყნებსდა, მე არეზს იქით, რომ მარტო მე არ მაწვეს ამოდენი ტვირთი ასრეთი დიდის ქვეყნისა, როგორიც არის სპარსეთი. ამგვარათ შეგვეძლება ჩვენ გავყოთ ზრუნვა სახელმწიფოსი შუაზედ, მტერს ერთათ და შეკობრულათ პირშეკრულათ გავსცეთ პასუხი და ერთმანერთთან ვიყვნეთ მშვიდობითა და ძმურის სიყვარულით“.

ეს წიგნი გაატანა ისევ სარუხოჯას, რომლისაც ხელოვნებაზედ დარწმუნებული იყო. შაჰი არას ოდეს არ მოელოდა, რომ ახლა მაინც არ გადმოვიდოდა ლუარსაბ. მაგრამ, შემდგომ დიდის მეცადინეობისა, სარუხოჯა დაბრუნდა ხელ-ცარიელი.

მაშინ განრისხდა შაჰი, დასძრა ჯარები და წავიდა იმერეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამძღვრებისაკენ. ავიდა ალის და სურამს. აქედამ იწყო მზადება იმერეთს გადასასვლელად.

გიორგი მეფემ, დადიანმა, გურიელმა, შარვაშიძემ იწყეს საომრად-მზადება. რაჭის მხრივ წამოშალეს ჯავისა და კუდაროს ოსები. იმერთის აგენტებმა გამოაჩინეს ნიშნები რომ ქართლსაც აშლიან.

შაჰი შეფიქრიანდა.

გადასვლა იმერეთში იქნებოდა ომის ატეხა ოსმალებთან, რაკი იმერეთი ითვლებოდა საოსმალოდ. ამასთან იქ გადასასვლელი გზები იყვნენ მეტად საშიშარნი: გაუტეხარი ტყე, გაუკეთებელი გზები, ვიწრო მთა და ბორცვები. ამასთან, როგორც ითქვა, სჩანდა ნიშნები, რომ შესაძლებელი იყო აეშალათ ქართლ-კახეთიც.

შაჰ-აბაზ გაჩერდა ახლა და სურამში. რაკი ვეღარ იკადრა წასვლა იმერეთს, იმან მიუსია ქართლის სამზღვარზედ მდებარე საიმერლო ადგილებს, — რომელსაც შემდეგომით ისკანდერ მუნში უწოდებს რუისს, — თავისი ჯარი, რომელიც ჩააბარა ვიღაცა ქართველს თვის ჯარში მოსამსახურე რევაზიძეს, და აიკლებინა ეს მხარე. მაგრამ აქ იმერლებმა დაუმტკიცეს აბაზს, რომ ესენი ისრე ადვილად არ დაუთმობენ შაჰს თავის ქვეყანას, როგორც დაუთმეს ქართლელთა და კახელთა. მართალია სპარსნი მიესივნენ იმათ, რაკი ხალხს მზა ჯარი არა ჰყავდათ, და მეომარი მცხოვრებნი სულ ამოსწყვიტეს, მაგრამ მაინც სპარსთაც არ დაუსვეს თავისი მარცხი აიოვათ. სპარსთ დაატყვევეს აქ ხუთასი სული კაცი და დედაკაცი და სხვა ნადავლის გარდა, ისკანდერ მუნშის თქმით, წამოიყვანეს ოთხი ათასი სული სხვილი და წვრილფეხი საქონელი. აქედამ აბაზი გადავიდა ნიქოზს, დადგა თვითონ იქა და გაუსია ოსეთს ჯარი. მართალია, ბევრი სოფლები მოაოხრა სპარსთა ჯარმა, მაგრამ დიდი ნაშოვარი მაინც ვერ წამოიღეს, რადგან ოსნი ავიდნენ მიუდგომელს ალაგებში.

შაჰი ახლა ჭდელავდა ყველაფერზედ: რაკი ვერც თეიმურაზ, ვერც ლუარსაბ ვერ გამოიტყუა, ის მზათ იყო მიეყო ხელი მოსვრისა და ოხრებისთვის ქართლ-კახეთში. იმერეთი იდგა მაგარზედ. კახეთი მეტი ქართლი ჰქონდა უკან მოქცეული, ოსმალოდამ ვერ მოსდიოდა სასიამოვნო ამბები.

მაშინ იმან მიჰმართა ერთს საქმეს, რომელიც ქართველთა მატიანი-თა სიტყვით იყო მოგონილი შაჰისაგან ლუარსაბის გა[illegible] სპარსთა სიტყვით იყო მართალი, და ამითი ისარგებლა შაჰმა. ისკან-დერ მუნშის თქმით, გიორგი მეფემ თავის ცოლის შეგონებით, რო-მელიც ყველა სამეფო საქმეებს განაგებდა, როგორც ნამდვილი ბატო-ნიო, მოსწერა აბაზს რომ ლუარსაბსაც და თეიმურაზსაც მოგცემო, თუ ქართლს ლუარსაბის მაგიერად ჩემს შვილს მისცემო, ან ზოგიერ-თა იმერეთის სამხრო ქართლს მაინც მოგვცემო. შაჰმა გაჰგზავნა სარუხოჯა და უბრალო თურქმენი იაყუბ-ხან ყარამარლუ, რომ, ვინი-ცობაა ლუარსაბ კიდევ არ წამოვიდოდა, წამოიყვანონ გიორგი მეფის შვილი რაყამის მისაღებად, რომ ქართლი ჩაიბაროს. მაშინ მოვა გონს ლუარსაბი და წამოვაო.

მაგრამ უფრო სანდო დ დასაჯერია მოთხრობა პარიჟის ბიბ-ლიოთეკის საქართველოს ცხოვრების ხელნაწერის ავტორისა, რომე-ლიც უფრო ემოწმება შაჰ-აბაზის ქცევა და ხასიათს ქართველ მეფე-ბსა და ქართველებთან, ეთანხმება გარემოებათა და თვით მიზეზებს ლუარსაბის წამოსვლისას. შესაძლოა მოენდომებინა გიორგი მეფეს ღალატი მეფეებისა, და ეთხოვნა ამაში ქართლი, მაგრამ თვით შაჰ-აბაზი რათ ინდომებდა ამაში მარტო ლუარსაბს, როდესაც იმას ისრე ლუარსაბ არ უნდოდა, როგორც თეიმურაზ. არასოდეს დასაჯერებელი არ არის, რომ შაჰი, რომლისაც პოლიტიკა მდგომარეობდა—მოუ-ძლურებინა საქართველო, მოინდომებდა ქართლისა და იმერეთის შე-ერთებას, რომლითაც, არამც თუ ძლიერდებოდა საქართველო, არა-მედ ძლიერდებოდნენ ოსმალნი, რომელთაც, გაძლიერება იყო ამისთ-ვის უფრო საშიში, ვიდრე ქართველებისა. ამასთან ვერც გიორგი იზავდა მას, რათგან დადიანი იყო ძლიერი, ლუარსაბის დედა დ თეიმურაზის სიდე-დრი თამარ დედუფალი იყო დადიანის ქალი. თვით ლევან დადიანი იყო სიმამრი ლუარსაბისა, რომლისაც ქალი კიდეც დასწირდა ლუარსაბმა და, ზოგთა თქმით, კიდეც დაიწერა ჯვარი. ამგვარს ღალატს ლევან არ შეარჩენდა გიორგი მეფეს, და არც თვით ოსმალნი მოუწონებდნენ. მოდიოდა კიდეც ამბები, რომ ოსმალნი ჯავრობდნენ შაჰის შემოსევა-ზედ საქართველოში და ნასურ-ფაშა, მომხრე შაჰ-აბაზისა, გედარ იყო

ბიბლიოთეკა

ხვანთქართან ისრე კარგად, რომ ჰქონოდა დიდი გავლენა სარგებლოდ.

შაჰმა მისწერა წიგნი გიორგი მეფეს, სადაც სწერდა, რომ, რაკი ლუარსაბ მეფე აღარ მოვიდა ჩვენთან და ამითი ცხადათ დაგვიმტკიცა, რომ ჩვენ საყმოდ თავს აღარ გვიდებსო, ამისგამო შენი შვილისათვის მიმიცია ამისი სამეფო, გამოგზავნე, მიიღოს რაყამი და ჩაიბაროს ქართლიო.

ეს წიგნი გაატანა სარუხოჯას და უთხრა, რომ საიდუმლოთ აჩვენე ლუარსაბს, ვითომც და ჩემს ჩუმათაო. რაკი ჰნახავს, რომ ქართლს სხვას ვაძლევ, მაშინ უეჭველია წამოვაო.

სარუხოჯამ შემდგომ დიდის დაიფიცებისა, რომ ლუარსაბ იმას არ გასცემს და არ დაჰღუპავს იმას ამგვარი საიდუმლოს გაცემისათვის, უჩვენა ეს წიგნი ლუარსაბს. სარუხოჯა კი არ ურჩევდა შაჰთან წასვლას, — რადგან ჰფიქრობდა, ვაითუ ამითი მიმიხვდესო ლუარსაბი ხრიკებსა — ურჩევდა საოსმალოში გაქცევას, თორემ შეიძლება გიორგი მეფემ გაჰგზავნოს შაჰთან ქართლის ჩასაბარებლად თავისი შვილი და შენც თან გაგაყოლოსო.

შაჰსაც და სარუხოჯასაც აწონილი ჰქონდათ ეს აზრი. ლუარსაბ, რაკი ჰკარგავდა სამეფოს, არ მოინდომებდა საოსმალოში გაქცევას, რომ მართლაცა და არ მისცეს ყაენმა ქართლი იმერთა ბატონიშვილსაო, გაჰბედავდა შაჰთან მისვლას, რადგან ბევრი საბუთები ეჭირა ხელში, რომ შაჰი არ გაიმეტებდა ამას საბოროტოდ,

ლუარსაბ ჯერ შეფიქრიანდა. მაგრამ, როდესაც გადაავლო თვალი ყველა გარემოებას, ყველა საქმეებს, შევიდა იჭვში, და უთხრა ყველაფერზედ უარი.

აქაც დარჩა შაჰი ხელცარიელი.

შაჰ-აბაზმა გადასწყვიტა იმედი, აპირებდა ქართლიდამ აყრას თავისი ჯარით, რომ ამ დროს ქართველთა მწერალთა სიტყვით, თვითონ აბაზმა მოიხმო შადიმან ბარათას-შვილი, და, არაქელის სიტყვით, თვითონ შადიმან იახლა ყეენსა და აღუთქვა გადმოყვანა ლუარსაბისა.

შაჰმა მისცა დიდ-ძალი საჩუქარი შადიმანს, აღუთქვა მრავალი წყალობა, შეჰფიცა საშინლად, თითქმის იტირა: იქამდის დავკარგე ჩვ-

მი ლუარსაბის ნდობა, რომ ისრე უნდა წავიდე იმის ქვეყნიდამ, ვერც მე ვნახო, ვერც თავის დას ვუჩვენო, ვერც იმასთან [illegible] უთხარ გადმოვიდეს, მეც დამიმშვიდოს გული და თავის დასაც ეჩვენოს ამდენი ხნის უნახავი, ჩაიბაროს თავისი სამეფო, მიიღოს ჩემგან კიდევ სხვა მრავალით

შადიმან წავიდა ლუარსაბთან. შადიმანს გაჰყვა თან კიდევ სარუხოჯა.

„კაცი იგი ბოროტი,—ამბობს არაქელ შადიმანზედ,—წავიდა ლუარსაბთან იმერეთს და მრავალთა დღეთა შინა ელაპარაკა ტკბილი და მომხიბლავი სიტყვით ლუარსაბს, ვიდრემ არ მიასუსტა გონება მისი სიმაგრისაგან... და კაცმან მან, ეშმაკ დამკვიდრებულმან, ვითარცა გველმან, ევას ძლეველმან, შეაგონა ლუარსაბს ყეენთან წასვლა“.

ამ შადიმანის სიტყვებს და გავლენას ლუარსაბზედ დაერთო ერთი დიდი საწყენი ლუარსაბის თავმოყვარეობისათვის საქმე, რომელიც ვერ მოინელა იმან.

ეს იყო შემდეგი.

უკანასკნელი მოციქულების მოსვლის დროს. ესე იგი, როცა მოვიდა შადიმან და სარუხოჯა, როდესაც შეიყარნენ სამჯავროში მეფენი, მთავარნი და დიდებულნი იმერეთისანი, სადაც, თქმა არ უნდა, იყო ლუარსაბიცა თავისის სახლობით და ამალით ეგრეთვე თეიმურაზ,—გიორგი იმერთა მეფემ შემოიდო მუხლი მუხლზედ, მოიხადა ქუდი და დაიდო ზედ.

ეს გახდა ერთი მიზეზთაგანი ლუარსაბის წასვლისა აბაზთან.

ის, როგორც მეფე ქართლისა, უფროსად სთვლიდა თავის თავს ორთავე მეფეებზედ. ამის წინ, ორთავე მეფეთ, როგორც თითქმის ამის ხელთ ქვეითთ,—რადგან მარტო ქართლის მეფე ითვლებოდა მეფედ-მეფედ, კახთა მეფე ხომ ძვირად იხსენებოდა მეფედ. იხსენებოდა უფრო კახთა ბატონად,—ემართა მოწიწება. ლუარსაბმა დიდად ითაკილა, რომ გიორგი მეფემ დაივიწყა ეს რიდი უფროს მეფის წინ შეყრილს სამჯავროში და კადნიერად შემოიდო მუხლი მუხლზედ. ეს ვერ მოინელა ლუარსაბის ამაყმა და თვით-ნება გულმა.

— მტერმან რაც უნდა მიყოს, და ჩემზედ უმრწემესისაგან კი ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკადრისობას ვერ ავიტან! — სთქვა ლუარსაბმა და გადასწყვიტა შაჰთან წასვლა.

გადასწყვიტა შაჰთან წასვლა, მაგრამ, რომ უფრო დარწმუნებულიყო, რომ ამას იმისაგან არა ევნებოდა რა, სთხოვა აბასს საფიცრის წიგნი.

აბაზმა მისწერა ფიცი, რომელშიაც ეფიცებოდა მაჰმადის საფლავს, მამა-პაპის ძვლებს, თავის თავს და რაც კი მაჰმადიანთა წესით მძიმე და დიდი ფიცი იყო, რომ ჩემგან შენ არა გევნება რა, პირიქით შენს სამეფოსაცა და სხვა ბევრს ჩაგაბარებთ. თუ ეს ფიცი არ არის შენთვის საკმაო, შენ თვითონ დასწერე, როგორი ფიციც გინდა, გამოგზავნე, მოვაწერ ხელს და დაგიმტკიცებთ.

ლუარსაბმა მიიღო თუ არა ეს ფიცის წერილი შაჰისა, მაშინვე გაჰყვა თან შადიმანსა და სარუხოჯას.

ის გამოვიდა შაჰთან 1615 წ. ღვინობისთვეში.

შაჰ-აბაზი მიეგება ლუარსაბს თვითონ თავისის ამალით და დიდებულებით თითქმის იმერეთის სამზღვარზედ, ჩაიკრა გულში და იტირა დიდს ხანს სიხარულითა და ნეტარებით, რომ ძლივს ეღირსა თავისი საყვარელი ცოლის ძმისა და ერთგული კაცის შვილის ნახვას. ამის უკან მიიღო დიდის დიდებით, თავის თანასწორათ.

იმ ღამეს ჩავიდნენ რუისს, სადაც შაჰი იდგა ბანაკად. იმღამესვე აცნობეს ლუარსაბს საიდუმლოთ, რომ ის შაჰმა საკეთილოდ არ გადმოიტყუა. ლუარსაბ იმავე ღამეს გაიპარა მარტოკა იმერეთისაკენ. მაგრამ სარუხოჯამ გაუგო მაშინვე, გამოუდგა, მოეწია და დააბრუნა უკან.

რომ მრისხანება შაჰისა დაეშოშმინებინა, ლუარსაბმა აღუთქვა შაჰს თავისი სხლობის დაბრუნება.

შაჰმა სრულებით არ აგრძნობინა არაფერი ლუარსაბს იმის გაქცევაზედ. მაგრამ საიდუმლოთ კი მიუჩინა მრავალი მეთვალყურე, რომ არსად გაპარულიყო კიდევა.

ეს ერთი თავისი განძრახვა შეისრულა აბაზმა: ლუარსაბი ჰყავდა ხელში. ახლა თეიმურაზი და იყო იმისი დარდი.

აბაზმა მიმართა უკანასკნელს ღონეს თეიმურაზის ბოლოს მო-

სადებათ. იმან იპოვნა ერთი გამოცდილი კაცი, რომელმაც იცოდა ყვე-
ლა გარემოება და მდგომარეობა იმერთა მეფისა. შაჰმა მოიხმო [illegible]
საიდუმლოდ თავისთან, მისცა მრავალი საბოძვარი, დაჰპირდა საუკუ-
ნოდ გაკეთებას და გაისტუმრა თეიმურაზის მოსაკლავად.

აი როგორ მოგვითხრობს ამას არაქელ.

„რა ვერა გააწყო-რა აბაზმა, ეს ხელოვნება იხმარა: მოისყიდა
ერთი კაცი, და გაგზავნა იმერეთს და უბრძანა, რომ, რა გზითაც უნდა
იყვეს, ცხადლივ თუ მალვით, თეიმურაზ უნდა მოჰკლასო. ამ კა-
ცის გაგზავნა დიდი საიდუმლო იყო, თვით შაჰის მახლობელთაც
არ იცოდნენ ესა. ეს კაცი მივიდა იმერეთს. ერთს დღეს იმან გასინ-
ჯა თეიმურაზის სადგომი. დაათვალიერა ყველაფერი კარგათ, დაიხსო-
მა გზები, საიდამაც მიუდგებოდა იმ ადგილს, სადაცა ღამე ეძინა თეი-
მურაზს. ეს სახლი იყო მაღალი და ჰქონდა ასასვლელი ხის კიბე.
ერთს დღეს მოვიდა ეს კაცი და ამ სახლის ერთ ყრუ ადგილას დაი-
მალა, იქიდგამ უგდებდა ყურსა, როდის მიწყნარდებოდა ფეხის ხმა.
შუაღამის დროს ყველა მიწყნარდა, ყველა გაჩუმდა, დაეძინათ თვით
ღამის მცავებსაც. მაშინ ეს კაცი გამოვიდა თავის სამალავიდან, ავიდა
ჩუმად ხის კიბეზედ მაღლა სახლში, სადაც ეძინა თეიმურაზს, უწყო
თვალიერება და ძებნა. რა ადგილსაც ეძინა მეფეს. ჰნახა, რომ იმავე
სახლში ერთს მხარეს სძინავთ ორს აღამიანს ერთ ლოგინში და მეო-
რეს მხარეს აგრეთვე სძინამთ ორთა ერთს ლოგინში. ერთს ლოგინ-
ში ეძინა ორს მხევალს — მოახლეს, — ერთს ლოგინში იწვა თეიმურა-
ზი თავისის ცოლით. ამ კაცმა ვერ გაარჩია კარგათ, რომელი იყო
თეიმურაზ და რომელი არა, ამის გამო, არც იცოდა, ვინ უნდა
მოეკლა. რა კი ეს ვერ გაიგო, იმან გადასდო თავის განზრახვა სხვა-
ლისთვის, შინამ გაიგებდა, რა ადგილსაც იწვა თეიმურაზ. ეს განზრახვა
თვით ღმერთმა ჩანერგა ამ კაცის გულში და გამოაბრუნა, რომ არ
მოეკლას ქრისტიანეთა მეფე, და ამითი გამოაჟღავნა ბოროტება შაჰ-
აბაზისა, მის მესარეცხვენათ. როდესაც ის კაცი დაბრუნდა ზემო სახ-
ლიდამ და ჩამოდიოდა კიბეზედ, იმის ხლმის ბოლო, რომელიც წელ-
ზედ ერტყა, მოხვდა კიბეს და გაიღო ჩხარუნი. ამ ჩხარუნზედ შეჰ-
ყეფეს მცავების ძაღლებმა და მისცვივდნენ ამ კაცს. ძაღლის ყეფაზედ

გაიღვიძეს მცველებმაც. იმათ დაინახეს ეს კაცი. ამ დანახვაზედ საჩქაროთ შემოერტყნენ და სტაცეს ხელი. როდესაც შეიპყრეს [illegible] ყველანი დარჩნენ გაშტერებულნი—როგორც შეკვეპარაო. [illegible] დილითვე თეიმურაზმა და სხვათა დიდებულთა მოაყვანინეს ის კაცი და ჰკითხეს, რათ მოხველი და რა გინდოდაო. ის კაცი გატყდა ყველაფერში, ყოველივე სიმართლით აღიარა და მოახსენა, რომ შაჰმა გამოგზავნა წადი და თეიმურაზ უთუოდ მოჰკალიო.

ბიბლიოთეკა

როგორც მოგვითხრობს ერთი დოკუმენტი ბახუტაშვილებისა, რომელიც აქვთ ამათ მიცემული 1622 წელსა მეფის თეიმურაზისაგან, ის შაჰის გამოგზავნილი მკვლელი დაუჭერია ბახუტაშვილს, რომელიც ყოფილა მეფის კაცის მცველების უფროსი „როდესაც სპარსთა შაჰი გვეომა,—უწერს ამ ბახუტაშვილს თეიმურაზ,—წაგვართვა სამეფო და ჩვენ ვიყავით წასული ქუთაისს, შაჰმა მოგვისია თავისი კაცები სპარსელნი დალატით მოსაკლავად. ისინი შემოგვეპარნენ ჩვენ ღამე მოსაკლავად, მაგრამ შენ გაუკვე იმათ დაიჭირე ისინი და ამით გვიხსენ შენ სიკვდილისაგან“.

თეიმურაზმა კიდევ დაასძრო თავი შაჰ-აბაზს.

აქ, დაბრუნდა საოსმალოდამ აბაზის გაგზავნილი ელჩი თალიშის ხანი სულთან-მაჰმადი. ამან მოახსენა, რომ ოსმალებმა ძალიან ცუდათ მიიღეს ამისი შემოსევა საქართველოში, და ამას ისრე უყურებენ, როგორც იმ პირობის დარღვევას, რომელიც სპარსთა და ოსმალთა ჰქონდათ ერთმანეთში შეკრულიო.

თქმა არ უნდა, რომ ლუარსაბმა და თეიმურაზმაც აახლეს ხვანთქარს მოციქულები, და სწერდნენ თავის შეწუხებას ყეენისაგან. სთხოვდნენ ეპატრონებინა ამათთვის ხვანთქარს, აძლევდნენ თავს საუმოდ და უცხადებდნენ, რომ ესენი ძველადვე იყვნენ საოსმალოხი, რომ აბაზი ამათ ეპატრონება ძალითა.

ხვანთქარმა გამოგზავნა თავისი ელჩი, რომელიც მოვიდა ყეენთან საქართველოში. ხვანთქარი აცხადებდა უკმაყოფილებას. სწერდა აეხსნა მიზეზი თავის საქართველოში შესევისა.

აბაზმა აახლა ხვანთქარს თავისი ელჩი და თავის შემოსევაზედ სწერდა, ისკანდერ მუნჯის სიტყვით, შემდეგომს: ქართლ-კახეთი

არის დიდის ხნითვე საყმო სპარსეთისა; ქართველთა მეფენი და დიდებულნი არ მიდებდნენ თავსა, მიწყევდნენ ამბოხებას, არ აძლევდნენ ხარჯს, იდგნენ მკვიდრად ქრისტიანობაზედ. ამის გამო მე წავედი, რომ ჩემი წინააღმდეგნი მომეყვანა მორჩილებაში, და შემეტანა საქართველოში ისლამი ანუ მუსლიმანობა. მე არ ჩამიარა უქმად ჩემმა მეცადინეობამ, შევასრულე საღმრთო ვალი მუსლიმანობისა, ბევრს ქრისტიანს მივაღებინე მუსლიმანობა, ბევრი ეკკლესია ვაქციე მეჩეთათა. ამ გვარი სარწმუნოების სამსახური არც თქვენი საწყენი უნდა იყვეს და სხვა.

თუმცა მისწერა ამ გვარი ბოდიშის წიგნი, მაგრამ მაინც აბაზის დარჩენა იყო შეუძლებელი საქართველოში, რადგან საშიში იყო რომ ოსმალნი არ ჩამორეულიყვნენ საქმეში.

რაკი იძულებული იყო აბაზი გასულიყო საქართველოდამ და საშიშრად მიაჩნდა რომ შემდეგში, ვინიცობაა როგორ იყვეს საქმე, ოსმალთ არ ისარგებლონ და ქართველთ მეფეთაც ძალა მოაღდგეთო, იმან მიმართა ერთს ღონეს. იმან გამოაცხადა ქართლსა და კახეთში, რომ. ვინც ჩაიწერებოდა შაჰსევანებად[1]), მიიღებდა ყეენისაგან დიდს წყალობას, განთავისუფლდებოდა ყველა ხარჯიდამ, მიეცემოდათ დიდი ჯამაგირი. ამ განცხადებაზედ მრავალმა ქართველმა გამოაცხადა სურვილი შაჰის სამსახურისა, რომ განთავისუფლებულიყვნენ ხარჯისაგან და გარდასახადთაგან, რომელიც ედოთ მეფეთა, მთავართა, სამღვდელოთა, მოხელეთა და სხვათა სასარგებლოთ; ჰქონდათ ულუფა ხელმწიფისა და ჯამაგირი. შაჰმა აღნუსხა ყველა ისინი და გაისტუმრა სპარსეთს.

დაიძრა თვითონაც ყარაბაღისაკენ.

ქართლში დროებით სამეფოს გამგეთ, ლუარსაბისავე სიტყვით, დააყენა ფარსადან ციციშვილი და მოხელეებათ ისევე ისინი. ვინც ლუარსაბის დროს იყვნენ, ან ვინც თვითონ ლუარსაბმა ისურვა. მხოლოდ თბილისის ციხეში გაუშვა თავისი მეციხოვნენი სპარსთა

---

[1]) შაჰსევანი—შაჰის სიყვარული, დღევანდელი გვარდიასავით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯარები და მოხელენი. ციხე ჩააბარა ვიდაცა აღა ზურაბ ლორიჯანს [1]).

იმერეთში ყოფნის დროს, თეიმურაზ უქადაგებს იმერთა მეფესა და მთავრებს, რომ ამათაც მიიღონ რუსების ქვეშევრდომობა. ჩვენ ან უნდა დავთათრდეთ ყველანი ჩვენი ხალხებით, გადუდგეთ მეუფესა ჩვენსა, ჩვენთვის ჯვარცმულსა ქრისტესა, ან უნდა ვიშოვნოთ ისეთი ძლიერი საქრისტიანო ხელმწიფის საფარველი, რომელსაც შეეძლოს ჩვენი პატრონობა და ურჯულოს ხელიდამ დახსნა. ამ გვარი ძლიერი ხელმწიფე, არის ხელმწიფე რუსეთისა.—უხსნიდა იმათ თეიმურაზ.

ბევრს სხვა ხასიათებთან ერთი თვისება სჭირდა თეიმურაზს, რომელსაც ავიც მოსდევს, კარგიცა,—იმაზედ არის დამოკიდებული, რაში და როგორ მოიხმარებ ამ თვისებას. ის იყო დაუცხრომელი ინტრიგანი და მოუღალავი აგიტატორი. სამწუხაროდ ამ ხასიათს არ შესწევდა არც დიდი გონება, არც შორს მხედველობა, არც ღრმად საქმეში ჩახედება, არც საქმისა და გონების თვალის მოხაზულობა. ერთსა და იმავე დროს, სპარსთა სამტროდ ის ეფარება ოსმალთ კალთას, რომელნიც, როგორც ქვემოდ ვნახავთ, აძლევენ სრულს თავის საფარველს, აძლევენ ჯარებს, აძლევენ ფულებს, აძლევენ დიდძალს ქვეყნებს განდევნის დროს სარჩენათა და საცხოვრებლად; ამავე დროს ის მოციქულობს ოსმალთა პირველს მტერს, რუსებთან, სთხოვს იმათ მფარველობას, აძლევს თავის თავსა და თავის ხალხს საყმოდ, ანუ, როგორც ეხლა ვხმარობთ, ქვეშევრდომად, ჰპირდება იმათ ოსმალების მტრობას და აღუთქვამს პირველსავე მარჯვე შემთხვევაში ოსმალების ღალატს. რაღა თქმა უნდა, როგორც შაჰს, ისრე ხვან-

[1]) ეს გვარიც უნდა გადასახიჩრებული იყვეს. როგორც საზოგადოდ ასახიჩრებდნენ სპარსნი, ბერძენნი, არაბნი და თვით რუსნი ქართველობის სახელებსა და სახელწოდებაებს. მაგ. რუსის მოციქულნი ნიკიფორ მატვეიჩ ტოლოჩანოვი, რომელსაც ვახუშტი ეძახის **ნიკიფორე პავლეს შვილს** და ალექსი ივანიჩ იევლიევი, რომელსაც ვახუშტი ეძახის ალექსი იოანესშვილს, ლომკაცს ჯაფარიძეს ეძახიან Ламкаца да Апорица, არეშიძეს—Арисупа, ერისთავს—Аристопъ და სხვა. ამაზედ უფრო სხვები ასახიჩრებენ.

თქარს არ ემალებოდათ ეს ორპირობა. ისინი ჰკარგავდნენ ყოველს სასოებას, ყოველს ნდობას ამაზედაც და ქართველობაზედაც. [illegible] შორს მხედველობას და გონების ძალას იჩენდა დიპლომატიაში, მასვე იჩენდა აგიტაციაშიც. ის აშლიდა ქვეყნებს, იმოვნიდა მომხრეებს, ბოლოს ერთს ისრეთს რაღაცა უცნაურს და მოულოდნელს გამოატევრენდა, რომ ყველა მზა საქმეს, ყველა დიდს დაწყობილებას აფუქსავატებდა, ჰფუშავდა და ატარებდა ამაოდ, რასაც ჩვენ ქვემოდაც ხშირად ვნახავთ და დავინახავთ ახლაცა.

ჯერ ქართლიდამ თითქმის არც-კი იყო გასული აბაზ, რომ მომხრე აბაზის პოლიტიკისა სულთანის პირველი მრჩეველი ნასარ-ფაშა მოკვდა. ამისი მოადგილე არ იყო მომხრე სპარსელებისა. ოსმალთ სწირდათ ჯავრი შაჰ-აბაზისა. ახლა ჰქონდათ მარჯვე დრო, რომ მოესწროთ შაჰისათვის. ქართველები იყვნენ აღელვებულნი შაჰზედ, ქართველთ მეფეები ელჩებს ელჩებზედ ჰგზავნიდნენ ხვანთქართან, აღუთქვამდენ სპარსთა სამტროდ ყოველ რიგს დახმარებას, აძლევდნენ თავს საყმოდ.

1615 წ. ოსმალთ იწყეს მზადება საქართველოს მოსაშველებლად. ეს ამბავი მოუვიდა თეიმურაზს.

თეიმურაზმა აცნობა ეს დავით ასლანიშვილს ჯანდიერს, რომელთანაც ჰქონდათ საიდუმლო მითქმა-მოთქმა.

ასლანისშვილმა, მაშინვე გაგზავნა აგენტები მთის ხალხებში: თუშს, ფშავს, ხევსურებსა და სხვა ადგილებში, რომ შეეყარათ ჯარი თეიმურაზის მოსაშველებლად.

დაყენებული ყეენისაგან მეფე ისე ისრე უკადრისად და საზიზღრად იქცეოდა, ისრე შეუპოვრად სდევნიდა ქრისტიანობას და სამღვდელოებას, ისრე უპატიურად ექცეოდა ტაძრებსა და მონასტრებს, ბერებსა და მონოზნებს, ისრე გაბედვითა ჰქადაგებდა ყორანს, რომ მთელი კახეთი ჰღელავდა. ყველაზედ მეტად დრტვინავდნენ ამისი ვექილები დავით ასლანიშვილი—ჯანდიერი და ნოდარ ჯორჯაძე, რომელთაც შაჰმა ჩააბარა როგორც კახეთი, ეგრეთვე მეფე ისეცა.

ასლანისშვილი, ჯორჯაძე თამაზ ვაჩნაძე და დალი მელიქ შიონელი საიდუმლოდ ატარებდნენ მთაში კაცებს, რომ მზათ ჰყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდათ საკმაო ჯარი, რომელთაგანაც ნაწილი უნდა, როგორც მლოცავი, მოსულიყო ალავერდს იარაღით ხელში.

ხალხი დრტვინავდა. ყველა ელოდა მარჯვე შემთხვევას, რომ აშლილიყვნენ. ასლანიშვილი, დალი მელიქი და ვახნაძე უფრო და უფრო უმატებდნენ ხალხის მღელვარებას.

ხალხი ელოდა სიგნალს და სიგნალიც იწყო ალავერდის დღეობიდამ.

როგორც ვიცით, ალავერდი შაჰ-აბასმა გადააკეთა ციხე-სიმაგრეთ. აქ გაუმვა სპარსელების მეციხოვნე ჯარი.

ალავერდობას შეიყარა დიდძალი ერი და მოვიდა იმოდენა მზა-შეიარაღებული ხალხი, რომ ამოდენა ხალხი და იარაღიანი მზა ჯარი კვლავ არასოდეს ალავერდში არ მოსულა.

აქ დავით ასლანიშვილმა და თამაზ ვახნაძემ დაარიგეს ზოგიერთნი, რომ აეტეხნათ ჩხუბი სპარსელებისათვის. მიზეზი ჩხუბისა იყო მრავალი. პირველი, რომ ქართველებს სწყინდათ სპარსთა ამათის სამშობლოში ყოფნა და ბატონობა. ამასთან სპარსნი არა ჭმალავდნენ და დასცინოდნენ მლოცავების თვალწინ საქრისტიანო სალოცავებს და ხატებს. სპარსნიცა და ქართველებიც იყვნენ ამრეზილნი. სპარსნი იყვნენ ძლევითა და თავისი ძლიერებით წაქეზებულნი. ქართველებს სწყუროდათ თავისი დამმონავებლების სისხლი.

ჩხუბით სისხლის ღვრის დაწყობა ორ რიგათ იყო საჭირო ასლანიშვილისათვის: ერთი რომ, თუ ვინიცობაა როგორ იქნებოდა საქმე, ამასა ჰქონდა თავის გასამართლებელი სპარსელებთან, რომ ეს მოხდა ჩხუბშიო. მეორეც რომ ამაზედ მარჯვე დროს სამშობლო ქვეყნის განთავისუფლებლად ვერ იპოვნიდა.

გაიმართა რაღაცა უბრალოზედ კინკლაობა.

სპარსელებმა დასჭრეს რამდენიმე ქართველი. მაშინ ჯანდიერმა ასლანიშვილმა და თამაზ ვახნაძემ შესძახეს ქართველებსა, რომ დაეწყოთ მუსრვა სპარსელებისა.

უცებ გავარდა თოფი, შეიქმნა ხმლის ელვა. იწყო უწყალოდ სისხლის დენა. გააფთრებული ქართველობა და მეტადრე ამაყი მთის ხალხი შემოერტყმნენ სპარსთა და რამდენმიე საათის განმავლობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი სპარსთა ჯარები ეყარნენ ეკლესის გალავანსა და გარემო-მოედანზედ უსულონი და ლუკმა-ლუკმა აკაფილები.

შეიქმნა მთელს კახეთში მთელი ხალხის მოძრაობა.

კახელობას მისცეს მხარი შირვანელთა, რომელნიც იყვნენ განდევნილი სპარსელებისაგან თავის სამშობლოდგან კახეთში ალექსანდრე მეფის დროს, რაკი ამათ მაშინ ეჭირათ მხარი ოსმალებისა. ესენი გადმოსახლდნენ კახეთში, მიიღეს ენა და ჩვეულობა ქართველებისა, სულით და გულით დაქართველდნენ. ახლა, როდესაც აბაზმა დაიჭირა კახეთი, კახეთის მოსაუძლურებლად და, რაკი ჰხედავდა, რომ ესენი სრულებით ქართველობდნენ, გასცა ბრძანება, რომ ესენი ისევ გადასახლებულიყვნენ შირვანს. ამის გამო, კახელებზედ თითქმის ესენი უფრო გაბრაზებულნი იყვნენ შაჰსა და სპარსელებზე. იყო ვინმე,—რომელიც ზემოთაც მოვიხსენიეთ,—დალი მელიქი, ანუ როგორც სპარსელები უწოდებენ, მელიქ-ფური ანუ დელი-მაჰმადი. [1]) ეს იყო თვითონაც შირვანელი, იყო შაჰის სამსახურში, ხელობით ქაბისტანისა და ქაბალის თურქმენთა ჯარების მხედართ მთავარი. თუმცა იყო ის სპარსთა სამსახურში, მაგრამ ახსოვდა, რაც სიკეთე გაუწიეს ამის ქვეყნის ხალხს ქართველებმა სპარსთაგან განდევნის დროს, და გულში ნიადაგ ჰქონდა გამოულევლი მტრობა სპარსელებისა. ამ კახეთში არეულობის დროს, ის თავის ჯარებით იდგა კახეთში, ამან მისცა ასლანიშვილს ნოდარ ჯორჯაძეს, თამაზ ვაჩნაძეს და სხვა ამბოხების მოთავეთა მხარი, დადგა შირვანელების თავში და გახდა ერთი უმთავრეს მოთავეთაგანი აშლილობისა კახეთში.

მთის ხალხმა, ასლანიშვილისა და სხვათა საიდუმლო მოქმედებით, შეაგროვეს ათი ათასი კაცი თეიმურაზისათვის. ამავე ასლანიშვილისა, ვაჩნაძისა, ჯორჯაძისა, დალი მელიქისა და სხვათა მოთავეობით შიგ კახეთში შეგროვდა თორმეტი ათასი კაცი შირვანელებიანათ.

ამ ძალისა და ჯარების შემწეობით, ასლანიშვილმა და ჯორჯაძემ მაშინვე აახლეს თეიმურაზს იმერეთში კაცები, რომ მოსულიყო, დაეჭირა სამეფო.

---

[1]) რუსის აკტებში ეს იხსენიება დელი მელიქად. თვითონ მეფე თეიმურაზი ასრე უწოდებს რუსებთან მიწერ-მოწერაში.

ვიდრემ აგწერდე ამას, რაც მოხდა თეიმურაზისაგან ქართლის დაჭერით, საჭიროა უჩვენოთ მკითხველებს, რაოდენათ შეიძულა ქართლის ხალხმა ეს მეფე, როგორც კაცი, რომელმაც თავისი სამეფოც უპატრონოდ გაუშვა მტრის ხელთა, გაიმეტა და მისცა მოსისხლე მტერს დედა და შვილები, არ ინდომა ან დახსნა და ან ამათთან სიკვდილი; ამასთან გაიტაცა იმერეთს ქართლის მეფე ლუარსაბიცა, რომელმაც ეგრეთვე უპატრონოდ გაუშვა თავისი სამეფო მისი მოსისხლე მტრის ხელში. თეიმურაზს ახსოვდა, როგორც უპატიურად მოექცა ქართლის თავად-აზნაურობა ლუარსაბის დედას ქართლიდამ გავარდნის დროს, ის ჰხედავდა, რომ ეს სიძულვილი ამისი უნდა ყოფილიყო დიდი ქართლში, ეს იცოდა თეიმურაზმა და, როდესაც მოუვიდა კაცები ასლანიშვილისა და სხვებისა, რომ დაბრუნებულიყო და დაეჭირა კახეთი, ამან მარტო ვერ გაჰბედა ქართლზე გავლა, ქართველებისაგან არაფერი შევნისო. იმან სთხოვა იმერეთის მეფეს, დადიანს და გურიელს, გაეცილებინათ ეს თავისი ჯარებით ქართლზედ, კახეთამდის. იმათ შეჰკრიბეს ჯარები და ისრე გაატარეს ეს არაგვამდის. მინამ არ მიიყვანეს სამშვიდობოს, არ დაბრუნდნენ.

თეიმურაზს ანანურთან მოეგება მთის ჯარი, ჯარი კახელებისა და შირვანელებისა, რომელთაც უძღოდნენ ყეენისგანვე დაყენებულნი კახეთის გამგეთ და იასე მეფის მ ე უ რ ნ ე თ [1]), ასლანისშვილი და ჯორჯაძე. ამათთან იყო დალი მელიქიც. შირვანელი. ჯარი იყო ბლომათ, ოცდა-ორ-ათასამდის. ამ ჯარებით თეიმურაზი დაეცა თავის ბიძაშვილს იასეს, რომელიც ყეენისაგან კახეთში ამის მაგიერად იყო, დაყენებული და ცხარე ბრძოლაში მოჰკლეს. [2]) აქედამ დავით ასლანისშვილი გადუხტა ზეგანში მდგომს ბლომა სპარსთა ჯა-

[1]) ჩვენ ეხლა რაღაცა მოუსაზრებლობით სიტყვას მ ე უ რ ნ ე ვხმარობთ ნაცვლად რუსული სიტყვისს ХОЗЯИНЪ. წინად ეს სიტყვა იხმარებოდა, ნაცვლად რუსული სიტყვისა ОПЕКУНЪ.

[2]) ისკანდერ მუნჯი სცდება, როდესაც ამბობს: იასე მეფემ გამოასწროვო. აქ მოკვლა იასესი მტკიცდება იმგვარი დოკუმენტებით როგორც თეიმურაზის მიწერ-მოწერა რუსთ ხელმწიფესთან, სადაცა ისა სწერს რომ ამ დროს მოიკლა იასეო. (Дипл. снош. стр. XXVII).

რებით სპარსთა მხედართ მთავარს ბეგთაშ-ბეგს. ამ დროს [illegible]გთაშ-ბეგი იყო ავათ. ჯარმა ვერ გაუწია წინააღმდეგობა და დანებდნენ ასლანიშვილს და მის ქართველობას იმ იმედით, რომ ქართველები დაინდობნენ ამათ, რადგან თვით ესენიც ყეენის შემოსევის დროს ღმობიერად მოექცნენ ქართველებს. მაგრამ ქართველები ისრე განრისხებული იყვნენ სპარსელებზედ ისე მეფის დაყენებით და მისგან ქრისტიანობის დევნით, რომ შეპყრობილი სპარსთა ჯარი, თეიმურაზის ბრძანებით, სულ ერთიანად შემუსრეს თავისის ხანებითა, თავისის ამირებით, თავისი წინამძღვრებით.

რა მოსწყვიტა მთლათ სპარსთა ჯარები და მათი მხედართ-მთავარნი, თეიმურაზმა დაიჭირა და დაიმკვიდრა კახეთი ხელმეორედ.

რა აქ მოიკიდა მკვიდრად ფეხი, თეიმურაზ არ დასჯერდა კახეთსაც და უწყო ბატონობა ქართლსაც. ქართლში იპოვა მომხრენი. ყველა საააკაძის მტრობამ მისცა ამას მხარი. დაიწყო ქართლის გამგებლობაც. [1]) ქართლი იყო უპატრონოსავით: გამგეთ ქართლისა ლუარსაბ მეფისავე სურვილით იყო ყეენისაგან დაყენებული მოსახლე მტერი სააკაძისა და მის ოჯახისა ფარსადან ციციშვილი. ფარსადანს არც რიხი, არც ძალა, არც სახელი არა ჰქონდა საკმაო, რომ დაემორჩილებინა ქართლის დიდებულნი. ამისგამო ისიც თვითონაც ხშირად თეიმურაზის დახმარებას. როგორც მეფეს, ხალხი ცხადია ამას უფრო უგონებდა. გაუგონებდა ძალა-უნებურათაც, რადგან სახუმარი არ იყო ამ ხანად თეიმურაზ: იმან შემუსრა სპარსნი. ჰყვანდა სახელოვანი სარდალნი, ჰყვანდა ბლომად ჯარი. ამისგამო, თუმცა ყეენისაგან ფარსადან იყო გამგეთ დაყენებული, მაგრამ ხალხი უფრო უდებდა თავს თეიმურაზს.

რაკი სძლია ყველა მტერს, მაშინ თეიმურაზმა მიჰყო ხელი იმ

---

[1]) ამ დროს თეიმურაზისაგან ქართლის დაპატრონება არ იცის არც ქართლის ცხოვრებამ, არც სხვა მწერალთა. მაგრამ ეს ცხადათა სჩანს იმ განაჩენიდამ, რომელიც 1620 წ. შესდგა მოურავი სააკაძისა და ქაიხოსრო ჯავახიშვილის შორის.

თავადობას, რომელნიც იდგნენ ისევ მეფის ერთგულებაზედ. იმან შეიპყრა ყველა ისინი და მოსწყვიტა მთლად. მრისხანებას თეიმურა-ზისა არ შედგა ამაზედაც. იმან შეიპყრა მთლად სპარსთა ვაჭრები, დაჰხოცა საქვეყნოდ ათასი წამებით და სატანჯველით, და მათი ქონება დაისაკუთრა თვითონ. არც ეს იკმარა. მისცა-აბაზის მოღალატეს დალი-მელიქს შირვანელს ათი-ათასი კაცი და შეუსია სპარსთა ქვეყნებს. დელი-მელიქ შეესია სპარსეთს, ააოხრა და მოსწვა მრავალი ადგილები და ქვეყნები, ორს სპარსთა ქალაქს, არეშს და კაბალს [1]) სამუდამოდ მოუღო ბოლო, წამოასხა მრავალი ტყვე და დაბრუნდა კახეთში დიდძალი ნაშოვარით.

შაჰს, რომელიც თეიმურაზის ყოველს მოძრაობას ადევნებდა ყურს, თქმა არ უნდა არ დაემალა არაფერი. იმან იცოდა თეიმურაზის ქადაგება იმერეთში, რომ მთელს იმერეთს მიეღო რუსთა ხელმწიფის ქვეშევრდომობა. იცოდა იმისი ინტრიგები და მეცადინეობა ოსმალეთში. ჩაუვიდა ახლა კახეთის ამბებიც: სპარსთა ჯარების მოწყვეტა, ისევ მეფის მოკვლა, ვაჭრების მოწყვეტა და გაცარცვა, დალი მელიქის ღალატი, სპარსთა ქვეყნის ოხრება და ტყვევნა.

შაჰის მღელვარებას და მრისხანებას აღარა ჰქონდა დასასრული.

იმან გადასწყვიტა მოუღოს ქართლ-კახეთს საუკუნოდ ბოლო. ის დაიძრა დიდ-ძალი ჯარებით საქართველოსაკენ.

რომ ოსმალნი ვიდევ არ გარივნენ საქმეში და არ მოუშალონ ამას თავისი განზრახვა, შაჰ-აბაზმა აცნობა ხვანთქარს ყოველივე ინტრიგები თეიმურაზისა, აცნობა ყოველი მისი მხეცური ქცევა სპარსელებზედ კახეთსა თუ სპარსეთში შესვლის დროს, აცნობა, რომ ის აქეზებდა იმერთა და იმერეთის მთავართ რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებაზედ სპარსთა და ოსმალთა სამტროდ. სიტყვით იხმარა ყოველი ღონე, რომ ოსმალნი არ მოშველებოდნენ თეიმურაზს და ქართველებს.

შემდგომ ასლანისშვილისა, ნოდარ ჯორჯაძისა და სხვათა ქარ-

---

[1]) ეს ქალაქები და ადგილები ძველად საქართველოს ნაწილს შეადგენდნენ, საკახეთო იყო, მაგრამ ბოლოს მიიმძლავრეს თათრებმა და მათ შემდგომ სპარსთა.

თველთა გადადგომასა, რომელნიც შაჰმა ისე პატივით მიიღო, და მაინც თავისი იმაზედ არ გასცვალეს, ამან დაჰკარგა ყოველი ნდობა ქართველებისა. ამისგამო, ყველა ქართველნი დიდებულნი ვინც-კი ახლდნენ ამას თანა, გაისტუმრა სამხრეთის სპარსეთში და მოიშორა ჯარიდამ.

სააკაძემ, რომელმაც იცოდა ყოველი გულის მოძრაობა აბაზისა და ადევნებდა ყოველს ამის ძარღვის ცემას ყურს, შეისწავლა პოლიტიკა სპარსთა,—ცხადათ მიხვდა, რომ ახლა აბაზი აღარ დაინდობდა საქართველოს. თუმცა აბაზი დიდათ ჰმალავდა, თავისი ჯარების მოძრაობას, მაგრამ სააკაძე მიხვდა, რომ შაჰი ამზადებდა ჯარებს ქართველებზედ. სააკაძემ იცოდა ისიცა, რომ შაჰ-აბაზ აღარა ჰქონდა ნდობა თვით იმ ქართველებისაც, რომელნიც ახლდნენ ამას გვერდსა. ამისგამო, ის უცებ დაიძრა სპარსეთიდამ, და მინამ შაჰი გაისტუმრებდა ქართველებს თავისი ჯარებიდამ სამხრეთისაკენ, იმან გამოასწრო და მოვიდა ქართლში, ვითომც და იმ მიზეზით, რომ მოუპატრონოს თავის ოჯახს, თავის მამულებს, თავის ქვეყნებს ნამდვილად კი ის მოდიოდა ქართლის საპატრონოდ, ვინიცობაა, როგორ იქნებოდა საქმე, ეშველა პატრონად გაშვებული სამშობლოსათვის. კახეთში კიდევ ეგულებოდა უპატრონოდ თეიმურაზ, რომელიც ცხადია ახლა მაინც აღარ დაჰხვდებოდა შაჰს მოუმზადებელი, მაგრამ ქართლი;... ქართლი იყო სრულიად უპატრონო, ყველა თავადობა იყო თავთავისთვის გამდგარი.

ის მოდიოდა ქართლის სახსნელად და ქართლი მოეგება მას მოსაკლავად...

დაბრუნდა ქართლში სააკაძე და დახვდა იმას აქ საშინელი ამბავი.

როდესაც შაჰი დაბრუნდა ქართლიდამ და სააკაძე იახლა თანა, სააკაძემ გაუშვა თავის სახლში თავისი დედა, თამარ, სახლისა და ყმა და მამულის საპატრონოდ. ახლა დედას სხვათა შორის თავისი მსახურნი და აზნაურნი: მათია ქვლივიძე, მახარობელი ჩივაძე, ქაიხოსრო ცალქალამანიძე, ხოსიტა და ამისი შვილი ალოლაშვილები და სხვანი. ამათ, რადა თქმა უნდა, უწევიათ პატრონობა სააკაძის ყმა

და მამულისა, ჩასდგომიან მტერთა და მოდავეთა კრიჭაში, ჯავახიშვილებს, როგორც წინად, როდესაც სააკაძე განდევნეს სპარსეთში; მოუნდომიათ ახლაც დაპატრონება სააკაძის მამულებისა. მოურავის დედას, თამარს და ხსენებულთ სააკაძის მხლებლებს ამისი ნება არ მიუციათ. მოხტომისთვის მიხტომიან, წართმევისთვის — წაურთმევიათ, და გაჩენილა ერთი ომი, ერთი ატეხილი მიხტომ მოხტომა. რაკი ვერ დაუძლევიათ ესენი ჯავახისშვილებს, მაშინ დაუბეზღებიათ თამარიცა და მისი ზემოდ ხსენებული მხლებელნი მეფე თეიმურაზსთან, რომელიც იმ დროს საზაფხულოდ ყოფილა მისული სურამში. თეიმურაზს შეეპყრა სააკაძის მხლებელნი, წაერთმია ყოველი სარჩო საბადებელი, ჩაეყარა საკანში და მიეყენებინა ათასი წამება და სატანჯველი. ეს კიდევ ცოტაა. ქაიხოსრო ჯავახისშვილს გაეთხოვა სააკაძის დედა საჯაროთ გასაბრჭობლად. თეიმურაზსაც ებძანებინა გაბრჭობა. იმას გაეგზავნა მანუჩარ ციციშვილი თამართან, რომ თქვენს შვილს ქაიხოსრო ჯავახისშვილი ბევრს უჩივის და გაებრჭეთ. თამარს შეეთვალა: „დასტურ ბევრს მიჩივისო. მაგრამ რა თქვენი საკადრისი საქმე არისო, რომე ამ დროს დედაკაცი ლაშქარში საბრჭოთ ვაირებოდეთ. „მაშინ თეიმურაზმა და სააკაძის მტრებმა გადასწყვიტეს, თამარ, მოურავის დედა, მიეცეს ტყვედ ქაიხოსრო ჯავახის შვილს, და ქაიხოსროს მიეცეს ნება, მოურავის დედას გაუპატიურებისა, როგორც თვითონ უნდოდეს. „ღმერთიმც შეეწევის, — ამბობს ზემოთ? მოყვანილს დოკუმენტში სააკაძე, — ბატონს მიტროპოლიტს მირმანოზს და ნოდარს (ჯორჯაძეს), აღარ დაანებეს. ეს როგორ იქნება, ახლა ერთი საპატიო დედაკაცი დავიჭიროთ და სატყვეოდ ხელთ მივცეთო. ამაზედ დაიშალეს და აღარ მისცეს.“

არ დასჯერდნენ აკლებას, არ დასჯერდნენ სასიკვდილოდ დევნას, არ დასჯერდნენ ხოცვას, სააკაძის მტრობამ მოინდომა საქვეყნოდ გაუპატიურება იმის მოხუცებული და ქვეყნად ღრმად პატივცემული დედისა.

მაგრამ არც ამითი გათავდა საქმე.

დაბრუნდა თუ არა სააკაძე, ეს აცნობეს სააკაძის მოსისხლე მტერს ფარსადან ციციშვილს, რომელსაც დუარსაბ მეფის სურვილით

ჩააბარა ქართლი შაჰ-აბაზმა. ფარსადან იმავე ღამეს მიესია სამასიოდ კა-ცით ნოსტევს მოსულს სააკაძეს, მაგრამ ვერ მოასწრო. სააკაძემა: „ღმერთიმც უშველის ერთს ჩემს მოკეთე კაცს,—აქვთ ჩაწერი-ლი მსაჯულთ ამავე დოკუმენტში სააკაძის სიტყვები. მოვიდა და შემატყობინა: ამაღამ გულის მძინარეს ჯარი თავს დაგესხმისო და მოგკლავსო. ავდექ იმ ღამეს გავეცალე და სანდაკს ჩავედი.“

ამ გვარად სააკაძის დევნა არა თავდებოდა. თეიმურაზს ეჭირა მხარი სააკაძის მტრობისა. სააკაძეს არა ჰქონდა ქართლში მოკიდე-ბული ფეხი. მტრობა იმისი და ქვეყნის ამრევნი იყვნენ გაძლიერე-ბულნი...

თუ არ დიდი განსაცდელი, დიდი გაჭირვება, ძნელი იყო ახლა სააკაძისაგან ქართლში ყველა ძალისა ერთად თავის მოყრა. სააკაძეს დარჩენოდა თავის ქვეყნის სახსნელად ისევ თავისი გავლენა შაჰზედ, თავისი დიპლომატიური ნიჭი, თავისი გამჭრიახობა...

როგორც აღმოჩნდა ბოლოს, სააკაძემ ცარიელი სიტყვით, უია-რაღოთ, უსისხლოთ, დიპლომატიური მეცადინეობით იხსნა ქართლი იმ განსაცდელისაგან, რომელსაც ვერ გადაურჩა კახეთი. საფიქრელია, რომ სააკაძე დაუდგა ქართლს თავდებად და აღუთქვა აბაზს, თუ ქართლი კვალად გამოვიდოდა შაჰის მონებიდამ, თვითონ მოუ-ღებდა ბოლოს. ერთი მიზეზთაგანი, რომ 1622 წ. გამოგზავნა სააკაძე საქართველოს ბოლოს მოსაღებად, უნდა ყოფილიყო პირო-ბის დადება სააკაძისა.

ამ დროს შემოესია შაჰ-აბაზი საშინელი განრისხებული კახეთს.

თეიმურაზ ახლა უფრო უძლური იყო შაჰის სამტროდ, ვიდ-რე პირველს შემოსევაზედ. დიდძალი ვაჟკაცობა კახეთისა ჩაიწერა შაჰსევნად და გაჰყვნენ აბაზს სპარსეთში, შეადგენდნენ შაჰის საუ-კეთესო ჯარს და იყვნენ ესენი და სხვა ქართველნი ამის ჯარში მყოფნი მეხნი და მედგარნი შაჰის მტრებისა; დიდძალი თავადობა, აზნაურობა და ისრე ხალხი, რომელიც შეადგენდნენ ნათესაობას, მოყვრობას და საყმოს იმ თავადთა და აზნაურთა, რომელთაც მეფე ასეს მხარი ეჭირათ და თეიმურაზმა მთლათ მოსწყვიტა, შაჰის მოსვლას ნეტარებით ელოდნენ, რადგან ამით მორჩებოდნენ თეიმუ-

რაზის შეწუხებას და შეეძლებოდათ იმისი ჯავრის ამოყრა, [illegible] ხალხს ახსოვდა, როგორი ტკბილათ მოეპყრა პირველ[illegible]ზედ ამათ შაჰ-აბაზი და სრულიადაც არ იჩენდნენ თეიმურაზისათვის თავის გაწირვის სურვილს. დარწმენილიყო სააკაძე, რომ ის მაინც არის მიემხრო. მაგრამ სააკაძეც თვითონვე გაათახსირა, შეასხა იმის მტრობას ფრთები, გაუუპატიურა დედა, დაუტყვევნა და აკლებინა ამისი ერთგული მხლებლნი, შეუკრა ყოველივე გზა, რომ კვალად მოეკიდნა ქართლში ფეხი, შეეძინა ძალა.

თეიმურაზმა კვალად ვერ შეჰბედა გამკლავება აბაზსა. იმან დაჰკრა ფეხი და თავისი მომხრეებით დაიძრა კახეთიდამ. გაუშვა სამეფო ისევ უპატრონოდ, მისცა მტერს კვალად შთასანთქმელად უიარაღოთ, უომრად, უსისხლოდ, და აქ დატრიალდა ის საცოდაობა, ის ცოდვის ლუღი, რომელსაც მოგვითხრობენ ჩვენი თუ უცხო ქვეყნის მწერალნი და რომელიც ისრე ჰქონდათ ბევრი მიღებული, ვითომც მომხდარიყვეს. მაშინ, როდესაც პირველად შემოვიდა შაჰი და როდესაც თან ახლდა გიორგი სააკაძე. ასრე გასინჯეთ, რომ თვით არჩილსაც-კი ერევა ეს ხანები. არც საკვირველია ესა, რადგან ეს მეორეთ შემოსევა მოხდა თითქმის ერთი წლის განმავლობაში.

როგორც თვითეული, კაცის გულში არის ხშირად წინად გრძნობა თავისი მოახლოვებული ბედნიერებისა თუ უბედურებისა ეგრეთვე არის ეს წინად გრძნობაც ხალხის გულში. ამისი მოწამენი არიან მეისტორიენი თითქმის ყველა ხალხისა, ვინ არ იცის ხალხის წინა გულის თქმანი ებრაელებში, რომში, საბერძნეთში. კახეთის ხალხში დარწმენილი ამბის თქმით შაჰ-აბაზის დაბადებაზედ დაიქცნენ კახეთში ეკკლესიათა გუმბათნი. კახეთში შემოსევის წინა ხანებში დადიოდა საშინელი ამბები და უცნაური წინასწარმეტყველებანი. ხალხის გული რაღაცნაირათ შეჰკვნესოდა შაჰ-აბაზისა და ქართველების ამღილებას ერთმანეთში. გაჩნდნენ წინასწერმეტყველნიც, რომელნიც საშინელს და უცნაურს მომავალს უქადაგებდნენ კახეთის ხალხს. სხვათა შორის მამა არსენი, რომელიც წმინდათათანა შერიცხულ არს, მონოზანი, ანუ როგორც ეხლა ვეძახით, ბერი დავით გარეჯის უდაბნოსი, წინასწარმეტყველებდა აბაზის საშინელს შემოსევასა და ქვეყნის ოხრებას.

შაჰს ეჭვი ჰქონდა, რომ თეიმურაზ კიდევ ვერ დაუდგებოდა ამას და გაიქცეოდა. ამისგამო იმან ისპაანიდამვე გამოგზავნა ჯარით ისფიანდერბეგ არაბქერლუ, და უბრძანა, შეერთებოდა ალიყულიხანს, ბაშიმონლუს მდივან ბეგს, რომელიც იყო გამოჩენილი და ენერგიული მხედართ მთავარი. ალიყულიხანს უნდა წამოეყვანა თავრიზის მხედრობა, წამოეყვანა ყარაბაღელები, ისრე რომ მთელი ადერბიჯანის ჯარით უნდა წასულიყო კახეთში, თეიმურაზის წინ საქელად. ალიყულიხანს ჰქონდა ბრძანება, წაეყვანა აგრეთვე ყაჯარი მამად-ხან ზიად ოღლი და ყველა ყარაბაღის ამირები. ამათ ჰქონდათ ნაბრძანები, ევლოთ იდუმალ და სასწრაფოდ, რომ მიესწროთ თეიმურაზისათვის და შეეკრათ გზა იმერეთში გაქცევისა, ამოეწყვიტათ იმისი და იმისი მომხრე შირვანის ჯარები.

ალიყულიხან დაიძრა სასწრაფოთ საქართველოსაკენ, წაიყვანა თან ისფიანდიარ ბეგი. ჯერობით შეუდგა ჯარი სულ თხუთმეტი ათასი. რადგან სწრაფობდა, აღარ მოუცადა დანაშთენ ჯარებს, რომელთაც მისცა ბრძანება, რომ გზა-გზა მოეწეოდნენ.

ამ ჯარით ის შევიდა ტფილისს, სადაც იდგა სპარსთა ჯარები და ეჭირათ ციხე. აქედამ საჩქაროთ უქელა წინ თეიმურაზს არაგვზედ წიწამურთან.

თეიმურაზმა გაიგო, რომ შაჰი მოდიოდა დიდი ჯარით და დაიძრა გასაქცევად იმერეთს სრულიად მცირე ჯარით.

გამოქცეულს თეიმურაზსაც აცნობეს ქართლიდამ, რომ ალიყულიხან დიდი ჯარით უქელებს წინ. თეიმურაზმა საჩქაროდ შეჰკრიბა გზათ მცირეოდენი ერწო-თიანელები, ხერკელები და გადასწყვიტა გაეპოს ალიყულიხანის ჯარები და ისე წავიდეს იმერეთს.

აქაც კიდევ იჩინეს კახელებმა საოცარი ვაჟკაცობა და თავგამეტება თავის მეფისათვის. აქაც კიდევ დაამტკიცეს კახთა, რომ, თუ თავიანი მოთავე ეყოლებოდათ, შაჰ აბაზ აგრე ვერ გაკადნიერდებოდა საქართველოზედ და ვერ დამართებდა მას, რაც დამართა მაშინ. რამც თუ არ შეშინდა ეს მცირე კახელობა, რაკი ნახეს, ომის მეტი სხვა გზა არ იყო, პირიქით თითონვე მიეტივნენ და მოაღინეს ის, რასაც ეხლავე მოუთხრობთ მკითხველს.

გზების მჩვენებლებათ წაიყვანა ალიყულიხანმა ის ქართველობა, რომელნიც უფრო იჩენდნენ ყეენის ერთგულებას. ამათ უჩვენეს ყველა გზები, სადაც უნდა გაევლო თეიმურაზს, რომ აქ შეეკრათ იმისთვის წასვლის ღონე. აგრეთვე იყვნენ ქართველები და სპარსნი გაგზავნილი მზვერავებათ, რომელთაც იცოდნენ ის მხარე, სადაც ედგა თეიმურაზს, რომ ექვნებინათ ყური იმისათვის. მაგრამ გამოდგა, რომ ის ქართველობა, რომელნიც ისრე ნამდვილი მომხრე ეგონათ სპარსელებისა, ჰმალავდნენ ყველა თეიმურაზის მოძრაობას. თეიმურაზ მოუახლოვდა სპარსთა ჯარებს. ზოგიერთა ნამუსზედ ხელ აღებულთ ქართველთ აცნობეს ალიყულიხანს ეს. ალიყულიხანმა იწყო მზადება, გაიყვანა ჯარები, უნდა დაეჭირა მაგარი ადგილები, რომ ქართველებმავე, რომელიც იყვნენ გაგზავნილი გაეგოთ, სადა სდგას თეიმურაზ აცნობეს, ტყუილია, თეიმურაზ არსად არა სჩანსო. სპარსელები დაენდვნენ ამას და ჯარები გაუშვეს ისევ ბინებზედ. როგორც გაფანტ გამოიფანტნენ ჯარები, ამ დროს უცებ მოისმა ხმაურობა ქართველი ჯარებისა. ყარაულებმა აცნობეს თეიმურაზის თავს დასხმა. ცხადი იყოვო, ამბობს ისკანდერ-მუნში, რომ ჩვენი ერთგული ქართველები ჩვენა გვღალატობდნენ და გვატყუებდნენო. იმათ დაუმალეს სპარსთა ის გზები, რომლითაც მოვიდოდა თეიმურაზიო.

სპარსელებმა იწყეს წყობა ჯარისა. მოწინავე ჯარი წაიყვანა ქართველებზედ ყარაბაღის ბეგლარბეგმა მამად-ხან-ზიად-ოღლიმ, რომელიც იყო ყაჯარის ტომისა. ყარაბაღის ამირებს: ფეიქარ-ხანს, ქარჩიღორღს და დელუ-მაჰმად ხანს შამშადილოელს [1]) ჰქონდათ ალიყულიხანისაგან ბრძანება, რომ ზურგის ჯარითა სდგომოდნენ და მიშველებოდნენ ომში. მარცხენა და მარჯვენა მხარე დააწყეს ალაგის საჭიროების დაგვარად

ზოგი ჯარის კაცი სპარსელებისა არც-კი გამოსულიყვნენ კარვებიდამ, რომ აქ უცებ ხუთი—ექვსი ათას კაცამდის, ისკანდერის სიტყვით, დაესხნენ ქართველები სპარსთა მოწინავე ჯარს. სპარსნი მაშინვე აირივნენ და გაიქცნენ. ფეიქარ-ხანმა და დელუ-მამად-ხანმა

[1]) ის დელუ-მამად-ხან, რომელზედაც ზემოდ გვქონდა ლაპარაკი და რომელიც თათარხანის ბრძოლაში მოეშველა სააკაძეს,

ველარ მიასწრეს, რომ მიშველებოდნენ მოწინავე ჯარსა. ისინი გადგნენ შორი ახლოს და იწყეს თვითონ გამაგრება. მეტი წილი ყაჯარის ჯარისა მოსწყდა კახელებისაგან, თქმა არ უნდა, ამან უფრო გაამხნევა კახელობა, და ისრეთი მედგრათ და მრისხანედ მიეტივნენ შუაგულს სპარსთა ჯარს, სადაც იყვნენ ადერბიჯანელები, შამშადელები (ალიყულიხანის ქვეყნისა), რომ მაშინვე აირივნენ და უჩვენეს ზურგი. ქართველებმა, რომ იტყვიან ღვთის რისხვაო, ღვთის რისხვა შეიტანეს სპარსთა ჯარებში. მართო ხმლისა და შუბების ხათქაფი-და ისმოდა და იმუსრებოდა უწყალოდ ზარდაცემული სპარსელობა. შიშისაგან ატანილი ჯარი სპარსთა, ვინც-კი ისწრობდა, იმკვდარუნებდა თავს და იმალებოდნენ დახოცილებში. ნახევარზედ მეტი სპარსთა გასწყდა ამ ბრძოლაში. ამ ომში მოკლეს კახელებმა სარდლებთაგან, მამად-ხან ზიადოღლი, ჰუსეინ, გილანის ხანი ჰუსეინ-ბეგუზბაში. ისაკ-ხანი მურ სუფ დაიჭირა.

ალიყულახან იევანდიარ-ბეგი, რომელნიც იყვნენ გათქმული თავის სარდლობით მთელს სპარსეთში, გაიქცნენ თბილისისაკენ, რომ გადარჩენოდნენ სირცხვილს და არ ჩავარდნოდნენ თეიმურაზს ხელში.

დიდი იყო და სახელოვანი ეს გამარჯვება. ხუთი-ათასმა კაცმა დაამარცხა თხუთმეტი ათასი უკეთესი სპარსთა სარდლების ჯარი. რიცხვს ქართველთა და სპარსთა ჯარებისას მე უჩვენებ სპარსთა ნაწერებიდამ. ამ რიცხვთა გვიჩვენებს ჩვენ ისკანდერ მუნჯი, რომელიც, მართალია სცდილობს არ გადასცდეს სიმართლეს, მაგრამ, რაც უნდა იყვეს, როგორც მაქებარი აბაზისა, როგორც კაცი რომელიც თავის ცნობებს ამყარებდა უფრო სპარსთა ჩვენებაზედ, უეჭველია უმატებს ქართველთა რიცხვს და უკლებს რიცხვს სპარსთა ჯარებისას. ამისგამო, საფიქრებელია, რომ ამ ომში ქართველნი უფრო ნაკლები იყვნენ და სპარსნი მეტნი. მაგრამ მაშინაც, სპარსთა ნაჩვენები რიცხვებიც რომ მივიღოთ სახეში, დიდია გამარჯვება, რომ ერთი სამად ნაკლებმა ჯარმა ასრე უწყალოთ მოსრას და დაამარცხოს ერთი სამად მეტი ჯარი.

მთელი საქონელი და საგძალი სპარსთა, კარვები, ნოხები, ოქრო, ვერცხლი, განძეული, ძვირფასი იარაღი ხანებისა და სხვა

მოხელეებისა დარჩათ კახთა. ოცი-ათას-ხუთასი თავი აქ ამოწყვეტილი სპარსელებისა, როგორც სწერს თეიმურაზ რუსთ ხელმწიფეს, გაუგზავნა ხვანთქარს. მაგრამ კვალად ვერც ამ დიდმა გამარჯვებამ მისცა გული თეიმურაზს, გაბრუნებულიყო და მიჰპატრონებოდა ოხრად გაშვებულს, კახეთს. რადგან ლუარსაბ არ იყო და ქართლი უდებდა ამას თავს, იმას შეეძლო მოემხრო ქართლიც და ეგო ეხლა მაინც პასუხი მრისხანე აბაზისთვის, ან მომკვდარიყო თავის ხალხთან თვითონაც. მაგრამ იმან ანება კახეთსაც და ქართლსაც თავი და გავარდა ისევ იმერეთს.

თბილისიდამ ალიყულიხან და ისფანდიერ-ბეგი გადარჩენილი ჯარით მიეგებნენ შაჰ-აბაზს განჯაში.

აქედამ 1616 წ. შაჰი თვითონ პირად გაუძღვა მთელი ირანის, მთელი სპარსთა საბძანებლიდამ მოყვანილს ჯარს და წამოვიდა საქართველოზედ განრისხებული, წამოვიდა—მოუღოს საქართველოს საუკუნოდ ბოლო.

სხვა ყველა ბოროტს დაურთო აბაზის მრისხანებას ახლა ალიყულიხნის ჯარების მოწყვეტის ამბავიც. შაჰი სულ ცეცხლს აფრქვევდა თვალთაგან. ახლა აღარა ისმოდა-რა იმის პირიდამ კახეთის მოწყვეტის მეტი.

---

## მუსრვა კახეთისა.

შაჰი მოვიდა თბილისს. მთელი ქართლი ძრწოდა, მთელი ქართლი ელოდა რაღაცა ზარს, რაღაცა ელდას. ყველა ჰხედავდა შაჰის საშინელს მრისხანებას. აუარებელი ჯარი იყო უზომო რისხვის ნიშანი. შაჰი გაჩერდა კარგა ხანს თბილისში. ქართლი ელოდა თავის თავზედ გალესილს ხმალს, და უცებ ნახეს, რომ შაჰის მრისხანება ქართლზედ შეიცვალა. შაჰმა დაუშვა ძირს შემართული მახვილი. დასვა ქართლში მეფედ ბაგრატ-მირზა, შვილი დაუთხანისა, ბიძა ლუარსაბისა. მეურნეთ და სახლთუხუცესად მისცა ძმა გიორგი სააკაძისა, ბეჟან სააკაძე. ამითი მორჩა ქართლი. მაგრამ არ მორჩა კახეთი

აბაზმა წინადვე შეუთვალა დაღესტანს და საზოგადოთ ლეკებს, რომ, თუ იმათ აქვთ ამისი პატივისცემა, შეუკრან გზები კახელებს და არ შეუშვან მთებში შესახიზნავად. თუ ვინმე წამოვიდეს იქითკენ, დაჰხოცონ და დაატყვევონ. ეგრეთვე სთხოვდა, რომ შემოესიონ კახეთს და მთლად ამოსწყვიტონ, ვისაც მოასწრონ, და, სადაც-კი მიუდგნენ, დასწვან და მოაოხრონ მთელი კახეთი. ამაში ჰპირდებოდა აბაზი იმათ დიდს წყალობას, ჰპირდებოდა კახეთის საუკეთესო ადგილებს სამკვიდროთ, როგორც ეს უკავი ჭარბელაქნის ლეკებსა, წუქეთსა და შაქსაო.

რა ეს განკარგულება მოახდინა და ლეკთაგანაც მიიღო იმედი, შირვანის ბეგლარ-ბეგს იუსუფ-ხანს მისწერა, რომ ნუხის მხრიდამ ისმოსდგომოდა კახეთს. ამგვარად ერთ მხრი იყო შირვანისა და წუხეთის ჯარი, მეორეს მხრივ დაღესტანი და ლეკობა, სამი-ოთხი მხრიდამ მიუსია აბაზმა თვისი ჯარები, რომ ამ ნაირად სულ შუაში გამოემწყვდია მთელი კახეთის ხალხი. ისკანდერ მუნშის სიტყვით, შაჰმა გასცა ბრძანება, რომ ყველა ვაჟკაცი, ვინც უნდა ყოფილიყო, დაეხოცნათ, დედაკაცები და ბავშვობა დაეტყვევნათ. აქ დადგა კახეთისათვის ის დღე, რომლისაც მსგავსი, მემატიანეთა თქმით, საქართველოს გაჩენიდამ ჯერ ქართველებს არ დასდგომოდათ და ჩვენ დაუმატებთ, რომ, არამც თუ ქართველთ, და, თითქმის, არა ხალხს ეს დღე არ გამოუვლია.

მისცეს სიგნალი და იწყო მუსრვა კახელებისა.

მუსრი კახეთისა იწყო შაჰ-აბაზმა დავით გარეჯის ბერებიდამ.

ექვსი ათასი ბერი დავით გარეჯისა, შეყრილი აღდგომას ღამეს ყველა უდაბნოებიდამ ერთს ალაგას, დაჩირაღდნებული კელაპტრებით ხელში, უვლიდნენ უმთავრესთ უდაბნოთა ეკკლესიათ გარშემო ლიტანიას. ექვსი ათასს კელაპტარს ბნელა ღამეში გაჰქონდა პრიალი და ანათებდა შორს მიდამოს. „აღზდგენ ღმერთი და განიბნივნენ ყოველნი მტერნი მისნი!“ ათას ხმათ გაისმოდა გუგუნით უდაბურს მთებსა და ველებში, და ზედ რამდენიმე ათასის ხმითვე ერთოდა სიხარულისა და ნეტარების ხმა: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწამებელი!“ ამ ნეტარს დადადისსა და ღვთის დიდებას [illegible] ქრისტეს მმოსავი ბერები, რომ უცებ მოისმა გარშემო ათასობით ცხენების თქრიალი. შეიქნა საშინელი ჟრიამული. უიარაღო ბერებს ჩაერივნენ ცხენ-და-ცხენ დაშიშვლებული ხმლებით ხელში გაცოფებული სპარსთა ჯარები და შეიქნა საშინელი ხოცვა, ხოცვა უმღრთო, ხოცვა შეუწყნარებელი. ხოცვა ბარბაროსული!.. ბევრი სულ მოკლე ბერი ეცა სამალავს, დაანებეს წესს თავი, მაგრამ მეტმა წილმა, უფრო ღვთის მმოსავთა სულის კაცთა, არ შესწყვიტეს დიდება და შესხმა საიქიოდამ აღმდგარის ქრისტესი. ისინი უყურებდნენ ტაძარს ქრისტეს დიდებით, გასძახოდნენ: „აღდგეს ღმერთი და განიბნივნენ ყოველნი მტერნი მისნი!“ და იხოცებოდნენ ბარბაროსთაგან, ჯვრითა და კელაპტრებით ხელში.

ექვსი ათასი ბერი გასწყვდა იმ ღამეს, ისრე რომ ერთი კელაპტარი არ დარჩენია ამათგან სპარსთა მძვინვარე ჯარებს...

საშინელება იყო სპარსთა ჯარისა კახეთში შესვლა. ერტყმოდა ამ ქვეყნიურს სამოთხეს ყოველ მხრივ ჯარი, მიდიოდა წინ და მათ უკან რჩებოდა ცამდის აწვდენილი ცეცხლის ალები, ცეცხლს უკან— განაცრებული და გამტვერებული ქვეყნები. ხალხსაც ვისაც შეეძლო იარული იტყვევნებოდა, ვისაც არა და იხოცებოდა უწყალოთ, ჰხოცავდნენ ყველას, ვისაც შეეძლო ხმარება იარაღისა. დედების თვალწინ ისვრიდნენ მათს უსუსურს ბავშვებს მაღლა ჰაერში და სცდიდნენ მათზედ თავისი ხმლების მკვეთებლობას. ცოლების—ქმრებისა, დედების შვილებისა, გასათხოვარს და ზოგჯერ ისევ ნორჩ ბავშვს ქალების თავისი მშობლების წინ ჰბილწავდნენ და აძლევდნენ საშინელს სამარცხვინო და სატანჯველიანს გახრწნილებასა. აღარ იყო დანდობა არც დიდის, არც პატარისა, არც ქალის, არც კაცისა, არც სამღვდელოსი და არც ერის კაცისა, მთელს ქვეყანას მოუდო საერთო გოდება, საერთო განწირულება. მთელს კახეთს ადგა დღე აღსასრულისა მთელი კახეთი ესალმებოდა წუთი-სოფელს.

მით უფრო სავალალო იყო კახეთის მდგომარეობა, რომ არავინ არა ჰფიქრობდა გახიზვნას, რადგან ხალხი იყო დარწმუნებული,

რომ ყეენი ახლაც ისრე ღმობიერად და წყალობით მეპყრობოდა, როგორც პირველს შემოსვლაზედ, და ამის გამო იყვნენ გულ-დამშვიდებულნი. ახლა და მხოლოდ ახლა, როდესაც მტერი გარს შემოერტყა გალავანივით, ახლა დაინახეს თავისი შეცდომილება. მთელს კახეთში იყო განწირულება. მთელს კახეთს არ უჩანდა პატრონი. მთელი კახეთი იმუსრებოდა, მთელი კახეთი ისპობოდა ქვეყნის პირიდამ.

ამ დროს თეიმურაზ იმერეთიდამ უყურებდა ამ საცოდაობას, ამ გამოუთქმელს და მოსაგონათაც საზარელს 'განსაცდელს გმირი კახეთის ხალხისას, და არც ერთხელ, არც ერთხელ იმის გულში არ გაუვლია ფიქრს მოსულიყო და მომკვდარიყო ისიც თავის ხალხთან ერთათ გმირულათ შეეკლა თავიც და მთელი კახეთის ხალხიც გამხეცებული შაჰისათვის; თუ ვერ დაიცავდა ქვეყანას, დაეცვა მაინც პატივი და ნამუსი ვაჟკაცისა, დაეგდო ქვეყნად ქვეყნის საგლოვრად და მოსაგონებლად გმირული სახელი, როგორც თავისი, აგრეთვე მართლაცა-და გმირი კახეთის ხალხისა.

დარჩა კახეთის ხალხი უპატრონოდ, ნაღალატევი მეფისაგან, დიდებულთაგან და თვით შაჰისაგან, რომელმაც პირველი შემოსვლით ეს ასრე მიინდო; დარჩა გამოწყვდეული გარშემო მოდებულს ცეცხლების და შემორტყმულს მახვილების შუა, და აქ გაიღვიძა ნამდვილმა ხალხის გმირობამ. ხალხი აიყარა სოფლებიდამ, სადაც იმათ არ შეეძლოთ დადგომა და მაგრება, რადგან მტერი ისე მახვილით არა, როგორც ცეცხლით სძლევდა იმათ. მტერი მოდიოდა თუ არა, უკიდებდა ცეცხლს ვენახებს, საბძებს, ხის შენობაებს და ხალხი ემწყვდეოდა ამ ცეცხლებს შუა. ის გავიდა მინდვრად, მთებში, იწყეს მართვა სიმაგრეებისა, რომლებსაც სპარსთა მწერალნი უწოდებენ სიღნახებს. არტყამდნენ ამ სიმაგრეებს თხრილებს, ავსებდნენ თხრილებს წყლებით, შედიოდნენ ამ სიღნახებში ცოლშვილით, მთელი თავისი საქონლითა და სარჩო-საბადებლებით და ასრე უწევდნენ წინააღმდეგობას თავის მმუსრავებს, თავის მტყვევნელებს. გაიმართა გაბმით მთელს კახეთში ომი სპარსთა ჯარებისა და გამოწყვდეულს კახელებს შუა. ხშირად დიდის სიმარჯვით იტყუებდ-

ნენ ამ სიღნახში ჩამდგარი ქართველები და ადენდნენ მუსრს სპარსთა ჯარებს. სხვათა შორის ერთი ამ გვარი სიღნახი იყო გამართული ქართველების ალაზნის პირად. ათი ათასი მოსახლეობა იყო შეფარებული ამ სიღნახში. ამ ადგილს მოადგა სპარსთა ჯარი, რომელიც შესდგებოდა ყარჩებისა, გულამებისა და თუფაქჩებიდამ. აქ, ამ სიღნახში მდგომთ ჰქონდათ გამართული ალაზანზედ ხიდი ხისა. ამ ხიდზედ გავიდა ეს სპარსთა ჯარი და მოედო ყოველ მხარეს სალაფოთა, სატყვევნად და სამუსრავად. კახელებმა, რაკი ჰნახეს, რომ, რაცა ჯარი იყო სპარსთა აქ მოსული, სულ გამოვიდნენ ალაზანს, ჩაუჭრეს უცებ ხიდი და ეცნენ შემოსეულებს. შემოსეულთ იწყეს ბრძოლა თოფებით და სხვა იარაღით, რაკი დაატყეს, რომ ქართველობა იყო ბევრი, მოინდომეს გაქცევა და გასწიეს ხიდისაკენ. მაგრამ ხიდი დახვდათ ჩაჭრილი. გაღმიდამ გაიგო ამ ჯარების სარდალმა ჰუსეინ ბეგ შამშადილოელმა და გამოსწია მეტი ჯარით მოსაშველებლად, მაგრამ წყლის პირას დაუხვდნენ ქართველები და არ გამოუშვეს გამოღმა. შველა სპარსთა შეტყუებულს ჯარებს აქ აღარა ჰქონდათ, ქართველებმა ესენი სულ გასწყვიტეს, ასე, რომ რამდენმამე კაცმა ძლივს გაასწრო ქართველების მრისხანებას ცურვითა. ამ გვარი იყო ყველგან თავგამეტებული ბრძოლა ყველა სიღნახებისა.

ამგვარი გამაგრება და მეტადრე ეს მარცხი, რომელიც ჰნახეს სპარსთა ამ დიდს სიღნახში, უფრო და უფრო აბრაზებდა შაჰს.

იმან დააჭერინა ხსენებული ჰუსეინ ბეგი, სარდალი ამოწყვეტილი ჯარისა, გაჰხადა სამინლად უკადრისად მთელი ჯარის წინ, მისცა მერმე სამხედრო სამართალს, და სამხედრო სამართალმა გადუწყვიტა იმას სიკვდილი. ჰუსეინს უნდოდა თავის მართლება, მაგრამ ყურიც არავინ უგდო და შაჰის ბრძანებით მოსჭრეს იმას თავი.

შაჰმა გაჰგზავნა იმ დიდს სიღნახზედ ის ყარჩიხანი, რომელიც ბოლოს თავისი ჯარებით გახდა მსხვერპლი სააკაძისა. ყარჩიხანმა გასინჯა კარგად ეს სიღნახი, როგორც შაჰისაგან ჰქონდა ნაბრძანები. ქართველებსა ჰქონდათ მრავლად გამართული სათფარები და ჯებირები. აქ იყვნენ ისინი ჩასაფრულები და აქედამ ებრძოდნენ მოსულს მტერს. ყარჩიხანმა ამ სიღნახს შემოარტყა ჯარები. ჯარებს უბრძანა, რომ

გარეთ არავინ ქართველთაგანი არ გამოუშვათ და ზედ ყათმრეჯლმო-სვლა არ გაუბედნათ. თვითონ გაჰგზავნა და მოატანინა ციხის კედ-ლები დიდრონი ზარბაზნები და დაუშინა სათვრებს. დაუნგრია ამ ზა-რბაზნებით სათვრები და უბრძანა მაშინ ჯარს იერიშით მისვლა ქა-რთველებზედ. ქართველობა უსარდლოთ განაგებდა ისე საგანგებოთ საქმეს, რომ, თითქო მოთავეთ ჰყოლოდეთ ვინმე სარდლობაში გა-მოცდილი კაციო. ისე მედგრათ მოუგებნენ ისინი სპარსთა, რომ მთე-ლი დღის განმავლობაში ფეხი არ წაადგმევინეს წის სპარსთა ჯარებს. მოღლილმა სპარსელობამ საღამოზედ შესწყვიტა ომი.

ქართველნი დარწმუნდნენ, რომ დიდს ხანს გამაგრება აღარ იქნებოდა. იმ ღამეს, ვისაც შეეძლო და ჰყვანდა ან საქონელი, ან ცხენი, ან ურემი, გავიდნენ უკანა გზით და გაიპარნენ ღამე სათუშე-თო მთებისაკენ; ვისაც შეეძლო ომი, დარჩა უკან, სპარსთა შესაკავე-ბლად, რომ ისინი ვერ მოსწეოდნენ გაქცეულს სახლობაებს; ვისაც არ შეეძლო გაქცევა, დარჩა აქა. სპარსნი შევიდნენ მეორე დღეს და შემდგომ ცხარე ბრძოლისა, მოსწყვიტეს ყველანი, ვინც ვერ გაასწრო. მრავალთ მეომართ უშველეს თავს და იკავებდნენ სპარსთ, რომელ-ნიც გამოჰკიდებოდნენ მდევრათ მათ ცოლშვილს.

როგორც ეს დიდი სიღნახი, ისრე სხვა პატარა სიღნახები ებრძოდნენ შაჰს თავგანწირულები და არ აძლევდნენ თავის სიცო-ცხლეს და თავისუფლებას უსისხლოთ. ამ გვარი გამაგრებით და მთელს კახეთში გაბმული ომით მოასწრო კიდევ დიდძალმა კახე-ლობამ გასწრობა თუშთვშავ ხევსურების მთებში, დიდოსა, გაპუწსა და ანწუხში თავის ნაცნობებსა და ყონაღებში.

ოცი დღის განმავლობაში იყო ეს საშინელი მუსრვა და გა-ცხარებულ ბრძოლა კახეთში. ოცი დღის განმავლობაში თავისი ზარბაზნებით და ზამბურაკებით მთლათ დაანგრიეს და გასწმინდეს სპარსთ ყველა სიმაგრენი, სადაც შეეხიზნა თავი კახელობას და რო-მელსაც სპარსნი, თსმალების მაგალითით, ეძახდნენ სიღნახებს. იუ-სუფ ხან შირვანელმა აიღო, მთლათ მოსწვა და გაანადგურა ზეგანი,[1] ლეკნი იგლებდნენ მთელს კახეთს და ჰმუსრავდნენ გასახიზნათ

[1] საინგილოში დევს, კახის ანუ კაკის მახლობლათ ნაქალაქევი.

გაცვივნულს ხალხს, იტაცებდნენ მათს სარჩო საცხოვრებელს და მიჰქონდათ ალაფად; სპარსნი დადიოდნენ და როგორც მხეცნი დაეძებდნენ კიდევ სადმე გადარჩენილს ქართველობას მოსასპობლად და ჰმუსრავდნენ შეუწყალოდ. „მთელი კახეთი ჩავარდა იმ საზარელს დღე-ში,—ამბობს ისკანდერ მუნში,—რომლისაც მსგავსი დღე ჯერ ქრი-სტიანთ არ დასდგომიათ მუსლიმანთაგან მას აქეთ, რაც გაჩნდა ქვე-ყნად მუსლიმობა. მოიკლა სპარსთა ხელით სამოც-და-ათი-ათას-სულზედ მეტი. მშვენიერი ქალი და ვაჟი, ცოლი და შვილი ქარ-თველობისა იყვნენ წაყვანილი ტყვედ, ჩემი ანგარიშით ას-ორმოც-და-ათი-ათასი სული“.

მისსიონერ ჯუსტო პრატო 1633 წ., ამას გორიდამ სწერს რომში სხვათა შორის, რომ შაჰ-აბაზმა 60,000 კომლი გადაასახ-ლა, და კომლში ოცს სულზედ ნაკლები არ ირიცხებაო.[1])

ეს შეარდგენს 1200000. შეიძლება, ეს რიცხვი კი მეტად გა-ზვიადებული იყვეს, მაგრამ იმისი ნახევარიც რომ ვიანგარიშოთ შეა-რდგენს 600000 სულს. და ჩვენ ბევრში გვმართებს დაჯერება ამ მისსიონერთა, რადგან ისინი ყოველთვის სცდილობდნენ ნამდვილი ცნობები შეეკრიბათ და ისრე მიეწოდებინათ პაპისთვის. ასრე, რომ ეს რიცხვი, თუ არ ექვსი ათაზზედ მეტი, ნაკლები მაინც არ იქნე-ბა. თუმცა, საფიქრელია, რომ ეს რიცხვი მარტო იმ დროს წა-ყვანილთა ტყვეთა არ არის აღწერილი და უნდა იყვეს ყველა იმ ტყვეთა რიცხვი, რაც სამას შემოსევაზედ ამისის ჯართა წაასხეს ქართლ-კახეთიდამ.

კახეთი თითქმის განახევრდა. ას-ორმოცდა-ათი-ათასი წავიდა ტყვედ, სამოც-და-ათი-ათასზედ მეტი მოიკლა. ისხან ლორისტანე-ლის თქმით მოიკლა ასიათასი სულზედ მეტი. მოაკლდა კახეთს ორას-ოცი-ათას-სულზედ მეტი. [2]) ჯიუსტო პრატოს სიტყვით მილი-ონზედ მეტიც

---

[1]) ა. ხახანაშვილი „ბატონყმობა საქართველოში“ გვ. 158. თამარა-შვილი „ისტორია კათოლიკოზისა „საქართველოში,“ გვ. 87.

[2]) შევადაროთ რიცხვი გადასახლებულთა ურიათა ანუ იუდიანთა, რომელსაც ასრე მწარეთ ჰგოდებს იერემია და რომელზედაც ასრე მწარეთ

საშინელი იყო სასჯელი, საშინელი იყო ზარალი, მაგრამ ამაზე არა სჯერდებოდა, იმას უნდოდა მთლად შემუსვრა კახეთისა, თუ, ისკანდერ მუნჯისაგან სიტყვით, არ მოსვლოდა ცნობა, რომ ოსმალეთ შეჰკრიბეს ჯარები შაჰის სამტროდ მუშათის მახლობლად და ემუქრიან სპარსეთსაო. ამან აიძულა შაჰი, გამოსულიყო კახეთიდამ.

ის დაბრუნდა თბილისს. თბილისში დარჩა რამდენსამე ხანსა, გაამაგრა თბილისის ციხე, რომ მზათ ყოფილიყო, ვინიცობა შემოვი-

---

მოსთქვამენ ებრაელთა მწერალნი და წინასწარმეტყველნი, ქართველთა გადასახლებულთა, რომელზედ სომხების მწერალი არაქელ თავრიზელი და სპარსი ისკანდერ მუნჯი უფრო მოსთქვამენ, ვიდრემ ქართველი მწერალნი და რომელზედ კრინტიც არ დაუძრავს პოეტს მეფე თეიმურაზს პირველს, რომელიციყო ამ დროს მეფე კახეთისა და მიზეზი ამ საშინელი თავისაცა და კახეთის უბედურებისაცა.

აი რიცხვი ნაბუქოდონოსორ მეფისაგან გადასახლებულთა ურიათა. მოვიყვანთ აღრიცხვას, შემდგარს იერემიასაგან და შეტანილს დაბადებაში.

„აი რიცხვი ერისა, რომელიც გადაასახლა ნაბოქოდონოსორმა,-ამბობს ერემია, რომელიც თვითონ იყო დამსწრე ამ ამბებისა და ბევრში მიზნიც თავისი გულის გამტეხი წინასწარმეტყველებაებით, რომელსაც კიდეც ურიოდნენ მხედართ მთავარნი ამასა:-მეშვიდესა წელსა (ნაბუქოდონოსორის მეფობისასა) სამი-ათას-ოცდა-სამი იუდიანი. მეთერთმეტესა წელსა გადაასახლა რვაას ოც-და-ორი სული. ოც-და-მესამესა წელსა მეფობისი ნაბუქოდონოსორისა გადაასახლა ნაბუზარდანმა (მხედართ მთავარი ნაბუქოდონოსორისა) შვიდას-ორმოც-და-ხუთი სული. სულ ოთხი-ათას-ექვსასი სული“. ესეც სულ სხვა-და-სხვა დროს.

აი, რას მოსთქვამდნენ ესრეთ მწარეთ ებრაელთა მწერალნი და წინასწარმეტყველნი. ეს ამბავი გაავსეს ათასი პოეტური თქმულებაებით, შეაზავეს ათასი სასწაულებით, ათასი ფერად-ფერადი შესამკობარი პოეზიით სავსე ნაწერებით და სხვა, მოჰფინეს ქვეყნად და დღესაც უვსებენ ქვეყნას ამ ამბებით წყლულით გულს.

აი რიცხვი შაჰაბაზისაგან კახეთიდამ გადასახლებულთა ქართველთა, რომელსაც აღგვირიცხავს ეგრეთვე დამსწრე თანამედროვე ამ საქმეებისა სპარსი ისკანდერ მუნჯი ანუ როგორც ზოგნი ეძახიან მუნში. „მოიკლა სპარ-

დიდხენ ოსმალნი, მოაწყეს ქართლში თავისი ერთგული ბაგრატ[illegible]ის საქმეები და გასწია სევანგის ანუ გელაქუნის ტბაზედ (დღევანდელ[illegible]

აბაზი სრულიად დარწმუნებული იყო, კახეთი თუ [illegible] არა, ისრე მაინც მოსპო, რომ ის თავის დღეში აღარ გამოდგებოდა და საუკუნოდ მის არსებობას ბოლო ჰქონდა მოღებული. მაგრამ, წარმოიდგინეთ შაჰის გაოცება, იმას როდესაც მოუვიდა გელაქუნს ტბაზედ ამბავი, რომ კახეთში შეიქნა ისევ მოძრაობა, კახელები ბინავდებიან თავთავის ადგილსა.

გავიდა თუ არა აბაზი კახეთიდამ და წავიდა გოქჩის ანუ გელაქუნის ტბაზედ, დავით ასლანიშვილი, ანუ ჯანდიერი, მართლაცა და დაუვიწყარი ქვეყნის ერთგული და ხამდვილი გმირული გულის შემატკივარი, ამასთან თამაზ ვაჩნაძე და დალი მელიქი ანუ დალუ—მაჭმადი შირვანელი, მოცვივდნენ კახეთში იმერეთიდამ და დაუწყეს ქვეყანას პატრონობა. იმათ საჩქაროდ დააბრუნეს გახიზნულები, დაამკვიდრეს თავის ადგილას, გაამხნევეს ალაგობრივ დარჩენილი და აბაზის ხმალს გადარჩენილი, იწყეს მკვიდრება და მაგრება. იმათ მოუცათ გული, რომ აგერ ოსმალებიც მოუშველდებიან. ამასთან ამათ მოიმხრეს რომელიმე თემები განჯის სამოურაოდამ, მუნჯის თქმით, დანაკელნი, და აუმალეს განჯის მოურავს, მაჭმად-ხანს, შაჰის ერთგულს. ამ დანაკელთ მოწყვიტეს მაჭმად-ხანის მომხრე და ერთგულნი. აბაზი იდგა იმ დროს აქ მახლობლად. ამან გაუსია ჯარი და მოსწყვიტა მათგანი მრავალი.

რაც შეეხება ოსმალთა, რა მოხდა და როგორ იყო, რა უყო შაჰმა და რა მოუხერხა ამათ, რომელნიც სრულიად მზად იყვნენ საომრად წამოსასვლელად,—ისინი, როგორც დიარბაქარში შეკრების დროს, როცა აბაზი იმ ხანად მიდიოდა კახეთის შესამუსრავად, დარჩნენ თავის ბინაზედ და არაფერი შემწეობა არ მისცეს ქართველებს. ან ძალიან შესაძლებელია, რომ ისინი ვერ დაიძრნენ დიდი ზამთრის გამო და ამასთან შეუშინდნენ შაჰსაც, რომელიც იმათ გა-

სთა ხელით სამოც-და-ათიათას სულზედ მეტი. ას-ორმოც-და-ათი-ათასი წავიდა ტყვედ„. მისიონერი ჯუსტო პრატოს სიტყვით 1200000 წაიყვანეს ტყვეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუდგა გზაზედ, დაიჭირა ისეთი სტრატეგიული პუნქტი, სადა-მაც შეეძლოთ დაეჭირა ისინი საქართველოშიაც და სპარსეთშიც შეუ-სვლელად.

შაჰმა საჩქაროდ გაუსია კახელებს დიდი ჯარით გამოცდილი ამ ომებში თავისი სიძე ისაკ-ხან ყორჩიბაში, რომელმაც, შემდეგ მარაბდის ომში აჯობა ქართველთა.

. არც დავით ასლანიშვილი (ჯანდიერი), არც თამაზ ვაჩნაძე, არც დალი-მლიქი არ ელოდნენ, რომ შაჰი, რომელიც ის იყო გა-ვიდა კახეთიდამ და გაიყვანა თავისი ჯარები, ისევ დაბრუნდებოდა ან შემოუსევდა ასრე უცებ კახეთს ჯარებსა. იმათ თქმა არ უნდა არა ჰქონდათ დიდი მომზადება, რომ დაჰხვედროდნენ სპარსელებს, და, თუნდა კიდევ რომ ჰნდომებოდათ, ასრე უწყალოთ მოწყვეტილს და აკლებულს კახეთში სადღა მოხერხდებოდა იმოდენა ძალის მოკრე-ფა, რომ შესაძლებელიღა ყოფილიყო სპარსთა გამკლავება. შეიტყვნენ თუ არა სპარსნი კახეთში, თქმა არ უნდა მოასწრეს ახლად მოშენე კახელებს სრულიად მოუმზადებლებს. სპარსთ მისცეს ახლად ცეცხ-ლი ყველა ახალსა და წინად გადარჩენილს სოფლებსა და შენობებს უწყეს მუსვრა და ტყვევნა მთელს ხალხს დიდიდამ პატარამდის.

დავით ასლანისშვილმა და მისთა მომხრეთა, რაკი ჰნახეს ესა, შეჰკრიბეს საჩქაროზედ მთელი ხალხი, ვინც-კი მოასწრეს, შეიყვანეს ხეობებში, უკან მოუყენეს ჯარები და დაიძრნენ საღეკო და საქარ-თველოს ხალხების მთებისაკენ.

სპარსთა გაიგეს ესა და გამოუდგნენ. ისინი მოეწივნენ მთის ხეობაებში, მაგრამ ქართველობას მომეტებულმა ნაწილმა შეასწრო და უკან ჩამომდგარი ჯარი იმაგრებდა სპარსთა ჯარებს.

მეტი ჯარი სპარსთა გამოეკიდა იმ მხარეს, სადაც დავით ას-ლანისშვილი ჯანდიერი და სხვა უმთავრესი კახეთის მოთავენი იყვ-ნენ და სადაც უფრო მეტი გამხიზვნელი ხალხი მიდიოდა.

გამხიზნელი ქართველობა მიდიოდა საშინელი საცოდაობით და შევიწროებით. თქმა არ უნდა, ამათ დიდი ბარგით და ხაბაკით წამოსვლა არ შეეძლოთ. მეტი წილი იყო ქვეითი, დანაშთენი ცხე-ნითა თუ სახედრებით. ისინი მიდიოდნენ თოვლიანს გაყინულ

ვიწრო მთის ბილიკებსა და ფრიალოებზედ. წვრილფეხობა და უძლურნი რჩებოდნენ გზა-გზა და შეჰვედრიდნენ ღმერთს [illegible]ლოს მოდებას. ყოველს ნაბიჯზედ ეყარა უძლურებისა, სიმშილისა და ყინვისაგან დახოცილები.

სპარსთა უმთავრესი ძალა მოეწია ამათ. სპარსელებმა დაინახეს საცოდავი და გაჭირვებული მოძრაობა ქართველებისა. არ დასჯერდნენ შიგ კახეთში ამათს მუსრს, ისინი მისდევდნენ ამათ ცის კიდემდისაც, მისდევდნენ თვით ქვეშკნეთამდის.

სპარსნი გაეჩქარნენ და მოსწვდნენ ქართველებს. სპარსთათვის ადვილი იყო მოწევნა ქართველებისა, რაკი ისინი იყვნენ სუმბუქად, და ქართველებს მიჰყავდათ ცოლშვილი, მოწყვეტილი ქვეითობისა და ყოველრიგი შეჭირვებისაგან.

მაშინ დავით ასლანიშვილმა—ჯანდიერმა და სხვათა გასწიეს საჩქაროდ ერთი ვიწრო ხეობისაკენ, სადაც მიდიოდა ვიწრო ალაგას ცალფეხი ბილიკა. ხაზაკი, ქალები და ვისაც არ შეეძლო იარაღის ხმარება, გაისტუმრეს წინ; ვისაც შეეძლო იარაღის ხმარება, ჩამოაყენეს უკან და ჩაუსაფრდნენ წათამამებულს სპარსთა. მოვიდნენ სპარსნი საფარს შუა, და შეიქნა აქ მუსრი სპარსელებისა. ქართველობამ ჯერ მოსცა ამათ თოფები. ჰკრეს თოფი შიგ გულში ფეიქა-ხანის ძმას ჰუსეინ-ბეგს და გადმოაგდეს ცხენიდამ. ეს მოხვდა თოფი ბეგთა-ბეგს უზბაშს ეგრეთვე გულში და გადმოვარდა ცხენიდამ. ეს მოჰკლეს სწორედ იმ დროს, როდესაც ის იყო იმან დაუქნია შუბი ერთს ქართველთ ჯარის წინამძღვარს. მოუკლეს ცხენი და დასჭრეს ისპანის მირ-თათამ-ბირ-ბაში, რომელიც თუმცა გამოიტაცეს ჰუსეინ-ბეგის ცხენით სპარსთა, მაგრამ მაინც მოკვდა ესეთ გზაში. ქართველობამ უწყო უწყალო მუსრვა სპარსთ, რომელნიც მოეწყვდნენ ვიწრო ალაგებში. ვიდრემ კარგათ დაჰღამდებოდა და მკლავები და ჯანი მოეღლებოდათ, ჰხოცეს ქართველებმა სპარსნი და იყარეს გულის ბუხარი. როგორც სჩანს ისკანდერ-მუნჯის სიტყვიდამ, დიდი ჯარი უნდა გაწყვეტილიყო ამ ბრძოლაში სპარსელებისა, ასრე რომ ამას სთვლიან სპარსნი საშინელს თავის დამარცხებათ. ღამემ იხსნა გადარჩენილნი სპარსნი, რომელნიც ზარდაცემულნი დაბრუნდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ უკან. დიდი ალაფი ამათი დარჩათ კახელებს, რომლითაც მიეცათ დიდი შემწეობა ამათ წამებულს ცოლშვილსა.

ვინც გაასწრო უშველა თავს, ვინც არა და ან ვისაც მოასწრეს სპარსთ ხეობაებში და ვიწრო მთებში შესწრებამდის, ადენდნენ მუსრს, სტყვევნიდნენ, სწვამდნენ, უდებდნენ ცეცხლს, ანადგურებდნენ. იწოდა მთელი კახეთი, იწოდა ქალაქები, სოფლები, ციხე-გალავნები. მთელს კახეთს ედო ცეცხლი, მთელს კახეთს ჰნთქავდა სპარსელებზედ უფრო გააფთრებული ცეცხლის ალი. მთელი კახეთი ირწყოდა კახთა სისხლით. მთელი კახეთი უყურებდა თავის ცოლ-შვილის, თავის მშობლების, თავის ქმარშვილის, თავისი და-ძმის, თავისი საყვარლის თავის თვალ-წინ წამებას, მუსრს, ტყვევნას, გაღრწნას, გაუპატიურებას. მთელი კახეთი ჰხედავდა თავის აღსასრულს. მთელი ლეკი და დაღესტანი მოსდებოდა მეძებრებივით ტყეებსა და მიუდგომელს ადგილებში და, ვინც-კი გადარჩენოდა სპარსთა, ესენი თითო თითოთ ან მთელი სახლობაებით იჭერდნენ, ჰხოცდნენ, ჰპილწავდნენ, სტყვევნიდნენ. მთელი კახეთი დაიცალა. მთელს კახეთში აღარ იყო ქართველი კაცის სახსენებელი. მთელს კახეთს მოედო მძოვრის სუნი. მკვდრები ეყარნენ უპატრონოდ, დაუმარხავნი, მრავალს ჰხდებოდა უპატრონოდ დაჭრილობისაგან სული, მრავალი ბავშვი, მამაკვლავი მტრის მახვილისაგან, უძახდა განწირულებით დედას, აწვდიდა მშობელს ძუძუს ხელს, და არსად მშობელი, ერსად მახლობელი, მის წინ იდგა მტერი მახვილით ხელში და უღებდა მათ ნორჩს სიცოცხლეს ბოლოსა. მგელი, აფთარი, სვავი, ყვავ-ყორანი ერთმანეთში არეულნი მიჰსეოდნენ უპატრონო მკვდრებს, სჭამდენ და აგლეჯავდნენ ხორცს ზოგჯერ ისევ ცოცხალს, მაგრამ მათ მოსაგერებლათ მოუძლურებულს ადამიანებს. მთელს კახეთში იდგა უპატრონოდ გაშვებული ძაღლების ყმუილი. სანახაობა იყო რომლისაც აღწერა, როგორც მოგვითხრობს მემატიანე, არა კალამს, არა ენას არ შეუძლიან.

ამ ყორჩიბაშის შემოსევაზედ, გარდა მდაბიო და შეუნიშნავი ხალხისა, მოსწყდა სპარსთაგან, ისკანდერ-მუნშის სიტყვით, ორი ათასიდამ ათი-ათასამდის გამოჩენილი და სახელოვანი საუკე-

თესლო ქართველი. ეს უათლანი ყორჩიბაშის შემოსევაზე უფრო მძი-ტოდ დაემართა კახეთს, ამბობს იგივე ისკანდერ-მუნში, რომ სა-შინელი თოვლებისა და ყინვების გამო ვერ გაასწრეს ქართველებმა გასვლა სახიზნავს ადგილებშიაო.

სპარსნი გავიდნენ კახეთიდამ ალაფითა და ტყვეებით გავსილნი.

რამწამს დაიწყეს კახეთის ჟლეტა და მოსპობა, ელისენელებმა (დღევანდელი ჭარ-ბელაქანის ადგილები) და ბევრმა სხვა კახელებმა, სამი-ათას კომლამდის, რომელთაც ჰნახეს, რომ შველა აღარ სად იყო, თუმცა ჯერ მტერი არ მოსდგომოდათ კარსა, სთხოვეს აბაზს, მიეცა იმათთვის ნება მიზანდარანს გადასახლებისა. შაჰმა მისცა ნება და ისინი დაასახლეს ფერუხ-აბადს.

გადარჩენილი კახელობა არა წყნარდებოდა. სპარსთა მახვილს გა-დარჩა ხორნაბუჯის, ანუ დღევანდელი დედოფლის წყაროების ადგი-ლების ციხე—სიმაგრენი. ეს იმ საშინელს ზამთარს ვერ აიღეს სპარსთა ჯარებმა. აქ შეხიზნული ხალხი საშინელი სიმარჯვით და თავგამეტე-ბით ებრძოდნენ სპარსთა. გავიდნენ სპარსნი, და ესენი მაინც არ ანებებდნენ სიმაგრეს თავსა. ამასთან გახიზნულმა და გადახვეწილმა კახელობამ ზოგმა იწყო ისევ მოსახლეობა და ზოგმა თვისი სახიზ-ნავი ადგილებიდამ თარეშობა სპარსთა დარჩენილს ჯარებზედ. ახლა თვითონ შაჰაბაზ ჩამოვიდა ისევ გელაქუნიდამ და მოადგა ხორნაბუჯს. შაჰმა შეუკრა ამათ წყალი. ისინი იკვებებოდნენ წვიმის წყლით, რომელიც ჰქონდათ განგებ გაკეთებულს საწყლეებში შენახული. როდესაც შემოაკლდათ წყალი და საზრდო, იმათ ნახეს, რომ წასუ-ლი იყო ამათი საქმე და გაუგზავნეს ქართლის მეფეს ბაგრატს კაცი, რომ ეშუამდგომლა შაჰთან და გადერჩინა შემუსრვას. ბაგრატმა შეუსრულა თხოვნა. შაჰმა შეიწყნარა ბაგრატის შუამავლობა. ზოგს აქაურს ქართველობას მისცა ნება, რომ გადასახლებულიყვნენ ქართლ-ში, ზოგი გაისტუმრა აგრეთვე ფერუხ-აბადს. ციხე დაიჭირა შაჰმა და ჩააყენა შიგ თავისი ჯარები. შემდგომ გაუსია ჯარები მათ, ვინც კიდევ ჩამოსულიყვნენ კახეთში. ვინც იმათგანმა ვერ გაასწრო, მთლად მოამუსრვინა.

მიწყნარდა კახეთი. შაჰ-აბაზმა დაიმშვიდა გული: იმის აზრით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ იყო კახეთი, აღარ იყო კახელობა. ისკანდერ მუნჯი ამბობს, რომ კახეთში კვალიც კი აღარ დარჩა კახელ კაცისაო.

იქცა კახეთი უდაბურათ, მხეცთა სადგურად. აღსრულდა ნატვრა მეფის ალექსანდრესი: კახეთი გადაიქცა მთლად სანადიროდ, ეს არის ვერ მოესწრა ეს სახელოვანი მეფე ამ ბედნიერებას, რომ თავისუფლად ენადირა ახლა უხალხო კახეთში.

ეს მდიდარი და ყოვლისფრით სავსე ქვეყანა, რომელიც იძლეოდა აუარებელს სარჩოს და შემოსავალსაო, „თეიმურაზის სისულელით“ მთლად დედამიწასთან განადგურდაო, ამბობს ისკანდერ-მუნჯი.

ისრულა შაჰმა გული, დარწმუნდა რომ კახეთის ძარღვიც-კი აღარა ჰფეთქს და წავიდა საქართველოდამ.

კახეთში მორეკა ზოგიერთა თათართ ელი დაუფრო მზვარე და დაცემულს ადგილებში, რომელსაც ესენი იყვნენ დაჩვეულნი, დაასახლა ისინი. ხანობა კახეთის მისცა ფეიქარხანს[1]), რომელსაც ჰქონდა ნაბრძანები, რომ დანაშთენი ადგილებიც გაევსო თათრებით, და ცდილიყო ყოველი ღონით, გადარჩენილი სახიზნავებში ქართველობა ტკბილი ქცევით და მლიქნობით ჩამოეტყუებინა ვაკეზედ, რომ ისინიც მოესპო და მოეწყვიტა.

---

## ბოლო ქართველთა ტყვეებისა.

საშინელი სანახავი იყო გზა-გზა აერილი გადასასახლებლად ქართველობა, რომელთა შორის ბევრნი იყვნენ შირვანელნიც, რომელსაც პიეტრო დელლავალლე ჩერქეზებს ეძახის. რადგან ჩვენი მწერალნი არ გვაძლევენ არაფერს აწერილობას, რომ საკმაოდ დავახატოთ მკითხველს გადასახლებულთა გზა-გზა თავ-გადასავალები, მოვიყვანთ პიეტრო დელლავალლეს სიტყვებს ამაზედ, რომელიც რამდენსამე წლის შემდგომ ამ გადასახლებისა იყო სპარსეთში, ენახა იქ ჩვენი

---

[1]) ავტორი მოურავის სიკვდილისა და პარიჟის ხელნაწერი საქართველოს ცხოვრებისა უწოდებენ ფეიქანის-ხანად.

ქართველობა და დაწვრილებით აქვს ყველა აწერილი.

„რა მდგომარეობა მოჰყვა ამ საზარელს გადასახლებას, სწუხს ის რომის პაპას, რამდენი სიკვდილი საშინელი გაჭირვებისაგან, რამდენი წყვეტა-ყლეტა, რა გლეჯა ძალადობით გადრეკნა და ბილწება, რამდენი ჩვილი უმაწვილი დაარჩვეს მამებმა თავისივე ხელით ან ჩაყარეს წყლებში, რომ არ უყურონ მათს საცოდაობას და სატანჯველს, რაკი ყოველს ღონეს იყვნენ მოკლებულნი მათს საპატრონოდ! რამდენსა ჰყლეტავდა გზა-გზა დაცვივნულებს ან მათ, რომელთაც აღარ შეეძლოთ სიარული, სპარსთა მხედრობა! რამდენი ბავშვი მოჰგლიჯეს ამათ დედის ძუძუს და დაჰყარეს გზებზედ მხეცების შესაჭმელად, ცხენებისა, აქლემებისა და ჯორების ფეხქვეშ სასრესავად; ჯარი და მათი საბარგული პირუტყვნი შეუწყალად გადადიოდნენ დაშორეს მამაკვდავს გზა-გზა დახოცილს ხალხზედ. რამდენი სპარსთ მამა-შვილს, ცოლი ქმარს, და-ძმას და გაჰყიდეს ერთი ერთმანეთიდამ შორის შორს ქვეყნებში, ისრე რომ ეს საწყალები საუკუნოდ იყვნენ იმედ გადაწყვეტილნი რომ ენახათ კიდევ როდისმე ერთმანეთი! რამდენი ქალი და კაცი იყიდებოდა პირუტყვზედ უფრო იაფად. რამდენი სხვა ამისთანანები ჰხდებოდა ღირსი სიბრალულისა, მაგრამ ყველას ვინ მოსთვლის!“

აყრილი კახელობა ჯერ ჩაიყვანეს დაბრს, მტკვართან, ყარაბაღსა და განჯას შუა, სადაც დააბინავეს რამდენსამე ხანსა ვიდრემ ყველა აყრილს ხალხს შეჰკრებამდნენ აქ ერთათ. აქედამ წაიყვანეს და დაასახლეს, როგორც მოგვითხრობენ პიეტრო დელავალლე და არაქელი, იმისთანა ადგილებში, სადაც უფრო ნაკლებ იყო ხალხი და რომელიც უფრო დამცდელი ადგილები იყვნენ. ისინი დაასახლეს ფარაბათს, მაზანდარანს, ხვარასანს, ქირმანს და სხვა ადგილებში. დელავალლე მოგვითხრობს, რომ ეს ადგილები იმის იქ ყოფნის დროს (1617—23 წ.) „სავსენი იყვნენ ქართველებითა და ჩერქეზებით (როგორც ვთქვით შირვანელებს ეძახის დელავალლე ჩერქეზებს), რომელნიც გადმოვიდნენ რამდენიმე ხნის წინად როგორც ითქვა ზემოდ, ეს იყო ალექსანდრე მეფის დროს ოსმალთა და სპარსთა შირვანში ომების დროს, თეიმურაზის სამეფოში (კახეთში.), თავის ქვეყნის სიახლო-

ვეს, და დაესახლნენ ქართველებთან, რომლებთანაც ისინი დანათე-სავდნენ და სრულებით შეერთდნენ, და როგორც ქართველნი, ისი-ნიც კახთა მეფის ქვეშევრდომნი იყვნენ. ეს გადასახლებულები უმე-ტესი ნაწილი არიან დასახლებულნი ფარსისტანსა და მაზანდა-რანში; უჭირავთ არამც თუ ქალაქები და მაზრები, არამედ მთელი ქვეყნებიც, სადაც მათს მეტს ვერავის ვერ შეხვდებით“.

„უმეტესი ნაწილი, დელლავალეს თქმით დარჩნენ დღევანდლა-მდის ქრისტიანებათ... თავად-აზნაურობამ, რომელნიც არ არიან დაჩვე-ულნი შრომას და მოთმინებას, მხედრობის უმეტესმა ნაწილმა და ბევრმა ხალხთაგანმაც მიიღეს მაჰმადიანობა, ზოგმა ანგარებით, ზოგმა პა-ტივის მოყვარებით, რადგანაც შაჰი ახარებს მათ, ვინც იცვლის სჯულსა. მომეტებული ნაწილი იღებს მაჰმადიანობას გაჭირვებისა გამო, რომ სიმშილით სიკვდილს გადაარჩინოს თავისი თავი და თა-ვისი ცოლშვილი. ამგვარი გამაჰმადიანებული ხალხი თანდათან ხში-რდება და ყოველ დღე მატულობს. ამათგანი ვინც კარგია და გა-მოდგება მეომრად, შეჰყავს თავის ჯარში. ის თავის ჯარს ავსებს ამგვარი უცხო ხალხისაგან, რომელიც იღებს მაჰმადიანობას. ის გან-გება ჰკრებავს ამგვარს ჯარსა, რომ ამათი ძალით დაემონებინა ამა-ყი სპარსელები, რომელნიც არ უდებდნენ აგრე რიგათ შაჰს თავსა. ამგვარად დღეს შაჰის ჯარებში ოც-და-ათი ათასი მეტი ქართველია“.

„გარდა ზემოხსენებული ქართველებისა, რომელნიც არიან და-სახლებულნი და ჯარში აყვანილები, არიან მრავალნი იმისთანანიც, რომელნიც მონებათა ჰყავთ წამოყვანილები იმ საშინელი აურილო-ბის დროს, რომელიც მოახდინა შაჰმა საქართველოში. იმათი რი-ცხვი ისრეთი დიდი არის, რომ დღეს არ მოიპოვება არც ერთი სახლი მთელს სპარსეთში, რომელიც სავსე არ იყვეს ამისთანა ქარ-თველებით: კაცით თუ ქალით. იქ არ არის იმისთანა დიდი კაცი, რომელიც არა ცდილობდეს, რომ ყველა ამისი ცოლები ქართველები იყვნენ, იმიტომ რომ ქართველი ქალები არიან მშვენიერნი. თვით შაჰის სასახლე სავსეა ქართველი ქალებით და ვაჟებით“.

რაც ხანი გადიოდა, იმდენად უარესს მდგომარეობაში ვარდე-ბოდა სპარსეთში გადასახლებული ქართველობა. ჩაცვივნულნი შუ-

ჩვეველს ჭაერსა და მიწა-წყალში, შეწუხებულნი მგზავრობით, ატანილი სამშობლოს ნახვის სურვილით, გულმოკლულნი მხ[illegible] წამებით, ხოცვით, დაშორებით, გამოვლილნი იმ საშინელს სანახავებსა, რომელნიც მოხდნენ ამათ თვალწინ ამათს სამშობლო ქვეყანაში, ამათს თავზედ გზასა და უცხოობაში, თავის თვალით მნახველი თავის თვალწინ თავის სარჩო საცხოვრებლის დაწვისა და გამტვერებისა, დასახლებულნი მრჩოლს ადგილებში,—ამათ იწყეს ავადმყოფობა და ვადება, ისრე რომ სრულიად დაჰკარგეს ღონე მუშაობისა. უმუშაობას მოჰყვა საშინელი სიმშილობაცა. სიმშილს უფრო და უფრო ერთობოდა ავათმყოფობა, ავათმყოფობას კიდევ სიმშილი. სიკვდილი უწყალოთ ავლებდა ქართველობას მუსრს. იმათ დაჰყიდეს ისიც, რაც-კი რამ ხაბაკი ან პირუტყვი ჩამოჰყვათ სამშობლოდამ და დარჩნენ სრულიად უსახსრონი. ისინი სჭამდნენ ბალახს, თიხას, დადიოდნენ სულ მთლად დედის შობილანი, ფერი დაედოთ აკლდამიდამ ამოღებული მკვდრებისა. გლახაობდნენ კარის კარს, მაგრამ ამათი გამკითხველი აღარ იყო არავინ. ფარაბათს მოვიდა შაჰი. ქართველები ელოდნენ თავის მტყვევნელისა და ამომწყვეტისაგან ახლაც არის ტყვეობაში, უკანასკნელს განწირულებაში, შებრალებას. ისინი გაინართხნენ შაჰის წინ დედამიწაზედ, შესჩივლეს თავისი საშინელი გაჭირვება. მაგრამ შაჰმა მრისხანეთ გამოუცხადა იმათა, რომ მინამ ისინი არ დასტოვებენ ქრისტიანობასა, არ იწამებენ ყორანს და არ დადგებიან მაჰმადის სჯულზედ, არაფერს შაჰისაგან არ მიიღებენ. თუ გამაჰმადიანდებიან, მაშინ შაჰი მისცემს ამათ ყოველს თავის შემწეობას, გააკეთებს და გაამდიდრებს ამათ, უჩენს ყოველს თავის დიდსა და მდიდარსა წყალობასა.

იმათი მდგომარეობა იქამდის იყო მისული, როგორც მოვითხრობს არაქელ,—რომელიც თვითონაც ბოლოს ხანებში იყო ამათი მნახველი,—რომ მეტი ტანჯვისა და წამების ატანა აღარ შეეძლოთო. ამათ შეასრულეს შაჰის სურვილი—დამაჰმადიანდნენ. მაგრამ, არაქელისავე სიტყვით, შაჰმა არ შეასრულა თავისი დაპირება, იმან არ მისცა იმათ არაფერი, გარდა მცირეოდენი შემწეობისა, რომელიც სათქმელიც არ არის და პირსაც არ მოსწმენდდა ამ საშინელს ყოფაში ჩაცვივნულს ქართველებსაო.

ერთმანეთზედ დართული სიმშილით, სიტიტვლით, უბინაობით, სნეულებით, უწამლობით, მოკლეს ხანში თითქმის სრულიად ამოწყდა აქ ქართველობა.

შირაზსა და ისპაანს გადასახლებული ქართველობა დაასახლეს ამისთანა მთა ადგილებში, რომელნიც უფრო მაღალი და ცივი ადგილები იყვნენ, გადასახლებული სომხების მეზობლად.

როგორც მოგვითხრობს პიეტრო დელლავალე, რაკი მეტს წილს ქართველებს აღარა ჰყავდათ მღვდლები, იმათ თან და თან ავიწყდებოდათ თავიანთი წესები, ბოლოს თვითონაც არ იცოდნენ, რა და როგორ ეწამებინათ: აღარც ერთს სჯულზედ აღარ იდგნენ. ბოლოს იწყეს დამაჰმადიანება, რომელზედაც შაჰი და იმისი მოხელენი ჰყავდათ მიდარაჯებულნი. შირაზის და ისპაანის თემებში დასახლებული ქართველობა სულ დამაჰმადიანდა და ბოლოს ისრეთი ფანატიკები გახდნენ, რომ, არაქელის თქმით, რომელსაც ესენი უნახავს 1659 წელსა, ორმოც-და-სამი წლის შემდგომ გადასახლებისა, ესენი უფრო სდევნიდნენ ახლა ქრისტიანებს,ვიდრე თვით სპარსელებიო. „როდესაც ჩვენ შეგვხვდებოდნენ სადმე გზაზედ, ჩვენს მშვიდობასა და გამარჯვების თქმასაც არ იღებდნენ, და საშინელი უშვერი პირით იხსენიებდნენ თავის მამა-პაპასაც და თავის წინანდელს სარწმუნოებასაც. ახალს სარწმუნოებას-კი აქებდნენ და ღმერთს მადლობასა სწირავდნენ, რომ ამისთანა წმინდა და ჭეშმარიტი სჯული მოგვმადლაო“.

გასწყდა მთლად შირაზს დასახლებული ქართველობაც საშინელი გაჭირვებისაგან, თუმცა მიიღეს მაჰმადიანობა. ქვეყანამ გადასწყვიტა, რომ საქართველოს საქმე საუკუნოდ წასული იყო. პიეტრო დელლავალლე მოახსენებს სპარსეთიდამ პაპს, სრულიად აღარ არის იმედი, რომ საქართველო კიდევ აღდგესო. იმისი შველა და ხსნა აღარა ძალას აღარ შეუძლიანო!..

შაჰი ჰხარობდა.

ერთიც კიდევ დაჰკროლვა საქართველოზედ და... გასწყევა ხსენება ქართველთა პირისაგან უოვლისა ქვეყნისა!..

ჰხედავდა ყველა ამას სააკაძე და იმის თავში ირეოდნენ ათასი

ტვინის ამაღლებელი და სისხლის შემწველი აზრები. ის ეფიცებოდა თავს, რომ მოჰზღვიოს და მოჰკითხოს აბაზს და სპარსელები ამოდენა სისხლი, ტყვეობა, მოწყვეტა და ცეცხლი საქართველოსა. ის ელოდა მხოლოდ დროს. ის სცდილობდა შეზავებულიყო მალე ეს დრო. ის თვით ამზადებდა ამ დროს ისრე, რომ თვით გამოცდილი და შორს მჭვრეტელი თვალი შაჰის ვერა ჰხედავდა ამას. სააკაძე იცნობდა შაჰს, იცნობდა სპარსთ. იმან შეაზავა და შეაზილა თავისი ქცევა იმათ ხასიათთან ისრე რო ისინი ჰხედავდნენ სააკაძეში თავის პირველს მოკეთეს. თუ არ ასრე, თუ არ ამოდენათ თავის დარევა, ერთიბეწვაც არის იჭვის შეტანა იმის ერთგულებაზედ, აბაზი ამას უფრო მალე მოუღებდა ბოლოს, ვიდრემ სხვა ვისმე, რადგანაც იცოდა ამისი ძალა, ამისი ცოდნება, იცოდა რაოდენათ საშიში იქნება იმისთვის ესა, თუ წაუვიდა ხელიდამ. თუ შეატყო რამ განზრახვა, თანაგრძნობა ქართველობისა, მაშინ უნდა დაიღუპოს, არამც თუ მარტო სააკაძე თავის ცოლშვილით,—უნდა დაიღუპოს მთელი საქართველო, მთელი ქართველი ხალხი.

ამან უნდა იქციოს გული ქვად, უნდა გულში ცეცხლი ენთოს, თვალებში სიხარული და ბედნიერება; უნდა ემზადებოდეს სამტროდ, და უჩვენებდეს თავს ისრე, რომ ემზადება სამოკეთოდ. უნდა გახდეს ნამდვილი და გენიოსი, სცენაზედ-კი არა,—ცხოვრებაში მოქმედი აკტიორი—ანუ როგორც წინათ შემოიტანეს სიტყვა მსახიობი.

---

## ლუარსაბ, ხოსრო მირზა და სააკაძე სარსეთში

თუმცა როგორც ვიცით, ლუარსაბი გადმოვიდა თუ არა იმერეთიდამ, მაშინვე გაავრთხილეს და გააგებინეს რომ შაჰმა საჩქაროდ არ გადმოგიყვანაო; თუმცა კიდეც ეცადა გაქცევას; მაგრამ შაჰი ისრე გარგათ, ისრეთის ალერსით, ისრეთი მამაშვილური სიტკბოებით ექცეოდა, რომ იმას, როგორც ბავშვს ისრე მიიტყუებოდა სპარსეთისაკენ. გორიდამ წაიყვანა თბილისს და ჰპირდებოდა, იქ გაგიშვებო. თბი-

ლისიდამ გაიპარტიჟა ყარაიაზედ სანადიროთ. ყარაიდამ-ყარაბადს სანადიროთვე, აქედამ—მიზანდარანს, თუმცა თავისავე დამ [illegible] ცოლმა, რომელმაც, როგორც ეტყობა, შენიშნა ახლა მაჭის ცუდი განზრახვა ლუარსაბზედ, გააფრთხილა, რომ ძნელი იყო ნდობა მაჭისა, მაგრამ ლუარსაბმა არც აქ დაიშალა თავისი კერპობა. ამასთან ამავე დამ გააფრთხილა, რომ არ ეჩვენებინა მაჭისთვის თავისი სიმამაცე და ვაჟკაცობა, არ გამოედო ნადირობაში თავი და არ ეხოცა ბევრი ნადირი, რომ მაჭი უფრო აღარ დაგინდობსო. და ლუარსაბისა, ლელა, ცოლი აბაზისა, მიხვდა, თუმცა გვიან, რომ იმის ქმარს კარგი არა ედო-რა ლუარსაბზედ გუნებაში. მაგრამ, თქმა არ უნდა არ იცოდა მიზეზი ამისი. ის მაჭის ძვირს გულს ლუარსაბზედ აბრალებდა მაჭის შურიანს გულს და ამის გამო აფრთხილებდა, რომ არ ეჩვენებინა იმისთვის თავისი სიმკვირცხლე და სიმამაცე. მაგრამ, ლუარსაბი, თითქო ჯაბრზედ, უფრო და უფრო სცდილობდა გამოეჩინა თავისი ცხენოსნობა და მოისრობა.

ყარაიაზედ გამართა მაჭმა ნადირობა. იმას ჰქონდა გაგონილი, რომ ლუარსაბი იყო კარგი მონადირე. ამითი უნდა ესარგებლა მაჭსა: ვითომც ძალიან მოეწონა იმისი ნადირობა და ამის მიზეზით გაეწვია ყარაბაღს. მაჭმა გამართა ყარაიაზედ ნადირობა დიდებული. გამართა თავისა და თავისი დიდებულების ჭარამისათვის შემკობილი ჩარდახები, რომ ეყურებინათ ნადირობისთვის. ყველა დიდებულნი თავისის ამალებით და მონადირეებით გავიდნენ სანადირო ასპარეზზედ, შემკულნი ძვირფასი იარაღებით და ძვირფას იარაღში ჩამსხდარი ცხენებით. მაჭმა დაუდო ნაძლევი ლუარსაბს, რომ მაჭი უფრო მარჯვედ ესროდა ამაზედ და უფრო ბევრს ნადირს დაჰხოცდა. ლუარსაბს თავის მოყვარეობამ ნება არ მისცა, გაეგონა დის რჩევა და არ გამოედო თავი ნადირობაში.

მაჭი და ლუარსაბ ერთათ გამოვიდნენ სანადიროთ. ყმაწვილი ლუარსაბ, შემკობილი შეხამებული იარაღით, მოსული წერწეტი ტანით ჰშვენოდა და წარიტაცა მთელი ჭარამის გონება. გაიმართა ნადირობა და სროლა. მთელი ჭარამი თვალმოუშორებლივ ადევნებდა სროლასა და ნარიდრობას ყურს. ყველას თვალი ჰქონდა ლუარსა-

ბისაგან. ლუარსაბი იყო ნამდვილი სასიამოვნო სანახავი ამ ნადირობაში. არც ერთი ნასროლი იმისი, არ ასცდენია ნადირს, არც ერთი იმის წინ გარბენილი ნადირი ვერ გადარჩენილა ლუარსაბის [illegible] ყველანი იყვნენ აღტაცებაში. ჭარამი უნებურად ყოველს იმის ნასროლზედ გაჰკიოდა და სცემდა აღტაცების ტაშს. უხაროდა ეს თვით აბაზსაცა. არ უხაროდა ეს მარტო ერთს ადამიანს, რომელიც ჭარამიდამ დაღვრემილი გამოჰყურებდა ლუარსაბს და კინაღამ ეძახდა — გეყო, ნუ იღუპავ თავსა, ნუ აძლევ შენს მტერს შენის ხელით შენს ყელის გამოსაჭრელს დანას ხელშიო. ეს იყო დაჲ ლუარსაბისა, ცოლი შაჰ-აბაზისა, ლელა...

ლუარსაბს ოც-და-ერთი ნადირით მეტი მოეკლა აბაზზედ. ეს ნადირობა ჰგავდა სწორედ, როგორც არჩილ მეფეც ამბობს, როსტევან მეფისა და ავთანდილის ნადირობასაო. მხოლოდ აზრი ამასა და იმ ნადირობას ჰქონდათ სხვა-და-სხვა.

აღტაცებული აბაზი ჰკოცნიდა ლუარსაბს ამ მარჯვე ნადირობისათვის. ყოველს გამარჯვებაზედ ულოცავდა იმას და უჩვენებდა თავის სიხარულსა და აღტაცებას.

გათავდა ნადირობა.

ყველამ ერთხმივ მიულოცეს ლუარსაბს გამარჯვება, რომ ამისოდენა ნადირი არც ერთს მონადირეს არ მოუკლავს.

შაჰმა ეს დაიხვია ხელზედ.

— შენ არ მომიკვდე, მინამ ყარაბაღიც არ ვინადიროთ, მინამ მე შენ არ გაგიშვა შინა. — უთხრა შაჰმა ამ გვარი გადაკვეთილი სიტყვებით ლუარსაბს. — თუ ეხლა ეს ხათრი გამიტეხე, მაშინ მე უნდა დავრწმუნდე, რომ შენ არც ჩემი მოყვრობა და არც ჩემი მეგობრობა არა გნდომებია. ყარაბაღიც ვინადიროთ, და მერმე ჩაგაბარებ არეზს აქეთ ყველა ქვეყნებს და დაბრუნდი დიდებით შენს სამეფოში. თუ გიღირს რამე ჩემი თავი, უნდა ეს სურვილიც შემისრულო.

ლუარსაბი დაჰყვა ნებას. არც შეიძლებოდა უამისობა, რადგან გარემოებანი ისეთნი იყვნენ. ერთხელ გაიქცა და შეუნდო შაჰმა, მეორედ გაქცევა ვინ იცის რითი გათავდებოდა.

მართალია, თუ მოისწრებდა, შეიძლებოდა შაჰის პასუხის გაცე-

მა კიდევაცა. მთის ხალხი მზად იყო საომრად. ოსი, ჩურქში მზათ იყვნენ, როგორც გვლავაც, მოეცათ მხარი ქართველებისათვის [illegible] ქართლი, კახეთი. აიშლებოდა, იმერეთი მოსცემდა მხარს. — [illegible]ბით შეიძლებოდა შაჰის ძალის შერყევა. მაგრამ ყველა ამისთვის იყო საჭირო კაცი, ყველა ამისთვის იყო საჭირო ძალა, გამოცდილება, მხნეობა, ენერგია, თავის დადება. ამაების იმედი არა ჰქონდა ლუარსაბს თავის თავისა. იმან ამჯობინა თავის გაწირვა. ის გაჰყვა შაჰსა. გაჰყვა ყარაბაღს. გაჰყვა მიზანდარანს, ვითომც და კიდევ სანადიროთ. მიზანდარიდამ, რაკი ნება აღარ მისცა დაბრუნებისა და სხვა და-სხვა მიზეზებით იჭერდა, მაშინ დარწმუნდა ლუარსაბი, რომ ის საკუთილოთ არ წამოიყვანა აბაზმა. ის მიხვდა, რომ ამას უპირებდნენ მოკვლას. ის შეუდგა სინანულს, რომ წამოვიდა იმერეთიდამ. აქ. ლუარსაბმა ცოცხლივვე გამოიტირა თავი ეზიარა სასიკვდილოთ, უთხრა მოძღვარს ახსარება, გაამართვინა თავის მხლებლებს გლოვის ზარი და გამოატირებინა ცოცხლივვე თავი. მოსთქმიდნენ თვით ლუარსაბ და ამისი მხლებელნი ლუარსაბის ბედს.

რაკი გამოიგლოვა თავი ლუარსაბმა, ეზიარა, უთხრა მოძღვარს ახსარება, ცოცხლივვე მოთქმითა და ზარით ატირებინა თავის მხლებლებს თავი, ის ყოველ დღე ელოდა სიკვდილს.

მაგრამ არა ჩქარობდა ამის სიკვდილს ჯერობით თვით შაჰ-აბაზი. ის შეუდგა მეცადინეობას, რომ მიეღებინა ლუარსაბისათვის მუსლიმინობა. ამაზედ ჯერ თვითონ შაჰმა დაუწყო ტკბილად ლაპარაკი. ის უხსნიდა, რომ ეს საჭირო იყო ამათ ორთავეს და ორთავე ქვეყნის საბედნიეროთ. ის ხშირად უმართავდა ლუარსაბს ამგვარს ლაპარაკს, მე თვითონ მოვინათლებოდი, რომ მეც ქართველებთან ერთი რჯული მქონოდა და უფრო ერთობა გვქონოდა ქართველებსა და სპარსელებს, მაგრამ ხომ იცი მე თავს ველარ დავიჭერ ამოდენა ხალხში და ამოდენა სპარსეთი. ამოდენა გარშემო მოჰმედიანობა უნდა მტრად გავიხადო, უნდა ჩამოვიკიდო, და მაშინ ველარცარას ჩემთვის გავარიგებ, ველარცარას თქვენთვისაო; შენ-კი რომ მიიღო მოჰმედიანობა, თუნდა კიდეც რომ წინააღმდეგნი გაგიხდნენ ქართველები, არ არის საშიში, რადგან ხალხი არის ცოტა, ჩემი ძა-

ლით ყველას ადვილათ დაიმორჩილებ, და, დღეს არის, თუ ხვალე ცოტ-ცოტათი შენ თავს დაგიდებენ თვითონაც, რაკი სამ[illegible] და დაეკარგება და შენი მხარი არ ექნება, დამაჰმადიანდებიანო. მაშინ თქვენ ჩვენით და ჩვენ თქვენით გავძლიერდებით, მტრობა და ერთმანეთის დევნა და სისხლის ღვრა გადავარდება. ხალხი გაშენდება, ხალხი აშენდება, ხალხი გაკეთდება, ხალხი ჰნახავს მოსვენებას, გარეთ სისხლის ღვრის მაგიერათ, დაუდებს ოჯახობას თავს.

მაგრამ, ლუარსაბი იყო მტკიცე ქრისტიანობის სახლობაში გაზრდილი. იმას არა ესმოდა-რა პოლიტიკისა. იმას ახსოვდა ჩვენთვის ჯვარცმული ქრისტე. მაგალითი ქრისტიანობის სიმტკიცისა ჰქონდა თვალწინ ქალში. ქეთევან დედოფალი, შეპყრობილი სპარსეთში, დიდი ხანია იდგა მტკიცედ ქრისტეს სჯულზედ და საოცარი სიმხნევით ელოდა მოწამეობის გვირგვინს. ლუარსაბიც ქეთევანივით, ჰზრუნავდა ახლა მარტო სულისათვის. ის იდგა მაგრა და ეუბნებოდა შაჰს გამოჰმადიანებაზე უარს.

შაჰ-აბაზი სცდილობდა კიდევ ტკბილის სიტყვით დაყოლიებას, ის ექცეოდა დიდი პატივით, როგორც თავის თანასწორს და არ აშჩნევინებდა მტყვეობას. იმისთვის უმჯობესი იყო ქართლში გამეფებინა ისევ ლუარსაბი, რადგან ნამდვილი მეფეც ეს იყო, ტრადიციაც ამას უფრო ჰქონდა, და ამის გამო ქართველობა ამას უფრო დაუდებდა თავს. ამიტომ, შაჰი სცდილობდა, რაც შეიძლებოდა ტკბილათ მოჰქცეოდა. ისე ექცეოდა იმას, როგორც თავის სტუმარს, და არა ტყვეს. შაჰს, თუმცა საიდუმლო მეთვალყურენი ჰყავდა მიჩენილი, რომ ლუარსაბი არ გაქცეულიყო, მაგრამ, რაკი ჰნახა, რომ ლუარსაბის დაყოლება მომაჰმადიანობაზედ საჭირო იყო, ქართლიდამაც ხმები მოდიოდნენ ამისათვის თავგამოდებისა და სამიში გახდა, არ გაქცეულიყო, შაჰმა საეჭვო ნახა, ამის გვერდს წიადაგ მოდარაჯენი ჰყოლოდნენ. შაჰს არ უნდოდა შეემჩნევინებინა ლუარსაბისათვის, რომ იმას ეს დატყვევებული და დარაჯებული ჰყავს, ამის გულისათვის შაჰმა მიჰმართა ერთს, სწორედ ყიზილბაშურს ღონეს. იმან, ვითომც და იმის ნიშნად, რომ ლუარსაბი როგორც საპატიო სტუმარი, ჰყავდა თავის თანასწორად მიღებული, უძღვნა ერ-

თი ძვირფასი სამეფო ჯიღა და სთხოვა ლუარსაბს, როდესაც ჩემთან მოდიოდე, მაგ ჯიღით მოდი ხოლმეო. ლუარსაბიც აღასრულებდა [illegible]ქნის სურვილს. ერთს დღესაც, როდესაც ლუარსაბი აპირებდა შაჰ-თან წასვლას, მოიკითხა თავისი ჯიღა. ეძებეს მხლებელთა, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ ჯიღა ვეღარსად ვეღარ იპოვნეს. ჯიღა მოაპარვინა თვითონ შაჰმა. ლუარსაბი მივიდა შაჰთან უჯიღოთ. შაჰმა გაიოცა, და ჰკითხა ლუარსაბს, რას ნიშნავს შენი უჯიღოთ მოსვლაო. ლუარსაბმა უამბო, ჯიღა დაკეტილიდამ მომპარესო. შაჰი განრისხდა საშინლად, როგორ თუ ჩემს ძვირფასს სტუმარს, ჩემს ძმას ეს უპატიურობა მიაყენეს ჩემს სახელმწიფოში, ჩემს სასახლეშიო! შაჰი უქადოდა სადრჩობელას, ჯალათს ყველა კარის კაცთ და მათ, ვინც ამისგან მიჩენილები ჰყავდა ლუარსაბს ამისი ჯიღის დაკარგვისათვის: დღეს ეს ჰქენით, ხვალ იმასაც გაჰბედავთ, რომ სხვა ამისს ნივთსა და სამკაულს, თვით ამისს, ჩემთვის ძვირფასს სიცოცხლესაც შეეხებითო, მაშინ ხომ გამუსრე და გაასწორე დედამიწასთან ნახევარი ჩემი სახელმწიფო, მაშინ ხომ აღგავე ქვეყნის პირიდამ, ყველა, ვისთვისაც ამისი თავი ჩამიბარებიათ!! აქ უბრძანა შაჰმა, რომ ლუარსაბის სადგომს ვითომც და ლუარსაბის სიცოცხლის დასაცავად, დღე და ღამ განუშორებლივ ადგეს მრავალი და თვით ლუარსაბს, სადაც-კი უნდა წაბრძანდებოდეს, დასდევდნენ ვითომც და მცავებათ, ყენის უკეთესი მხლებელნი. კარის კაცთა და დიდებულთ წმინდათ შეასრულეს ეს შაჰის ბრძანება. ლუარსაბის სადგომს ადგა დღე--ღამ ყარაული. ლუარსაბს დასდევდნენ ყოველგან თვით შაჰის ამალიდგან გამოცდილი და საუკეთესო დარაჯები. ამ გვარად, ძალიანაც რომ ცდილიყო, ლუარსაბს ჰქონდა გასაქცევრათ ყოველი სადსარი შეკრული.

რა ვერა და ვერ დაიყოლია შაჰმა ლუარსაბი სჯულის გამოცვლაზედ, მაშინ ის გაისტუმრა ასტარაბას და ჩააბარა იქაურს ხანს. მაგრამ ჯერ კიდევ მაინც არა ჰკარგავდა შაჰი იმედს, რომ ლუარსაბი მოვიდოდა გონს, გამაჰმადიანდებოდა.

სააკაძე დარწმუნდა, რომ ლუარსაბი, თავისი უხასიათობისა და თავზედობისა გამო, თუნდა რომ გასცლოდა ყეენს, მეფედ არ ვარგოდა, იმ გვარ მეფეთ, როგორიც საჭირო იყო დროთა მოთხოვნი-

ლებისათვის და როგორიც უნდოდა სააკაძეს თავისი დაწყობილებისა-თვის. სააკაძე თანდა-თან უფრო და უფრო ჰრწმუნდებოდა, რომ საქართველო იყო უძლური, მინამ ასრე ცალკ-ცალკე სამეფოებათა და სამთავროებათ იყო გაფანტული. ცხადათ ჰრწმუნდებოდა, რომ ამ მდგომარეობაში საქართველოს მოელოდა ცუდი ბოლო, საქართველო შეიმუსრებოდა გარშემო შემორტყმული მძლავრი მტრის ფეხ ქვეშ. ბაგრატ, რომელიც დასვა შაჰმა მეფეთ, ხომ სრულებით არ ვარგო-და, და იმას, არამც თუ მთელი საქართველო, ქართლიც არ უდებდა თავს. რაც შეეხება თეიმურაზს, არც თეიმურაზი იყო უკეთესი ლუარსაბზედ. თუმცა ლუარსაბზედ უფრო მეტი მხნეობა გამოუვი-დოდა, მაგრამ არა ჰქონდა შორს მხედველობა, ნამდვილი ქვეყნის სიყვარული. ამასთან, შაჰი თავს მოიკლავდა და ამას-კი არ გაამეფებ-და, მეტადრე ორსა და სამს სამეფოში. ამის გამო უნდა ისრე მო-ხერხებულიყო, რომ მეფობა ჩავარდნოდა ისრეთს კაცს, რომელიც იყო ხასიათებითაც მტკიცე, გონებითაც ძლიერი, შორს მხედველი, ძლიერი მხედართ-მთავარი, დაუცხრომელი მოსაქმე, თავოსანი; ამას-თან ისრეთი, რომ შაჰისა და სპარსეთის ნდობა ჯერობით მაინც უეჭველად ჰქონოდა.

ამ გვარი კაცი გაიცნო სააკაძემ სპარსეთში. ეს იყო ახალგაზ-რდა ხოსრო მირზა ბაგრატიონი, დიდი სვიმონ მეფის ძმისწული, ძე დაუდ-ხანისა, ნახევარ ძმა ბაგრატ მეფისა. ხოსრო მირზა მიეცა დავით ხანს მომაჰმდიანობაში და თვითონაც ხოსრო იყო მოჰმადიანი. ის მიეცა დაუთ-ხანს ხარჭისაგან.

ხოსრო მირზა იყო სიღარიბეში, სრულიად მივიწყებული, შა-ჰის კარზედ არც-კი გაეგონათ ამისი სახელი. მაგრამ ეს ყმაწვილი იჩენდა საკვირველს ნიჭს ყოველს საქმეში. დიდებული სანახაობა და დიდებული ხასიათები და გცევა ცხადად აჩენდნენ, რომ ეს კაცი არ იყო უბრალო შთამამავლობისა. მახლობელნი, რომელთანაც-კი რამე საქმე და კავშირი ჰქონდა ხოსრო მირზას, ყველანი უყურებდნენ ამას დიდი პატივისცემით, ყველანი უნებურად ხდებოდნენ ამისი მორჩილ-ნი ყველა ამის დაწყობილებასა და საქმეში.

სააკაძემ გაიცნო ეს ყმაწვილი. შეიძლება ნაცნობითა და მახლო-

ბელთ განგებაც გააცნეს ეს სააკაძეს რომ მიექციათ ამჟამად [illegible] ყურადღება, როგორც შაჰზედ დიდი განმგლე პირისა. [illegible] ყმაწვილი სააკაძემ და იმის აღტაცებას არა ჰქონდა საზღვარი. რამდენიც უფრო ახლოს იცნობდა, იმდენი უფრო აღტაცებაში მოდიოდა მისი ხასიათებით, მისი გონებით, მისი ნიჭიერებით. ის იყო ნამდვილი სამეფო კაცი, იყო ნამდვილად ისეთი კაცი, როგორიც უნდა სააკაძეს თავისი პლანებისათვის, თავისი აზრების გასაყვანად. სააკაძე შეუდგა საქმეს. იმან ოსტატურად, რომ არ შეამჩნევინოს და აზრი არა აალებინოს-რა ეჭვიანს შაჰსა, გააცნო იმას ხოსრო მირზა. სააკაძემ ისე დააწყო საქმე, რომ რადაც სათხოვრისათვის უნდა შაჰთან მოსულიყო ხოსრო მირზა სწორედ იმ დროს, როდესაც სააკაძეც იქ იქნებოდა. სწორედ ამ გვარს დროს შემოიყვანეს შაჰთან სათხოვრით ხოსრო მირზა. იმის დანახვაზედ სააკაძე უმალ წამოდგა ფეხზედ, გულზედ ხელებ დადებული და მისცა მეფური სალამი ახალგაზდა უცნობს ყმაწვილს. მინამ ის იყო იქა, მინამ სააკაძე არ დამჯდარა, ნიშნად პატივის ცემისა. როდესაც გავიდა ხოსრო მირზა, მაშინა ჰკითხა შაჰმა: რას ნიშნავდა შენი მაგგვარი პატივისცემა მაგ უცნობი კაცისა, სააკაძემ მოახსენა, რომ ეგ არის ჩემი მეფის დავითის შვილი, სვიმონ მეფის ძმის წული. ამ დღიდამ მიიქცია ხოსრო მირზამ ყურადღება შაჰ-აბაზისა. შაჰ-აბაზმა უწყო თავისთან მოწვევა. გაიცნო ახლო. სააკაძე უწყობდა ამაში შაჰს ხელსა. დაისწრო აბაზმა ომებში, დაისწრო სახელმწიფო საქმეებში, მიანდო სხვა-და-სხვა მძიმე საქმეები. გამოდგა ხოსრო მირზა შესანიშნავი კაცი, გახდა შაჰის მახლობელი, შაჰის საყვარელი. სააკაძესაც ეს უნდოდა. იმას ჰყავდა ახლა სამეფო კაცი, როგორიც უნდოდა. ამას დაერთო ახლა სწორედ იმისთანა დრო, როგორსაც ეძებდა სააკაძე: ქართლიდამ მოდიოდა ამბავი, რომ ქართლელნი არ დაემორჩილნენ ბაგრატს, შაჰისაგან მეფედ დასმულს, არ ემორჩილებიან არც ამის შვილს სვიმონს, რომელიც გამეფდა მამის სიკვდილის უკან. ახლა იყო მომდგარი რიგი ხოსრო მირზაზედ, რომელიც იყო უმცროსი ძმა ბაგრატისა. ახლა ახლოვდებოდა დრო, როდესაც შეეძლო სააკაძეს შესდგომოდა თავისი აზრების შესრულებას.

სიტყვით, სააკაძეს ჰყავდა თავისი გულის კანდიდატი ქართ-ლის სამეფოდ — ხოსრო მირზა. ხოსრო მირზა უყურებდა სააკაძეს, როგორც კაცს, რომელმაც ეს გამოიყვანა ქვეყანაში, გახადა კაცად, წაიყვანა წინ შაჰთან, გახადა სახელმწიფო საქმეთა გამგებლად, სპარსეთში ერთს უმაღლეს პირად. ის თანდათან უახლოვდებოდა სააკაძეს. სააკაძე და ის ხშირად უხსნიდნენ ერთმანერთს გულს...

თუმცა შაჰი არა სწრაფობდა ჯერობით ლუარსაბ მეფის სი-კვდილს, რადგან ჯერ ერთი ერიდებოდა იმისი დისა და თავის ცო-ლის წყენას, მეორეც ესა ესმოდა არეულობა ქართლში და ფიქრობ-და ეგება მოვაქციო ლუარსაბ და გამაჰმადიანებული ისევ ეს გავ-გზავნოთ მეფეთ ქართლში და მაშინ ქართლი დამშვიდდებაო, მესა-მე ლუარსაბ ჰყავდა, როგორც მძევალი, რომ ქართველებს არ გა-ეწიათ ამბოხება. მაგრამ ახლა გაუჩნდა ისეთი მძიმე მიზეზი, რომ, რაკი ლუარსაბი არა მოჰმადიანდებოდა: უნდა მოეღო ამისთვის ბოლო.

როგორც ზემოდ ითქვა, თეიმურაზ ჰქადაგებდა იმერეთში ყო-ფნის დროს, რომ იმერთ მიეღოთ ქვეშევრდომობა რუსეთისა, იმერ-თა მეფე და მთავარნი დაჰყვნენ ამაზედ ნებასა. თეიმურაზმა თვითონ ცალკე, იმერთა მეფე გიორგიმ ცალკე, მამია გურიელმა ცალკე, ლევან დადიანმა ცალკე გაგზავნეს რუსთ ხელმწიფე მიხეილ თევდორისთან წიგნები. ამ წიგნებით შესჩიოდნენ იმას შაჰ-აბაზზედ, მისგან კახე-თის აოხრებასა, ტყვევნასა და მოწყვეტაზედ. სთხოვდნენ მოსწეროს შაჰ-აბაზს, რომ დაუბრუნოს თეიმურაზს თავისი შვილები, დედა და სამეფო, დააბრუნოს თავის სამეფოში ლუარსაბ. თეიმურაზ აგო-ნებს, რომ ივანე ვასილიჩს აქეთ კახეთი (ივერიას კახეთს ეძახიან რუსები) იყო რუსთა ხელმწიფეების მფარველობის ქვეშ, ამის გამო თეი-მურაზიც და სხვა ზემოთ ხსენებულნი მეფე და მთავარნი სთხოვენ მთელი საქართველო მიიღოს იმან თავის მფარველობის ქვეშ და ჰპირდებიან საუკუნოდ ერთგულ ქვეშევრდომობას, რომელზედაც უდებენ ფიცს. ეს წიგნი გაიგზავნა იმერეთიდამ 1618 წ. და გაატა-ნეს რომელიღაც მონასტრის წინამძღვარს ხარიტონს.

რუსთ ხელმწიფემ თავის ვალად ჰრაცხა თავს ედვა შველა ლუარ

სანის, როგორც თავის ქვეშევრდომისა. იმან გაუგზავნა ამაზედ შაჰ-აბაზს მოციქულები, ჯასილი კორობინი და ქსტატე [illegible]-ვი, რომლების ხელითაც გაუგზავნა წიგნი და პირადაც შეუთვალა, რომ ქართლ-კახეთი არის იმისი მფარველობის ქვეშ, არიან იმისი ქვეშევრდომნი და ამის გამო, შაჰს თუ არ უნდა, რომ ჩამოვარდეს იმისა და რუსთა შორის მტრობა და უსიამოვნობა, არ უნდა რუსეთის დაუკითხავათ შეეხოს საქართველოსა, მის მეფეთა და მათს საუფლოთ.

შაჰს ამის მეტიც აღარ უნდოდა.

იმან წაიკითხა წერილი რუსთ ხელმწიფისა, მოისმინა დიდი ყურადღებით სიტყვა მოციქულებისა. დიდი ფიცით შეჰფიცა იმათ, რომ ლუარსაბი არის თავის ნებით ამასთან სტუმრათ. მაგრამ, რაკი ასრე შესმენია რუსთ ხელმწიფეს ის დიდის სიხარულით შეასრულებს მის თხოვნას, ეხლავე განუტევებს ლუარსაბს და ჩააბარებს თავის სამეფოს.

ესენი დაიმედა, მაგრამ საქმით-კი აი, რა ჩაიდინა. მოვიყვანთ არაქელის სიტყვებს, რომელიც თვითონაც იყო თავრიზელი, იყო ამ დროების მომსწრე და თითქმის მნახველიცა.

„შემდგომ მრავლისა წლისა მოვიდნენ რუსის დესპანნი (მოციქულნი) მრავალი საქმის გამო და რუსთხელმწიფის პატივის გამოსაცხადებლად. ამ დროს შაჰ-აბაზი იყო წასული თემსა ისპაანისასა. ის იყო ავაქურანის წყალზედ, რომ აქედამ გაეჭრა საწყლე და გაეყვანა იმ წყალში, რომელიც მიდის ისპაანს, რადგან ისპაან ძალიან ცოტა წყალი ჰქონდა. აქ ეყენა შაჰ-აბაზს მრავალი ხელოსნები და მუშები საწყლეს გასაყვანად. რუსთა დესპანები მივიდნენ აქ შაჰ-აბაზთან. მრავალთა სათხოვართა შორის სთხოვეს, რომ ლუარსაბი დაებრუნებინა, სადაც ის იქნებოდა ისევ შაჰის ბრძანების ქვეშ და იმის მორჩილებაში. გულში ბოროტის მზრახველმა შაჰმა, პირად სიხარული ეჩვენა რუსთ დესპანებს და მაშინვე აღუთქვა მათი სათხოვარის შესრულება და დაჰპირდა, რომ ლუარსაბს დავაბრუნებ თავის სამეფოშიო.

ამავე დროს შაჰმა დაიბარა ის თავისი დიდებული, რომელ-

ას ჰკავდა ჩაბარებული მეფე ლუარსაბ და უთხრა მას: „[illegible] სიკვდილის ღირსი ხარ, რომ აქამდის არ მოუღე შენ [illegible] ლუარსაბს. აგერ ახლა მოვიდნენ რუსის დესპანები და თხოულობდნენ, რომ განვათავისუფლოთ ისა და დაუბრუნოთ თავისი სამეფო. წადი და თუ უმალ არ მომივა ამბავი, რომ ლუარსაბ ცოცხალი აღარ არის, შენცა და შენს ყოველს კერძობასაც სულ ამოგხოცავთ!“ ის დიდებული, რომელსაც ებარა ლუარსაბ, მაშინვე დაბრუნდა უკან. დაბრუნებული უფრო მეტს სიყვარულს და ალერსს უჩვენებდა ლუარსაბს, ვიდრემ წინათ, რომ ლუარსაბი არ მიხვედრილიყო არაფერს.

„ერთს დღეს ისა და ლუარსაბი გამოვიდნენ მდინარის პირად სათევზავად. პირველად დიდებულმა სპარსმა ესროლა ბადე, და განგება კარგათ არ ესროლა,—ვითომ კარგათ არ ვიცი და ვერ მოვახერხეო. ლუარსაბი სრულიად გულდანდობილი იყო. ის აქამდის არასფერს არ მოელოდა. რაკი ჰნახა ლუარსაბმა, რომ ამ დიდებულმა ვერ ესროლა კარგათ ბადე და არცა სცოდნია სროლა, ადგა, რაკი თვითონ კარგი მებადური იყო, და თვითონ გამოართვა ბადე, მოიკრიფა ხელში, დაიზუკა წყლის პირას ღრმულისაკენ და ესროლა. წადრეკილს ლუარსაბს, მიეპარა დიდებული სპარსი, დაჰკრა კისერში მოღებული ხმალი გააგდებინა თავი. თავი მიართვა იმან ავაქურანის წყალზედ შაჰსა“.

ამით გათავდა პატიოსნებით აღსავსე, მაგრამ უხსიათო და შებიერი თვითნება სიცოცხლე ლუარსაბისა. ის მოიკლა 1622 წ. ამ მოციქულობას მოჰყვა წამებაც ქეთევან დედოფლისა, რომელიც მოიკლა ამავე წელს [1])

---

[1]) ზოგთა თქმულობით ქეთევან ეწამა 1624 წ, ზოგთა თქმულობით 1621 წ. მაგრამ ნამდვილად ეს წამება მოხდა 1622 წ. ენკენისთვეში ეს მტკიცდება მით, რომ ყველა მწერალთა თქმით, თეიმურაზ ეკურთხა ქართლის მეფედ შვიდი თთვის შემდგომ ქეთევანის დედუფლის წამებისა, ეს კურთხევა მოხდა 1623 წ., რომელსაც თითქმის ყველა მწერალნი ეთანხმებიან. ლათინთა მისსიონერთა თქმით, რომელთაც ამ დროს სპარსეთს იყვნენ და დაახლოვებილნი იყვნენ ქეთევანთან, ქეთევანმა აღიარა კათოლიკობა და კათოლიკეთ აღესრულა (თამარაშვილი. ისტ. კათოლიკობისაქ.რთველოში, გვ. 110 და 111.)

## განაჩენი შაჰისა საქართველოს მოსპობაზედ. [illegible] სააკაძისა.

[ეროვნული] ბიბლიოთეკა

ბაგრატ ყოველთვის იყო ერთგული შაჰისა და, როგორც ითქვა, შაჰი ეძახდა ამას თავის ბიძას. შემდგომ იმისა, რაც ამან გასცა თეიმურაზის საიდუმლოთ ამასთან მოწერილი წიგნი პირველად კახეთში შემოსვლის დროს, შაჰი უფრო დარწმუნდა, რომ ეს სრული სანდო იყო ამისთვის. ამისგამო, მეორედ საქართველოში შემოსვლის დროს, იმან ბაგრატ დასვა მეფედ, და არა ხოსრო მირზა, რომელიც იყო კ ნდიდატი სააკაძისა. არც შეიძლებოდა ამ დროს სააკაძისაგან ამაზედ ლაპარაკი, რადგან ქართლს ადგა საშინელი განსაცდელი და ესეც დიდი საქმე იყო, თუ მოახერხებდა ამ განსაცდელიდგან გადარჩენას. თუმცა შაჰი დარწმუნებული იყო, რომ ბაგრატს არა ჰქონდა თავი მეფობისა, მაგრამ იმაზედაც დარწმუნებული იყო, რომ არც იმისი თავი ჰქონდა—ცუდი რამ გაეზრახა შაჰზედ. ხოსრო მირზა სულ სხვა იყო. ხოსრო მირზა იყო კაცი, რომელსაც ყოველიფერი გამოუვიდოდა ხელიდამ, თუმცა იმას ჯერ ამის ერთგულობის მეტი არა გამოუჩინა რა. თუმცა პირველ ხანად ქართველებმა ხმა ამოუღებლივ მიიღეს ბაგრატ თავის მეფედ,—თუ-კი ეთქმოდა მეფობა კაცს, რომელსაც მეფის გვირგვინი არა ჰქონდა ჩაკურთხი და იყო დაყენებული ყეენისაგან, როგორც ყეენის მოხელე,—მაგრამ, რაკი დაიმშვიდეს გული და გაიცალეს ქართლიდამ შაჰი, ბაგრატს აღარავინ თავს არ უდებდა ლორეს მელიქის მირიმანისა და შიგა და შიგ საბარათიანოელების მეტი. იქამდის მივიდა საქმე, რომ ბაგრატ გაეცალა ქართლელებს თბილისიდამ და გავიდა ბოლნისში სადგომად, სადაც ელოდა ლორეს მელიქიდამ და ზოგიერთა ბარათაანთაგან შველას[1]) რისგანაც დაცინვით ეძახდნენ იმას საბარათიანოს მეფეს. ის ბოლნისში იყო ტყვე ვიდრემ მეფე.

ამ გვარმა ბაგრატის უძლურებამ წააჭყარა ლაგამი ქართლის დიდებულთა. მოკვდა ბაგრატ. აქაც კიდევ შაჰმა არ ინება ხოს-

[1]) მაშინ ორბელიანებსაც ბარათაანთ ეძახდნენ.

რო მირზას მეფობა. მეფობა მისცა სვიმონს უმაწვილს შვილს ბაგრატისას. აქ შეიქნა საშინელი შინაური არეულობა. რა[illegible]და-ვისაც ვისი ჯვარი სწერდა, მაშინ იჩინა ყველაფერმა თავ[illegible]-რებულმა ბარათა ბარათაშვილმა (მარაბდის გმირი ბარათა სხვა იყო) მოსწყვიტა მთელი თავისი სახლეულობა, გარდა თავისი ძმისწულის ყაფლანისა, რომელმაც სახლობით გასწრო სპარსეთს, იქიდამ მოიყვანა ჯარი ყეენისა და ახლა ამან მოჰკლა თვითონ ბარათა, გაგდებული ქართლიდამ თავფარავნის ტბაზედ. ამავე ხანებში, შემდგომ ნუგზარ ერისთვის სიკვდილისა, შაიქნა არეულობა და ერთმანეთზედ ასუვა ნუგზარის შვილებისა. როგორც უფროსს შვილს, ერისთვობა არაგვისა ეკუთვნოდა ბაადურს. ზურაბ ეურჩებოდა და იჩემებდა თვითონ ამ ადგილს ძალა ეჭირა ბაადურსა, ზურაბ, რაკი ვერას გახდა, გავარდა თავისი ცოლით სპარსეთს შაჰთან. მიმართა სააკაძეს, რომლისაც გაზრდილი იყო ესა. სააკაძე იცნობდა ამის ძალასა და ნიჭსა. ეს იყო იმისთვის მომავალში საჭირო კაცი. მიაცემინა ყეენს ამისთვის ერისთაობა. ზურაბ დაბრუნდა ქართლში, ცოლი გაუშვა სპარსეთს. რაკი ჩაიგდო ზურაბმა ერისთობა ხელში იწყო საშინელი მძლავრობა. მოიმხრო საბარათიანოს სპასპეტი ბარათა ბარათაშვილი (მარაბდის გმირი,) შეესია მთიულ მოხევეთა და დაიპყრა ისინი, რომელნიც შინამდის ითვლებოდა სახასოთ. აქამდის თავისუფალი ხალხი, შექმნა ზურაბმა მონებათ, სიტყვით ქართლში დადგა ისეთი დროება, რომელსაც ქართველები ეტყვიან: ძაღლი პატრონს ვეღარ იცნობსო. სვიმონს თავს არვინ უდებდა. მისდიოდა ეს ამბავი შაჰს. შაჰმა დაუნიშნა მას ვექილად გიორგი სააკაძე, სააკაძე მიდიოდა ხამუშ-ხამუშ ქართლში, მაგრამ სრულიად არაფერს თავს არ დებულობდა, რაკი ჰხედავდა, რომ სვიმონ არ გამოდგებოდა არასფერს საქმეში. ის თითქო უწყობდა ამაში ხელს ქართველობას. იმას გული ჰქონდა ხოსრო მირზასთან. არეულობა და უწესობაბა ქართლში მატულობდა. სვიმონს მეფედ აღარავინა სთვლიდა. ზურაბ ერისთავი ხომ სრულიად აღარ უდებდა თავს და თანდათან იჭერდა საუფლოდ სულ ახალ ახალ თავისუფალ ანუ სახასო ქართველ ერებს. სვიმონ მეფე ჰხედავდა, რომ ეს მეტი იყო თავის აღ-

გილას. ადგა წავიდა სპარსეთს შაჰთან საჩივლელად, სხვათა შორის თვით ზურაბ ერისთავზედაც. ზურაბ თვითონაც დაედევნა უკან და იხვეწა ისიც შაჰს. სააკაძეს უსრულდებოდა სურვილი. შაჰი ყოვლად დარწმუნებულიყო, რომ ქართლის მეფე უნდა ყოფილიყო უფრო მაგარი, გამოცდილი და გონიერი კაცი. ამგვარი ერთათ ერთი ბაგრატიონი და მემკვიდრე იყო ხოსრო მირზა, როგორც ითქვა, კანდიდატი სააკაძისა. სააკაძე ელოდა, რომ აგერ მისცემს შაჰი რაყამს და გაისტუმრებს ქართლში ხოსრო მირზასაო.

მაგრამ გამოვიდა სრულიად სხვა. შაჰმა ერთი კრინტიც არ დასძრა ხოსრო მირზას გამეფებაზედ. ის კარგათ ჰხედავდა, რომ ხოსრო მირზა მისცემდა ქართლს ძალას, რომელიც სრულიად არ იყო შაჰისთვის სასურველი. შაჰი მხოლოდ ეძებდა მიზეზს ქართლ-კახეთის ბოლოს მოღებისას. რაკი შაჰმა ნახა, რომ საქმე სახუმარი აღარ იყო: ერთმხრივ კახელები ძლიერდებიან, მკვიდრდებიან თავის ადგილას და ფეიქარხანი მარტო იმ ძალით, რომელიც მიცემული ჰქონდა, ვერ ახერხებს კახეთის აყრას და მათს ადგილას თათართა დასახლებას; მეორეს მხრივ ქართლელნი არ უდებენ თავს ამისგნით დაყენებულს მეფეებს; მესამე მხრით—ქართლი და კახეთი სრულებით გულაყრილნი არიან სპარსეთზედ, იმათი თვალი და ყური არის ჩრდილოეთისაკენ, საიდამაც ელიან შველას; მეოთხეს მხრივ, რუსები აღარა ხუმრობენ, ერევიან საქართველოს საქმეში, უყურებენ საქართველოს, როგორც თავის ქვეშევრდომს ქვეყანას, იდებენ ქართველებისთვის თავს, უთვლიან ამას, რომ შენ მანდ ხელი აღარა გაქვს, უჩვენოთ არ შეგიძლიან შეეხო საქართველოს კაცსა და საქართველოს სამზღვრებსაო,—მოაკვლევინა თუ არა ლუარსაბ, გაისტუმრა რუსთა მოციქულები, შაჰი მაშინვე შეუდგა, როგორც მოგვითხრობს უსახელო ავტორი ლუარსაბ მეფის წამებისა, მთელი ქართლ-კახეთის მოსპობის საქმეს. იმან გადასწყვიტა გაეგზავნა დიდძალი ჯარი ფეიქარ ხანის და თბილისში მდგომი სპარსთა ჯარებთან ერთად სამოქმედოთ, რომ კახეთი მთლათ მოესწყვიტონ, ქართლი მთლად აჰყარონ და გადაასახლონ სპარსეთში.

შაჰი შეუდგა ამ საქმის თადარიგს. მაგრამ საქმე იყო მძიმე.

ამ საქმის შესრულებას უნდოდა დიდი მოსაზრება და მოხერხება. ამ საქმის დასაწყობათ ჰყავდა იმას იმგვარი სარდალნი, როგორც ყარჩიხანი, ყორჩიბაში, ესუფხანი და სხვანი, რომელთაც [illegible] გათ იჩინეს თავი კახეთის მოსპობასა და ტყვევნაში, და რომელთაც ახლა თვითონაც კარგათ ჰქონდათ შესწავლილი ქართლ-კახეთი, მაგრამ ამათი ცოდვნა კიდევ საკმაო არ იყო. საჭირო იყო ცოდვნა და წყობა უფრო მცოდნე და გამოცდილი კაცისა. ამგვარი კაციც მზათ ჰყავდა აბაზს. ეს იყო სააკაძე.

სააკაძე იყო ქართველებისაგან გულდამწვარი, სააკაძე იყო ასრეთი ერთგული შაჰისა, სააკაძეს ახლა უფრო გული დააკლეს ქართველებმა, რომელნიც არ დაემორჩილნენ ბაგრატ მეფეს, რომელსაც ხელის-მძღვანელად გააყოლეს ამისი ძმა ბეჟან, და იყო სახლთუხუცესი ბაგრატისა არ დაემორჩილნენ სვიმონ მეფეს, რომლისაც მეურნეთ ანუ უკეთა ვთქვათ, ოპეკუნად დანიშნა შაჰმა თვითონ სააკაძე, სააკაძეს გააუპატიურეს დედა და სხვა

უკეთესი აღარ იქნებოდა, რომ ეხლა ეწყობოდა საქმე შაჰის სასარგებლოდ. სააკაძე, უძლიერესი ქართველი, იყო ერთგული ამისი, ქართლში არ იყო მეფე და კახეთში. კახეთი იყო უძლური ტყვევნისა, მუსრისა და ოხრებისაგან. ქართლი არეული და ასეული ერთმანეთზედ. არც ერთი ქართველი მოთავე აღარ იყო, რომ შესძლებოდა პასუხი სპარსელებისა. ზურაბი იყო, და ზურაბიც ამ ხანათ იყო სპარსეთს, შაჰს შეეძლო ამისი დაჭერა აქა.

შაჰმა მოიხმო სარჩევლად საუკეთესო თავისი მხედართ მთავარნი. მოიწვია სააკაძეც. აუხსნა ამათ, რომ საქართველოს დარჩენა სპარსთათვის შეუძლებელიდაა. გამოუცხადა საიდუმლოთ, რომ იმასა ჰსურს საუკუნოდ ბოლო მოუღოს მთელს ქართლ-კახეთს. გამოუცხადა, რომ თუ ეს არ მოხდა, სპარსთა სამშობლო საფრთხეშია. რუსეთი ეპატრონებოდა ქართლ-კახეთს, რუსეთი უახლოვდებოდა სპარსთა სამზღვრებს. ის ჰკითხავდა ამათ რჩევას, როგორ უნდა მოხერხებულიყო ესა, რომ ქართველებს კიდევ თავი არ დაეხწიათ ამისი მახვილისათვის. შემდგომ მრავალი რჩევისა, რომელიც წარმოითქვა თვით შაჰისა და მისთა უკეთესთა სარდალთაგან, სააკაძემ მისცა ერ-

თი საშინელი რჩევა ამ საზარო განზრახვის შესასრულებლად. რჩევა ნამდვილი ჯოჯოხეთური.

ეროვნული

ამ ხანად, როგორც ვიცით, კახეთში იდგა ბლომად ჯარი [illegible]-ქარ-ხანი, რომელსაც მისცა ცოლად შაჰ-აბაზმა თავისი ნაცოლარი, ლელა, ლუარსაბ მეფის და. იმის შემდგომ, როცა მოაკვლევინა მეფე ლუარსაბ, და ამ ფეიქარხანს მისცა კახეთის ბატონობა, ნაცვლად თეიმურაზ მეფისა. იდგა ჯარი სპარსთა თბილისშიც.

ამ ჯარების მისამატებლად უნდა ახლა ახალი დიდძალი ჯარი დაძრულიყო და შესულიყო საქართველოში. ცხადია ქართველები ამას არ შეხედავდნენ კარგის თვალით, მეტადრე, რაც ჰნახეს კახელების თავს შაჰ-აბაზის ჯარებისაგან მეორე შემოსევაზედ. უეჭველია, ან გაემზადებოდა ქართველობა თავგანწირული საბრძოლველად, ან დაასწრებდა გახიზნვას. მაშინ შაჰის სურვილის შესრულება შეუძლებელი იქნებოდა.

ყველა ამაების ასარიდებლად, სააკაძემ ურჩია, რომ შაჰს მიეცა თავისი შვილის შვილი, ყორჩიბაშის ასული, ცოლად სვიმონ, ქართლის მეფისათვის. ამითი ქართველნი დარწმუნდებოდნენ, რომ შაჰს, მტრობა კი არა, მოყვრობა ჰსურს ქართველებისა. ვითომც და დიდის დიდებით უხდის შაჰი ქორწილს თავის ახალს სიძეს, ამან გაგზავნოს ზოგი ჯარი სპარსთა ამ ქორწილის შესამკობლათ წინადვე თბილისში დღესასწაულების შესამზადებლათ, და დაუყენოს იქა, ზოგი ჯარა, როგორც მაყარი, ახლდეს თან სვიმონ მეფეს, და ამათ სულ დიდის ქორწილითა და დიდებით იარონ თბილისამდის. ზოგიც კიდევ, სხვა და სხვა ხანები, თავისის ჯარებით უბრძანოს, მივიდნენ თბილისში, ვითომცა და მეფე სვიმონის მისალოცავად, და ამ გვარად შეიყვანოს საჭირო ჯარი სპარსთა ქართლში შემდგომ თბილისიდამ ეს ჯარი უნდა გასულიყო, ვითომც და აღლუმების საქნელად და ქორწილის სადიდებლად სამუხრანოში სამხედრო დღესასწაულებისათვის. აქედამ სხვა-და-სხვა მიზეზებით, უნდა წვრილ-წვრილათ წასულიყვნენ ჯარები, დაეჭირათ ხეობები, სახიზნა ადგილები და ციხეები. ამ გვარად უნდა დაჭერილიყო ქართლ-კახეთი და შეჰკროდათ ყოველი ღონე გამაგრებისა და გახიზვნისა, საქარ-

თველთ შეიქნებოდა მონწყვდეული ხაფანგში, და დადგებოდა მისი აღსასრულის დღე.

შაჰიცა და მის მხედართ-მთავარნიც ამ პლანით მოვიდნენ აღტაცებაში.

პლანი ეკუთვნოდა სააკაძეს, და ცხადია ამ პლანს თვითონ უფრო მოიყვანდა აღსრულებაში. შაჰმაც და მთავარ-სარდალთაც გადასწყვიტეს, რომ სააკაძე თვითონაც წასძღოლოდა სპარსთა ჯარს, ეხელთმძღვანელებინა ამ დიდს საქმეში.

სააკაძემ იტვირთა სიამოვნებით და წამოჰყვა სპარსთ.

იმან ითხოვა, რომ შაჰს შეერიგებინა ზურაბ არაგვის ერისთავი და მეფე სვიმონ და ზურაბიც გამეყოლებინა თან.

შაჰმა შეარიგა ზურაბ და სვიმონ, ზურაბ გააყოლა თან.

ფრთხილმა აბაზმა დაიჭირა მძევლად სააკაძის უკეთესი შვილი, პაატა, რომელსაც ეჭირა თვითონაც დიდი ადგილი სპარსეთის სახელმწიფო სამსახურში, და, რომელსაც პიეტრო დელავალე ეძახის კახტანგს.

ზურაბმა, რაკი მიდიოდნენ იმ საშინელი განზრახვით საქართველოში და უნდა ისევ დაბრუნებულიყო სპარსეთს, შემდგომ თავის მოვალეობის შესრულებისა, გაუშვა თავისი ცოლი სპარსეთში. შაჰმა, უთავა ყარჩიხან და უსეფხან.

გარდა ყარჩიხანისა და უსეფ, მირვანის ხანის დიდ-ძალი ჯარების, უნდა კიდევ ახლად ათი სხვა ხანი, მრავალი ამირნი და სულთანნი თავისი ჯარებით შესულიყვნენ საქართველოში.

## აღსრულება განაჩენისა.

დაიძრა ეს აურებელი ჯარი სპარსეთიდამ შაჰის მრისხანე ბრძანების შესასრულებლად *)

*) პარიჟის სამეფო ბიბლიოთეკის ხელნაწერის „ქართლის ცხოვრების“ თქმით, ეს იყო 1626 წ. ქ. ტიდ. მაგრამ ეს შეცდომაა. ეს იყო 1622 წ. მოწყვეტა სპარსთა, როგორც ქვემოთაც ითქმის, მოხდა 1623 წ.

ამ ჯარს უნდა ემოქმედნა ერთად ფეიქარ-ხანის ჯარებთან, რომელიც იდგა კახეთში, და იმ მეციხოვნე ჯარებთან, რომელნიც ყეენათ სპარსთ თფილისში და ზოგიერთს სხვა სიმაგრეებში ეგ-რეთვე საქართველოს საზღვრებზედ. *)

საქართველოს თავს იდგა საშინელი რისხვა ცისა. უნდა აღი-გაოს პირისაგან ყოვლისა ქვეყნისა სახსენებელი ქართველთა!!.

არც კახეთს, არც ქართლს, როგორც ითქვა, მეფე არა ჰყ'ვა-დათ, რომელთაც შესძლებოდათ შეეკრიბათ ყველა სამეფო ძალის-თვის ერთად თავი და გაეწიათ შაჰის განკარგულებისათვის წინა-აღმდეგობა. დუარსაბი აღარ იყო ცოცხალი. მეფე სვიმონ თვითო-ნაც მომხრე იყო ყეენისა, ასრულებდა მის სურვილს. ის იყო მაჰმადიანი, ის დარჩებოდა ისევ ბატონად ქართლის ადგილებისა, და იმისთვის სულ ერთი იყო, ქართველები ესახლებოდნენ აქ, თუ სხვა ტომის ხალხნი. თეიმურაზ თავისის ცოლშვილით იყო გადვარ-დნილი საოსმალოში და იქიდამ ჰქონდა გაცხარებული მიწერ-მოწე-რა მოსკოვთან. მთავართა და დიდებულთა არა ჰყავდათ რიგიანი მოთავე. ყველას ცალკე გაეშვირა ცხვირი. თუნდა ყოვილიყო მო-თავე, ჯარი ისეთი ოსტატურად მოდიოდა, რომ არავინ არ მოე-ლოდა იმათგან მტრობას. ისინი იყვნენ მაყრები, იახლებოდნენ დიდებულს მეფეს, დიდებული შაჰის სიძეს. შაჰი დიახაც და დი-დებით გამოისტუმრებდა თავის ქალს, თავის სიძეს!.. დანაშთენი ხანები მოდიოდნენ მოსალოცად, შაჰის სიძის სადიდებლად...

არავინ არ მოდიოდა ფიქრს, რომ ამ მშვიდობიანათ შემო-სულს მაყრად და მოსალოცად ჯარს, ჰქონდა საშინელი მრისხანე და ქვეყნის ბოლოს მომლები ბრძანება. **) ყველა მდუმარებდა, ყველა იყო თავისთვის მიყუდროებული, ყველანი ისევ ესეოდნენ ერთმან-

*) მცხეთის ერთს გუჯარში, სადაც არის როსტომ მეფის ზოგი ცხოვრება აწერილი, არის ნათქვამი, რომ ამ საქორწილოდ მოვიდნენ თბილისს და მიიყვანეს სვიმონის საცოლო თორმეტი ხანი თავისი ჯარე-ბით (ქრ. ქორდ. ტ. II, გვ. 462.)

**) მეფე არჩილი ამბობს, რომ მხოლოდ გაიკვირვეს: ამოდენა მა-ყარი, რა ამბავიაო.

ერთს, ძალ-მომრეობდნენ ერთმანერთზედ, ბევრნი თვითონვე შე-ექცეოდნენ ამ დიდებულს ქორწილში, იღებდნენ უცხოეთიდან გამო-გზავნილს ფეშქაშებს, იცვამდნენ ძვირფასს ხალათებს...

სპარსთა ჯარი მშვიდობიანად, დიდი ლხინით, დიდი მეჯლი-შით, დიდი შედლუხებით, შუშხუნებით და მაშხალებით შემოვიდ-ნენ თბილისში. იწყეს დიდებული ქორწილი და დღესასწაულობა. იყვნენ ამ ქორწილში მოწვეულნი უკეთესნი ქართლის დიდებულნი და დარბაისელნი. გამოდიოდა მრავალი და უხვი წყალობა ყე-ენისა.

ყოველ დღე მოდიოდა ახალ-ახალი ხანი თავისი ჯარებითა და დიდის დიდებით და ფეშქაშებით სვიმონ მეფის მოსალოცათ.

თბილისი და მისი მიდამო გაივსო სპარსთა ჯარებით.

ქორწილის დღესასწაულს არა ჰქონდა დასასრული.

თბილისიდამ იწყო დენა ჯარმა-ახლა სამუხრანო მინდვრებისა და ვაკეებისაკენ სამხედრო სადღესასწაულოთ ქორწილისავე დი-დებისათვის და მექორწილეთა შექცევისათვის. მეტი ჯარი სპარსთა ამ გვარად შევიდა ქართლის თითქმის გულში.

სამხედრო ალლუმებმა და დღესასწაულებმა გასწიეს კარგა ხანს.

აქედამ, ვითომც და ჯარების გასართობათ, სანადიროთ, შე-საქცევრად, დაიძრა წვრილ-წვრილად ჯარი სპარსთა სხვა და-სხვა ხეობეებისა და სიმაგრესაკენ და დაიჭირეს დია სახიზნი ადგილე-ბის გზები, ვიწრონი და სიმაგრენი.

რაც ხდებოდა აქ, ქართლში, ის ხდებოდა კახეთშიც.

მომეტებული ნაწილი ფეიქარ-ხანისა, ანუ როგორც ზოგი-ერთა ჩვენი მწერალნი ეძახიან, ფეიქანის ხანისა და ყარჩიხანის ჯარებისა ამ გვარად გაიკრიფვნენ სხვა-და-სხვა ხეობებსა და მთე-ბისაკენ, სხვათა შორის, როგორც მოგვითხრობს ისკანდერ მუნ-ში, რომ სულ შესუსტოს ერთს ადგილს მყოფი ჯარი, მეტი ჯარი ფეიქარ ხანისა, მეტი წილი ამირებისა და მაჭმად ყული ხა-ნი, ბეგლარ ბეგი ყარაბაღისა, გაჰგზავნა (მარტყოფიდამ) ვითომ და სიღნახის ასალებად.

მთელს ქართლსა და კახეთს შეჰკრა გზა გახიზნვისა და თავის გადწევისა. მთელი ქართლ კახეთის ხალხი იყო ჯა[illegible]ლი სპარსთა ბრჭყალებში.

აქ იწყეს სპარსთა სარდლებმა შაჰის ბრძანების შესრულება. დადგა საქართველოს განკითხვის დღე.

შუა გულს საქართველოში სდგას მტრის ჯარი. ყველა ციხეები და სიმაგრენი უჭირავთ სპარსთა, ხეობები და საყარაულონი დაიპყრეს ამათ· უკეთესი ქართველნი, სააკაძე და ზურაბ არიან სპარსთა ჯარების წინამძღოლნი. მეფე ქართლისა არის მომხრე სპარსთა. კაცი არ არის ორ სამეფოში, რომ მოჰხედოს ქვეყანას ამ საშინელს განკითხვის დღეს.

აერა და მოწყვეტა უნდა დაეწყოთ უკეთესთა ქართველთა მეომართაგან, რომ მოთავე სრულიად აღარავინ დარჩენოდათ ქართველთა.

ყარჩიხანმა, როგორც პირველმა სპარსთა მთავარ სარდალმა, მისწერა ფეიქარ-ხანს კახეთში, რომ იქ შეკრიბა საუკეთესო ჯარი კახელებისა და წამოეყვანა ქართლში, ვითომც და იმერეთში საომრად წასასვლელად.

ქართლის საუკეთესო ხალხსაც შეუკვეთეს ამ გვარად შეყრა და გამზადება საომრად.

მუნჯის სიტყვით ფეიქარ-ხანმა მოიყვანა კახეთიდამ ორი ათასი რჩეული ვ კაცი; სხვების თქმით კახეთიდამ მოვიდა სამი-ათასი კაცი. ქართლიდამაც შეიყარა ამოდენა ჯარი სულ უკეთესი მეომარნი და სარდალნი.

ყარჩიხანმა და ფეიქარ-ხანმა გაუჩინეს კახელებს სხვა სადგომი, და ქართლელებს სხვა. კახელები დააყენეს არაგვის პირისაკენ საფურცლესა *) და ფონთხელას შუა. ქართლელები ქსნისაკენ, ქანდასთან, კახელებზედ კარგა მოშორებით, რომ ქართლელებსა და კახელებს ერთმანერთისა არა სცოდნოდათ-რა.

---

*) ამ ალაგს დღეს ეძახიან ნატახტარს, რადგან საფურცლეს ჰქონდა თავისი ტახტი და რეზიდენცია თეიმურაზ მეფეს იმ ხანებში, როდესაც სვიმონ მეფეს ეპირა თბილისი.

მოსრვა იწყეს კახელებიდამ, რომელიც, მაშინდელთა მწერალთა თქმით, მოიყვანეს აღდუმის საქნელად.

კახელებისათვის გამართეს არაგვის პირას დიდი, მშვენიერი შემკობილი კარავი. ამ კარავში დაბრძანდნენ თვითონ ყარჩიხან, ფეიქარ-ხან და უსუფ ხანი. კარავის გარეთ, არაგვის პირას იყო გამართული დიდი ფაჩა ნტური საყასპოსავით. ერთი კარი დიდებული კარვისა გადიოდა ამ ფანჩატურში. აქ იდგნენ მრავალი დამკლავებული ჯალათები, ამოღებული ხმლებით.

ყარჩიხანმა შეუთვალა კახელებს, რომ მოსულიყვნენ თვითო-თვითოთ და მიეღოთ შაჰისაგან გამოგზავნილი წყალობა და ხალათები.

კახელობა არ ელოდა აქ არავითარს ღალატს. ისინი გულდანდობილნი მოდიოდნენ თვითო-თვითოდ ამ კარავში. სარდლები ძლევდნენ ტკბილს სალამს, უცხადებდნენ შაჰის წყალობის სიტყვებს და სთხოვდნენ გაჰყოლოდნენ მხლებლებს მეორე კარავში წყალობის მისაღებათ. კახელები გასდევდნენ. აქ, ბნელს ფანჩატურში უცებ სტაცებდნენ ჯალათები ხელს, გაჰყავდათ არაგვის პირას, ჰკვეთავდნენ თავებს და ჰყრიდნენ არაგვის ღურღუმში.

აქ უცებ, საიდუმლოდ აცნობა სააკაძემ ქართველებს რაც ხდებოდა მათს თავს; ვინც მიჰყავდათ, ვითომც და ყეენის წყალობის მისაღებათ.

ქართველი კაცი უკანასკნელის განწირულების დროს არის შეუდარებელი გმირი. კახელებმა, რაკი გაიგეს, ეს არის მოსულა ჩვენი აღსასრულის დღეო, უცებ იძრეს ხმლები, მიესივნენ სპარსთა, გააპეს მათი ჯარები შუაზედ და, მინამ ისინი ან მათი სარდალნი გონს მოვიდოდნენ, გაასწრეს არაგვს და შეერიგნენ საგურამოსა და ხერკის ტყეებში და გაიფანტნენ მთელს კახეთში.

ბოლოს გამოდგა, რომ არ იდგა საკმაო სპარსთა ჯარი იმ ადგილებში, სადაც იდგა კახელების მოსაწყვეტათ მოწვეული ჯარი რომ შესძლებოდათ გაცოფებული კახელების გამკლავება. *)

*) ისკანდერ მუნჯი ამბობს, ყველა ეს ზანგებ იყო მოწყობილი სააკაძისაგან, რომ უფრო აეშალა ქართველები სპარსელებზედაო. ეს ჩაადენინა თავისი მშობელი ხალხის სიყვარულმა, რის გამოც მოახდინა შეთქმულობაც და მოსწყვიტა სპარსთა ჯარები და სარდლებიო, იმითი დაამტკიცა თავისი სულმდაბლობა და გველური უმადურება შაჰისა და სპარსელებისაო.

ოსმალთა მეისტორიე, ჰამერი ამბობს, რომ სააკაძემ გააფრთხილა ქართველნი, მოწყვეტას გიპირებენო, მაგრამ ქართველთა არ დაუჯერესო, და მოისრნენო.

ქართველებმაც ამ გვარად გადარჩინეს თავი,

ახლა ცხადათ დაინახეს ქართველთა, რაც დღე იყო იმათ თავს დამდგარი. ქართველობამ, რომელთაც დააღწიეს სპარსთა მრისხანე მახვილს თავი, შოჭვინეს ქვეყნად საშინელი განზრახვა სპარსთა. ქართველობამ იწყო დუღვა, იწყო მოძრაობა, იწყო მზადება გასახიზნათ; მაგრამ ჰნახეს, რომ ყველა სიმაგრენი, ყველა სახიზნი ადგილები იყვნენ დაჭერილნი. გასწრება აღარ შეიძლებოდა. დარჩენილიყო ერთი... გმირულად თავის გაწირვა და გმირულად სიკვდილი!..

---

ყოველივე მოეწყო ისრე, როგორც უნდოდა სააკაძეს.

ახლა მარტო სააკაძის ძალასა და მოხერხებაზედ იყო დამოკიდებული — გააწყვეს საქართველოს სახსენებელი, თუ დარჩეს და გადარჩეს სპარსთა მონებას *)...

ჯერ შაჰ აბაზის ჯარები არ დაძრულიყვნენ სპარსეთიდამ საქართველოს მოსასპობელად, რომ სააკაძემ მოსწერა საიდუმლოთ კათალიკოზს ზაქარიას, რომელიც მაშინ ანგელოზთა დარათ ითვლებოდა და იყო დიდი განმგლე პირი მთელს საქართველოზედ, **) და წილკნელს მირმანოზს, რომ სპარსნი მოდიან შესამუსრად მთელი ქართლ-კახეთისა. ის გაენდო იმათ, რომ ამას უნდა ხსნა საქართველოსი და მოსპობა მთლად სპარსთა ჯარებისა. „მომეცით მხარა, გამიძღოლეთ წინ თქვენი ლოცვა კურთხევა, და მიიღეთ ჩემგან ჩემი ხმალი, ჩემი გული, ჩემი სიცოცხლე“ სწერდა ამათ სააკაძე.

ეს საშინელ საიდუმლოთ იმარხოდა დიდს ხანს ამ სამთა შორის.

მართალია, სააკაძემ იქვე, სპარსეთში, ვერ დაიტოვა გულში და შესძახა ზურაბ ერისთავს, როდესაც ეს ამოდენა ჯარი დაიძრა საქართველოსაკენ.

— ვერა ჰხედავ რას აპირებენ ეს ურჯულონი!..

---

*) ჩვენ ხშირად ვხმარობთ, როცა ქართლ-კახეთის მოწყვეტაზე გვაქვს ლაპარაკი, რომ უნდოდათ საქართველოს მოსპობა, აქ ჩვენ ვიგულისხმებთ მას, რომ ქართლ-კახეთის მოსპობას მოსდევდა მესხ-იმერთაც მოსპობაც.

**) ზაქარია ეკურთხა კათალიკოსათ 1613 წ. (ჟორდ. ქრ. გვ. 1414).

მაგრამ იქვე იბნიდა ენაზედ. ზურაბ ვერ მიხვდა, რასა ჰნიშნავდა ეს შეძახილი სააკაძისა. ის იყო პატივისა და დიდების მოყვარე, და სრულიად კმაყოფილი იყო, რომ ამოდენა შაჰის ჯარების ერთი უმთავრესი მხედართ მთავართაგანი იყო ესა. ის დიდათ გახარებული იყო, რომ სვიმონ მეფემ შაჰთან ვერ აჯობა ამას. უხაროდა, რომ ეს მოვიდოდა ქართლში უფრო გაძლიერებული. რაც შეეხება ქართლის აურას, უეჭველი იყო ამას დაპირებული ექნებოდა ისევ მთავრობა თავის ქვეყნისა და უფრო მეტი ადგილებისაც ამ ქვეყნის ღალატში. ვინ იქნებოდნენ ამის ქვეყანაში მცხოვრებნი: ქართველნი თუ თათარნი, ზურაბისთვის არ იყო გარჩევა, როგორც არ იყო ამაში გარჩევა გამოჭმადიანებული სვიმონ მეფისათვის. თუ არა, შესაძლებელია ჰქონდა ამ დიდი სამსახურისათვის დიდი ალაგი აღთქმული სპარსეთში, რომელიც მით უფრო საფიქრელია, რომ იმან თავისი ცოლი არ წამოიყვანა სპარსეთიდამ.

ახლა ყოველივე მზათ იყო. მთელს ქართლსა და კახეთს შეკრული ჰქონდა გზა, რომ გასცლოდა სადმე სპარსთა ჯარებს, მასასადამე, მთელი მეომარი და მუშა ხალხი იყო შინ. ყველა მეომარს შეეძლო გამოსვლა საბრძოლველად. მუშა ხალხს მოჰყავდა საზრდო თავისთვისაც და მეომართათვისაც. მთელი ხალხი ჰდელავდა და თვითონაც სწყუროდა ომი, რაკი ჰნახეს, რა დღეც იყო იმათ თავს დამდგარი, რისთვისაც იყვნენ სპარსნი მოსულნი, რა ღალატითაც შემოეპარნენ ისინი და რა ღალატითაც გამოიმწყვდიეს ის შუაში. უიარაღოთ სიკვდილს, ყველა რჩებოდა ისევ ვაჟკაცურად თავის გაწირვას. ხალხი ელოდა ახლა მხოლოდ უბრალო ნიშანს, უბრალო შეძახილს, ერთს რიგიანს მოთავეს.

სააკაძემ მოიხმო ზურაბ. ზურაბ იყო უკეთესი მხედართმთავარი, უკეთესი გამბედავი, უკეთესი შემმართებელი, უძლიერესი მთავარი მთელს ქართლ-კახეთში. ზურაბიც ამ დღისათვის უნდოდა სააკაძეს. იმან ამისთვის შეარიგებინა შაჰს სვიმონ მეფესთან, ამ დღისთვის წამოიყვანა ის სპარსეთიდამ, ამ დღისთვის მოაცემინა შაჰს ამისთვის არაგვის ერისთაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე მწერალთა თქმით, სააკაძემ მიჰმართა იმისთანა ცხარე კილოთი და სიტყვით, რომ ატირა ზურაბ.

ამან დაუხატა მძლავრის და ძლიერის სიტყვით ის საშინელება, რაც მოელის მთელს საქართველოს ამ საზარო შაჰის განკრგულებისაგან, და უჩვენა, რასაც უნდა მოელოდებოდნენ ამისაგან ქართველნი, თუ შესრულდებოდა აბაზის სურვილი. სააკაძე ლაპარაკობდა ცხარეთ, მჭევრათ. ყოველი იმისი სიტყვა შიგ გულის სიღრმეში სცემდა და ჰკბენდა ზურაბს.

ზურაბ სტიროდა.

სტიროდა—ვინ? გულქვა ზურაბ! მოსისხარი ზურაბ!.. რამოდენი ძლიერი უნდა ყოფილიყო სიტყვა სააკაძისა!..

ზურაბ ეკითხებოდა სააკაძეს, რა უნდა ექნათ, რომ ეხსნათ ქვეყანა ამ საშინელი განსაცდელისაგან.

— ჩვენს მეტი ქვეყნის პატრონი არავინ არის... ჩვენგნით უნდა დაიღუპოს, ჩვენგნით უნდა აღდგინდეს ქვეყანა... ეს ორივე ჩვენს ხელშია.., არჩიე, რომელიც გიჯობდეს. იყო პასუხი მოურავისა.

— მერე რით? როგორ?!..

ეკითხებოდა ზურაბ.

აქ სააკაძემ აუხსნა ყველა თავისი წყობილება. უჩვენა, როგორ მოამწყვდია მთელი ქართლი და კახეთი შუაში, რომ გაქცევა ველარავის მოესწრო და ყველა მეომარი ხელთ ჰყოლოდათ ამათ გაჭირვების დღისათვის. უჩვენა, როგორ შეასუსტა სპარსთა ჯარები, რომელნიც იდგნენ ერთს ალაგას და შეადგენდნენ მოურეველს ძალას, თუ არ გაეფანტა ისინი შორს ხეობაებსა და სიმაგრეებში, ვითომც და ქართველების გზების შესაკრავად და ციხეების ასაღებად. უჩვენა, როგორ ძალა უნებურათ აალელვა მთელი ქართველობა, რაკი ცხადლივ თავის თვალით უჩვენა, რასაც უპირებენ ამათ სპარსელები და რისთვისაც არიან ისინი მოსულნი. აუხსნა: რომ ახლა საწყაო იყო აღვსილი, ერთი შეძახილის მეტი არ არის საჭირო... სპარსნი არიან გაფანტულნი, მათი ძლევა აღარ არის გასაჭირი...

სააკაძემ მოსთხოვა ვიცი, რომ ზურაბ იმასთან გასწირავს ქვეყნისთვის თავს, ერთათ დაღვრის საქართველოს ხსნისათვის სისხლს.

ზურაბ ჩაფიქრდა.

— მერე, რატომ იქვე ისპაანს არ მითხარ, რომ ეგ ბედო გუნებაში? აბა ახლა რა უყო ჩემს საყვარელს ცოლს! რა უთხრა მის მშობლებს? როგორ უნდა ვიკისრო ქვეყნის სირცხვილი?!.. როგორ უნდა უძლური ქალი ჩავაგდო სირცხვილში?!

— ვერ გითხარ იმიტომ, რომ მეშინოდა გახმიანებისა... ხომ იცი ათასი მოდარაჯე, ათასი მეთვალყურე ჰყავს ყოველგან მოფენილი იჭვიანს აბაზს. ამითი დავღუპავდით მთელს საქართველოს.

ზურაბ ვერა ჰბედავდა ცოლის დათმობას. მართლულობდა თავს ქვეყნის სირცხვილით.

— როგორ?! ვერა სთმობ ერთი ადამიანის სიყვარულს, ერთი ადამიანის სირცხვილს, როდესაც მთელი ამოდენა ქვეყნის სიცოცხლე, სირცხვილი და სიკვდილი ამ ერთს ადამიანზედ არის დამოკიდებული?!... ნუ თუ ჩემს პაატაზედ, ჩემს იმედზედ, ჩემს სიყრმის შვილზედ, რომლისაც ერთი წამის სიცოცხლეში მივცემდი ათასს ჩემს სიცოცხლეს, მე ნაკლებ მიყვარს და მიღირს?!.. მაგრამ მოვიკლიჯე გულიდამ... მივეცი აბაზს აჟთარს პირში შესაჭმელად... ქვეყანა დიდია. ბევრს პაატასთანას კიდევა ჰშობს, და პაატა-კი ვერ ჰშობს ქვეყანას... უნდა დასთმო ქვეყნისათვის შენც შენი ცოლი, როგორც მე დავთმე ჩემი შვილი, ჩემი ჯიგარი...

ზურაბ ყოყმობდა. ის გაიძახოდა თავისას. ზურაბის დაყოლება იქნებოდა საქმის სრულებით დაღუპვა. თუ არ დაჰყვებოდა და არ შეჰფიცავდა ზურაბ, ის ან უნდა მომკვდარიყო უმალ, ან ადვილი საფიქრელი იყო, რომ გაცხადდებოდა ეს საიდუმლო და ჩაიშლებოდა ასრე მარჯვეთ დაწყობილი და მოყვანილი საქმე.

სააკაძემ აქაც იხინა თ ვისი დიპლომატიური მანევრი.

— ზურაბ!—უთხრა სააკაძემ ხმას შეპარებით,—შენ ეხლა ისეთს ალაგასა ხარ, რომ უკეთესი მოყვრობა გეკადრება. შენა

ხარ უძლიერესი მთავარი მთელს ქართლსა და კახეთში... შენ ხარ ისევ ყმაწვილი, შეგიძლიან უფრო და უფრო გამდიდრება, შენ შეგფერის მოყვრობა მეფეთა... მე გიშოვნი შენს შესაფერს ცოლს... მე შეგრთამ შენ ლელა ბატონიშვილს, ლუარსაბ მეფის დას...

ლუარსაბ მეფის დის შერთვა ჰპირდა ზურაბს ქართლის მეფის ტახტის მემკვიდრეთ, რადგან ლუარსაბს არ დარჩა შვილი. სააკაძემ იცოდა ზურაბის დიდების მოყვარება, იცოდა იმისი სუსტი მხარე. იმან გადუკრა სიტყვა სწორეთ აქ.

ზურაბ მოლბა. ის დაჰყვა სააკაძეს ნებას. ამათ შეჰფიცეს ერთმანერთს. მისცეს ერთმანერთს პირი, დააწყეს პლანები საქმისა და გამოესალმენ ერთმანერთს.

გაუტეხარი და მხნე ზურაბ ოსტატურად შეუდგა საქმეს.

სააკაძემ გასწია კახეთს, ვითომც და ფეიქარხანის ჯარების დასათვალიერებლათ. ის აქ შეეთქვა სახელოვანს კახეთის თავისუფლების გმირსა და დიდებას დავით ასლანიშვილს—ჯანდიერს. ამასთან სააკაძეს არ მოუნდა დიდს ხანს ლაპარაკი: ის უმისოთაც მზათ იყო თავგანწირული უკანასკნელი ბრძოლისათვის. ახლა ხომ უფრო შეესხა იმას ფრთები. მაშინ, როდესაც იმის ამხანაგი ნოდარ ჯორჯაძე არა შორდებოდა თეიმურაზს, ეს სახელოვანი კაცი არა შორდებოდა კახეთს, კახელობას, რომელთანაც ერთათ აპირებდა ან სიკვდილს ან გამარჯვებას და თავისუფლებას. ყველა ნიშნებიდამა სჩანს, ის თარბითვე იყო სააკაძესთან შეთქმული. ის ამხნევებდა და ასულდგმულებდა კახეთს. მთელი კახეთი შესცქეროდა ამას თვალსა და პირში, ელოდა ამისგან ნიშნებას, ამის შეძახილს, კახელობამ, რაკი ნახა თავი, მომწყვდეული სპარსთა ჯარების შუა, იწყო მაგრება და კეთება სიღნახებისა. მთელი კახეთი გადაიქცა სამხედრო ბანაკად. ჩაჯდა იარაღში.

სააკაძე, ვითომც და ათვალიერებს სპარსთა ჯარებსათ, დაიარა ამ მიზეზით მთელი კახეთი. ის დადიოდა სპარსთა ჯარებში და ახდევინებდა განკარგულებას შაჰის ბრძანების შესასრულებლათ *)

იდუმალი იყო სააკაძის დაწყობილი საქმე. ღრმათ იყო ყო-

---

*) ჩვენი მწერალნი დარწმუნებულნი არიან, რომ ყველას ამას ის აწყობდა მართლაცა და სპარსთა სასარგებლოთ. ისკანდერ მუნჯი-კი ჰხედავს ამაში სპარსთა ღალატს. თვით შაჰიც ბოლოს დარწმუნდა ამაში და გაუგო სააკაძეს.

ველივე მოსაზრული, ჰმალავდა სააკაძე თავის წყობილებას; მაგრამ ეს არ დაუმალა საშინელს შაჰს. შაჰმა გაუგო სააკაძეს ღალატი.

საიდუმლო საქმეში კედლებსაც-კი ყურები ასხიათო არის ნათქვამი. სწორეთ კედლების გაცემულს ჰგავდა სააკაძის საქმე.

შაჰმა აფრინა მიკრიკი ფეიქარხანსა და ყარჩიხანთან, რომელთაც სასტიკად სწერდა: მოურავს ეხლავე მოსჭერით თავი და აქ გამომიგზავნეთო. დ აჩქარეთ კახეთის მოწყვეტა და ქართლის აყრაო.

სააკაძემ იცოდა, რომ, თუმცა დიდი ნდობა ჰქონდა შაჰს ამისი, დიდი სამსახური მიუძღოდა ამას შაჰთან, მაგრამ ის არ გაუშვებდა ამას უზვერაოთ, რომ ამას ეყოლებოდა მიჩენილი კაცები, ყოველს ამის ნაბიჯს, ყოველს მოძრაობას ეყოლებოდა მეთვალყურე. ჯერ იმისი შვილის შაჰისაგან მძევლად დაჭერა არწმუნებდა სააკაძეს, რომ შაჰი ჰფრთხილობდა ამის შესახებ. უეჭველია, რომ სააკაძეც ჰფრთხილობდა, ჰყავდა თავის მხრივ მიჩენილი კაცები, რომ ეგდოთ ყური და შეეტყობინებინათ, რაცა ხდებოდა თეირანს, ან ისპაანს შაჰის კარს. შაჰის თავს.

საკვირველი არ არის, რომ სააკაძე გააფრთხილეს ამაზედ თავის კაცთ სპარსეთიდამ, და საკვირველი არ არის, რომ ის თვითონაცა და მისი მეთვალყურენიც ჰდარაჯობდნენ სპარსეთიდამ გამოგზავნილთ კაცთა და ამბავთა. ამაზედ გვარწმუნებს ის ამბავი, რომ თვით სააკაძე და იმისი კაცნი შეემთხვნენ პირველნი იმ მიკრიკს, რომელსაც მოჰქონდა შაჰისაგან ის საშინელი ბრძანება სააკაძის მოკვლისა, რომელიც ითქვა ზემოთ.

ლოჭინის ბოლოს, რომელიც დევს სამი ოთხი ვერსის მოშორებით მარტყოფისა და ნორიოზედ, სადაც იყო უმთავრესი ბანაკი ფეიქარ ხანის ჯარებისა და სადაც იდგა თვით ფეიქარ ხან უმთავრესი ჯარებით, სააკაძე, ჩვენთა მწერალთა თქმით, გავიდა სანადიროთ.

აქ, ფრთხილმა თვალმა სააკაძ სამ შენიშნა შორს ვიღაცა უცხო კაცი, რომელიც საშინელი სისწრაფით მოუშურებოდა მარტყოფისაკენ. სააკაძეს გულმა უგრძნო, თუ ელოდა რასმე საშიშს სპარსეთიდამ, გაუელვა თავში, შეეპყრა ის კაცი. იმან მიაგება კაცები, რომ მოეყვანათ იმასთან ის უცხო კაცი. ამ კაცმა იცნო სააკაძე, და არ წამოვიდა. იმან უფრო გაუმატა გზასა და საშინელის სისწრაფით გასწია, რომ ან შეჰფარებოდა რასმე ან შეესწრო სპარსთა ჯარებში.

სააკაძე გამოუდგა თვითონ თავის ამალით და შეიპყრა ის კაცი. ის იყო შიკრიკი შაჰისა. იმას ძალათი ამოართვეს უბიდამ ბრძანებნი შაჰისა, სადაც ეწერა მოკვლა სააკაძისა, მოსპობა კახეთისა და აურა ქართლისა... *)

ერთი ნახევარ საათი კიდევ და ჩაფუშვილი იყო ყოველი წყობილება დიდებული კაცისა, თვითონ ისიც თავისის ცოლშვილით და მთელი საქართველო იქნებოდა ბოლო მოღებული.

დაგვიანება საქმისა აღარ იქნებოდა. შესაძლებელი იყო, ფრთხილსა და გამოცდილს აბაზს დაეყოლებინა ზედ სხვა შიკრიკიც ამგვარივე ბრძანებით.

სააკაძემ მოაკვლევინა შიკრიკი, ჩაათვლევინა იქვე მიწაში, და შეუდგა საქმის აჩქარებას.

---

*) ისკანდერ მუნში ამ ამბავსაც სთვლის სააკაძის მოგონილ ამბათ. ეს განგებ მოიგონა, რომ უფრო აელელვებინა ქართველებიო. მუნში ყოველის ღონითა სცდილობს ამ საქმეში გამოიყვანოს სააკაძე უმიზეზო მოღალატეთ აბაზისა. მაგრამ პარიჟის ხელნაწერი ქ. ც, თქმით ჯერ კახთა მოწვეული ხალხის მოწყვეტა მოხდა, მემრე შათირის მოკვლა, რომელსაც მოჰქონდათ ხსენებული ბრძანება აბაზისა.

რომ ეს მოგონილი არ იყო სააკაძისა და ისკანდერ მუნში ვერ შერიგებია ამას, რომ ულალატა სპარსთ და ასრეთი უცნაური მარცხი აჭამა შაჰის ჯარებს და სპარსთ, გვიმტკიცებს სხვათა შორის შემდგომი. როგორც ვიცით, როსტომ მეფე, რომელსაც მეფობამდის ეწოდებოდა ხოსრო მირზა, იყო გათათრებული, აღზრდილი სპარსეთში. დედით იყო სპარსი, იყო ერთი თავსარდალთაგანი სპარსთა ჯარისა მარაბდის ომში და სპარსთაგანვე იყო დაყენებული ქართლ-კახეთის მეფედ, და ბოლომდის იყო მომხრე და ერთგული სპარსთა,—ერთს მცხეთის სიგელში სწერს, „როდესაც შაჰ-აბაზმა ათი-თორმეტი ხანი გამოგზავნა მაყრებივით სვიმონის საქორწილოთ, ბრძანება ჰქონდათ, რომ კახთ კაცი ბაეწყვიტათ და ყიზილბაშნი დაესახლებინათ“ (ქორდანიას ქრონიკები, ნაწ. II, გვ. 462.) და რომ ყველა ეს სიტყვები როსტომ მეფისა ნამდვილია, ამაზედ იჭვი არ უნდა იყვეს, რადგან ყველაზედ კარგათ იმას უნდა სცოდნოდა ესა: ის იყო მაშინ განმგებელი თითქმის მთელი სპარსეთისა და უმახლობელესი პირი შაჰ-აბაზისა, იქამდის მახლობელი და ძლიერი, რომ შემდგომ დიდი აბაზის სიკვდილისა, ესა და როსტო ხან სააკაძე განაგებდნენ მთელს სპარსეთს, და თავისის ძალით განაგებდნენ შაჰის ტახტს, განაგებდა თავისი სურვილისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ უფრო კიდევ შეასუსტოს ალაგობრივ მდგომი ჯარები, ფეიქარ-ხანს დასცა დასტური, რომ ახლა დროა ვიწყოთ კახეთის ამოწყვეტა. მისცა ბრძანება, რომ მარტყოფიდამ და ნორიოდამ გაეგზავნა ჯარები სიღნახის ასაღებათ, რომელიც დიდათ იყო კახელებისაგან გამაგრებული და სადაც დიდძალ კახელობას ჰქონდა თავი მოყრილი; მისცა ბრძანება, რომ გაესიათ ჯარები სხვა სიღნახებისაკენაც, სადაც აგრეთვე მოეყარათ კახელობას თავი და იყვნენ გამაგრებულნი. დასცა დასტური გაესიათ სათარეშოთ და მოაწყვეტათ ჯარი.

ფეიქარ-ხანმა იწყო საქმე. დიდს სიღნახს (ეხლანდელი ქალაქი სიღნახი) და სხვა სიღნახებს გაუსია ჯარები. კახელები დახვდნენ მზათ გამაგრებულნი. იმათ დიდი ხანია იცოდნენ, რაც დღე ელოდათ და მოისწრეს გამაგრება. მთელი კახეთი იჯდა იარაღში.

მარტყოფიდამ სააკაძე გადავიდა გლდანზედ და უბრძანა დავით ჯანდიერს, რომ აჩქარებინა საქმე, იმან დაუდო ამ სახელოვან კახელს პაემანი, რომ კახელები უნდა მოსულიყვნენ და მოშველებოდნენ ამას მარტყოფში ფეიქარ-ხანის ჯარებზედ 25 მარტს, (1623 წ.) ხარებობა დღეს, შუადღის უკან, მზის გადახრისას.

დაუზარებელი და მხნე ასლანიშვილი ეცა სამზადისს, კახელები დიდი ხანია ელოდნენ ამის დაძახილს.

აქედამ ეცა სააკაძე ზურაბს არაგვზედ იმას დაუდო პაემანად დილა რიჟრაჟი ამავე 25 მარტისა. ვადა მისცა მოკლე, სულ სამი დღე, მეოთხე დღე იყო 25 მარტი. ის უნდა დასცემოდა სპარსთ ს. ფურცლეს (სამუხრანოში), რასაც დღეს ნატახტარს ეძახიან.

აქვე აცნობა კათალიკოზს და წილკნელს, რომ ამ დღისთვის ყოფილიყვნენ მზათ, მიეშველებინათ ჯარი ზურაბისათვის, მიეცათ შემწეობა.

ამ დროსვე გაამზადა ჯარები სამცხეს ახალციხის ასაღებად და სპარსთა შესამუსრავად. ყოველივე ეს უნდა მომხდარიყო ერთს დღეს.

რაკი იცოდა, რომ ანდუყაფარ ამილახვარი იყო ერთგული და მომხრე სპარსთა, როგორც გამოჭმადიანებული, როგორც სიძე შაჰ-აბაზისა და ქვისლი სვიმონ მეფისა,—დაზნელ დაზნელის შემწეობით, რომელიც იყო მაშინ სამეფოში ერთი მთავარ მსაჯულთაგა-

ნი, ისე უცებ შეიპყრა ის და იმისი ცოლი, ისე საიდუმლოდ დაატყვევა, რომ დიდს ხანს არავინ იცოდა, რა იქნა [illegible] სააკაძემ ის დაატყვევა არშის ციხეში, რომელიც დევს ხევის კართან ანუ დარიელთან, მყინვარის ძირას, რომელსაც ეხლა ეძახიან ყაზბეგს, თერგისა და არაგვის სათავეებში, საშინელს ყრუს და მიუდგომელს ალაგას.

საქმე უნდა ისრე დაწყობილიყო, რომ ჯერ მოწყვეტილიყო სამუხრანოში მდგომი უმთავრესი ჯარი ყარჩიხანისა, მემრე მარტყოფში მდგომი უმთავრესი ჯარი ფეიქარ-ხანისა. უნდა ისე მოხერხებულიყო, რომ სააკაძეს მოეწყვიტა მუხრანში სპარსნი, აეღო გზათ მდები ციხეები, სადაც იდგნენ სპარსნი; აეღო თბილისი და იმავე დღეს, დადებულს ვადაზედ, დასცემოდა ფეიქარ-ხანს მარტყოფში, სადაც ამ ვადაზედ უნდა მოსულიყვნენ კახელებიც. ფეიქარ-ხან უნდა მონწყვდეულიყო შუაში.

ყოველივე საქმე დააწყო სააკაძემ, მისცა ყველას შესაფერი ბრძანება და განკარგულება.

ამავე დროს აფრინა, ჩვენი საეკლესიო მწერალთა თქმით, ყოველ მხარეს კაცნი მთელს ქართლ-კახეთთან შემდეგი წერილებით:

„მე ავღმართე მახვილი სპარსთა ზედა!.. ჯერ კიდევ ისრე არ დადუმებულა ხელი ჩემი, რომ შევარჩინო სპარსთა სისხლი, დათხეული მათგან ჩემს მშობელს ქვეყანაში!.. უნდა მოისპოს სახელი სპარსთა საქართველოში და განიდევნოს ქართლით გათათრებული მეფე სვიმონი!..“

თვითონ ოთხი კაცით უნდა დარჩენილიყო ყარჩიხანის ჯარში, რომელიც იდგა საფურცლეს, რომელსაც დღეს ეძახიან ნატახტარს, სამუხრანოში, ეს ოთხი კაცი იყო: შვილი თვითონ სააკაძისა, ავთანდილ, მეხი, ელია დიასამიძე, პაატა ხერხეულიძე, პაპუნა ვაშაყაშვილი.

ამ ოთხი კაცით უნდა დაეწყო სააკაძეს დიდებული საქმე, ხსნა საქართველოსი მოსპობიდამ. მაგრამ ეს ოთხნი იყვნენ ნამდვილი კლდე და ფოლადნი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეორე შვილი სააკაძისა, ზურაბ, უნდა მოსულიყო ზურაბ ერისთავის ჯარებთან ერთათ. *)

როგორც პირად გარდმოსაცემი მოგვითხრობს, ზურაბ ერისთავი, როცა მოუახლოვდებოდა ჯარებით სპარსთა ბანაკს, უნდა მთელი ჯარისათვის საყვირები მიეცა პირში და მთელს ჯარს უნდა აეტეხა საყვირის ძახილი.

დაბრუნდა სააკაძე სპარსთა ბანაკში და აწყობდა კვალად სპარსთა საქმეებს. გამოუცხადა, რომ დრო იყო შესდგომოდნენ ქართლის აყრის საქმეს. ქართლს გასწრება აღარსად შეეძლო, მთელი ქართლი იყო მოწყვდეული შუაში.

ამავე დროს გავარდა სპარსთა ჯარებში ხმა, რომ თეიმურაზ მოდის რუსისა და იმერლების ჯარებითა.

ამ ხმას, ცხადია, ჰქონდა კავშირი იმ ხალხის გადმოსაცემთან, რომელიც მოგვითხრობს, რომ ზურაბის ჯარებს უნდა მოახლოვების დროს ეყვირებინათ საყვირებით. ბევრი საყვირის ხმა ჰნიშნავდა ბევრს ჯარს. ბევრი ჯარის მოყვანა შეეძლო თეიმურაზს, რომელსაც დაყრილი ხმის თქმით, მოჰყავდა რუსნი და იმერნი.

ეს ხმები გამოდიოდნენ ქართველებიდამ. ცხადია, ამ ხმის დაყრა შედიოდა სააკაძის პლანში. **)

სპარსნი შეფიქრდნენ.

სააკაძე ამხნევებდა სპარსთ, თუმცა ამბობდა, რომ აქ დაუჯერებელი არი არის რაო, და ჰპირდებოდა: მე ვიცი და თეიმურაზის ჯარებმაო.

მოატანა პაემანმა, რომელიც ჰქონდა სააკაძისაგან მიცემული ზურაბს. პაემანი, როგორც ვიცით, იყო დილა განთიადი 25 მარტისა 1623 წ., ხარებობა დღე.

---

*) ავთანდილიცა და ზურაბიც, მოურავის შვილები, რომელნიც ამ შეთქმულებაში დაესწრნენ, იყვნენ სულ ბავშვები 17—18 წლისანი. ეს ამტკიცებს, რაოდენი გმირობა უნდა ჰგულებოდა სააკაძეს თავის შვილს ავთანდილში, რომ ამისთანა მძიმე საქმეში იმან ამოდენა ქართველობაში ეს ბავშვი აარჩია და ენდო.

**) ეს ხმის დაყრა გორგოჯანიძეს მიუღია ნამდვილ ამბათ. ისა და იმისის სიტყვით ავტორი „მოურავის სიკვდილისა“, თეიმურაზ ბატონის-

მთელს საუკუნეთ გადაიქცა სააკაძისა და იმის მხლებელთათ-ვის ის საშინელი ღამე, როდესაც ელოდნენ ზურაბს ჯარებით.

ხუთი ქართველი, სულ განაბული თავით ფეხებამდის იარაღ-ში ჩამსხდარნი, ტანთ გაუხდელათ იწვნენ ბნელა კარავში და სა-შინელი გულის ძგერით ელოდნენ ხმაურობას და ქართველთა ჯა-რის დასხმის ნიშანს.

ამ ხუთი კაციდამ უნდა დაწყობილიყო ხსნა მთელი ორი სა-მეფოსი, სიცოცხლე მთელი საქართველოსი.

სააკაძე იყო ჩუმად. ხმა, კრინტი გამხნევებისა არ წარმოუთ-ქვამს თავისი ოთხი გმირი ამხანაგისათვის. იმათი გული ჭდელავ-და თანასწორად. ისინი, როგორც მშიერი ლომი განაბული ბორც-ვის პირას, როცა ელის თავის მსხვერპლს,—ელოდნენ წუთს, რო-დესაც უნდა შეემართნათ მახვილი ქვეყნის ხსნისა... სააკაძის მდუ-მარება აქ უფრო ბევრს ამბობდა ამათი გულისა და გრძნობისთ-ვის, ვიდრემ ათასი მშვენიერად შეწყობილი და შეწმასხვნილი მა-გარი და გამამხნევებელი სიტყვა. ყველას ახსოვდა ახლა ერთი, რომ ამ ხუთს კაცზედ იყო დამოკიდებული სიცოცხლე, თუ სიკვ-დილი საქართველოსი. ფიქრი ამათი ეს იყო. წინამძღვარი ჭუავ-დათ სააკაძე... მეტი საჭირო არა იყო რა ამათ გასამხნევებლათ... ისინი ელოდნენ მხოლოდ ნიშანს და მთელი თავისი ყურადღება ჰქონდა მიქცეული იმ მხარისაკენ, საიდამაც უნდა მოსულიყო ზურაბ...

მოვიდა ზაქმანი.

---

შვილი, მოგვითხრობენ, რომ თეიმურაზ მოვიდა ამ შეთქმულობაშიო. მაგრამ ეს ცხადი ტყუილია. ამას არღვევენ ყველა მწერალნი: არჩილ მე-ფე, რომელიც იყო ბიოგრაფი და სიძე თეიმურაზისა, ვახუშტი, ისკან-დერ მუნჯი, თბილელი, არაქელ და სხვანი ყველანი ერთხმივ მოგვითხ-რობენ, რომ თეიმურაზ ამ დროს იყო გონიას და ამ ამბის უკან მოიყ-ვანეს ის საქართველოში შეთქმულობაში მონაწილეთა· ამასვე გვიმტკი-ცებს თვით მეფე თეიმურაზ თავის წყალობის წერილით, რომელიც მის-ცა ამან დავით ჯანდიერის შვილს, სადაც თეიმურაზ ამბობს, რომ მე, სხვათა შორის მამაშენმა დავითმა მომიყვანა საოსმალოდამ ამ გამარჯ-ვების უკანა და ორივე სამეფო ჩამაბარესო. ამასვე მოგვითხრობს პიეტ-რო დელავალლე, რომელიც ამ დროს გზათ იყო საოსმალოში. იმასვე მოგვითხრობს ქვათახევის გულანი (ქრონ. ჟორდ. ტ. II. გვ. 445 და 446).

მთელს სპარსთა ჯარებში დადგა მყუდროება. მხოლოდ აქა-იქ-და ისმოდა ხმაურობა ღამის გუშაგთა.

ეძინა მშვიდი ძილით მთელს ბანაკს. შესწყდა ხმაურობა ყარ-ჩიხანისა, უსუფხანისა, ყაზახის ხანისა და სხვათა მხედართ-მთავართა კარვებში.

მისწყდა ფეხის ხმაც...

სადაღაც შორს ისმის ჭოტის ძახილი.

ბაიყუშთ ასტეხეს ფრენა და ჭყავილი სპარსთა ბანაკზედ [1]).

ვის უქადიან ეს გულსახეთქნი ფრინველნი უბედურებას: სააკაძესა და მის წყობილებას, თუ სპარსთა მხედრობას?!.

მოატანა გათენებამ. ხმაურობა არსაიდამ, არ ისმის.

ნუ თუ უღალატა ზურაბმა?! ნუ თუ ვერ მოჰბედეს ქართველთა?!

ძალაუნებურად იწყეს მოძრაობა ამ ფიქრებმა ხუთი თავგაწირული ქართველების გულში.

შემოჰკრა დილის ნიავმა, და ღამის მარაგმა იწყო წმენდა. გამოჩნდნენ შიგა და შიგ მკრთალი ვარსკვლავნი... აიკრიფა გარშემო მთებზედ ბურუსები... გამოჩნდა დილის ნათელი.

შორს, შორს, ნაოზასა და წილკანს შუა, საკრამულას ჩამოსვლიდამ მისაქციელის მხარეს შეიქმნა რაღაცა ხმაურობა. მოწმენდილს დილის წმინდა ჰაერში ცხადლივ მოისმა საომარი საკრავების ხმა.

ხუთმა თავგანწირულმა გმირმა ცქვიტეს ყურები.

---

[1]) აი სხვათა შორის ლექსად დარჩენილი ამბავი ამაზედ:

„საფურცლეს ბაიყუშებსა
თავები მოუყრიათო,
ბუთ ეძახიან, ჭოტებსა,
რა თავი აგიგდიათო:
რას აქეთ-იქით დაფრინავთ,
რა ყური წაგიგდიათო!
ყვავთ დაუძახეთ, ყორანთა,
გამართონ ლხინი, ხადილი...
მადლი შესწირონ უფალსა. .
მზადდება დიდი სადილი.“

წამოხტნენ ზეზედ. მიუგდეს ყური.

ზურაბ! სწორეთ ზურაბ!—მოდის თავისის ჯარით, ხმა [illegible] ნაღარისა თანდათან ახლოვდებოდა. აგერ გახშირდა, აგარ შეიქმნა ხმა მეორეთ მოსვლისა. მთა და ველი აძლევდა აუარებელს საყვირის ხმას ბანსა. მთელი ზურაბის ჯარი სცემდა საყვირს...

ღამის გუშაგთა მისცეს ნიშანი ჯართა და სარდალთა.

უსუფხან, ყაზახის ხანი და სხვა ხანები, ამირები, სულთნები და მხედართ მთავარნი ეცნენ ყარჩიხანს.

ყარჩიხანმა გასცა მაშინვე ჯარის აშლის ბრძანება და, ზარდაცემულმა, აფრინა კაცი სააკაძესთან.

ხუთნივე შეთქმულები, ქანდაკივით გაქვავებულნი, იდგნენ და გასცქეროდნენ ყარჩიხანის კარავს.

მოვიდა ყარჩიხანის კაცი გულ ხეთქებით.

ყარჩიხან და მთელი სპარსნი ელოდნენ შველას სააკაძისაგან. სახუმარი არ იყო, თუ მართლა თეიმურაზ მოდიოდა რუსისა და იმერლის ჯარებით...

საშინელი ხმა ბუკისა და საყვირისა თანდათან ახლოვდებოდა და ედებოდა ჰაერს.

სააკაძე ცხენ და ცხენ დაიძრა თავისი ოთხი კაცით.

ყველა მხედართ მთავარნი და ხანები მოსცვივდნენ სააკაძეს.

— რა ამბავია ვინ არიან? რა ვქნათ?!—მიაყარეს იმათ ზედიზედ სააკაძეს.

— აი რა!!—შესძახა იმან, იძრო შუბი და ერთის თვალის დახამხამებაზედ გაუწონა ყარჩიხანს შიგ გულში. ყარჩიხან დაეცა უსულოთ. – ხმალი აშ ურჯულოთა!—მიაძახა მგრგვინვარე ხმით სააკაძემ თავის მხლებლებს.

ვით მეხი, ვით მედგარი ეს ხუთი უმაგალითო გმირი ჩაერია სპარსთა სარდლებს, და, მინამ ისინი მოვიდოდნენ გონს, გაავლე იმათ კიდეც მუსრი.

ქართველთა ჯარი ჯერ კიდევ არ შემოსწევოდა სპარსთა ჯარებს, რომ ყველა იქ მყოფნი სპარსთა წინამძღვრები მთლათ ამოსწყვიტეს სააკაძემ და მისთა მხედართა, და ახლა გადაერივნენ ხანების

ზარ დაცემულ, ამადას. საშინელი ყიჟინით სცემდნენ ხმალს და „მხალივითა სთიბავდნენ!“ როგორც მოგვითხრობენ სომხ[illegible] მწე-რალნი...

ერთი გონს მოსვლა, ერთი გაბედვა და, ცხადია, ეს ხუთი კაცი შეიქნებოდა მსხვერპლი თავის გაბედაობის.

მაგრამ სააკაძემ იცოდა, რასაც ჩადიოდა. იმან იცოდა, რაც ზარი და ელდა იყო ეს სპარსელებისათვის. იმან იცოდა, რომ, თუ ერთი შეესვენათ და მისცემოდათ დრო მოფიქრებისა, შესაძლებელი იყო მოსულიყვნენ გონსა, ეცნათ სიმცირე ამათი და ყოველი საქმე გაფუჭებულიყო. იმან ისარგებლა შიშის ზარით და ეს ზარი თავისი მედგარი ხმით და საშინელი ხმლით უფრო შეჰქონდა სპარსთა ჯარებში...

ზურაბ მოადგა სპარსთა ბანაკს. გადმოხედეს ამ მცირეთა და მათ წინ თვალგაუწვდომელ ალაგზედ, მეფე არჩილის თქმით, ზღვასავით ბიბინებდა აურებელი და შიშისაგან წამოშლილი ჯარი სპარსთა.

უცებ დაიგრიალეს თოფთა, და, როგორც გაავთრებული ლომი, საშინელი ყიჟინით: მუსრი მაგ ურჯულოთა!! ჩაერია ზურაბის მოყვანილი ჯარი მტერთ...

საშინელება იყო შიშის ზარი, რომელიც დასცეს ქართველებმა სპარსთა. ტიტველა, ფეხშიშველა, უიარაღო გარბოდა მომეტებული ნაწილი სპარსელებისა, იარაღიანები ვეღარ არჩევდნენ ერთმანერთს, ერთმანერთი ეჩვენებოდათ ქართველებათ, ერთმანერთს თვითონვე ავლებდნენ მუსრს... პირველისავე ქართველების ყიჟინაზედ ჰყრიდნენ თოფ-იარაღს, გუდ-ნაბადს, სთელავდნენ ერთმანერთს, გადადიოდნენ ერომანერთზედ. ცხენი, კაცი, აქლემი, ყოველივე აირია ერთმანერთში. ცოცხლები იმალავდნენ მკვდრებში თავს.

დაინახეს თუ არა ქართველებმა მოურავი და გაიგონეს იმისი ხმა, ისინი დაემგვანნენ ნამდვილ მდევს და გმირებს, იმათ თითქოფრთა შეესხათო, შესძახოდნენ:

— გაუმარჯოს ბატონ მოურავს! გაუმარჯოს საქართველოს!!. მუსრი ურჯულოთა!!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გადადიოდნენ გუნდიდამ გუნდზედ. რაზმიდამ რაზმზედ და აყენებდნენ მკვდრის ხროვას ...

სპარსთა გაუშვეს ქართველების ხელთა მთელი თავისი ბანაკი ძრავად და მარტო გაცლას-და სჩქარობდნენ. მაგრამ აღარ იყო არსით გაცლის გზა. სააკაძემ აფარინა ნაწილი ჯარისა არაგვსა და ქართისკრის ვიწროებისაკენ წინ საყელებლათ. გაქცეულს და გამთხვეულს სპარსთა ჯარს უყელა ამ ჯარმა წინ. ახლა დადგა სპარსთ თავს ნანდვილი რისხვა ცისა. სპარსნი აირივნენ. დაიძრნენ ისევ უკან. უკან მოსდევდა მათ იგივე ქართველი ჯარი უწყალო ჟლეტით. ისმოდა ჩუმი ხმლის ჩახუნი მიუჩვეულს დილის ჰაერში, ისმოდა გოდება დაჭრილთა და ყიჟინა სისხლისაგან დამთვრალი ქართველი ხალხისა... სპარსნი იჟლიტებოდნენ უწყალოთ, შეუბრალებლათ..

სააკაძის ჯარს ემატებოდა ქართველობა იქიდამაც-კი, საიდამაც ამ ჟამად იმას სრულიად იმედი არა ჰქონდა. გავარდა ქვეყნად ხმა, რომ სააკაძე უძახის ქართველობას ქვეყნის დასახსნელათა, და ვინც მოისწრო ზურაბთან მისვლა, მივიდა, ვინც არა და დაიძრა პირდაპირ საივურცლისაკენ, რაკი გაიგეს ვადა და ადგილი ბრძოლისა, რომელიც დასდო მოურავმა. გათენებამდის კიდევ ბევრმა მოუსწრო და ერივნენ სპარსთა ჯარებსა... მთელი საქართველო აიშალა და ეცნენ სააკაძის მისაშველელათ...

სააკაძემ მიახარა ზურაბს დამარცხებული ჯარების ბოლოს მოღება, თვითონ ზოგი ჯარით დაიძრა ახალციხისაკენ, რომელიცა დევს მცხეთის მახლობლად და რომლისაც ნანგრევნი ეხლაც კიდევა სჩანან: აქ იდგნენ სპარსთა ჯარები.

ის იყო დაიძრა ქეთევან სააკაძე, რომ უცებ მთელი გუნდი გავოთებული მხედართა ჩამოერია ცხენ და ცხენ ქართველების ჯარებში. ისინი მიაპობდნენ ქართველთა მეომართა და ჭიდიოდნენ პირდაპირ სააკაძეზედ. შეიქნა ქართველობაში არეულობა. გაშმაგებულნი მხედარნი იყვნენ სპარსნი.

შეიქნა ხმალ და ხმალობა.

სააკაძე მიეტივა სპარსთ ქართველი მხედრებით.

უცებ, ერთმა სპარსთა მხედარმა გააპო გზა შეიმართა მას და მივარდა ზედ სააკაძეს, რომელიც ამ დროს აძლევდა ჯართ რაღაცა ბრძანებას.

— მოკვდი მუხუნათო!! ესეც მამიჩემის სისხლი! — შესძახა სპარსთა ახალგაზდა მხედარმა და შემართა სააკაძის თავზე ხმალი.

ამ სიტყვის დროს, სააკაძე ხდებოდა მსხვერპლი საშინელი გამბედავი მტრისა. მაგრამ იელვა უცებ უმაწვილი სპარსთა მხედრის თავზედ ქართველის ხმალმა, და, მანამ იმისი ხმალი დაეშვებოდა მოურავის თავზედ, თავი სპარსელი მხედრის გაგორდა მოურავის ფერხთ წინა.

სპარსი იყო იმამ-ვერდი-ბეგ, შვილი სააკაძისაგან მოკლული ფარჩიხახნის; ქართველი — ზურაბ, შვილი გიორგი სააკაძისა, რომელმაც შესძახა ამ დროს: მამაჩემმა მოჰკლა მამაშენი, და შენ მოკლევინებდი მამჩემსაო!“ [1])

ეს ზურაბ, მოურავის შვილი, სულ ჩვიდმეტი წლის უმაწვილი, როგორც ითქვა, მოჰყვა ზურაბ ერისთავის ჯარს, და ახლა აღარა შორდებოდა მამას გვერდიდამ.

სააკაძე ჩაუხტა ცხეთის ახალციხეს იმავე სისხამ დილით და შეიპყრა მოლათ მთელი აქ მდგომი სპარსთა ჯარები.

აქედამ ელდის უმალეს ეცა თბილისს, და მინამ იქ ამბავი მოუვიდოდათ საიურცლეში ჯარების ამოწყვეტისა, მინამ სააკაძემ დაიჭირა ქალაქი, შეიპყრა და მოსწყვიტა აქ მდგომი სპარსთა ჯარები, აიღო თბილისის ყველა ციხეები, გარდა ნარიყალის ციხისა, სადაც სპარსთა მეციხოვნენი იდგნენ ხოლმე ყოველთვის დიდად გამაგრებულნი, ჩაუყენა შიგ თავისი მეციხოვნენი და ნარიყალის ციხეს შემორტყა ჯარი და ბოლოს აიღო ეს ციხეცა.

სვიმონ მეფემ მოასწრო გაქცევა თბილისიდამ.

სააკაძემ გასცა ბრძანება, რომ ნარიყალის ციხისათვის შეეკრათ წყლის გზა, რომ უწყლობით დაემორჩილებინა სპარსთა მეციხოვ-

[1]) ზოგთა თქმით ეს მოხდა მარტყოფს, ფეიქარხანის დამარცხების დროს.

ნენი, თვითონ სარქართ გასწია მარტყოფისაკენ ფეიქარხანისკენ, რომ პაემანზედ დახვედროდა იქ დაბარებულს კახელობას. თორემ დაგვიანებით შეიძლება სულ წამხდარიყო საქმე.

ზურაბ და სხვა მრავალი ქართველობა, რომელნიცა სდევნიდნენ გაქცეულს ყარჩისხანის ჯარებს, მოერთვნენ აქ სააკაძეს...

მინამ აჰწერდით სააკაძისა ფეიქარხანზედ მისტომას, საჭიროა აქ მოვიყვანოთ ორი ცნობა, რომელთაც ჩამალეს სააკაძის დაწყობილობა ნარიყალის ციხის აღებაზედ.

როგორც ითქვა, ნარიყალის ციხე უნდა გატეხილიყო უწყლობით. მაგრამ ქართველობას გამოუჩნდნენ მოღალატენი.

გიორგი გორგიჯანიძემ, მამამ მეისტორიე ფარსადან გორგიჯანიძესამ, უჩვენა სპარსთ გზა და სახსარი, როგორც უნდა ეშოვნათ წყალი მეციხოვნე ჯარებისათვის. სააკაძემ, როდესაც დაბრუნდა თბილისში უკანა და გაუგო ეს, ჩამოახრჩობინა გორგიჯანიძე შიგ შუაგულს ქალაქში.

ამგვარივე ღალატი გაუწია გორგიჯანიძის უკან თავის მშობელს ქვეყანას და ხალხს თბილისის მოქალაქე გარსია ჯანუაშვილმა. ამ ჯანუაშვილს ჰქონდა მეგობრობა სპარსელებთან. ამან მისცა პირი სპარსთა, რომ ყველა სპარსთათვის სასიამოვნო და საჭირო ამბავს აცნობებდა რაიმე ნიშნით. ნიშნიც იყო ბაირახი. როდესაც მოვიდოდა სპარსთათვის რამე სასიამოვნო ამბავი: ან ქართველთა ჯარი იქნება ყურმიგდებული და მოშორებული ციხესა და ქალაქს, ან სურსათის მომტანნი მოახლოვდებოდნენ, ან მომშველთ ჯარი მოახლოვდებოდა, ან რამე ამ გვარი ხდებოდა, რომ მეციხოვნეთ შეეძლოთ თავის გამაგრება და შენახვა, ჯანუაშვილი გამოჰფენდა ნიშნის ბაირახს და ამათი იცოდნენ სპარსთ, როგორც უნდა მოქცეულიყვნენ და რაც უნდა ექნათ. თქმა არ უნდა, ფრთხილს სააკაძეს არც ეს დარჩა შეუმჩნეველი, და არც ამას გაუწია დიდი რიდი. ფასის მისაცემათ და მაგალითისათვის, რომ სხვათაც არ გაედვილებინათ ღალატი და მუხანათობა, სააკაძემ მოაჭრევინა იმისთვის თავი წინაშენ მთელი თბილისისი ხალხისა. მაგრამ გვიანღა იყო. ამგვარმა ღალატმა ამაგრებინა თავი სპარსთა მეციხოვნეთა, ვიდრემ მოვიდო-

და ქართლში ახალი სპარსთა ჯარი, და გამოიხსნიდნენ [illegible] მელიც მოხდა, როგორც ვნახავთ, შემდეგ მარაბდის [illegible]-ლისა...

მოუბრუნდეთ ისევ ფეიქარხანზედ მისევას.

სააკაძემ, იმავე დღეს, სწორეთ ჯაუმანზედ, რომელიც დაუდო-დავით ჯანდიერს, გადუხტა ფეიქარხანს მარტყოფში.

კახელობა ვადაზედ დაუხვდა სააკაძეს დანიშნულს ადგილს.

ფეიქარხანი, რომელსაც მოუვიდა ამბავი სპარსთა მოწყვეტისა სააკაძისაგან, მაშინვე დაიძრა და რაოდენიმე ჯარით მოასწრო ვაქცევა. დანაშთენი იმისი ჯარი მოიმწყვდა ქართველთა ჯართა შუა და მთლად შეიმუსრა. კახელობა ავათ ჭურილობდა თავისი დიდი ხნის ჯავრს სპარსელებზედ. მთელი კახეთი გაივსო აქ ნაშთვრით, როგორც ქართლელობა საფურცლეში.

სააკაძემ გაუსია კახელობა იმ სპარსთა ჯარებს, რომელნიც იყვნენ გასეულნი კახეთში სათარეშოთ და კახთა მოსაწყვეტად, გაუსია ეგრეთვე იმ ჯარებს, რომელნიც იყვნენ გაფანტულნი ხეობაებისა და სახიზნი ადგილების შესაკრავად, და თვითონ ზურაბით საწრაფოთ გამოუკიდა ფეიქარხანს და იმასთან წასულს სპარსთა ჯარს.

ის მოეწია ფეიქარხანს და მის ჯარს მტკვარზედ.

ფეიქარ ხანმა მცირე ამალითა და ცოლით ძლივს გაასწრო სააკაძეს და ზურაბს. მთელი იმისი ჯარი და ქონება დარჩათ ამათა და მათ ჯარებს. მეტი წილი ამ ჯარებისა დარჩა მოურავს ტყვეთ, დანარჩენი გაიმუსრა ამისი ჯარებისაგან.

ამავე დღეს, 25 მარტს 1623, სააკაძის მისეულმა ჯარმა, აიღო სამესხეთის ახალციხე. იქმა არ უნდა აქ დაუხმარა სააკაძეს სამცხეს ქართველობა, სადაც დიდი ნათესაობა და მომხრეები ჰყვანდნენ. [1]) ქრ. ტია (1623)

---

[1]) ქვათახევის გულანში სწერია. „აქა მოვიდა ყარჩიხან და მრავალი ლაშქარი და ხანები. ულალატა მოურავმან გიორგი. ხანები დაჰხოცა, ლაშქარი ამოსწყვიტა და გააქცივა, სამცხე, ქართლი და კახეთი ერთს დღეს წაართვა ყეენს,არეზს ზედათი დაარბივა. ქართლსა და კახეთს

ეს საქმენი სააკაძისა ჰგვანდნენ სწორეთ საწყაულებს, ერთს დღეს იმან მოსწყვიტა საფურცლეს—სამუხრანოში—მეფეთ [illegible] ყარჩიხანისა, უსუფხანის და სხვა ხანებისა და სულთნებისა, რომელთა სიმრავლეს აღრიცხავს არჩილ მეფე ამ სიტყვებით: იდგეს ვითარ თუ ზღვა„... ამავე დღეს აიღო გამაგრებული სპარსთაგან ციხე ცხეთის ახალციხისა, შეიპყრა მთლათ აქ მდგომი ჯარი და დაატყვევა. ამავე დღეს აიღო თბილისი, და ციხე თბილისისა, შეიპყრა იქ მდგომი ჯარი და შემუსრა, ამავე დღეს, სწორეთ დადებულს ვადაზედ მიუხტა მარტყოფს ფეიქარხანს და შემუსრა მთლათ მისი ჯარები ამავე დღეს აიღეს ამისმა ჯარებმა სამესხეთის ახალციხე, ყველა ხდება ისე წყობისად და უცდომლად. თითქო მაშინა იყვეს მოწყობილი და ყველა მოძრაობა ხდებოდეს მეხანიკურათო. ერთს დღეს გასწმინდა ქართლ-კახეთი სპარსთა საშინელი ძალისაგან; იხსნა მთლათ საქართველო საუკუნო მონობისაგან,

ფეიქარხანი, თუმცა იყო ხანი ბარდისა, რომელიცა დევს არეზს გამოღმა, მაგრამ გაიქცა ბარდიდამაც, რაკი ქართველი ჯარები ფეხდა-ფეხ მისდევდნენ და მისდევდა მეტადრე ზურაბ, რომელსაც სააკაძისაგან დაპირებული ჰყავდა ამისი ცოლი. ცოლი იმისი იყო ლელა ბატონის შვილი, და ლუარსაბ მეფისა, როგორც ითქვა, ნაცოლარი შაჰ-აბაზისა, ის ლელა, რომელსაც რუსის მოციქულები ეძახან ელენეს, რომელიც უნდოდა რუსთა ხელმწიფეს, ბორის გოდუნოვს ცოლათ თავისი შვილი თევდორესათვის და რომელიც ბოლოს შეირთო შაჰ-აბაზმა. ამ ლელას ჰპირდებოდა სააკაძე ცოლათ ზურაბსა. [1])

ბატონად ბატონი თეიმურაზ დასვეს. (ქრ. ჟორდანიასი, გვ. 445 და 474.)

ქრ. „ტია, ყარჩიხან და მოურავი მოვიდნენ, სვიმონ მეფე დასვეს ტფილისს. მუხრანს კახნი მოაწყვიდნეს მერმე მოურავმან ყარჩიხან მოჰკლა, სპანი მისნი სრულიად მოაწყვიდნა და მეფე თეიმურაზ კახეთს მოიყვანს „(იქე. გვ. 445 და 446)

ერთს ქამზედ აწერია:“ აქა განჯა დაარბივა ქართლის მოურავმა. მეც იქ ვიყავი და ამ დროს წამოვედი ქართლიდამ გურიას. იქვე. (გვ. 447)

[1]) ვახუშტის თქმით ეს იყო თინათინ. მაგრამ ყველა თანამედროვე მწერალნი სხვას ამბობენ. ლუარსაბს ჰყავდა სამი დაჲ: თინათინ, ხორე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეიქარ-ხან გავარდა თავის მცირე ამალით არეზს და მისწია თეირანისაკენ.

სააკაძე და ზურაბ მიჰყვნენ ფეიქარხანს არეზამდის ანუ ძველს რახსამდის.

რაკი ვეღარ დაიჭირეს ფეიქარხან, მაშინ სააკაძემ და ზურაბმა დაიპყრეს ბარდა, ყარაბაღი, განჯა, არეში, კაბალი, შამშადილი, ყაზახი, შაქი. ჩააყენეს იქ თავისი ჯარები, გაბეგრეს იქაურობა, მოიტანეს მრავალი ნადავლი და დაბრუნდნენ საქართველოში.

ქართველი ხალხი გაივსო ნაშოვრითა. საქართველოში მუოთვი მთლად სპარსთა ჯარებისა და მათ სარდლების ქონება, ცხენი, ჯორი, აქლემი, ხარი, კამეჩი და სხვა, როგორც ითქვა, დარჩათ ქართველობას. ქართველობამ მოიტანა ახლა დიდძალი ნაშოვარიც ზემოთ ხსენებული სპარსთა ქვეყნებიდამ. სხვა ნაშოვარსგარდა აქედამ მოიტანა სააკაძემ ორმოც-და ათი ათასი სპალნე აბრეშუმი და ყაჭი, როგორც მოგვითხრობს ამას ისკანდერ მუნში.

ქართველობამ დაიბრუნა თითქმის, რაც წინად გაეტანათ აქედამ სპარსთა. ქართველებმა აიღეს სისხლითა..!

მთელი საქართველო დღესასწაულობდა, მთელი საქართველო ჰხარობდა. დედანი შვილებს, ცოლები ქმრებს, შვილები დედებს, ძმანი დებს, დები ძმებს, ქმარნი ცოლებს სიხარულით იკრავდნენ გულში. ისინი გადარჩნენ განსაცდელს, რომლისაც მსგავსი ჯერ არ მოკლებოდა საქართველოს. ისინი ჰხედავდნენ ერთმანერთს ცოცხლებს, თავისუფლებს, თავის ტკბილს ქვეყანაში, თავის ჭერ ქვეშ, თავის მიწა-წყალზედ.

ეკკლესიებსა, ტაძრებსა და მონასტრებში ისმოდა პარაკლისნი და მადლის გადახდა ამ განსაცვიფრებელი და სწორედ სასწაულით გადარჩენისათვის მთელი საქართველოს ქვეყნისა ამოწყვეტისა და ტყვეობისაგან.

---

შან და ელენე. ცხადია თინათინ იყო ის და ლუარსაბისა, რომელიც გაგზავნა გიორგი მეფემ ხვანთქართან მძევლად ერთად თავისს შვილს დავითთან სვიმონ მეფის გამოსახსნელად, და რომელიც იქიდამ აღარ დაბრუნებულა, როგორც აღარც დაბრუნდა დავით, რომელიც მოკვდა საოსმალოში. აღარც დაბრუნდა სვიმონ რომელსაც იქ, სტამბოლს მოედანზედ მოსჭრეს თავი. (ქრონ. ჟორდ. ტ. II გვ. 431)

შინ, გარეთ, მთათ, ბარათ, ისმოდა სახელი და დიდება [illegible]ძისა. სამღვდელონი ათასობით სცდილობდნენ ყოველ დღე-მზად სააკაძის დიდებული საქმეებისათვის. ხალხის თვალში სააკაძე გახდა ღმერთი, სააკაძე გახდა ყველასათვის სალოცავი ხატი...

სააკაძეს შეუსრულდა ორი-რიგი გულის წადილი: ერთი, რომ საქართველო გადაარჩინა ამ საშინელს განსაცდელს და გაანთავისუფლა სპარსელებისაგან: მეორე, რომ ახლა ადვილი იყო შეერთება ქართლ კახეთისა.

ახლა საჭირო იყო მეფე ამ ორი ქვეყნისათვის.

ხოსრო მირზას გამეფება აღარ ივარგებდა. ისრე აღელვებული იყო ქართველობა სპარსებზედ, რომ გათათრებულს მეფეზედ ლაპარაკი აღარც კი შეიძლებოდა. გამარჯვება ყოველთვის ამაყსა ჰხდის კაცსა. ქართველები ახლა თაკილით-და უყურებდნენ მაჰმადიანთა.

დარჩენილიყო ერთი.

ყველა ძალა და უფლება ეჭირა ხელში სააკაძეს. ხალხი ლოცულობდა იმის სახელს. ის იყო სრული დიქტატორი, ნამდვილი მეფე. ყველა უყურებდა იმას, როგორც თავის მეფეს, თავის სრულს ბატონს.

დიდი ხნის თვით შაჰ-აბაზ აწვევდა ამას მეფობას, მეფობის სურვილს ხომ წინათაც, ჯერ ისევ ლუარსაბის მეფობის დროს სწამებდნენ ამას თავადები. იმას ახლა ეჭირა ორთავე სამეფო ხელში. საქმით იყო მეფე, საჭირო იყო ახლა მხოლოდ უბრალო წესის შესრულება—გვირგვინის კურთხევა.

მაგრამ... სააკაძემ აქ უჩვენა ქვეყანას რომ იმას არასოდეს მეფობა გულში არა სდებია. ის ჰფიქრობდა სხვას. იმან იცოდა, რომ ამისი გამეფებით არ გარიგდებოდა ის დიდი საქმე, რომლისთვისაც იმავ სიყრმითვე ასე თავ-გაწირული იბრძოდა. იმან იცოდა ტრადიცია ბაგრატიონების ქართველი ხალხის გულში. იცოდა, რა ძნელიც არის ახალი გვარისათვის ფეხის მოკიდება სამეფო ტახტზედ. ვიდრემ ძველი სამეფო გვარის იპოვება სადმე ერთი კაცი მაინცა. იცოდა, რომ შეიძლებოდა მეფობა ამისი ორს სამეფოს—ქართლსა და კახეთში, მაგრამ შეუძლებელი იყო შეერთება მთელი

საქართველოსი. რაც. დიდი დავალების გამო, გაუყვიდოდა ქართლში და კახეთში, ის არ გაუყვიდოდა დანაშთენს, ნახევარზედ მეტს საქართველოში: იმერეთს, ოდიშს, გურიას, აფხაზეთს, სვანეთს, ჭანეთს, ჯიხეთს, სამცხე—საათაბაგოს და სხვა ამგვარს ალაგებში. ამის გამო, სააკაძისთვის საჭირო იყო მოძებნილიყო სხვა, შესაფერი მეფე. ამას შეეძლო, თუ თვითონ არა, დაესვა მეფეთ თავისი მოყვარე თეიმურაზ მუხრანის ბატონი, რომელიც იყო თვითონაც ბაგრატიონი, მახლობელი მტრო ქართლის მეფეებისა. თეიმურაზ იყო კაცი, სავსე პატიოსნებითა, გულოვნებითა, ერთგული ქვეყნისა. აქ სააკაძეს, თუ ჰქონდა სურვილი ქვეყნის პეროობისა და ბატონობისა, უსრულდებოდა ეს სურვილი: თეიმურაზთან ეს იქნებოდა იგივე ბატონი. მაგრამ სააკაძეს არ ინდომა არც ეს. იცოდა, რომ კახეთი დღეს იქნებოდა თუ ხვალ მოიგონებდა ისევ თავისი დიდებული დედოფლის ქეთევანის შვილს, მოინდომებდა მეფედ ისევ თეიმურაზსა. ყველა ეს ასწონდასწონა სააკაძემ და ჰპოვა, რომ ამ გარემოებაში ამისი არჩევანი უნდა დამდგარიყო ისევ თეიმურაზზედ.

სააკაძემ მისცა დავიწყებას ყოველი წყენა, რაც თეიმურაზს მიუძღოდა ამასთან ამის ერთგულებისა, დედისა და მოკეთების დევნით, როდესაც სააკაძე იყო სპარსეთში; მისცა დავიწყებას თვით დედის გაუპატიურებაც-კი.

დაბრუნდა თუ არა სააკაძე ფეიქარ ხანის დევრიდამ, იმან მაშინვე ახლა თეიმურაზ მეფეს საოსმალოში კაცები, რომ მობრძანდეს და ჩაიბაროს ორივე სამეფო: ქართლი და კახეთი. კახეთის მხრივ იმან ახლა სახელოვანი გმირი დავით ასლანიშვილი (ჯანდიერი), რომელმაც უძღვნა თეიმურაზს დიდძალი და ძვირფასი ავეჯეულობა, სამკაული და განძეულობა. [1])

მინამ თეიმურაზ მოვიდოდა გონიადამ, სააკაძე შეუხტა ბორჩალოსა და ლორეს, განდევნა იქიდამაც სპარსნი, და შეუერთა ისევ

[1] ბოლოს შვილი ამ ასლანის შვილსა, ოსია ყარჩი ჯანდიერი, იყო განუხის ქევხათ დანიშნული თეიმურაზ მეფისაგან. განუხი დევს 15 ვერსზედ ნუხიდამ.

ქართლისა. ეგრეთვე შეუერთა კახეთს კაკი, შაკი, კურმუხი,[1]) მარ-ვანის სამზღვარამდე...

საქართველო გადარჩა საუკუნოთ მოსპობას, საქართველო განთავისუფლდა!.. მოხდა დაუჯერებელი და საჩცვიფრო ამბავი .. მესმა ეს პიეტრო დელლავალეს ალაბში დაბრუნებულს სპარსეთიდამ, სწერს ამას პაპსა, და არა სჯერა...

აქ არ შემიძლიან არ მოვიყვანო არჩილ მეფის თხზულებიდამ რამდენიმე ხანა.

„ესე საქმე მოურავმა, უცხო ჰქმნა და საკვირველი:
ვით შეჰმართა ამ საქმესა?!—თუმცა არის გულად რკალი...
ეს ყველასგან უძნელეა,—სხვა სახელიც ჰქნა მრავალი!..
უსაცილოთ მართალია, არ ტყუილი, არ საკრძალი.

„სახელისთვის მათ ცოლ-შვილი ორთავ დასთმეს, ეს იცოდეთ.
ვინ არ მიჰყვეთ მათს საქმესა, იცოდეთ რომ დიდათ სცოდეთ.
სჯულისა და ქვეყნისათვის, რა იქნების რასაც ჰყოფდეთ!..
აწ ეს ჰქენით, ქართველებო, ანდერძივით შვილს უტყოდეთ!..“

---

## შეერთება ქართლ-კახეთისა.

როგორც ვიცით, შემდგომ კახეთში შაჰ-აბაზის მეორეთ შემოსევისა, თეიმურაზ გავარდა ისევ იმერეთს. იმერეთიდამ სახლთ მოციქულები ხვანთქარსა და სთხოვდა შველას, სთხოვდა მიეცა ნება სასმალოში გასვლისა და აქ ცხოვრებისა, მანამ დაიბრუნებდა ისევ თავის კახეთს. ვიდრემ სასმალოდამ მოუვიდოდა პასუხი, თეიმურაზ რჩებოდა იმერეთში. მაგრამ იმოდენა ამალა და ჯარი, რომელიც იმას გაჰყვა და რომელიც, თეიმურაზის მოციქულების თქმით, რომელნიც იმან სახლთ რუსთ ხელმწიფეს, მარტო ჯარი,

---

[1]) შაკი ერქვა დღევანდელს ნუხსა და მის მაზრას- არ არის ახსნილი აქამდის, ს იდღმ მიიღო კახეთის ადგილებმა ამგვარი სახელები: კახეთი, კუხეთი, წუხეთი,კაკი, შაკი,ენუხი განუხი. ქურმუხი, —სულ ერთი-ერთმანერთის მიმსგავსებული სახელები, და არა ქართულები.

მალას გარდა, იყო თორმეტი ათასი—დარჩენა იმერეთში არ შე-ძლებოდა, რადგან აქ გაჩნდა სიმშილი. თეიმურაზ გადავიდა გუ-რიას, თავის სიძე მამია გურიელთან. მამიამ, როგორც მეფე და სიმამრი, მიიღო დიდის პატივით. ამ დროს მოუვიდა ხვანთქრის-გან ამბავი, რომ ის აძლევს იმას საცხოვრებლათ გონიას. გონია იდო გურიის სამთავროს მეზობლათ, ჭანეთში, რომელიც წინათ ეკუთვნოდა გურიელს და ხვანთქარმა წაართვა ჭანეთთან ერთათ. ბათუმის მახლობლად. გარდა გონიისა, ხვანთქარი აძლევდა თეიმურაზს არტანუჯს, ოლთისს, ნარიმანს და ახალციხის მახლობლათ სოფლებს. ყველა ესენი იდვნენ გურიის მეზობლათ. ამაზედ მამიას შეუვიდა იჭვი, რომ სულთანმა, ვაი თუ გურიაც წაართვას და თეიმურაზს მისცესო. ეს იჭვები და უსიამოვნობა მამიამ აგრძნობინა თეიმურაზს. თეიმურაზ იძულებული იყო გასცლოდა მამიას გურიიდამ.

თეიმურაზ დადგა ოლთისს.

არ უსვენებდა აბაზი თეიმურაზს, მაგრამ არც თეიმურაზ აძლევდა აბაზს მოსვენებას.

პიეტრო დელავალეს სიტყვით, თეიმურაზმა იმდენი იმეცა-დინა ხვანთქართან, რომ ხვანთქარმა მოსცა ამას დიდძალი ოსმა-ლოს ჯარი სპარსეთში შესასევად. ამ ჯარს შეუერთა თეიმურაზმა თავისი თორმეტი ათასი კაცი და 1618 წელს შეესია სპარსეთს იმოდენა ჯარით, რომ, როგორც მოგვითხრობს იგივე დელავალე, რომელიც ამ დროს თვითონ სპარსეთში შაჰ-აბაზთან იყო, ამოდე-ნა ჯარი თითქმის არასოდეს სპარსეთს არ შემოსევია. თეიმურაზ და ოსმალთა ჯარი მივიდნენ ადერბიჟამდის, რომელიც იყო სამარ-ხი სეფის სამეფო გვარისა, ესე იგი სამარხი იმ გვარისა, რომელ-საც ეკუთვნოდა თვით შაჰ-აბაზი. თეიმურაზს უნდოდა ადერბიჟის დანგრევა, რადგან ეს იყო წმინდა ქალაქი აბაზისა და იმის გვარისა-თვის, სადაც იჩინა სასწაულები მათმა წინაპარმა შიხმა და სადაც ესვე-ნა იმისი, მაჰმადიანთათვის წმინდა გვამი, და ამ შიხის ძლიერების გამო ჩაუვარდა ამის შთამამავლობას მეფობა. ამითი უნდა გადეხადნა თეიმურაზს კახეთის საქრისტიანო ტაძრების დანგრევა. შაჰ-აბაზი, რომელსაც ამ დროს დელავალე გვერდს ახლდა, აიტანა საშინელმა

შიშის ელდამ. ის სასწრაფოთ ეცა სამზადისს ოსმალების დასახვედრათ, და სწრაფად გაექანა შემოსეულს აუარებელს მტერზედ იმ ძალით, რაც ხელად მოისწრო.

თეიმურაზს შაჰ-აბაზის ხსენებაზედ მოსდიოდა ელეტ-მელეტი. ერთი აბაზის დაცემა და თეიმურაზისა და ოსმალთა, ელდა ნაკრავივით, უკან გაბრუნება ერთი იყო.

განსაკუთრებით ნამდვილი გამართული ბრძოლა სპარსთა და ოსმალთა და თეიმურაზის ჯართა შორის არა ყოფილა. შაჰ-აბაზ დაეცა ოსმალთა და თეიმურაზის ჯარის ნაწილთა. ამ შეტაკებაში შემოსეული ჯარისა დაიხოცა კარგა ბლომა ხალხი. ამან დასცა შაჰ-აბაზის მტერთ შიშის ზარი. ოსმალთ აღარ ინდომეს ბრძოლა შაჰ-აბაზისა და გაბრუნდნენ უკან უომრათ, თავის-თავად. შაჰმაც აღარ ინება იმათი დევნა: რადგან ამ დევნით შეეძლო კიდევ წაეხდინა თავისი საქმე: შესაძლებელი იყო, შევიწროვებულთ ოსმალთ გამოედოთ თავი და თავისის ძლიერებით შეემუსრათ აბაზის მცირე ჯარი.

შაჰი დაბრუნდა დიდათ გახარებული, რომ გადარჩა ამ საშინელს და მოულოდნელს განსაცდელს.

თეიმურაზ დაბრუნდა ისევ საოსმალოში.

თეიმურაზს ეგონა იქ თავი სამშვიდობოს. მაგრამ, ამ საშინელი შემთხვევის უკან აბაზი უფრო ვერ მოისვენებდა, მანამ არ გადუხდიდა თეიმურაზს და არ მოუღებდა იმას ბოლოს, არ მოსწყვეტავდა მთლათ იმის სახლობას.

თეიმურაზმა, როგორც ითქვა, აარჩია სამყოფათ ჯერობით ოლთისი. ის ვერას ოდეს ვერ წარმოიდგენდა, რომ ამ საშინელს ზამთარში სპარსნი გაჰბედავდნენ აქ გამოსვლას ოლთისხა და სპარსეთს შუა ჯერ ერთი დევს დიდი მანძილი, ამასთან ისრეთი დიდი და გადუვალი მთები, რომ, არამც თუ ზამთრით, და ზაფხულსაც ჭირს აქ ჯარებით გადასვლა. ამის გამო, გულდამშვიდებულმა თეიმურაზმა მეტი ჯარი დაითხოვა და გაისტუმრა კახეთში, დანარჩენი გაუშვა ოლთისს თავის ცოლ-შვილთან, რომელთაც უთავა სახელოვანი ნოდარ ჯორჯაძე, რომელსაც მისცა დედოფლის სახლთ უხუ-

ცესობა, და თვითონ შვიდასი შეიარაღებული კაცით წავიდა სიამბოლს ხვანთქართან.

რა გაიგო ბინა თეიმურაზისა აბაზმა, მაშინვე დასძრა ჯარები თბილისაკენ. იმან მოსწერა ერევნის ბეგლარ-ბეგს ამირგური-ხანს, რომელზედაც ჩვენ შემდეგშიაც გვექნება ლაპარაკი, რომ შეეყარა ჯარი, რა გაჭირებაც უნდა გამოევლოთ, გადასულიყო ტფილისს, შეეპყრა თეიმურაზ თავისის სახლობით და ან ისინი ან იმათი თავები გაეგზავნა იმისთვის.

ამირგურიხან დაიძრა. იმან გაიძღოლა წინ ნიჩბიანი გარშემო ამ ადგილების მცხოვრებნი, ახვეტინა გზა და ასრე გადიყვანა მთაზედ ჯარი. ის უცებ მიადგა ტფილისს

თეიმურაზ აღარ იყო იქა, როგორც ითქვა ზემოთ. თეიმურაზის სახლობა, ამალა, ჯარი და თვით ქალაქი ტფილის გადაარჩინა ხორეშან დედოფლის სიზმარმა.

იმან ნახა წინადამეს სიზმარში ის, რაც ცხადლივ მოხდა მეორე დღეს. იმან ჰნახა, რომ ტფილისს ანუ ტფილისს ჩუმათ, უცებ დაესხა შა-აბაზის ჯარი ამათ ამოსაწყვეტათ. გაუგო დედოფალმა, ასწრო ციხეში, გამაგრდა და აქედამ დაამარცხა სპარსნი.

ჰნახა დედოფალმა ეს სიზმარი, და, გაადვიძა, თუ არა, უბრძანა მაშინვე თავის ამალს და ჯარებს ციხეში ასვლა, გამაგრება და მომზადება მტრის დასამარცხებლათ. მთელი ქალაქი გამაგრდა; ვისაც შეეძლო ხმარება იარაღისა მთელს ქალაქში, ყველა გამზადა სამორად, თვით ურიანიც-კი ჩასხდნენ იარაღში და თავ-გაწირვით ელოდნენ მტრის დასხმას. ჯარების მოთაობა იკისრა ნოდარ ჯორჯაძემ, რომელიც იყო კაცი მართლაცა და გონიერი და ვაჟკაცი. ეს იყო ის ნოდარ, რომელთაც დავით ასლანიშვილთან ერთათ პირველს შემოსევაზედ შაჰ აბაზმა ჩააბარა კახეთი და მეფე იასე, და რომელმაც დავით ასლანიშვილთანავე ერთად, გავიდა თუ არა შაჰი, მისცა მხარი თეიმურაზს, გარეკა სპარსნი და მოაყვანა კახეთის მეფეთ ისევ თეიმურაზი. [1])

---

[1]) ავტორი „ცხოვრება საქართველოსი„ რომლისაც ხელთ ნაწერი იმარხება პარისის ბიბლიოთეკაში, ამ სიზმარს სხვაფრივ მოგვითხრობს ის

ამირგურახან [1]) ჩუმად მოიპარა ღამე ჯარით, და განთიადისას, მოულოდნელად აპირებდა ქალაქისა და ციხის თავს დასხმას, მეფე მეფისა და მისი სახლობის შეპყრობას.

საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა იმასა და იმის ჯარებზედ,—რომელიც მაინცა და მაინც ძალიან ბევრი ვერ იქნებოდნენ, რადგან დიდი ჯარის გამოყვანა ამ მთებსა და თოვლებში, ისიც ცხენოსანი ჯარის შეუძლებელ იყო,—როდესაც ამათ მოულოდნელად დახვდა მზა და კარგა ძლიერი ჯარი.

მოღლილმა და მოწყვეტილმა ცხენოსანმა ჯარმა ვერ უმაგრა ნოდარ ჯორჯაძის ჯარებს. სპარსნი დამარცხდნენ საშინლად. კახელები და ოლთელები, რომელნიც ყოველთვის განთქმულნი იყვნენ ვაჟკაცობითა, იბრძოდნენ თავგამეტულები. თვით ურიანი არ უვარდებოდნენ ბრძოლაში უკეთეს ქართველს ვაჟკაცებს. ურიებს უძღოდნენ წინ თავისი ხახამები და რაბინები. თვითონ ესენი უჩვენებდნენ ვაჟკაცობის მაგალითს თავის ურიაობას.

ნოდარმა და ოლთელებმა დააყრევინეს ამირგურიხანს დიდი ალაფი და ზდიეს სპარსეთის სამძღვრამდის.

წაუვიდა ეს ამბავი შაჰ-აბაზს.

იმან გახეთქა ბრაზი თეიმურაზისა იმის შვილებზედ. იმან დაიბარა ისინი და დაასაჭურისებინა. ამ საზიზღარი სატანჯველისა-გან მოკვდა უმცროსი შვილი თეიმურაზისა, ალექსანდრე და შეცდა ჭკუაზედ უფროსი შვილი იმისი, ლევან.

---

ამბობს რომ ეს სიზმარი ჰნახა ხორეშან დედოფალმა ზაფხულის პირსა ვარდის ყვავილობას. დედოფალი ღამობით ბაღში ისვენებდა თავის ამალით და ერთს ღამეს სიზმარი ჰნახა: ეს ბაღი გველით სავსე იყო „და ყველა მის კბენას ეტანებოდა, და ციხისაკენ გავექეცით და გველნი უკან გამომეკიდნესო და ვერ მომეწივნესო, მე ციხეში შეველო და ზეცით ჯარი მოვიდაო და გველები სულ დაიტაცაო,„
მაგრამ მოყვანილი ამბავი უფრო სანდო წყაროდამ არის შემდგარი.

[1]) ამირგურახან იყო ქართველი. სამწუხაროდ გვარი ამისი არა სჩანს. უნდა იყვეს სამცხელი, რადგან ყოფილა გამზრდელი მანუჩარ ათაბეგისა.

თეიმურაზ დიდის დიდებით მიიღო სულთან ოსმანმა, [1]) მისცა მრავალი და ძვირფასი საჩუქრები, მისცა კიდევ არტაანი (ო-რს და სხვა მრავალი სანჯახები საცხოვრებლათ. მაგრამ ჯარები მისაშველებლათ ვერ მისცა, რადგან თვითონაც მაშინ გაჭირვებაში იყო. იმასაც ჰქონდა ომი ევროპის სახელმწიფოებთან.

თეიმურაზ დაბრუნდა ოდიშიდამ. გადასახლდა გონიას. აქე-დამ გაგზავნა რუსთა ხელმწიფესთან თავისი მოციქულები მთავარ-ეპისკოპოსი თეოდოსი, და არქიმანდრიტი არსენი. ამათ გაატანა წერილები და პირათაც დააბარა რუსთ ხელმწიფეს და მიტროპო-ლიტს ფილარეტთან. რაც მწუხარება და ოხრება გამოიარა საქართ-ველომ აბაზისაგან, აცნობებდა თავის განდევნას, სთხოვდა საფარ-ველს და შემწეობას. ამასთან, რაკი იცოდა, რომ ოსმალნი და რუ-სები ვერ არიან კარგათ ერთმანერთთან, იტყოდა ბოლოშს, რომ მე-მარტო აუცილებელი საჭიროების გამო შევაფარე თავი საოსმალოს, თორემ მე ამათი არც შველა მინდა და არაც თავს დაუდებო. მე მხოლოთ თქვენგან ველი ხსნას და თქვენ გმორჩილებით ჩემი სახელმწიფოთაო.

რუსთ ხელმწიფემ შემოუთვალა თეიმურაზს, რომ ამ ჟამათ არც ფულით და არც ჯარით იმას ამისი დახმარება არ შეუძლიან, რადგან თვითონაც გაჭირვებაშია პოლონებისა და ლიტვინებისაგან, რომელთაც წაართვეს იმას დიდი ხაზინა; ბევრი ქალაქები და ქვეყნე-ბი დაუწვეს და წაართვეს. როდესაც-კი მორჩება ამ საქმეს, მაშინ ის უთუოთ დაეხმარება თეიმურაზს. რაც შეეხება შაჰ-აბაზთან ამათს მოციქულობასა და დახმარებას, შემოუთვალა, ჩვენ არც სპარ-სელებთან შეგვიძლიან რამე, რადგან ჩვენსა და იმათში კეთილი

---

[1]) არჩილ მეფის თქმით იყო სულთანი მაშინ იბრაიმ. ვახუშტის სიტყვით მაშინ არ იყო იბრამი და იყო მუსტაფა. მაგრამ, ორივენი სცდებიან. მაშინ იყო ოსმან სულთანი, ახლად დამჯდარი ტახტზედ,ამას მოგვითხრობს მთავარ-ეპისკოპოსი თეოდოსი, რომელიც თანა ჰყავდა მაშინ თეიმურაზ სტამბოლსა და რომელიც საოსმალოდამავე, გონიიდა 1623 წ. გაჰგზავნა რუსეთს ხელმწიფე მიხაილ თევდორეს ძეს და მიტროპოლიტს ფილარეტ ნიკიტიჩთან.

განწყობილებაო. ამასთან შეუთვალა თეიმურაზს შემოთვლილობა შაჰ-აბაზისა, რომელიც იმან დაიბარა რუსის მოციქულების [illegible]-ს და კუშინნიკოვს, რომელნიც გაჰგზავნა სპარსეთს რუსთ ხელმწიფემ თეიმურაზისა და ლუარსაბის დედის თხოვნით. შაჰ-აბაზი თხოულობს, რომ შენ შენი სახლობით იახლო იმას ირანს, და მაშინ ის დედასაც და შვილებსაც დაგიბრუნებსო. რაც შეეხება საჩივარს, რომ აბაზმა დაგტყუვა დედა და შვილები, რატომ არ იცოდი, რომ იმას შენ არ უნდა ჰნდობოდიო.

ყველა ეს თავისმა მოციქულებმა მოახსენეს თეიმურაზს. თეიმურაზ იყო სრულს განწირულებაში. იმას უნდოდა თავისი კახეთის დაბრუნება. ოსმალონი ვერ აძლევდნენ შემწეობას.

იმან იწყო მზადება რუსეთს წასასვლელად, რომ მიხაილ თევდორიჩისთვის შეებრალებინა თავი, და მოეპოვნა იმისი ნდობა და დახმარება. ის იყო აპირებდა ის გემში ჩაჯდომას თავის ამალით, ესალმებოდა თავის ქვეყანას შორს გამგზავრებისათვის, საიდამაც ან და დაბრუნდებოდა, ან არა. იმისი სახლობა, ამალა ცხარე ცრემლით ესალმებოდნენ თავის, ბედისაგან, დევნილს პატრონს, რომ უცებ, თქარა-თქურით, საშინელი სისწრაფით მოვიდნენ სააკაძის მოციქულები. იმათ გაუგოთ მეფის გამგზავრება რუსეთში, და ეჩქარებოდნენ არ გაგვასწროსო.

გამოუთქმელი იყო ნეტარება და სიხარული მეფისა, დედუფლისა, ბატონიშვილებისა, ამალისა, მხლებლებისა და თან გადაყოლილი კახელებისა ამ ამბის გაგონებაზედ.

ისინი ბრუნდებოდნენ თავის ქვეყანაში, თავისი მშვენიერი ცის ქვეშ; ისინი კიდევ იხილავდნენ თავის სამშობლოს დიდებულს მთებს და საოცარს ველებს, კიდევ შეჰსუნთქამდნენ სამშობლოს ტკბილს ჰაერს, დალევდნენ თავის გამზრდელს წყალს, იხილავდნენ თავის მშვენიერს მდიდარს და დიდებულს კახეთს.

და ვინ აძლევს ამათ ამ ბედნიერს დღეს, ვინ აძლევს თეიმურაზს, არამც თუ თავისს კახეთს, არამედ მთელს ქართლსაც, პირველს სამეფოს საქართველოში, პირველს მეფობას?—გიორგი სააკაძე, რომელსაც ეს ასრე სდევნიდა, რომლისაც მხლებლები სასიკვდილოთ გასწი-

რა, დარბაისელი მოხუცებული დედა გაუპატიურა და კინაღამ მის-ცა ჯავახიშვილს საროსკიპოთ, გასაუპატიურებლათ, უბრალოთ მხევლათ, სამარცხვინო ტყვეთ!!...

მაგრამ ეხლა დრო აღარ იყო ამაზედ ფიქრისა. ამათ მოად-გათ მოულოდნელი და გამოუთქმელი ბედნიერება, და უნდა ესარ-გებლათ ამითი, დამტკბარიყვნენ ნეტარი დროთი.

დაიძრა თეიმურაზ ქართლისაკენ თავის სახლობით და მთელი თავისი კახელობით.

როგორც ქართლი და კახეთი, ისრე მთელი იმერეთი ელოდა დიდის აღტაცებით და სიხარულით თეიმურაზის დაბრუნებას.

იმერთა მეფე და მთელი დიდებულნი თავისის მხლებლებით და ამალით მოეგებნენ თეიმურაზს, როდესაც ახალციხიდამ მოადგა ქარ-თლისა და იმერეთის სამზღვარს, ულოცავდნენ ორი სამეფოს ტახტს, უწევდნენ სალამს, როგორც დიდებულს, რომელიც ახლა იდგა მთელი საქართველოს თავს და იყო ყველაზედ მეტათ გაძლიე-რებული.

სააკაძე, მთელი ქართლ-კახეთის დიდებულნი, ქალნი თუ კაცნი, ჯარებით, ამალით, მხლებლებით, მოქალაქენი და ისრე საპატიო პირ-ნი, დართულნი საგანგებოთ, ჩამჯდარნი იარაღში, ოქროსა და ვერ-ცხლით შემოსილი ცხენებით, დროშებით, ალმებით, ბაირაღებით მაშ-ხალებითა და მუშხუნებით, ათასგვარი საკრავებითა და მომღერლებ-ით, მიეგებნენ თეიმურაზს იქვე ახალციხის საზღვარზედ. აქედამ დაწყობილი ცხეთამდის, თემები და ხეობანი დართულნი, დაჭრილ-ნი და ჩაჯდარნი იარაღში, ქალები ყოველი თავის სამკაულით ეგე-ბებოდნენ თეიმურაზს. მეფე და დედოფალი ჩააბრძანეს სააკაძისაგან მირთმეულს ძვირფასს ოქროს ტახტრევანებში და ასრე, ამ ტახტ-რევანებით, მიასვენეს ისინი სვეტიცხოვლის კარამდის. ცხე-თას მიეგება კათალიკოზი ზაქარია, მიტროპოლიტი მირმანოზ, ალავერდელი, ბოდბელი და სხვა მიტროპოლიტნი და სამღვდელო-ნა ჯვრითა, სახარებით და ყოველი ეკლესიის დროშებითა და სა-დიდებლებით. მთელი ორი თვე იყო სამზადისი ამის მიგებებისა და გვირგვინის კურთხევისა.

აქ იკურთხა გვირგვინი ქართლისა თეიმურაზმა. გვირგვინის
უკან სააკაძემ უძღვნა დიდძალი და უძვირფასესი განძეული [illegible]
მელიც კი ამას ექონა თავის მკლავითა, კაცობითა და შრომით.
უძღვნა საგანგებო ბედაურები, ძვირფასი სახელმწიფოთ სამკაულები,
მიართვა მდიდარი ხაზინა.

სიტყვით მიართვა ისეთი ძვირფასი ხაზინა და საგანძურნი,
რომელნიც, არჩილ მეფის თქმით: ერთს სამეფოთ ესეც ღირდა.

---

# მარაბდა

ჩაუვიდა ეს საშინელების ამბავი შაჰაბაზს. აუარებელი, საუკე-
თესო მეომარი ხალხი, საუკეთესო მხედარ მთავარნი,—სწორედ იმ-
დროს, როდესაც ის დარწმუნებილი იყო, რომ თავის გულის ეკალს,
გურჯისტანს, იღებს ძირიანად,—ერთს დღეს გაუჟლიტეს!!! და ვინ
ისიცა?!—სააკაძემ!! გიორგი სააკაძემ!! იმ სააკაძემ, რომელსაც ქარ-
თველები სდევნიდნენ ცოფიანი ძაღლივით მოსაკლავად, და რომელ-
საც ამან მისცა დიდებული საფარველი განდევნილს თავის მეფისა
და ხალხისაგან, აბატონა სპარსეთში თავის თანასწორად, ანდობდა
მთელს თავის სახელმწიფოს, მთელს თავის ჯარებს, თავის ხმალს,
თავის გვირგვინს!!!..

საშინელი იყო შფოთვა და მღელვარება შაჰ-აბაზისა. ის მზათ
იყო თავისსავე თავზედ დაენტვრია თავისივე ხელით თავისი საკუ-
თარი გვირგვინი ამგვარი შეცდომისათვის, ამგვარი სააკაძისაგნ მო-
ღორებისათვის!!..

იმან გასცა მთელს თავის საბრძანებელში ბრძანება, რომ შეკ-
რებილიყო მთელი თემები. იმან გამოუცხადა მთელს თავის საბრძა-
ნებელს, რომ ამგვარი სირცხვილი არ უჭამია მუსლიმანობას და სპარ-
სეთს, რაც გაჩენილა სპარსეთის ხალხი და მაჰმადის სჯული, და არას
ოდეს ყორანი და მაჰმადის აღმსარებელი არა ყოფილან ამგვარს
გასაცდელში ქრისტიანეთაგან, როგორც ახლა ვარდება ქართველე-

ბისაგან, გამოუცხადა მთელს თავის ხალხს, რომ არ არის ცა და დედამიწა მომსწრე ამგვარი მეხსნაითობისა, რაც ჩაიდინა დიდმოურა-ვმა სააკაძემ. გასცა სასტიკი ბრძანება, რომ მუსლიმის ხალხმა ან უნდა მოუღოს საუკუნოდ გურჯისტანს ბოლო ან არა და მოელდება ბოლო თვითონ მთელს სპარსეთის ხალხს.

მართლაცა და საშინელი იყო გასაგონათაც ეს უცნაური ამბავი სპარსთათვის. მთელმა სპარსთა საბრძანებელმა იწყო სამრად მზა-დება. აბაზის საბრძანებლის ყოველი კუთხიდამ იწყო დენა ჯარმა და აყარებულმა იარაღმა ისპაანისაკენ საქართველოში გასასტუმრებ-ლად. სასულიერო პირნი მუსლიმანებისა მინარაების სიმაღლისა და მეჩითების კარებებიდამ უქადაგებდნენ მართლმორწმუნე მუსლიმანებს გიაურებზედ ამხედრებას და ამოწყვეტას.

შეკრბა მთელი სპარსთა საბრძანებელი.

შაჰ-აბაზმა არ იკისრა კვლავინდებურად მოთავეობა ამოდენა ჯარებისა. შეიძლება ის მოერიდა სააკაძეს, მოერიდა თავგაწირულს და სასიკვდილოდ თავგადადებულს ქართლ-კახეთის ხალხს.

იმან უთავა ამათ თავისი სიძე, ისა-ხან ყორჩიბაში. ეს იყო უკეთესი სარდალი, უკეთესი სანდო შაჰისათვის კაცი, რომელსაც ჰყავდა ცოლად ასული თვითონ შაჰაბაზისა. ამასთან, ამას ჰქონდა დამოკიდებულება ქართველებში: მეფე სვიმონს, რომელსაც ქართლში ჰყავდა კიდევ შიგა და შიგ მომხრეები, იყო სიძე ყორჩიბაშისა: ყორ-ჩიბაშისავე ქალი ჰყავდა ცოლათ გაჰმაჰმადიანებულს ანდუყაფარს ამი-ლახვარს. ყორჩიბაშს გამოაყოლა შაჰმა ხოსრო მირზა, რომელიც მთელს სპარსეთში ითვლებოდა საუკეთესო სარდლათ და დიდი გონების კაცად; გამოატანა ყმაწვილი, როსტომ სააკაძე, შვილი ბექან სააკაძისა, რომელიც იყო ძმა გიორგი სააკაძისა,—ის როსტომ, რომელიც იყო განთქმული მთელს სპარსეთში, გახდა ბოლოს ამირ—სპასალარი მთელი ირანისა. შაჰ-აბაზმა იცოდა, რომ ხოსრო მირზა იყო ამრეზილი სააკაძეზედ თეიმურაზის გამეფებისათვის. გამოატანა სხვათა შორის გამოჩენილნი იმ დროს მთელს სპარსეთში სარდლები: ესეც ქართველი თავრიზის ბეგლარბეგი, შაჰ-ბანდა ხან. ყაზახის ხანი ქართველივე, გვარად ჩერქეზიშვილი, უნდა მართოდა ამათ გზაში თავის

ჯარებით. მრავალი გამოჩენილი ამირები და სულთნები იყვნენ განგებ არჩეულნი ჯარების მეუფროსეებათ, რომ სააკაძე უთუოდ [illegible]ლიყო და საქართველო შემუსრვილიყო.

დაიძრა ეს აურაცხელი ჯარი ქართლისაკენ უზომო სამზადისით, თოფებით, მრავალი ზარბაზნებით და ზამბურაკებით, რომელნიც მაშინდელს დროს სულ ახალი შემოღებულნი იყვნენ თვით ევროპაშიაც. [1])

მახარობლად იმ ჯარებისა გაუგზავნა შაჰმა სააკაძეს თავისი ნაპატრეული და სიკვდილამდისინ დაუვიწყარი შვილის პაატას თავი, გახვეული უბრალო ტომარაში.

სააკაძისათვის არა იყო რა აქ მოულოდნელი, იმან კარგათ იცოდა, რომ აბაზი არ იყო ისეთი კაცი, რომელსაც რისამე წინ დაეხვალიებინა. შვილის უბედურებასაც და მთლათ სპარსეთის გასვლასაც ის წინადვე ელოდა.

გახსნა იმან ტომარა და დაინახა უცებ დასახიჩრებული თავი თავის პირმშო და უსაყვარლესი შვილისა, რომელსაც ვერ ავიწყებდა სიკვდილის დღემდის. ძნელია გამოსათქმელათ, და ჩვენი მემატიანენი არც იყვნენ ისეთი გამომთქმელნი, რომ მოეთხროთ ჩვენთვის, რაც ცეცხლმა უელვა სააკაძეს გულში ამ საშინელს სანახავზედ... მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ის ვერც ამ სანახავმა გასტეხა. ის მხნეობდა ისევ და უფროც კიდევა.

იმან, ცეცხლ-მოდებული გულით, გამოიტირა თავისი პაატა, მიაბარა მიწას ერთაწმინდის ტაძრის ეკვდავში, გაგზავნა ფული თეირანს იმისი დანაშთენი გვამის საპოვნელად და მოსატანად, რომელიც გადაეგდოთ სპარსთა ძაღლების შესაჭმელად და რომელიც ჩუმათ მოეპარათ ფრანგების მისიონერთა და მიებარებინათ მიწისათვის. ფრანგთა მაშინვე გამოუგზავნეს საიდუმლოთ სააკაძეს თავისი შვილის

[1]) თუმცა ბიუხნერის თქმით, ზარბაზნები, არამც თუ უბრალო, დღევანდელი მიტრალიეზებივით ჰქონდა ლანგთემურის შვილის შვილს, ინდოეთის დიდს მოღოლს, აბგარ დიდებულს, რომელიც, ამავე ბიუხნერის თქმით, იყო ერთი უდიდებულესი და უპატიოსნესი ხელმწიფე დედამიწის ზურგზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვამი, და სააკაძემ დამარხა ესეც თავისი შვილის თავთან ერთს სამარეში...

რაკი იცოდა სააკაძემ, რომ შაჰ-აბაზს გადაწყვეტილი ჰქონდა მოსპოს საქართველოს სახსენებელი, იცოდა ისიც, რომ ახლა უფრო გამოიღებდა ამ საქმისთვის თავს და არ დასთმობდა იმ მარცხს, რაც ამის ჯარებს დაჰმართეს ქართლ-კახეთში, ამის გამო, ის ყოველი ძალით ემზადებოდა შაჰ-აბაზის ჯარების დასახვედრათ. ამისთვის საჭირო იყო, რომ მთელი დაშლილი და გამოფთხვალი სამეფონი, რაც შეიძლებოდა მალე მოსულიყვნენ არსებაში. ის შეუდგა გზების კეთებას, ციხეების მაგრებას. გამართა ხვანთქართან მიწერ-მოწერა, დაუწყო იმერლობას ლაპარაკი, იწყო შეიარაღება ხალხისა, მზადება სურსათისა. სიტყვით, იყო დღე და ღამ დაუცხრომელს მოძრაობასა და მზადებაში. აღარც მეფე, აღარც სხვა დიდებულნი სამეფო საქმეში არა სჩანდნენ, ყველა იყო ამის ბრძანების ქვეშ, ყველა ემორჩილებოდა ამას. მეფე შეექცეოდა მეფურად. იმან სიხარულისაგან აღარ იცოდა, რა ექნა. ის მიეცა ნადიმებსა და განცხრომას, ასრე რომ საძილეთაც ვეღარა ჰპოულობდა დროს, ანუ, როგორც მეფე არჩილი ამბობს.

... სიმდიდრეს და სიხარულში.
ლხინს, ნადიმს და გახარებას, იქ რა უნდა ძილს რამ რულში.
ბურთობას და ნადირობას, აქა-იქა სიარულში...

მოიყვანა სააკაძემ გამოფრთხალი და გაცვივნულნი თავის ქვეყნიდამ კახეთი და დაბინადრა თავთავის ალაგს. დაალაგა და დაამშვიდა ქართლი. რაც თოფიარალი და სამხედრო მოწყობილება წაართვა ყარჩიხსხანს და ფეიქარხანს, დასდო ხაზინაში და შეინახა ჯარისათვის. ყველა თავადობა თავთავის სასარდლოებით გაამზად საომრად. ყველანი მოიყვანა სრულს მორჩილებაში. ვეღარც ერთი მუხანათი ვეღარა ჰყოფდა თავს, ვეღარავინ ვეღარა ჰბედავდა გადადგომას. იყო ერთი ყველაზედ უფრო საშიშარი კაცი ანდუყაფარ ამილახვარი, და ისიც არშის ციხეში ჰყავდა გამომწყვდეული თავისის ცოლით.

რომ უფრო მკვიდრათ მოაკიდებინოს თეიმურაზს ქართლში

ფეხი, სააკაძემ სთხოვა ქალი თავისი გაზრდილი ზურაბ ერისთავისათვის. ზურაბისა და თეიმურაზისათვის დამოყვრება იყო [illegible]გათ საჭირო. ზურაბ იყო, შემდგომ სააკაძისა, პირველი კაცი მთელს ქართლ-კახეთში, ყმითა და ალაგებით იყო ყველაზედ გაძლიერებული. ხევის კარი ანუ დარიელი ახლა ეჭირა ამას ხელთა; ის იყო დაუდეგარი, დიდების მოყვარე. ადვილი შესაძლებელი იყო გადასდგომოდა თეიმურაზს ან ერთი უბრალო მიზეზით შეიძლებოდა ისევ ყეენისთვის დაეკრა თავი. ამ დამოყვრებით ჯერ ერთი ზურაბის თავმოყვარეობა იქნებოდა დაკმაყოფილებული, მეორეც ეს, ამითი ძალაუნებურათ უნდა შეჰკვროდა თეიმურაზს და გაეწია ამისთვის ერთგულება. მოურავს შეუსრულდა სურვილი: თეიმურაზ და ზურაბ დამოყვრდნენ.

სიტყვით, ყველგან და ყველაფერში იყო სააკაძე. სააკაძე ჰფიქრობდა, სააკაძე ჰზრუნავდა, სააკაძე განაგებდა, სააკაძე აკეთებდა. მოდიოდა ახალი და უარესი განკითხვის დღე საქართველოს თავს, და მ დღისთვის ისევ მარტო სააკაძე იყო ზრუნვაში.

მაგრამ სააკაძე იყო დაბალი გვარის შვილი... სააკაძე შრომობდა დღე და ღამ; სააკაძე უსვამდა თავზედ ხელს მდაბიო ხალხს, სააკაძე აწყობდა და აკეთებდა რაღაცა ისრეთებს, რომელიც სხვებს, თავშიაც არ მოსვლიოდათ არც მოსწონდათ... სააკაძე გახდა სალოცავი ხატი ქვეყნისა... გაისმოდა ისევ მარტო სააკაძის სახელი... თუ ლუარსაბისა და გიორგი მეფის დროს ეს იყო ამირთ ამირი, დიდი მოურავი, ახლა იყო მეფეთ-მეფე, მბრძანებელი ორი სამეფოსი, თითქმის მთელი არეზს აქეთი სპარსეთისა, მთელი გაუტეხარი მთებისა, ეს ვერ მოინელეს მეფემა და ქართლ-კახეთის დიდებულთა. იმათს გულში იღვიძებდა შური. ზურაბს უფრო ეხამუშებოდა დიდება სააკაძისა. ზურაბ იყო სიძე მეფისა, ზურაბს ეჭირა იმოდენა სამთავრო, რომელიც მიდიოდა თითქმის რუსეთის მიდგმამდის, ზურაბი იყო შვილი დიდი ნუგზარისა; ზურაბ ერია საქართველოს განთავისუფლებაში; ზურაბმა მოჰგვარა სააკაძეს დიდი ჯარები ყარჩიხახანის ჯარების ამოსაწყვეტათ, და ახლა მარტო სააკაძე ბრძანებლობს, ხალხი მარტო ამას შეჰყურებს, იმას ხდის სალოცავ ხატათ. ზურაბის

გულშიაც იღვიძებდა შური, იღვიძებდა ინადი.

მოვიდა ხელმეორედ საქართველოს განკითხვის დღე და ამ ფარულმა შურმა, ამ ფარულმა მტრობამ იჩინა თავი სწორედ ამ საშინელი განსაცდელის წამებში.

მთელი ირანი შემოესია საქართველოს. ზოგთა თქმით, ყორჩიბაშმა შემოიყვანა საქართველოში ორასი ათასი კაცი, რომელიც იქნება მეტად გაზვიადებული იყვეს. მაგრამ ამაზედ იჭვი არ არის, რომ ჯარი იყო დიდძალი. შაჰ-აბაზი, ისე განრისხებული იყო, რომ, ცხადია, გამოჰგზავნიდა, რაც კი შეიძლებოდა მეტს ჯარს სააკაძისა და ქართველების ჯავრის ამოსაყრელად და თავისი დიდის ხნის სურვილის შესასრულებლად; რომ მოესპო მთლად მთელი ქართლ-კახეთი რომ ჯარი დიდძალი იყო და არ იყო ისე მცირე, როგორსაც მოგვითხრობს ისკანდერ მუნშჲი, ამას გვიმტკიცებს რიცხვი დახოცილთ სპარსთა ჯარებისა. თვრამეტი ათასი სპარსთა ჯარისა მოკვდა მარაბდის ომში, შვიდასი მოკვდა ლისის ომში; თორმეტი ათასი მოკვდა ქსანზედ; ერთი ექვსი ათისი მაინც ინაცვალა სააკაძემ თბილისიდამ მინამ სპარსნი სამუხრანოში მოვიდოდნენ; სამი ათას კაცამდის ამოწყვიტა ციხეებში; ხუთი ათასამდის გასწყვიტა სამესხოში ამაზედ გასული ქართლიდამ ჯარი. მოწინავე სარდლებმა ადათანგ ხერხეულიძემ, დავით ასლანიშვილმა, დიდი ბრძოლის წინათაც მოწინავე ბრძოლებში დაჰხოცეს მრავალი. ამ შემოსევაზედ გაიმუსრა სპარსთა ჯარი ორმოცდა-ხუთი ათასზედ მეტი, და არა ნაკლები. ასრე რომ, ვარაუდით შეგვიძლიან ვთქვათ, სპარსთა ჯარი იყო არა ნაკლებ ასი ათასი კაცისა. რომ დიდი ჯარი უნდა ყოფილიყო, ამას ამტკიცებს სააკაძის სიტყვები, რომელსაც ის ეუბნება თეიმურაზს: ვიცოდი აქ მთელი ირანი, ესე იგი, მთელი სპარსთა საბრძანებელი იქნებოდათ.

არც სააკაძე დაუხვდა მოუმზადებლად. რაც კი მოხერხდებოდა აკლებული და აოხრებული ქართლ-კახეთიდამ, სააკაძემ შეაგროვა საკმაო ჯარი. იმან შეჰყარა ჩვენთა მწერალთა თქმით ოცი ათასი მეომარი. მაგრამ აქ ვგონებ, ცოტაა ნაჩვენები. რომ ავსწონოთ ის საშზადისი, როცა სააკაძეს ჰქონდა. ავსწონოთ რომ მთელი ქართლი

და კახეთი აქ იყო, იყვნენ თვით მიტროპოლიტნი, ზოგიც ჯარიდამ რვა ცხრა კაცი, ცხრა ძმანიც კი, რომ მარტო ზურაბ ერისთავის ჯარიდამ მოიკლა ცხრა ასი კაცი, და რაც უნდა ყოფილიყო, ოცი ათასი კაცით ვერ შეჰბედავდნენ მთელი ირანის ჯარს, საფიქრელია, რომ ქართველობა უნდა ყოფილიყო ორმოცი ათასამდე მაინც. ათასი კაცი კი მაშინდელს დროს და სააკაძის ხელში არ იყო სახუმარი.

იმერეთიდამ არ იყო მაშველი ჯარი. საკვირველიც არ არის. გაძლიერება ქართლ-კახეთისა, ცხადია, არ შედიოდა იმერთა მეფეების პლანში. ქართლის მეფენი ყოველთჳს ითვლებოდნენ მეფეთ-მეფეთ. ქართლის ტახტის პატრონები ჰრაცხდნენ თავის თავს მთელი საქართველოს პატრონად. საქართველოს განყოფა ქართლის პატრონთაგან ითვლებოდა დროებითად, და ტრადიცია ელოდა მარჯვე შემთხვევას, რომ მთელი საქართველო ისევ შეერთებულიყო სკიპტრის ერთ ქვეშ. სააკაძე აძლიერებდა ქართლ-კახეთს: ეს იყო საშიში იმერთა ტახტისათვის.

სამესხო-საათაბაგო ეწირათ სპარსთ, და აქედამ შველა არ იყო მოსალოდნი. იქიდამ იყო სამასი კაცით მოსული მხოლოდ მანუჩარ ათაბაგი, დევნული სპარსთაგან თავის სამთავრო ქვეყნებიდამ, რომელიც ხელმეორეთ დაიჭირეს სპარსთა.

სპარსნი შემოვიდნენ საქართველოს სამზღვრებში და დასდგნენ ხრამსა და ალგეთზედ, გატეხილს ხიდსა, შულავერსა და მარაბდის შუა.

იყო საშინელი პაპანაქება. გარშემო იდგა გვალვის ბული. სიცხისგან ადამიანი და პირუტყვი ძლივს იბრუნებდა სულს. თიბათვე იყო მიწურული.

ადგილნი, სადაც იდგნენ სპარსნი, არიან ჩავარდნილი, მოყუდროვებული მთებით, საშინელი მრჩოლი.

ქართველობა, მომეტებული ნაწილი რომელსაც შესდგებოდა მთისა და გრილი ადგილის ხალხებიდგან, დააყენა სააკაძემ ტაბახმელასა და კოჯრის მაღლობებზედ. თბილისში შესასვლელად და გულს ქართლში წასასვლელად ამ მთებზედ უნდა გამოევლოთ სპარსთა. სააკაძემ გაამაგრა ვიწროები, დაიჭირა სიმაგრენი და ელოდა სპარსთა მოსვლას.

სპარსნი არ იძროდნენ. იმათ მოუცათ ფახათი. პირიქით, ამათ თვითონვე იწყეს მაგრება. ისინი ელოდნენ ქართველების [illegible]

ქართველები გამოდიოდნენ მოთმინებიდამ. იწყო თავადობამ მითქმა-მოთქმა. ატყდა სააკაძის უმოქმედობაზედ სანდურავი. ბარა-თაანთ იწყეს მუქარა, რომ წავლენ, თუ დროთი არ იქნა ომი. კა-ხელობა დრტვინავდა. შეიქნა თითქმის საერთო სანდურავი. ყველანი თხოულობდნენ ბრძოლას. სააკაძე არ იძროდა. ის უფრო და უფრო მაგრდებოდა და თხოულობდა ახალ-ახალ ჯარს, რომელიც ცოტ-ცო-ტათი კიდეც ემატებოდა.

მეფეს ეჩოთირებოდა. დიდებულნი ჯავრით სივდებოდნენ. მე-ფესა და დიდებულებზედაც ბრძანებლობდა სააკაძე. ყველას უნდა შეესრულებინა ამ ერთი კაცის სურვილი.

უცებ გადასწყვიტეს, რომ ჯარების წინამძღოლი და ომის გამ-გე უნდა ყოფილიყო მეფე თეიმურაზ.

თეიმურაზმა იტვირთა და იწყო რჩევა ომისა.

ამ რჩევიდამ გამოჩნდა, რომ მეფე და დიდებულნი ვერ ინე-ლებდნენ სააკაძის პირველობას. ზურაბ! ისიც კი ვერა ჰფარავდა სააკაძეზედ თავის უმადურობას. სააკაძის სიტყვას არ უგდებდნენ ყურს, სააკაძის აზრებს სდებდნენ წუნს. ისმოდა სანდურავი, ისმოდა ხირება, ისმოდა მუქარა გადადგომისაც კი.

სააკაძე და კეთილშობილი, ბაადურ ციციშვილი, იდგნენ ერთს მხარეს, სხვანი ყველანი ლაპარაკობდნენ წინააღმდეგს.

შეიქნა სჯა: მიუხტნენ ბინაზედ სპარსთა, თუ მოუცადონ იმათს ამაზედ მოსვლას.

სააკაძემა და ბაადურ ციციშვილმა გამოაცხადეს, რომ ამ სა-შინელს სიცხე პაპანაქებაში ჩახტომა ამ საშინელს ფიცხს ადგილებ-ში, სადაც ისრე გამაგრებული სდგას მთელი ირანი, მთელი სპარს-თა საბრძანებელი ჯარები, რომელნიც არიან სიცხის შვილნი, ჩვენ, გრილი ქვეყნის შვილთ და ასრე მცირეთა, კეთილს არ დაგვაყრისო, იქ იმათთან ბრძოლა ჩვენ არ შეგვიძლიანო. ჩვენი ქვეითი ჯარი ხომ უფრო ვერ შესძლებს იქ ომსაო. თუ ქვეითობა, გლეხკაცობა დამარცხდა, მაშინ ჩვენი საქმე საუკუნოდ წახდება და საქართველო

დაიღუპებათ. ისინი მოსულან საქართველოს წასახდენათ, მაშასადამე, ძალა იქნება თუ ნება, დღეს იქნება თუ ხვალ, რაკი ჩვენ [illegible] ვალთ, ისინი უნდა ჩვენზედ წამოვიდნენო. რაკი წამოვლენ ისრეთი ვიწრო და ცუდი ადგილები უძევთ წინ სავლელათ, რომ ამაზედ ცოტანიც რომ ვიყვნეთ, შეგვიძლიან პასუხი გავსცეთო. ამას დაუმა-ტა სააკაძემ: ნუ აგისუბუქებიათ სპარსნი, დარწმუნებულნი იყავით რომ აბაზი მთელს ირანსა და უკეთესთ სარდალთ გამოჰგზავნიდა ჯავრის ამოსაყრელათ და ჩვენ ბოლოს მოსაღებათაო.

არ გასჭრა ამ გონივრულმა რჩევამ. მეფემ და სხვა დიდებუ-ლთა გადასწყვიტეს: ჩაუხტნენ ბინაზედ სპარსთა.

ეს საქმე ზოგში გაუადვილეს მოწინავეთა სარდალთა და მზვე-რავი ჯარების მეუფროსეთა: აღათანგ ხერხეულიძემ და დაუვიწყარ-მა სახალხო დიდებულმა გმირმა დავით ასლანიშვილმა ჯანდიერმა. იმათ რაოდენჯერმე მოუხდათ სპარსელ ჯარებთან შეტაკება და ყო-ველთვის ამარცხებდნენ ესენი იმათ. ისინი ყველა დამარცხებაზედ ჰგზავნიდნენ სპარსთა თავებს, თითქო ამითი არცხვენიან ქართვე-ლობას: აი, რა არიან სპარსნი, იმათი როგორ გეშინიანთო. ამას-თან უთვლიდნენ: ბევრათ იმიტომ გეჩვენებიან, რომ აქლემები ჰყავთ ბევრიო. თუ თქვენ არ მოხვალთ, ჩვენ მარტონი ყორნიელებით და გლდანელებით შევებმით და ჰნახავთ, რაც არიანო.

საუბედუროთ, ეს ორი თავადი, თუმცა დიდი გულადი და ვაჟ-კაცნი იყვნენ, მაგრამ ორივენი იყვნენ ცალთვალნი, და საკვირველი არ არის, როგორც ჰფიქრობს მეფე არჩილ, ისინი სპარსელების შესახებ მოატყუეს თვალებმა. თუმცა ასლანიშვილის მოტყუება უნდა ყოფილიყო ძნელი, რადგან ამან თითქმის მთელი თავისი სი-ცოცხლე გაატარა სპარსებთან ბრძოლაში.

რომ მართლა ის მარცხი არ ენახათ, რასაც უქადაგებდნენ ქარ-თველებს სააკაძე და ბაადურ ციციშვილი, მეფეთა და დიდებულთა გა-დასწყვეტეს ჯარის აყრა სადამოთივე, რომ ცუდი გზები გაევლოთ თვალნათლივ, და დილის ადრიანზედვე, მინამ მზე ამოვიდოდა. მინამ სიცხის ბუღი დატრიალდებოდა, მიხტომოდნენ მტერს და მიეცათ მათთვის მარცხი.

რაოდენათ მართალი იყო სააკაძის სიტყვები, გვიჩვენებს, სპათა შორის სიმაგრე სპარსთა, რომელიც გაუმართავთ იმათ ქართველების მოსაგერებლათ.

ურჩიბაშმა იცოდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე. იმან იცოდა, რომ სააკაძესთან დიდი სიფრთხილე და სიმაგრეა საჭირო, იცოდა ისიც, რომ სააკაძე ამ დღისათვის მოუმზადებელი არ დარჩებოდა. იმან იცოდა, რომ საშიში იყო იმაზედ მისვლა. ის ცდილობდა თავისი უმოძრაობით ჩაეტყუებინა სააკაძე ვაკეზედ. იცოდა რომ ამისთანა ფიცხს ადგილას ქართველები უფრო ადვილათ მოსარევნი იყვნენ, ვიდრე მთასა და გრილოებში. ამის გამო იწყო მაგრება. იმან გაავლო ჯებირები (траншеи) ადგილის პირზედ: ზედ ადგილის ხევებთან, შემოავლო მთელს ბანაკს დიდი თხრილი; ჯებირებსა და თხრილებზედ გამართეს ზარბაზნები და იყვნენ ჩამსხდარი მეთოფურები. თხრილებს უკან იყვნენ ჩახერგილი ურმები. ურმებს შუა იყვნენ ჩასაფრული კიდევ მეთოფურები. წინა მეთოფურები უნდა მდგარიყვნენ მუხლის თავზედ, უკანანი—ფეხზედ. იმათ უკან იდგნენ აქლემიანი ჯარები.

ამ გვარათ იყვნენ მომზადებულნი სპარსნი ქართველების დასახვედრათ.

გვალვიანმა მზემ უღრუბლოთ, წითლათ მოსილმა, თითქო უბანია სისხლშიო, ამოყო წვერი იალღუზის მთებიდამ. შეგუბებულს, შემდგარს, შედედებულს ვაკის ცხელი ზაფხულის ჰაერში, დიდითვე მოჩანდა ნიშნები საშინელი პაპანაქებისა.

ქართველობა მიუახლოვდა სპარსთა ბანაკს.

მტერნი უდგნენ ერთმანერთს პირის პირ.

აქ მოვიყვან არჩილ მეფის სიტყვებს, რომ უფრო დაეხატოს თვალწინ მკითხველს ეს მტერთაგან ერთმანერთის დანახვის სურათი.

„გათენდა და დავინახეთ ერთმანერთი მუნ შორიდამ. დავაწყევით ორთავ რაზმი: ჩვენ აქეთ, და მათ იქიდამ.

მათი იდგა თვალ უწდომი, სიმრავლე სჭირთ მათ გვარიდამ“.

ქართველობას არ შეუშინდა სპარსთა ჯარების სიმრავლეს: ერთი

დაჭყივლა, და ეცა სპარსთა სიმაგრეს და საფარებს.

მუდამ მზათ მყოფმა სპარსთა ჯარმა მიუშვა ქართველობას ის-თოფეთ, და აქ უცებ მოსცეს საშინელი ცეცხლი თოფ-ზარბაზნისა.

აი, სხვათა შორის, არჩილ, რა სიტყვებით აგვიწერს ამ ჯოჯოხეთის ცეცხლს, რომელიც სპარსთა მოაგებს ქართველობას.

„მივახლოვდით. კომლისაგან მზე დაბნელდა, ჰაერიცა, ჰგვანდა თუ ცა ჩამოვარდა ქვეყნად ანუ ცა დაიქცა!... მოწმენდილი მზისა შუქი ჩვენ წინ დამედ გარდაიქცა...“

ქართველობა შეჩერდა: ის თვალთაგან ვეღარსა ჰხედავდა. იდგა უძრავად, ვეღარც წინ და ვეღარც უკან ვეღარ იძროდა. სწყუროდა სისხლი და თავის მოსისხლე მტერს ვერა ჰხედავდა. იდგა უძრავად და იჟლიტებოდა ხელგაუნძრევლად. მაგრამ უსისხლოდ მტრის ზურგის ჩვენებას არ აპირებდა. ის ელოდა კომლის გაბნევას. და აგერ მოჰბერა დილის სიომ. ჰაერში მავად შედედებული თოფ-ზარბაზნის კომლი უცებ დაეშვა ძირს და ზოგიც გაიფანტა მაღლა ჰაერში. ქართველებმა შეჰხედეს ღმერთს, გადიწერეს პირჯვარი: გაიცადეს თვალით თავისი მტრობა.

საშინელი სანახავი იყო მაშინ ქართველობა. მოწინავეთა სარდალნი, აღათანგ ხერხეულიძე და დავით ასლანისშვილი ელოდნენ სული მწარით მტერზედ მისევას. მეტადრე ასლანიშვილს სწყუროდა იმათი სისხლი, იმას ახსოვდა სპარსთაგან იმის ქვეყნის მოწყვეტა, ოხრება და ტყვევნა... ის იყო დახელოვნებული იმათს მუსრვასა და სისხლის ღვრაში. იმის გმირულს გულს აღელვებდა სპარსთა გაუტეხარი და დაუცხრომელი დევნა ქართველებისა. ის იყო დარწმუნებული თავის მკლავზედ, ქართველების გულზედ, მტრის ძლევაზედ. გაიცადეს თუ არა ამ მოწინავეთა სარდალთა მტერი თვალით, გაშმაგებული აფთარივით ეცნენ მტრის სიმაგრეთა. პირველი დავით და აღათანგ გადაცვივდნენ ზედ მტრის ზარბაზნებზედ და ჩაერივნენ მტრის გაწყობილს რაზმებს. ამათ მოჰყვა დანარჩენი ქართველობაც.

მაგრამ არ შეუშინდა მტერიც ამ სიშმაგეს. იმან რაზმწყობით მოსცა გული და შეიქნა ომი ხელდახელი. შეიქნა მუსრი და სისხლის

ღვრა. მტერი მტერზედ მიდიოდა კბილთა ღრჭენით. დაჭრილნი სწვდებოდნენ ზეზედ მდგომთ, ჰკბენდნენ და ჰგლეჯავდნენ [illegible] ჭაერში იდგა ხმლისა და ლახტის ჩახუნის ხმა. ხვნეშა, ყიჟინა, გმინვა, ხმა მომაკვდავთა იყო არეული ერთმანერთში. მეომარნი სცურავდნენ სისხლის ღვარში. ქართველობას ყოველს ადგილას ხვდებოდნენ სიმაგრენი, საფარები, ჩასაფრული და მუხლზედ მდგომი მეთოფურები. ერთმხრივ სცემდა ამათ ხმალი, შუბი, ჯიდა, ლახტი, ოროლი, ხანჯალი, მეორეს მხრივ თოფი, ყარაბინი, ზარბაზანი, ზამბურაკი...

გაჭირდა საქმე. მხნეობა ქართველთა და ვაჟკაცობა უქმდებოდა წინაშენ სპარსთა სიმაგრეთა, სპარსთა იარაღისა, სამზადისისა, სიმრავლისა. სპარსთა ჯარები ჯინჭვლის გორასავით ელალებოდნენ ქართველობას ყოველ მხარეს.

გავარდა ხმა მოწინავეთა სარდალთა დახოცვისა. დავით ასლანიშვილი და ალათანგ ხერხეულიძე დაიხოცნენ გმირულად ამ ბრძოლაში. მოკვდა სახელოვანი გმირი და თვალი კახეთისა დავით. აღარა ჰნახა იმან ხელმეორეთ ძლევა თავის ქვეყნის ჯარებისა. გავარდა ეს ელდის ხმა და აიტანა ზარმა ქართველი ჯარები. ქართველობა გადრკა. მოსალოდნელი იყო გაქცევა და საშინელი მარცხი ქართველებისა.

აქ უცებ შეიქნა არეულობა სპარსთა ჯარებში. გავარდა რაღაც ზარი და ძახილი, სადაც იხსენიებოდა შეშინებული ზარდაცემული ხმით სახელი მოურავისა. ქართველების მაგივრად დაიძრა გასაქცევად სპარსთა ჯარები.

სააკაძემ რა დაატყო. რომ გაჭირდა საქმე და მარტო ვაჟკაცობა აღარა ვარგობდა; რა ნახა ყოველი ძალა იყო სპართა მხარეს, რომ თავსარდლობა ქართველებისა იყო სრულიად უვარგისი, მაშინ იმან უცებ გადიძრო პირიდამ მუზარადი და პირ ახდილი გადაერია სპარსთა ჯარებს. სპარსთა იცნეს ეს საშინელი კაცი. იმისმა მრისხანედ მჭექარე ხმამ იმის დანახვის ზარს დაუმატა ახალი უარესი ზარი. იმან შეაპო და გაჰკვეთა შუაზედ სპარსთა უკეთესი მებრძოლი რაზმი. სპარსნი აირივნენ, იმათ გასცვივდათ იარაღი, მო-

ჭკვეთა მუხლთა. ეს ძახილი მოურავის სახელისა და ზარი ელდასა-ვით მოედო მთელს სპარსთა ჯარებს, გადადიოდა რაზმიდამ რა-ზმზედ, გუნდიდამ გუნდზედ. ცხენოსანმა ჯარმა პირველი ანება ბა-ნაკს თავი და გაჭკურცხლა. აღარა სწრიდა სპარსელებზედ აღარც მთავარ სარდალთა ბრძანება, აღარც ხვეწნა, აღარც მუქარა, აღარც იარაღით დადგომა. ზარდაცემული ჯარი გარბოდა წინდაუხედავათ, სთელავდნენ უძლურთა და წაქცეულთ ფეხით, აქცევდნენ და ეჭუ-ჭყავდნენ ერთმანერთს.

სპარსნი დამარცხდნენ უწყალოთ. ღამემ გაჰყარა მეომარნი. მთე-ლი დღის ბრძოლის შემდგომ ქართველთ ეჭირვებოდათ დასვენება, მით უფრო, რომ იყვნენ მთელი ღამის ნათევნი.

სპარსთ დარჩათ კიდევ ბევრი გამაგრებული ადგილები. ფორ-ჩიბაშმა იწყო მაგრება ამ ადგილებისა. გასცა ბრძანება, რომ რო-გორმე დაებრუნებინათ საომრათ გაქცეული სპარსნი.

მოღლილი და მოწყვეტილი ქართველობა დარჩა ღამე გარეთ.

შეშინებულთ სპარსთა სარდლებმა ვერ გაჰბედეს დაცემა მო-წყვეტილს ქართველობაზედ. გაქცეულთ სპარს ვეღარ მოუყარეს თავი შიშის ზარი ცხადათ ეტყობოდათ მათს ჯარებს.

დილა სისხამ ქართველობა ეცა დანაშთენს სპარსთა ბანაკს, შეიქნა ცხარე ბრძოლა. ფორჩიბაში და სხვა მთავარ სარდალნი ცდი-ლობდნენ გამაგრებას, ჯარების გამხნევებას. მაგრამ ერთხელ შე-შინებულს ჯარს კვალად სადაც არა მგონი ელანდებოდა უმუზურა-დი მოურავი. სპარსნი ვერ იჭერდნენ თავს და გარბოდნენ შიშის ზარდაცემულნი. გამხნევებულნი წინადღის მოულოდნელი გამარჯვე-ბით, ქართველობა გაუტეხრათ ატყდებოდა და შეჰქონდა სპარსთა რაზმებში მუსრი. სპარსთა დასცალეს მთელი ბანაკი და გარბოდნენ ვინ ვის გაასწრებდა. გაალმასებული ქართველობა მისდევდა ისრეთი ხოცვითა და ჟლეტით, რომ თითქო შართლა ყანას დარევიან მომ-კალნი, მიდიოდნენ წინ და გადადიოდნენ ზედ, თავისგნითვე და-ხოცვილს მკვდრებზედ. სპარსნი გარბოდნენ, ჰყრიდნენ თოფიარაღს, გუდანაბადს, ზარბაზან-ზამბურაკებს, სურსათს, ცხენებს, აქლემებს, მთელს თვისს სამხედრო მოწყობილობას და სამზადისს და ესწრა-

ფოდნენ სამშვიდობოს, ესწრაფოდნენ მარტო ცარიელი თავის შვე-ლას. იკადრეს სარდალთაც დაიძრა. თვით სახელოვანნი: ხოსრო მირ-ზა და როსტომ-ხან სააკაძე, გაწრთვნილნი დიდი მოურავისა, სწრა-ფობდნენ ქართველთა მრისხანე ხმლის გაცლას. გარბოდა თვით ყორ-ჩიბაში, ფარხმალი და იმედი შაჰ-აბაზისა. ყველანი სცდილობდნენ გაესწროთ განრისხებული სააკაძისათვის, გაშმაგებული ქართველები-სათვის.

აი, როგორ აგვიწერს ამ საშინელს მუსრს მოკლე სიტყვით მეფე არჩილ,

ვხოცდით, ვლეწდით, ჩამოვყრიდით, ცოცხალთა არ შევიპყრობდით,
არ მოსწყროდათ შაჰ-ბადა-გან სულ მოწყვეტას უპირობდით.

ამ გვარი ხოცვით სდია ქართველობამ სპარსთა ჯარს გატე-ხილს ხიდამდის.

აყარებული ალაფი სპარსელებისა და მთელი ბანაკი, რომელსაც ისკანდერ მუნში ეძახის მთელს ბაზარ ქალაქსა, დარჩათ გამარჯვე-ბულთ ქართველთა. ქართველობამ იწყო ალაფობა..

ჩამოწვა შუადღის უკან ზაფხულის გვალვიანი მზის ბუღი. შეჯგუბდა სიცხისაგან ჰაერი როგორც საკირის ალი, ისრე აწვებო-და ქვეყანას ცეცხლივით ანთებული მზის სხივები. ბრძოლისა და ალაფობისაგან მიწყვეტილი ქართველობა გაიფანტ-გამოიფანტა სხვა-და-სხვა ალაგს: ზოგი ეძებდა ჩრდილოებს დასასვენად და ეყრებო-დნენ ხეებსა, ბუჩქებსა, ვენახის ხეხილებისა ან ვაზების ჩრდილოებ-ში; ზოგი პირდაპირ ტანისამოსიანათ წვებოდა გასაგრილებლად წყალში, ზოგი ეჩქარებოდა ალაფის დასაბინავებლად; ზოგნი ეძებ-დნენ თავის მკვდრებს და დაჭრილებს. მთელი ჯარი იყო გაფან-ტული. ვისაც შეეძლო კიდევ ბრძოლა, ისინიც გაუსია სააკაძემ მდე-ვრათ გაქცეულს სპარსთა ჯარებს, რომ არ შესძლებოდათ გონს მო-სვლა, შეკრება და მობრუნება ქართველობაზედ, ან გამაგრება.

მარტო ერთს ალაგს იყო შეყრილი კარგა ბლომათ ქართვე-ლი ჯარი. ეს იყო მარაბდის მხარეს, ალგეთის პირისაკენ. აქ იყო შეყრილი ზურაბ არაგვის ერისთავის ჯარი. ზურაბ დაიჭრა ბრძოლა-ში. იმასა ჰქონდა გაჩეხილი თავი. სისხლი თქრიალით ჩამოსდიო-და. მთელი თავისი საყმო, ვინც კი გადარჩა ომს, თავს დას-

ტრიალებდა. ესენი იყვნენ სულ მთის ხალხნი, ცივი ჭაურის შვილნი. თუმცა ბატონისთვის თავი ვერ დაუნებებინათ და ადგნენ თავს დაუნებურათ, მაგრამ სიცხისაგან ძლივს იმაგრებდნენ თავს, ძლივს იდგნენ ფეხზედ. მთელი ორი დღის ბრძოლა, ორი ღამის თევა და ზედ ეს საშინელი სიცხის ბუღი ახვევდნენ თავს რეტს, ჰკვეთავდნენ მუხლთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ უცებ მარაბდის გორებიდამ, წვერობებზედ წამოდგა შავი დრუბელივით ჩამოწოლილი ჯარი თავრიზელებისა და ერევნელებისა. ამათ მოუძღოდნენ შაჰ-ბადა-ხანი, თავრიზის ბეგლარ-ბეგი, და ამირ-გური-ხან, ერევნის ბეგლარ-ბეგი, ის ამირ-გური-ხან, რომელიც კიდეც გავაცანით ზემოთ მკითხველს, როდესაც ავსწერეთ ოლთისზედ სპარსთა ჯარების დასხმა თეიმურაზისა და მისი ცოლშვილის შესაპყრობლათ. შაჰ-ბადა-ხან და ამირ-გური-ხან ზოგთა თქმით მოუძღოდნენ სამოციათასს კაცს, ზოგთა თქმით და, სხვათა შორის, ფარსადან გორგიჯანიძის თქმით, რომელიც ყოველთვის სცდილობს, როგორც ტარუღა ისპაანისა, ერთგული შაჰ-აბაზის შვილის შაჰ-სეფისა და შვილის შვილის, შაჰ-აბაზ მეორისა, სპარსთა საქმენი კარგათ აჩვენოს,—თორმეტი-ათასს კაცს. მე ვფიქრობ, რომ ერთი მეტათ გაზვიადებულია, და მეორე უნდა მცირეს იჩვენებოდეს. ეს ჯარი იდგა სამშვილდის მხარეს, რომ აქედამ შესულიყო ქართლში, კლდე-კარიდამ და მოჰქცეოდა სააკაძეს უკანიდამ კოჯორზედ დგომის დროს. რა ნახა ყორჩიბაშმა საქმე ცუდათ არისო, მაშინვე აფრინა ამათთან ბრძანება, რომ გამოჩქარებულიყვნენ და უკანიდამ დასხმოდნენ ქართველებს. იმათ გამოსწიეს სამშვილდეს მხრიდამ, გამოვიდნენ მარაბდის მთა გორაზედ და გადმოხედეს ბრძოლის ველს. გადმოჰხედეს მაღლობიდამ და დაინახეს, რომ მთელი ქართველობა ოცი ვერსის სიშორეზედ იყვნენ გაფანტულნი. მხოლოდ აქვე გორის ძირობისაკენ მარაბდის შორი-ახლო იყო შეგროვილი ჯგუფი ქართველობისა და რაღასაც ჩოჩქორებდნენ.

ქართველთ შეჰხედეს მარაბდის წვერობებს და ეცათ ელდა. დიდძალი ახალი ჯარი სპარსელებისა საშინელი სისწრაფით ცხენიანი და ქვეითი მოეჩქარებოდა ამათზედ.

ქართველებმა იტაცებს თოფ იარაღს ხელი, შეჰკრეს რაზმები, გამართეს ალყა რაზმებისა. მაგრამ სპარსნი მედგარივით ჩამოერივნენ ამათ და თავის სიმრავლით მთლად დაჰფარეს ისინი [1]).

ზურაბს დაავიწყდა დაჭრილობა. ის, იმისი ძმა დათუნა და დაწყლული ავთანდილ, გიორგი სააკაძის შვილი, ერთი იმ ოთხთაგანი, რომელნიც ახლდნენ მოურავს ფარჩიხანის მოწყვეტის დროს, მაშინვე ეცნენ ჯარებს და იწყეს მზადება მტრის დასახვედრად.

გაჩნდა საშინელი ბრძოლა.

შაჰ-ბადა ხან შემოერტყა ზურაბს და მოიმწყვდია შუაში თავისი ჯარებით, ამირგურიხან ეცა გაფანტულს ქართველობას, რომ შეუშალა იმათთვის ერთათ შეკრეფა და გამკლავება.

შეიქნა საშინელი მუსრი ქართველებისა. მოწყვეტილი ქართველობა, გაფანტული ცალკ-ცალკე, ვერც კი ასწრობდა ერთათ შეკრე-

---

1) ფარსადან გორგიჯანიძის თქმით, ყორჩიბაშს განგება ჰყავდა შაჰ-ბადა-ხან ჩასაფრებული მარაბდის მთების უკან. მაგრამ ეს სრულიად არ ეთანხმება არც ქართულს წყაროებს, არც სპარსულსა. მაგალითათ, ისკანდერ მუნჯი ამბობს, რომ ქართველებმა პირველს დღესაც დაამარცხეს სპარსელები, მეორეს დღესაცაო, შაჰ-ბადი-ხან და ამირგური-ხან მეორე დღეს მოვიდნენო. თუ ჩასაფრებული ჰყოლოდნენ ესენი ყორჩიბაშს, უეჭველია ის პირველს დღესვე არამც თუ დამარცხებისა უკან, ქართველების მოსვლის უმალ მოუწოდებდა ამათ და მოიშველიებდა; მაგრამ, ესენი მოვიდნენ მხოლოდ მეორე დღეს, ისიც ძალიან გვიან, მაშინ, როდესაც სპარსნი სულ გაფანტული ჰყავდათ ქართველებს. ამასთან ქართველი მოწინავეთა და მზვერავი ჯარის სარდლები იყვნენ ისრეთი გამოცდილნი და ფრთხილნი, როგორც სახელოვანი დავით ასლანიშვილი და ალათანგ ხერხეულიძე, ამიტომ ძნელი საფიქრელია, რომ ისრეთი ქვეყნისთვის თავდადებული, გამოცდილი და შესანიშნავი სარდალი, როგორც დავით ასლანიშვილი, რომელმაც კახეთის მოწყვეტის დროს, ისრეთი სიმარჯვე და ნიჭი გამოიჩინა მხედართ-მთავრობისა და ისრეთი საშინელი ყათლანი უყო სპარსთა თუშ-დაღესტნის მთები მოწევნის დროს თავისი გონივრული წყობით, რომ ეს გამოცდილი კაცი მოტყუებულიყო. მაგრამ, როგორც ითქვა, გორგიჯანიძე იყო შვილი იმ გიორგი გორგიჯანიძისა, რომელიც სააკაძემ ჩამოახრჩო ღალატისთვის თბილისში, ამასთან ეს იყო ერთგული შაჰ-სეფი და შაჰ-აბაზ მეორესი, ტარუღა ანუ მოურავი ისპაანისა, ამისგამო ამის ყოველს ნაწერში ჰხედავთ სურვილს, გაამართლოს სპარსთა საქმენი, აამაღლოს სპარსთა წყობილობა.

ზას. სპარსნი ათასობით და მეტადრე ცხენოსანნი, ესროდნენ [illegible] ლამდნენ ფეხქვეშ და ავლებდნენ მუსრს. ზოგი ქართველთაგანი, [illegible] ტილი ორი დღის ბრძოლით, დათენთილი ორი ღამის უძილობით, მოშვებული საშინელი მზის ბუღით, ეყარნენ უსულოსავით და თითქმის აღარც კი ესმოდათ მტრის ყიჟინა, ხმლის ტრიალი, გმინვა დაჭრილთა. ისინი იხოცებოდნენ მტრის ხელით, ითელებოდნენ ცხენთა ფეხქვეშ და აღარა ჰქონდათ ძალა გაცლისა, მტრის ხელის შემართვისა.

ზურაბ თხოულობდა შველას.

მოუვიდათ ეს უცნაური ამბავი მეფე თეიმურაზს, სააკაძეს, ბარათა ბარათაშვილს და სხვათა, რომელნიც გამოჰკიდებოდნენ გაქცეულთ სპარსთა. ისინი დაიძრნენ მისაშველებლად.

თეიმურაზმა დაჰკარგა დავთარი. აზლა ყველა ისრე იქცეოდა, როგორც მოისურვებდა. სააკაძემ საჩქაროთ მოუყარა თავი ჯარებს, უბრძანა ქვეითობას გამოჩქარება, რომელთაც წამოუყვანა მიანდო სხვა-და-სხვა სანდო კაცთა. თვითონ ცხენოსანი ჯარით ეცა ამირგურიხანს.

გალექებული სპარსელობა დასდევდა ჟლეტით გამოვთხვალს და ზარ-დაცემულს ქართველობას, რომ უცებ მოურავი და ბარათა ბარათაშვილი მოადგნენ ამას საშინელი სისწრაფით და მრისხანებით. ამათთან იყო სამასი საუკეთესო ვაჟკაცი მესხებით მანუჩარ ათაბაგი. სააკაძის დანახვამ და საშინელმა მედგარმა ქართველთა მიტევამ, არია ამირგურიხანის ჯარები. ამირგურახან თვითონ იბრძოდა მედგრათ. [1]),

---

[1]) ამ ბრძოლაში გარდა ყორჩიბაშისა თავსარდლათ იყო ოთხი ქართველი: ხოსრო მირზა ბაგრატიონი, რომელიც ბოლოს დასვეს სპარსთა ქართლის მეფეთ და კახეთიც იმას მისცეს; როსტომ ხან სააკაძე ამირგურიხან და ყაზახის ხანი ჩერქეზისშვილი. ცხადია, სადაც მეტი წილი თავსარდალთა იყო ქართველობა, ჯარშიაც ბევრი ქართველობა იქნებოდა, რაკი შემდგომ კახეთის აკლებისა, რომ გადაწყვეტას მოვრჩეთო, ბევრი ჩაიწერა შაჰის ჯარში, და ბოლოს, როგორც მოგვითხრობენ მაშინდელი ევროპიელნი მოგზაურნი, ოცდა ათი ათასი ყოფილა ქართველის ჯარი შაჰის ჯარში. იქნება ამითიც აიხსნება, რომ ასრე მცირე ქართველნი ორი დღის განმავლობაში სძლევდნენ სპარსელთა, რათგან შესაძლებელია, რომ ქართველი ჯარი აგრე რიგათ თავგამოდებული არ იბრძოლებდა.

აქ მოხდა ერთი ამბავი, რომელსაც შესაძლებელია გადაერჩინა კიდევ ქართველობა, რომ მანუჩარ ათაბაგს გამეტებინა ამირგური-ხან, ერევნის ბეგლარ-ბეგი.

მანუჩარ იყო გაზრდილი ამირგურიხანისა. გაცხარებულს ბრძოლაში, როდესაც ამირგურიხან სპარსელების წინ გმირულათ წამოვიდა ქართველობაზედ და შექმნა გაცხარებული ბრძოლა, მანუჩარ და ამირგურიხან შეხვდნენ ერთმანერთს. მანუჩარმა ჰკრა ამირგური-ხანს კოლოტი თავში და გადააგდო ცხენიდამ. იძრო ხმალი და ის იყო უპირებდა აკაფვას, რომ ამირგურიხანმა შესძახა.

—არამი იყვეს შენზედ ჩემი ამაგი!!...

მანუჩარმა დაუშვა ხმალი ძირს.

ამირგურიხან მოახტა ცხენს და მოასწრო სიკვდილს გადარჩენა.

მანუჩარს მოაგონდა ამაგი და ამ უდროვო დროს მოინდომა ამაგის გადახდა. [1])

ამირგურიხან გაუძღვა შეშინებულს ჯარს და მიისწრაფა შაჰაბა-დახანთან. ის შეუერთდა შაჰაბადას ჯარებს.

შაჰაბადახანს ებრძოდნენ თავგაწირვით ზურაბის ჯარები. საში-ნელი მედგარი იყო ეს ბრძოლა. დაკოდვილი ზურაბ იყო ნანდვი-

---

[1]) გორგიჯანიძე, რომელიც ბევრში გაგონებს ჩვენს პლატონ იოსელიანს, აქაც კიდევ შეცდომით მოგვითხრობს ამ ამბავს. ის ამ ამბავს მანუჩარის მაგიერათ აწერს მეფე თეიმურაზს და სრულიად სხვა რიგათ გვიამბობს. იმისი თქმით თეიმურაზ და ამირგურიხან შეხვდნენ ერთმანერთს, თეიმურაზმა დაამტვრია ამირგურიხანს ორთავე ხელები და ამითი მოკვდა ამირგურიხანიო. მაგრამ ამას ეწინააღმდეგებიან ყველა მწერალნი: არაქელ თბილელი, მეფე არჩილ, ვახუშტი, მუნჯი და სხვანი, ყველანი ერთხმივ მოწმობენ, რომ ეს შემთხვევა, ესე იგი შეხლა ერთმანერთთან, მოხდა მანუჩარ ათაბაგსა და ამირგურიხანის შორისაო, ამასთან არაქელ და მუნჯი მოგვითხრობენ, რომ ამირგურიხან მოიკლა მარაბდის ომის უკან ქსანზედ სააკაძის ჯარებისგანაო. ეს ცნობა მით უფრო სანდოა, რომ მუნჯს ჰქონდა ყველა ეს ცნობანი ოფიციალური წყაროებიდამ. ამასთან ყველა ეს მწერალნი გორგიჯანიძეზედ ადრე იყვნენ.

მანუჩარ ათაბაგი იყო სიძე მეფის სვიმონ პირველისა და ქმარი ლუარსაბ მეორის მამის დისა.

ლი გმირი· ის, როგორც შეჰფერის მართლაცა და დიდებიდს სარდალს, აწყობდა ჯარებს, განაგებდა ომს. სისხლისაგან [illegible] არა ჰკარგავდა გონს. არ უთმობდა მტერს არც ერთს ნაბიჯს!...

ზურაბ წაიქცა. რამდენიმე თავგაწირულმა მხედარმა ძლივას გამოასწრეს მტერსა და გამოიყვანეს სამშვიდობოს.

ამ დროს მოარეგეს ქართველებმა შაჰაბადიხანის ჯარებს ჯაროამირგურიხანისა.

იწყო დენა ქართველთა ქვეითობამაც. იმათ მოიგრიეს უგანასკნელი დონე და, რაც შეიძლებოდა ამ გვარი მოწყვეტილი ხალხისაგან მიელტივნენ თავგანწირულნი და თავ გამეტებულნი. ისინი ჰხედავდნენ წინამძღვარად ისევ საავაძეს. საავაძის სახელი და ერთი იმისი შეძახილი აძლევდა იმათ გულს, მხნეობას, ძალას.

ქართველებმა დასძრეს კიდევ სპარსნი. საავაძის დანახვამ დახმამ აქაც დასცა ამათ შიშის ზარი, გამარჯვება რწებოდათ ისევ ქართველობას, რომ გვალად დამემ გაჰყარა მებრძოლნი,

ქართველებისთვის საჭირო იყო შესვენება. შაჰბადა და ამირგურ გამაგრდნენ მარაბდის ორღობეებსა და ალგეთის ხევებში.

დამე უცებ კალიას ბრბოსავით მოედო უგანიდამ ქართველობას ჯარი ყორჩიბაშისა.

ახლა გაცლა სჯობდა ბრძოლას. მაგრამ გაცლის გზა არსად იყო: ქართველობა მოემწყვდა ორს ჯარს შუა წინ უდგათ ერევნელნი და თავრიზელნი, უკან დანაშთენი სპარსთა ჯარები.

რა გაეგოთ ყორჩიბაშს და ხოსრო მირზას დაცემა ქართველობაზედ თავრიზელებისა და ერევნელებისა, და რა ნახეს, რომ შეწყდა დევნა ამათ ზედ ქართველთაგან, იმათ საჩქაროთ მოუყარეს თავი თავის გამფრთხალს ჯარებს და გამობრუნდნენ ქართველებზედ დასაცემათ. დამე იყო რომ ისინი დიდძალი ჯარით მოადგნენ ზურგიდამ ქართველობას.

აქ ჰნახეს ქართველებმა თავისი შეცდომილება და სიმართლე საავაძისა და ბაადურ ციციშვილის გონივრული რჩევისა.. ახლა მთელი ქართველი ჯარი შუაში იყო გამომწყვდეული. ან მთლათ მოწყვეტა ან სამარცხვინო ტყვეობა ელოდა ახლა ყველას.

თავის გაწირვის მეტი სახსარი აღარა იყო რა. დარჩენილიყო სიკვდილი გმირულად, სიკვდილი სახელით.

სააკაძე და ბარათა ბარათაშვილი დადიოდნენ და ამხნევებდნენ ჯართა.

საოცარი იყო ეს განწირულების ღამე. ამ ღამემ და მეორე დღემ უჩვენა ქვეყანას, რამდენი სიმხნევე მოიპოვება ქართველს გაც-ში, როდესაც ის ვარდება უკანასკნელს განწირულებაში.

თითქმის მთელი ბანაკი მცირე თუ დიდებული, თავადი თუ აზნაური, ერი თუ ღვდელი შეითქვნენ, ცოცხლივ არ დანებებოდნენ მტერსა და გაუმარჯვებლივ არ წასულიყვნენ შინ ცოცხლები. არა კახელობა, არა ქართველობა აუშუღლებოდნენ ერთმანერთს თავის გამოდებასა და გაწირვაში.

დაუვიწყარია აქ რუისის მიტროპოლიტის ანუ როგორც მაშინ ეძახოდნენ, მროველის, დომენტი ავალიშვილის ქცევა, მხნეობა და სიტყვები. ეს მროველი ავალიშვილი იყო დიდი მეგობარი სააკაძისა, და მაშინდელს დროს ჭკუითა და ცოდნით გათქმული მღვდელ-მთავარი.

გადასწყვიტეს ყველამ ზიარება იმ ღამეს, რომ მზათ ყოფილიყვნენ ხვალის განსაცდელისა და განწირვის დღისათვის.

დომენტი მროველი უქადაგებდა ხალხს მხნეობას, თავის გაწირვას.

„მიჰხედეთ ჩემს მაგალითს. მე პირველი შევალ მტრის გუნდში მახვილით. პირველი მე ჩაუსობ მტერს გულში მახვილს, პირველი მე შევაკლავ მტერს თავს ჩვენი ქვეყნის ხსნისათვის. „ჰქადაგებდა ის.

მაშინ ჰკითხეს დომენტის, რაკი შენ ჰხმარობ იარაღს და სისხლში ხელს ისვრი, მაშ უპრიანია, ზიარება სხვის ხელით მივიღოთო, რაკი სისხლიანი ხელით ზიარება საეკლესიო წესის წინააღმდეგი უნდა იყვესო.

უფრო, ძმანო, უფრო ჩემის ხელით გაკუთვნით და მადლიც ექნება ზიარებას: ვიწვდი მახვილს არა პირადი მტრობით, არა უბრალო მესისხარობით, არამედ მთელი ქვეყნის ხსნისათვის, საქრისტიანოსთვის, ქრისტესათვის. ეზიარენით ხელითა ჩემითა, უღირსსა

ის კაცი მღვდლობისაც და სიცოცხლისაც, რომელსაც ქვეყნის [illegible] ჭირვების დღეს შეუძლიან იარაღის ხმარება და არ [illegible] მოჰკლავს ან არ შეაკლავს მტერს თავსაო,—იყო პასუხი დომენტისა.

ესა და ამგვარი ქადაგება ისმოდა თითქმის ყველა მღვდელმთავართაგან, რომელნიც აქ თავისი სასრდლოებით იყვნენ მოსულნი. აქ იყვნენ მღვდელ მთავარნი რუსთაველი ანუ მარტყოფის მიტროპოლიტი, ალავერდელი, ხარჭაშნელი და სხვანი.

ხალხმა უსმინა მროველს და ეზიარა მის ხელით.

აქ გაითქვნენ ჩოლაყაშვილები, მაჩაბლები, ხერხეულიძიანი და სხვა მრავალი გვარეულობანი, რომ გაუმარჯვებლივ ცოცხლივ უკან არ ვამობრუნებულიყვნენ.

დილის რიჟრაჟამდის ორივე ბანაკი ქართველთა და სპარსთა ფეხზედ იყვნენ, იარაღით ხელში, გამზადებულნი საომრად. დილით გაიცადეს თუ არა ერთმანერთი მტერთა თვალით, გაავთრებულნი ეცნენ ერთმანერთს. შეიქნა ომი მედგარი, ომი განწირულებისა. სპარსნი წინადვე იყვნენ დარწმუნებულნი ძლევაზედ, და ახლა ხომ სრულებით დარწმუნდნენ ამაზედ, როდესაც ჰნახეს ქართველობის სიმცირე. ქართველნი იყვნენ თავგამეტებულნი და მოდიოდნენ საომრათ თავგანწირულნი, სიკვდილის მოურიდებლათ.

შეხერდა ომი. სპარსელობა მოაწვა ყოველ მხარეს. გუშინ ძლეული ჯარები ამირგურისა და მაჭ-ბადასი, ახლა იყვნენ ერთი ორათ მხნეთ, რაკი ჰხედავდნენ, რომ მოვიდა დიდი ჯარით მოსაშველებლათ ყორჩიბაში. ქართველობა იბრძოდა თავგანწირული. ომი სტანებდა, ქართველობა მხნეობდა, საავაძე გადადიოდა გუნდიდამ გუნდზედ, რაზმიდამ რაზმზედ და ამხნევებდა ქართველთ, სცემდა შიშის ზარს სპარსთა. მხნეობდა საოცრად მთელი ქართველობა. ალაგ-ალაგ გიდეცა ტყდებოდა მტრის რაზმი. მაგრამ, აგერ ჩამოწვა შუადღის გულის მზე. დატრიალდა სისხლის ბუღი. მოწყვეტილი ქართველობა ვეღარა სუნთქამდა, ეკვეთებოდა;თ მუხლთა.. ეს დაატყეს სპარსთა და უმატეს მხნეობას. სპარსნი რკანის რგოლივით ერტყმებოდნენ გარს და უფრო ანწყვევდნენ შუაში.

ძალა ბრძოლისა აღარ იყო. წაქეზებულნი სპარსნი უფრო და

უფრო მხნედ ესეოდნენ. ყველაფერი იყო წაგებული. გაქცევის გზაც აღარ იყო. სპარსნი ელოდნენ მთლად ქართველობის შემუსრვას და ყველა ქართველთ სარდალთ დაჰკარგეს დავთარი.

აქ იჩინა თავი კვალად სააკაძემ.

იმან უბრძანა თავის შვილს ავთანდილს და ცოლის ძმას დათუნა ერისთავს, რომ უეცრად გაეპოთ მტრის რაზმები და მიეცათ გზა ქართველთათვის ამ რკინის რგოლიდამ თავის დაღწევისა. უჩვენა ადგილები, სადაც უფრო ადვილი იყო სპარსთა რაზმების გაპობა.

ავთანდილმა და დათუნამ მოიკრიბეს, რაც ძალა ჰქონდათ და საშინელი სისწრაფით და მრისხანებით მიატყდნენ სპარსთა რაზმებს იმ ადგილას, სადაც უჩვენა მოურავმა. იმათ გრიგალივით გაჰფანტეს მდგომი სპარსნი და უცებ გაუხსნეს გზა ქართველობას.

ქართველობამ დააღწია თავი და მიიცა მხარი მარაბდის ვენახების და ალგეთის ხევებისაკენ.

ავთანდილ სააკაძე და დათუნა ერისთავი ისრე გაიტაცა თავისმა გამარჯვებამ და გულოვნებამ, რომ იმათ წაიქციეს წინ თავისგნით დამარცხებული სპარსთა რაზმები და სდიეს მათ, მინამ სრულებით არ გაჰფანტეს ისინი. აი როგორ მოგვითხრობს მეფე არჩილ ამ საშინელს გმირულს გატაცებას ავთანდილ სააკაძისა და დათუნა ერისთავისას.

„ამისმა ძმამ (ზურაბისა) დათუნამ და ავთანდილ დაიქუხეს,
რაზმი განვლეს, უკან სდევდეს, მინამდისინ სად გაბუხეს,
ჭოხრეწდეს მათსა საჭურჭლესა, ეოფილიყვნენ ვითა ძმუხეს...“

დაახწია რკინის რკალს თავი ქართველობამ და ახლა უფრო მიიცა გული. მაგრამ აუარებელს სპარსთა ძალასთან აღარა გადიოდა რა. ვაჟკაცი წვებოდა ვაჟკაცზედ და იკაფებოდა. თვით გიორგი მოურავს მოუკლეს ცხენი და გადმოაგდეს ცხენიდამ· ის კინაღამ გახდა მსხვერპლი გაავფთრებული მტრობისა. მაგრამ აქ შეესწრო უცებ გულოვანი აზნაური ზურაბ ერისთავისა, ლომი ჩრდილელი: იმან გააპო სააკაძის თავს დამსხმელნი შუაზედ, გადმოხტა ცხენიდამ, მიართვა სააკაძეს ცხენი თავისი და იწყო თვითონ ქვეითა ბრძოლა. სააკაძე ცხენ და ცხენ მისწვდა მეთოფეს, რომელმაც მოუკლა იმას

ცხენი, აჭკაფა ლუკმა ლუკმა და იმისი ცხენი მისცა ჩრდილელს და მაშინვე გადუხადა თავის მხსნელს მაგიერი.

სიტყვით, იყო შეუწყალებელი მუსრვა. მაგრამ ამაოდ! ძალა ბრძოლისა აღარ იყო. ერთმხრივ ერთი ხუთად ერთი ექვსად მეტი ჯარი, ჯარი, სიცხეს შეჩვეული და ამასთან, ამათში ბევრი ახლად მოსული და დასვენებული: მეორეს მხრივ ჯარი მცირე. ჯარი სამი ღამე ნატეხი, მგზავრობისა და უზომო მტერთან ბრძოლისაგან მოწყვეტილი, სიცხეს შეუჩვეველი და სიცხისაგან დათენთილი და მოუძლურებულნი, ჯარი თითქმის ყველა დაჭრილი და დან-ტვრეული. თავგწირვა ქართველობისა იყო ახირებული. მოკვდა ამ ომში ცხრა გაფიცული ძმა ხერხეულიძე, რომელთა შორის იყო ის კახა ბერი ანუ ბაკა ხერხეულიძე, ლუარსაბ მეორის ფარეშთ უხუცე-სი. რომელმაც გადაარჩინა სააკაძე, როდესაც ის უნდა მოეკლათ ღალატით ლუარსაბს, შადიმანს და სხვათა; იყო პაატა ხერხეულიძე, რომელიც იყო სააკაძესთან ერთად, ერთი იმ ოთხთაგანი, რომელნიც ახლდნენ სააკაძეს ყორჩიხანის ჯარებში და მოსწყვიტეს სპარსთა მთავარ სარდალნი! მეათეც ხერხეულიძეთაგანი იყო აღა-თანგ, მოწინავეთა სარდალი;[1]) მოკვდა ცხრა საუკეთესო ვაჟკაცი მაჩაბელი; შვიდი ჩოლოყაშვილი; მოკლეს დიდი გონებისა კაცი და

---

[1]) მეფე არჩილს ჰყავს მოხსენებული მარტო შვიდი ხერხეულიძე და მერვე სახლიკაცი მათი აღათანგ. ხალხის თქმულობით კი მომკვდარა ცხრა ძმა. ამასვე ამოწმებს ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი თავის ნაწერებში. ხერხეულიძიანთ გვარშიაც დარჩენილა ამბავი, რომ ცხრა ძმანი მომკვდარან. ამასთან დახოცილან ერთათ. ერთს ალაგას მე მქონდა გაგონილი, რომ ესენი მარხიან მარაბდის სასაფლაოზედა. განგებ წაველ და შევამოწმე. მარაბდის მოხუცებულთ მიჩვენეს მათი საფლავები. მაჩვენეს შვიდი ძველი ქვა. რომელთაგანიც ზოგი ძლივ მოჩანდა მიწიდამ. ყველა ქვაზედ იყო გამოხატული ხმლიანა კაცი: ნიშანი, როგორცა ვფიქრობ, მათი გმირობისა და გმირულად დახოცვისა. ამ მოხუცებულთა თქმითაც კი გამოდიოდა, რომ დახოცილან ცხრანი ჩემს კითხვაზედ: ორი ქვა რაღა იქნა? მათ მიპასუხეს, რო ცხრა არისო. ჩვენ კიდევ დავთვალეთ და გამოვიდა შვიდი. მათ ველარ ამიხსნეს, რა იქნა ორი. შესაძლებელია ეს ორი, მიწამ დაჰფარა და არა სჩანდა. მაგრამ, შესაძლებელია არჩილის სიტყვა მართალი

ქვეყნის მოყვარული, ბაადურ ციციშვილი; მოკლეს მღვდელ-მთავარნი ხარჭაშნელი და რუსთაველი, და სხვა დიდებულნი. გასწყდა მრავალი ვაჟკაცი აზნაურობა. როგორც ითქვა ზემოთ, მოკლეს მოწინავეთა სარდალი, დავით ასლანიშვილი. სიტყვით შენახვრდა ქართველობა. მაგრამ ქართველობა კიდევ იბრძოდა. საავაძე და ბარათა ბარათაშვილი კიდევ უკრეფავდნენ თავს ქანც მოწყვეტილს ქართველებს და კიდევ ეტევებოდნენ წაქეზებულს სპარსელობას. გამარჯვება სპარსთა ხდებოდა საიჭვო, რომ უცებ გავარდა ხმა: მოჰკლეს თეიმურაზიო!

— მეფე თეიმურაზ!—გავარდა ჯარში ხმა.

ეს და აკლდა ქართველობას! თითქმის მთელ სარდლობა გაწყვეტილს, ახლა მოკლეს მეფეც! ხალხში საშინელი ზარით და ელდით გაირბინა ამ ხმამ. ამ ხმამ მოუღო ბოლო ქართველობის მოწყვეტილს ჯანსა და ღონეს. დაიძრა ქართველობა საშინელი არეული და ზარდაცემული; ადარც საავაძის შეძახილი, იმისი გმირობა, ადარც ბარათას თავგანწირვა ადარა შველოდა საქმეს.

აქ, ხალხის თქმით, ჩაესო საავაძეს მიწაში ხმალი: [1])—არც მოელოს ბოლო მათ, ვისიც მიზეზით. დღეს ქართველობა დაიღუპა!. შესძახა იმან და გადაანტვრია შუაზედ.

---

იყვეს და ეს შვიდი ქვა ემოწმებოდეს მის სიტყვებს, შვიდი ძმა მოჰკლესო. მაგრამ ისრე მტკიცეთ არის რწმუნება ხალხში ცხრა ძმის სიკვდილზედ, რომ არჩილის სიტყვებზედ იჭვი შეგაქვს. ადვილი შესაძლებელია: რომ გადაწერ გადმოწერაში გადიცვალა რიცხვი, არჩილისაგან ნაჩვენები. აქვე საჭიროა შევნიშნოთ, რომ არის თქმულობა ვითომ ეს ცხრა ძმა ემარხოს შიო მღვიმეს. სამწუხაროთ მე ეს ალაგი შიო მღვიმეში ვერსადა ვნახე, დრო არ მომეცა ნახვისა. პლატონ იოსელიანი თავის აღწერაში, ამბობს, რომ აქა მარხიან ცხრა ძმა ამილახვარნიო, რომელნიც დაიხოცნენ სვიმონ მეფის ომში. პლატონის სიტყვას ემოწმება თ. ჟორდანიას გამოსული წყაროებიც

[1]) ერთი მრავალ ძველთა თქმულობათა გადმომცეთაგანი იყო ხიდისთაველი მოხუცი გლეხი ზაქარა ტლაშაძე, რომლისა ბევრი თქმულებანი და ანდაზანი დღესაცა მაქვს დამარხული. სამწუხაროთ, ბევრი ანდაზანი და ძველებური ამბავნი ჩაჰყვნენ ამას საფლავში ჩვენი უთაურობის გამო.

თუმცა მოკლული გამოდგა თეიმურაზ მუხრანის ბატონი, და არა მეფე თეიმურაზ. მაგრამ გვიან და იყო ამისი ახსნა, ჯარი გარ-ბოდა და აღარა ესმოდა რა.

მეფე თეიმურაზმა გააჩქარა, რომ გაესწრო წაქეზებული მტერ-ისთვის.

ოცდახუთიათასი ქართველიდამ მოკვდა ცხრა ათასი კაცი ამ საშინელს ომში, ცხრაასი კაცი მოკვდა მარტო ზურაბ ერისთვის საერისთოდამ.

თუმცა ეს საშინელი მარცხი ჰნახეს ქართველთა, მაგრამ თვითონაც დიდი ზიანი მისცეს სპარსებსა. თვრამეტი ათასი სპარსი მოიკლა ამ ომში ქართველთაგანი.

სააკაძე იახლა მეფეს, რომელიც ავარდა აგვეთს, და იქ დაიბანაკეს ორთავემ იმ მცირე ჯარით, რომელიც და კიდევ შერჩათ. შერჩათ კი ძალიან ცოტა, რათგან მომეტებული ნაწილი იყო დაჭრილი დანარჩენი გაემურა ცოლშვილსა, რომ გაესწროთ გახიზვნა. [1])

---

ამით გათავდა ეს დაუვიწყარი მარაბდის ომი. საუკეთესო ვაჟკაცობა გაწყვა აქ უსარგებლოთ, უბრალოთ.

ქართველთა მეფემ და დიდებულთ არც ახლა შეიძლეს თავს, არც ახლა გაჰყვნენ სააკაძის გზას, იმის წყობილებას. პირიქით დიდებულთ იწყეს სპარსელების ერთგულება. იწყეს მათი დაახლოვება და კავშირი. ზოგმა იჩინა ნათესაობა და მოყვრობა სპარსთა სარ-

[1]) კიდევ მაგალითი პლატონ იოსელიანისაგან უთავბოლო წერისა. ის ამბობს თავის წიგნში, „Жизнь Вел. моурава Георгія Саакадзе“, ვითომც ვახუშტი ამბობდეს, ამ ომში 17,000 ქართველი მოკვდაო, ამათში 9,000 კაცი ზურაბის საყმოდამაო. ვახუშტი კი აი რას ამბობს: „მოვკვდა ამა ომ.ა შინა ქართველი და კახი ჰ. და ზურაბისა შ.“ ვინც იცის ქართული ანგარიში, ყველამ იცის, რომ არის ჰ 9000 და შ 900. აქაც კი არ ინდომა პლატონმა ჩახვდება წიგნში და შემოწმება რა რიცხვსა ჰნიშნავდნენ ვახუშტის მოყვანილი ასონი.

დლებისა. ზოგმა თვითონაც მისცა იმათ პირი. ზურაბ არაგვის ერისთავმა მოიგონა თავისი მეგობრობა სპარსეთში ხოსრო მირზასთან და იმისი შემწეობით იწყო სპარსელებთან ურთიერთობა. უთუოდ ძლიერ სჭირდა ამისი თავი: თუ ის მტრად არ ეყოლებოდა, უფრო ადვილი იყო ქართველების ძლევა და შაჰის ბრძანების შესრულება ქართველთა მოსასპობლათ. ამასთან, თუ არ ამისი შემწეობით, ვერ გამოიყვანდა არშის ციხიდამ თავის ქალს და სიძეს ანდუყაფარ ამილახვარს, რომელნიც იქ დაანწყვდია სააკაძემ, რათგან არშას ამის საერისთოზედ უნდა აევლოთ. ბარათაანთ ჰქონდათ მოყვრობა როსტომ ხან სააკაძესთან, რომელიც იყო სპარსეთში დიდი ალაგის მჭერი და მისი სახელით უნდა ესარგებლათ, რისგამოც მისცეს თავისი უმაგრესი ციხე ბირთვისისა და ჩააყენეს შიგ სპარსთა მეციხოვნენი [1]) ზოგმა უწყო მაგრება მარტო თავის ადგილებს. თვით მეფემაც ანე-

---

[1]) იქამდის დაუფიქრებლათ სწეწავს პლატონ ისტორიას და ისტორიულთა პირთა, რომ სრულიად არ აფიქრებდა რას რათ ამბობს და რა საბუთითა. იმისი თქმით, როსტომ ხან სააკაძე იყო შვილი გიორგი სააკაძისა, რომელსაც ერქვა წინად ბეჟან. მასუკან, როდესაც გავარდა ოსმალოში და მოჰკლეს იქ გიორგი სააკაძე, ეს დაბრუნდა სპარსეთში, მიიღო იქ ხანობა და დაერქვა სახელად როსტომ. ამის შემდგომ ის დაბრუნდა საქართველოში, შედგა ბერათ და იყო ქვათახევის მონასტრის წინამძღვარიო. როსტომ ხან სააკაძე იყო ძმისწული სააკაძისა და არა შვილი. ბეჟან. რომელსაც პლატონ ამბობს, იყო ძმა გიორგი მოურავისა. და არა შვილი. როსტომ იყო ბეჟანის შვილი. ეს როსტომ თვით სააკაძის სპარსეთში მყოფობის დროს იყო დიდი სამსახურისა და ადგილის პატრონი. შემდგომ იყო ამირ სპარსალარი მთელი ირანისა. იმან და ხოსრო მირზამ შემდგომ აბაზის სიკვდილისა, აიყვანეს შაჰ-სეფი ირანის ტახტზედ. მასუკან, როდესაც სეფემა დასვა მეფეთ ხოსრო მირზა და უწოდა სახელად როსტომ, გამოატანა ამას ეს როსტომ სააკაძე ჯარებით და დააჭერინა ქართლი, გააგდებინა თეიმურაზ და სხვა. ამას ერთხმივ მოწმობენ: გორგიჯანიძე, პარიჟის ხელნაწერი ქართ. ცხოვრება, არაქელ, მუნჯი, ვახუშტი და კიდევ უფრო შაჰ-სეფის ფირმანი 1632 წ. ზაქორის (ლეკებში) სულთან მამედ-ბეგთან, სადაც ისა სწერს, რომ თეიმურაზი გავაძევეკახეთიდამ, კახეთიცა და ქართლიც მეფე როსტომს მივეცი და ამ ქვეყნების დასამორჩილებლად გავატანე ჩვენი მახლობელი მთავარ სარდალი

ბა ყველაფერს თავი. არავითარი სახსარი, არავითარი ღონისძიება არ იხმარა მტრის მოსაგერიებლად, საქართველოსი საშინელი განსაცდელისაგან სახსნელად. მეფე ელოდა შველას ახლა სტამბოლისაგან და უჩვენებდა სიყვარულს. ავედრებდა თავსა და ქვეყანას. თავათ იყო ხელგაუწრთვნელად, თითქო მარაბდის ომით იმას შეესრულებინოს ყოველი მოვალეობა თავისი სამეფოებისადმი. ყველა გადგა განზედ, ყველა მიიმალა. სპარსნი ისე იჩვენებოდნენ, ვითომც მარტო სააკაძის სამტროდ იყვნენ მოსულნი, მის ჯავრის ამოსაყრელად შაჰის დალატისათვის... სპარსთ აიღეს თბილისი, დასვეს მეფედ ისევ სვიმონი, რომელიც მოიყვანეს თან სპარსეთიდამ, სადაც იმან გასწრთო სააკაძეს თბილისიდამ, როდესაც სააკაძე დაესხა თბილისს და აიღო შემდგომ ყარჩიხახის ჯარების მოწყვეტისა. თბილისის აღებით მთელი ქართლი იყო კარ-ღია სპარსთა ჯარებისათვის. თბილისის აღების უკან აღარ იყო ახლა ძნელი, თუ ზოგიერთა ქართველს თავადობას მოიმხრობდნენ, შაჰის ბრძანების შესრულება, და როგორც ვნახეთ, სპარსთ მოასწრეს კიდეც, თუ სრული მომხრობა არა, დამშვიდება და დამეგობრება მაინცა მეტი წილა თავადებისა.

დარჩა წინააღმდეგი მარტო სააკაძე.

აქედამ იწყობა უფრო დიდებული საქმენი სააკაძისა.

საქართველოს თავს იდგა ახლა უარესი განსაცდელი და ჭკვიანდა შემოსეული უფრო განრისხებული ჯარი, ვიდრემ ფეიქარ-ხანისა და ყარჩიხანის შემოსევის დროს. საქართველო ახლა უფრო უსახსრო და უძლარო იყო, ვიდრემ მაშინ. სპარსნი ახლა უფრო ძლიერნი იყვნენ, ვიდრემ მაშინ. თუ წინათ იყო ბრძანება, რომ მოწყვეტილიყო მთლად კახეთი და აყრილიყო ქართლი, ახლა, ცხადია, ხსენებაც არ უნდა ყოფილიყო ქართლის აყრისა: ახლა ქართლიცა და კახეთიც უნდა მთლად მოწყვეტილიყო.

ახლა იყო საჭირო უფრო მეტი მოხერხება, მეტი ძალა აზროვნებისა დ~ გაბედულებისა, მეტი გონება, რომ გასძლოლოდა ამ

---

როსტომ (სააკაძე). ამაზედ კიდევ უკეთესი საბუთი. მარაბდის ომში ქართველობის მხრივ იყო თავი გიორგი სააკაძე. ეს როსტომ სააკაძე კი ერთი თავსარდალთაგანი სპარსებისა და ებრძოდა გიორგი სააკაძეს. ნუთუ შვილი ებრძოდა მამას?

მოშტუდარს უბედურებას. უკეთესი ვაჟკაცობა და ქვეყნისთვის თავ-დადებულნი როგორც ითქვა დაიხოცნენ მარაბდის ბრძოლაში, ამის იყო საჭირო სხვა რიგი გონების ძალა, სხვა გონი მოსახმარებლათ და გამოსაჩენათ.

აქ სააკაძემ მიმართა ჯერობით იმგვარს ომს, რომელსაც ეხლა ეძახიან პარტიზანულს ომს: დიდი და გაწყობილი ჯარით ბრძოლა იყო შეუძლებელი, რადგან აღარც იყო დიდი ჯარი: ცხრა-ათასი უკეთესი მეომარი გაწყდა მარაბდის ომში, დანაშთენში თი-თქმის მეტი ნაწილი იყო დაჭრილი და ეყარნენ შინ; ზოგი იხო-ცებოდნენ გაძნელებული დაჭრილობისაგან, ზოგი იავადებდა; სხვა-ნი ახლდნენ თავის თავადებს და ასრულებდნენ მათს ნებას, ან იყვნენ შინ წასულნი ცოლშვილის მისაპატრონებლად.

თვით გარემოებამ უჩვენა სააკაძეს, რომ ეხლა წვრიმალი ომი არის საუკეთესო ღონე მტრის საწინააღმდეგოთ. რომ ამ გვარს ქვეყანაში, როგორც ჩვენი ქვეყანა, ძნელად შეუძლიან რამე ძალას გაუძლოს რიგიანად მოწყობილს პარტიზანულს ომს იყავ მარჯვე, ისარგებლე ყოველივე გზებით, ვიწროებით, წყლებით, მთებით, ფრიალოებით და სხვა ბუნებრივის სიმარჯვით და, რაც გინდა ძლიე-რი იყვეს მტერი, თუ შინაურები გყვანან დამხმარეთ, არა გარეშე ძალას გაძლება და ხანს დგომა ჩვენს ქვეყანაში არ შეუძლიან.

სააკაძემ მიმართა ამ გვარს ბრძოლას.

მარაბდის ომის უკან სააკაძე მაშინვე ეცა ნოსტევს თავის ცოლ-შვილს, უზრუნა სახიზნი ადგილები; გაგზავნა ჯარები სამესხოს გზების შესაკრავად, რადგან აქ იდგა სპარსთა ჯარი და შესაძლე-ბელი იყო ახლა იქიდამ ჩამოჰხსეოდნენ და ზურგიდამ მოსდგომო-დნენ ქართლს, და მაშინ საშველი აღარსად იქნებოდა. ამ დროს სა-მესხო და სხვა მეზობელი ადგილები ეჭირათ სპარსთ, რადგან შაჰ-აბაზმა ეს ადგილები წაართვა ოსმალოთ. ამ განკარგულების უკან ესე იგი, მესამე დღესვე ეცა სააკაძე თბილისის არე-მარეს, რომ ედევნე-ბინა თვალ-ყური, საით დაიწყებდა მტერი მოძრაობასა. გიორგის თავის ჯარიდამ მოჰყვა აქ მარტო სამოცი კაცი, რადგან ზოგი დაიხოცა მარაბდის ომში, ზოგი დაიჭრა და ეყარნენ შინ ავადმყო-

ფები, ზოგი გაუშვა ცოლშვილის გახიზვნას, ზოგი გა[illegible] თავის ცოლშვილს გასახიზნათ, და მეტი წილი გაგზავნა [illegible] გზების შესაკრავად. ამ სამოცი კაცით იმას უნდა ექნა წინააღმდეგობა გამარჯვებული დიდძალი მტრისათვის, რომელიც, რაც უნდა ცოტა ვიანგარიშოთ. უნდა ყოფილიყო კიდევ სამოც-ოთხმოცი ათასი კაცი მაინცა. სააკაძე მიდიოდა სამოცი კაცით სამოც ოთხმოცი ათასი კაცი საწინააღმდეგო! ესეც ისრეთივე ძნელი დასაჯერებელი იქნებოდა, როგორც, ისა, რომ ის მთელს სპარსთა ჯარში დარჩა მარტო ოთხი კაცით სპარსთა სარდალთა ამოსაწყვეტათ და მთელი სპარსთა ჯარის ხელის შესამართავად, რომ ამას არა მოწმობდნენ თვით სააკაძის მტერნი.

მოახლოვდა თუ არა მოურავი ერთი შვიდი ვერსის მანძილზედ თბილისსა და გადმოჰხედა წოდორეთის მთებს, დაინახა, რომ ლისი, წოდორეთი, თხინვალა და სხვა გარემო ადგილები არიან მოდებული თბილისიდამ გამოსული სპარსთა ჯარებით, და მთელს ამ გარეშემო ქვეყნებს აქვს მოდებული ცეცხლი. სპარსთა ჯარებს აეკლოთ ქვეყნები და აკლებული ქვეყნებისთვის მიეცათ ცეცხლი.

სააკაძე, როგორც ნანდვილა გაავთრებული ლომი, ჩამოერია თავისი სამოცი კაცით სპარსელებს. საშინელება იყო ის ზარი, რომელიც ამ ერთი მუჭა მეომრებით დასცა სააკაძემ ამოდენა სპარსელებს. როგორც ცხვრის ფარა. ისრე გამოირეკა იმან ისინი თბილისისაკენ. ხმლის ქნევითა და ხოცვით ხელი აღარ ერჯოდათ სააკაძის მეომართ. ომმა გასტანა ხანი და მაშინდელთა მწერალთა სიტყვით ამ ბრძოლაში ყოველთვის არ ჰყავდა სააკაძეს ეს სამოცი კაცი, რადგან ომს გარდა, შიგა, და შიგ ეს მეომარნი უნდებოდნენ სხვა და სხვა საქმეს, და ზოგჯერ იბრძოდა მარტო ოცი კაცი, ზოგჯერ ოცდაათი და სხვა... როგორც გამფრთხალი ჯეირნის ჯოგი ისრე შერეკა სპარსელები სააკაძემ თბილისის ციხეში. ამ დევნაში დააყრევინა სააკაძემ სპარსთა ჯარებს ყოველი ალაფი და ნაშოვარი, დააყრევინა მათივე საკუთარი ცხენი და იარაღიცა. შვიდას კაცს სპარსელს გააგდებინეს თავი ამ სამოცმა სააკაძის კაცმა. დაუჯერე-

ბელია, თვით მე, ამ სტრიქონის დამწერს, ზღაპრად მომაჩნდა ეს ამბავი მანამ არ წავიკითხე ვახუშტი, რომელიც, როგორც ჩვენთვის უჩვენეთ მკითხველებს, სცდილობს ყოველი ღონით დაამციროს სააკაძე და მოსცხოს იმის სახელს ჩირქი... დასაჯერი იქნებოდა კიდევ რომ ეს უცნაური ყათლახი მომხდარიყო სადმე მთის ვიწროებში, მთის ფრიალოებზედ, ან ციხესთან, სადაც არ შეეძლო მტერს გაშლა, მტრის დანახვა, მტრის გამკლავება. მაგრამ ეს მოხდა ვაკე, დაცემულს ალაგას, სადაც მთელს სპარსთა ჯარს შეეძლო გაშლა და მოწყობა, როგორც კი საჭირო იყო მტრის პასუხის საგებლათ. მოვიყვანთ რამდენსამე სიტყვას იოსებ თბილელის წიგნიდამ ამ ბრძოლის შესახებ.

„შვიდასს კაცს თავი მოვკვეთე, გავწყვიტე მე სამოცით.
მკლავი დამიშრა ხმლის ქნევით, გარდაურით და ხოცვით.
ხან შევიბრძოდით ოც-და-ათით, ხან ცოტა ჯარით—ოცითა"...

ზარდაცემული ხალხი გარბოდა გასახიზნავათ. მაგრამ ამ გამარჯვებამ გაუღვიძა ქართველებს იმედი. აქეთ იქიდამ იწყეს დენა სააკაძის მოსაშველებლათ. მოვიდნენ თხინვალიდამ გაბაანი, მოვიდნენ სხვები. ქართველებმა იწყეს მხნეობა.

სააკაძემ ათი დღის განმავლობაში შეაჩერა და შეაგუბა მთელი ძალა სპარსეთისა თბილისს და თბილისის გარშემო ათი დღე იყო შეუწყვეტელი ბრძოლა და არ წაადგმევინა სპარსელებს წინ არც ერთი ნაბიჯი გულ ქართლში შესასვლელათ. მაშინ სპარსნი გავიდნენ გაღმა და დაიძრნენ ქართლისაკენ აღჯალის მხარეს...

კახეთში, მარაბდის ომის უკან, სპარსთა მაშინვე გაგზავნეს ჯარები დასაჭერათ და დასარბევათ. კახეთი ოხრდებოდა უპატრონოთ. თუმცა მეტი წილი კახეთისა გავარდა გასახიზნათ, მაგრამ, მაინც სპარსთ კახეთში არ შეეძლოთ დიდი ზარალი, რადგან იქ დიდი ჯარის დაჭერა და შენახვა არ შეეძლოთ. რაკი მეფეც და სააკაძეც ქართლში იყვნენ, სააკაძე არ ასვენებდა და უწევდა შეუწყვეტელს ბრძოლას. ამან იხსნა კახეთი უარესი დღიდამ, რაც გამოევლო წინად. სპარსნი იძულებულ იყვნენ გამოეყვანათ მეტი წილი ჯარისა კახეთიდამ ქართლში, სააკაძის საბრძოლველად.

მოურავმა კარგათ იცოდა, რომ ბევრს ხანს ვერ შეიკავებდა თბი-ლისში სპარსელებს, და, დღეს იქნებოდა თუ ხვალ, ისინი დაიძრებოდ-ნენ თუ დიღმისა და ლისის გზებით არა, ავჭალის გზით მაინც. ამის გამო, ეს ათი დღე ის თან ებრძოდა აქ მძლავრს მტერს და თან ჰზრუნავდა გზების გამაგრებისათვის. ამ ხანებში იმან გაგზავნა კაცნი დართის კარისა და წიწამურის გზების შესაკრავად და ჩასა-ფერგათ.

რა პატარა მიჰხედეს ცოლშვილს, სააკაძისაკენ იწყეს ისევ დენა იმის ერთგულთა და მომხრე კაცთა თავისი ჯარებით. მართალია ესენი იყვნენ ცოტანი, მაგრამ ყველანი იყვნენ ფოლადივით გამოწ-რთვნილნი სააკაძესთან ომებში. ბევრი იმათგანი იყო ნამყოფი იმას-თან ინდოეთს, ბაღდადს, ავღანს და სხვა ადგილებში, სადაც კი საა-კაძე იყო აბაზთან ომებში, ამათთვის სააკაძესთან ყოფნა, მასთან ბრძოლა, თავის გაწირვა იყო ის, რაც ლოთი კაცისათვის ღვინო, ქაღალდის ლოთისთვის ბანქო. ამგვარი ხალხით ბრძოლა არის ბრძოლა ხელოვანთა მეომართა, რომელნიც ჩადიან მართლაცა და შეუძლებელს საქმეს.

დაიძრა ურდო სპარსთა ჯარისა. გავიდა გაღმა და გასწია ავ-ჭალისაკენ. დაიძრა, მაგრამ ვაი ამ მოძრაობას! არც ერთი ვიწრო, არც ერთი მოფარებული ადგილი არ გაუშვა სააკაძემ, სადაც არ დაუხვდა თავის მცირე ჯარით და არ მისცა მტერს საშინელი ზარა-ლი. ყველა ნაბიჯის წინ წასადგომი ადგილი დაბეჭდა და მორწყო სპარსთა სისხლით. მაგრამ, მტერი მაინც იძროდა წინ. რადგან საქცევი და გასახვევი გზები ამ ადგილებში ბევრი ჰქონდათ. ყველა გზების შესაკრავად არა ჰყავდა სააკაძეს ჯარი, ამისგამო, ის რომ ერთს ალაგს დაუხვდებოდა და უწყებდა სპარსთ ხოცვას, ისინი უხვევდნენ სხვა გზებზედ და მოდიოდნენ გულ-ქართლისაკენ.

ჯარი აწვებოდა ქართლს აუარებელი. ქართლში შემავალს სპარსთა ჯარს ეჭირა ქალაქის პირიდამ მოყოლებული წიწამურსა და დართის კარამდის მთელი არე.

მოდიოდა სპარსთა ჯარი, რაგრამ სააკაძე არ ეშვებოდა და ის თან-და-თან უფრო და უფრო იჩენდა მხნეობას „რა გაჭირდის,

უფრო შევძლი, ასრე მქონდა ის ომის ჩვევა“, ათქმევინებს იმას იო-სებ თბილელი თავის „დიდმოურავიანში“. ამ გზა-გზა [illegible] ასრე აგვიწერს იგივე თბილელი: შუბი გატეხდის, ხელ[illegible] მაშინ შევქმნით ხმლისა ქნევა. ამ დღეს თავი ვინც დაჰზოგოს, ისიმც კაცი დაიწყევა!“

საშინელი გულის გამტეხი იყო სპარსთათვის ეს მოუსვენარი და შეუწყვეტელი ბრძოლა სააკაძის ჯარებთან. დიდი იყო ზარალი სპარსთა. მათ დაჰკარგეს თავისი კადნიერება. ჰხედავდნენ, რომ ეხლა აღარ იყო უწინდებურათ, როდესაც ერთი დამარცხების მეტი საჭი-რო არ იყო, რომ მთელი საქართველო ხელ-გაუნძრევლათ ჩაეგდოთ ხელში.

სპარსნი მაინც არ იშლიდნენ და მიდიოდნენ წინ.

იმ დროს, როდესაც მიატანეს სამშვიდობოს და ეხსნებოდათ წინ გზა გაშლილი ფართო საშუხრანოს ველებისა და მინდვრებისა, და იფიქრეს სპარსთ—ეს არის ღმერთმა გვიშველაო,—დახვდა დარ-თის კარის ვიწროებში, წინადვე გამაგრებულს ადგილებში სააკაძე. მთელი სამი დღე იდგა შეგუბებული ურდო სპარსელებისა და არ წადგმევინა იმათ წინ ფეხი; მთელი სამი დღე იღვრებოდა სისხლი შაჰაბაზის ჯარებისა.

სპარსელები გაბრუნდნენ უკან და მოუარეს წიწამურზედ, მაგრამ სააკაძე აქაც დაჰხვდა იმათ. შეიქმნა ამ ვიწროებშიც უწყალო სისხლის ღვრა სპარსელებისა. გაბრუნება სპარსთა აღარ შეიძლებოდა. იჟლიტებოდა სპარსელობა, მაგრამ აკლდებოდა სააკაძის მეომართაც. ეს იცოდა ხოსრო მირზამ, სააკაძისაგან ომებში გაწვრთნილმა და თვითონაც ქართველმა კაცმა, ქართველმა ბატონიშვილმა. საშიში ისრე უცხო მტერი არ არის კაცისათვის, როგორც ის მტერი, რომელიც შენ გაგიზრდია, იყო შენი მახლობელი. ამგვარი მტერი ჰხედავს შენში თავის მოშუღლეს ან, როგორც ევროპელები იტყვიან, სოპერნიკს. ამგვარმა შენმა მტერმა იცის შენი ყოველი ნაკლი, შენი ყოველი ღირსება, აქვს შესწავლილი შენი ყოველი ძარღვის ცემა, ყოველი შენი გულის პასუხი, შენი ფიქრების მოძრაობა, ყოველი შენი აზრი. ხოსრო მირზა კარგად იცნობდა

საკაძეს და ყოველს მის მოძრაობას უდგა კვალში. იმან იცოდა, რომ საკაძე მარტოც რომ დარჩენილიყო, არ დაიშლიდა ბრძოლას. იმან იცოდა, რომ საკაძეს აღარა ჰყავდა თითქმის ჯარი, ის იბრძოდა მარტო თავისავით თავგასწირული, ამასთან ომში გაწვრთნილი მცირეოდენი ხალხით, და იქ, სადაც სპარსთა სარდალნი დრკებოდნენ წინაშე საკაძის გაუტეხრობისა, საკაძის გაუდრეკელი და უძლეველი ენერგიისა, იქ ხოსრო მირზა უდგა საკაძეს კრიჭაში, ამხნევებდა სპარსთა და მხნეთ უმკლავდებოდა საკაძის წყობილობასა და გამგებლობას, საკაძეს მართლა სულ რამდენიმე ოცი კაცი და დარჩა მოემარი. დიდი იყო ზარალი სპარსთა, მაგრამ ამ მცირედით ძლევა იმათი საკაძეს აღარ შეეძლო. ისიცა და იმისი მცირე თანამებრძოლნიც თითქმის ერთი თვის შეუწყვეტელი ბრძოლით, მუშაობით, ღამის თევით, ჭრილობით და მოუსვენრობით იყვნენ მთლად მუხლსა და მკლავში მოწყვეტილნი. ხოსრო მირზამ იცოდა ეს ყველაფერი და არ მიუშვა იქამდის, რომ სპარსნი დაბრუნებულიყვნენ. ის მიუძღვა მთელს ურდო ჯარს უკანასკნელად. ჯარი გადავიდა სანგრებზედ. საკაძის კაცთ აღარა ჰქონდათ არაქათი ბრძოლისა. საკაძეს დაეხოცა აქაც კიდევ კარგი მეომარნი. დანარჩენებს აღარ შეეძლოთ გამკლავება სპარსთა აურებელი ჯარისა. საკაძე გაეჩქარა სამუხრანოსაკენ. აქ შეასვენა თავისი მცირეოდენი მეომარნი. მოიშველია კიდევ რამოდენიმე ახალი თავისი მომხრე ჯარი და უწყო გზებს მაგრება. შეუკრა წეროვნისი, ნარეკვავისა და მუხრანის ტყეები და წვრილმანები.

სპარსნი გამოვიდნენ არაგვს და შევიდნენ იმ ადგილებში, რომელიც შეკრული ჰქონდა საკაძეს. რომ იტყვიან რუსები, სკვოზ სტროიში გაატარაო, სწორედ სკვოზ სტროიში გაჰყავდა საკაძეს სპარსელები. ამ ადგილებში იმუსრებოდა უწყალოდ სპარსელობა, მინამ გავიდოდნენ ღია მუხრანის მინდვრებში, სადაც დაიბინავეს იმათ. საკაძეს მეომართაგან დარჩა ისევ სამოცი კაცი. ეს სამოციც დაჭრილი, დაჟეჟილი ბევრი ცემისა და ბრძოლისაგან.

მტრის ჯარი იდგა შუაგულს ქართლში.

ყველა ქართველობა ეშურებოდა ისევ თავის ცოლშვილს, ეჩქარებოდა გახიზვნას, მტრის გასწრობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარსთა წინააღმდეგი, იყო... სამოცი ქანც გამოლეული კაცი სააკაძისა

სპარსნი დარწმუნებულნი იყვნენ თავის სრულს ძლევაზედ. მაგრამ არ იყო ამაზედ დარწმუნებული სააკაძე. იმისი ერთგული კაცები იმის ბრძანებით ელდასავით დარბოდნენ მთელს ქართლში თავადიდამ თავადებთან, აზნაურებიდგან აზნაურებთან, გლეხებიდამ გლეხებთან და ეძახდნენ აშლას და ქვეყნის პატრონობას.

სააკაძემ აშალა ზოგიერთა ბარათაანი, იასე ქსნის ერისთავი, ზურაბ არაგვის ერისთავის ძმები: დათუნა და გიორგი და შიგა და შიგ ზემო ქართლის თავადობა. ქართლი იკრებდა ცოტ-ცოტათი კიდევ ჯარებს. სააკაძე ძალაუნებურად უდგამდა ქართლს სულს.

სპარსნი ახლა თან და თან რწმუნდებოდნენ, რომ ჯერ შორს იყო ის ძლევა, რომელსაც ესენი ჰფიქრობდნენ სააკაძეზედ. სპარსთა ძალა დიდათ შემცირდა, თითქმის მინახევრდა. რაკი ჰნახეს იმათ, რომ მარაბდის გამარჯვებამ არ მისცა ის, რასაც ელოდნენ, დარწმუნდნენ, რომ სააკაძე აგრე ადვილად არ უთმობდა ამათ მას, რაც ჰქონდათ ყეენისაგან დაბარებული, დაუწყეს ქოლიაობა სხვა და სხვა ძლიერს თავადებს, ხალხსაც დაუწყეს ღმობიერად მოპყრობა. ამითი მოიბირიეს ბევრი ქართველობა. მიიზიდეს თვით სამღვდელოებაც. სამღვდელოება ახლა უყურებდა სააკაძეს, როგორც ქვეყნის გამცემს, ქვეყნის მუხანათს, ქვეყნის ორგულს. თვილელმა მიტროპოლიტმა დიონოსემ სთხოვა სვიმონ მეფეს, რომელიც ყორჩიბაშმა მოიყვანა ხელმეორედ და დასვა თბილისში ქართლის მეფედ, რომ მიეცა ნება სააკაძესთან წასვლისა, რათა დაამშვიდოს ისა და სპარსელებთან ომზედ აალებინოს ხელი. დიონოსის გაატანეს სამღვდელოთა სხვათა შორის ტროფილიე. ცხეთის სამთავროს მღვდელთავარი, ამავე საქმის სათხოვრათ. ისინი მივიდნენ მოურავთან სამუხრანოში და სთხოვეს ნახვა. მოურავი დიდის პატივის ცემით მიეგება ამათ წინ, ეამბორა ხელზედ და სთხოვა შებრძანება თავის კარავში მამათ მთავრებმა უღირსად იცნეს თავისი თავი მისთანა დიდებული კაცის კარავში შესვლისა. იმათ დაიჩოქეს მოურავის წინ და შევედრეს: „ჩვენი სათხოვარი და მოხსენება შენთან არის ერთი. მოეცი მშვიდობა ქვეყანას და

მეუდროებს ტაძარსა უფლისასა. გახსოვდეს, რაცა ვალი [illegible] ნაშენ ქრისტიანობისა და მშობელი ქვეყნისა, ნუთუ არ ამღვრევს გულს და არ აწუხებს შენს სულს საშინელი განწირული ყოფა მთელი საშეფოსი?! შეჰხედე სახლთა, ციხეთა, ტაძართა და მთელის ქვეყნის შენობათა ნანგრევთა და ნატამალთა! აღარ არის სახლი, სადაც არ ისმოდეს საშინელი გლოვა და ტირილი, რომლითაც მოსთქვამენ მამებს, ძმებს, შვილებს, ცოლებს, დედებს, ასულთა და ან ყველას ერთად! დიდი ხანია ვართ შეჩვეულნი სპარსთა მონებას, დიდი ხანია გვებატონებიან სპარსელები... გვიბრძანე, გვიბრძანე, ბატონო მოურავო, სად აქვს საცოდავ საქართველოს ძალა, რომ შეუძლოს დიდებული ყეენის მძლავრს მრისხანებას და დაუმარცხელს ძალასა?!.. შეიწყალე ქვეყანა, დაეხსენ სპარსთა ბრძოლას, სპარსთა სისხლის ღვრას!!..

სააკაძემ, თქმა არ უნდა, არ მისცა ნება დიდს ხანს მუხლის თავზედ დგომისა, ააყენა საჩქაროდ მღვდელ-მთავარნი და მოახსენა წყნარა, მაგრამ გადაკვეთილი კილოთი.

„მე დავცხრები მაშინ, როდესაც აღარც ერთი სპარსელი ჯარის კაცი აღარ იქნება საქართველოში. მე დავცხრები მაშინ, როდესაც სპარსთა გაჰყვება თან იმათგან დაყენებული ქართლის მეფედ სვიმონ, და როდესაც ორთავე საშეფოს—ქართლსა და კახეთს—დაიჭერს თეიმურაზ, მანამ კი ან მე უნდა ვიყვე და ან სპარსელები. ეს არის ჩემი პასუხი და ასრე მოახსენეთ თქვენს გამომგზავნელებსაც!!.“

მღვდელ-მთავარნი დაბრუნდნენ წყევლით და შეჩვენებით, იმედგადაწყვეტილნი. დარწმუნდნენ, რომ ამაო იყო მოურავთან ლაპარაკი, დარწმუნდნენ, რომ ის არ ეშვება სპარსელებს.

და არც ეშვებოდა.

მაგრამ მხნეობდა მარტო სააკაძე.

მეფე თეიმურაზ, თავის ჩვეულებისამებრ, გადავარდა იმერეთში, კახეთი იყო თვითონაც გაჭირვებაში შესეულ სპარსთაგან, თუმცა, როგორც ითქვა, რაკი სააკაძემ გაუჭირა ქართლში საქმე, მეტი ძალა სპარსთა-კახეთიდამ ისევ ქართლში გამოიყვანეს.. აღარა ჰყავდათ

კახელებს თივისი თავგამოდებული გმირი, დავით ასლანიშვილი, და აღარ ისმოდა კახეთში კახური გმირობა: კახელები ვეღარ ასწორლოდნენ იმ მცირე სპარსთაც, რომელნიც იქ დარჩენილიყვნენ. კახელებიც, როგორც ქართლელები, სცდილობდნენ შიგა და შიგ სპარსთა დამკვიდრებას, რომ ამით თავიანთი თავი მაინც გადაერჩინათ. სააკაძეს ყველამ აწება თავი, ერთობ აღარსად იყო.

მაგრამ ეს ყველა იყო ცოტა იმ უცნაურს და მოულოდნელს ამბავთან. რომელიც უცებ გავარდა ქვეყნად.

გაზდილი მოურავისა, იმისი მოწყალებით გამხდარი არაგვის ერისთავად, იმისავე მოწყალებით შექმნილი მეფის სიძეთ, იმასთან ერთად გამომსხნელი საქართველოსი ტყვეობისა და მთლად მოწყვეტისაგან—ზურაბ არაგვის ერისთავი გახდა გამცემი ქვეყნისა, მისცა მხარი სპარსთა, უღალატა ქართველობას!!!.

როგორც წინად იყო ლაპარაკი, მოურავის ბრძანებით იყო დატუსაღებული არშის ციხეში ანდუყაფარ ამილახვარი თავისის ცოლით. ცოლი ამის, როგორც ვსთქვით, იყო შვილი ყორჩიბაშისა, რომელიც იყო თავი მხედართ მთავარი სპარსთა ჯარებისა, და შვილის შვილი შაჰ-აბაზისა, ცოლის დაჲ სვიმონ მეფისა. არშის ციხე დევს ხევის კარისაკენ, რომელსაც ეძახიან ეგრეთვე დარიელს, მყინვარის მთის ძირას, თერგისა და არაგვის სათავეებს იქით. ყორჩიბაშს უნდოდა თავის ასულისა და სიძის ტყვეობიდამ დახსნა. ამისი ბრძანება, ისკანდერ მუნჯის სიტყვით, მოუვიდა ყორჩიბაშს შაჰ-აბაზიდამაც. თუ ან არაგვის ერისთავი ან ქსნის ერისთავი არ მისცემდნენ სპარსთ გზას ამ ადგილებში შესასვლელად, თუნდა მთელი ქვეყნის ჯარი წასულიყო, ვერ გაატანდა. ხოსრო-მირზას შემწეობით, ყორჩიბაშმა დაიყოლია ზურაბ, რომ შეეშო სპარსნი მთაში ანდუყაფარისა და იმისი ცოლის არშის ციხიდამ გამოსაყვანად. რაღა-თქმა უნდა. ამაში დაჰპირდებოდა ზურაბს მრავალს ყეენის წყალობას.

უკეთესი სპარსთა სარდალი და მეგობარი ზურაბისა, ხოსრო-მირზა, რომელიც დაახლოვა ზურაბს სააკაძემ სპარსეთში, გაუძღვა თორმეტი ათასს კაცს სპარსთა ჯარს და წავიდა არშას. ამ ჯარში

იყო ხანი ყაზხისა ჩერქეზიშვილი, იყო შაჰბადა-ხანი, ბეგლარ-ბეგი თავრიზისა და ადერბიჯანისა, ამირგურიხან და სხვანი.

ყველა ქვეყნის ერთგულს ამ მოულოდნელმა ამბავმა გაჰკვეთა გულს ლახვარივით.

სააკაძეს გველივით დაუარა გულში ამ ღალატმა. იმას ჰღალატობდა ზურაბ!

მაგრამ არც ამან გაუტეხა გული მოურავს. „რა გაჭირდის უკეთ შევძლი!“ ეს იყო იმისი დევიზი. სწორედ, რომ უკეთესათ იწყო საქმე და ისარგებლა სპარსთა მთებში შესვლით.

ზურაბმა მისცა პირი, რომ არაგვზედ შეუშვებს სპარსთა, და არას ავნებს, ჩამოვლაზედ არა ჰქონია მიცემული პირობა. რაკი, ზურაბ იყო მიბირული სპარსთაგან, სააკძემ მოიხმო გიორგი და დათუნა ზურაბის ძმები, და უთხრა. რომ შევლა კი არ დაუშალათ არაგვზედ და ჩამოვლის ნება კი აღარ მიეცათ. რადგან ზურაბს ამისი პირობა არა ჰქონდა მიცემული, გიორგი და დათუნა დაიყოლია ნებას რა კი არ გამოუშვებდნენ არაგვზედ, უნდა ჩამოევლოთ ქსანზედ. სააკაძემ მოიმხრო თვისი ქვისლი იასე ქსნის ერისთავი. შეეკრა ამას, ქაიხოსრო მუხრანის ბატონს, დათუნა და გიორგი არაგვის ერისთვის შვილებს, რომ ქსანზედ დასხმოდნენ სპარსთა. როდესაც სპარსნი დაბრუნდებოდნენ არშიდამ.

სპარსთა მშვიდობით და სრულიად უომრათ შევლეს არაგვი, ავიდნენ არშას, გამოიყვანეს ანდუყაფარ და იმისი ცოლი ციხიდამ და დააპირეს ისევ არაგვზედ დაბრუნება. მაგრამ ზურაბის ძმებმა, დათუნამ და გიორგიმ უცებ გამოუცხადეს, რომ არაგვზედ აღარ გაუშვებენ, რადგან ამოდენა ჯარის შევლით ამათი ხალხი შესწუხდა და არცა აქვს ამისი პირობა მოცემული ამათს ძმას ზურაბს. მეტი ჩარა არ იყო, სპარსნი უნდა წამოსულიყვნენ ქსანზედ, რომელზედაც იდო ნაწილი ანდუყაფრის მამულისა და საყმოსი. როგორც გზების მცოდნე, სპარსელებს გამოუძღვა თვითონ ანდუყაფარ ამილახვარი.

გამოსცდა თუ არა საარაგვოს და ჩამოუშვა ქსანზედ, ქარჩოხისა და ისროლის ვიწროებში, უცებ მოუმწყვდა სპარსთა ჯარები ორთა ჯართა შუა: წინიდამ დაუხვდნენ სააკაძე, იასე ქსნის ერის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი და ქაიხოსრო მუხრანის ბატონი თავისის ჯარებით, უკანიდამ დაესხნენ გიორგი და დათუნა არაგვის ერისთვის შვილები.

შეიქნა საშინელი ხოცვა და სისხლის ღვრა სპარსელებისა. ვეღარც წინ და ვეღარც უკან იმათ წასვლა აღარ შეეძლოთ. ქართველები ჰხოცავდნენ შეუწყალოდ. ფრიალოებზედ ჩახოცი სპარსელობა სცვივოდა ქსანში და მიჰქონდა ათასობით ამათი გვამები ქსნის მრისხანე ზვირთებს.

„ქსანი შეიქნა სრულიად ორს კვირას სისხლის ფერადო,
ხევები მძოვრით აივსო, კაცი ვერ მორჩა ვერადო!...“

მოგვითხრობს იოსებ თბილელი.

„წასვლის ღონე აღარ ჰქონდათ, მათ მოეღოთ სულ ხელფეხი,
განურისხდათ შემომქმედი, მოევლინათ ზეცით მეხი,
ხმას ვეღარას იღებდიან, არც ისმოდა მათგან ჩქეხი,
ქარქაშიდგან მათს ისრებსა ართმევდიან, ჰქონდათ ჩეხი.

„წინ შეუკრეს ისრე გზები, არსით კარი გაეღება,
იგინი დგას უჩუმარად, ამათ ხმა არ შეეღება,
სისხლთა მათთა მონადენთა სამ დღეს ქსანი შეეღება,
ცხენი მათი საჭურველით იმათს სისხლსა შეეღება“.

ამბობს მეფე არჩილ.

შაჰ-ბადახანის თურქმენები იბრძოდნენ ახირებულად, მაგრამ, როგორც მოგვითხრობს ისკანდერ მუნში, გასწყვნენ სულ ერთიანათ. პირველი გაიქცნენ ყაზახელები. მაგრამ წასვლის და გასწრების გზა არ იყო.

ამ ომში მოჰკლეს სახელოვანნი მარაბდის გმირნი, შაჰ-ბადახანი, თავრიზის ბეგლარ-ბეგი, და ამირგურიხან, ერევნის ბეგლარბეგი. სააკაძემ იყარა ამათზედ მარაბდის ომის ჯავრი. ყაზახის ხანი, რომელიც მაშინ იყო შირვანის ბეგლარ-ბეგი და აქ იყო შირვანის ჯარებით, განჯისა, ყარაბაღის და შამშადილის სულთნები შეიპყრა სააკაძემ ტყვეთ. მთელი სპარსთა ჯარი გასწყვა მრისხანე სააკაძის მახვილის ქვეშ. გადარჩა მხოლოდ ხოსრო მირზა მცირე ამალით და ანდუყაფარ ამილახვარი თავისის ცოლით. ესენი გადაარჩინა ანდუყაფარმა, რომელმაც იცოდა გზა და აქედამ პირ-და-პირ პარვით

გადვიდნენ გულ სამილახვროში, ლეხურას ხეობაზედ, სადაც გაივიდ-ხენ სამშვიდობოს. აქედამ მივიდნენ ესენი ყორჩიბაშთა [illegible] ჯარსა და მხედართ მთავართ დაკარგულები [1]).

რათგან ყაზახის ხანს, რომელიც იყო ქართველი, გვარად ჩერქეზიშვილი, ძველად ჰქონდა მეგობრობა სააკაძესთან და სხვა ქართველთა მხედართ მთავრებთან, ამის გამო სააკაძემ ის გაუშვა ტყვეობიდამ.

თორმეტი ათასი უკეთესი მეომარი მოაკლდათ სპარსთა.

ისკანდერ მუნშის თქმით, ამ დამარცხებამ, რომელსაც ეს სთვლის ნაყოფად შაჰაბაზის შეცდომისა, წაახდინა ყველა ჭირნახული, რომელიც მოიპოვეს სპარსთა მარაბდის ომით.

მაგრამ სპარსნი მაინც მკვიდრობდნენ და თავისას არ იშლიდნენ. ისინი სცდილობდნენ ახლა ქართველებისავე ხელით მოეღოთ ქართველთათვის ბოლო. ზურაბ, არაგვის ერისთავი მოიმხრეს, ანდუყაფარ ამილახვარი თავგასმეტებით იდგა ამათს მხარეს, სოსია, ანუ ქაიხოსრო ბარათაშვილიც მოიმხრეს, რადგან ამასაც მოყვრობა ჰქონდა როსტომ სააკაძესთან და სხვა სპარსთა სარდლებთან. ყაფლან ბარათაშვილი, რომლისაც შთამამავლობას ეწოდა ორბელიანი, [2]) იყო მომხრე სპარსთა; ლორის მელიქები და ბევრნი სხვანი ერთგულობდნენ ყეენს, სვიმონ მეფეს.

რომ საბარათიანო, რომელსაც შეადგენდა მაშინ ეხლანდელი საბარათიანოც და საორბელიანოც, თავისუფალი არ დარჩეს და უკა-

---

[1]) ქართველთა მწერალთ არ იციან აქ ყოფნა და დახოცვა შაჰ-ბად-ხანისა და ამირგუირ ხანისა. ამას მოგვითხრობენ ისკანდერ მუნჯი და არაქელ, თანამედროვენი ამ ამბებისა.

[2]) მაშინ ორბელიანებს ბარათაანთ ეძახდნენ. შემდგომ ამ ყაფლანის შვილებმა იწოდეს ორბელიანობა, რომელთაც ეძახდნენ ყაფლანი შვილებსაც. ბარათას შთამამავალნი იწოდებოდნენ ისევ ბარათას შვილებათ. ყაფლანიშვილებმა იწოდეს ეს სახელი ციხიდამ ორბეთი, რომელიც იმათ ბარათაანთთან გაყოფის დროს ერგოთ. როგორც ვახუშტი ხსნის, დღევანდელი ორბელიანები არ არიან ძველი დიდი ორბელიანების შთამამავალნი, ესენი არიან ბარათაანი და მათი განაყოფნი. მთელს ამათსა და ბარათაანთ ქვეყნებს ერქო საბარათიანო.

ნიდამ არ მოგვაქცენო, ყორჩიბაშმა შეუსია ჯარები ამ [illegible] დასაჭერათ. აქ გაგზავნა თბილისსა და მისს გარშემო მდ[illegible] მაგრამ აქაც გაუჩნდა სააკაძე. სააკაძეს ბარათაანი მოეგებნენ, როგორც ნამდვილს მეფეს, როგორც ქვეყნის მხსნელს, რასაკვირველია, გარდა ყაფლან და ხოსია ბარათაშვილებისა, რომელნიც იყვნენ სპარსთა მომხრენი. თუმცა სააკაძის მისვლამდის დაეჭირათ სპარსთა საბარათიანოს ციხეები, მაგრამ ისრე შეავიწროვა ისინი სააკაძემ, რომ ამ ციხეებიდამ ვეღარ ჰბედავდნენ გამოსვლას, ვეღარა კადრულობდნენ ქვეყნის შეწუხებას. ხოსია ბარათაშვილს თვითონვე შეეყვანა სპარსნი ბირთვისის ციხეში, რომელიც იყო ერთი უმაგრეს ციხეთაგანი საბარათიანოში.

სააკაძე გადუხტა სპარსთა საბარათიანოში. ყორჩიბაშმა იწყო მოძრაობა გორისა და ზემო ქართლისაკენ. ანდუყაფარმა დაიჭირა საამილახვრო, გორი, მთლად გული ქართლისა. სააკაძე გადმოუჭრა ახლა აქ ყორჩიბაშს საბარათიანოდამ. მაგრამ ჰნახა, რომ საქმე ცუდათ იყო. სამუხრანო, საბარათიანო, გული ქართლი, ქართლის გაღმა მხარი, თბილისი და მისი მიდამო, უკეთესი ციხეები: ბირთვისი, სამშვილდე ანუ ორბეთი, დუმანისი, გორი, საბაჟო, სხვილო და სხვა ეჭირათ სპარსთა, თითქმის ნახევარი ქართლის თავადობა მიიბირეს სპარსთა სარდლებმა. კახელები არ იძროდნენ მოსაშველებლათ. იმერეთს გადავარდნილი თეიმურაზ არა ჰზრუნავდა არასოვერს ამის დასახმარებლათ და თავისი სამეფოების გადასარჩენათ. თუმცა თვით სპარსნი, არაქელისა და ისკანდერ მუნჯის სიტყვით, იყვნენ სააკაძისაგან უკვე ძლეულნი, მაგრამ იმათ მოიცეს ახლა ძალა თვით ქართველთ დიდებულთაგან. რაკი ჰხედავდნენ შინვე ღალატს, დაუსრულებელს ბრძოლას, უპირულობას, ყველას გატეხდა გული, ყველამ დაჰკარგა სასოება, ყველას წაერთვა გადნიერება, ყველას წაერთვა იმედი. ბევრნი ჰღალატობდნენ ქვეყანას, რომ ამითი გადაერჩინათ თავი და საუმრო ბოლოს მოდებისაგან. ყველგან იდგა გლოვის ზარი: სახლი აღარ იყო, რომ უკეთესი ვაჟკაცი, მრჩენელი ოჯახისა არა ყოფილიყო მოკლებული ოჯახს ან სიკვდილით მტერთან ბრძოლაში, ან ჭრილობით, ან ბრძოლაში დასახიჩრებით. გატეხდა გული, გასწირა

ქვეყანამ თავი სასიკვდილოთ: ძალა ბრძოლისა აღარა ჰქონდა.

სააკაძემ აწონა ყველა ეს და შეჰცვალა ტაკტიკა: იმან ჰნახა, რომ მარტო თავისის ბრძოლით ვერას გახდებოდა: მეტმა წილმა ქართველობამ დაუდო თავი მეფე სვიმონს, ემონა სპარსთა ძლიერებას და არა ჰხედავდნენ, რა მოსდევდა ამას. იმან მიჰმართა სხვას და უეცარს, სრულიად მოულოდნელს და, როგორც ბოლოს გამოსჩნდა, უებარს წამალს.

იმან გაამაგრა კეხვის ციხე, თიკანბერა არუ როგორც ზოგნი ეძახიან კიკნაბერა, (ატენის ხეობისაკენ), ალი, სურამი და სხვა ზემო ქართლის სიმაგრენი. ჩააყენა შიგ თავისი სანდო კაცები, გამოცდილი მეციხოვნე, ჯარებით, მისცა ბრძანება, რომ—თარეშობით და თავს დასხმით არ მიეცათ მოსვენება სპარსთათვის, არ გაეშვათ ლიახვგაღმა ქვეყნების დასაჭერათ, და თვითონ უცებ დაჰშთენი მცირეოდენი ჯარით გასწია საოსმალოსაკენ—სამესხო საათაბაგოს.

ამ დროს, როგორც ვიცით, სპარსთა ჰქონდათ მიმძლავრებული მთლათ სამესხო საათაბაგო და ეყენათ იქ ჯარები.

სააკაძეს იახლნენ თან ის უკეთესი ქვეყნის ერთგულნი, რომელნიც სააკაძესთან ბოლომდის იბრძოდნენ ქვეყნის სახსნელად და რომელნიც უკანასკნელი წვეთი სისხლამდის არ აპირებდნენ ხელიდამ იარაღის გაშვებას. იმას გაჰყვნენ ბევრნი ბარათაანთაგანი, გერმანოზ ციციშვილი, როსტია გედევანიშვილი, გიორგი ქავთარაძე და სხვა მრავალი საუკეთესო ვაჟკაცნი ხალხით, რომელთაგანაც შესდგებოდა ჯარი სააკაძისა. იყვნენ ესენი მცირენი, მაგრამ იყვნენ უკეთესი ვაჟკაცნი. სააკაძემ განიზრახა აშლა მესხებისა, ჩათრევა ოსმალებისა ბრძოლაში.

ყორჩიბაში მიუხვდა სააკაძეს განზრახვას. ის მიუხვდა, რასაც უპირებდა ამითი სპარსელებს სააკაძე. იმან უყენა სააკაძეს დიდი ჯარი წინ ბორჯომთან, რომ ისიცა და იმისი ჯარიც გაეწყვიტათ და არ შეეშვათ სამესხოში. ყიზილბაშთ გასწიეს საჩქაროთ სააკაძის გზის შესაკრავად და წინ დასახვედრათ. მაგრამ მანამ სპარსნი დაუსხმოდნენ სააკაძეს, სააკაძე თავისი მცირე ქართველობით საშინელი სისწრაფით თვითონვე დაესხა იმათ თავს და ისეთი მრისხანეთ მიეტია, რომ

მინამ იმათი მხედართ მთავრები გონს მოვიდოდნენ, ზარდაცემული სპარსთა ჯარები კიდეც მოედვნენ ბორჯომის ხეობის ტყე-ღრეს და გარბოდნენ ისე ზარდაცემულნი, რომ აღარ იცოდნენ, სად მიდიოდნენ და სად არა. სააკაძემ არ დაანება იმათ თავი, მინამ, ვინც შეჰხვდათ იმის ჯარს, არ ამოსწყვიტეს და მინამ აღარსად არა სჩანდა იმის ჯარის თვალის წინ აღარც ერთი ყიზილბაში.

აქედამ სააკაძე ეცა პირდაპირ აწყვერის ციხეს, სადაც იდგა ყიზილბაშების ჯარი. შემდეგ მცირეს ხნის ცხარე ბრძოლისა, დააგდებინა ყიზილბაშთ ეს ციხე, ჩააყენა ამათ მაგიერად ოსმალეთის მეციხოვნენი, და აქედამ ეცა ახალციხეს. აქ მოუშველნენ სააკაძეს მრავალი ვაჟკაცი მესხნიცა. სააკაძემ სწრაფად აიღო ახალციხეცა, და აქედამ გასწია ხერთვისზედ და ასპინძაზედ. ამ ხანებში სააკაძის აგენტები დადიოდნენ და აღელვებდნენ მესხებს, ეძახდნენ აშლას სპარსთა განსადევნად. სააკაძის ხსენებაზედ შეიძრა მთელი სამესხო. უკეთესი ვაჟკაცნი მესხთა უძღოდნენ წინ ჯართა და ესხმოდნენ სპარსელებს. გაიმართა საერთო ბრძოლა მესხთა და სპარსთა შუა. ყორჩიბაშს მეტი გზა არა ჰქონდა, უნდა მოეშველებინა ქართლიდამ ჯარები სამესხოში სპარსთა ჯარების გამოსახსნელად და ციხეების დასაცველად. საჭირო იყო გაგზავნა ბლომა ჯარისა. სააკაძესაც ეს უნდოდა. ისეც შეწუხებული და შემცირებული სააკაძისაგან ჯარი სპარსთა, ქართლში მდგომი, ახლა უფრო შემცირდა. ძალა სპარსთა შაჰის ბრძანების შესასრულებლად, თანდათან უძლურდებოდა.

ყორჩიბაშის ახლად გაგზავნილი ჯარი შევიდა სამესხოში იმ დროს, როდესაც სააკაძე მიდიოდა ასპინძაზედ, ის წაადგა ერთს გაცხარებულს ბრძოლას. მთელი ჯავახისა და ასპინძის არე მოდებული იყო დიდ-ძალი ყიზილბაშთა ჯარით. ამათ ებრძოდნენ მესხნი, დიასამიძენი, რომელთაც მოთავე იყო სახელოვანი ელია დიასამიძე, სააკაძის ერთგული, [1]) მცირეოდენი მესხთა ჯარებით. სპარსნი აწყვებოდნენ ამ მცირე ჯარს გამძაგებულნი. დიასამიძენი თავის ჯა-

---

[1]) საოცარი კაცი იყო ეს ელია დიასამიძე თავისის შეთქმულობაებით. ჯერ სააკაძის გაცნობამდის ეს თავის შეთქმულობაებით გათქმული იყო მესხეთში. ის ხნით ბევრით უფროსი იყო სააკაძეზედ.

რებით იბრძოდნენ და თან იხევდნენ უკან უკან, რომ რამე სიმაგრეში ან შეესწროთ, ან სიმაგრეთა შემწეობით დაეხწიათ [illegible] სელებისაგან. ეს ჯარი ყიზილბაშთა იყვნენ ურჩიობისათვის გამოსულნი. ისინი მოდიოდნენ პირდაპირ სააკაძეზედ. სააკაძე თვითონ შეეფეთა ამათ გზაზედ. ამან მთის მაღლობიდან მოჰკრა თუ არა თვალი ამ ბრძოლას, გაარჩია ყიზილბაშნი და მესხნი, დაეშვა მთის წვერობიდამ თავის მცირე ჯარით და ჩაესია მოულოდნელად სპარსთა. გულ-მოცემულნი მესხნი გამხნევდნენ ერთი ორად. პირველსავე შეტევაზედ და სააკაძის უცებ შეფეთებაზედ, სპარსნი აირივნენ მაშინვე და უჩვენეს სააკაძის წაქეზებულს ჯარებს ზურგი. მესხნი და ქართველნი მისდევდნენ სპარსთ უწყალო ხოცვით.

გადარჩენილთ სპარსელთა შეასწრეს ასპინძის ციხეში. მაგრამ ვერც აქ უმაგრეს ბევრს ხანს მოურავსა. სააკაძეს და დიასამიძეებს მოეშველნენ სხვა მესხნიცა: შალიკაშვილები, გოგორიშვილები, ფარად ფაშა ახალციხისა, რომელიც იყო სიძე სააკაძისა, და სხვანი. სააკაძემ აიღო ასპინძაც. ამ ციხის წართმევამ დასცა საშინელი შიშის ზარი სპარსთა, იქამდის, რომ ერთი სააკაძის ჯარების დანახვით, უომრათ, ხელ გაუნძრევლად გარბოდნენ ციხე-ქალაქებიდამ. სააკაძემ წაართვა ამათ ხერთვისი, ფართოვანი და სხვა. გასწმინდა მთელი სამესხო საათაბაგო და გაჰგზავნა ხვანთქართან მაშინდელს დროს გამოჩენილი მწიგნობარი და სიტყვა პასუხის მთქმელი, დახელოვნებული დიპლომატურს საქმეებში, გიორგი ქავთარაძე. სააკაძე მოახსენებდა ხვანთქარს სპარსთა განდევნას სამესხოსა და მის გარშემო ქვეყნებიდამ და სთხოვდა ჯარებს ამ ქვეყნების დასაცველად და ამასთან საქართველოდამ სპარსელების განსადევნად.

ეს იყო ახალი სიგნალი ომისა სპარსთა და ოსმალთა შუა. სამესხო მთლად აიშალა, ოსმალთა ჯარები იკრიბებოდნენ სამზღვრებზედ.

სააკაძემ, რაკი განდევნა სამესხოდამ სპარსნი, ჩააყენა ოსმალების მეციხოვნენი ციხეებში, უთავა მესხთა ჯარებს ისევ მესხებივე, თვითონ, მინამ ოსმალოს ჯარები იკრიბებოდნენ სამზღვრებზედ,

ჩავიდ იმერეთში, გურიაში, ოდიშში და იწყო მომხრეთა მთლათ იმერთა ქართლ-კახეთის მისაშველებლათ. რაკი სააკაძემ ამისთანა დიდი სამსახური გაუწია, ოსმალნი აღარ დაუშლიდნენ იმერთა ხალხებს ქართლის მიშველებას, მით უფრო, რომ ახლა თვითონაც უხდებოდათ ჴმლა სპარსელებზედ. ამასთან, ქავთარაძეს ჰქონდა დაბარებული სააკაძისაგან, აეხსნა ხვანთქრისათვის, რომ ყველა ეს მოძრაობა ხდებოდა ქართველი ხალხებისაგან ოსმალთა სასარგებლოთ, ხვანთქრის ხმლის გასაძლიერებლათ.

ჭკვიანი ურჩიბაში ჰხედავდა ყველა ამას. იმან იცოდა, რომ ერთი სააკაძის მცირეოდენი ძლიერი ჯარით გაჩენა ქართლში და მეტი წილი ქართველთა გადადგომა ერთი იქნებოდა. ის ჰხედავდა, რომ საქმე სახუმარო არ იყო. იმისი ჯარი მეტი წილი მოწყდა სააკაძესთან ბრძოლაში; უკეთესი სარდალნი გახდნენ მსხვერპლნი სააკაძის ხმალისა; მრავალი ჯარის კაცნი ეყარნენ სხვა-და-სხვა ალაგას დაჭრილნი და დასნეულებულნი. რაცა ჯარი გადარჩა, ისინიც იყვნენ აქა-იქა გაფანტულნი ქართლ-კახეთის სხვა-და-სხვა კუნჭულებში. ოსმალთა ჯარები გროვდებოდნენ დიარბაქირსა და ბაღდადისაკენ. ოსმალებს ეხლა ყველა უწყობდა ხელსა: მთელი საქართველო ემლებოდა სპარსთა. ადვილი იყო ახლა დაჭერა ბაღდადისა, რომელიც აბაზმა წაართვა ოსმალთ სააკაძის ძალით და მოხერხებით, ახლა თვით სააკაძე იყო ოსმალების მომხრე, პირველი ის ებრძოდა სპარსთა, შლიდა მთელს საქართველოს, ამოუწყვიტა თითქმის მეტი წილი ჯარებისა სპარსთა. ურჩიბაშა ჰხედავდა თავს საფრთხეში. ამავე დროს იცოდა, რომ სპარსეთში აღარ იყო იმდენი ძალა, რომ შესძლებოდა გაძღოლა ოსმალთა, ვინიცობა მათი ჯარი ქურთისტანიდამ მიადგებოდა სპარსეთს. ამის გამო, ურჩიბაშმა გაამაგრა თბილისის ციხე და ჩააყენა შიგ კარგა ბლომა მეციხოვნენი, გაუშვა მეფეთ ქართლის სპარსთა ერთგული სვიმონ მეფე, გაამაგრა კიდევ რამდენიმე კარგა მაგარი ციხეები სვიმონ მეფის ერთგული თავადების მამულებში; ჩააბარა სვიმონ მეფე იმის ერთგულს და სპარსთათვის თავდადებულს თავადებს, და იწყო მზადება საქართველოდამ წასასვლელად დანაშთენი ჯარები.

შველა ეს აცნობეს სააკაძეს, რომელსაც ყოველი გული და თავი ჰქონდა აქეთკენ და ყოველ დღე მოსდიოდა ქართლიდამ დაწვრილებით ცნობანი.

სააკაძემ აღარ მოუცადა იმერთა ჯართა შეკრებას. ის თავისი მცირეოდენი ჯარით უცებ, შავარდენივით ჩამოიჭრა ქართლში და დაეცა სპარსთა ჯარებს. იმან მაშინვე აიღო გორი, რომელსაც დაესხა მოულოდნელათ. და ეცა თბილისის გზებს.

ყორჩიბაში, რომელიც ელოდა შაჰის ბრძანებას საქართველოდამ გასვლისას, აღარ მოუცადა ამ ბრძანებას, უცებ აიყარა და საშინელი სისწრაფით გავარდა ქართლიდამ, ის გარბოდა, როგორც ნამდვილად დამარცხებული, როგორც დიდი ბრძოლის დამკარგველი. იმისი ჯარი ჰგავდა უფრო მტრისაგან გაფანტულს და გაცრცვილს, ვიდრე მწყობრს ჯარს. ისკანდერ მუნჯი, ანუ როგორც ზოგნი უძახიან, მუნში მოგვითხრობს, რომ როგორც ზემოთ ითქვა, სპარსთა საქმე მაშინვე იყო წაგებული, როდესაც სააკაძემ მოსწყვიტა ქსანზედ სპარსთა მხედრობა და უკეთესი სპარსთა მხედართ მთავარნი...

სააკაძეს მოუვიდა ხვანთქრისგან დიდ-ძალი საჩუქარი და აღთქმა შველისა.

თეიმურაზ ჰხედავდა ამას და იმის გულში იღვიძებდა შური სააკაძეზედ.

«მე მეფე, იმას სახელი!» გაიძახოდა ისა. — ის ელაპარაკება ხონთქარს, მეფეთა, მთავართა, მაშ მე რაღა მრქმევია!

სააკაძის გონებამ გასჭრა. იმისმა შორს მხედველმა ტაკტიკამ გაიტანა თავისი, იმან ხელმეორეთ შემუსრა ძალა სპარსთა, თითქმის სამუდამოთ მოუღო ღონე, რომ კიდევ გაებედნათ იმათ განზრახვა საქართველოს მოსპობისა. იმან ხელახლად და საუკუნოთ იხსნა საქართველო მოსპობისაგან.

—

გავარდა ყორჩიბაში ჯარებით, მაგრამ ქართლი ისევ ეჭირათ სპარსთა. აღარავინ იცოდა, ვინ ითვლებოდა ქართლის მეფედ: სვიმონ, სპარსთაგან დაყენებული, თუ თეიმურაზ, დაყენებული ქართველთაგან, ანუ უკეთ ვთქვათ სააკაძისაგან.

სვიმონს, როგორც ქართლის მეფის შვილს, ქართლის მეფეთა შტოს, ჰყავდა ქართლში მომხრეები. მეტადრე მომხრეობდნენ [illegible]ს მელიქნი და მრავალი ბარათაშვილები. თავის მხრივ სვიმონი სცდილობდა როგორც გვიჩვენებენ ზოგიერთი მაშინდელი მიცემული დოკუმენტები, ეჩვენებინა თავი ქართველთა ერთგულად და სპარსთა წინააღმდეგათ. თუმცა თავის ძალას სპარსთა ჯარებზედ ამყარებდა ..

დაბრუნდა სააკაძე ქართლში და დაუხვდა საშინელი სანახავები, რომელნიც ჩამოვარდნენ ქართლში ამისი ქართლიდან გასვლის უკან.

ამ ნახევარ წლის განმავლობაში სრულიად წაიყარეს ლაგამი უფრო მძლავრთა დიდებულთა. რაც ყორჩიბაშმა დააკლო საქართველოს, ეს შეუსრულეს ამათ ამ წამებულს ქვეყანას. ანდუყაფარ ამილახვარი, ქვისლი სვიმონ მეფისა, ჰბატონობდა თითქმის მთელს ქართლზედა. ამისა და ბევრი სხვა თავადების შემწეობით სვიმონ მეფობდა ქართლში და აღარ აღიარებდნენ მეფედ თეიმურაზსა. ამ ანდუყაფარმა და ქსნის ერისთავმა უკეთ დალატით ამოსწყვიტეს ძველადვე პატიოსნებით გათქმული და ამ ხანებში გაძლიერებული გვარი დაზნელებისა, რომელზედ დღესაც ბევრი ქებისა და დიდების სიმღერები და თქმულობანი არიან ხალხში დაშთენილნი. ანდუყაფარმა იყარა ჯავრი დაზნელების, რადგან შეთქმულობის დროს ისინი ბევრს დაეხმარნენ სააკაძეს ანდუყაფარის დაპატიმრებაში მამული და ქონება ამ დაზნელებისა გაიყვეს შუა ერისთავმა და ანდუყაფარმა. ამასთან, ანდუყაფარმა ამ ხანებში მიაყენა მთელს ქართლს საშინელი შეწუხება: ის, გარდა ამისა, რომ ბატონობდა და ჰყვლეფდა ხალხსა, ატანდა ძალას, რომ მთელი ხალხი გაჰმაჰმადიანებულიყო. ის ჩაიჭრა ცხეთას, შეიპყრა ცხეთის სვეტის ცხოვლის დეკანოზი და აწამებდა, რომ მიელო მუსლიმანობა და ექცია სვეტის ცხოველი მეჩითათ. მოძაგებული ქვეყნისაგან, ის იდგა საამილახვროს ჭალის თავში, მაღალი მთის ძირას, სხვილოს ციხეში თავისა და სპარსთა ჯარებით და აქედამ თავს ზარსა სცემდა ყოველს გარემოს. აქ გაჰყავდა საზაფხულოდ თავისი ქვისლი, მეფე სვიმონ, თბილისიდამ. ამავე ხანებში მოსწყვიტა იასე ქსნის ერისთავმა თავისი ძმა, შანშე ცოლშვილით. [1]) ზურაბ არაგვის ერისთავმა ისარგებლა სა-

[1]) ცოლი შანშე ერისთავისა იყო როსტომ მეფის დისწული.

აკაძის ქართლიდამ გასვლით, ქართლის არეულობით და შეუსია ფშავს და ხევსურეთს. როგორც წინეთ დაიპყრა ხევი და მთიულეთი, დაიპყრა ახლა ერწო, თიანეთი და უნდოდა დაეპყრა ფშავ-ხევსურეთიც. სპარსთა არ შეუწუხებიათ ისრე ეს თავისუფლების მოყვარე ხალხი, როგორც შეაწუხა ისინი ზურაბ არაგვის ერისთავმა. მხნე და შეუპოვარი ფშავ-ხევსური თავ-განწირული ებრძოდა ამ მძლავრს მთავარსა. მაგრამ ზურაბ ამათ დასაპყრობად არა ჰზოგავდა არავითარს მტარვალობას. არ ინდობდა ამათსას არც დიდს, არც მცირეს, არც ყრმას, არც ბერსა, არც დედაკაცს, არც მამაკაცს, ყველას თანაბრად ადენდა მუსრს. მაგრამ არც ეს გმირი ხალხი დახვადა ლაჩრათა. მრავალი და უკეთესი ამისი საუმთ და აზნაურობა იჟლიტებოდა ამ ვაჟკაც ხალხებთან ბრძოლაში. სადამდის იყო მხეცური ბრძოლა და მძლავრობა ზურაბისა ამათზედ, გვიმტკიცებს ისა, რომ ჯერაც გავრცელებულია ფშავ-ხევსურეთში სიმღერები ზურაბის ქცევასა და დაუზოგავს მტარვალობაზედ.

აი ფშაველების სიმღერები იმაზედ:

ზურაბმა აითრო ქვეყანა,
ბევრს ვაჟს უტირა დედათ...
ბევრს ქალს გაუხსნა საკინძი
უწკიმა ძუძუზედაც.

—

ზურაბს ჯავრი ჰკლავს ორისა,
ზენ მთისა, ქვემოდ—ბარისა...
ხევსურეთს ჭორმეშიასა,
ფშავში ლაშარის ჯვარისა...

—

ბებერსა ლაშარის ჯვარსა
ხმელ გორზედ ედგა ბერმუხა,
წვერსება შიბი ოქროსი,
ზეცას წავიდეს კიბითა.
სულძაღლმა ერისთვისშვილმა

ამოაბრუნა ძირითა...
მინამდის იმის ძე არის,
ის ამოაგებს ჭირითა...

—

„ზურაბ არ უყვენ ლაშქარნი,
ნაკრეფნი შვილის თვისანი?
ჩაუშვენ მათურაშია,
თვალნი გაგიწყრეს ხვთისანი:
დაგიხვდეს ფშაველის შვილები,
არწივნი მაღლის მთისანი,
შემოგეწყივნეს მთაზედა,
გაწითლებინეს ქვიშანი!..

—

„უღუმო თუღუმიშვილო,
ვეფხვი ხარ ველის კანჯარი!..
შენ მოჰკალ ერისთვის შვილი,
ზურაბს შენ დაეც ხანჯარი!..
გაჰგზავნეთ მახარობელი
ფშავ-ხევსურეთში ჩაფარი:
ფშავ-ხევსურეთის ქალ-რძალმა
ძილ დაიძინოს მაგარი.
ზურაბის სიკვდილს ამბობენ,—
აღარ მოგვივა ლაშქარი!
მიგრი მოჰხვიეთ ბატონსა
ზურაბის წამოსასხამი,
შეარტყით ჩოლაყაშვილსა
ზურაბის ქამარ-ხანჯალი.
ზურაბმ ჭირთ გაცოფებულმა
ხმალსა დაჰგლიჯნა ვადანი:
ვაი თქვენს ზურაბს ფშავლებო,
ძაფ დაუხვევავ მაგარი!.. [1])

[1]) ეს ლექსები მე მაქვს მოყვანილი მშვენიერად შემდგარი ფშაური ლექსებიდამ, რომელიც ასრე ნიჭიერად შეუკრებია დავით ხიზანაშვილს.

აი ხევსურების ლექსები ზურაბზედ.

ზურაბ ერისთავ ჯარსა ჰყრის,
არ სწყდება წვიმის ცვარით,
ცხენის საძოვრად არ ეყვნეთ
თრიალეთურნი მთანით,
სასმელად არ ეყოფიან
ბაზალეთურნი ტბანით;
შამოუყენა არაგვსა,
არ ერგებიან გზანით;
ქვევით ღელის თავს გადადის,
ნაკარვევს ცხენოსანით...
და სხვა.... ან კიდევ

ზურაბმ ქვეყანა აიყრო,
ხევსურებს ვერა ხდებისა.
ჩამამივიდნენ ხევსურნი,
ვინც ომში გამადგებისა,
მარტია მისურაული
ნიადაგ ნუ დადგებისა...
თრუსოს ჩავიდენ ხევსურნი,
ზურაბ სადილზედ ჯდებისა...
ხევსურთ მისვლითა ზურაბსა
მზე ცჩრაგნივ ამუჴდებაო,
მარტია მისურაული,
ხევსურებს ეუბნებაო:
„ხმლებს ნუ დაიხსნით ხევსურნო,
ზურაბ არ დაინდობაო!“
არ დაიჯერეს ხევსურთა:
„ზურაბი გაჯავრდებაო.“
დადგნენ დავარდნენ ხევსურნი,
ზურაბ მელვინედ დგებაო,
ოქროს თასს უვსებს ღვინითა,
ხევსურთ ბიჭები თვრებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოღალატენი ხევსურთა
ხმლებით თავს დაადგებათ.
დამთვრალ ხევსურთა ხმლითა სცეს,
სისხლი გუბ-გუბად დგებათ... [1]
და სხვა ამისთანაები....

ეს და ამგვარი ლექსები და თქმულებანი დარჩენილია ზურაბზედ ამ მთის ხალხებში. სიტყვით ზურაბ მოევლინა მთის თავისუფალ ქართველობას რისხვად და მედგრად, და უპირებდა ყველა ამათ დამონავებას და საუმოდ დაჭერას.

ამავე დროს ზურაბმა შეაპყრა და დასთხარა თვალები თავის ძმას გიორგის, სახელოვანს მომხრეს სააკაძისას, რომელსაც სააკაძემ ამოსწყვიტა ქსანზედ სპარსთა ჯარები. ზურაბმა ამით ჯერ აამო სპარსთა, და მერმე გახდა თვითონაც უმეტოქო. თუმცა ზურაბ იყო სიძე თეიმურაზისა, მაგრამ ის ახლა ერთგულებდა მეფე სვიმონს და აღვიარებდა იმას ქართლის მეფედ, რომლითაც სცდილობდა სპარსთა საამოვნებას და გულის მოგებას.

ხოსია ანუ ქაიხოსრო ბარათაშვილი, ერთი მძლავრ ბარათაშვილთაგანი, გადასდგომოდა ქართველებს და ქრისტიანობას, შეეშვა სპარსთა მეციხოვნენი ბირთვისის ციხეში, გაუმაგრებინა იმათთვის ეს გაუტეხარი და მიუდგომელი ციხე, დაუვიწყარი ლანგ თემურთან უმაგვალითო ბრძოლით, თვითონ უწყევდა ერთგულებას სპარსთა და ემსახურებოდა სვიმონ მეფეს.

მელიქები სომხეთისა და ლორესი ათაბეგ ძ ზაქუმ მიზდგომოდნენ სპარსთა და მისდგომოდენ ქართველთა.

ოსნი აღარ აძლევდნენ ქართლს ხარჯსა და გადგომილიყვნენ თავისთავის ცალკე.

კახეთს უწყალოდ იკლებდნენ ლეკნი, ყაზიყუმუხნი, საშამხალონი, ავარნი და წუხეთის სასულთნონი.

სიტყვით ქართლსა და კახეთში იყო ისეთი უწესოება, უთავ-

---

[1] ეს ლექსები არიან შეკრებილნი ახალგაზდა ნიჭიერი პოეტის თედო რაზიკაშვილისაგან, რომლისაც ხელნაწერი არ არის დიდი ხანი, რაც ხელში ჩამივარდა.

ზოლობა, არეულობა და უთავრობა, რომ შორიდამ დასასრულამდე-კი შესაზარი იყო. არავინ, არვინ მზრუნველი საქვეყნო საქმეებისა აღარ იყო.

დაბრუნდა თუ არა ქართლში საააკაძე, ის მაშინვე ეცა გორს. გორში, როგორც ამილახვრიანთ სასახლეში, ეყენა ანდუყაფარს თავისი ჯარები და სპარსთა მეციხოვნენი. აქვე როგორც ითქვა შესწყრა დამარცხებილმა სპარსთა ჯარმა. საააკაძემ დააგდებინა ანდუყაფარსა და სპარსთ ეს ციხე. ანდუყაფარ გაიქცა და შეეხიზნა თბილისში თავის ქვისლს, სვიმონ მეფეს. აქ ანდუყაფარ გადმოვარდა კალის ციხიდამ და მოკვდა, მთლად დამტვრეული კლდეებზედ.

იასე ქსნის ერისთავმა იცოდა, რომ საააკაძესთან ხუმრობა არ ვარგოდა, ამის გამო იმის წინააღმდეგობას ისევ მეგობრობა არჩია, რადგან საააკაძე იყო პირველი და ყველაზედ საშიში კაცი. ის მოუმხრო მოურავს, რომ არ მოჰკითხოდა თავისი ცოდვანი. საააკაძემ ბევრჯელ ისარგებლა, იასეს ვაჟკაცობითა და გამბედაობით. ამისთვის ეხლაც საჭირო იყო ეს კაცი და ამის მსგავსნი სხვანიცა, რომ ყველას მომხრეობით ესარგებლნა და სხვაფრივ მოეწყო ქართლ-კახეთის საქმენი.

გორიდამ საააკაძემ მისწერა ხოსია ანუ ქაიხოსრო ბარათაშვილს მეგობრული წიგნი. მოაგონა ძველი მეგობრობა ერთმანერთში და აუვედრიდა, რათ უღალატე ქართველობასაო. რბილის სიტყვით და მეგობრულად სთხოვდა, რომ მოსდგომოდა ამას საქვეყნო საქმეში და განედევნა სპარსნი ბირთვისის ციხიდამ. საააკაძემ მიიღო ქაიხოსროსაგან პასუხი რომელიც ნათლად გვიჩვენებს მაშინდელს ვიწრო ეგოისტურს საქმის შეხედულობას ქართველთა დიდებულთა. ქაიხოსრო უთვლიდა: ქართველებს რა მოუცია ჩემთვის, რასა მთხოვო. სპარსელები იმოდენა წყალობას მიშვრებიანო, რომ დიახთაც მმართებს მათი ერთგულობაო. ტყუილი იმედი გაქვთ და ნურც ელით ჩემგან შველასაო. მაშინ საააკაძე უცებ გავიდა დაბინდებისას ჟამს გორიდამ ჯარითა და მინამ ინათლებდა დაესხა ტბისს, რომელიც იქვე დევს ბირთვისთან. ვინც არ იცის ან ეს გზები ან მანძილი გორს და ტბისს შუა, ვერ წარმოიდგენს იმ მხნეობასა და გამბედაობას,

რასაც ეს მოძრაობა სააკაძისა გვიჩვენებს. გორიდამ ტბეთამდის იქნების სამოცდა ათი ვერსი მაინცა. ერთი ორმოცი ვერსი მაინც [illegible] თი მთები და ბორცვები არიან, რომ არამც თუ ღამე, დღისითაც სწორს სიარული. სააკაძემ შეიპყრა აქ ხოსია ანუ ქაიხოსრო ბარათაშვილი [1]), გაიმძღვარა ბირთვისის ციხეში, შეიპყრა მთლათ სპარსთა შეცხოვნენი ხუთასი კაცი, გამუსრა მთლად და თვითონ ხოსია დაპატიმრა თიკანბერას.

აქედამ სააკაძე ეცა ქაზუმს და ათაბეგს მელიქებს. მელიქებმა გაასწრეს ლორეს სიმაგრეში. სააკაძემ შემოარტყა იმათ გარშემო ჯარი და შეუკრა ყველგან შესასვლელ გასასვლელი გზა. სააკაძემ მიიტანა ციხეზედ იერიში და აიღო. მარტოთ მარტო მელიქებმა გაასწრეს სააკაძეს ვიწრო ციხის ხვრელით, რომელიც იყო გაჭრილი კლდეში და გარედ გადიოდა. ცოლი, შვილი, სარჩო-საბადებელი მათი დარჩნენ სა-კაძის ხელში.

სააკაძემ მოიყვანა ეს ალაგებიც მორჩილებაში.

აქედამ სააკაძე ეცა დუმანისს და სამშვილდეს, სადაც იდგნენ სპარსნი. აიღო ეს სიმაგრენი. შემუსრნა სპარსთა ჯარები, ვინც-კი ვერ მოასწრო გაცლა.

სვიმონისა და სპარსელების მეტი წილი მომხრე თავადობა და მომხრენი დაიმორჩილა სააკაძემ. სვიმონ მეფე გამოამწყვდია თბილისის ციხეში. სააკაძემ თავისის მცირე ჯარით შეჰბედა თბილისის ციხესაც სვიმონის შესაპყრობლად. მაგრამ ბევრს თბილისში მცხოვრებთ ეჭირა სვიმონის მხარე, ამასთან სვიმონ მთლად სპარსთა დარჩენილი ჯარებით და თავისი მომხრე ქართველებით იყო აქ დიდად გამაგრებული, ამის გამო ამ მცირე ჯარით აღება თბილისისა იყო შეუძლებელი. მით უფრო სჭირდა თბილისის აღება, რომ შაჰ-აბაზის გენიმ მოასწრა წინათვე სტრატეგიული მნიშვნელობა თბილისისა საქართველოს დასაჭერად და გასატეხად. ისინი თითქმის შიგ თბილისის პირამდის დაასახლა ქართველობის მაგიერად თათართა ელნი. აქედამ ადვილად შეეძლოთ ტფილისის მიშველება, მითქმა-

[1]) პლატონს წარმოუდგენია, რომ ხოსია და ქაიხოსრო სხვა-და-სხვა პირები არიან.

მოთქმა, ამბის ცნობა, ნუზლის მოვნა, ჯარის შენახვა, გამაგრება, თბილისი დარჩა აუღებელი, მაგრამ სვიმონ მეფე გა[illegible] და იყო უფრო ტყვე სააკაძისა, ვიდრე მეფე.

ამგვარად სააკაძემ მოიყვანა მთელი ქართლი მორჩილებაში, გარდა თბილისის ციხეში შეხიზნულთა. გადმოიყვანა იმერეთიდამ თეიმურაზ ისევ ქართლ-კახეთის საბატონოდ.

ზურაბ და სააკაძე თუმცა ვეღარ უყურებდნენ ერთმანეთს კარგი თვალით, მაგრამ სააკაძისთვის ზურაბ ჯერ კიდევ საჭირო კაცი იყო. ზურაბ დღეს შეადგენდა დიდს ძალას. გარდა ამისა, რომ ეს იყო სიძე მეფისა, ის მთიულ-მოხევეთა და ერწო-თიანეთის დაჭერით დიდად გაძლიერდა. ამის გამო სააკაძე სცდილობდა არ შემჩნევინა თავისი უსიამოვნობა ზურაბისათვის. სააკაძეს ზურაბის შეემწეობით უნდოდა სამეფო საქმეების მართვა, თუმცა ზურაბ წარმოადგენდა სწორედ მგელს, რომლის თავზედაც კითხულობდნენ სახარებას და ის ცხვარს უბრიალებდა თვალებს. ზურაბიც იძულებული იყო გაეწია სააკაძისთვის მომხრეობა, რადგან სააკაძეს ჯერობით შეეძლო ამის გაჭყლეტა, დედა-მიწასთან გასწორება, და ამ შეგობრობით უნდა ესარგებლა, რომ უფრო გამაძღარიყო თავის მტრებისა და წინააღმდეგების სისხლით. ამ ხანებში ზურაბ განიზრახავდა მუხრან-ბატონების ან განდევნას ან გაწყვეტას და სამუხრანოს ხელში ჩაგდებას. ამას ჰპირდებოდა მეფე თეიმურაზიც, რომელიც თავის ძალას ახლა ამას უფრო ამყარებდა, ვიდრე სააკაძეს, რათგან ზურაბ იყო სიძე და უფრო სანდო კაცი.

რაკი ქართლს და კახეთს ისევ ერთად შეუყარა თავი, დაამზადა თავადები, უჩვენა ძალა, რომ აღარ გამოდგებოდა წინააღმდეგობა მეფისა და შეუძლებელი იყო ასევა ერთმანეთზედ მისევა თავისუფალს ქართველ ხალხებზედ საყმოდ დასაჭერად, სააკაძე შეუდგა გამდგარი საქართველოს მობეგრე ხალხების დამორჩილების და მორჩილებაში მოყვანას. ყველაზედ უპირველესად ეს შეუდგა ოსებს. იმან გადავლო ზეკარა, გადავიდა ბრუტ-საბძელის მთასა, რომელიც არის მთელს კავკასიის მთებში ერთი უმაღლეს მთათაგანი, ჩავიდა ნარასა დაიპყრო ოსთა სიმაგრენი, ჩააყენა თავისი მეციხოვნენი, წამოიყვან,

მძევალნი და მოიყვანა ამგვარად მთლად ოსეთი ქართლის სამეფოს მორჩილებაში, აქაც იჩინეს თავი სააკაძის თანამეომართა [illegible] ამაყაშვილმა, რომელიც სიურმით სიბერემდის შერჩა სააკაძეს, თამაზ ქარსიძემ და სხვათა.

დაბრუნებულმა ოსეთიდამ სააკაძემ იწყო მზადება ლეკების გასატეხად. ორი ხელს უწყობდა. სპარსნი და თურქნი იყვნენ ერთმანერთზედ მიმდგარნი მას შემდგომ, რაც ამან განდევნა სამესხოდამ სპარსნი, და მითი მიუსია ერთმანეთს ეს ორი საქართველოს მტერი. ლეკი და დაღესტანი და მეტადრე შამხალი არა სცხრებოდნენ და საშინელება იყო, რაც დღე ამათგან ადგა კახეთსა. ისრეც საშინლად დაზარალებული და ნახევარზედ გაწყვეტილი და აყრილი კახეთი ვერა მკვიდრდებოდა ლეკების შემოსევისა და შეწუხებისაგან. მთავარი ჩრდილო აღმოსავლეთის კავკასის თემთა, შამხალი, ისეთი გაძლიერებული იყო, რომ თვით რუსთა მხედრობა ვერასა ხდებოდა მასსა და ამის ვაჟკაცს ხალხებთან, ორჯერ, ორს დიდს ბრძოლაში თითქმის სულ მოსწყვიტა ამან რუსთა ამაზედ მოსულნი მხედრობანი, წაართვა და დაუნგრია თერგზედ გაკეთებული თერგის ციხე და ქალაქი, დაარღვევინა სხვა სიმაგრენი. ყველაზედ მეტი შეწუხება ადგა კახეთს შამხალიდან. ჯარის დაჭერა, ანუ როგორც უწინ ეძახდნენ ლეისენის დაჭერა იწყება შამხალის ჯარებიდამ, რომელთაც ბოლოს ქ ფეხი მოიკიდეს მკვიდრად შაჰ-აბაზის შემწეობით. ტყვევნა, ხოცვა და ბუგვა კახეთის ხალხისა და საცხოვრებელისა იყო შეუწყვეტელი. საჭირო იყო გატეხა დაღესტნისა, შამხალისა და საზოგადოთ იმ სახლებისა, რომელთაც ჩვენი ლეკებს ვეძახით, რომ კახეთი მოსვენებულიყო და დამკვიდრებულიყო თავის განიორწყულებულს ქვეყანაში. სააკაძემ ისე შეჰკრიბა ქართლ-კახეთის ჯარი, რომ არავინ იცოდა სად მიდიოდა. ის უცებ გადვიდ' კოდორის მთაზედ და ჩაუხტა დაღესტანს, გადუხტა შამხალს და დასცა ამ გაუტეხარს ვაჟკაც ხალხს შიშის ზარი. გატეხა შამხალი, დაღესტანი, მთლად სალეკო, დაადო ბეგარა, ჩააყენა მეციხოვნენი, ჩააყენა გზის მცავები წამოასხა მძევლები, მისცა კახელებს ნაშოვარი დაღესტნისა, გადმოასხა ოქიდამ გადაცვივნული და ტყვეთ წასხმული კახელობა და

შეუდგა კახეთის მოშენების საქმეს. დაამკვიდრა მკვიდრნი [illegible] ბანი თავთავის ალაგას, დაასახლა ვერანა ალაგას სხვა [illegible] ნადრონი, რომელთაც იზიდავდა კახეთისკენ საჰკაძე მითი, რომ აძლევდა მუქთად ალაგებს, ბინადრობას, ანთავისუფლებდა ვადამდის ხარჯისაგან, აძლევდა თარხნობას, ჰ ფ უ რ ჩ ვ ნ ი დ ა. ამგვარსავე ფურჩვნას უწევდა გამაჰმადიანებულს ქართველობას და უგანონო შვილთა, ნაშობთა ხარჭათაგან. ამგვარი ქცევით მოისწრო საჰკ'ძემ ბევრი გამაჰმადიანებული ქართველობის დაბრუნება სჯარსჯეთისა და ლეკეთიდამ. საჰკაძე არ არჩევდა ქრისტიანს და მაჰმადიანს ერთმანეთში, ის ყველას თანაბრად უყვარებდა, ყველას თანაბრად ჰპატრონობდა, სცდილობდა ამით ქვეყნის მოშენებას, საქართველოს აღდგენას, საქართველოს ძალის მოკრებას. შეკრებილს ალაფს, დამქრობაში ნაშოვარს, რასაც ინახავდა ხაზინაში, რასაც არა და აძლევდა იმ ხალხს, რომელსაც ჰ ფ უ რ ჩ ვ ნ ი დ ა და რომელიც, როგორც ბოლოს ვნახავთ, იმას ჩამოერთვა მეფისა და ქვეყნის მტრობაში.

რა-კი გასწრიკა გარეთ მტერი, სრულებით მოსპო სპარსთა ძალა ქართლში, რომელთ მარტო ტბილისის ციხე-სიმაგრენი-ღა ეპყრათ ხელთა, სადაც იდგა სვიმონ მეფე ტყვედ შემწყვდეული, მოსპო შიგნით არეულობანი, ბოლო მოუღო შინაურთა მტერთა და მოღალატეთა, საჰკაძემ მაგრა მოჰკიდა შინაურს მოწყობილებას ხელი. პირველი იმისი საზრუნველი ის იყო, რომ ფეოდალებისთვის, ესე იგი მთავართა და დიდებულთათვის, რომელთაც ეპყრათ თავ-თავისთვის გამაგრებული ხეობები და მიები ან მთელი ქვეყნები, სთვლიდნენ თავის თავს მეფეებად, ებრძოდნენ ერთმანეთს, ებრძოდნენ იმ თავისუფალ ქართველებს, სადაც ჯერ ბატონყმობა არ იყო შეტანილი და ძველადვე თავისუფლება და თანასწორობა იყო დაცული; და კიდევ აუგრა ამათ საჰკაძემ კვალად კრიჭა. აღარც ერთი ამგვარი ომი, აღარც ერთი ერთმანეთს თავს დასხმა, აღარც წარტანება თავისუფალი თემების დასაჭერად აღარ მომხდარა ამ საჰკაძის ბრძანებლობის დროს, თვით სისხლით გაუმაძღარნი ზურაბ არაგვის ერისთავი და იასე ქსნის ერისთავი ჩაუჩნდნენ. იასე, თუმცა სამო-

ნელი მოსისხარი იყო, მაგრამ ამასთან ჰქონდა ბევრი [illegible] რაინდული გმირობა: იქ, სადაც ჰყავდა ხელის მძლავრნი და შემგონებული, ის მზად იყო ყოველს კეთილსა და საქვეყნო საქმისათვის თავი გაეწირა. როდესაც ჰხედავდა ქვეყანაში მომქმედად სააკაძეს, ის იყო სააკაძის ყურმოჭრილი ყმა და უკეთესი მეგობარი იმის ყოველს საქვეყნო საქმეში. მაგრამ, როდესაც ეს შორდებოდა ამგვართა კაცთა, როგორც სააკაძე, ვარდებოდა სხვა რიგი გარემოების გავლენის ქვეშ, მაშინ იღვიძებდა ამაში კვალად მოსისხარობა და აქ მზად იყო მთელი ქვეყანა ებანებინა თავისგნით დაღვრილს სისხლში. ზურაბ სულ სხა რიგი კაცი იყო. ის იყო ვაჟკაცი, დიდი ვაჟკაცი, შესანიშნავი მხედართ მთავარი, რომელშიაც იყო გაწრთვნილი სააკაძისაგან. მაგრამ ვაჟკაცობაცა, გმირობაცა, სარდლობაც, ჭკუაც, გონებაც სულ იქითა ჰქონდა მიმართული, საიდამაც გამოელოდა პირთვნულს სარგებლობასა. ამგვარი უწმინდური ხასიათი ამისი ისახება ჯერ თვით იმ დიდებულს საქმეში, რომელიც ჩაიდინა იმან ქართლ-კახეთის ხსნის დროს. იმას ეხვეწება თავისი გამზრდელი სააკაძე დახმარებას ქვეყნის ხსნისათვის. სააკაძე ცხარე სიტყვით უხატავს თვალწინ იმ საშინელებას, რაც მოელის შაჰ-აბაზის ბრძანებით იმათ აღმზრდელ შემნახველს ქვეყანას, მაგრამ ზურაბ არა ჰყვება ნებას, არ აძლევს მხარს იმ უბრალო მიზეზით, რომ ამითი ის დაჰკარგავს ცოლს, რომელიც დარჩა ამას სპარსეთში. ზურაბ ანაცვალებს მთელს საქართველოს ერთს ქალს. მხოლოდ მაშინ ჰყვება ნებას სააკაძესა, როდესაც სააკაძე ჰპირდება ლუარსაბ მეფის დის შერთვას, ჰპირდება გაჰხადოს მეფეთა მოყვრად და თითქმის სამეფო მემკვიდრეთ. მხოლოდ მაშინ ავიწყდება ზურაბს ცოლი, რომელსაც არა სთმობდა მთელი ქვეყნის ხსნისათვის და ახლა დასთმო ერთი უბრალო ქალისათვის, რომელსაც იმის თვალში ფასი მხოლოდ იმიტომ ედო, რომ იყო და მეფისა. ყოველ საქმეში, ყოველს გარემოებაში ამგვარი იყო ზურაბ. იმას არც ძმა, არც მეგობარი, არც ცოლი, არც მოყვარე, არც მეზობელი არ გაჩნდა არაფრად იქ, სადაც არა ჰქონდა ინტერესი არა ჰხედავდა თავის სარგებლობას და თავის სარგებლობის გულისთვის არა ჰზო-

ჰგავდა არაფერს ღონეს, არაფერ საღსარს: არც ძმა, არც მეგობა-რი, არც საქვეყნო საქმე, არც თვით ცოლი არ გააჩნდა. [illegible] ფიქ-რავდა, იკადრებდა ყოველისფერს საქმეს; საზიზღარი ღალატი უწმინ-დესის საქმისა, უპირველესი კაცისა—იმას ერთს წუთსაც ვერ შეა-ფერხებდა თუ გამოელოდა რასმე აქედამ. როდესაც სააკაძე იჭერს ხელში დიდ გვარებს და არ აძლევს იმათ თვითნებობის გზას, ისე ქსნის ერისთავი ხდება ნამდვილი მეგობარი და მომხრე სააკაძისა. ზურაბ, მართალია, ძალა უნებურად იდრეკავს ქედს სააკაძის ძალის წინაშე. მაგრამ გული ევსება შურით, გულში იბრუნებს სააკაძის ჯავრს, ავიწყდება იმისი ამაგიც, იმისი მეგობრობაც, ის დიდებული და საუკუნოდ საქართველოსათვის დაუვიწყარი საქმეც, რომელიც ერ-თად გასწიეს ამანა და სააკაძემ და რომელსაც, უფრო უნდა და-კავშირებინა ესენი.

მთავარნი და დიდებულნი, რაღა თქმა უნდა, კვალად ვერ ინე-ლებდნენ თავის დამცირებას სააკაძისაგან, თუმცა ძალა-უნებურად ემორჩილებოდნენ იმის ძალას.

ზურაბ ჩუმჩუმობდა და ემზადებოდა. ის შიგა და შიგ ურევ-და ღვარძლს თავის სიმამრს თეიმურაზსა და მოურავს შუა. ის თან-და-თან უდგებოდა განზედ მოურავსა და უფრო და უფრო ეკ-რობოდა თეიმურაზს. უჩვენებდა ისრე თავს, რომ ის მარტო ამისა და ამის ხმალს უნდა ენდოს. ზურაბის ვარამი იყო ეხლა სამუხრა-ნო. საჭირო იყო დაცემა სააკაძისა, რომ სამუხრანო ჩაეგდო ხელ-ში. ვიდრე სააკაძეს ეჭირა ძალა ხელთა, ზურაბ ამას ვერას დროს ვერ მოახერხებდა, რადგან მოურავი დიდად აფასებდა მუხრანის ბა-ტონებს, რომელნიც ერთგულად და უანგაროდ ემსახურებოდნენ სა-ქვეყნო საქმეს და რომელთაც ერთხელაც არ მოცხებოდათ ჩირქი ქვეყნის ღალატისა და ორგულობისა. თეიმურაზიც აპირებდა ერთი სროლით ორი კურდღელის მოკვლას. იმას უნდოდა სრულიად დაცემა მუხრანის ბატონებისა, რომელთაც ჰქონდათ უფლება ქართ-ლის ტახტზედ, და ამასთან უნდოდა როგორმე სამუხრანოს მი-ცემით დაეთმობინა ზურაბისთვის ხავის კარი ანუ როგორც ეძა-ხიან წიგნები და გარეშე ხალხებიცა, დარიელი. ეს გზა იყო ერ-

თან ერთი, რომლითაც შესაძლებელი იყო ქვეით ზამთარ-ზაფხულ[illegible] რუსეთისაკენ გასვლა ცხენით თუ ურმით. სხვა გზა თავისუ[illegible] ვალი რუსეთისაკენ არ იყო. რა-კი რუსეთსა და თეიმურაზს [illegible] ხდებოდა დაახლოვება, როგორც ზემოთაც იყო ამაზედ ლაპარაკი, საჭირო იყო რიგიანი გზა, რომ ადვილი მისვლა-მოსვლა ჰქონო-დათ ერთმანეთში. მინამ ეს გზა არ იყო თავისუფალი მძლავრი თავადებისაგნ, მინამ საქართველოს მეფეებს შეკრული ჰქონდათ რუსეთის გზა. ამ გზის მჭერელ თავადებს ენებათ გაუშვებდნენ მეფისა ანუ რუსის ხელმწიფის კაცებს, არ ენებათ არ გაუშვებდნენ, რომელსაც კიდეცა ვხედავთ თეიმურაზის რუსეთთან მოციქულობის დროს. თუმცა იყვნენ სხვა გზებიც, მაგრამ ჯერ უნდა გევლო იმ-გვარ ხალხებში, რომელნიც ქართველებისაცა და რუსებისაც მტრები იყვნენ, მაშასადამე მშვიდობით არ გაუშვებდნენ, ამასთან ხშირად მთელი წლები უნდა გეცადნა, რომ აქ გზები გახსნილიყვნენ სავა-ლად. ამ გზებით წამოსული რუსის მოციქულები თითქმის წლო-ბით იყვნენ ხოლმე გზებში და ხშირად ამავე გზებით ვეღარა ბრუნ-დებოდნენ და უნდა დაბრუნებულიყვნენ სპარსეთზედ ან ოსმალეთ-ზედ, რომელთაც სამტროდ ქართველები ემოციქულებოდნენ რუ-სეთსა. ამგვარად ხევის კარი ანუ დარიელი საჭირო იყო საქართვე-ლოსთვის, რომ თავისუფალი ყოფილიყო და სჭეროდათ ხელში მეფეებს. ზურაბს თქმა არ უნდა ხევის კარიც უნდოდა და მუხრა-ნიცა. სააკაძე არც თეიმურაზის იყო თანახმა, რადგან ის იქიდამ არ ელოდა შველას, საიდამაც თეიმურაზ არც ზურაბისა, რადგან ზურაბის კიდევ მეტად გაძლიერება ცხადათ ჰნიშნავდა იმის სრულს გაბატონებას და მზად გამწყობილი საქართველოს საქმეების ჩაშლას და ჩაფუტკვნას. ზურაბ დაიპყრობდა დანაშთენს თავისუფალს ქარ-თველს მთის ხალხებს, ამითი იქნებოდა თვით სააკაძეზედაც უფრო გაძლიერებული, დაუწყებდა მეზობელ თავადებს და აზნაურთა ჩაგვ-რა-ტაცებას, შეიქნებოდა საქართველოში ისევ არეულობა, მოუძლურ-დებოდა კვალად ქართლ-კახეთი, გაჩნდებოდა კვალად ღალატი და გადადგომა, მოუსვლიდა ისევ მტერი და ჩავარდებოდა ქვეყანა იმავე დღეში რა დღეებიდამაც ძლივს გადაარჩინა რამდენიმე ხელობა სააკა-

ქეთ, ჩაიფუშებოდა ყოველივე წყობილება საკაძისა საქართველოს შეერთებისა და გაძლიერების შესახებ. ზურაბ ჰგრძნობდა ამას, და უფრო-და-უფრო ივსებოდა იმისი გული დვარძლით, უფრო-და-უფრო უკავშირდებოდა თეიმურაზს, უფრო-და-უფრო სცდილობდა დაეკარგვინებინა ნდობა საკაძეზედ.

როგორც მთავრებსა და დიდებულთ შეაკვეცა ფრთები, ისრე ამავე დროს საკაძე სცდილობდა დაბალი ხალხის აწევას და გაკეთებას. უმამულოები მოჰყავდა და ასახლებდა გაოხრებულსა და გავერანებულს ადგილებში, როგორც წინად, აგრეთვე ახლაც აძლევდა მოსაშენებლად შემწეობას ნაალაფევისა და ნაშოვრებიდამ. ასრე რომ ორი სამი წლის განმავლობაში აღარც ქართლი და აღარც კახეთი აღარ იცნობდა, გაშენდნენ სოფლები, ქალაქები, გაიმართა შენობები, იწყეს ეკკლესიების განახლება და შენება. მიწის მუშა თავისუფლად და უშიშრად გადიოდა მინდორსა და ვენახებში სამუშაოდ. მეცხვარეს თავისუფლად მიჰყავდა ცხვარი საძოვნელად ზაფხულში მთაში, ზამთარში ყარაიასა, ელდარისა და სამ მუხის უდაბურს ადგილებში. ტაცებლობა და მიმძლავრება ერთმანეთში მისწყდა. ჩუსწყდა ძალმომრეობა. გაშენდა ვენახებია, გაივსო მინდვრები სახნავებითა, გატყდა ტყეები სახნავათ და საძოვრად, დაიწყეს რუების დენა. მოისმა თავისუფლად ზარის რეკა. ნახევარზედ შემუსრვილმა ქრისტიანობამ წამოიწია ისევ და დაიწყო მკვიდრობა. საკაძემ აუგო კრიჭა მათ, ვინც აქამდის ავიწროებდა სამღვდელოთა და სდევნიდა ქრისტიანობას. უწყო მართვა გზებს, მიუდგომელსა და საჭირო ადგილებში, გასტეხა მთები, გამართა ხიდები და ბოგირები. გლახაკობა და სიღარიბე თან-და-თან მოსპო, გაავრცელა აღებ-მიცემობა, მექარხნეობა, რადგან იცოდა, რომ მხოლოდ იმ ხალხს აქვს მომავალი, სადაც მიწის მუშაობასთან გაძლიერებულია აღებ-მიცემობა და მექარხნეობა; გახშირდა და გაადვილდა ერთმანეთში მისვლა-მოსვლა; ერთმანეთის ნახვა, ამბის ცნობა. ამავე დროს საკაძე არჩევდა დაბალი ხალხიდამ გონიერთა და ნიჭიერთა კაცთა, აყენებდა წინ საქვეყნო საქმეებში, აბარებდა მოხელობას. ამგვარად იმან გამოიყვანა მდაბიო ხალხიდამ სახელოვანი ჯაჭუნა ვაშაყაშვილი, რომელიც მას-

თანვე ერთად მოიკლა ოსმალთაგან, გამოჩენილი თავისი დიპლო-მატური ნიჭით და მწიგნობრობით გიორგი ქავთარაძე [illegible] როგორც ხშირად იხსენება წიგნებში ქავთარაშვილი, სახელ[illegible] თამაზ ქარსიძე, მათარსი შიხაიდრიძე და სხვანი მრავალნი. ამავე დროს საქართველოს ჰყავდა მზა ჯარი, რომელიც ნიადაგ იდგა თოფ-ქვეშ, ასრულებდა სამხედრო სამსახურს, იცავდნენ გზებს და ციხეებს, იყვნენ ნიადაგ გამზადებულნი საომრად, მზად იყვნენ მტრის მისაგებებლად და მტრის დასაცემად,

ამავე დროს იმართება მიწერ-მოწერა (პაპთან, ევროპის ხელ-მწიფეებთან, იგზავნება ნიკიფორე ეფისკოპოსი წერილებით იტალია-ში, ისპანიაში, გერმანიაში შვეიცარიაშიაც კი რათა გაეცნონ საქარ-თველო საქრისტიანო ქვეყნებს, მიიქციონ მათი ყურადღება, მოიპოვონ, მათი დახმარება. საქმე იქამდის მიდის, რომ თეიმურაზ სთხოვს პაპს, ის აღიაროს საქართველოს მეფეთ, ნიკიფორე, რომელსაც როგორც ეტყობა კათოლიკობის მიღების დროს უწო-დეს ირბახი ანუ ერბახი (ამას ნიკოლოზსაც ეძახდნენ) დიდად, სცდილობს საქართველოსთვის, ელაპარაკება მეფეებს, მთავრებს, პაპს, სამღვდელოებას. იხოულობს მისიონერების გამოგზავნას საქართვე-ლოში სიტყვით, საქართველო სცდილობს დაუახლოვდეს ძლიერთა სახელმწიფოთა ევროპაში, მოიცეს მხარი ევროპისა და პაპისაგან, შეჰკრას მათთან კავშირი, დაიმეგობროს ის და დაუახლოვდეს მას (ისტ, კათოლიკობისა საქართველოში გვ. 95-105.)

ამგვარად სამი წლის განმავლობაში, შემდგომ ყარჩიხანისა და ყუსუფ-მირვანის ხანის ჯარების ამოწყვეტისა 1623 წლიდამ 1626 წლამდის ჩაიდინა ეს ამოდენა საქმენი და ისე მოაწყო ყველა გარე-მოება, რომ არამც თუ მოაუძლურა და ჩააჩუმა შინაური მტერი, ის-რე გააძლიერა ქართლ-კახეთი, რომ შიეუჩნდა გარეშე მტერიც და თვით სახელოვანი შაჰ-აბაზ, მოსისხლე მტერი მთელი საქართვე-ლოსი, თეიმურაზისა და ახლა კიდევ უფრო საააკაძისა, გაუჩუმდა სააკაძეს და ვეღარ კადნიერობდა საქართველოზედ თავისი მრისხანე ხმლის შემართვას. სააკაძისაგან ორი ხელობა იმისი უმთავრესი ჯა-რებისა და სარდლების მოწყვეტით. როგორც ზემოთაც ითქვა, შაჰ-

აბაზს შეეკვეცა ფრთები, იმას აღარა ჰყავდა იმოდენა ძალა, რომ კვალად განეძრახა თვისი საშინელი სურვილის შესრულება— საქართველოს სამუდამოდ მოსპობა. სააკაძემ მოუღო ამას ძალა თვისის განზრახვის შესასრულებლად. სამუდამოდ მოუღო აბაზს ძალა თვის განზრახვის შესასრულებლად. იქამდის მიიყვანა სააკაძის მარცხებმა ძლიერი შაჰი აბაზ, რომ, როგორც მოგვითხრობს შემდეგში ფრანცუზების მოგზაური შარდენი იძულებული გახდა დაედო ქართველთათვის პირობა, რომ აღარ აეშენებინა საქართველოში მეჩითები, არ შეეხებოდა ქრისტიანთა ეკკლესიათ; გაუშვა მეფეებად ისევ ქართველთა მეფეთა შთამომავალნი და სხვა ამისთანაები.

არამც თუ შარჟეია ჭ მოაუძლურა, იმან იქამდის მიიყვანა სპარსეთი, რომ პიეტრო დელავალეს, რომელიც ამ ხნებში მოგზაურობდა სასპარსეთო ქვეყნებში, თითქმის უეჭველ საქმეთ მიაჩნდა, რომ ქართველნი დაიპყრობდნენ სპარსეთს, „თუკი ერთად იმოქმედებენ,„ მაგრამ ამაში იჭვი მაქვს-ამბობს ის-რაკი ვიცით მათი თავქარიანობის ამბავით. (¹)

მართლაცა და ამ დროს მთელი სპარსეთი ქართველების ხელთ იყო, სპარსთა უმთავრეს და უკეთესს ჯარს შეადგენდა ქართველობა. პირველი სახელმწიფოს გამგენი იყვნენ ქართველები. ხოსრო მირზა, ბაგრატიონი, ბოლოს როსტომ მეფე,—რომელიც ისრე ამაღლდა სააკაძემ შაჰ-აბაზის წინაშე, იყო გამგებელი მთელი სპარსეთის. როსტომხან სააკაძე იყო ამირ სპასალარი(главного монж-рящій всей вооруженной силы) სპარსთა სახელმწიფოსი ამავე დროს საქართველო არის ისრე გაძლიერებული, როგორც დიდი ხნის აღარა ყოფილა. აქ ერთი პირი, ჭკუა თეიმურაზისა და სპარსეთი გახდებოდა საქართველოს საბრძანებელი. მამათ თვით ოსმალოც ვეღარას გასწყობდა ქართველებთან. სპარსეთის დამორჩილებას მოსდევდა მთელი კავკასიის დამორჩილებაც, რასაც დიდი ბაგრატ და მისი მომდევნო მეფენი კიდეც განიძრახავდნენ. არც თუ ისრე იყო თვით აბაზ დიდიც ძლიერი სპარსეთში რაკი სპარსნი ამას არა სცნობდნენ თავისი ნამდვილი სპარსთა მეფეთა შთამამავლობლად

¹) ჟურნ. ივერია 1879 წ. № 3. თარგმ. ალ. ქყონიასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ ის აძლიერებდა ქართველთა ჯარს და იმის ჯარში იყო ოც-და-ათი ათასი მუდმივი ჯარი ქართველობისა.

მოდიოდა ჟამი სააკაძის განზრახვების შესრულებისა, და უთანხმოება თეიმურაზსა და სააკაძის შორის ძლიერდებოდა. სააკაძეს, როგორც ზემოთაც ითქვა, სრულიად არ მოსწონდა ჭკუაში გზა, რომელსაც დასდგომოდა თეიმურაზ, და რომლიდამაც ის ელოდა შველას. თეიმურაზ, როგორც შემდგომში მეფე ვახტანგ კანონის მდებელი, ელამუნებოდა სამს ვეშაპს, დავით გურამისშვილის სიტყვისა არ იყვეს. თეიმურაზ ელაპარაკებოდა ოსმალთა, სთხოვდა შველას, პატრონობას, და იმავე დროს სწერდა რუსებს, რომ ეს უწევს ოსმალთ ერთგულებას ძალაუნებურათ, რომ ესენი ამისთვის ისეთივე საზიზღარნი არიან, როგორც სპარსნი, და შველა ამისი შეუძლიანთ მხოლოდ რუსებს, როგორც მეერთჯულეთა. აძლევს რუსებს საპატრონყმოთ თავსა. სააკაძემ იცოდა რომ რუსებს, ძალიანაც სდომოდა შველა ქართველებისა ამ ხანაში არ შეეძლოთ, რადგან მისვლა—მოსვლის გზაც-კი არა ჰქონდათ სამოციქულოთ, არამც თუ ჯარითა და სხვაფრივ დახმარება შესძლებოდათ. ამასთან იცოდა, რა-კი ოსმალნი დარწმუნდებოდნენ, რომ გული უფრო რუსეთისაკენა ჰქონდა ქართველობას, არ დაინდობდნენ საქართველოს და დააყენებდნენ სპარსელებზე უარეს დღეს, რომლიდამაც რუსეთის ხსნა იმ ხანად არ შეეძლო. ამასთან ვერც აართვა რიგიანად პირი თეიმურაზს, რომ გაჰბედავდა ის თუ არა, რომ შეებედნა გიორგი იმერთა მეფისათვის. თეიმურაზს ერიდებოდა იმერეთის მეფობას. ის ვრცელი პლანები, რომელიც ედო გულში სააკაძეს, იმისთვის სრულიად უცხონი იყვნენ. საბოლოვო ქვეყნისა არ იტაცებდნენ თეიმურაზის გულსა. იმას უყვარდა კახეთი, უნდოდა მშვიდობიანად მეფობა თავის მშვენიერს კახეთში. თუ ეპატრონებოდა ქართლსაც, უფრო იმიტომ. რომ მეტი ძალა ჰქონოდა, და ამასთან ეჭირებოდა ხევის კარი, რომ გაადვილებოდა რუსეთთან დახლოვება. სადამდის ერიდებოდა თეიმურაზ კახეთს გარეთ მეფობასა და დიდებას, გვიმტკიცებს ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვები, რომელიც მოგვითხრობს შემდეგს თავის ისტორიაში. შემდგომ თავის სიძის

ალექსანდრე იმერთა მეფის სიკვდილისა, თეიმურაზ იყო კახეთიდამ როსტომ მეფისა და შაჰ-აბაზ მეორისაგან განდევნილი. იმერეთში სამეფო იმერთა ჩაუვარდა ამის ასულს, ზურაბ ერისთვის ნაცოლარს დარეჯანს ხელში, და სთხოვა თავის მამას თეიმურაზს, რომ მიეღო იმერეთის მეფობა. თეიმურაზმა უთხრა უარი. ის სცდილობდა მხოლოდ ისევ თავის კახეთის დაბრუნებას, რომლისთვისაც მზათ იყო ეცა თაყვანი თავის მოსისხლე მტერი შაჰ აბაზ მეორისათვის, რომელსაც კიდეც ახლა ამისთვის ისპაანს, ეამბორა მუხლზედ და აკოცა იმის ალაყაფის კარებს. ამას იქით თეიმურაზის იდეალი არ მიდიოდა აქვე უხვდებოდა გზაში სააკაძეს დაბრკოლება. სამუდამო საბოლოოს ზრუნვა არ იყო თეიმურაზის გულში, ანგარებით სააკაძე ვერ გაიტაცებდა. არჩეული დიპლომატიური გზები თეიმურაზისა და სააკაძისა იყვნენ შორის-შორს; ამას ერთობოდა შურიცა, რომელიც გაადვიძა ამაში სააკაძის დაუცხრომელმა შრომამ, საქვეყნო საქმის ზრუნვამ. გაძლიერებული სააკაძისაგან ხალხი სააკაძეს უყურებდა ღმერთივით. სააკაძე თან და თან ხდებოდა მამა და პატრონი ქვეყნისა, მფარველი ჩაგრულთა, მსაჯული უსამართლოთა. როგორც შინ, ისრე გარეთ, მეფენი, ხვანთქარი და მთავარნი იცნობდნენ სააკაძეს ელაპარაკებოდნენ იმას, ჰქონდათ მოციქულობა იმასთან. ამ შურს აძლიერებდნენ თეიმურაზის გულში მტერნი სააკაძისა, რომელთაც აღარ შეეძლო ამისი შიშით მძლავრობა და მტაცებლობა. ზურაბ აშკარად მტრობდა. თეიმურაზს შეუვიდა იჭვი. ის დარწმუნებული იყო, რომ სააკაძეს ამის სხიეროდ-კი არა, სამტროდ უნდოდა იმერთა მეფის გადაკიდება. აადებინეს იჭვი რომ სააკაძეს უნდოდა მეფობა. ჯერ მაშინვე აიღო შური სააკაძეზედ, როგორც ზემოთაც ვთქვით, როდესაც ყორჩიბაშის ჯარების განსადევნელად ქართლიდამ სააკაძე გავიდა სამესხოში და ელაპარაკებოდა ხვანთქარს, „მე მეფე მერქვას და ჩემი ყმა ხვანთქარს ჩემს მაგიერად ელაპარაკებოდეს?!“ იძახდა თეიმურაზ. თეიმურაზს უწყობდნენ თავის იჭვებში ხელს მის მახლობელნი. სააკაძის მტერნი ჩუმჩუმათობდნენ. მტრობა სააკაძისა მოვიდა მოძრაობაში.

თეიმურაზის კარზედ გადასწყვიტეს ღალატით მოკვლა საა-

ჯაძისა. მაგრამ უნდა ხალხისა და საავაძის მომხრეთა თვალში ჰქონოდა რამე თეიმურაზის შესაწყნარებელი საბუთი ამისთანა კაცის მოკვლისა. ძნელი იყო პოვნა იმისთანა საბუთისა. ვერც თავის ღალატს, ვერც ქვეყნის ღალატს თეიმურაზ საავაძეს ვერ დასწამებდა, რადგან ქვეყანამ იცოდა. რომ ეს ჯერ ორჯერ გაამეფა ის საავაძემ, და თუ ცუდი რამე სდებოდა ამისი გულში, იმისი ბედი და უბედობა იყო საავაძის ხელთა; რაც შეეხება ქვეყნის ღალატს, ამას უფრო არავინ დაუჯერებდა, რადგან იცოდნენ, რომ საქართველო დღეს ამისგნით იყო დარდგინებული, ამისგულისთვის ის არც თავს, არც შვილს არც ცოლს, არც სხვა სულის უტკბეს მახლობელთ არა ჰზოგავდა. მაშინ გამოსძებნეს საბუთი. რომელსაც უფრო შეიწყნარებდა ქვეყანა. თეიმურაზმა იწყო ძიება ლუარსაბის სისხლისა. მოურავი იყო მიზეზი ლუარსაბის სიკვდილისა. ქვეყნისა და მეტადრე სამღვდელოების თვალში ლუარსაბი იყო წამებული სჯულისათვის, ტრადიცია ქართლში ლუარსაბს ჰქონდა ძლიერი, როგორც სვიმონისა და დიდი ლუარსაბის შვილის-შვილს, ხსოვნა იმისი იყო ისევ ცხოველი

დიახ! თეიმურაზ ეძიებდა ლუარსაბის სისხლს იმ კაცისაგან, რომელმაც მისცა ამას ლუარსაბის ტახტი და გააბატონა ლუარსაბის სამეფოში! თეიმურაზ ეძიებდა ლუარსაბის სისხლს საავაძისაგან და არა შადიმანისაგან, რომელმანც მოიბირა ლუარსაბ, გადმოიყვანა იმერეთიდამ და მისცა შაჰ-აბაზს ხელში!.. [1])

გადასწყედა საავაძის ღალატით სიკვდილი. გამართეს საფრთხე.

---

[1]) აი რას ვკითხულობთ თეიმურაზზედ კატოლიკეთ მისსიონერების წერილებში. „ის სულ სხვა კაცად შეიცვალა: ყველას მტრათ გადაეკიდა თავის ქვეშევრდომებს სასტიკად ეპყრობოდა, ახალი ხარჯი გააწერა და ყველაფერს ძალათი ართმევდა. მისთვის სამართალი აღარ იყო. თავის კანონად თავისი სიხარბე და თავისი ჟინი გაჰხადა. (ისტ. კათოლ. გვ. 125) ამას სწერდნენ თეიმურაზის კარს მყოფნი მისსიონერნი.

როსტომ მეფე ამბობს ერთს თვის სიგელში. „იყო კახი ბატონი (თეიმურაზ იმერეთს. ჩხუბისა და ავი საქმისაგან თავი არ აიღო და არც დასწყნარდა... რაც პირობა და ფიცი მოგვცა, არც ერთი არ მოგვითავა.“ (ქორდ. ქრონ. ტ. II. გვ. 463).

მაგრამ გადარჩა სააკაძე მოკვლას. იმან არ იცოდა, რა

ბაც ასცდა. რა კი არ მოხდა ესა და გადარჩა სააკაძე

შეკრთა. იმას ეგონა—გაგვიგო სააკაძემაო. სააკაძემ არ იცოდა არა-ფერი. თეიმურაზ და იმისი მრჩეველნი დარწმუნდნენ ამაზედ, გა-დასწყვიტეს ხელმეორედ ისევე განაჩენი სააკაძეზედ. სააკაძეს მოუვიდ-ნენ მთხრობელნი ამ მეორე გადაწყვეტილებაზედ.

ამ ამბის გაგონებას აღემატებოდა მოურავის გულს გაოცე-ბას. იმას ვერ მოუნელებინა, რომ თეიმურაზ, რომელიც დევნილი თავისი ქვეყნიდამ, გულის სახსარს მოწყვეტილი, დადიოდა ერთი მეფის კარიდამ მეორესთან, ერთი მთავრიდამ მეორესთან' ერთი სამეფოდგან სხვა სამეფოში, ეძებდა თავის შესაფერს ალაგს, დუ-მა ჭურსა, სთხოვდა მოწყალებასავით ოსმალს, რუსეთს, იმერეთს და სხვათა, რომ დაებრუნებინათ ამისთვის თავისი კახეთი, და რო-მელსაც ამან, არამც თუ კახეთი, მისცა ქართლიცა, გაჰხადა ორი სა-მეფოს პატრონი- გაამდიდრა საკუთარი ქონებით და გააძლიერა სა-კუთარი ხმალით, დაუმარცხა და დაუმორჩილა მტერნი, გაუდრიკა ამისი მოსისხლე მტერი შაჰ-აბაზ, რომელიც ვეღარც-კი შერებოდა საქართველოსაკენ პირსა,— ეს თეიმურაზ გაიმეტებდა ამას სასიკვდი-ლოთ!!.., არ დაიჯერა ეს სააკაძემ, თუმც იცოდა, რომ თეიმურა-ზისაგან ყველაფერი მოსალოდნელი იყო. იმან ჭამლეტივით იწყო-ჯერ საიდუმლოდ გამოკვლევა, რამდენი სიმართლე მიუძღოდათ ამ ამბის მომტანთა. ის გაენდო ამაზედ საიდუმლოდ ქაიხოსრო მუხ-რანის პატრონს და იასე ქსნის ერისთავს. ამათ სრულიად არა იცო-დნენ რა ამისა და არცა სჯეროდათ. სააკაძის თხოვნით ისინი შე-უდგნენ საიდუმლოდ ამ საქმის გამოკვლევას და გამოკითხვას. გარდა ამისა ამის საქმის გამოქექვას შეუყენა სააკაძემ კიდევ სხვა ბევრი თავისი სანდო კაცები- შეიქნა საიდუმლო გამოკითხვა საქმისა, ან როგორც თბილელი ამბობს, გაქექ და გამოქექება. ამ ამბავმა მიიქ-ცია თეიმურაზის ყურადღება, იმან შენიშნა, რომ რაღაცა საიდუმლო მითქმა-მოთქმა იყო. მიხვდა, რასაც ნიშნავდა, და დაიწყო ახლა ამან განგებ ძიება, რასა ჰნიშნავდა ეს მითქმა-მოთქმა და მიხლა მოხლა. მაშინ სააკაძემ მიუგზავნა იმ დროს ცხინვალში მყოფს თე-

იმურაზს დომენტი ავალიშვილი მროველი ანუ რუისის მღვდელ-მთა-
ვარი, სახელოვანი გმირი მარაბდისა, რომელიც თავისის ბრძანებით
იყო მაშინ გათქმული, და შეეკითხა, რამდენად მართალია ეს საი-
დუმლო შეთქმულობა იმაზედ. თეიმურაზმა გადაჰფიცა. ვინ? მე,
თეიმურაზ, გაბედნიერებული სააკაძისაგან, ჩავდექ იმის ღალატში!
გავიმეტე სასიკვდილოთ ქვეყნის დამრდგენი და ერთგული მოურავი,
ჩემი გიორგი?!... მომცეს, მომცეს ხელთ ის მუხანათნი, რომელთაც
მაგას მიუტანეს ეგ უცნაური ტყუილი, უცნაური ცილი, რომ ეხლა-
ვე მოუღო მათს სიცოცხლეს ბოლო, და მათი სარჩო და საცხო-
ვრებული მივცე ეხლავე ცეცხლსა და ქარსა!... სააკაძე შევიდა იჭვში,
მზათ იყო დაეჯერებინა თეიმურაზის ფიცი. იმან დაიბარა მთხრო-
ბელნი და შეეკითხა ხელმეორეთ. იმათ ფიცით გაუმეორეს, რომ
ეს მეორეთა ხარ შენ თეიმურაზისაგან სასიკვდილოთ გადადებული,
ერთხელ გადურჩი და ახლა-კი უფრთხილდი თეიმურაზსაო. სააკა-
ძემ ჰკითხა მიზეზი ამგვარი თეიმურაზის მრისხანებისა. მთხრობელთ
უთხრეს, რომ თეიმურაზ ეძებს შენგან ლუარსაბ მეფის სისხლსაო.

გაოცებულმა სააკაძემ მიუგზავნა ხელმეორეთ მროველი მეფესა
და შეუთვალა, რომ თქვენ თურმე მე მადებთ ლუარსაბის სისხლსაო
და ამაში გინდათ ჩემი სისხლის აღებაო. თუ მართლა ლუარსაბის
სისხლს ეძიებთ, რათ ეძიებთ ჩემგან და არა მისგან, ვინც იყო
ნამდვილი მიზეზი იმის სისხლის დაღვრისაო.

მაღიმან გადმოიყვანა ტბილის სიტყვით და ენითა, მან სა-
ჯილდოთ იშოვნა, სთქვა რომ ეს კარგი ვქენითა, იგ თავისუფალ
შეიქნა, მე ვარ აწ ცრემლთა დენითა, მის წილ მე ვკვდები, შევქნილ
ვარ ლახვართა დასაშენითა.

ამბობს ლექსად თბილელი სააკაძის შეთვლილობას, მაშინ,
თუმცა სიკვდილს ისევა ჰფიცავდა თეიმურაზ, მაგრა წყრობითა და
მუქარით შამოუთვალა, რომ ნამდვილად შენ გადევს ლუარსაბის სი-
სხლიო. ამასთან შემოუთვალა თავისი უკმაყოფილობა, რომ ყოველ-
სამეფო საქმეებს შენ განაგებო, ყველა შენა გუაგს დამონავებული,
ჰ ფ უ რ ჩ ვ ხ ი, ათასი წყალობითა და აზნაურობით იბირავ შენსკენ მდა-
ბიო ხალხსა, ამრავლებ ჯარსა და განაგებ მათს ყოველს საქმესა,——

სიტყვით, ეწევი სრულს მეფობასა, და რას ჰნიშნავს ეს თუ არ ჩვენს ორგულობასაო?!...

აქ დარწმუნდა სააკაძე, რომ თეიმურაზ აღარა ჰხუმრობდა, მოხრობილები იყვნენ მართალნი. სააკაძეს წაუხდა ყოველი ჭირნახული, ეშლებოდა ყოველი დაწყობილება. იმ დროს, როდესაც მოიყვანა საქმე საქმეზედ, როდესაც შეაერთა ორი სამეფო, დაიმსახურა წყალობა ხვანთქარისა, აღაგმა კადნიერება შაჰ-აბაზისა და სპარსთა, მოაშენა და გააძლიერა ქართლ-კახეთი, საქართველოს მაქცია ყურად-ღება ევროპამ როდესაც შერყეულს სპარსეთში ჰბატონობდნენ ქართველნი მახლობელნი ხოსრო მირზა, როსტომ სააკაძე და ადვილი იყოთვით სპარსეთის დაპყრობაც, თუ არა სრული შერყევა მაინც და ერთი ბიჯი-და იყო საჭირო, რომ მთელი ძველი საქართველო შეერთებულიყო, და იქნება სპარსეთიც საქართველოს დარჩენოდა — სწორეთ ამ დროს უმუხთლა ამას თეიმურაზმა, სწორეთ ამ დროს ჩაუფუშა თითქმის დამთავრებული საქმე. გულ-მოკლული სააკაძე უთვლის საყვედურს თეიმურაზს და აგონებს თავის ნამსახურობას რადგან თვით წერილები სააკაძისა ჯერობით არსად მოიპოვება ამის გამომოგვყავს თბილელის ლექსებს, რომელნიც სააკაძის წერილებიდამ უნდა იყვეს გადაკეთებული [1])

„თუ სიკვდილი ჩემი გწადდა, რისთვის მტერსა არ მისივე,
მათ მოვეკალ ხემწიფეო, იქნებოდა თქვენ ისევე;
ლაპარაკი, ცუდი ენა, ჭორი სიტყვა ამისივე,
გამიცუდე სამსახური, ჯავრით გული გამისივე.

„სისხლის და ცოდვის ორ-სავე მწვე დიდად ვიყავ კრძალული,
მაგრამ ქართლისა მინდოდა რგება და მწვე სიხარული,
მათ მოჰგვენოდათ კეთილად, მზეს ემზგო დარი დარული,
მათთან სიკვდილსა ვჯერვიყავ, რის ვიყავ გაუმწარული.

„სად მოვთვალო ჩემი ბრძოლა ანუ ომთა ჭირნახული.
მე მეფეო შენთვის დავდევ თავგაწირვით ტკბილი სული.
რადას მარგებს ცრემლთა დენა ანუ საქმე გარდასული.
რას არგებდა მაბეზღართა ჩემი მოკვლა აღსასრული.

[1]) ანტონ კათალიკოსი ამბობს იყოვო სააკაძის წერილები.

„არ ვის მივცემ თავს საკვლავად, რაცა გწადდეთ ის ჰქმნით!
ამ საქმეთა გამბედავი, როგორც მოკვდე ცუდის ენით.
ერთის აზნაურს ვის უქნია ჩემოდენა ხლმის მენით.
რათ გამხადე გაღდებული მუდამ სისხლის ცრემლის დენით".
„მე მეფეთა ორგულობა არა მთქმია არ ვისაგან.
რაცა შევძლი ერთს არ ძალუძს, არ გამოვა ავისაგან.
ლომთა ვიყავ მე მებრძოლი არა გვარი (მეუდარი) არვისაგან.
შუბის წვერთა რკინა ექნის, გული ჩემი არვისაგან!
„ზოგს ბაგრატიონს აწრე სწორს, არ ახსოვთ სამსახური,
რა გინდ რომ ბევრი აამო, ბოლოს არ გიგდონ ყური.
მაბეზღართ სიტყვას უსმენენ ვის ვისთვისა აქვს შური;
ვის რა ჰგაოდა ქართლშია, რომ მეც მეჭამა პური!..

თუმცა ამ მოულოდნელმა თეიმურაზის ღალატმა და სამარცხვინო უმანდურებამ ჩაშალა სააკაძის წყობილებანი. მაგრამ სააკაძე არ გაუთვნოდა იმგვართა კაცთა, რომელნიც შეუშინდებიან რამე გარემოებას. მე წინად მრავალგან დავრწმუნდი, რომ ერთხელ აღებული საქვეყნო საქმისათვის ის არა ჰზოგავს არაფერს თვით უძვირფასესს თავის გულის საუნჯეს, თავის სიცოცხლის წყაროს. დიდი იმედი თეიმურაზისა იმას მაინცა და მაინც არა ჰქონია. და, თუ ეტანებოდა ისევ ამას, იმიტომ რომ გარემოება ისევ ამაზედ უფრო უწყობდა ხელს. როგორც ვიცით ამისი იმედი იყო ხოსრო მირზა, რომელსაც ბოლოს დროს შაჰ-სეფიმ დაარქვა როსტომ, და მეფობდა ამავე სახელით ბოლოს ჟამს, მაგრამ გარემობამ აადებინა ამაზედ ხელი, და მიმართა თეიმურაზს. უღალატა თეიმურაზმა ამასაცა და ამის საქმესაც, სააკაძემ იწყო სხვაფრივ საქმის მოსაზვრა. იმან მიჰმართა მაშინ იმერთა მეფეს, გიორგის. მოინდომა იმის შემწეობით თავისი აზრების შესრულება. სააკაძემ სთხოვა მოხუცებულს გიორგის თავისი ერთათ ერთი შვილი ალექსანდრე ქართლის მეფედ. შემდგომ გიორგის სიკვდილისა ალექსანდრე რჩებოდა ორთავე სამეფოს პატრონი, რაკი ქართლი და იმერეთი იქნებოდა ერთის ხელში, მაშინ დაპყრობა კახეთის აღარ იყო ძნელი. ამაში არც ხონთქარი მოუშლიდა ხელს რათგან ამან გაუწია დიდი სამსახური მით რომ სამესხოდამ განდევნა.

რაკი ეს ჩაიდო გულებაში, ის შეუდგა ცოტ-ცოტათი გიორგი მეფის გაძლიერებას. იმას ეწინააღმდეგებოდა და არ უყვარდა თავისი ქველი წერეთელი, საჩხერეს ბატონი. საკაძეშ მოუდო ამას იმგვარი მიზეზები, რომელნიც თითქო ამას პირად შეეხებოდნენ, რომ ვერც თეიმურაზ და, ვერც რა ვინ სხვა მიხვდებოდა. ის გადუხტა ქველსა, ცხარე ბრძოლაში მოჰკლა ისა და იმისი საუმო სრულიად დაამონა გიორგი მეფეს. ამ ძლიერი მთავრის დამონება იყო დიდი საქმე გიორგი მეფისთვის, იმას თითქმის ერთი-ორად ემატებოდა ძალა...

გამეფება ქართლში ალექსანდრესი და არა გიორგისა, ე. ი. შვილისა, და არა მამისა, რომელიც კიდეც იყო მეფედ, იყო მოსაზრება პოლიტიკური. გიორგი მეფის ქართლში გაბატონება იქნებოდა ისა, რომ ან ქართლი უნდა გამხდარიყო სახონთქრო, ან იმერეთი საყეენო. ქართლი გახდებოდა სახონთქრო—ყეენი არ იყაბულებდა, თვით თეიმურაზივე მისცემდა ყეენს მხარსა, რომ ამითი ეჩვენებინა ერთგულება მაჰმადისათვის და, თუ ქართლი წაუვიდოდა ხელიდამ, კახეთს მაინც მკვიდრთა დაიჭერდა ხელში, და მასუკან გაჭირდებოდა კახეთის შემოერთება საერთო საქართველოში. იმერეთის საყეენოდ გახდომა იყო შეუძლებელი, რადგან იმერეთიჯერ ერთი სრულიად არ იყო სპარსეთის სამხრო, არც სულთანი მიუშვებდა, რომ იმერეთში, ლიხს იქით გადაებიჯნა სპარსეთს და მოსდგომოდა შავს ზღვას, თვით საკაძის აზრისთვის იყო მოუხერხებელი, რადგან სპარსეთი ახლა ჭსვამდა ამის სისხლსა, და ამასთან აბაზი იმდენად შორს მხედველი იყო, რომ არ მისცემდა საკაძეს თავისი აზრების შესრულების ნებას. ამისგამო, უფრო ადვილი იყო სპარსთაცა და ხვანთქარსაც მოუნელებიათ ალექსანდრეს გამეფება ქართლში. შემდგომ, შეიძლებოდა გარემოების დაგვარად წაეყვანა საკაძეს თავისი დაწყობილი საქმე.

ამგვართა მოსაზრებათა დააყენეს საკაძე იმ ფიქრზედ, რომ დაესვა ქართლში მეფედ ალექსანდრე, გიორგი მეფის შვილი, გიორგი სიამოვნებით გახდა ამაზედ უაბულსა და ალუთქვა შვილი მეფედ, ალუთქვა საკაძეს დახმარება ჯარითა.

რომ უფრო ადვილად შესრულებულიყო ეს საქმე, რომ უსი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხლოთ და უზარალოთ დაუცლეულვინებინა თეიმურაზისათვის ქართლის ტახტი, საკაძე სცდილობდა ყოველი თავის ღონით, [illegible] მეცადინეობით მიეზიდნა ზურაბ არაგვის ერისთავი თავისაკენ. ამისთვის ჰხმარობდა საკაძე ყოველს თავის მჭევრმეტყველობას, ყოველს ოსტატობას. მაგრამ ყოველივე იყო ამაო. ზურაბმა ბევრი ხანია ამოირიცხა თავისი მოამაგე სიძე გულიდამ. იმას მიიმხრობდა მოურავი მარტო მაშინ, თუ მისცემდა თავისუფლებას და შემწეობას ყოველს იმის ზოსისხარობის და გაუმაძღრობის ანგარებში. თუ არა, ზურაბს დიდი ხანია სწყუროდა სისხლი საკაძისა. ზურაბმა ცხადად გამოუცხადა თავისი მტრობა თავის სიძეს.

მაშინ საკაძემ მიჰმართა სხვა ღონეს. მოაგონა თავისი ამაგი თავისი გაწრთვნილობა, მოაგონა ამასთან ერთათ ნამსახურობა საქვეყნო საქმეში, და სთხოვდა რომ ახლაც მოეცა ამისთვის მხარი. ამასთან გახსოვდესო, შეუთვალა მოურავმა, რომ თეიმურაზმა დანდობა არ იცისო და მეტადრე უფრო იმ კაცთა, რომელიც მაგას უწევენ სამსახურსო. კაცი, რომელმაც ღალატით მოჰკლა სახელოვანი სარდალი ქაიხოსრო ომანიშვილი, გასცა მტრის ხელთა აღამ ბეგიშვილი, გაიმეტა სასიკვდილოდ გიორგი საკაძე, ეს კაცი არც შენ დაგინდობს სასიკვდილოთაო. ამასთან მოაგონა საკაძემ, რომ თეიმურაზმა მაბეზღართ ენით შენც კინაღამ გინაცვალაო. გარდა ამისა უთვლის ამ გვარს წინასწარმეტყველურს სიტყვებს, რომელნიც კიდეც აუხდნენ ზურაბს:

„რა მე მომკვლენ, ან დამკარგვენ, დაგიწყებენ მიზეზებსა, სიტყვით გზასა ვერ აუხვალ, პასუხისას შეჰკვრენ გზებსა... როდესაც რომ გიხილოთებენ აბნელებენ შენთვის მზესა!“

ყოველივე მაგონება, ყოველივე მოციქულობა, ყოველივე მოლაპარაკება იყო ამაო. ზურაბმა მოიმხრო შვილი ანდუყაფარ ამილახვრისა, იოთამ ამილახვარი, ერთი უძლიერეს თავადთაგანი ქართლში, მოიმხრო ფარსადან ციციშვილი, ჯავახიშვილები და ზოგი ერთი სხვებიც და ცხადათ ამართა საკაძეზედ მახვილი. თეიმურაზმა და ზურაბმა მისცეს ერთმანერთს პირი. გაინაპირეს საკაძე.

დარჩენილიყო ერთი, რომ არ მომხდარიყო ძმათამთარისა

ბრძოლა და სისხლის ღვრა, აეღო სააკაძეს თავისს დიდი ხნის გან-ზრახვაზედ და დაწყობილებაზედ ხელი, კვალად გავარდნილიყო სა-ქართველოდამ და შეჰფარებოდა ისევ უცხო თესლს, უცხო ქვეყანას, უცხო ხელმწიფეს, გაეშვა ქართლი და მთლად საქართველო ღვთის ამარობაზედ, მიენაბარებინა იმ კაცთათვის, რომელთაც არა ჰქონდათ ქვეყნის მოვლის თავი, გარდა თავისი საკუთარი მოგებისა არ იცო-დნენ არაფერი და არა ჰზრუნავდნენ არაფერს; უნდა მიეშვა მთა-ვარნი და დიდებულნი კვალად თავის ნებაზედ, რომ დაჰრეოდნენ ერთმანერთს, მიჰსეოდნენ მეფეებს, შეჰკედლებოდნენ თავის სამშო-ბლოს სამტროდ თავის სამშობლოს მტრებს, დაუპურად უძლურნი, დაემონებინათ თავისუფალი თემები, აერიათ და აეწეწათ დაწყობილი ქვეყნის საქმეები, აეტეხნათ აკლება, ოხრება და განსტამალება ქვეყნი-სა; მიეცა ამით შაჰ-აბაზისათვის კვალად ძალა საქართველოს ბოლოს მოღებისა; ან იარაღით ხელში უნდა შეჰბმოდა ყოვლის თავის ღონით თეიმურაზსა და იმის კახელობას, რომელთაც დაივიწყეს ყოველი ამაგი სააკაძისა, და ზურაბს და მის მომხრე ქართლელობას. რა ცეცხლი უნდა ბრუნებულიყო სააკაძის გულში, როდესაც ის მიიყვა-ნეს ამ უკანასკნელს გადაწყვეტილებამდის, გვისახავს იმისი სიტყვე-ბი, გადუქსილნი თბილელისაგან.

„ქართლს მოვავლე გალავანი აწ ვინ აქცევს ზღუდეებსა,
ჩემად ნაცვლად ჩემს სამკვიდროს ვინ დაიდგავს ბუდეებსა!..“

„რა შაჰ-აბაზ მე ვიახლი არ გამიყვის ნატალები*),
რა მიბრძანის, რა მიბოძის, ტკბილი სიტყვის სათქმელები.“

„მათი დავსთმე სიტკბოება შენთვის (საქართველოსთვის) დავ-
დე თავი სულა,
შვილი, პირმშო საყვარელი, სიცოცხლე და ჩემი სულა...“

„ჩემობით მებრალები, კამე ქართლო სუსტობისთვის,
გალავანი დაგექცევა, გადგებიან თავთავისთვის.

„მე ზომ ჩემი პირნახული აწ დავაგდო როგორც სხვისთვის
ოდეს მტერი წამოგატყდეთ, მომიგონებთ ამ სიტყვისთვის

„თავს ვეტყოდი: ქართლისათვის მოკვდი წაგნი აწ ამება,

---

*) არაფერი არ გამყოლია თანაო.

ვინ სჯულს ჰკრუვნიდეს, გვისუსტებდეს, მათთვის შვილდი აწ ამ[illegible]

„ყველამ იცით, რომე ქართლი ჩემი ხელით დაღსნილია,
თვარ შეიტყობთ ამას იქით, მტერი კიდევ ახსნილია,
ჩემი ხმლისა ნაშოვარის გულის პირი წაღსნილია...“.

„ამდენს ხანსა ვეღარ გავძლებ, რაც ხანი მაქვს განაჩული,
არ დავზოგე ქართლისათვის ძმა, ძენი და განაჩული,
თავი დავდევ საწამებლად, ხორცი საკვდად, განა სული“.

თქმა არ უნდა ამ სიტყვების მთქმელი არც ამოდენა ამაგს, რაც იმას საქართველოზედ გაუწია, დასთმობდა, არც აპდობდა თავის მტრებს თავისგნით აღდგენილს ქვეყნებს, არც ინდომებდა უსისხლოთ იმათს ხელში ქვეყნის ჩავდებას და ქვეყნის დაღუპვას, რომელიც კიდეც მოხდა შემდეგში, როდესაც ზურაბისა და თეიმურაზისაგან ძლეული სააკაძე იძულებული იყო გასცლოდა კვალად თავის ქვეყანას და მტრებს; და არც დასთმობდა თავის დაწყობილებას, რომელზედაც იყო დამოკიდებული—იცოცხლოს საქართველომ, თუ საუკუნოთ მოუდოს სხვის ხელსა და მონებაში ბოლო. დარჩენილიყო ძმის სისხლის ღვრა, რომ საბოლოოდ მაინც შეელებოდა ამდენის ხნის წამებულს საქართველოს.

მაგრამ ჯურობით ის იყო მოუმზადებელი, იმას მტრობამ მოასწრო ცუდ დროს. ის იძულებული იყო გასცლოდა მათ იმერეთში. იმერეთში ის მიიღეს როგორც მეფე. გიორგი, იმერთა მეფე, დადიანი. გურიელი, შარვაშიძე, ყველა ცალკე იწვევდა თავისთან, სთხოვდნენ მათთან შეხიზვნას, მათთან სამკვიდროთ ყოფნას.

მაგრამ, სააკაძის განძრახვა იყო სხვა. ის ისრე ადვილათ ვერ დასთმობდა თავის დიდებულს საქმეებს. იმან აქედამ იწყო მზადება ქართლში თავისი მომხრე თავადობისა. იმერთა მეფისაგან ითხოვა ჯარი. ითხოვა ჯარი სამესხოდამ, სადაც იმას ჰყავდა დიდძალი მომხრენი და რომელნიც ასრე იყვნენ იმისაგან დავალებულნი.

როცა გაამზადა ყველა, ის უცებ ჩამოვიდა ქართლში. ჩამოვიდა, როგორც ბატონი.

იმან გადაავენა ქართლის მეფობიდამ თეიმურაზ. დროებით ქართლის გამგეთ, ვიდრემ დაუმტკიცებდა იმერთა მეფის შვილს,,

დანიშნა ქაიხოსრო მუხრანის ბატონი ბაგრატიონი, კაცი მხნე და ჭკვიანი *). იმერნი და მესხნი მოვიდნენ. გაჩნდა ძმის სისხლის მღვრელი ბრძოლა. მთელი საქართველო გაიყო შუაზედ: დასავლეთი იდგა სააკაძის მხარეს, აღმოსავლეთი თეიმურაზისა და ზურაბის მხარეს. არ იღებდნენ ამ ომში მონაწილეობას მხოლოდ ოდიშარნი, ე. ი. მეგრელნი, სვანნი, აფხაზნი, გურულნი, აჭარა ლივანით და ქობულეთითურთ.

## ბაზალეთი.

მოურავის გულში ტრიალებდა გეენის ალი, ის თითქმის ეოემობდა ომსა. ის ადგა საბრძოლველად და სასისხლედ იმავე ქართველთა, რომელნიც ამან იხსნა საუკუნოდ მოსპობისაგან, რომელთაც ამან შესწირა ყოველი თავისი ბედნიერება, თავისი სიცოცხლე. ის უნდა ებრძოდა იმ მეფეს, რომელიც თვითონ გაამეფა, რომელზედაც ამყარებდა თავის იმედებს, საქართველოს მომავალს ბედნიერებას; იმას უნდა დაეღვარა სისხლი ზურაბისა, რომელიც გაეზარდნა შვილივით, რომელიც ამასთან ერთად თავგაწირული იბრძოდა საქართველოს დასახსნელად, რომელიც ამას უყვარდა შვილზედ უმეტესად.

როდესაც მიდგა საქმე ომზედ და დაინახა კახელნი, სააკაძეს აუდუღდა გული. ამის გულში გაიღვიძა ამაგის სიტკბოებამ. ამას მოსდგომოდნენ სამესისხლოდ ის კახელნი, რომელთაც დღეს ამისით ედგათ სული. ამისით შესცქეროდნენ მზის ნათელსა, ამისით ჰხარობდნენ ცოლსა და შვილს, ამისით გადარჩნენ თავისი ცოლ-შვილის თავის თვალწინ გაწყვეტის ნახვასა. სააკაძე იყო მიმდგარი

---

1) ეს ის ქაიხოსრო ბაგრატიონია, რომელიც რუსთა მოციქულთ მიჰყავდათ ბორის გოდუნოვის ქალის შესართავად. მაგრამ მოსე ჯანაშვილმა წაართვა ამას საცოლო და მისცა ხოსრო მირზას, რომელიც იყო გათათრებული დაუთხან ბაგრატიონის შვილი უკანონო თათრის ქალისაგან. მაშასადამე რუსებს ვერც შეაძლევდა ამას მეფის სიძეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუსისხლოდ იმავე გახელებზედ, რომელთაც თვითონვე მისცა სიცოცხლე. საავაძეს უნდა დაეკლა თავისი ხელით თავისგან [illegible] დგენილი სიცოცხლე, თავისი შვილები... საშინელი ბრძოლა ხდებოდა მოურავის გულში: სიცოცხლე თუ სიკვდილი?!—ჰამლეტის კითხვა ჯოჯოხეთის ცეცხლივით ტრიალებდა იმის გულსა და გვამში აქ იყო სწორეთ კითხვა სიცოცხლისა თუ სიკვდილისა. სიცოცხლე თუ სიკვდილი უნდა გადაწყვეტილიყო ერთისა და ორი კაცისა-კი არა. მთელი საქართველოს მომავლისა.

ძნელად თუ სარდალი გაიმარჯვებს, როდესაც არის ყოყმანში. ყოყმანში მყოფი არამც თუ სარდალი, და ძვირათ თუ გაიმარჯვებს თვით უბრალო საქმეში უბრალო მდაბიო კაციც. გამარჯვება იმისია, ვინც გადაკვეთით დაუყონებლივ მიდის საქმეზედ ყოვლის თავის ძალით, ყოვლის სასოებით, ყოვლი თავისი გულით. თვით ბევრი დაკითხვაც გონებისა, ხშირათ მავნეა საქმისათვის.

საავაძე ყოყმობდა, ზურაბ და თეიმურაზ მოდიოდნენ გადაწყვეტით.

მოურავის ყოყმობას დაერთო ერთი რამ გარემოებაც, რომელმაც მოუღო ამის წყობილებას ბოლო.

ერთი საგნო ზნე სწირს ქართველობას და მის მხედრობას. დიდხანს ომის ლოდინი არ უყვართ. თუ მაშინვე არ აკვეთე, რამწამ მოადგა მტერსა, აუცრუვდება გული, წავა შინა. დიდს ხანს მოთმენა და მტრის ყურება შორიდამ არ შეუძლიან. მარაბდის ომის წაგების ერთი მიზეზთაგანი იყო ეს მოუთმენლობა ქართველობისა. საავაძის დევიზი იყო, სადაც სჯობდა უეცარი ბრძოლა, ებრძოლნა უეცრივ, სადაც სჯობდა ლოდინი და მოთმინება—იქ მოთმენით ეძლია მტერი. მოთმენა ქართველს მხედრობას არსად ეწერა. რო დავაკვირდეთ გარემოებას, არც არის ეს საკვირველი. სადაც არ არის რეგულიარული მუდმივი ჯარი, იქ ომში მომეტებული ნაწილი მიდის იმისთანა ხალხი, რომელსაც მთელი ხალხის მოვალეობა აწევს კისერზედ. იმის გარეთ გასვლა და სახლობის თითქმის უნუგეშობა ერთი იყო. აღარც ხვნა აღარც თესვა, აღარც მოსავლის მოვლა. არც საქონლის პატრონობა, აღარც სხვარიგათ ოჯახის მოვლა.

ამისგამო ყველა ესწრაფოდა მალე ბრძოლას და საქმის გათავებას, რომ მიეხედნა თავის სახლობისათვის, მიჰპატრონებოდა საოჯახო საქმეთა, ურომლისოთაც იმას იგივე დღე ადგებოდა თითქმისა, რაც ომის წაგებით.

სააკაძე ორ რიგათ ყოყმობდა ომს: ერთი იმითი რომ ერიდებოდა ძმის სისხლში ხელის გასვრას, მეორე არ უნდოდა მტრის მოსპობა, რადგანაც ისინი იყვნენ თავის მამულში, თავის სამკვიდროში, იყვნენ გამაგრებულნი. ამას უნდოდა გამოეტყუებინა ისინი სამეხრანოში. მოსულმა იმერლის და სამესხოს ჯარებმა პირდაპირ გამოუცხადეს მოურავს, რომ იმათ მოცდა აღარ შეუძლიანთ და თუ მოუღობდნენ ომს, მიიწევდნენ სამშრად.

საკაძე იძულებული იყო დამორჩილებოდა ამ თხოვნას.

„შემოწყეულთა ლაშქართა ვერ უშვრდი ამად თავსა,
სტუმართა და თვით მოსულთა, რას ვეტყოდი ამათ აგსა“.

რომ გასცლოდნენ იმერნი და მესხნი მაშინ თითქმის ნახევარი აღარ რჩებოდა ჯარი საკაძისა. მოშველე ჯარი ამაყობდა, დიდგულობდა. საკაძე არ ელოდა ამას. ის დაიძრა სამეხრანოდამ, სადაც იდგა ეს ჯარით. დაძვრის უმალ ატყდა საშინელი წვიმა და ავდარი. სიცივე უვლიდა ჯარს ძვალსა და რბილში.

დალალული გალურთხული წვიმისაგან, მუხლებამდის ლაფში ამოვლებული, ხელებ-დაბუჟული მივიდა საკაძეს ჯარი ბაზალეთის ტბის პირას, სადაც იდგა ზურაბის და თეიმურაზის ჯარები. სახლებსა და ფანჩატურებში გაწყობილები.

მოსამრობლად და მოსათბობლად, საკაძემ შეაყენა ჯარი და დაანთებინა ცეცხლები.

ზურაბ იყო გაწრთვნილი საკაძისა. იმან იცოდა, რაც დღე ადგებოდათ ამ საშინელს დღეში ნავალს საკაძის ჯარებსა. იმან ისარგებლა ამითი. რამწამს დაინახა საკაძის ჯარი, იმწამვე აშალა თავისი ნათბილარევი ჯარი და საშინელი სისწრაფით გასწია თავის გამზრდელის შესამუსრავად.

სწვიმდა კოკის პირულად. ავდრის მომტანი ქარი მოსისინებდა და მოჰქროდა დრუბელი და ავდარი.

ზურაბმა მოუარა სწორედ იმ მხრიდამ, საიდამაც მოდიოდა ქარი და ავდარი. ის მედგარის სისწრაფით და მრისხანეობით მიეტაკა სააკაძის მოწყვეტილსა და ავდრისაგან შეწუხებულს ჯარსა. მეიქნა მედგარი ბრძოლა. სააკაძის ჯართ შემოიკრიბეს ყოველი თავისი ძალა და მიეგებნენ გამაგებულს ზურაბსა და თეიმურაზის ჯარებს. მაგრამ, ისეც მოღალულთა და მოწყვეტილთ მგზავრობის და ავდრისაგან, დაბუხულთ სიცივისაგან დაერთოთ ახალი უბედურება ავდარი სცემდათ თავპირში, და არ ახელინებდა თვალებსა.

აქ საჭირო იყო პირად მოქმედება ჯარში, გამხნევება და განკარგულება სარდლისა, სწორედ ამ დროს დადგა სააკაძე უკან. იმან ვერა სძლია გულსა, ვერ ჩავიდა ომში, მოერიდა პირად მაინც ძმათა სისხლში გარევას. აქ სააკაძემ ჩაიდინა ის, რაც ვიკტორ-ჰიუგომ ნაპოლეონ მეორის დროს 2 დეკემბერს, როდესაც უზურპატორმა დაატყვევა პარლამენტი. ვიკტორ ჰიუგო ნაპოლეონის საწინააღმდეგოთ ამართვინებდა პარიჟელებს ბარიკადებსა, ჰგზავნიდა ხალხს ნაპოლეონის ჯარების საბრძოლველად, და როდესაც ერთს ბარიკადაზედ, სადაც საქმეს განაგებდა ჰიუგო, მოკლეს ერთი მებარიკადე და იმისი თოფი დარჩა ისე, მისცეს თოფი ჰიუგოსა და უთხრეს, გვიშველე. დაუწყე შენც სროლა ჯარებსაო, ჰიუგომ ვერ იკისრა ესა: მე ჩემი ხელით ვერ დავღვრი მოძმის სისხლსაო. სწორედ ასრე მოახდინა სააკაძემაც. ის მოერიდა თავისი ხელით მოძმის სისხლის დაღვრას, და ეს მოძმე ჰკლავდა ამასაც და ამის საქმესაც, როგორც ნაპოლეონი და ამისი ჯარები ჰიუგოსაცა და იმის საქმესაც... სააკაძე დადგა შორს და გულის კვნესით უყურებდა ქართველი როგორ ესობდა ქართველსავე გულში მახვილსა, გამხეცებული ძმა როგორა ჰღვრიდა თავისავე ძმის სისხლსა.

გაჭირდა საქმე. უეჭველად საჭირო იყო ომში შესვლა სააკაძისა. სააკაძემ თავის მაგიერად შესვა თავის ლურჯს ცხენზედ მეხ-ხი, დავით მოგორიშვილი, რომელსაც დიდი სამსახური გაუწია ამას მესხოდამ სპარსთა განდევნაში. ჩააცვა ამას თავისი ჯაჭვ-ჩაჩქანი, მისცა თავისი იარაღი, დახურა თავისი მუზარადი და გაუშვა თავის მაგიერად ომში. გოგორიშვილი იყო დიდი ვაჟკაცი, საშინელი მოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანილი, მარჯვე მეომარი, რიხიანი კაცი. ის ნამდვილად გმირულად მიეტია ზურაბისა და თეიმურაზის ჯარებს.

ზურაბისა და თეიმურაზის ჯარში. კახელი ედიშა ვაჩნაძეს[1] დაწყობილობით იყო საიდუმლო შეთქმულობა, რომლითაც შეთქმულები გაიფიცვნენ, რომ მოურავი, ძალით იქნებოდა თუ ღალატით უთუოთ მოეკლათ უკეთუ მადლს კახელები ვერ გადუხდიდნენ სააკაძეს! დიახ! კახელებმა გადაწყვიტეს სააკაძის ღალატით მოკვლა, იმ სააკაძისა, რომელმანაც ეხლა გადაარჩინა მთლად ცოლ-შვილიანათ ამოწყვეტას, მთელი კახეთი მოსპობას, მოაშენა და დაამკვიდრა კახეთი, შეუკრა დაღესტანის კრიჭა, რომ კახეთის ვნება აღარ შესძლებოდა. „თუ არ მოკვდა სააკაძე, დაიღუპა ქვეყანაო!" გადაწყვიტეს კახელთა, შაეფიცნენ უკეთესს კახეთის ვაჟკაცს ედიშას. შეეფიცნენ კახელნი და ქებდნენ გაცხარებულნი შემთხვევას, რომ თავისი გადაწყვეტილება მოეყვანათ აღსრულებაში.

ბრძოლა თან და თან ცხარდებოდა. თუმცა ყოველს სარდარს სიმარჯვეს იყო ჯარი სააკაძისა მოკლებული, თუმცა წვიმა და ქარი არ ახელინებდა იმათ თვალებს, თუმცა ყოველს მხარეს საშინლად ეტევებოდნენ თეიმურაზისა და ზურაბის ჯარები, მაგრამ რა-კი დაინახეს იმათ გოგორიშვილი სააკაძის ცხენითა და სარდარი ტანისამოსით, დაივიწყეს ყოველისფერი, შეხურდნენ საშინლად, გააფთრებულნი მიეტევნენ მოსულს თეიმურაზის ჯარებს, შეაფერხეს ისინი, და ალაგ-ალაგ არიეს კიდეც.

გოგორიშვილი ეგონათ სააკაძე. იმას მიეტივნენ შეთქმულები. გოგორიშვილი მოასპობდა ჯარებს და მიდიოდა ხოცვით. შეთქმულებმა, რა-კი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სააკაძე ომში მაშინვე მიეტყვება თეიმურაზს,—როგორც მიმინო ხორცს, ისრე დაანახვეს გოგორიშვილს მორიდამ თეიმურაზი. შეთქმულები მიეყვარ-მოეყვარნენ, რომ უფრო წინ წაეტყუებინათ გოგორიშვილი. გოგორიშვილმა დაინახა თუ არა თეიმურაზ, გადასთელა ჯარები და მართლაცა და გაიწია იმისკენ. აქ უცებ შემოერტყნენ შეთქმულები. ამათში იყო ზურაბიც. მაგრამ, მინამ შეთქმულები დააკლებდნენ რასმე გო-

[1]) ზოგთა თქმით ეს ედიშა იყო ჩოლოყაშვილი. ეს შეცდომაა.

გორიშვილს, ის სწვდა კიდევ თეიმურაზს. იმანა და თეიმურაზმა ჭკრეს კიდევ ერთმანერთს შუბები. შეთქმულები შემოერტყნენ და დაუშინეს გოგორიშვილს. აზნაური ზურაბისა, საამ კობიაშვილი შეუპირდაპირდა ამ სახელოვანს მესხს. კობიაშვილმა დასცა რამდენჯერმე შუბი, შემოჰკრა ხმალი , მაგრამ ამაოდ: შუბი და ხმალი გოგორიშვილს ვერას აკლებდნენ. გოგორაშვილი იბრძოდა ნამდვილი ლომივით. მაშინ ეცა გამოცდილი ბრძოლაში და მოსაზრებული მეომარი ზურაბ. „დასდევ მოურავო!“ შესძახა იმან, და რა-კი იცოდა, რომ რკინის ჩაჩქანში ხმალი ვერ გასტანდა, იმან უშარჯვა ხმალი ბარკალში იმ ადაგას, სადაც იცოდა, რომ იყო ცალიერი ადაკი, უჩაჩქნო და ურკინო. ერთი დაკვრით იმან გააგდებინა ბარკალი იმ კაცს, რომელიც საქართველოს თავისუფლებისთვის ისე ცხარეთ და მედგრათ ებრძოდა სააკაძესთან ერთათ სპარსებს სამესხოში. შეთქმულები მოერტყნენ და აჰკაფეს გოგორიშვილი დუკმა-დუკმა, დარწმუნებულნი, რომ ჰკლავდნენ მოურავს.

ერთმხრივ ჯარი თეიმურაზისა, დარწმუნებული რომ მოჰკლეს მოურავი, დასცეს საშინელი ყიყინა და ერთი ათად გამხნევებული მიეტივა სააკაძის ჯარებს; მეორეს მხრივ, ჯარი სააკაძისა, ეგრეთვე დარწმუნებული, რომ მოჰკლეს იმათი უძლევველი გმირი მოურავი, განდრკნენ, ადრიკეს ერთმანერთს ზურგი და აირივნენ.

აქ მეტი ჩარა აღარ იყო, სააკაძეს უნდა დაენებებინა უალაგო შებრალებისა და გულის ტკივილისათვის თავი. დადგა დღე განჩინებისა. მისი ყოველი ჭკირნახული ხდებოდა, ქდებოდა ბოლო. ის გაალმასებული ჩამოერია ბრძოლაში. ამის დანახვაზედ, იმ ადგილის ჯარი, სადაც ეს შევიდა ბრძოლაში, ისევ გამხნევდა და მიუბრუნდა ცხარე ბრძოლით თეიმურაზის ჯარებს. თუმცა დადალვა და მოქანცულობა ცხადათ ეტყობოდათ ყველას. დაუჭრელი ბევრი აღარავინ იყო. მოურავის დანახვაზედ აირია ჯარი თეიმურაზისა. სააკაძემ წაიღო შორს თავისი მტრის ჯარები, შეაქცია გროვა მკვდართა. მაგრამ სხვა ადაგებში საქმე მოურავისა იყო წაგებული. ზურაბ საშინელი სიმხნევით და მოხერხებით ეტევებოდა ყოველ მხრივ მოურავის ჯარებს, და ზარდაცემული შესძრა ისინი ყოველგან.

გაიგეს კახელობამ და შეთქმულთა თავისი შეცდომა მოურავის სიკვდილზედ. იმათ შეიტყეს, რომ მოურავი ჩამოურჩა ამათ ჯარებს, შესძახა და სდევნის მედგრათა. შეთქმულნი პირველი დაიძრნენ საკაძისაკენ. ისინი შეხვდნენ საკაძეს. პირველი მიეგება იმას გაფიცულთა და შეთქმულთა მოთავე ედიშა. „მოვიდა შენი აღსასრულის დღე მოურავო!“ შესძახა იმან და შემოჰკრა ხმალი. საკაძე დაიჭრა. დაჭრილმა საკაძემ ჰკრა ხმალი ედიშას და გადააგდო ცხენიდამ. ედიშა ეცა ქვეითი და წამოუშინა შუბი. მოურავმა ჰკრა ხელმეორეთ ხმალი, გაუპო მუზარადი და გადაუჩეხა მუაზედ თავი. ედიშამ იქვე დალია სული. შეთქმულებმა იკადრეს განის მიცემა. საკაძემ შესძრა მაზედ მოსული ჯარებიც. სასწორი გამარჯვებისა იხრებოდა ამისაკენ. მაგრამ ის დაჰღუპა კიდევ თავისმა სიბრალულმა და სიყვარულმა. ის შეხვდა თეიმურაზს. საკაძის დანახვაზედ თეიმურაზ გაიქცა. გაქცეულს ჰკრა საკაძემ ზურგში ლახტი, მაგრამ უეცებ შეინანა, ვეღარ გაიმეტა სასიკვდილოთ და გამობრუნდა თვითონვე უკან. თეიმურაზის სიკვდილი და იმისი ისეც შერყეული ჯარის დაძვრა იქნებოდა ერთი. საკაძემ ვერ გაიმეტა თეიმურაზ, და წააგო თავისი საქმე.

არ გაიმეტა ამან თეიმურაზ და ზურაბი, რომელსაც წინადვე აღუთქვა, რომ შენ სასიკვდილოთ არ გაგწირავ და არც არავის სხვას მივცემ შენი სიკვდილის ნებასათ. მაგრამ გაიმეტეს ეს ზურაბმაც და თეიმურაზმაც. ზურაბ მედგარივით ესეოდა საკაძის ჯარებს, იმან გაჰფანტა ყოველ მხრივ ჯარნი მოწინაღმდეგეთა, გაუსია იმათ ცხენოსნები სადევნელად, და თვითონ დანაშთენი ჯარით მოუბრუნდა მოურავს. ის მოექცა იმას უკანა მხრიდამ და მოეტია საშინელი მრისხანებით. ჯარი მოურავისა მოემწყვდა შუაში. შეიქნა მედგარი ბრძოლა, ბრძოლა ძმათა ერთმანერთში. ისრე არასოდეს არა ცხარდება და არა მწვავდება ომი, როგორც ომი ძმათა შორის. გარეშე მტერთა, რა-კი არ იციან ერთმანეთის ამბავი, ხასიათი, არ არიან ერთმანერთის შეჩვეულნი, აქვთ ერთმანერთის რიდი, ერთმანერთის შიში. ძმანი იცნობენ ერთმანერთს, იციან ერთმანერთის ნაკლი და ყოველი თვისება, ამის გამო არა აქვთ ისრე ერთმანერთის

რიდი და შიში, ეკვეთებიან ერთმანერთს უკანასკნელებამდის. საშინელება იყო ეს დაუვიწყარი ძმათა შორისი ბრძოლა ბაზალეთთს. მოწყვეტილი და მოქანცული მცირე ჯარი სააკაძისა, რომელთაგან აღარც ერთი აღარ იყო დაუკოდავი, ებრძოდა თავგაწირვით ზურაბის ჯარებს. თავის მხრივ, ზურაბისა და თეიმურაზის ჯარები ამჯობინებდნენ მთლად გაწყვეტას, ვიდრემ გაუმარჯვებლობას... ზურაბ განაგებდა საშინელი სიმარჯვით ომს. ის უკეთესთა და უკეთესთ მეომართ უსევდა მოურავს. მოურავი დაიჭრა კიდევ რამდენჯერმე. ის იცლებოდა სისხლიდამ, ის ცოცხალ-მკვდარი გადმოვარდა ცხენიდამ. თავისმა ჯარმა სასწრაფოთ გაჰხადა ამას ჩაჩქანი, აიღეს ხელში, გამოაჰვეს შუა ზურაბის ჯარები და თავგანწირული ბრძოლით ძლივს გამოასწრეს თავისი მბრძანებელი სამშვიდობოს.

გამარჯვება დარჩათ თეიმურაზსა და ზურაბს. არც ერთი კაცი, როგორც გამოჩნდა შემდეგში, არ გადარჩა დაჭრას ამ საშინელს ომში არც თეიმურაზისა და არც მოურავის ჯარში. მატიანე მოგვითხრობს, რომ ამ გვარი ცხარე ომი ძნელად თუ მომხდარა როდისმეო.

დამარცხდა მოურავი, და ვინ იცის, კოსტუშკოსავით ამანაც შესძახა: მოვიდა საქართველოვ შენი აღსასრულიო!.. ბაზალეთის ომის უკან საქართველოს პოლიტიკური სიცოცხლე გათავებული იყო, ბაზალეთში თეიმურაზის გამარჯვებამ მოუღო საქართველოს თავისუფლებას ბოლო.

საშინელი მხეცური და არაკაცური იყო ქცევა თეიმურაზისა ტყვეებთან. იმან დაასახიჩრა და დაახეიბრა ყველა ის მოთავენი და სარდალნი, რომელნიც სააკაძის ჯარიდამ ჩაუვარდნენ იმას ხელში. არც ხვეწნა, არც ვედრება, რომ ნუ აკადრებდა თავის თავს ამგვარს ქცევასა და ნუ დასდებდა ამათ ნასადს, არ გადიოდა თეიმურაზთან. გამოსულმა მოთმინებიდამ იმერთა სარდალმა ხოსია მაჭავარიანმა, რომელსაც თეიმურაზმა დააჭრა ყურები, მიჰყო პირი თეიმურაზს და აკადრა ისეთები, რომელსაც არამც თუ მეფეს და უკანასკნელსაც არ აკადრებენ...

სააკაძე იძულებული იყო გასცლოდა კვალად საქართველოს.

სააკაძის ერთი მაღალ ღირსებათაგანი იყო ისა, რომ არასო-დეს არა სდევნიდა პირად თავის მტრებს. ეს კიდევ ცოტაა, ის არა ჰზოგავდა ბრძოლაში ქვეყნის მტერთა,—მე ვამბობ შინაგანს მტრებზედ,—მაგრამ, როდესაც ისინი ჩაუვარდებოდნენ ხელში, ეს ეპყრობოდა ლმობიერად, ღირსებით, არას ოდეს არა ჰხდიდა იმათ არც სასისხლოთ, არც საუპატიუროდ. ამის მაგალითს ვხედავთ ყოველს ნაბიჯზედ. ავიღოთ შადიმან ბარათაშვილი. შადიმან ხდე-ბა ყოველი იმისი უბედურების თავი. შადიმან სდევნის ამას სა-სიკვდილოდ, სდევნის ამის ცოლშვილს, ძმებს, უწვამს სახლკარს, სარჩო-საბადებელს, აღებინებს მეფეს ამის დაზედ ხელს, სდევნის თავის ქვეყნიდამ. სააკაძე ბრუნდება საქართველოში, ხდება დიქ-ტატორი ორი სამეფოსი, სულიცა და ხორციც შადიმანისა არის ამის ხელთა. მაგრამ უხდის სამაგიეროს სააკაძე?! სრულებითაც არა. არც-კი აგონებს თავის ამბებს. შადიმან მშვიდობიანათ ატა-რებს თავის დღეებს თავის სამშობლოში. ერთი პირველი მტერთა-განი და სასტიკი მდევნელი სააკაძისა იყო ფარსადან ციციშვი-ლი. ეს დაეცა ფელის ციხეში ამის დედას, ძმებს და მთელს ამის ძმათა ოჯახობას ამისი მტრობით, უპირებდა მოწყვეტას, მოუკლა კიდეც ერთი ძმა. შემდეგში სდევნიდა კიდევ სააკაძეს და კვალად დაეცა იმას სპარსეთიდამ დაბრუნებულს მოსაკლავად, და სხვა ამ გვარები, მაგრამ რას ვხედავთ? სააკაძე არც-კი აგონებს ამას. პირიქით შაჰ-აბაზის შემოსევაზედ ფარსადან ჰხდება პირველი კა-ცი და ლუარსაბის წაყვანის უკან ამას აყენებს შაჰი მეფის მაგიერ. ქაიხოსრო ჯავახიშვილი იგდებს რამდენჯერმე ამის სახლსა, აუპა-ტიურებს ამის დედასა—ხალხის თქმით იმის პერანგის ამხანაგს აკეთებინებს ბაირახათ,—სტაცებს სარჩო-საცხოვრებელს, აპატიმ-რებინებს მეფეს ამის ერთგულს კაცებს, უკლავს ფარსადან ციცი-შვილთან ერთად სააკაძის საკუთარს ციხეზედ დაცემის დროს ძმასა. მაგრამ რით უხდის იმას სააკაძე?—როცა ბრუნდება ძლიერებით მოსილი სპარსეთიდამ, ჯავახიშვილი გარბის იმერეთს; სააკაძე უყე-ნებს კაცებს და აბრუნებს უკან. არავითარს ვნებას არ აძლევს იმას, პირიქით როგორც ზემოთაც ითქვა, ბეითალმან საციციანო

მამულებს აძლევს ამასა. მხოლოდ, როდესაც შემდეგში კიდევ ქაიხოსრო არ იშლის ამის მტრობას, ის უჩივის ამას სამართლიანად და სამართლითა თხოულობს თავის საუპატიუროს. ყველას პატივება შეუძლიან, და რომ ქართველმა კაცმა მიუტევოს ვისმე ცოლის და დედის გაუპატიურება—ეს ძნელი წარმოსადგენია. მაგრამ, რას ვხედავთ? როდესაც შაჰ-აბაზის პირველი შემოსევის უკან ფარსადან ციციშვილის დახმარებით თეიმურაზ ჰბატონობს ქართლშიაც, ქაიხოსრო ჯავახიშვილის ბეზღებით და სხვა დიდებულთა შეგონებით აძლევს ქაიხოსრო ჯავახიშვილს გასაუპატიურებლად ამის მოხუცებულს დედას, თამარასა, რით უხდის ამას მოურავი თეიმურაზს?—გაანთავისუფლებს თუ არა ქართლ-კახეთს სპარსთაგან, თეიმურაზს აძლევს ორთავე სამეფოს, აძლევს ფას დაუდებელს სამეფო საგანძურს, რომელიც, არჩილ მეფის სიტყვით, ერთ სამეფოდ ისიც ჰღირდა, აძლევს თავის-თავს, თავის ცოლს, თავის შვილებს საუმთოთ. ამავე დიდებულს ქცევას ვხედავთ კოლოტაურის საქმეში. კოლოტაური სდევნის სააკაძეს სამშვიდობოს გასულს ლუარსაბ მეფისგან განდევნის დროს. კოლოტაური თავისი ჯარაულებით უპირებს ამას მოკვლას. სააკაძე ჯერ ეხვეწება თავი დაანებეო. ის არ ეშვება, იწევს სასიკვდილოთ. მოურავი მარტო შუბის ჯიგლიგსა ჰკრავს, გადმოაგდებს ცხენიდამ და არ იმეტებს იმას სასიკვდილოთ, ანებებს აარე მიბნედილს თავს. ამასვე ვხედავთ ანდუყაფარ ამილახვრისა და ქაიხოსრო ბარათაშვილის შესახებ. იცის აშკარათ ამათი მოღალატობა ქვეყნისა, მაგრამ ის ამათ არ იმეტებს დასახოცათ, ის მხოლოდ ატყვევებს ამათა. ამგვარათვე ექცევა შემდეგში თეიმურაზს, როდესაც გაუგებს იმას ღალატს. ამგვარადვე ექცევა ზურაბს, იმას აქვს ათასი მიზეზი და შემთხვევა უყოს ამათ მაგიერი, მაგრამ ის არა კადრულობს ამას, პირიქით ის აი რას უთვლის ზურაბს ბაზალეთის ომის წინ, როდესაც დარწმუნდება, ზურაბ არამც თუ მიემხრო თეიმურაზს, პირიქით ესა ხდება ფარხმალი თეიმურაზისა.

„ვირ ცოცხალ ვიყო, შენც გქონდეს იმედი სიცოცხლისაო. ესე სიტყვანი გახსოვდეს სიძის მონახულ ბრძნისაო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრემ ცოცხალვარ სიკვდილი შენი სხვამ ვერ იგრძნისა,
შენი სადავეც საკვდავად ჩემზედ ნუ აიძვრისა".

იმ დროს, როდესაც მოსისხარობა, გვარებისაგან მთელი საგვარეულოსა და მათი ერთგული საყმოების ამოწყვეტა ითვლებოდა თითქმის სასახელო გმირობათ, სისხლის ღვრა თავისი საკუთარი ინტერესებისათვის მიაჩნდათ შექცევათ, არც ერთი უბრალო სისხლი, არც ერთი საქმე, რომელიც გვიჩვენებდეს მოურავის პიროვნულს ლტოლვილებას, იმის სულმოკლეობას და სულდაბლობას, ვერა ვხედავთ, და თვით იმისი მოსისხარნი მტერნიც ვერ გვიჩვენებენ ამას.

აი რა პასუხს გვაძლევს თვითონ სააკაძე ამაზედ.

„მეც შემეძლო ამხანაგთა, მაბეზღართა მტერობანი,
მაგრამ დავთმი, ყველას უყვი მიცემა და ფერობანი,
მისთვის, რომე ამით მექნა აოხრებულთ შენობანი"

„სისხლის და ცოდვის ორისავ ვიყავ ნიადაგ კრძალული.
მაგრამ ქართველთა მინდოდა რგება და მწვე სიყვარული,
მათ მოჰფენოდა კეთილი, მზეს ემზო დარი დარული;
მათთან სიკვდილსა ვჯერვიყავ, რომ ვიყავ გაუმწარული".

მაშინაც კი, როდესაც თეიმურაზმა, ამისგანვე გამეფებულმა ორს სამეფოში და ათასგვარად დავალებულმა გაიმეტა ეს სასიკვდილოთ, და, შემდეგ ბაზალეთის ბრძოლისა და მარცხისა, გავარდა სტამბოლში, აქაც კი ის სცდილობს თეიმურაზს სიკეთე გაუწიოს და არავისთან მის მტრობას არ იჩენს.

1626 წ. როდესაც სააკაძე, განდევნილი საქართველოდამ, შემდგომ ბაზალეთის ბრძოლისა ზურაბისა და თეიმურაზისაგან იმყოფებოდა კონსტანტინეპოლს, ამ დროს, გზად საქართველოში გაიარეს აქ კათოლიკეთა მისიონერებმა თეატინელების ორდენის ბერებმა. აი რას ვკითხულობთ თამარაშვილის წიგნში „კათოლიკობის ისტორია საქართველოში:" ამ დროს აქვე იყო ერთი ქართველი თავადი, თეიმურაზის ელჩი, სახელად მორაო (მოურავი ან მავრო), რომელსაც მეფის მინდობილებანი აღესრულებინა... მისიონერებმა ამ ქართველის უთხრა რომ შეეტყვეს კონსტანტინეპოლში, სავრან-

გეთის ელჩის რჩევით დაუახლოვდნენ... ქართველ ელჩსაც დიდად გაუხარდა მათი ნახვა და დაარწმუნა, **თეიმურაზს დიდათ გაუხარდება თქვენი მისვლა და დიდის პატივისცემით მიგიღებთო.** საფრანგეთის ელჩმა ის თავადი რამდენჯერმე მიიწვია თავისთან სადილად, რომ მისსიონერები უფრო დაეახლოვებინა და დაემეგობრებინა მისთვის“ (თამარაშვილი, კათოლ. ისტ. საქართ. გვ. 99).

არამც თუ მტრობას არ იჩენს აქაც თეიმურაზისას, კიდევაც ქვეყანას თავს ისე უჩვენებს, როგორც მის, თეიმურაზის ერთგულს და სცდილობს მისი კარგი ჩააგონოს მისსიონერებს, რომელნიც მიდიან თეიმურაზთან. ამგვარვე უჩვენებს ყველას, რადგან მას იქ უყურებენ, როგორც თეიმურაზის ელჩს *).

და ეს ხასიათი—ხასიათი ნამდვილია დიდებულთა და ძალა გაუდრეკელთა კაცთა. რა წამს გადავიდა კაცი პირადობაში, გაჰყვა პირად ჯავრის ამოყრას, გაჰქრა მისი დიდება, წახდა ყოველი მისი დიდებული წყობილება და საქმე, წრიოკდება თვით ისიც, ეცემა მისი ავტორიტეტი ხალხის თვალში. სააკაძე იდგა ყველა ამაზედ მაღლა. იმას ჰქონდა ერთი აზრი და ამ აზრს სწირავდა ყველას, ავიწყდებოდა ყველა. ის იდგა ამ ხასიათით მაღლა თვით იმ ხასიათებზედ, რომელსაც გვისახავენ ევროპის სახელოვანი პოეტები. მსოფლიო გენი, ბაირონი, თავის მარინო ფალიერის წინასიტყვაობაში ამბობს, რომ, თუმცა წინადაც თანაუგრძნობდა საზოგადო საქმეთა მარინო ფალიერი, მაგრამ თავგამეტებით ამ საქმეებს მხოლოდ მაშინ შეუდგა, როდესაც არისტოკრატებმა უპატიურება მიაყენეს ამის ცოლსაო. და ეს ისრეთი ფსიხოლოგიური ფაქტია, რომ დღის პატივისდებათაო, და თითქმის ყველა დიდებულს საქმეში ურევია რამ პიროვნულიო. მაშინ, როდესაც ამისთანა ძლიერი ოც-

*) როგორც სჩანს ეს მისიონერები იყვნენ გამოგზავნილნი ნიკიფორე, ანუ როგორც ზოგან ეძახიან, ნიკოლაოზ ბერი ანუ ერბაჩი, ერბაჩო, რომელიც სააკაძის დროს იყო გაგზავნილი ევროპაში, როგორც ზემოთაც ითქვა, ევროპასთან გასაცნობლად და დასაახლოვებლად საქართველოსთან.

ნების, მაღალი პატრონსნებისა, დიდებული ხასიათის პატრონი, რო-გორც დიდებული ბაირონი, რომელმაც თვით შესწორ[illegible]ბის ბედნიერებას თავი, თხზულების იდიალათა ჰრაცხავს მარინო ფალიერის მსგავსთა პირთა,—ამ დროს ჩვენ ამ საშინელს დაცე-მულს და გაფუჭებულს დროს ვხედავთ სააკაძეს, რომელიც, არამც თუ არა ხელმძღვანელობს საზოგადო საქმეში პიროვნული ლტოლ-ვილებით, არამედ ავიწყდება აქ ყოველი პიროვნება, ავიწყდება თავი, ცოლი, შვილი და ყოველივე ისა, რაც შეადგენს კაცისათვის ამ სოფელში უძვირფასეს საუნჯეს,

ამგვარი უჩირქო და თავდადებული ქვეყნის საქმეებისთვის ხა-სიათი იყო მიზეზი, რომ ერთი უბრალო კაცის შვილი, რომელსაც მტრობა ათასს ცილსა და საზიზღრებას სწამებდა, დარჩა დაუვი-წყარი ხალხის ხსოვნაში.

სრულიად პლატონ იოსელიანის მოგონებათ უნდა ჩავთვალოთ ის საზიზღარი თქმულებანი, რომელიც იმასა აქვს მოყვანილი თა-ვის წიგნში სააკაძეზედ და რომელიც ვითომც იმას ხალხში ჭქონ-დეს გაგონილი, როგორც მაგალითად ანდაზა კარადუულს ჩალაზედ. მე თვითონ ვარ ქართლელი, ქართლში დაბადებული, ქართლში ნა-მსახური, დაბადებიდამ დღევანდლამდის თითქმის სულ ხალხში და-ვტრიალებ, ვიცნობ მაღალთაც, შუა და დაბალს საზოგადოებათაც, ვუგდებ და თითქმის ვაგროვებ ყოველს გვარს თქმულებას, არამც თუ ასრეთს კაცზედ, როგორც სააკაძე, და ყოველსავე მას, რაც ჭსახავს ჩვენს ისტორიას, ჩვენს ზნეს, ჩვეულებას, გონს, ხასიათს, წესს, ადათს, და მსგავსი იმ ანდაზების, რომელნიც სააკაძეზედ პლატონსა აქვს მოყვანილი, სრულიად არ გამიგონია, არამც თუ არ გამიგონია, მიკითხავს განგებ იმ კაცთათვის, რომელთაც იციან ყოველგვარი ძველი თქმულებანი და ანდაზანი, და იმათაც-კი გაჭ-კვირვებიათ, ეს გაგონება პირველი ყოფილა იმათთვის. მართალია, არის ანდაზა კარადუულს ჩალაზედ დარჩენილი. მაგრამ ამ ანდაზაში სრულიად არ არის ხსენება არც შაჰ-აბაზისა არც სააკაძისა. ეს ან-დაზა არის დარჩენილი ხალხში გამოსახატავად, რომ დაუჩვეველს სიმდიდრეს კაცი რჩეობს თავის შეჩვეულს სიღარიბეს. ამ ანდაზის

თქმით ყეენს მიჰგვარეს კარალეთიდამ ერთი მშვენიერი ქალი, რომელიც ყეენმა აიყვანა თავის ჰარამში. ის ჩააწვინეს გერმანს, ფარჩის და ზარის ქვეშაგებში. ქალს ეხოთირა ეს და შენატრა: „სად ხარ ჩემო კარალულო ჩალათო!“ ეს არის სრულიად ამ სახით ყველგან მთელი საქართველოს კუთხეში ანდაზად თქმული. აქ არც საააკაძისა, არც მაჰმად-აბასისა, არც სხვა ვისიმე ხსენება სრულიად არ არის. *) არ იცის პლატონმა, რომ იმგვარნი დიდებულნი კაცნი, როგორც შაჰ-აბაზ, თავის დღეში თავის თანასწორად პატივს არა სცემენ იმ კაცთა, რომელნიც ასრე დაიმცირებენ თავსა, რომ ამას დაუწყობ მაჭანკლობა. რისთვის დასწამა ამგვარი საზიზღრებანი პლატონმა სააკაძეს?—ძნელია მისახვედრათ, ვინც არ იცნობს იმის ნაწერებს, ვინც არ იცის იმისი ხასიათი. ჯერ ერთი ესა, როგორც სხვაგანაც უჩვენეთ, პლატონს ოდონდ ეწერა და არ დაგიდევდა, რამდენად ეთანხმებოდა ამისი ნაწერი სინამდვილეს, იმ მასალათ, რომელნიც უჩვენებდნენ საქმის სისწორეს. ამისთან პლატონი იყო გატაცებული კლერიკალი, იმისთვის საკმაო იყო, რომ ამ მიმართულების კაცთა ან წიგნთა ეხსენებინათ ვინმე ცუდათ, რომ ამას ეს დაეჯერებინა, გამოუკვლევათ გაეშვა სტამბაში, როგორც შეურყეველი ჭეშმარიტება და გაესტუმრებინა ხლხში თავისი დამატებებით, სართაულებით, რომელნიც არც ამ მთისა და არც იმ მთიასანი იყვნენ. ამოიკითხა პლატონმა ნიკიფორესა ან ანტონ კათალიკოზის წერილებში, რომ სააკაძე იყო ღვთის გარეგანი, ის იყო მიზეზი ლუარსაბის წამებისა; ლუარსაბ იყო უმანკო, ქრისტეს სჯულისთვის თავდადებული,—და ეს საკმაო იყო პლატონისათვის,

---

*) კარალეთში დღესაც დაწვრილებით ლაპარაკობენ ამ ქალზედ და ასახელებენ, ვისი ქალიცა ყოფილა: ყოფილა თიკა, მაზანდარაშვილის ქალი. რა-კი ვერ შეუწყნარებია ამ ქალს დიდება, ყეენს ისევ გამოუგზავნია სპარსეთიდამ თავის სოფელში, თავის დედ-მამასთან. სადაც ეს ახსოვთ, ისიც ეხსომებოდათ, ვინც იყო ამ ქალის გაცემის მიზეზი. მაგრამ, ჩვენ ვიცით, რომ პლატონ არაფრის წინ არა ბრკოლდება და იგონებს მას, რაც სხვებს სიზმრადაც არა სჩვენებიათ. ალბად მოსე ჯანაშვილი ამისგან იღებდა ნიმუშებს სააკაძის შესახებ მოგონილი ცოლებისა. მაგრამ მოწაფემ დიდად გადააჭარბა თავის მოძღვარს.

რომ სააკაძესთვის არამც თუ დაეწამებინა ის ცილები, რომლებსაც უძღვნიდნენ ამას გაუგებრობით ან მტრობით, და დაერთო ზედ კიდევ ათასი თავისი შეთხზული ცილებიცა. ერთის შეხედვით პლატონ თითქო აქებს სააკაძეს. მაგრამ, როდესაც კაცი ჩაათვიქრდება ამის ნაწერებს სააკაძეზედ, ამ კაცში ჰხედავს, დიდებულს სახეს-კი არა, ჰხედავს რაღაცა დაუდეგარს კაცს, ქვეყნის მტერს, უსაბუთო და უაზრო მოსისხარს, ავაზაკს, როგორც კიდეც ზოგიერთში ეხვენათ ამის ნაწერებიდამ, სხვათა შორის „Новое Время"-ში ამაზედ სტატიის დამწერის ავტორს, და სხვათა მრავალთა.

პირიქით, მე სხვა ანდაზები და თქმულებანი მაქვს გაგონილი ამ დიდებულს კაცზედ, რომელნიც ჰსახავენ ხალხის შეხედულობას ამასა და ამის მტრობაზედ, რომელთაც საჭიროდ ვრაცხ, მოვიყვანო.

1, ერთხელ მეფე ყოფილა სადღაც საზაფხულოდ გასული. მჯდარა თავისის დიდებულებით ჩრდილოში, მთის ფერდობზედ. ამ დროს მიმავალდებულა მეფესთან დიდი მოურავი. როგორც მოითხოვდა მაშინდელი ზრდილობა და ეტიკეტი, ის გადმომხტარა მორიდამვე ცხენიდამ და გამოუწვევია მეფისაკენ. მეფეს სდგომია უკან ერთი დიდებულთაგანი. წამოსულა თუ არა მოურავი მეფესთან, ამ დიდებულს ხელით უნიშნებია იმისთვის—გაბრუნდი უკანაო. სააკაძე, გაოცებული, შემდგარა, და პატარას ხანს უკან ისევ გაუწევია მეფისაკენ. მეფის უკან მდგომს დიდებულს ახლა უფრო ძალიან უნიშნებია—გაბრუნდი წადიო. სააკაძე კიდევ შემდგარა გაკვირვებული სახით, მაგრამ ისევ წასულა მეფისაკენ. მაშინ ამ დიდებულსაც და სხვათაც, რომელთაც მეფე ვერა ჰხედავდა, ისრე გადაწყვეტით უნიშნებიათ გაბრუნება, რომ სააკაძე უნებურად გაბრუნებულა უკან. მეფეს გაჰკვირვებია და უკითხავს: რა ჰქნა ეს მოურავმაო? დიდებულთ მოუხსენებიათ: მაგას რა-კი თქვენთან სინდისი წმინდა არა აქვს, ეშინიან გაგებული არა გქონდეთ მაგისი თქვენზე ბოროტი განზრახვაო: მოდიოდა და რა-კი დაგინახათ, რომ თქვენ სულ თქვენი ერთგული დიდებულნი გეხვივნენ გარსა, ამის გამო შეჩერდა და დაიწყო ყოყმობა—მივიდე თუ არაო: მივიდე, ვაი თუ როგორ იყვეს საქმე, არ მივიდე ვაი თუ რა იფიქრონო; ბოლოს მაინც ვეღარ გაბედა მოსვლა და გაბრუნდაო.

2, მეფემ მიუსია ქორიასაულები ჯარებით შესაპყრობლად სააკაძეს თავის სოფელს ნოსტევში. რადგან იცოდნენ, რომ სახლში იმისი შეპყრობა იყო ძნელი, ამის გამო ქორიასაულებს ჰქონდათ ბრძანება, მისულიყვნენ ღამე ჩუმად ჯარებით, ჯარები ჩაემალათ ნოსტევის მახლობლად მდებარე ტყიანს ხევში, იქ ჩაეტყუებინათ მოურავი მარტოკა და შეეპყრათ და მოეყვანათ მეფესთან, ან მოეკლათ. ქორიასაულებმა დამალეს ღამე ხევში ჯარები მახლობლად ნოსტესი, თვითონ რამდენიმე მხლებლებით ჩავიდნენ ხევის ჩრდილო ალაგას, და აახლეს მოურავს კაცი, შეუთვალეს მოკითხვა და სთხოვეს იმათთან ჩაბძანება მარტოკა, რომ დიდი საიდუმლო გვაქვს სათქმელიო. სააკაძემ სთხოვა, ჩემთან მობრძანდით, თუ სათქმელი რამე გაქვთ საიდუმლოთა, აქ უფრო ადვილად ითქმისო. ისეთი მძიმე საქმეა, იმათ შემოუთვალეს, რომ ჩვენ თუ ვინმე გვნახა თქვენთან მოსული' მაშინვე გაგვიგებენ და აღარც ჩვენ, აღარც თქვენ გაბოგინებენო. სააკაძემ შეიტანა იჭვი. იმან გაისტუმრა იმათი კაცი,—მოახსენე, გიახლებით-ქო,—და, რა მოიშორა ის თვალიდამ, უბრძანა თავის ამალასა და მხლებლებს, ჩუმათ ტყის პირ-პირ იარაღით ხელში მოპარულიყვნენ იმ ადგილის მახლობლად, ჩასაფრულიყვნენ და პირველსავე დაძახებაზედ, მაშინვე მოშველებიყვნენ. სააკაძე ჩავიდა სტუმრებთან. ქორიასაულები, რომელნიც იყვნენ დიდებულთაგანნი, მოეგებნენ მოურავს დიდის ალერსითა და თავაზით.

— რისთვის გასჯილხართ დიდებულო და ძვირფასო სტუმარნო?—ჰკითხა იმათ მოურავმა.

— დიახ მძიმე საქმისთვის, მოახსენეს იმათ. მობრძანდით ამ მყუდრო და ყრუ ადგილას, რომ არავინ შეგვნიშნოს და იქ მოგახსენებთ ყველაფერს.

ისინი გაუძღვნენ მოურავს ხევ-ხევ, სადაც ჰყავდათ ჯარი ჩამალული.

— კმარა,—უთხრა ამათ მოურავმა, შემდგომ კარგა მანძილის გავლისა, — ამას იქით მე ველარ გიახლებით, რადგან აქაც საკმაო ყრუ ადგილია, აქაც ფრინველების მეტი ჩვენ ვერავინ დაგვინახავს.

მეტი გზა არ იყო, ქორიასაულები უნდა შემდგარიყვნენ. იმათ ჩაიყენეს შუაში მოურავი და გამოუცხადეს: რომ მეფის ბრძანება გვაქვს, უნდა დაგიჭიროთ და შეუკრული მიგგვაროთ, რადგან თქვენზედ ძალიან გამწყრალი ბრძანდებაო. თუ არ დაგვნებდები, ბრძანება გვაქვს აქვე აგკაფოთო.

— მეფის რისხვასა და ბრძანებას ვინ წაუვა,—უთხრა იმათ მოურავმა,—რა ძალა შემიძლიან! ეს მე და ეს თქვენა, შემკარით და წამიყვანეთ მეფესთან. იქნება მეფემ არ იკადროს განუკითხავად ჩემი სიკვდილი.

— უნდა აიხსნათ იარაღი,—უთხრეს ქორიასაულთა.

მოურავმა აიყარა იარაღი და მისცა.

— უნდა შეგკრათ და ისრე მიგგვაროთ მეფესა,—უთხრეს კიდევ იმათა.

— როგორც მეფის სურვილი იყვეს,—უთხრა სააკაძემ.

მაშინ იმათ შემოხსნეს თვით სააკაძესვე ხანჯლის შემოსაკრავი მოქსოვილი აბრეშუმის ქამარი და დაუწყეს შეკვრა ხელებისა. ისინი უჯვარედინებდნენ შესაკრავად უკანიდამ ხელებსა, რომ აქ უცებ სტაცა მოურავმა ორთავეს თითო ხელი კისერში, გააქანა, უკრა ერთმანეთს თავი და შეაჭყლიტა ორივე ქორიასაული ერთმანერთს.

— მოსძებნეთ იმათი დამალული ჯარი!—შესძახა თავის მიმალულს ამალას სააკაძემ განრისხებული მჭექარე ხმით, და ამალა ამითი დაეშვა ხევში და მოედო ხშირი ტყეებისაკენ.

საშინელი მრისხანე და მედგარი ხმა სააკაძისა მოედო გრგვინვით ყრუ ხეობას, და მოესმათ მეფის ჯართა. მინამ სააკაძის კაცნი მიაგნებდნენ იმათ, ისინი კიდევ მოედვნენ ზარდაცემულნი ტყეს და ისწრაფოდნენ თავების შველას.

სააკაძემ დახოცილი ისაულები გაუგზავნა მეფეს და შეეკითხა, რათ მომისიე ესენიო.

3, ხვანთქრის კარზედ, როდესაც მივიდა სააკაძე, ხვანთქრის ფალავნებმა გაითხოვეს სააკაძის კაცები საფალავნოდ. ოსმალებმა წაუქციეს მოურავს ყველა მოჭიდავენი. მაშინ თვითონ მოურავმა გამოითხოვა პირველი ფალავანი ხვანთქრისა, და წინადვე დაადე-

ბინა პირობა, რომ არც ერთს მხარეს საწყენად არ მიეღო, თუ ამ ჭიდაობაში ან ეს მომკვდარიყო ან ხვანთქრის ფალავანი გამარჯვებულ-ბისაგან წაქეზებული ოსმალოს ფალავანი ეცა ლომივით სააკაძეს. სააკაძემ აუჩქარებლივ სტაცა ხელი იმას, აიყვანა მაღლა, დაახეთ-ქა ადგილზედ, და როდესაც იმან ძირიდამ კიდევ დაიწყო ასად-გომად ფათური, დაადგა ცალს ფეხზედ ფეხი, ცალ ფეხში სტა-ცა ხელი და გაჰხია ზედ შუაზედ.

ესა და ამ გვარი მის ძალისა და მტერთაგან მისი ბეზღობისა და დევნის ანდაზები მრავლად დადიან ხალხში. ხალხში. ხშირია სათ-ქმელად იმისი სიტყვები: „ბევრს თავადს მოუბიდლდება ჩემებრივ აზნაურობა!“ “რაც კაცს თავისთვის უნდოდეს, სხვისთვისაც მას ინდომებდეს“. „კაცი გაბედავს საქმეს. თუ კარგს კაცთან აქვს ზრდილობა“. „ზოგჯერ მეც მითქვამს თავისთვის, რისთვის და-ვცბადეო!“ „ზოგნი ჰტრფიან სოფელსა, ზოგთ დავიწყევეთ მო-ბანი!“ „ავსა კაცსა მაბეზღრობა მიაჩნია დიდ საუნჯედ“. „ზოგ-ჯერ უქნელი საქმე ვქენ, მარტომ გავსტეხე რაზმები!“ „გზას დამიგდებდნენ მებრძოლნი, ვერ მიბედავდნენ შებმასა!“ „კარგიც რომ კაცმან ბევრი ჰქნას, მტერს მაინც არ ეკეთება“. „რა გა-ჭირდის, უკეთ შევსძლი, ასრე მქონდის ომის ჩვევა!“ „დარმან ჩემთვის მოიღრუბლა აღარ არის მზიანია, ვიზედაც რომ სიკეთე ვქენ, მე შემექნა ზიანია“. და სხვა.

არც ერთი მოურავის ჩირქის მომცხობი, იმისი ღირსების დასამცრობი თქმულობა მე არსად არ გამიგონია, და ვიმეორებ, არც პლატონს და არცავის სხვას ჩვენს მწერლობაში ჩუმოდენა არ უგდია ქართველს ხალხში და არც დაჰკვირვებია ხალხის აზრსა და თქმულებას. მით უფრო საკვირველია ამგვარი მაღალი ხსოვნა ხალ-ხში სააკაძისა, რომ ჩვენი თუ გარეშე მწერალნი და მწიგნობარნი, მოცულნი, ღვთის მოყვარების გამო, ლუარსაბის და თეიმურაზის ტრფიალებითა და სიყვარულით, იგონებდნენ ყოველს ცილს, ყო-ველს საზიზღრებას სააკაძეზედ, სწერდნენ და ავრცელებდნენ ამ ამბებს წიგნით თუ სიტყვიერათ ქვეყანაში. მაგრამ, მაინცა და მა-ინც ვერ გასტანა ამ უაზრო ცილებმა ხალხში. და არც არის სა-კვირველი, რადგან აგრე ადვილად ვერ დაივიწყებს ხალხი იმგვარს კაცს, რომელმაც იხსნა მთელი ხალხი მოსპოლვისაგან და რო-მელზედაც ერთი მტერთაგანი სააკაძისა ეუბნება მოსამართლეთა, რომ „მოურავის გადადგომა იქნებოდა ჯერ ღვთისა და მერმე მთელი ქართველობის ღალატით“.

დიახ, არ დააჯერეს სააკაძე იმ ცილსა, რომელსაც ჩვენი ძვე-ლეს ასტნი სცხებდნენ ამ დიდებულს კაცს, ავრცელებდნენ ამ ძვირა-სა ცილსა ახალი მწერალნიც: ჩუბინოვი, პლატონ იოსელიანი, მოსე ჯანაშვილი და ასე გასინჯე, ერთი წიხლი საბინინსაც-კი ერგო. პლატონ და ჯანაშვილი, არა სჯერდებოდნენ ძველს ცილებს, თავის შეთხზულებსაც უმატებდნენ ზედ. *)

## ზურაბ და თეიმურაზ.

ყოველი წინასწარმეტყველება სააკაძისა, რომელიც შეუთვალა თეიმურაზსა, ზურაბს და სხვა ქართველთა, სრულიად ახდა:

„ყველამ იცით, რომ ქართლი ჩემის ხელით დახსნილია,
თვარ შეიტყობთ ამას იქით, მტერი კიდევ ახსნილია,
ჩემის ხმლითა ნაშოვრისა გულის პირი წახსნილია“.
„უჩემობა დააჩნდების, ბალი იქნას აბადება.
მძლავრს მტერზედა გაგიჩნდების, ვის გაქვს ხმლისა ამოღება“.
„ჩემობითა მებრალები, ვამე ქართლო სუსტობისთვის,
გალავანი დაგექცევა, გადგებიან თავთავისთვის,
ოდეს მტერი წამოგატყდეთ, მომიგონეთ ამა თქმისთვის.“

გავიდა სააკაძე საქართველოდამ, მოიშორეს მთავართა და დიდებულთა ძლიერი ძალა და რკინის ხასიათი, და წაიყვანა ყველამ პირს ლაგამი, ყველამ აიშვირა თავი მაღლა. გაჩნდა ისევ ძალმომრეობა, დატრიალდა მუხანათობა. **)

როგორც ზურაბ არ უნდა ნდობოდა ამგვარს კაცს, როგორც

---

*) თითქო ბანზებაო, სააკაძის სახელს ისტორიაშიაც თან დასდევს როგორც რუსები იტყვიან, недоразумѣніе. იყო ვინმე თარხნიშვილი სახელად თარხან, რომელიც იყო სიტყვა. მახვილი ხუმარა, თავისის მასხარაობით მიღებული მეფეებთან ეს იყო შვილის-შვილი დიდი მოურავისა. დღეს ბევრია იმის სამასხარო და ზოგი ცინიზმით სავსე ანდაზები. ამ თარხანზედ თქმული ანდაზები ბევრს ჰგონიათ იყვეს თქმული დიდს მოურავზედ, რომლითაც მცირდება ამათს თვალში დიდება ამ სახელოვანის კაცისა.

**) ერთს მაგალითს მოვიყვანთ ამისას, რომელსაც მოგვითხრობენ ფარსადან გორგიჯანიძე და უსახელო ავტორი, რომლისაც ხელნაწერი იმარხება პარიჟის სამეფო ბიბლიოთეკაში. კარალეთის დასაკუთრებაზედ აუტყდათ დავა იასე ქსნის ერისთავსა და ნოდარ ციციშვილს. ამის თაობაზედ აუტყდათ ომი ამ ორს ძლიერს თავადს. ქართლი გაიყო ორად. იასეს მიუდგა იოთამ ამილახვარი, ნოდარს-ზაალ არაგვის ერისთავი და ამ ერთი უბრალო სოფლის დაპყრობისთვის მთელი ქართლი მიესია ერთმანერთს სამესისხლოდ.

თეიმურაზ, რომელმაც იძია შური თავის უკეთურსა და ქვეყნის მომვლელელთა კაცთა, ეგრეთვე თეიმურაზს არ უნდა ჰნდომოდა მა-გვარს კაცს, როგორც ზურაბ, რომელმაც უღალატა თავის ძმას ბაადურს, რომელსაც წაართო ერისთაობა და განდევნა თავის მამულიდამ; დასთხარა თვალები თავის მეორე ძმას გიორგის; გაამეტა სასიკვდილოთ თავისი გამზრდელი და გამბედნიერებელი სიძე სააკაძე. როგორც არ დაინდვეს ამათ სხვა სახელოვანნი და მახლობელი პირნი, არ დაინდობდნენ ერთმანერთსაც და არც დაინდვეს არც ერთმანერთი და არც ქვეყანა.

რა-კი სააკაძე გავიდა საოსმალოში, თეიმურაზს ოსმალთა დახმარების იმედი აღარა ჰქონდა. რუსეთიდამ არაფერი სანუგეშო-არა მოსდიოდა-რა. ის თავისი სამეფოთი ითვლებოდა ქვეშევრდომათ რუსეთისა, რუსეთა ითვლებოდა მფარველად და პატრონად საქართველოსა, და ამავე დროს მოციქულობაც-კი არ შეეძლოთ ერთმანერთთან ჯერ ერთი სიშორისა გამო, მეორე—ცუდი გზებისა გამო; მესამე ავაზაკი მეზობლებისა გამო, რომელნიც თუ არ დიდი საჩუქრებისა და ხვეწნის შემდგომ სამოციქულოთაც არ უშვებდნენ რუსებსა და ქართველებს ერთმანერთთან. არამც თუ ნება მიეცათ, რომ ჯარებს ევლოთ ამათს ქვეყნებზედ, და, თუნდა ამათ მიეცათ ნება, ამ სიშორესა და საშინელს გზებზედ შეუჩვეველი ჯარი ვერა დონით ვერ ივლიდა. ევროპისაგან აღარაფერი კეთილის მოლოდინი არ უნდა ჰქონოდა, რადგან ბოლოს და ბოლოს დროს კათოლიკეთა მისიონერებთან, რომელთაც შემწეობით შეეძლო დაახლოვება პაპთან, და პაპის შემწეობით სხვა ევროპიელთა სახელმწიფოებთან, ჩამოაგდო დიდი უთანხმოება, რომლისაც მიზეზი ის იყო, რომ თეიმურაზ ესესხა იმათ დიდძალს ფულს, რომელიც იმათ არა ჰქონდათ, და ვერ ასესხეს. ამის გამო ისინიც უნდობლად და უგულოთ ეკიდებოდნენ ახლა თეიმურაზს. *)

ამისგამო ამასთვის საშიში გახდა ახლა ამისი დაუძინებელი მტერი შაჰ-აბაზი. მართალია სააკაძემ შეარყია ძალა შაჰ-აბაზისა

*) ამაზედ მისსიონერები სწერენ: „ხმა გავარდა, ვითომც პატრს პეტრეს და მისთ ამხანაგთ მოეტანათ ევროპიდამ დიდძალი ფული. თეიმურაზმაც დაიჯერა და ესესხა ათი ათასს სკუდ'ა. (სკუდი $1^1/_2$—2 მანეთია). პატრებმა ეს ვერ მისცეს, რადგან არც ჰქონდათ. თეიმურაზ მაინც არ ეშვებოდა, და რა-კი ვერა მიიღო რა, ამოიჩემა ისინი. (ისტ. კათ. საქ. გვ. 123.)

ორი უმ-გალითო მისი ჯარების მოწყვეტით: ერთი ფეიქარხანისა და ყარჩიხანის შემოსევის დროს და მეორე ყარჩიბაშის და შამ-ბალა-ხანის შემოსევის დროს. შაჰ-აბაზს აღარა ჰქონდა იმდენი ძალა, რომ კვალად გაებედნა საქართველოს მოსპობის განზრახვა. მაგრამ სააკაძის განდევნით, იმერთა ჩამოკიდებით და ოსმალთა გულის აყრით აღარც თეიმურაზს ეგულებოდა თავის თავში ძალა, რომ გამკლავებოდა თავის საფრთხობელა შაჰ-აბაზს. სატცარი იყო ამისი შიში წინაშე შაჰ-აბაზისა, რომელიც უნდა აიხსნებოდეს მითი, რომ პატარაობითვე ეს იყო იმის ხელში გაზრდილი და მასუკან დაშინებული ჰქონდა იმისკან გული: იმის ერთს ხსენებაზედ, როგორც ზემოთ ბევრჯანა ვნახეთ, იმას ეცემოდა თავს ზარი. ამის გამო, ისკანდერ მუნჯის სიტყვით, ამან სრულიად მოუხარა შაჰ-აბაზს თავი. იმან სთხოვა ფარსის ბეგლარ-ბეგს დაუთხანს შუამდგომლობა შაჰ-აბაზთან. ის აღუთქვამდა შაჰს, რომ ეს თავისის სამეფოებით გახდებოდა სრული მორჩილი და ერთგული შაჰისა. სდებდა დანაშაულზედ თავს, რომ არ გაუგონა შაჰს და არ იახლა, როდესაც ის იბარებდა იმას. ის მოახსენებდა წერილით, რომ ახლა მზათ არის იახლოს პირდაპირ, და, თუნდა დარწმუნებულიც იყვეს, რომ შაჰი გაიმეტებს ამას სასიკვდილოთ, ეს მზათ არის შესწიროს შაჰის სურვილს თავი. აბაზი, როგორც ითქვა, შემდგომ სააკაძისაგან ორ რიგი ამისი ჯარების მოწყვეტისა, აღარ იყო იმ ძალაში, რომ ძალიან თავს გამოედო თეიმურაზის სინანულსა და თავის დადებაში. მით უფრო სასიამოვნო უნდა ყოფილიყო ეს თავის დადება თეიმურაზისა, რომ ამისი, ესე იგი აბაზისა და სპარსთა მძლეველი და მოსისხლე მტერი, სააკაძე, საოსმალოში ებრძოდა აბაზის ჯარებს, აძლევდა მარცხს-მარცხზედ, და სცდილობდა ქართლ-კახეთი მიეზიდნა საოსმალოსაკენ. შაჰისთვის დიდათ საშიში იყო, თუ ქართლ-კახეთიც მიუდგებოდა ოსმალოს. ამის გამო იმან, არამც თუ არ იუარა თეიმურაზის დაახლოვება და შერიგება, დიდ ღვთის მადლადაც უნდა მიეღო. აქ, და სწორედ აქ ხდებოდა საშინელი გადაწყვეტილობა საქართველოს თავს. მაშინ, როდესაც დიდებულმა კაცმა მოაწყო ისრე საქმე, რომ ადვილი იყო მთელი საქართველო ჩავარდნილიყო ოსმალოს ხელში და შეერთებულიყო,—ამ დროს თეიმურაზ უცრის ამ დიდს საქმეში ამას ხელს, და თავის თავის დასაცავათ, აძლიერებს საქართველოს დაუძინარს მტერს, და უცრის ოსმალთა ხელს, რომ მოუღონ აბაზის მძლავრობას ბოლო. შაჰმა მიანდო დაუთხანს მოლაპარაკება.

თეიმურაზთან. თეიმურაზმა დაუდო ყოველი პირობა, რასაც სთხოვდა შაჰი. ორი მოსისხლე მტერი დაზავდა წინაშე იმ საშიშროებისა, რომელსაც ელოდნენ სააკაძისა და ოსმალთაგან. შაჰმა გამოაცხადებინა თეიმურაზს ოსმალური საცმელი და სამკაული სპარსულზედ, და ისე კმაყოფილი გახდა ამ დამორჩილებისა და ისრე დიდათ აფასებდა ამას, რომ მისცა თეიმურაზს ბეგლარბეგობა ყარაბაღისა. სააკაძისაგან განთავისუფლებული სპარსთაგან საქართველო და მისი მეფე ახლა თავისავე მეფის ნებით ხდებოდა მონა სპარსეთისა და მეფე, უბრალო მოურავი შაჰისა.

რა-კი გამარჯვებული გამოვიდა ბაზალეთის ომიდამ, რა-კი შეირიგა შაჰ-აბაზიცა, თეიმურაზ დარწმუნდა, რომ ახლა ის იყო უძლეველი და სრულიად დამკვიდრებული ორსავე ტახტზედ. ამითი მიეცა თეიმურაზს გაბედულობა იქ სადაც აქამდის არ იჩენდა ამ გაბედულობას, და წაუგდო ყური იქ სადაც აქამდის დიდათ ფრთხილობდა.

თავის მხრივ, სააკაძეზედ გამარჯვების უკან, ზურაბ დარწმუნდა, რომ ახლა ეს იყო პირველი კაცი საქართველოში: ამან სძლია აქამდის უძლეველი სააკაძე. მეფე იყო ამისგნით დავალებული, ეს შეადგენს მეფის ძალას, მეფის ტახტის ბურჯს. მაშასადამე, ამისი აზრით, ამას შეეძლო ჩაედინა, რასაც ისურვებდა.

ამ მარჯვე გარემოებით ისარგებლა ზურაბმა და, გაიგულა თუ არა სააკაძე საქართველოს გარეთ, მაშინვე შეუდგა ფშავ-ხევსურეთის დამორჩილებას. ჯარს ჯარზედ უსევდა ამ მონობას შეუჩვეველს და თავისუფლების მოყვარე ხალხებს, იკლებდა იმათ ქვეყნებს, უტყვევდა ცოლ-შვილს, სტაცებდა და უწვავდა სარჩო-საცხოვრებელს და ბინადრობას. როგორც ნამდვილნი მდევ გმირნი ისრე ებრძოდნენ ეს „არწივნი მაღლა მთისანი" ზურაბის დიდძალს ჯარებს. ბევრჯერ გაუწყვიტეს იმათ ზურაბს ჯარები, ბევრჯერ გამოურეკეს მზათ დაყენებული მოხელენი და მეციხოვნენი, ბევრჯერ გამოისტუმრეს იმათ ზურაბ მთლათ უჯაროთ. ზურაბ უფრო და უფრო ავდებოდა, უფრო და უფრო აღარ ინდობდა, და, როგორც მოგვითხრობს ამ ხალხებში დარჩენილი ამბავი, როდესაც აუღია ზურაბს მათარა, ფშა-

ვლების მიუდგომელი ადგილი, უგზვნია საკირეები, უდგამს ზედ სამინელი დიდი სალუდე თუ საარაყე ქვაბები, ურია [illegible] შნია ფშავლები და ქვეშ უკეთებია ხევსურები.[1])

ცხადია, თეიმურაზს არ მოსწონდა ესა. იმას ეშინოდა ზურაბის გაძლიერებისა. მაგრამ ჯერობით იძულებული იყო მოეყურებინა ყური.

ზურაბმა ახლა ცხადათ დაიწყო თხოვნა. სამუხრანოსი თავისი ნამსახურობისათვის. მუხრანბატონები დევნილ იყვნენ საკაძესთან ერთად შემდგომ ბაზალეთში დამარცხებისა. სამუხრანო იყო ბეითალმანი.[2])

თეიმურაზმა ცხადათ აგრძნობინა, ახლა რომ ის მიიღებდა სამუხრანოს მაშინ, თუ ზურაბ დასთმობდა ხევის კარს ანუ დარიელს. ზურაბმაც ცხადათ აგრძნობინა, რომ ის ხევისკარს არას დროს არ დასთმობდა, რადგან ეს იყო გზა მთელი ევროპისა აზიასთან, და თვითონ იყო ბატონი ამ საბაჟოთი მდიდარი ადგილისა: მანამ ეჭირა ამას ხევისკარი, თვით თეიმურაზიც ბევრში ეჭირა ამას ხელთა. ზურაბს უნდოდა სამუხრანოც და ხევისკარიც.[3])

თეიმურაზმა უცებ ჩამოართვა მუხრანის ბატონებს სამუხრანო და მისცა თავის შვილს დათუნას.

ზურაბ გადუდგა თავის სიმამრს. იქნება ვერ გაებედნა კიდევ ეს გადადგომა ზურაბს, რომ არ დაეტყუო გარემოებისათვის და არ ენახა, რომ ახლა ქარი სხვა მხრით უბერავდა.

ამ ხანებში მოკვდა სახელოვანი შაჰ აბაზ პირველი. სპარსეთში შეიქნა არეულობა. ხოსრო მირზა, რომელიც დიდად გაძლიერებული იყო იმ დროს სპარსეთში, და ძმისწული გიორგი საააკაძისა.

[1]) ეს ამბავი მე გადმომცა პეტრე მესხმა, რომელიც დიდს ხანს ემსახურბოდა ფშავ-ხევსურეთში და რომელმაც დაწვრილებით იცის ამათი ცხოვრება.

[2]) რაკი ზურაბი იყო მიზეზი საქმისა ბაზალეთში დამარცხებისა, სთვლის სამუხრანოს ხმლით შეძენილად. (ქრ. ქართ. გვ. 417)

[3]) ხევის კარს ანუ დარიელს ყარაქალქანსაც ეძახდნენ უცხო ტომის ხალხნი ნიკიფორე მღვდელ-მთავარი ხომ სულ ყარაქალქანს ეძახის.

როსტომ ხან სააკაძე, მიემხრნენ შაჰ-სეფის, შაჰ-აბაზის შვილის შვილს,—შვილი შაჰ-აბაზისა იყო თვალებ დამწვარი და [illegible] ინდომეს როსტომ სააკაძემ და ხოსრო მირზამ ხელმწიფობა;—შემუ-რეს იმისი წინააღმდეგნი და დასვეს ის ყეენათ.[1]) ხოსრო მირზა, როგორც ვიცით, იყო ძმა, ქართლში შაჰ-აბაზისაგან დასმული მეფე სვიმონისა, რომელიც დღესაც იჯდა თბილისში და თავსა ჰრაცხავდა ისევ ქართლის მეფედ. ძალა სპარსეთისა იყო ახლა ხოსრო მირზა, კაცი დიდი ჭკუის პატრონი, დიდი მხედართ მთავარი, მაღალი დიპლომატიური ნიჭის მქონებელი. ზურაბმა იცოდა, რომ ხოსრო მირზას ჰყავდა ბევრი მომხრე თვით ქართლშიაც, ის თავს გამოიდებდა თავის ძმისწულისათვის მოინდომებდა ქართლიდამ თეიმურაზის განდევნას; თუ ეს იქნებოდა თეიმურაზის მხარეს, შეიძლება ესეც თან მიეყოლებოდა. ყველა ამ გარემოებათა მისცეს ზურაბს გაბედულობა. ის მიუდგა თბილისში მყოფს სვიმონ მეფეს, გამოიყვანა ის, თითქმის ტყვეობაში მყოფი, თბილისის ციხიდამ და გამოაცხადა საქვეყნოდ ქართლის მეფედ, ნაცვლად თეიმურაზისა.

თეიმურაზმა ანება უსისხლოთ თავის მეორე ტახტს თავი და გასწია თავის კახეთისაკენ, თუმცა იმედს არა ჰკარგავდა, რომ თავისი ქალის შემწეობით ასევ მოიმხრობდა თავის მეხსნათ სიძეს.

ზურაბმა ჩამოიყვანა საოსმალოდამ ქაიხოსრო მუხრანბატონის შვილები და ძმისწულები და დაუბრუნა თავისი სამუხრანო. თეიმურაზს მიაყოლა უკან თავისი შვილი დათუნა, რომელსაც თეიმურაზმა დაუმკვიდრა სამუხრანო.

ამ ხანებში დაუწყო შაჰ-სეფიმ თეიმურაზს ქალის თხოვნა. შაჰ-სეფისთვის დაახლოვება ქართველთა იყო საჭირო, რადგან გაცხარებული ომები იყო საოსმალოსთან და უჭირდათ ძალიან სპარსთა. ამ დაახლოვების მიზეზი ქართველებთან ცხადია იქნებოდნენ ქართველებივე, რომელნიც სპარსეთის სახელმწიფოს თავს იდგნენ და ხელთ

[1]) საზოგადოთ ამ დროს პირველი ადგილები სპარსეთში ეჭირათ ქართველებს: ხოსრო მირზა ბაგრატიონი იყო მთელი სპარსეთის თავი. და როსტომ ხან სააკაძე, ძმისწული გიორგი სააკაძისა იყო ამირ—სპასალარი მთელი ირანისა, ესე იგი მთავარი მთელი ირანის შეიარაღებული ძალისა.

ეჭირათ სპარსეთის შაჰი: როსტომ-ხან სააკაძე და ხოსრო მირზა-ბაგრატიონი. შაჰ-სეფიმ მოსწერა მამაშვილური წიგნი [illegible], სთხოვდა ერთობას და ოსმალების დაშორებას. ეს გარემოებანი ამტკიცებენ, რომ ხოსრო მირზა არ იყო ძალიან თავგამოდებული თავის ძმისწულისათვის, იქნება იმიტომაც, რომ თვითონ უხდოდა მეფობა ქართლისა, მაგრამ უფრო ის არის საფიქრელი, რომ ვიქონიოთ სახეში აუჩქარებელი, დინჯი, დამჯდარი და შორს მხედველი გონება იმისი, რომ ჰქონდა დიპლომატიური მოსაზრება საქართველო არა ჰყოლოდა მტრად სპარსეთს ამ გაჭირვების დროს თურქებთან.

მინამ მოხდებოდა რამ დაახლოვება თეიმურაზსა და სპარსთა შუა, თეიმურაზმა შეუყენა ზურაბს თავისი ქალი, ცოლი ზურაბისა, [1]) მისიონერები, რომელნიც მაშინ იქამდის იკიდებდნენ ფეხს, რომ არამც თუ თეიმურაზ აღიარებდა პაპს და სთხოვდა ისიც ჩაეწერა კატოლიკეთ სარწმუნოების მაღიარებლად, და თვით დიდი მეგობარი და მესაიდუმლოე სააკაძისა „ანგელოზთა თანასწორად“ აღიარებული კათალიკოსი ზაქარიაც კი უცხადე და პაპს და მისიონერთა, რომ პაპს სცნობს საქრისტიანო ეკლესიის თავად და თვითც აღიარებს კატოლიკობას. თვით სააკაძე, სპარსეთში ყოფნის დროს დადიოდა კატოლიკეთ ეკლესიაში და იქ ლოცულობდა. ეს მისიონერები სხვათა შორის სწერენ, რომ ზურაბ არაგვის ერისთავმა ჩვენი შთაგონებით მოჰკლა გაჰმამადიანებული, შაჰ-აბაზისაგან ქართლში მეფედ დასმული სვიმონ მეფე. ამ დროს, თუმცა თეიმურაზ და მისიონერები ვეღარ იყვნენ კარგათ, რადგან ჯერ ერთი ეს, თეიმურაზ გადაეკიდა მათ რაგი ფული ვერ ასესხეს, მეორეც ეს, იერუსალიმის პატრიარხი მოსვენებას არ აძლევდა თეიმურაზს, კატოლიკეთ მისიონერთ ნუ ინახავო, და, როგორც არაქანჯელო ლამბერტი სწერს, ჩემს თეიმურაზთან ყოფნის დროს (1633-34) მოუვიდა თეიმურაზ საჩუქარი პატრიარ-

[1]) საშინელი დარეჯან, რომელიც ბოლოს იმერეთში მოინდომა თავისი ყმაწვილი გერის, მეფე ბაგრატ მეოთხის შერთვა, რომელიც იყო ქმარი იმისივე ძმის წულისა, და რა-კი ეს არ შეუსრულდა, დასთხარა თვალები, და დიდხანს ჰრევდა მთელს იმერეთს. დარეჯან, როგორც ვნახეთ, ბოლოს გახდა ცოლი იმერთა მეფის ალექსანდრესი.

ხისაგან და წიგნი, სადაც სწერდა, პატრები განდევნეთ. [illegible] ემინოდა, რომ დიდ-ძალს შემოსავალს დაჰკარგავდა, რომ[illegible] საქართველოდამ შემოსდიოდა, თუ ქართველობა კათოლიკობას მიიღებდათ. გარდა სხვა შემოსავლისა რაც საქართველოდამ შესდიოდა პატრიარხს, თეიმურაზ უგზავნიდა ყოველწლივ ექვსი ათას სკუდსათ. (სკუდო $1^{1}/_{2}$-ს მანეთამდის, მაგრამ რაკი გაუჭირდა თეიმურაზს, ზურაბმა ულალატა და სვიმონ მეფეს მოუდგათ, სამეგრელოდამ დაიბარა პატრი ზებედე რომ ზურაბზედ ემოქმედნა.“ გარნა სამეგრელოდამ მოსულმა ზებედე მონოზანმა, ვკითხულობთ თამარაშვილის წიგნში „კათოლიკობა საქართველოში„ — ცხარედ ამხილა ზურაბ ერისთავს ქრისტიან მეფის ადგილას გამაჰმადინებული სიმონ-ხანის დაყენებისათვის. ამ მხილების ზედ განვლენით, ზურაბმა მალე. შეინანა თვისი ცოდო; სვიმონი ღალატით მოაკვლევინა, შეურიგდა თეიმურაზს, და დაუბრუნა ჩამორთმეული ალაგები„ (ისტორია კათოლ. საქართვ. გვ. 124-125.)

თქმა არ უნდა, ზურაბ არ იყო ისრეთი კაცი, რომ მისთვის ეს „მხილება“ საკმ.ო ყოფილიყო: ის მოიქცა ისრე მხოლოდ ზემოთ მოხსენებული მიზეზებით. მაგრამ ცხადია, ზოგი რომ ამ პატრის განვლენასა იქნებოდა რათგან კატოლიკეთ მისსიონერთა შთაგონება იყო ყოველთვის ძლიერი. რომ ზურაბ ისევ მომხრობოდა თეიმურაზს. ზურაბ დიდს ხანს იდგა თავისაზედ: ჰპატრონობდა და აძლიერებდა სვიმონს ქართლზედა. სვიმონიც ამას უყურებდა, როგორც მამას და უწოდებდა კიდეც მამობას. შეიქნა დიდი ერთობა სვიმონსა და ზურაბს შუა.

თეიმურაზმა მისცა თავისი ქალი შაჰ-სეფის. შაჰ-სეფი და თეიმურაზ დაახლოვდნენ. თეიმურაზ კიდევ მეცადინეობდა ზურაბის დახლოვებას. ზურაბ ყოყმობდა, მაშინ თეიმურაზმა დააპირა შაჰ-სეფისთან წასვლა ზურაბზედ საჩივლელად. ზურაბმა ნახა, რომ ძალა ისევ თეიმურაზისაკენ ტრიალდებოდა, მაშინ ისა და გიორგი ჩერქეზი ანუ ჩერქეზიშვილი, კახელი, რომელიც ჰყავდა შეჩენილი ზურაბთან ამ საქმეზე, შეეპარნენ სვიმონ მეფეს სხვილოს ციხეს მდგომს საწოლში და მოსჭრეს ღალატით თავი. თავი სვიმონ მე-

ფის გამოუყენა ზურაბმა თეიმურაზს, რომელიც კიდ[illegible] მგზვრებული სპარსეთს, და მოსწიეს უფადარს, სპარსეთის [illegible]ზედ. [1])

თეიმურაზ დაბრუნდა გზიდამ. ზურაბმა ჩაიბარა უკანვე ქართლი.

თეიმურაზს მიეცა უკეთესი გარემოება, რომელიც კი შესაძლებელი იყო ჰქონოდა იმ დროს საქართველოს ხელმწიფეს,

როგორ ისარგებლა ამ დამშვიდებული დროთი თეიმურაზმა?

„დილას შევსხდით ვნადირობდით, შუადღისას შემოვიქეცით, აწ ბურთობას ხელი მივყვით, მუნ სასილოდ არ გავიქცით, მერე დავსხდით ერთა ჭამად, ღვინი ღვინზედ ზედ დავიცით, ვზმობდით, ვმღერდით, ღვინოს ვსმევდით, ვიდრემდისინ არ წავიქცით“.

„ფიცით მითქომს არა ვიცი მე რიცხვი ბაზიერისა“

„ვნადირობდი და ვიშვებდი, სხვა საქმე არ შევიტყვიდი“.

ამაებს დაურთო ზედ მელექსეობა, რომელიც იმას მეტად უყვარდა. იმას წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ნერონს თავისი მუსიკობა, პოეტობა და მსახიობა რომ ამის ბადალი მელექსე არ გაჩენილა. უკვდა მთელი დღეობით ამ უშნო და უაზრო ლექსებს დაკლავდა თავის სიცოცხლეს შიგა. სწერდა ლექსებს, სადაც არც ესტეტიკა, არც ხელოვნება, არც იდეა, არც რამე აზრი, არც რამე ისტორიული მხატრობა, არაფერი ღვთისაგან განაჩენი არ იხატებოდა, გარდა უბრალო და უაზროდ გადატმასვნული სიტყვების რახა-რუხისა, სიტყვებით ტმასნვა—გრეხისა. ჰკითხულობ იმის ლექსებს და გიკვირს, რომ კაცს, რომელმაც გამოიარა ამდენი მწუხარება, გამოიარა ათასი ტრაგიული შესაზარი მდგომარეობა, ათასი დევნა, თავის დამცრობა, ჰნახა უმაგალითო ოხრება და ტყვევნა თავის სამეფოსი, თავის აღმზრდელი და შემნახველი ქვეყნისა, დაჰკარგა რაოდენჯერმე თავისი სარჩო—საცხოვრებელი, დარჩა მეფობიდამ უბინაოდ, უკაროდ, სცადა ათასი სიმუხთლე სოფლისა, დაჰკარგა უმაგალითო წამებით დედა, პირმშო შვილები, დაჰკარგა სიყ-

---

[1]) უფადარა დევს სპარსეთის სამზღვარზედ, საკახეთოში.

მის საყვარელი ცოლი და სხვა ათასი ამისთანა,—როგორ არ შეიპ-ყრა არა აზრმა თავის ლექსების წერის დროს, როგორც ერთხელ მაინც არ შეჰკვნესა გულმა ამოდენა ამბების მნახველსა, როგორ არ გაუარა ერთხელაც არის რამე ჩასაფიქრებელმა და საგულისხმიერო აზრმა. მსჯელობამ, გონების მოსაზრებამ, ქვეყნის ცრემლმა, ქვეყ-ნის ვაებამ-[1]) მორჩებოდა ლექსებს და დადიოდა სალოცავებში, სწირავდა უკანასკნელს ქართველთა სარჩო ბერებსა, ღვდლებს და ტაძრებს...

ზურაბ, რა-კი ჰხედავდა, რომ თეიმურაზს ქარი უქროდა, უწევ-და ერთგულებას. თავისი სააკაძისაგან შესწავლილი სარდლობა იჩი-ნა უფრო და უფრო. სხვათა შორის ზურაბმა დაამორჩილა თეი-მურაზს წუქეთი. როგორც ზემოთაც ითქვა, ეს წუქეთის სულთანი შეეწია ბევრს შაჰ-აბაზს კახეთის აოხრებასა და ტყვევნაში.

ერთგულობდა ზურაბ, მაგრამ ის თავის ატგარებას არ იშლი-და, ის თან და თან სტეხავდა მთასა, თან და თან იჭერდა საქართ-ველოს თავისუფალს კუთხეებს. ზურაბ ძლიერდებოდა. მთელი ხალ-ხი ძრწოდა ზურაბის შიშით. სიტყვით თუ სიმღერით ყველგან ისმოდა ძალა ზურაბისა, გმობა და შეჩვენება იმის მოსისხარობისა და ძალაობისა.

თეიმურაზ ვერ ინელებდა ამას. იმას შეუფიდა იჭვი, რომ ზუ-რაბ პირველსავე შემთხვევაში ადვილად ადრეკდა ზურგსა და შესა-ძლებელი იყო მოუნდომებინა ქართლის ბატონობაც როგორც მო-ინდომა ზურაბის სიკვდილის შემდგომ ამისმა ძმისწულმა ზაალ არაგვის ერისთავმა ბატონობა კახეთისა. თეიმურაზს გაუარა ჩვეუ-ლებრივმა აზრმა, იმან განიზრახა დაპატიით სიკვდილი ზურაბისა, იმან ამისთვის მოიმხრო ამისი მოსისხლე მტერნი ფშაველნი და ერწო—თიანეთის მებატონენი ჯავჯავაძე და ჩოლოყაშვილები, რო-მელთაც ზურაბმა წაართვა ერწო თიანეთის მამულები. ერთ-

---

[1]) მარტო ერთგან გვესმის იმისგან თავისი შვილი დათუნას სიკვდი-ლის შემდგომ, სადაც ის აღარ შეჰხარის სიცოცხლეს, რადგან გძელს სი-ცოცხლეში ელის კაცი ბევრს უბედურებას, სულზედ უტკბესთა დაკარგვასაო,

ხელად თეიმურაზმა მოიწვია საიფურცლეს ზურაბი. აქ ჰყვანდა მზათ მკვლელები. დასხდნენ სადილზედ და გაიმართა სმეულობა. ზურაბ მხიარულად სვამდა ღვინოსა. როგორც შევიდა კარგა ქეიფში, უცებ დაადგნენ თავს მკვლელები. ფშავთა თქმულობით პირველი ხანჯალი დასცა ამას ფშაველმა ულუმო თუღუმიშვილმა. მკვლელთ მოჰკვეთეს ზურაბს თავი. სისხლი ზურაბისა წაუდგა ფეხ ქვეშ მის სიმამრს თეიმურაზსა და მოუსვარა ფეხთსაცმელები.

საინტერესოა ამ მოკვლაზედ ფშაველებთა ლექსები.

საიფურცლეს ზურაბ მოვიდა,
ლერწამი ზღვის პირისა,
გაუშალეს ხალიჩები,
ზურაბ ზედ დაბრძანდისა,
აუშევებენ სუფრასა:
ზურაბ შაქე ხილსა...
ზურაბსა გიდასტებენ,
ელიან შენსა ძილსა...
ხმლითა სცემს ბარამ ბატონი:
დაჰკარით კასპის შვილსა!
ხანჯალი, თუში მოურავმა
დაუსო ძუძუს ძირსა.
მუხრანით მოდის ტირილი
სულ ძაღლის ერისთვისა:
„ვინ მოკლა შვილო, ზურაბო,
ვინ შეგხსნა ხელი გმირსა?
ვინ ჩამოგყარა თაობა
ქართლისა, არაგვისა?..
ადარვინ მეგულებოდა
მომრევი ზურაბისა!..“
ზურაბის ცოლი ტიროდა:
ვაიმე უდროვოდ ქვრივსა!
ზურაბის ცოლი დედას სწყევს:
ჩემმც დღე დაგადგისა,
ამ ჩემის ღალატისადა

თეიმურაზმაც მოგიკვდისათ!..

*

* *

ულუმო თულუმიშვილო:
ვეფხვი ხარ, ველის კანჯარი!..
შენ მოჰკალ ერისთვის შვილი,
ზურაბს შენ დაეც ხანჯალი!
გაგზავნეთ მახარობელი
ფშავხევსურეთში ჩაფარი.
ფშავ ხევსურეთის ქალ-რძალმა
ძილ დაიძინოს მაგარი...
ზურაბის სიკვდილს ამბობენ,
აღარ მოგვივა ლაშქარი!..
მაგრი მოხვიეთ ბატონსა
ზურაბის წამოსასხამი,
შეარტყით ჩოლოყაშვილსა
ზურაბის ქამარ-ხანჯალი.
ზურაბ ჭირთ გაცოფებულმა
ხმალსა დაჰკლიჯა ვადანი.
ვაი თქვენს ზურაბს, ფშავლებო,
ძაფ დაგეხვიათ მაგარი!

საინტერესოა აგრეთვე ხევსურების თქმულობა ამაზედ ლექსად. რომელიც ხელნაწერიდამ ჩვენ გადმოგვცა ნიჭიერმა ახალგაზდა თედო რაზიკაშვილმა,

„ზურაბ თან გახლდნენ მსახურნი
ახანის დაიბადეთ,
ისპაანამდის გაითქი,
ყეენთან გაიზარდეთ.
აქებდენ სოსლანის შვილსა,[1])

[1]) ასლანიშვილი თუ?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წახველ და ისიც ნახეთ,
იმისი ლურჯა ნაქები
შენს სიმამრს შეუნახეთ...
სიმამრმა წიგნი მოგწერა:
სიძემ სათვურცლეს მნახეთ...
სიმამრთან წახველ ფეხტეხით:
„ცუდი სიზმარი ვნახეთ“...
ზურაბ ჩავიდა სათვურცლეს,
მოღალატეა ხთისათ.
წამოეგებნენ კახები:
მოხველ გმირ წინის ჟმისათ!
თეიმურაზ ჩაეუბნების
იმერელთ ნეფის შვილსათ:
„ზურაბს თუ მოჰკლავ ქალს მოგცემ,
ცუდათ არ გაგცემს ცხვირსათ:
მე-კი ვერ მოვკლავ ზურაბსა,
ვერ დავაქვრივებ შვილსათ...
ხილი მოართვეს ზურაბსა.
„სიძევ შეჭამე ხილსათ“.
ჯერ ხილი ჭამა ზურაბმა,
მერმ ხელი წაჰყვა ლხინსათ.
გვერდს უდგნენ მექამანჩები (მოსკრავენი).
დააძინებდნენ ძილსათ,
თავს ადგნენ მოღალატენი
ახლუას, ყურის ძირსათ.
ზურაბმ შეუტყვა ღალატი
აჩქარდა, ზურანს ხსნისათ:
ზურაბმ თავ შემოიბრუნა,
შველა ეგულა ყმისათ,
ყმამ-კი ველარა უშველა,
ენა ჰქონიეთ სხვისათ.
ხმლითა სცა ბარამ ბატონმა:

„დაჰკარით კახპის შვილსაო!“
ხანჯარ ჰკრა თუშთ მოურავმა
სისხლ გაუმაძღარ ძვირსაო!..
კაცი გააგდეთ საჩქაროთ
ფშავ-ხევსურეთში ჩაფარი;
ნუ ეშინიათ ქალ-რძალსა,
ძილ დაიძინონ მაგარი...
რათ არ იცოდი ზურაბო
მგრეთი ბოლო მოგივა:
ძმას დაითუნას თვალთ დასთხარე:
მისი მომზღვევი მოგივა,
რძალი უსუპჩი დაჰკარგე,
მის ამხავ აღარ მოგივა...
თავად საფურცლეს მოკვდები,
სული ჯოჯოხეთს წაგივა.

ისკანდერ მუნშის სიტყვით, თეიმურაზმა ზურაბის თავი გაუგზავნა ყეენს, რათა ამითი დაემტკიცებინა მისთვის. რომ ის არ ერია სვიმონ მეფის სიკვდილში.

ახლა თეიმურაზ გახდა ისრეთი ბატონი ქართლ კახეთისა, როგორიც თვითონ უნდოდა; მთელ სამეფოში მძლავრი და საშიში კაცი აღარა ჰყავდა. ამას შეეძლო ახლა სრულიად გულდამშვიდებით ეშოვნა, შეეძლო თავისუფლად შესდგომოდა სამეფო საქმეებს; და ემკვიდრებინა ქვეყანა თავ-თავის ალაგას, გაევრცელებინა აღებ-მიცემობა, აღედგინა და აღეგო სიმაგრენი და საზოგადოთ ეზრუნა ქვეყნის საბოლოვოსათვის. არასოდეს, არასოდეს ამგვარს ჩვენ არასა ვხედავთ თეიმურაზის ქცევაში: არც გზების მართვა, არც ქარხანების, არც სასოფლო მოწყალმართეობისა, არც სიმაგრეთა აღდგენა, არც სასწავლებლები, არც მწიგნობრობის გავრცელება, არც თვით ეკლესიების განახლება და აშენება, რომელიც ამას ყოველი ბედნიერების თავად მიაჩნდა, არც სტამბათა შემოტანა, რომელიც ამ დროს ვრცელდებოდა მთელს ევროპაში, სიტყვით, არაფერი, რასაც-კი ედო ნიშანწყალი ქვეყნის დამკვიდრებისა და წარმატებისა, არ უზრუნვია·

თეიმურაზს ქვეყნისათვით. იმისი დიდი ზრუნვა ის იყო: აბუზრუნდა რუსთა ხელმწიფეებს თავს, გინდა თუ არა თქვენს [illegible] [illegible] მამიღეთ და მიხსენით მტრისაგანაო, და ისინიც თითქმის წელგამოშვებით ჭხეთქავდნენ ამას ფიცით, რომ ის უთუოთ იქნება საუკუნოთ იმათი ერთგული. და არა ჭფიქრობდა ეს გზა-დაბნეული კაცი: შეეძლოთ რუსებს ერთის წლის სავალიდამ ამისი დახმარება, თუ არა?— და ეს ამისი ნიადაგ ამ გზის მეტქერა აღელვებდა და უფრო ამფოთებდა ამაზედ როგორც სპარსთა, ისრე ოსმალთა.

ქვეყნის საზრუნველ საქმეთ კიდევ ის დაინახა თეიმურაზმა, რომ მეუხია ჯარები ულუკოსორს, რომელიც დევს დაღესტანის მთებს იქით, აიკლო და დაატყვევა სრულიად უმიზეზოთ ხალხი, რომელიც არას ოდეს და არას გზით საქართველოს არა ხვდებოდა. ვახუშტი ამ გვარს უსამართლოთ და უსაბუთო თეიმურაზის ომებს და ოხრებას იმითი ამართლებს, რომ შან დიდათ გაძლიერდა, ბევრი ჯარი ჭყავდა და არ იცოდა, რა უნდა ექნა ამ ჯარებისათვისაო...

რა-კი ასრე წათამამდა, შან გაძლიერდა, სპარსნი სცდილობდნენ ამის მეგობრობას, გარეშე მტერი ვეღარას უბედავდა, თეიმურაზს დაუმართა სწორეთ იმ ჭინჭველის საქმე, რომელსაც ღმერთი მაშინ გაუწყრა, როდესაც ფრთები გამოესხა. ამან მოინდომა, რაც სპარსთ ამისთვის ექნათ, სამაგიეროს აღება იმათგან. იმან მოინდომა აოხრება სპარსთა. ერთს დღესაც თეიმურაზმა შემოიკრიბა თავისი ჯარები და მეესია სპარსეთის სახანოებს. აიკლო არეზამდის და მოვიდა დიდი ნაშოვრით. ყეენმა დასთმო ესა, ვინ იცის იმიტომ, ეს იყო იმის სიმამრი, ან იქნება იმიტომ რომ ელოდა ომს ოსმალებთან. თეიმურაზ უფრო წათამამდა. ის შეეთქვა ყეენის ბეგლარ-ბეგს (დღევანდელი გუბერნატორივით ხელობა) განჯის სახანოში, დავით უნდილაძესა, რომელიც იყო ქართველი, რომ იმას ნიეცა შემთხვევა ამისთვის სპარსთა ამოწყვეტისა. ამ უნდილაძემ აჰყარა მთელი ყაჯარის ხალხი თავის საბეგლარ-ბეგოდამ, იმ აღთქმით, რომ ის დაასახლებდა იმათ კახეთში საუკეთესო ადგილას. [1]) ეს უბრალო და უშმ კო ხალხი, რომელიც არის თურქმე-

[1]) უნდილაძე იყო შაჰზედ გულ-აყრილი მიტომ, რომ რაღაცა საქმის გამო შაჰმა დაახოცვინა ამისი ძმები, და ძმების ჯავრით გადუდგა ყეენს.

ნის მოდგმისა და ძალაუნებურად ემორჩილებოდა ყაენს, ენდო-თეიმურაზს და ზურაბ ერისთავს და მთლად ცოლ-შვილიან სახლ-სა-ხოვრებლით, ალაჩუხებით გადმოსახლდნენ იორზედ. შაჰმა სთხოვა თეიმურაზს, ეს ხალხი დაუბრუნებინა თავის ქვეყნებში. იმის მაგიერათ, რომ თეიმურაზს შეესრულებინა სრული კანონიერი თხოვნა შაჰისა, იმან და ზურაბ ერისთავმა დაასხეს ლაშქრით ღამე მძინარე გულ-დანდობილს ხალხს კახელობა, და შეიქნა საშინელი და უმღრთო მუსრვა უბრალო ხალხისა. ბართლომეს ღამეს პარიჟს არ უნახავს ისა, რაც კახელობამ დღე დააყენა იმათ. უიარაღო მძინარე ხალხს, დიდს, პატარას, მოხუცს, ყრუსურს ბავშვს, ორსულთ და უმანკო ქალწულთ თანაბრათა და შეუწყალათ ჰკლავდნენ ყელებს. არც ცრემლი მშობელთა, არც განწირული ტირილი ყსუსურთა, არც ვაჟკაცური თავის გაწირვა თავგამოდებულთა არ აღვიძებდა კახელების გააფთრებულს გულში სიბრალულს. ცამეტი ათასი სახლობა დიდი და პატარა ყაჯარი გაწყვა იმ ერთს ღამეს კახელების შეუბრალებელი მახვილის ქვეშ. ერთი, ერთი მოამბეთაც-კი არ იყო ამ საშინელს ღამეს გადარჩენილი.[1]

განრისხებული ყაენი სთხოვდა, რომ ზურაბ ერისთავი მაინც მოეცა ამისთვის თეიმურაზს. ისა სჯერდებოდა მარტო ამასა და სთხოვდა: დასწყევლილო თეიმურაზ, გეყო ამდენი ჩემი შეწუხება, ჩემი შესისხ-ლობა და ჩემი ქვეყნების ოხრება; გვიჯობს ჩვენ ვიყვნეთ მეგობრები, შენ მამა და მე შვილი, რაც წყალობა გინდა მთხოვე, ყოველისთვერზედ მზათა ვარ, ოღონდ დასწყევლილი და დამაწყევლელი...

ამ კეთილშობილურმა შაჰ-სეფის თავის დამდაბლებამ ვერა წაათამამა თეიმურაზ. ის თითქმის ეკადრისობდა მშვიდს და პატიოსანს შაჰს სეფის, რომლისაც მშვიდობიანობა თეიმურაზის შესახებ აიხსნება იმითიც, რომ ის იყო სიძე თეიმურაზისა, და ამასთან იყო სულ ქართველების ხელში, რომელთაც ამას ჩაუგდეს შაჰის გვირგვინი ხელთა.

---

[1] სპარსნი ანგარიშობენ, რომ კახეთში მოსწყდა ასი ათასი ერანელი და შაჰებმა ვერა გააწყვეს რაო. აქ ცხადი საქმეა ანგარიშობენ ამ ყაჯარის ხალხთან იმ ჯარებსაცა. რაც სააკაძემ მოსწყვიტა სპარსელებთან ბრძოლაში (ცხ, საქ. გვ. ზს.)

თეიმურაზმა ამაყათ შეუთვალა უარი უნდილაძის მიცემაზედ. ამისი პასუხიდამ გამოდიოდა ისა, რომ ახლა უარესებს [illegible] განათ.

შაჰ-სეფის მოთმინებასა და მშვიდობიანობასაც ბოლო ჰქონდა. ის გამოვიდა მოთმინებიდამ.

იმან მოიხმო ხოსრო მირზა და უთხრა, რომ ქართლის მეფობა სვიმონ მეფის სიკვდილის შემდგომ შენ გეკუთვნისო. მისცა მეფობა ქართლისა, უწოდა სახელად როსტომ და გამოისტუმრა ქართლის დასაჭერად. კახეთის სამეფო ტახტი გამოაცხადა გაუქმებულად, დასდო უბრალო სპარსეთის სახანოდ და ხანად კახეთში გაისტუმრა სელიმ-ხან. მისცა როსტომსაც და სელიმ-ხანსაც დიდძალი ჯარი, და ჯარების წინამძღვრად გამოატანა სახელოვანი როსტომ-ხან, ირანის ამირ—სპასალარი სააკაძე, სრულიად უმაწვილი, მაგრამ დიდი სამხედრო ნიჭის პატრონი, და სპარსეთში პირველს ხარისხზედ ასული. ეს როსტომ-ხან, როგორც ითქვა ზემოდ, იყო ძმისწული გიორგი სააკაძისა, შვილი ბეჟან სააკაძისა, რომელიც იყო ბაგრატ მეფის სახლთ-უხუცესი. ამავე დროს მისწერა დაღესტნელთ ლეკთა და სხვათა შორის ზაქურის მთავარს ანუ სულთანს 1632 წ., რომ, რა-კი თეიმურაზ ჩვენთან პირშავი გამოვიდა, მე ვგზავნი მეფედ როსტომ-ხანს (ბაგრატიონს, ხოსრო მირზას [1]) და თან ვატან ჩვენს მახლობელს მთავარ სარდალს, როსტომს (სააკაძეს) და შენ უნდა შეუერთდე სარქაი ბეგსა და ამირხან ბეგსა და შენი ჯარით დაეცე კახეთს და ქართლს და უწყალო ოხრებაო. (სააკაძე ითვლებოდა თავრიზის ბატონათაც).

სამი უკეთესი სპარსეთის სარდალი: როსტომ სააკაძე, ხოსრო მირზა—დღეს როსტომ მეფე—გაწვრთვნილნი ომებში გიორგი სააკაძისაგან, და სელიმ-ხან მოადგნენ თეიმურაზს კარსა დიდძალი ჯარით. მეორე მხრით მოადგა ჯარი დაღესტნელთა.

თეიმურაზ არ იყო იმისთანა კაცი, რომ ეგრძნო თავის მეცდომილება და შეცოდვებანი. ის ვერა ჰხედავდა, რაც უყო თავისთავს და საქართველოს ქაიხოსრო ომანიშვილის მოკვლით, სააკაძის

[1]) ამას უწოდებდნენ სინი-აბაზათაც, ესე იგი პატარა შაჰ-აბაზათ (ქრონიკებში ჟორდანიაა, ტ. II გვ. 460.)

განდევნით, ზურაბ ერისთვის მოკვლით. ამას ცხადათ გვიმტკიცებს ისა, რომ ამ ამბების უკან, რაც ეხლა იმას უკაცობით [illegible] არ იშლიდა თავისას, უდგა ნიადაგ დალატში თავის უნიჭიერესთ ყმათა, რომელთაც შეეძლოთ ქვეყნის მოვლა, მტრის პასუხის გება. იმან, როგორც ეხლა ვნახავთ, არ დაიშალა კიდევ და უდგა უკეთესთ ნიჭიერთ ყმათ დალატში.

არ ინდობდა თეიმურაზ თავის უკეთესთა კაცთა, და დაემართა მასაც ის, რაც პრუსიასთან იმის დროს ნაპოლეონ მეორეს, რომელიც ეგრეთვე ყოველს ნიჭიერს კაცს ირიდებდა და სდევნიდა მოადგნენ კარს გამოჩენილნი სარდალნი, და არა ჰყავდა თეიმურაზს მაგარი ხასიათის კაცი, არა ჰყავდა რიგიანი მხედარი მთავარი, რომლისგამო, როგორც ათქმევინებს ამას მეფე არჩილ თავის წიგნში, ვერ დაუჭირა თავი ვერც თავის დიდებულებს, ვერც შემართა ხმალი გამოჩენილს სპარსთა სარდლებს.

მოვიდნენ თუ არა სპარსნი, ბარათაანი მაშინვე გაუდგნენ თაიმურაზს, თუმცა თეიმურაზს ამათი ცოლები ჰყავდა მძევლეთა. რომ არ გადასდგომოდნენ ამას. მთლათ ბარათაანი, მაშინ უძლიერესი გვარი საქართველოში, თავისი ჯარებით მიეგებნენ როსტომს. ამგვარადვე მოიქცა ვახტანგ, მუხრანის პატრონი, რომელნიც ბოლოს აჰყვა სახელოვნად ქართლის ტახტზედ და ეწოდა ვახტანგ მეხუთე. ამ ვახტანგ შაჰნავაზ, შვილი თეიმურაზ მუხრანის ბატონისა. ამას კარგათ ახსოვდა, რაც დღე დააყენა თეიმურაზმა ამასა, ამის ბიძა ქაიხოსროს და მთელს მუხრანის ბაგრატიონების გვარს. თქმა არ უნდა, რომ ის არ მოინდომებდა თეიმურაზს ბატონად და პირველსავე შემთხვევაში გადუდგებოდა იმ მეფეს, რომელმაც არ იცოდა მოვლა ქვეყნისა, არ იცოდა ფასი და ღირსება თვისთა და ქვეყნის ერთგულთ კაცთა.

ეს იყო დასაწყისი თეიმურაზის ბოლოსი.

იმის მაგიერად რომ შეჰბმოდა სპარსთა რომელნიც ართმევდნენ ამას ორთავე სამეფოს. და ცხარე ბრძოლაში გმირულად ან შეჰკვდომოდა ამათ ან გაემარჯვნა, იმან მიჰმართა თავის საზიზღარს და კაცის დამამცრობელს ჩვეულებას. იმან განუჩინა მძევლად დარჩენილთ ბარათაშვილის ცოლებს ცხვირ-პირის დაჭრა, და თუ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოლი იმისი, დედოფალი ხორეშან, კიდეც შეასრულებდა ამას უძლურს და უპატრონო ქალებზედ.

თეიმურაზმა თავისუბურად მიანება თავის სამეფოებს თავი და გასწია იმერეთისაკენ. როსტომ სააკაძემ მოსწია გზაზედ მდევარი, გაწყვიტა გაუთლილი ჯარი, თავისი თან წაყვანილი დიდებულნი, დაატყვევინა ცოლ-შვილი დიდებულებისა და ამალისა და გაუშვა ისრე. თვით თეიმურაზმა თავისი ცოლით და შვილით ძლივს გადაასწრო იმერეთს.

დაჯდა ქართლში მეფედ როსტომ, რომელსაც მემკვიდრეობით კიდეც ეკუთვნოდა ქართლის ტახტი, რადგან ეს იყო ღვიძლი ბიძაშვილი ლუარსაბ მეფის მამის გიორგისა; ძმისწული დიდი სვიმონისა.

კახეთში მივიდა ხანად სელიმ. კახეთი გახდა უბრალო სპარსეთის სახანო.

თეიმურაზს ჰყავდა კიდევ ბევრი მომხრე ქართლში: ზაალ ერისთავი, ნოდარ ციციშვილი, იოთამ ამილახვარი, გიორგი ბაგრატიონი, გოჩასშვილი, კათალიკოზი ევდემოს დიასამიძე, რომელნიც არ უდებდნენ როსტომს თავს. იმათ მოიხმეს თეიმურაზ იმერეთიდამ, აეშალნენ როსტომს, და გამოაცხადეს მეფე თეიმურაზ. ის გამოვიდა იმერთა ჯარით. დაწყობილება იყო რომ თეიმურაზ უნდა თავისი ჯარებით მიშველებოდა ნოდარ ციციშვილს. ნოდარ ორთავი ძმა ჩხეიძით, დაიმედებული, რომ თეიმურაზ მიეშველება ამას, წავიდა როსტომ მეფეზედ. როსტომ მეფე თვითონვე დაესხა ნოდარს თავსა. თეიმურაზ ჯარებით არ მიეშველა ნოდარს. ნოდარმა რა ნახა ესა, გაერიდა ომს. ჩხეიძეებმა არ ინდომეს ბრძოლის გაცლა. შეიქმნა ბრძოლა, ჩხეიძენი იბრძოდნენ ვაჟკაცურად. მაგრამ ორივენი ჩამოყარა ცხენიდამ. იორამ სააკაძემ, გიორგი მოურავის შვილმა, რომელიც დააბრუნა ცოლ-შვილით საოსმალოდამ როსტომ მეფემ და თეიმურაზისაგან ჩამორთმეული მამულები დაუბრუნა უკან. იორამმა ორივე ჩხეიძენი მიართვა როსტომს.[1]) დანაშთენი

---

[1]) ეს ამბები ხდება გიორგი სააკაძის მოკვლის უკან საოსმალოში.

ჯარი ნოდარისა გააქცევს. თეიმურაზ იძულებული იყო გავარდნილიყო ისევ იმერეთს. [1])

თეიმურაზ არ იშლიდა მაინც მეცადინეობას, რომ დაებრუნებინა თავისი კახეთი მაინც, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ზაალ არაგვის ერისთავმა, რომელიც იყო ძმი წული ზურაბ არაგვის ერისთავისა, შვილი გიორგისა, რომელიც ისრე გმირულად დაეხმარა გიორგი სააკაძეს ქსანზედ სპარსთა ჯარების ამოწყვეტაში, და რომელსაც თ,იმურაზის ძალით დასთხარა თავისმა ძმამ ზურაბმა თვალები, იმარჯვა დრო და გადმოიყვანა მთით იმერეთიდამ თეიმურაზ, დაუბრუნა ხმლით კახეთი, მისცა სამუხრანოს ზევით ქართლის სამეფოს ალაგები და აქედამ ზაალ ყოველს ძალას ჰხმარობდა, გაეგდო როსტომ მეფე ქართლიდამ და ქართლიც ისევ დაებრუნებინა თეიმურაზისათვის. ზაალ ერისთავი იმ ხანებში იყო დიდათ გაძლიერებული და ზურაბ ერისთავს არც ძალით, არც სამხედრო ნიჭით, არც რიხით არ ჩამოუვარდებოდა. მთელს ქართლსა და კა-

[1]) ამ დროებს,—ესე იგი, იმ დროს, როდესაც თეიმურაზ გადავიდა იმერეთს თავის სიძე ალექსანდრესთან, რომელსაც, შემდგომ ზურაბ არაგვის ერისთავის მოკვლისა, მიათხოვა თავისი ქალი, დარეჯან, ზურაბის ქვრივი,—ეკუთვნის მოსვლა იმერეთში რუსთა მეფის ალექსის მოციქულებისა, ნიკიფორ მატვეიჩ ტოლოჩანოვისა, რომელსაც ვახუშტი ეძახის ნიკიფორ პავლოვიჩს, და ალექსი ივანიჩ იევლისა, რომელსაც ვახუშტი ეძახის, ალექსი იონასეს ძეს.

ამავე ხანებს ეკუთვნის გიორგი, იმერთა მეფის, ლევან დადიანისაგან ტყვედ წაყვანა და რომელსაც რუსის მოციქულები შეცდომით ალექსანდრეს ეძახიან, და, როგორც ვახუშტი ამბობს, რომლისაც სიტყვა უფრო სანდოა, რადგან საბუთებიც ამას უფრო ემოწმებიან, იყო ტყვედ გიორგი, და არა ალექსანდრე. მხოლოდ მეფის გამოსყიდვას რამდენიმე ურიისა და სომხის მიცემით, რუსის მოციქულები და ვახუშტი თანახმანი არიან. ვახუშტის თქმით, გიორგი მეფის გამოსასყიდათ მისცეს რამდენიმე კომლი ჩიხორისა სომეხი და ურია.

მაგრამ ამაზედ კიდევ უფრო ცხადი საბუთი არის სიგელი როსტომ მეფისა, რომელიც თ. ჟორდანიას, ამ დაუცხრომელს ქართული ისტორიის მასალების შემკრებს, აღმოუჩენია მცხეთის სიგლებში. აქ სხვათაშორის ვკითხულობთ შემდეგს.

ხეთში ასრე გაძლიერებული არავინ იყო. თეიმურაზ დაჰყვნა სამი წლის განმავლობაში ზაალმა დუშეთს და დიდათ შეავიწროვა მეფე როსტომ. მაშინ, როდესაც ასრე თავგამოდებით იბრძოდა თეიმურაზისათვის ზაალი, თეიმურაზ, სწორედ ამ დროს, მყოფი ზაალის საფარველს ქვეშ, ძალა მოცემული ზაალისაგან, მყოფი ზაალის მამულში, იძრახავს ზაალის სიკვდილს. „არამედ განიზრახა სიკვდილი ზაალისა,—ამბობს ვახუშტი,—და დაპყრობა არაგვ—ბაზალეთისა, და განიზრახვიდა კახთა—თანა, თუ რომლის ძალით ჰყოს". ეს გაუგო ზაალმა და აიყარა გული თეიმურაზზედ.

„ცნა თეიმურაზ უნდობლობა ზაალისა,—ამბობს იგივე ვახუშტი,—და წარმოვიდა და ჩამოვიდა კახეთს". შემდგომ ამისა იმერთა და ოსმალთა შემწეობით თეიმურაზ არ იშლიდა ბრძოლას როსტომ მეფესთან, მაგრამ როსტომ მეფემ თავისი მაღალი დიპლომატიური ნიჭით, თავისა გონივრული სახელმწიფოს მართვით, თავისი კაცთ მოყვარული ქცევით, გონივრული და ღრმათ მოსაზრებული ბრძოლათა წყობით მოუღო სამუდამოთ ბოლო თეიმურა-

---

„ჩვენ, როსტომ მეფე და დადიანი, ბატონი ლევან, დავმოყვრდით და შევირთეთ დაჲ მისი... მოვიწადინეთ იმავ წელიწადს ქორწილის ქმნა და გზა არ დაგვანება იმერთა მეფე გიორგიმ. შევიყარენით აქეთ ჩვენ და მივედით სამცხეს. ოცხეს (აბაზთუმანი) დავდექით. იქით წამოვიდა დადიანი შეყრით და ქალი წამოიყვანა. წინ გადაუდგა მეფე გიორგი, შეიბნენ და გაემარჯვა დადიანსა და დარჩა ხელთ მეფე გიორგი (ქრონ. თ. ჟორდანიასი, ნაწ. II. გვ. 436). აქ ერთი შენიშვნაა საჭირო. მკითხველის თავში უეჭველია აღიძვრის ფიქრი: რა სჯიდა მეფე გიორგი'ს, რატომ არ მისცა გზა, რომ დედოფალი გაეტარებინათ იმერეთზედ? მიზეზი აქაც იყო თეიმურაზ მეფე. შემდგომ თავისი სიძის, ზურაბის მოკვლისა, როგორც ზემოთაც ითქვა, თეიმურაზმა თავისი ქალი, ზურაბის ქვრივი, მიათხოვა გიორგი მეფის შვილს, ალექსანდრეს. როგორც სთქვით და ეს სიგელიც მოგვითხრობს, მაშასადამე თეიმურაზსა და გიორგი მეფის შორის იყო მოყვრობა. ამ ხანებში, როგორც ამავე სიგელიდამაც და სხვა დოკუმენტებიდამაც სჩანს, თეიმურაზ იყო როსტომ მეფისაგან თავისი სამეფოდამ განდევნილი და იმყოფებოდა იმერეთში. დადიანის დამოყრებით,—როგორც ამასა სწერს თეიმურაზ მეფე როსტ

ზის უფლებას. ამასთანავე ბრძოლაში დაჰკარგა თეიმურაზმა უგანასკნელი ვაჟიშვილი, დათუნა, რომელსაც, რუსთ მოციქულების მოხსენებით, არ მოსწონდა ბევრში მამის ქცევა და მეტადრე მისი დიპლომატიური მოსაზრებანი, და არა ჰქონდა ნდობა რუსეთისა, რომლისაგანაც თეიმურაზ მოელოდა ცხონებას. იქ, სადაც ქრისტიანე თეიმურაზ მტერსა და მოყვარეს აბანებდა სისხლის მორევში, არა ჰზოგავდა არავითარს მტარვალობას, იქ მაჰმადიანი როსტომ მეფე იჩენს იმ დროსათვის საოცარს კაცთ მოყვარეობას და შეწყნარებას. როდესაც როსტომ შემოვა ქართლში, ფარსადან ციციშვილი არ ემორჩილება როსტომს. ფარსადან ციციშვილისა იყო მოსისხლე მტერი როსტომ ხან სააკაძე, ამიერ სპასალარი ირანისა, რომელიც მოჰყვა თან როსტომ მეფეს. იმას ახსოვდა ის საშინელი დღეები, რომელნიც ფარსადანმა დააყენა ამასა და ამის მამამიძათა და მათ ოჯახობას ფელის ციხეში, შემდგომ ლუარსაბისაგან გიორგი სააკაძის ქართლიდამ განდევნისა. ფარსადან, როგორც ზემოთ თქმულიდამაც ვიცით, აპირებდა მთელი ამათი ოჯახის ამოწყვეტას, და ჰყვანდა ისინი ციხეში გამომწყვდეული, მინამ ღამე

---

ხელმწიფესაც, როსტომ მეფე უფრო გაძლიერდებოდა: ორი უძლიერესი საქართველოს ბატონი, როსტომ მეფე და ლევან დადიანი დაკავშირდებოდნენ და როსტომის ძლევა თეიმურაზისაგან შეუძლებელი-ღა ხახდებოდა. მაშასადამე, საჭირო იყო მოშლა ამ დამოყვრებისა, და ცხადია, უმთავრესი მეცადინე, რომ ეს ქორწილი მოშლილიყო, იქნებოდა თეიმურაზ, რომელიც, ამავ სიზელის თქმით, იყო იმერეთს. ჩჩუბისა ღ ავი საქმისაგან თავი არ აილო და არც დასწყნარდა... ჩვენ რომელიც საფიცარი მივეცით და ან პირობა დაუდევით, ყველა გაუთავეთ, და კახმა ბატონმა რაც პირობა და ფიცი მოგვცა, არც ერთი არ გაგვითავა, და რომ ეს ასრეა, ამას გვიმტკიცებს ორი წარწერა ლევან დადიანასაგან ილორის წმ. გიორგის ხატზედ და ხონის წმ. გიორგისავე ხატზედ. პირველზედ აწერია: „ოდეს შევებენით ბალდადს იმერეთის მეფეს გიორგის... და სიმამრსა მისსა კახ-ბატონს, თეიმურაზს, გიორგი მეფე ხელთ დაგვრჩა“... მეორეზედ აწერია: „ოდეს შევებენით ბალდადს გიორგის და კახ-ბატონს თეიმურაზს... თავად მეფე ხელთ დაგვრჩა, კახთ მეფე თეიმურაზ და მეფის შვილები ალექსანდრე და მამუკა გარდიხვეწნენ.“ (ქრ. თ. ჟორდანიასი ნაწ. II. გვ. 451).

ფეხშიშველა და პურანგა ქალები არ გამოიპარნენ და არ ირბინეს ისრე ტყე-ტყე იმერეთამდის, და მინამ, შემდგომ ათაბაგის მთა-ხერხებისა, გმირულად არ დაახწიეს ამანა და ამისმა მამა-მისმა თავი. ამ საშინელს მტრობას, სადაც მოიკლა კიდევ ერთი ამისი ბიძათაგანი, ამ როსტომ ხანს მოაგონდა ის საშინელი დღენი რომელნიც ფარსადანმა დააყენა ამათ და ახლა ჰქონდა დრო ეყარნა იმაზედ თავისი და თავისი ოჯახის ჯავრი. იმან იცოდა კარგათ ისიცა, რომ ერთი უმთავრესი იმ პირთაგანი, რომელნიც გახდნენ მიზეზნი ლუარსაბისაგან ამისი ბიძა გიორგი სააკაძის სასიკვდილოთ გამეტებისა და ყველა ამითი თავისი სამშობლო ქვეყნიდამ განდევნისა, იყო ფარსადან ციციშვილი. როსტომის გამეფების დროს, ამასა და ფარსადანს შეხვდათ ერთმანეთის პირდაპირობა. ფარსადან იცავდა თეიმურაზს, როსტომხან — როსტომ მეფეს. როსტომ სააკაძემ დაამარცხა საშინლად ფარსადან და შეესია შეუბრალებელი მრისხანებითა და ოხრებით საციციანოს. როსტომ მეფეს აქვს ყოველი მიზეზი, რომ ფარსადან ძალიან წაახდინოს. იცის კიდეც მიზეზი როსტომ ხანის მრისხანებისა, მაგრამ მაინც ის არ აძლევს იმას ნებას, რომ წაახდინოს საციციანო. „მე მოვსულვარ აქ მეფეთ, და არა მაოხრებლათ“, ეუბნება ის როსტომ სააკაძეს და შეაყენებს ამის მრისხანებას ციციშვილებზედ.

ამგვარსავე კეთილმოყვარეობას იჩენს როსტომ მეფე სხვაგანაც. სააკაძისაგან გაწრთვნილს და შთაგონებულს, იმას კარგათ ახსოვდა იმისი აზრები და იცოდა, რომ საქართველოს გაძლიერება შეიძლებოდა მხოლოდ შეერთებით. ამის გამო განიზრახა იმასაც ეს საქმე. ამან ისარგებლა თავის მეგობრობით და დავალებით შაჰ-სეფისთან და შემოიერთა კახეთი. ამავე დროს, რაკი თვითონ უშვილო იყო, იშვილა იმერთა მეფის ალექსანდრეს შვილი, მამუკა, რომელიც იყო მემკვიდრე იმერეთისაც. ამგვარად, თუ რამე ღონით მოხერხდებოდა, რომ ოსმალნი არ გარეოდნენ ამ საქმეში და სპარსთა პოლიტიკაც ამგვარივე წყალობისა იქნებოდა საქართველოზედ, შესაძლებელი ჰხდებოდა საქართველოს შეერთება. მაგრამ, სამწუხაროდ ძნელია ყველა დიდი

საქმას შესრულება კაცთ მიუხვედრელობისა და [illegible] გზით. მამუკამ მოინდომა საჩქაროდ მოშორება [illegible]ბიდისა, რომ მალე ეგდო მეფობა ხელში. იმან მიუჩინა როსტომს მკვლელები. გორგიჯანიძისა და პარიჟის სახელმწიფო ბიბლიოთეკის საქართვ. ცხოვრ. ანონიმნი ავტორის სიტყვით, მკვლელები ჩაუსხდნენ როსტომს აბხანაში (ფეხის ალაგი). აქ შემოვიდა ერთი კარის კაცთაგანი. ჩასაფრულთ ეს მეფე ეგონათ და დაუშინეს ხანჯლები. ამ კარის კაცმა დაიყვირა. ხმაზედ იცნეს მკვლელებმა, რომ ის მეფე არ იყო. ისინი გაცვივდნენ. როსტომმა გამოძიების უკან შეიტყო, რომ ის კაცნი იყვნენ მოგზავნილნი მამუკასაგან ამის მოსაკლავად. იმან ეს ხუმრობათ გადუქცია დაჭრილს კარის კაცს. ოცის დღის განმავლობაში სრულიად არა გაამჟღავნა რა. ოცი დღის უკან გაუგზავნა მამუკას ასი ათასი მარჩილის საფასური და გაისტუმრა ახალციხეს, საიდამაც წავიდა იმას ჩამოყვანილი და ზრდილობიანათ შეუთვალა: ყეენს არ უნდიხარ და ვეღარ გიშველებო.

ამავე გორგიჯანიძისა და პარიჟის ბიბლიოთეკის ხელ ნაწერი ქართლ. ცხოვრ. ავტორის სიტყვით, ნოდარ ციციშვილი აუმალა როსტომს თეიმურაზის სასარგებლოთ. როდესაც როსტომისა და ნოდარის ჯარები შეიბრძოლნენ, ნოდარის ჯარებში ყველაზედ თავგამეტებით და ვაჟკაცურად იბრძოდნენ ორი ძმა ჩხეიძე. ბოლოს ისინი შეიპყრა სასომალოდამ დაბრუნებულმა გიორგი სააკაძის შვილმა, იორამმა. ისინი მოჰგვარეს როსტომს ხელებ შეკრული. როსტომმა უბრძანა დაუხსნან იმათ ხელები, წაიყვანონ გორში, გამოუცვალონ საცვალი და ტანისამოსი მისცენხ სუფთა, და რბილი ქვეშსაგები, მიაპყრან დიდი პატივი და მოექცნენ, როგორც იმათს გვარის შვილობას ეკადრება.

ამავე ნოდართან ომის შესახებ, მოგვითხრობენ იგივე ავტორნი შემდეგს. მეფეს ჰოახსენეს: „შეუტყობრათ თავს დავესხათო„. მეფემ ეს არ იკადრა და ასრე ბრძანა: „ქართველთ სამართლის ქნის გამართლებისათვის ერთმანერთს შევებრძვიანო, მეც ჩემს ყმას სამართალზედ შევებმიო. თუ მე იმაზედ ვტყუი, გამარ-

ჯგება იმას დარჩება. ეგ ბედნიერს ყაენს გამოეპარა, შენმა მთხოვა და არ მივეცით. მაგის მამას ფარსადანს უნდოდა [illegible] საციციშვილო თავისი შვილი ჴაჴუნა ყორჩიბაშისთვის მიეცა და მე ვინებე, ჩაგას უქრთამოთ მივეცით, და ახლა ეგ, ამდენი სიკეთის მაგიერათ, მე მმუხანათობსო. ამაზედ მინდა ღვთის სამართალი გავსინჯო, თუ რომელი ვტყუითო„... დაამხებინა ქანანები, იმოდენი ხანი აცდევინა რაზმჯა, მინამ იმათაც არ შეიტყეს და არ გაემზადნენ საომრათ.“

თუმცა მეფე თეიმურაზ ჰსვამს როსტომის სისხლს, არ აძლევს თავისი ინტრიგებით და ნიადაგ ბრძოლით მოსვენებას, მაგრამ როსტომ ყოველ შემთხვევაში ექცევა თეიმურაზს პატივითა და დიდებით. მაგალითად, ბოლოს დამარცხების დროს, ის აძლევს გზას იმერეთზედ წასვლისას, და, რომ გზაში არავინ რა ავნოსო, ატანს კათალიკოზს სამცხეთო ჯარებით. ეს კიდევ ცოტაა. ხსენებულთა მწერალთა სიტყვით, როდესაც მოხდა ეს უკანასკნელი ბრძოლა თეიმურაზისა როსტომთან, თეიმურაზს გადუდგენ ბევრი თავისი ერთგული კახეთის დიდებულნი. ისინი მოვიდნენ როსტომთან და მოახსენეს, ჩვენ თვითონ შევიპყრობთ თეიმურაზსა და მოგცემთ ხელშიო: „მეფეს (როსტომს) არ უნდოდა იმისი (თეიმურაზის) დაჭირვა და არც უმადლიდა იმის ორგულობას, და ბრძანა: „მის დღეში ამგვარი მუხანათობა კახთ არ უქნიათ, რომ ახლა ჰქნესო“.

ესე და სხვა მრავალი ამ გვარნი მაგალითნი გვისახავენ როსტომის მაღალს ხასიათს. როგორც აქ, ისრე საქრისტიანო ტაძრების შენობაში თქვენ ჰხედავთ როსტომში მიუდგომელს და მაღალი თვისების კაცს. როსტომ იყო მაჰმადიანი, მაგრამ თქვენა ჰხედავთ, რომ იმას ახვევია გარს სულ ქრისტიანობა, სამღვდელოება. ის დიდი პატივით ეპყრობა ფრანგთა მისიონერებს და იახლოვებდა მათ, რომელთაც სიტყვით იმან ორმოცს დღეზედ ააშენა გორის ციხე (ისტ. კათ. საქ. გვ. 125). ისა და იმისი მეუღლე, დედოფალი მარიამ, აძლევენ მრავალს შესაწირავს საქრისტიანო ტაძრებს. ენგრევა სვეტი ცხოველს გუმბათი, და ეს

ადგამს ახალს გუმბათს და აახლებს მთელს ტაძარს. ანგრევს შაჰ-აბაზი ალავერდის ტაძარს. თეიმურაზ მეფობს ორმ[illegible] დი მეტი მასუკან და ვერ აახლებს ამ კახეთის უკეთესს ტაძარს და მშვენებას, თუმცა დროცა და შეძლებაც ამისი ბევრჯერ ეძლევა იმას. წაართმევს თუ არა როსტომ თეიმურაზს კახეთსა, მაშინვე აშენებს ახლად ალავერდს. და სხვა მრავალი ამგვარები.

ამავე დროს მეფე როსტომ იყო მაჰმადიანი, და თეიმურაზ ქრისტიანი. ქრისტიანი სცურავს ხშირად თვისსავე ერთგულთა და მსახურთა სისხლში, მაჰმადიანი მტერთაც კი აძლევს მიტევებას და ეძებს მათთან მშვიდობას.

აქ უნებურათ გაგონდება ჭრ მისა პაპნი და ქრისტიანთა მეფენი ჯვაროსნობის ომებისა და პროტესტანტთა დევნის დროს, რომელნიც სცურავდნენ სისხლის ზღვაში და ჰჟლეტავდნენ უწყალოთ არამც თუ სხვა რჯულის ხალხთა, და თვით ქრისტიანეთა ქრისტესავე გულისათვის, და მაჰმადიანთ, სარკინოსთა და ოსმალთა მეფენი სალადინი, სულეიმანი და სხვ ნი, რომელნიც თავისი მაღალი პატიოსნური ხასიათებით, კაცთმოყვარულის ქცევით, უჩვენებდნენ ქრისტიანობას ქრისტიანურს მაგალითს; და ქრისტიანთა სულისა და ხორცის მეფენი ამავე დროს არა ძღებოდნენ არც ქრისტიანთა და არც სხვა სარწმუნოების ხალხთა სისხლით...

სიტყვით, ახდა სააკაძის წინასწარმეტყველური სიტყვები ქართლ-კახეთის თავს თეიმურაზისა და მისთა დიდებულთა ხელში.

სისხლის ღვრა ქართველთაგან ქართველებისა გახდა თითქმის საყოველთაო. მოკვდა უშვილო მეფე როსტომ. თეიმურაზის ტახტს ეპატრონებოდა თეიმურაზისავე სიცოცხლის დროს ზაალ არაგვის ერისთავი, ქართლს—ვახტანგ მუხრანის ბატონი. ზაალ ერისთავი და მრავალი სხვანი არა შერებოდნენ, ქართლი და კახეთი ისევ ერთ სამეფოთ ყოფილიყვნენ. ისინი რჩევობდნენ საქართველოს სამეფოთა გაუქმებას და საყეენოთ დადებას, ვიდრემ მას, რომ ვახტანგ გაეხადნათ ორთავე სამეფოს ბატონათ. თეიმურაზ მეფის ასულმა დარეჯანმა, ზურაბ ერისთავის ნაცოლარმა, შემდგომ თავისი მეორე ქმრის, იმერთა მეფის ალექსანდრეს სი-

კვდილისა, არის მთელი იმერეთი. მთელი საქართველო დაფანტ-ული. ჩარხი საქართველოს ბედისა უფრო და უფრო ტრიალდებოდა და უკუღმა. საქართველო შეუკავებლად მიდიოდა უფსკრულისაკენ. იმას ელოდა ის ტრაგიული ბოლო, რითაც გათავდა მისი პოლიტიკური ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს. ამას ვეღარც საავაძის აზრებში გაზრდილმა მეფე როსტომმა უშველა. სიბერე არ აძლევდა დროს და გარემოება უცრიდა ხელს. აქაც უმთავრესი საქმის ჩამშლელი იყო თეიმურაზ, მავნე გენი საქართველოს ბატონობისა.

იყო მეცადინეობა შემდეგშიც მთელი საქართველოს შეერთებისა. ვახტანგ შანშიავაზმა ერთი-ორი ხელობა კიდეც მოახერხა ესა, მაგრამ ბოლო ვერ გასტან. ბოლო ვერ გასტანა იმიტომ, რომ იმას ვერ შეეძლო ამ პლანების შესრულება, რამდენადაც საავაძე აპირებდა საქართველოს შეერთებას. ამისთვის იყო საჭირო, მთელი საქართველო ან სპარსთ ან ოსმალეთს დარჩენოდათ. ვახტანგ მეტად დავალებული იყო სპარსთაგან, რომ ეღალატნა იმათთვის, მიეცა ქართლ-კახეთი ოსმალთათვის, და იმოდენა ძალა კი არა ჰქონდა, რომ ოსმალთათვის წაერთმია დასავლეთი საქართველო და მიეცა სპარსთათვის. ოსმალთ არ ინდომეს ამისი შვილი არჩილ იმერთა მეფედ და წაუყვანიეს თვითონ სპარსთავე. ამას დაერთო ერთი კიდევ სხვა გარემოება. აქ მოხდა სწორედ ის, რაც მეფის ერეკლე მეორის გაძლიერების დროს. იყო სპარსეთში არეულობა. ირაკლი მეორე წავიდა თეირანისაკენ, დაამარცხა ყველა ხანები, დაიჭირა მთელი ჩრდილო სპარსეთი, იყო მისული თეირანზედ თითქმისა, ყველა ელოდა და იგი-თონაც ჰქონდა განზრახვა ჩაეგდო ხელთა ირანის ტახტი, გამხდარიყო მთელი სპარსეთის შაჰი. ამ დროს მოვიდა რუსეთიდამ ბაქარ მეფის შვილი, ალექსანდრე, რომელიც, როგორც ოფიციალურად იყო ცნობილი, გამოაგდეს რუსებმა გვარდიიდამ და დასასჯელად ვითომ რაღაცა დანაშაულისათვის, გამოჰგზავნეს... მოზდოკში. ეს იყო მემკვიდრე ქართლის ტახტისა. მოზდოკიდამ ამან მოიმხრო მთის ხალხნი, ზოგიც ქართველობა, მოიტანა ბლო-

მათ ფული რუსეთიდამ და შეესია ქართლს სწორეთ იმ დროს, [illegible] საჭურად, როდესაც მეფე ქართლისა, ირაკლი, აპირებდა [illegible] ირანის დაჭერას. ეტყობა საიდუმლოთ განკარგულება ჩრდილოეთიდამ, არ გაძლიერებულიყო ერეკლე სპარსეთში. ირაკლი იძულებული იყო დაენებებინა თავი სპარსთათვის, დაენებებინა თავისუფლ გაზრახული საქმისათვის, რომლითაც საქართველო ჰხდებოდა ახლა ბატონი მთელი სპარსეთისა, და მოჰპატრონებოდა თავის საკუთარ სამეფოს, რომელსაც აცლიდნენ ახლა ხელიდამ. ესევე მოუვიდა ვახტანგ შაჰნავაზსაც. იმან დაიპყრა კახეთიცა ქართლთანა, დასვა იქ ბატონად თავისი შვილი, ცნობილი თავისი მწერლობით, არჩილ. გაძლიერდა შაჰნავაზ და ქართლ-კახეთი ისე რომ თვით სპარსეთსაც აღარ ჩამოუვარდებოდა, რომელსაც სხვათა შორის ჰხედავთ შარდენის აწერილობიდამაც, სადაც, ის ერთის ალაგს ამბობს სხვათა შორის ქართლის აღწერაში, რო ისრე შემუშავებული და შემკული იყო, რომ არც ერთი კუთხე ქვეყნისა, რომელიც მე მინახავს, ამას არ უდრისო. ამ დროს მოვიდა რუსეთიდამ ირაკლი ანუ, როგორც რუსები ეძახიან, ნიკოლაი დავიდიჩი, შვილის შვილი პირველი თეიმურაზისა, და დაემკვიდრა თუშეთში. აქედამ იწყო თარეშობა და აკლება კახეთისა. კახეთი შევიწროვდა, შესწუხდა. არჩილ მეფე, რომელსაც ცოლათ ჰყავდა და ირაკლისა, დათუნას ქალი, შესწუხდა დიდათ ამითი. იმან არჩია ამოდენა სისხლს და უსიამოვნობას, თავის დანებება კახეთისა. კახეთი დაიპყრა ირაკლიმ. არ მოხერხდა შეერთება კახეთისა. ცხადია ამგვარივე გარეშე მიზეზი იყო, რომ არ მოხერხდა შეერთება ქართლ-კახეთისა იმერეთთან ირაკლი მეორეს დროსაც, რასაც სცდილობდნენ ეხლა თვით ქართლ-კახეთისა და იმერთა დიდებულნი.

ამგვარად შემდგომ სააკაძისა, თეიმურაზ პირველი პოლიტიკის მოწყალებით, ერთი რამ ისრეთი ძლიერი და მოხერხებული ძალა ჩამოერია საქართველოს საქმეში, რომელიც თავის გაძლიერებისა და აზიაში ფეხის მოსაკიდებლად არა ჰხედავდა სასარგებლოთ საქართველოს შეერთებას და გაძლიერებას. ორს ხმალს, შეერთებულს საქართველოს თავს, და-

ერთი მესამეც, უფრო ძლიერი და უფრო გაწრთვნილი საქმეში. სააკაძის უკან წასული იყო საქმე ხელიდამ. ქვეყანა [illegible] ხედავდა ამას მორიდამვე და ერიდებოდა ამას უეჭველი თავის ღონით.

---

## სააკაძე ოსმალეთში და მისი აღსასრული.

სააკაძე კვალად განიდევნა თავის სამშობლოდგან გაუპატიურებული, გაწბილებული. მშვენიერად გვისახავს ამის გულის სევდათა იოსებ თბილელი თავის წიგნში.

იძლია კაცი აქამდის უძლეველი, ძლია თავისსა ე მოკეთეთაგან, იძლია და განიდევნა მათგან, ვისაც ამან მისცა დიდება, მშვიდობა, მყუდროება, შეძლება და თავისუფლება.

ქვასაც გასტეხდა ამგვარი დაურიდებელი უმადურობა, ამოდენა ღალატი, ამოდენა მიუხვედრელობა, გაუტანლობა, საქვეყნო საქმის დავიწყება, პიროვნულს საქმეებში თავის მთანთქა მაგრამ სააკაძის გული სწორეთ რომ გაუტეხარი იყო. პირიქით რამდენიც უფრო დიდს დაბრკოლებას ხვდებოდა თავის საქმეებში, იმდენი უფრო მაგრდებოდა მისი გული, მკვიდრდებოდნენ მისნი განზრახვანი:

„შუბის წვერთა რკინა ექნის, გული ხემი არვისაგან!“

„რა გაჭირდის უფრო შეესძლი, ასრე მქონდის ომისხვევა!...“

სააკაძე წავიდა საოსმალოში და გაჰყვა სტამბოლს. მას თან ჰყვნენ მრავალნი ქართლის დიდებულნი, სხვათა შორის ქაიხოსრო მუხრანის ბატონი და ისე ქსნის ერისთავი.

ამან გაუშვა ცოლშვილი აზრუმში, სადაც იმ დროს და თვით აზრუმის გარშემო ესახლა მრავალი ქართველობა, იყო მრავალი ქართველი სოფელი, და თვით აზრუმში იჯდა ქართველი ეპისკოპოზი, რომელსაც ეწოდა აზრუმელი, როგორც ამას მოგვითხრობს არქანჯელო ლამბერტი. (ისტორია კათოლიკობისა საქართველოში გვ. 111.)

ხვანთქარმა ჩვეული დიდებით და პატივით მიიღო, [illegible]რუმის მახლობლად მისცა დიდი ქვეყნები ცოლ-შვილის საცხოვრებლად. გარდა ამისა მისცა დიდი და ურაცხელი საჩუქარი. აგრეთვე დიდებით ჰყავდათ მიღებული ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენელთ [1]).

სტამბოლში სააკაძეს აჩვენეს ყოველი სიმდიდრე და დიდება ხვანთქრისა და სტამბოლისა. როგორც გულით ქრისტიანე, იახლა მსოფლიო ბერძნების პატრიარქს, ეამბორა ხელზე, მოისმინა იმისი წირვა ლოცვა, მისცა შესაწირავები.

აქ გაუმთელდა ბაზალეთში მიღებული ჭრილობანი, გახდა კარგად.

იმისი აზრებისათვის საჭირო იყო, მოეპოვებინა ნდობა სულთანისა, შეეყვარებინა იმისთვის თავი. ეს სურვილი შეუსრულდა ადვილად. მისმა დიდებულმა გმირულმა, მაგრამ მშვიდობიანმა სანახაობამ, ძლიერმა რიხიანმა ხმამ, მტკიცე და გულში ჩასაწვდომმა სიტყვა-პასუხმა, ღრმად საქმეში ჩახედულობამ, ღირსეული დიდებით თავის დაჭერამ, გაწვრთნილმა დიპლომატიურმა ენამ სრულიად შეიპყრეს გონება და გული ხვანთქრის.

როდესაც ჰნახა, რომ ხონთქარი და კარის კაცნი უფრო და უფრო პატივით ეპყრობიან და აზრეი ამისი მიაჩნიათ მოსაწონად, მაშინ აუხსნა ხვანთქარს, რომ, როგორც ადრევაც მოეხსენებინა, სპარსთა დაუძლურებისათვის საჭირო იყო ოსმალთათვის დაპყრობა მთელი საქართველოსა. ამასთან აუხსნა, რომ ეს არ იყო ძნელი და სთხოვდა შემწეობას ჯარითა და ფულით, ჰპირდებოდა, რომ ეს თვითონ შეუსრულებდა ამ საქმეს ხვანთქარს და სპარსნი გაედევნა საქართველოდამ.

ხვანთქარი სრულიად თანახმა იყო ამისი და მოუწონა სააკაძეს აზრი. აღუთქვა კიდეც შემწეობა. მხოლოდ, აუხსნა, რომ ამ ჟამათ ეს შეუძლებელი იყო, რადგან მაშინ ჰქონდა ოსმალო-

1) თამარაშვილი. ისტ. კათ. საქ. გვ 99.

ში აშლილობა, და ამასთან ომი სპარსეთთან, რომელიც ჯერაც არ შეწყუდარიყო, რაც სააკაძემ მოახდინა აშლა ამათსა და სპარსეთს შორის. ჯერობით შენი და შენი ქართველობის თავი აქ უფრო მიჭირსო. თუ ეხლა მიჩვენებთ თქვენს გმირობას და ერთგულობას, დამიმარცხებთ მტერსა, მაშინ მიიღებ ჩემგან ყველას, რასაც ითხოულობო.

ამ დროს ოსმალებზედ იყვნენ აშლილნი სოხასტები, არაბისტანელნი, აზრუმელები და ამასთან, როგორც ითქვა, იყო ომი სპარსელებთან მიერეთს, და ანატოლიაში კიდევ იმავე გაუთავებელი ბაღდადის თაობაზედ. ხვანთქარი ჰგზავნიდა ჯარს ჯარებზედ, სცვლიდა ფაშებს, ვეზირებსა და მაინცა და მაინც მოსდიოდა ნაადაგ მარცხის ამბავი.

ხვანთქარმა სთხოვა, რომ სააკაძე ჯერ მიხტომოდა სოხასტას და მერე წასულიყო სხვა მეომარს ხალხებზედ, რადგან, როგორც უხსნიდა ხვანთქარი, სოხასტელები იყვნენ დიდი და გაუტეხარი ვაჟკაცი ხალხნი, რომელთაც ომის მოწყობილობა აქვთ კარგი, იარაღი დიდძალი და საგანგებო, ციხეები დიდათ გამაგრებულნი.

სოხასტას ქალაქს ანუ, როგორც ზოგნი ჰფიქრობენ, თოხათს, დიდი ხანია ადგა ჯარი სულთანის პირველი ვეზირისა, რომელსაც ჰყავდა ცოლად ღვიძლი და სულთანისა, და რამდენჯერაც მივიდნენ, იმდენი ციხის ჯარმა საშინელი მარცხით გამოაბრუნა. სულთანი იყო განრისხებული ამ ხალხზედაც და თავის სიძე ვეზირზედაც. *)

სააკაძეს მისცეს ჯარები, და გაისტუმრეს. იმან იახლა თან თა-

*) ამას ქართველი მწერალანი ეძახიან ვეზირ აზამს. როგორც ამ ვეზირის ცოლის წერილიდამა სჩანს, ვეზირ—აზამობა უნდა იყვეს უმაღლესი მოხელეობა სახელმწიფოში, და არა სახელი ან გვარი. მით უფრო საფიქრელია ესა, რომ ამას ოსმალნი ეძახიან ზოგნი ყაფუდან ფაშას, ზოგნი ხოსროვ ფაშას. მე ვნახე ერთი სიგელი ვეზირისა, დაწერილი სწორეთ იმ დროს, როდესაც სააკაძე იყო ოსმალეთში, რომელზედაც ეწერა ხელი: „ვეზირ—აზამ.“ სხვა არც გვარი და არც სახელი არ ეწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისი ქართველობისა. სოხასტას მდგომი ჯარი ვეზირ-აზამით წავი-დნენ სპარსელებზედ.

სააკაძეს ახლა თან სულთანმა ყაფუჯები (ეხლანდელი ბოის-ტავებივით), რომელთაც ჩააბარეს ნაწყალობები ქვეყნები აზრუმი-სავენ, რომელიც შესდგებოდა რამდენიმე სანჯახიდამ. სიტყვით, სააკაძეს ეპყრობოდნენ მეფურად, სააკაძე იყო სავსე იმედებით. ახლა აქ გამარჯვებაზედ და იყო ბედი და უბედობა სააკაძის საქ-მისა. თქმა არ უნდა—ის აღარ დაჰზოგავდა არავითარს ღონეს, არავითარს მეცადინეობას აქ გამარჯვებისათვის.

მივიდა სოხასტაზედ. იმან გასინჯა ციხე-სიმაგრენი ამ ადგი-ლებისა და ჰნახა, რომ იერიშით, ძალით ამ ადგილების აღება ძნელი იყო. რა-კი დარწმუნდა ამაზედ, სააკაძემ მიმართა სხვა მა-ნევრს, სხვა ღონეს. ის თავისი ჯარით, ცოტ-ცოტათი გაჭრილათ შეეპარა მეციხოვნეთ ციხეში. როდესაც შევიდა საკმაო ძალა სააკაძის მეომართა, უცებ გაჭრილნი გადიქცნენ მეომრებათ, გაუღეს და-ნარჩენს სააკაძის ჯარს კარები, და მოულოდნელად სოხასტელებისა ქალაქი და ციხე დარჩათ სააკაძის ჯარებს.

სააკაძემ ეს მაშინვე მოახსენა ხვანთქარს და მიართვა ძღვნათ სამხედრო ალაფი.

სტამბოლში შეიქნა დიდი ამბავი. სულთანი უჯეროდ დღესა-სწაულობდა ამ გაუტეხარი და დიდი ვაჟკაცი ხალხის დამორჩილე-ბას. ხმა სააკაძისა გავარდა ყველგან, რაც იყო და არ იყო, ისმოდა ამაზედ ქება და ლაპარაკი. სულთნის სერალში იყო რაღაც გა-ზვიადებული წარმოდგენი ამაზედ. ჯერ თავის მისვლითაც სტამ-ბოლში მოახდინა დიდი შთაბეჭდილება სააკაძემ თავისი შეუდარე-ბელი ახოვნებითა, ტანით და დიდებული გმირული სანახაობით; ახლა ამას დაერთო ამისი მოულოდნელი გამარჯვება სოხასტელებზედ, რომელნიც ითვლებოდნენ უძლეველათ. დიდება და ლაპარაკი საა-კაძის გმირობისა იწვევდა ცოტ-ცოტათი კილვას სულთნის სიძე პირველს ვეზირზედ. ამას ცხადად აგრძნობინებდნენ სულთნის ცოლები, სულთნის კარის კაცნი ვეზირის ცოლს. იმის გულში იღვიძებდა შური.

სულთანმა შეასრულა თავისი აღთქმა. სხვა დიდს წყალობასთან, რომელიც გაუგზავნა სააკაძეს და მის ქართველობას, [illegible] ხასტის ქვეყანაც სამკვიდროთ.

სააკაძემ მიიღო ბრძანება, სოხასტიდამ წასულიყო სპარსთა საბრძოლველად ბაღდადისაკენ, სადაც სპარსნი ძალიან საქმეს უჭირებდნენ ვეზირ-აზამის დიდძალს ჯარებს და მომეტებული ნაწილი გამოდიოდნენ მძლეველნი. ოთხი ათასი ოსმალოს ჯარით და ორმოცი ქართველით, სააკაძე დაირბექირთან შ ხვდა ათი ათასს სპარსთა ჯარებს, რომელნიც მოდიოდნენ დიარბექირის გამოსახსნელად. ეს მოხდა კერკუკის ალაგებში. შემდგომ ცხარე ბრძოლისა, სააკაძემ სრულიად დაამარცხა და თითქმის მოსპო ეს ჯარი სპარსელებისა.

ეს იყო ამ ომების დროს პირველი ძლიერი გამარჯვება ოსმალებისა სპარსელებზედ.

მივიდა ეს ამბავი სტამბოლს. სახელი სააკაძისა ახლა უფრო გაითქვა, ახლა უფრო გაზვიადდა ცხოვლს. ოსმალების ოცნებაში. სულთანი თვითონ მოდიოდა აღტაცებაში, იმის წყალობებს არა ჰქონდათ დასასრული. სერალი დაღდაღებდა. სააკაძე სერალის პირში, სერალის დამშეულს გონებაში, იყო რაღაცა შეუდარებელი, რაღაცა მოვლენილი კაცი. სულთანის სიძეზედ ახლა აშკარად ისმოდა დაინვა.

ამ ამბებს დაერთო ისიც, რომ სააკაძემ დაამარცხა არაბისტანის აშლილნი თუ მიმშველონი ოსმალების მტრებისა და მოუღო მათ ბოლო. სტამბოლში სააკაძის სახელის ხსენების მეტი აღარა იყო-რა. სულთანის და ! ეკარგებოდა მოთმინება. და აგერ გაუწყდა მოთმინების ძაფიც: მოვიდა ამბავი სტამბოლში, რომ ოსმალოს ახლა აეშალა აზრუმის ფაშა, რომელსაც ეგრეთვე ერქვა აბაზ და მიუდგა სპარსთათ. აზრუმს შემოერტყა პირველი ვეზირი დიდძალი ჯარით, მაგრამ ამაოდ. აზრუმი იყო გაუტეხარი. მოდიოდა სტამბოლში უნუგეშობის ამბავი. სტამბოლი მრისხანებდა. სპარსნი, წაქეზებულნი ამით, მოდიოდნენ შუაგულს ოსმალოში. ბრწყინვალე პორტის კარებზედ მრი ხანებისაგან ინტვრევდნენ კბილებს. გზავნიდნენ ჯარებს ჯარებზედ, მრისხანებას მრისხანებაზედ. ყველა იყო ამაო. აზრუმი იდგა მაგრა. სპარსნი მოდიოდნენ წინ. აქ უცებ გატყვრა ახალი ამბავი: აზრუმი გატყდა და აიღეს ოსმალთა. მიზეზი ამ დიდი ქალაქის და ძლიერის ჯარის ძლევისა იყო სააკაძე. კვალად სააკაძე! სულთანი მზად იყო მოეყვანა და დაესვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის გვერდით. სტამბოლი აღმერთებდა ამ თავისი ქვეყნიდამ დევნილს გურჯს...

აქ ქალის თავმოყვარეობამ ვეღარ შეიკავა თავი. ამ ვეზირის ცოლმა, სულთანის დამ, მიჰწერა თავის ქმარს წიგნი, რომ მოურავის სახელმა სულ დაჰფარა შენი ხსენებაო. თვით სულთანი ისრეთი გატაცებულია მაგ გურჯის საქმეებით, რომ ამბობს, პირველი კაცი ჩემს საბრძანებელში ახლა ის არისო. შენ უნდა იყვე ვ ე ზ ი რ - ა ზ ა მ ი —მოადგილე ხვანთქარისა, შენს ხმალს და ხმას უნდა ემონებოდეს მზის ამოსავლიდამ დასავლეთამდის, სამხრეთიდამ ჩრდილოეთამდის მთელი ქვეყნები და ამავე დროს ვიღაცა გამოგდებული გურჯის სახელი უნდა ისმოდეს, და შენ მარტო სასაცილოდ იყვე გამხდარი ხელმწიფის კარსა და მთელი სტამბოლის ხალხის პირშიო. თუ არ მოჰკლავ მაგ გურჯსა და ამითი არ აღადგენ შენს სახელს, მაშინ ღირსი არა ყოფილხარ ჩემის ქმრობისა და ხელმწიფის სიძეობისაო.

ამ დროს, ზამთრის გამო, რაკი შესწყდა ომები, სააკაძემ დაისადგურა თავის ახლად შეძენილს მამულს სოხასტაში. ის ჰლხინობდა და იშვებდა. შემდგომ ამისი გამარჯვებისა, ოსმალნი რცხვობდნენ სრული მძლევლნი: აჯანყებულნი სპარსთაგან ქვეყნები დაამორჩილა სააკაძემ სრულიად სულთანსა, სპარსთა ჯარების ძალა შესუსტდა. სააკაძე სულის მწარით ელოდა თავის დაკარგულს ქვეყნებში დაბრუნებას, თავის სამშობლოს ნახვას, თავის ნაამაგდარს ქვეყანაში, თავის მამა-პაპასთან ძვლების ჩაყრას, თავის აზრების შესრულებას. სულთანის წყალობის წიგნებიდამ ჰხედავდა, რომ ეხლა სულთანი იმის ხელთ იყო. დასუსტებული სპარსთ იღარ შეეძლოთ გაეწიათ წინააღმდეგობა, თუ ვინიცობაა ოსმალნი მოინდომებდნენ ქართლ-კახეთის დაჭერას. საქართველოდამ მოსდიოდა სააკაძეს სანუგეშო ამბები: ისმოდა უმადურობა ზურაბისა და თეიმურაზისა ერთმანეთზედ. ამას დაერთო ერთი სანატრელი ამბავი სააკაძისათვის. მოკვდა უძლიერესი შაჰი, რომელიც-კი ოდესმე ასულა სპარსთა ტახტზედ, აბაზ პირველი, და მის ტახტზედ ავიდა შაჰ-სეფი, რომელიც ხელთ ეჭირათ ამის ძმისწულს, როსტომ სააკაძეს და მისგან ამაღლებულს და კაცათ ქცეულს, ხოსრო მირზას. ახლა ადვილი შესაძლებელი იყო მოემხრო ხოსრო მირზა, ამითი გაეხადნა ის ხვანთქრის მომხრეთ, მოეგებინებინა ხვანთქრის გული და ამ მომხრობის ნაცვლად დაეყოლიებინა ხვანთქარი, რომ ეს ძლიერი და გონიერი კაცი გაეხადნა მთელი საქართველოს პატრონად. აქ საქართველო ისრე ძლი-

ერდებოდა, რომ ადგილი იყო ახლა საქართველოს დაეპყრა თვით სპარსეთი. ჯერ აბაზისავე დროს დიდი ძალა ეჭირათ [illegible] ქართველთა სპარსეთში, მეტადრე მისსავე მახლობლებს: [illegible] ზას, მის ძმის წულს როსტომ ხან სააკაძეს, ყაზახის ხანს, ჩერქეზის შეიდს, რომელიც იყო იმისი მეგობარი და ქსანზედ ტყვედ დაჭერის დროს ამან გაანთავისუფლა ის ტყვეობიდამ, და შაჰაბაზის უკან ხომ თითქმის მთელი სპარსეთი იყო ქართველების ხელთ. ერთი შეთანხმება სპარსეთში მყოფს ქართველებთან და შაჰის ქართველ ჯარებთან და სპარსეთი იყო საქართველოს ხელთ და ეს ადვილიც იყო, რათგან, როგორც გვიამბობს პიეტრო დელავალე, ქართველი დიდკაცობა, რომელნიც შაჰ აბაზის მოტყუებით გადუდგნენ საქართველოს, ახლა ჰნანობდნენ ამას და ეძებდნენ დროს, რომ გადასდგომოდნენ შაჰს და გადეხადნათ მისთვის სამაგიერო მისა, რაც მან დაჰმართა ამათს ქვეყანას, და ამგვარს შაის გადადგომას ვხედავთ თვით დავით უნდილაძის მოქმედებაში, რომელიც იყო განჯის ბეგლარბეგი *) და რომელმანც მისცა ხელთ თეიმურაზს მთელი ყაჯარის ხალხი, რომელიც იმყოფებოდა განჯის სახანოში, ამოსაწყვეტად.

იყო სააკაძე ამ გვარი სიამოვნების განცხრომაშა, შემდგომ მთელი წლის დაუმცხრომელი ომებისა, რომ აქ უცებ მოუვიდა წიგნი ვეზირისა. ის სწერდა საშინელს ალერსიანს და მეგობრულს წიგნს. სწერდა, მოდი აქ ჩემთან, აქ უფრო კარგი ჰაერია, ვისიამოვნოთ აქ ერთად, ერთად გავატაროთ დრო, შენი ნახვა მეტად მომინდაო.

სააკაძეს გულმა უგრძნო თუ მართლა ნება არა ჰქონდა, რომ დაძრულიყო ადგილიდამ და დაენებებინა ჯარებისათვის თავი, შეუთვალა უარი და მისწერა ვეზირს, რომ მე ჯარებს ვერ დავანებებ თავს, ვიდრე არ მომივა ბრძანება ხელმწიფისაო.

ვეზირს, თქმა უნდა, ეს კიდევ უფრო ეწყინა: მისტომა და ძალიან სიკვდილი იყო გასაჭირი, იმან, გაუგზავნა საჩქაროთ წიგნი სტამბოლს თავის ცოლს და სწერდა შეტყობინებინა, რას ჰფიქრობდა ამაზედ სულთანი; მართლა უწყრება კიდევ თუ არა. ცოლისაგან მოუვიდა უარესი წყრომის წიგნი. ის სწერდა, სულთანი საშინლად არის შენზედ განრისხებული, და სულ მოურავის გამარჯვების ქებაში არისო. შენ ორში ერთი უნდა ჰქმნა: ან მოჰკლა ეგ გურჯი

*) და არა ყარაბაღისა, როგორც ამას სწერს ლ. კარიჭაშვილი. უნდილაძე იყო ბეგლარბეგი განჯისა.

და ან ზედ შეაკვდეო. ამბობენ, მაგისი ხმლით მოკვლა შეუძლებელია, ამის გამო მთელი შენი ჯარით დაესხი და ან მთელი ჯარი, დახოცეთ, ან ის არ გაუშვა ცოცხალიო.

ვეზირს ძალიან დაუმძიმდა ეს ამბავი. ცოლი უკვეთამდა დიახ ძნელს საქმეს. ძალით შემუსრვა, თუ საავაძე იქნებოდა თავის ჯარებში, იყო ძნელი. ის იყო ისრეთივე მთავარ სარდალი, როგორც ესა. ეს უბრძანებდა ჯარებსა და ისიც უბრძანებდა ჯარებს. იმისი ოსმალოს ჯარები დაიხოცავდნენ იმისათვის თავებსა, ამის გამარჯვებებით ისინი ამაყობდნენ. ვეზირმა კიდევ მისწერა ცოლს წიგნი, მისწერა, რომ საშინელს საქმეს უკვეთამდა ის აზასა; სწერდა, კიდეც რომ მოვახერხო და მოვკლა, მეც თან უნდა გადავყვე, რათგან სულთანი ამას ისრე უყურებს, როგორც თავისთვის სასარგებლო და დიდათ საჭირო კაცსაო; უეჭველია დამასმენენ სულთანს ამის მოკვლაზედ და არც შეიძლება დამალვა, რათგან ამისი სიძე არის ხაზინადარი ხვანთქრისა, რომელსაც ის ძალიან უყვარს, სიტყვას უგონებსო, და ის მაშინვე ყველაფერს მოახსენებს სულთანსაო. ამის გამო, გაემეხსერ, ნუ თხოულობ ამ საშინელს საქმესაო.

მაგრამ სულთანის დას არ ასვენებდა თავის მოყვარება, ვერ ინელებდა საავაძის ქებასა და დიდებას და თავისი ქმრის დამცირებას. ის სწერდა, შენ ეგ მიზეზები მოგდის სიფრთხილით-კი არა, მშიშარობით, ლაჩრობითაო. შენ ვინ გინდა დაგჯეროს მაგითი, ვითომც ან სულთანის გერიდებოდეს ან სხვა რასიმეო. თუ არ შეასრულებ ამ ჩემს სურვილს და მაგ საშინელს კაცს გაუშვებ ცოცხალს, მე ამიღია შენს ცოლობაზედ ხელი, და სადაც-კი გნახავ, სადაც-კი ვიქნები, უველგან ცხადათ წამოგძახებ ლაჩრობას და ვილაპარაკებ შენს სიმხდალესა და ჯაბანობაზედაო.

ვეზირი განრისხდა თავის ცოლზედ. ისა სთაკილობდა, რომ ცოლი ამას უკვეთინებდა საავაძის შეკდომას. განა ცოლს, თუ ქმარი უყვარს, შეუკვეთს, გინდა თუ არა მოკვდიო! ამბობდა ვეზირი და ფიქრობდა საავაძის მოკვლას.

იმას კიდევ მოუვიდა ცოლის წიგნი. ის ემუქრებოდა ძმასთან სრულიად ბოლოს მოღებას, თუ ის არ მოიშორებდა საავაძეს თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხალი თავით. თუ მაგას ცოცხალს გაუშვებ, შენ ვერას ოდეს ვეღარ იხეირებ ჩემი ძმის საბრძანებელშიაო.

მეტი ჩარა არ იყო, ვეზირმა გადასწყვიტა მოეკლა სააკაძე და მისი ქართველობა დალატით.

ამ დალატით სიკვდილის მსხვერპლნი გახდნენ 1630 წ. ქ. ოთხათს, როგორც თვითონ სააკაძე, ეგრეთვე იმისი შვილი ავთანდილ, ქაიხოსრო მუსრანის ბატონი, პაპუნა ვაშაყაშვილი, რომელიც სიყრმითვე იბრძოდა სააკაძესთან და მოკვდა იმასთანავე, გიორგი ქავთარაძე და სხვა ქართველნი, რომელთაგან გადარჩა მხოლოდ ბეჟან გორგასლიშვილი.

ასრე მოგვითხრობენ, ჩვენი ისტორიის მწერალნი თუ სხვა გვარი მწერალნი სააკაძის ბოლოს, იმისი მოკვლის მიზეზათ მიაჩნიათ ვეზირის ცოლის წერილები. მაგრამ თუ ვიქონიეთ სახეში, რომ ვეზირი სწამებდა იმას დალატს და ეს დალატი ამ მბრძოლის დროს სრულიად არა სჩანს, პირიქით მტკიცდება აქ სრული ერთგულება იმისი ოსმალებთან, საფიქრელია, ვეზირი მიხვდა, რომ ის ოსმალების ხელით აპირებდა საქართველოს აღდგენას, ოსმალთავე საზარალოთ, და ზედაც შეიძლება ამას დაერთო ვეზირის ცოლის წერილებიც.

ასრე იყო თუ ისრე, სააკაძე გახდა მსხვერპლი დალატისა თავისი ერთგული ქართველობით.

ამ გვარად, მთელი სიცოცხლე დალატით დევნილი სააკაძე, დალატითავე ჩავიდა საფლავს, და ჩაიტანა თან თავისი დიდებული წყობანი, თავისი დიდებული აზრები.

მოკვდა დალატით კაცი, რომელსაც პირად ბრძოლახ ვერავინ და ვერას ოდეს ვერ უბედავდა.

მოკვდა ქართველთაგან დევნაში ქართველი, რომელიც იბრძოდა თავისი დღენი ქართველთა ბედნიერებისათვის, რომელმაც ყოველი ბიჯი საქართველოსი მორწყო ქართველთა ხსნისა და სამოლოვოსათვის თავისის სისხლით; რომელმანც სამ გზის იხსნა საქართველო საუკუნოთ მოსპობისაგან.

მოკვდა დევნაში ერთათ-ერთი კაცი, რომელმანც დრმად ჩაჭრედა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იცნა ძირი საქართველოს უბედურებისა: ფეოდალიზმი და განაწილება საქართველოს თემებისა, რომელთაც მოშლას და გა[illegible] შეუდგა თავისი ძლიერი მკლავით და გონით!..

აქ არ შეიძლება არ მოვიყვანოთ ამისი ის გულსაკლავი სიტყვები, რომელიც მოჰყავს იოსებ თბილელს [ლექსათ თავის დიდ მოურავიანში.

„თავო ჩემო ვით გასულო, სევდიანო როგორ წყლულო, საქართველოს გულისათვის ათასჯერად წამებულო... აღარ შეგრჩა ნოსტევს ღხინი აღაბ სტანბოლს დაკარგულო.

„ავჟანდათ სიმაგრენო, მე სად გძრევდი, სად აები[1]) რავდენს მოვრჩი ძნელს ბადესა, ახლა კიდევ სად ავები.

სულთანს თუმცა შეასმინეს ცუდად სააკაძე და იმისი ქართველობა, თუმცა მათმა დამხოცმა ფაშამ მოახსენა, რომ იმათ გვიღალატეს და იმიტომ დავხოცეო, მაგრამ სულთანს მაინც არ დაემალა ეს ღალატი ვეზირისა, დღეს იქნებოდა თუ ხვალ სიძე სააკაძისა, ხაზინადარი ხვანთქრისა, მიახწევინებდა ხვანთქრამდის ამ ამბავს. განრისხებულმა სულთანმა საქვეყნოდ მოაკვეთინა თავი თავისი მეუხანოი სიძისათვის იმავე სოხასტას, სადაც იმან ღალატით მოაკვლევინა სააკაძე და იმისი ქართველობა.

სააკაძე მოკვდა 48 წლისა...

ამ მოკლეს ხანში იმან ჩაიდინა იმოდენი საქმენი, რომ მოდიხარ გასაოცარს, როგორ მოთავსდა ამდენი საქმე ამ მოკლე ცხოვრებაში... რა ჯანმა, რა გულმა, რა გონებამ შეუძლო ამოდენა ტრიალის, ამოდენა ბრძოლას, ამოდენა საქმეს, ამოდენა თავს გადასავლებს... ეძებ ისტორიაში მსგავსს მაგალითს და გიძნელდება პოვნა...

მოკვდა ეს დიდებული კაცი და მასთან დაიმარხნენ მისი დიდებული საქმენი და წყობილებანი. ჩავიდა ის სათვალავს და ჩაესვენა საქართველოს მზეც. მის უკან აღარ იყო ძალა და ღონე იმისი საქმეების შესასრულებლად.

1888 წ. სეკტემბრის 8-ს.

---

[1]) მაგრა გავმართე ავჟანდანი, საით მივეწეოდი სადავესა, და საით გაბრუნა ბედმაო.

## კრიტიკული დამატება მეორე გამოცემისა.

### გიორგი სააკაძე; სიმონ ღოღობერიძე და მოსე ჯანაშვილი.

სრულიად დარწმუნებული ვიყავ, რომ შემდეგ იმ საბუთებისა, რომელნიც მე მომყავს ამ წიგნის კრიტიკულს ნაწილში, შეუძლებელი და იყო უბრალო ეჭვიც კი დარჩენილიყო იმ ცილების უსაფუძვლობაზედ, რომელნიც იყვნენ შემდგარნი ზოგთა მწერალთა და ისტორიკოსთაგან დიდ მოურავს სააკაძეზედ.

მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგთა ჩვენთა ისტორიის მწერალთა და მთარგმნელთათვის საბუთებს, ცხადს შეურყეველს საბუთებს, წმინდა ლოღიკურს აზრს, ძალა არა ჰქონია. საუკეთესო ქვეყნის მხსნელი კაცების ლაფში ამოსვრა, მათი დიდებული საქმეების უმადურად ჩატარება უფრო სასიქადულო ყოფილა, ვიდრემ მათი სისუფთავის დანახვა, მათი დიდებული საქმეების დაფასება.

შემდეგ ამ წიგნის პირველი გამოცემისა გამოვიდა სიმონ ღოღობერიძისაგან ნათარგმნი მეორე ტომი „საქართველოს ისტორიისა“, შედგენილი ჩვენი ცნობილი ქართველი ისტორიის მოღვაწე აკადემიკის ბროსსესი, და მოსე ჯანაშვილის „საქართველოს ისტორია“.

არც სიმონ ღოღობერიძემ, არც მოსე ჯანაშვილმა, არამც თუ არ ინდომეს ჩაკვირვება იმ საბუთებისა, რომელნიც მოყვანილნი არიან ამ ჩემი წიგნის კრიტიკულს ნაწილში, პირიქით, ერთმაც და მეორემაც უფრო მოაცხოველეს სააკაძეზედ გავრცელებული ცილები. თვით თქვენი მონა და მოსამსახურე არ დაინდეს ამ წიგნის დაწერისათვის პატიურად მოსახსენებლად. ჯანაშვილმა ხომ საკუთარი სახელით თუ ფსევდონიმებით და ანონიმებით ხან მჯდაბნავი მიწოდა, ხან მჭადააზნაური თუ რაღაცა სხვა და სხვა ამისთანაები. აგრეთვე ალექსანდრე ჭყონიამაც კი ესროლა ერთი გუნდა ტალახი სააკაძეს, როდესაც სთარგმნა პიეტრო დელავალლეს წერილები პაპთან. [1]) სიმონ ღო-

---

[1]) ჭყონია არ ეთანხმება პიეტრო დელავალლეს, რომელიც ამბობს, სააკაძემ, შემდეგ საქართველოს ხსნისა სპარსთა მოწყვეტისგან, მოიყვანა თეიმურაზ ოსმალეთიდამ და სცდილობდა ყველა საქართველოს

დობერიძე თავის აზრს სააკაძეზედ ამყარებს ბროსსეს „საქ. ისტ." II ტომზედ, და ჯანაშვილი... უფრო თავისგნითვე შეთხზულ საბუთებზედ.

გავსინჯოთ ჯერ ის უმთავრესი საბუთი, რომელზედაც ამყარებს დოდობერიძე თავის აზრს, ესე იგი ბროსსეს ისტორიის მეორე ნაწილს, და აქედამ ჩავაკვირდეთ, რამდენადაც არის სანდო ამგვარი მწერლის აზრი. შემდეგ შეუდგეთ ჯანაშვილს.

ჩვენ მოკლედ გადავავლოთ თვალი მხოლოდ იმ ნაწილს ამ წიგნისას, რომელიც შეეხება სააკაძის მოქმედების დროებს.

თავისი ისტორიის მეორე ტომში ბროსსე ამბობს, ქართლის, მეფე გიორგიმ, „მიათხოვა ჯარი კახეთის დედოფალს ქეთევანს, რომელმანც გაილაშქრა თავისი სიძის კოსტანტინეს წინააღმდეგ". (გვ 19).

აქ ხომ კონსტანტინე აქცია ქეთევანის სიძეთ ბროსემ, ასლა ჰნახეთ სხვაგან რას იტყვის.

„ამ ბოროტების ჩადენის შემდეგ (როდესაც კოსტანტინემ მოჰკლა მამა და ძმა ღალატით), არ ითაკილა კოსტანტინემ შეეთვალა თავისი რძლის ქეთევანისათვის ცოლად გამომყეო". (ტ. II, გვ. 93).

ახლა, ვინც არ იცის ისტორია, რა უნდა იფიქროს: კოსტანტინე სიძე იყო ქეთევანისა, თუ მაზლი!

ამავე ტომში ბროსსე ამბობს.

„შაჰ-აბაზმა შეირთო ცოლად თინათინ, უმცროსი და ლუარსაბისა და დაარქვეს ლელა, ანუ ფათმან-სულთან-ბეგუმა". (გვ. 20).

შორს რომ არ წავიდეთ, ვუჩვენებ აქვე, თვით ბროსსეს ამავე წიგნში, რომ თვითვე ამბობს, ამ ქალს არ ერქვა თინათინი.

---

მხარეების პატრონად გაეხადნათ. ის ამბობს, საკაძე კი არ ეხმარებოდა, არამედ ეწინააღმდეგებოდა თეიმურაზსაო. სხვა საბუთებს რომ თავი დავანებოთ, ამ დროს, თუ სააკაძე წინააღმდეგი იყო თეიმურაზისა, უამისოდ, როდესაც ეს სრული დიქტატორი იყო, ვინ გაჰბედავდა თეიმურაზის მოყვანას და გამეფებას?! ნეტა, რომელს ისტორიაში ამოიკითხა ეს უფ. ჭყონიამ? აი ამგვარი ისტორიის მცოდნე და ლოღიკის კაცნი იყვნენ სააკაძის საქმის დამფასებელნი.

„რუსის მეფეს გამოუგზავნა ელჩათ ტატიშჩევი, რომელსაცა გახეთიდამ დაბრუნების დროს უთხოვნია გიორგი მეფის (ქართლის მეფე, ლუარსაბ II მამა) ასული ელენე სატოლოდ რუსის მეფის (ბორის-გოდუნოვის) ძის ანდრიასათვის. (გვ. 19).

აქედამ რა გამოდის, ამ ქალს თინათინი ერქვა? განა თინათინ და ელენე ერთია?. ეს ელენე იყო იგივე ლელა, და არც ანტონ კათალიკოზი, არც დიდმოურავიანი, არც ბროსესაგანვე გამოცემული 1829 წ. პარიჟში „ცხოვრება საქართველოსი“ არ ეძახის ამ ქალს თინათინს, ეძახიან ან ლელას ან ელენეს, რაც ერთი და იგივეა. თინათინს მარტო ვახუშტი ეძახის. ვახუშტის ეშლება დები ერთმანერთში. თინათინ ერქვა ლუარსაბ მეფის უფროსს დას, რომელიც გიორგი მეფემ, ლუარსაბის მამამ, გაუგზავნა თავის უფროს შვილს დავითთან ერთად, ნაცვლად თავისი დატყვევებულის მამის სვიმონისა; რომელიც ხვანთქარს ჰყავდა ტყვეთ სტამბოლში, და აღარც ეს და, აღარც დავით აღარ დაბრუნებულან. (საქ. სამოთხე, გვ. 590).

მე 21-ე გვერდზედ სწერს ბროსე: „1609 წ. ყირიმის თათრები, ბაღდადიდამ დაბრუნებულნი შეესივნენ და გასცარცვეს თრიალეთი... ქართველთა მატიანე კი არ იხსენიებს ამას... ლუარსაბ, რომელიც მაშინ ცხირეთს იმყოფებოდა, შეუდგა თავის დაცვას...“

რამდენად მართალია, რომ ამ შემთხვევას არ იხსენიებენ ქართველთა მემატიანენი და მწერალნი, ეს მკითხველს უნდა ახსოვდეს წინად ამ ჩემს წიგნში აჭერილობიდამ, სადაც ამაზედ ვრცლად არის ლაპარაკი, და ახლაც მოკლედ გადავავლოდ თვალი, რომ ვნახოთ, რამდენად კარგათ იციან ბროსემ და ლოლობერიძემ ქართული ისტორია.

ქართლის ცხოვრებაში ვკითხულობთ...

„ამას შინა მოერთვა მეფეს (ლუარსაბს) ამბავი, ვითარმედ მოვიდნენ სპანი დიდნი თათარხანთა თრიალეთსა ზედა. მას ჟამსა აღედო ხონთქარს ბაღდადი და უკუნქცევისათვის ეთხოვნათ წასვლა გზასა ქართლისასა“. შემდეგ არის დაწვრილებით აღწერა, როგორ შემოესივნენ ქართლს, როგორ, კინაღამ დაატყვევეს ლუარსაბ, როგორ დამარცხდნენ და სხვა. (ტ. II. გვ. 35).

თვით ბროსესაგან 1829 წ. პარიჟში გამოცემულს „საქ. ცხოვრებაში“ ვკითხულობთ სხვათა შორის.

„ამავე ქორონიკონს სჟს. (1609 წ.) მოვიდა ამბავი მეფე ლუარსაბთან ლაშქრით შემოკრთვება თათარხნისა და თრიალეთს გადმოვლისა“ და სხვ. აქაც და უფროც დაწვრილებით არის აღწერა ამ შემოსევისა, ბრძოლა მათთან სააკაძისა და სხვა ქართველთა და მოწყვეტა მათი. (გვ. 39-48).

„დიდმოურავიანში“ ვკითხულობთ:

„ხანი გამოხდა, მოვიდა ამბავი ლაშქრით ყრისანი, თათარხნის შემოკრთვება, თრიალეთს გარდმოსვლისანი“ და სხვა. აქაც დაწვრილებით არის აღწერა ქართლის გულში შემოსევისა და ამ ჯარის მოწყვეტა ქართველთაგან. (გვ. 9 და შემდეგნი).

მეფე ლუარსაბის ცხოვრებაში ანტონ 1-ი კათალიკოზი ამბობს: „შემდეგ რაოდენთამე წელთა მეათექვსმეტე წლად მიღწეული მეფე (ლუარსაბ) *) ცხირეთს მყოფი არა ლაშქრითა და განმზადებითა ბრძოლად, არამედ პალატსა შინა მყოფობდა, მაშინ წარმოსულნი კონსტანტინეპოლით სპანი თათართანი, წასრულნი ქვეყნად თვისად, რომელთაც მოუწოდა სულთანმან კონსტანტინეპოლისამან შემწედ ბრძოლისა, რომელიც აქვნდა მას ბაღდადს, სამშობლისა თვისსა გზისა და მოწყვეტისათვის და წარტყვენისთვის ქართველთა, გარდმოსულნი მთაზედა თრიალეთისა და აბოცისა“ და სხვა. აქაც იგივე ვრცლად აწერილობა თათარხნის შემოსევისა რაცა აქვთ სხვა ზემოხსენებულთა მწერალთა. (ქრისტ. ჩუბ. გვ. 323).

ქვათახევის გულანში ვკითხულობთ მოკლედ; „აქა მოვიდა თათარხანი და სამცხისა, მაგშეთისა და ნიგალის ხევის ფაშები და ლაშქარი და შეება მეფე ლუარსაბ და გააქცივა და მცირეოდენი (და გადარჩა)“.

სჟს ამა ქრონიკონსა თათარხანი ჩამობრძანდა და ავად წაბრძანდა. (ცაიშის ჟამნგულანში).

ვახუშტის ქრონიკებში სწერია: „მეფეს ლუარსაბს თათარხანზედ გაემარჯვა, მოსწყვიდნა“.

---

*) მაშინ, როგორც წინადაც ვნახეთ, ლუარსაბ იყო ოცი წლისაზედაც მეტი.

ვახნაველის გულანში სწერია: „ქიკს: სჟს. აქა თათარხანი მო-ვიდა ქართლს და ლუარსაბ მეფემ გაიმარჯვა“. (ქრონ. ჟორდანიასი, ტ. II, გვ. 438).

„წიგნი ქორონიკონი“ სწერს. თათარხანი ნამოვიდა, ამოსწყვიტა მეფემ და მოურავმა“. (იქვე).

აბა, მკითხველო, იცის თუ არა ეს ამბავი ქართლის ცხოვრე-ბამ, ქართველთა მატიანეთ და მწერალთა? ქართული ისტორიის მწერალი კი ბრძანებს, არ იცისო.

იქვე სწერს ბროსსე, რომ ამ შემოსეულმა თათრებმა მოინდო-მეს მეფე ლუარსაბის შეპყრობა, რომელიც ამ დროს იდგა ცხირეთს, მაგრამ „ერთი სომხის მღვდელი თევდორე ცბიერებით გაუძღვა ქვენადრისისაკენ და მით ააცილა ისინი ცხირეთს. როდესაც გაუგეს ეს თათრებმა, ის შეუბრალებლად აჰკუწეს“ (გვ. 21)

რათ ინებს ბროსსემ თევდორე მღვდლის სომხათ მონათვლა? რა მოვახსენოთ. მხოლოდ ამას კი მოგახსენებთ, რომ თევდორე მღვდელი იყო ქართველი და ქართველთა ეკკლესიისაგან წმიდათ შო-რის შერაცხული. აი საბუთნი მისი ქართველობისა.

ბროსსესგან გამოცემულს 1829 წ. „საქართველოს ცხოვრება-ში“ ვკითხულობთ.

„კველთას რომ მოვიდნენ (თათარხანნი), თევდორე მღვდელი დაიჭირეს და წამოვიდნენ და სცემდენ ლახტითა, წაგვიძღ, გზა გვიჩვენეო... მეფეზედ მიგვიძეხიო“ (გვ. 38-39). შემდეგ ასწერს, როგორ მოტყუებით წაიყვანა თევდორე მღვხელმა სხვა გზაზედ და აცილა მეფეს, როგორ აწვალეს თათართა და მოჰკლეს; როგორ და-მარცხდნენ თათარნი მოურავისაგან და ბოლოს მიდის იქამდის, რო-დესაც თათრებს უნდათ გორის ხიდზედ გასვლა და გორისა და გუ-ლი ქართლის წახდენა. აქ ამბობს:

„ერთი ტერტერა გორიდამ მოვიდოდა, არა იცოდა რა, წინ ჯარი შეეყარა დოესის მინდორში, გაბრუნდა იმავ წამს, გორის ხი-დი ჩაჭყარა, გორს გავიდა და ზემო ქართლის ჯარს შეატყობინა, ჯარი იშოვნა. თუ ტერტერა წინ არ შეჰყროდა, ხიდს გავიდოდნენ და ქვეყანას დიახ წაახდენდნენ“. (გვ. 40).

იოსებ თბილელის „დიდმოურავიანში“ ვკითხულობთ:

„კველთას თევდორე შეიპყრეს, მცოდნე და კარგი მღვდელი, ლახტით სცემდეს, წაგვიძეს, გზა რომელ გარდასვლელის... მეფეზედ მიგვიძეს... ორს კაცს ეპყრა მხარ შეკვრით... მღვდელმან გულში სთქვა, მე მომკლან, არ დავიკარგო სულითა... ერთა-წმიდა-ზედ ჩავუძღვა. გზა ჩავლო ქვენადრისანი, ცხირეთზედ დიას შორს დარჩა. მღვდელს „ავი გაკვდებინეს“. (გვ. 9-10) შემდეგ გვიამბობს მასვე თითქმის, რასაც ზემოდ ხსენებული წიგნი, პარიჟში გამოცემული საქართველოს ცხოვრება, და, როდესაც თათრები მიდიან გორის ხიდისაკენ, ამბობს. „ერთი ტერტერა გორიდამ მოვა უგრძნობლად გზაზედა; დოესის ბოლოს წინ დახვდეს (გაბრუნებული თათრები), გულს ელდა ეცა, გაიქცა... ხიდის ფიცრები მან დააჭყარა წყალზედა. თუ არ ენახა ტერტერას, ხიდს გაივლიდნენ გზაზედა“ (დიდმოურავიანი, გვ. 11).

შემდეგ ლუარსაბის წამებაში ანტონ კათალიკოზი ამბობს.

„შეიპყრეს ხუცესი ვინმე (თათართა) კეთილმსახური, სახელით თევდორე და ზედ მოადგეს და სტანჯვიდეს, რათა აჩვენოს მან გზა... მაშინ სანატრელი იგი მღმდელი, უფროსად აღირჩევდა სიკვდილსა, ვიდრემ შინა გაცემასა მეფის და მამულისასა, რომელიც მოჰკლეს იგი თავის წარკვეთით, და მიიღო სანატრელი აღსასრული ცხოვრებისა წმიდათათანა“. შემდეგ აგვიწერს ესეც, რასაც წინათქმულნი ავტორნი, და გორის ხიდის ამბავზედ ამბობს. „მაშინ მგზავრი მავალი ვინმე ხუცესი სომეხთა წვალებისაგანი, გორელი, მხილველი ლაშქართა, უკუნიქცა და ფიცარნი (ხიდისა) გარდაჰყარა“. (ჩუბ. ქრისტ. გვ. 324).

ქართლის ცხოვრების მეორე ტომში ვკითხულობთ. „შეიპყრეს კველთას მღვდელი ერთი და სცემდნენ ლახტით, რათა აუწყოს, სად არის მეფე. მხოლოდ მღვდელი იტყოდა; არა ნაცვალვყო საწუთო ესე წარუვალსა მას, და არა ვიქმნე გამცემელ მეფისა და ქვეყნისა. სცნეს თათართა, რამეთუ აცდუნებდა მღვდელი, ამისთვის მოჰკვეთეს თავი და შეირაცხა წმინდათა თანა“. შემდეგ ესეც მასვე გვაამბობს, რასაც სხვანი, და როდესაც მივა იმ ადგილს, სადაც თათარნი მიდიან გორისკენ, სწერს:

„თათარ-ხანნი, მიმავალნი დღესის მინდორსა შინა, [illegible] ტერტერამან გორელმან, მსწრაფლ უკუნიქცა“ და სხვ. [illegible]

ამ ამოწერილებიდამ მკითხველმა უნდა ცხადათ დაინახოს, რომ ამ თათრების შემოსევის დროს ორმა ხუცესმა გაუწია დიდი სამსახური საქართველოს. ამათში ერთს ეძახიან ჩვენი მწერალნი მღვდელს, მეორეს ტერტერას. ერთი იყო ქართველი—თევდორე, მეორე იყო სომეხი. ქართველს ეძახიან მღვდელს და სომეხს, სომხურადვე, ტერტერას. ამასთან, ვხედავთ, რომ თევდორე შერაცხულ იქმნა წმინდათა შორის. განა ქართული ეკკლესია თავის წმინდათ შორის შეჰრაცხავდა სომეხს გრიგორიანს? მაგრამ ბროსსემ ასრე ინება. და რომ ბროსსე თითქო განგებ, ქართველის კარგს საქმეს სხვას აწერს და სხვის ცუდს საქმეს ქართველს, ამის ნიმუშს მოვიყვან კიდევ აქვე.

ბროსსე აგვიწერს იმ ამბავს, როდესაც იმერეთში გაქცეულს მეფე თეიმურაზს მიუჩინა შაჰ-აბაზმა მკვლელები, და ამბობს.

„შაჰის ყოფნის დროს თბილისში იმის შეკრებით, ვიღაცა თავზედ ხელაღებულმა ქართველმა იკისრა თავისი მეფის თეიმურაზის მოკვლა, და ამ განზრახვით იმერეთში წავიდა. ორჯერ შეიპარა მეფის საწოლში, მაგრამ ვერ მოახერხა თავისი ბოროტი განზრახვის შესრულება. (ისტ. საქ. ტო. II, გვ. 47).

აბა ვნახოთ მართლა ეს, თეიმურაზზედ მიჩენილი მკვლელი, ქართველი იყო თუ სხვა ვინმე. უკეთესი მოწამე და მცოდნე ამისი ვინაობისა, როგორც თვით მეფე თეიმურაზ, სხვა არავინ იქნებოდა. აი რას ვკითხულობთ ამის შესახებ თეიმურაზის სიგელში, რომელიც იმან მისცა ამ მკვლელებისაგან თავის მხსნელს ბახუტაშვილს. „როდესაც შაჰი შამოგვესია, წაგვართვა სამეფო და ჩვენ ვიყავით გახიზნულნი ქუთაისში, იმან მოგვიგზავნა თავისი კაცები, სპარსელნი დალატით მოსაკლავათ. ისინი შემოგვეპარნენ ჩვენ ღამე მოსაკლავად, მაგრამ შენ გაუგე იმათ, დაიჭირე და მით გვიხსენ სიკვდილისაგან.“ (двор. грам. Дим. Пурц. გვ. 5).

მაშ ვინა ყოფილან ეს აბაზისგან თეიმურაზზედ მიჩენილი მკვლელები ქართველნი, როგორც ბროსსე ბრძანებს, თუ სპარსნი,

როგორც თვით თეიმურაზი სწერს თავისგნით მოცემულს სიკვდილში? რათ ინება ბროსსემ, რომ დიდი საქვეყნო საქმისთვის თავდადებული ქართველი მღვდელი თევდორე გაასრომხა, და საზიზღარი საქმის ჩამდენი სპარსნი გააქართველა? არ ვიცი როგორ და რად, მაგრამ დიდი ხნის განსვენებულმა ილია ორბელიანმა შენიშნა, რომ ბროსსე ვერ არის წყალობის თვალით ქართველობაზედ. შეიძლება სცდებოდეს ორბელიანიც ამაში და ამგვარი შეცდომანი ბროსსეს არ მოსდიოდეს განგებ. და, თუ ასრეა, მაშინ ამგვარს უცნაურს მწერალს, რომელიც არ აფიქრდება, რასა სწერს და რათა სწერს, ეთქმის მწერლობა?

და რომ მისი ისტორია სულ ამგვარი უცნაურებისა და მოუსაზრებლობიდამ არის შემდგარი, დაუგდოთ ყური იმის ხევსურების მამათრწვენას.

ბროსსე, როდესაც აგვიწერს მარაბდის ბრძოლის დამარცხების მიზეზს, სხვათა შორის ამბობს.

„კახელებმა რომ გაიგეს თეიმურაზ მუხრან-ბატონის სიკვდილი, აიშალნენ და გაიქცნენ“. (საქ. ისტ. ტ. II, გვ. 28).

თეიმურაზ მუხრანის ბატონი იყო ქართლელი. თუ მისი მოკვლის მიზეზით გაიქცნენ, უნდა გაქცეულიყვნენ ქართლელნი და უფრო ადრე მისი სასარდლო—მუხრანელნი. აქ კახელები რა შუაში იყვნენ! თუ არა, აქ მოჰკლეს ამაზედ უკეთესი ვაჟკაცი და სახელოვანი კახელი გმირი, დავით ჯანდიერი—ასლანიშვილი და ამისი მოკვლით არ გაიქცა კახელობა, დასწვრეს მძიმედ საუკეთესო მთელს ქართველობაში ვაჟკაცი, ზურაბ ერისთავი, სიძე თეიმურაზისა, და არც ეს გაუხდა კახელობას გაქცევის მიზეზად, მოჰკლეს შვიდი ჩოლოყაშვილი, რომელიც არის საუკეთესო გვარი კახეთში, და არც ეს დაინახა ბროსემ კახელების გაქცევის მიზეზად, და რა ჰნახა ბროსსემ თეიმურაზ მუხრანის ბატონში ისეთი კახელებისთვის, რომ ამისი მოკვლით ისინი უნდა გაქცეულიყვნენ? მაგრამ იცით როგორ იყო საქმე და როგორა სწეწავს ბროსსე ამას ერთმანერთში?

ქართლის ცხოვრება გვიწერს.

„მოჰკლეს მხნე მებრძოლი თეიმურაზ მუხრანის ბატონი, და

გაისმა ხმა და ჰგონეს კახთა პატრონის (თეიმურაზ მეფის) სიკ-ვდილი, და ივლტოდნენ კახნი და ქართველნი (ქართლელნი)“. („ქართ. ცხ.“ ტ. II, გვ. 42).

მეფე თეიმურაზის ცხოვრებაში, რომელიც არის შემდგარი მე-ფე არჩილისგან, რომელიც იყო სიძე თეიმურაზ მეფისა, ვკით-ხულობთ.

„ამას ზედა თეიმურაზ, ვინ მუხრანსა ჭპატრონობდა, მოჰკლეს, თურე დაიძახეს, ზოგი კაცი ჩემსა (მეფე თეიმურაზისას) სცნობ-და, გამობრუნდეს უფრო ამით“. (არჩილიანი, გვ. 110).

აი, რა ნაირად სწეწავს და ჰრევს ისტორიულს ფაქტებს ბროს-სე ერთმანეთში. მოჰკლეს თეიმურაზ მუხრანის ბატონი. ეს თეი-მურაზ ეგონათ მეფე თეიმურაზ, რომელიც ამ დროს ქართლისა და კახეთის ბატონიც იყო, და იმიტომ გაიქცნენ, მარტო კახნი კი არა, როგორც ბროსსე სწერს, არამედ ქართლელნიც. და ეს საკ-მაო საბუთიც იყო გაქცევისა. ბროსსე კი გვიწერს, კახელობა იმი-ტომ გაიქცა, რომ ქართლელი თავადი თეიმურაზ მუხრანის ბატონი მოჰკლესო. გაიგო ბროსსემ, რაც წაიკითხა? დასწერა და ასწორნა რა ლოღიკა იყო ამ ნაწერში?

ბროსსე სწერს. „ზურაბი მოჰკლა (თეიმურაზმა). და ამისი თავი შაჰს გაუგზავნა. თავისი ასული (ცოლი ზურაბისა) ქეთევან მიათხოვა ალექსანდრეს, იმერეთის მეფის ძეს“. (ტ. II, გვ. 31).

აქ ხომ ქეთევან დაარქვა ბროსსემ თეიმურაზის ასულს, ზურაბ ერისთავის ცოლს, რომელიც მისცა ალექსანდრე იმერთა მეფის ძეს, ახლა ჰნახეთ სხვაგან რას დაარქმევს.

„თეიმურაზმა მათ მიერ (სააკაძისაგან და ზურაბ ერისთავისა-გან) მოწოდებულმა (ქართლ-კახეთის მეფედ), მიათხოვა ზურაბს თავისი ასული, დარეჯან“. (ტ. II, გვ. 27).

იქ ქეთევან იყო თეიმურაზის ასული, აქ დარეჯანათ მონათლა.

მაგრამ ახლა დაუგდეთ ყური. ზევით ხომ ქეთევან ასული იყო თეიმურაზისა, ახლა ჰნახეთ ვინ იქნება.

როდესაც აგვიწერს ბროსსე შაჰ-აბაზის პირველს შემოსევას კახეთში, სხვათა შორის ამბობს. „აბაზმა მოსთხოვა თეიმურაზს

ერთ-ერთი შვილი. მეფემ გაუგზავნა უმცროსი შვილი, [illegible] და თან გაატანა თავისი ცოლი ქეთევან“. (ტ. II, გვ. [illegible]

ზემოდ ქეთევან ქალი იყო თეიმურაზისა. ახლა აქცია ცოლად. ახლა ჰკითხეთ რას იტყვის, ვინ იყო ქეთევან თეიმურაზისა.

„ბატონიშვილის დავითის (თეიმურაზის მამა) ცოლმა, ქეთევან, გაჰგზავნა ერთად ერთი შვილი თეიმურაზ სპარსეთში“ (გვ. 83).

აბა მკითხველო, ვინც არ იცი საქართველოს ისტორია, რომ ზურაბ ერისთავის ცოლს თეიმურაზის ასულს ერქვა დარეჯან და არა ქეთევან, თეიმურაზის ცოლს პირველს ერქვა ანა, და მეორეს ხორეშან და არა ქეთევან, და ქეთევან იყო დედა და არა , ოლი ან ქალი თეიმურაზისა,—გაიგე ახლა ამ ბროსსეს ნაწერებიდამ: ქეთევან ცოლი იყო, ასული თუ დედა თეიმურაზ მეფისა.

ზემოდ ბროსსემ იგივე ქეთევან რძლადაც აქცია და სიდედრათაც კონსტანტინე მეფისა, ახლა იგივე ქეთევან ცოლადაც აქცია, ქალადაც და დედადაც თეიმურაზ მეფისა.

ეს ხევსურების მამაო ჩვენო არ არის!

ბაზალეთის ომისას სწერს ბროსსე, რომ ამ ბრძოლაში საადაძეე დაამარცხა მეფე თეიმურაზ და ზურაბ ერისთავიო, მაგრამ სააკაძე მაინც გაიქცა ოსმალოშიო. ზედაც ატანს, ამას ქართლის ცხოვრება ამბობსო. (გვ. 103.) ჯერ ლოღიკას დაჰხედეთ: დაამარცხა სააკაძემ და თვითონვე გაიქცა საქართველოდამ, ამას ქართლის ცხოვრება ამბობსო. აი ეს ჩვენ და ეს ქართლის ცხოვრება, თუ ბროსსე მკვდარია, გვიჩვენოს ს. ლოლობერიძემ ეს ადგილი. პირიქით ჩვენ ქართლის ცხოვრებაში სულ სხვასა ვკითხულობთ.

„შეიბნეს ბაზალეთს და არა დაშთა კაცი, რომელი არა დაიკოდა, თვით ბატონი თეიმურაზ, მოურავი და ზურაბ, გარნა სძლეს მოურავსა და ივლტოდა“. (ქ. ც. ტ. II, გვ. 44). „არამედ სძლეს მოურავსა (ზურაბმა და თეიმურაზმა) და ივლტოდა (იქვე, გვ. 120).

აბა მკითხველო, სწერია ქართლის ცხოვრებაში, რომ მოურავმა დაამარცხა ზურაბ და თეიმურაზ, თუ სრულიად სხვა სწერია? რათ წაიკითხა უკუღმა ბროსსემ ქართლის ცხოვრება?

მარაბდის ბრძოლის უკან რომ ხოსრო მირზა წავიდა მყინვარის (რომელსაც დღეს რაღაც უცნაურობით ყაზბეგი დაარქვეს) მთის[illegible]-არშის ციხიდამ შაჰაბაზის ქალიშვილის ყორჩიბაშის ქალის და მისი ქმრის, ანდუყაფარ ამილახვრის გამოსახსნელად თორმეტი ათასი სპარსთა ჯარით, ბროსსე სწერს აქ მომხდარი ბრძოლისას.

მოჰკლეს თუ ტყვეჲ დაიჭირეს ერევნის ყაზახხანი". (გვ. 28). ჯერ დაუფიქრებლობა მეისტორიისა: არ იცის მოჰკლეს თუ ტყვედ დაიჭირეს? მერმე გამოდის, რომ ყაზახხანობა ერევნის რაღაცა მოხელეობა იყო. ბროსსემ აქ ასწყვა ერთმანერთში. ამ ბრძოლაში მოჰკლეს ერევნის ბეგლარბეგი, ამირგურიხან; ტყვედ დაიჭირეს ყაზახის ხანი. ბროსსემ დაიხსომა სიტყვებიდამ: ერევნის ბეგლარბეგი, მარტო სიტყვა ერევნის, და სიტყვა ყაზახის ხანი: ეს ორი სიტყვა აქცია ერთ სიტყვათ ყაზახხანი. ეს მიატმასნა სიტყვას ერევნის და ორი კაციდამ შეადგინა ერთი კაცი: ერევნის ბეგლარბეგიდამ და ყაზახის ხანიდამ გამოიყვანა: ერევნის ყაზახ-ხანი. ბროსსემ არ იცის, რომ ყაზახი არის ქვეყანა საქართველოსა და ამ ქვეყნის გამგეს ეწოდება ხანი, როგორც ვთქვათ ქსნის ერისთავი, არაგვის ერისთავი და სხვანი. თუ სხვაფრივ არა, ეს ქართლის ცხოვრებიდამ მაინც უნდა სცოდნოდა ბროსსეს.

ამას ს. დოდობერიძე ეძახის ისტორიას.

ამავე ქსანზედ სპარსთა და ქართველთა ბრძოლისას ბროსსე ამბობს, სააკაძეს როსტომმა (ხოსრო მირზამ) აჯობაო. (გვ.-28).

ხოსრო მირზა — ბოლოს როსტომ, ქართლის მეფე — უძღოდა ამ ბრძოლის დროს ქსანზედ სპარსთა ჯარსა. იქ, სადაც სააკაძემ ისე დაამარცხა ხოსრო მირზა, რომ იმისი ჯარიდამ თითქმის მოამბეც აღარ გაუშვა, რასაც ჰმოწმობენ სპარსთა მეისტორიე ისკანდერ მუნში ანუ მუნში, სომეხი არაქელ, ქართლის ცხოვრება, მეფე არჩილ, დიდმოურავიანი, აქ ამბობს, ხოსრო მირზამ დაამარცხა სააკაძეო, და სადაც სააკაძე, დაამარცხეს (ბაზალეთში) იქ ამბობს, სააკაძემ დაამარცხაო. სად ამოიკითხა ესენი ბროსსემ?..

და სხვა მრავალი ამგვარები. ეს ამოდენა შეცდომა, ამოდენა უთავბოლობა, ულოღიკობა, უაზრობა ისტორიისა, ფაქტების და

საბუთების წინააღმდეგი სულ რაოდენსამე ფურცელზედ, და რა უნდა აღმოჩნდეს, თუ კაცი შეუდგა დაწვრილებით მთელი ან ამ ქრონიკის [illegible]ის შესახებ ან კიდევ უარესი, მთელი ისტორიის გარჩევას! ძნელად ითქმის, რომ რამე დარჩეს აქედამ, რასაც ეთქმის და ეწოდება დასაბუთებული გონივრული ისტორიის სახელი.

ვკითხოთ ახლა პატივცემულს სიმონ დოდობერიძეს: დაეჯერება რამ ისტორიის მწერალს, რომელმაც არ იცის ერთი სტრიქონის წინ რა დასწერა და ერთი სტრიქონის უკან რას დასწერს? დაეჯერება რამ მას, რომელიც სწერს ისტორიას და არ ესმის თავისი წაკითხულის აზრი, არ ესმის რასა სწერს და რათა სწერს? დაეჯერება რამ მწერალს, რომელიც ერთსა ჰკითხულობს და სულ სხვასა სწერს? შეეძლო, ამგვარს დაუფიქრებელს და ჩაუფიქრებელს მწერალს გამორკვევა იმ აწეწილი და ტრაგიკული კოლლიზიის გამორკვევა და ახსნა, რაც დატრიალდა საქართველოს და სააკაძის თავს შაჰაბაზის ტახტზედ ასვლის შემდგომ, რუსებთან დაახლოვებით და სპარსთა ზურგის შექცევით, მეფეთა უხასიათობით, სააკაძის დაწინაურებით, ამიდგან შემდგარი მტრობით და შურით დიდებულთა, სააკაძის განდევნით, ამაზედ დაყოლებული მტრის შემოსევით და აკლებით, და სხვა და სხვა? ბროსეს გვართა მწერალთათვის ამ საქმეში ჩარევა და სიმართლის გამორკვევა შეუძლებელი იყო. ეს უნდა დაენახა დიდად პატივცემულს ს. დოდობერიძეს, მაგრამ, სამწუხაროდ მან ბრმად იწამა როგორც ბროსსე, ისრე სხვა, ბროსეზედ არა უკეთესი მწერალნი და მეისტორიენი.

შეუდგეთ ახლა ჩვენი მრავალ მშრომელი მოსე ჯანაშვილის ისტორიის გასინჯვას.

კაცს პატივსა სცემ თვით უბრალო შრომისათვისაც კი, სცემ პატივს, როგორც მშრომელს. ჰშრომობს თავისი გონების და ძალის შეძლებისამებრ, და ამ მხრივ, თუ შრომა სავნო გზას არ ადგია, თუნდა ეს შრომა იყვეს ლასურიძის პოეზია, პატივსადებია და ღირსია ქებისა, პატივის ცემისა. მაგრამ, თუ შრომას მოსდევს ვნება, თუ მშრომელი დასდგომია გზასა არა მართალთასა, გზასა უკუღმართობისასა, ამ გვარი მშრომელი ჰკარგავს ყოველს პატივს და არ უნდა

ჰქონდეს დანდობა, მეტადრე, თუ ეს მშრომელი არის მოღვაწე სამწერლო საქმეში, და მასთან ამ მწერლობაში მოკლებულია [illegible] კრიტიკულს, ლოდიკურ და აზროვნების ძალას, მოკლებულია მწერლობის თვით სისუფთავესაც. და როგორც ეხლავე ვუჩვენებთ მკითხველს, სწორედ ასეთია უფ. მოსე ჯანაშვილი.

თუ სხვა ჩვენი ისტორიის მწერალნი წარმოსთქვამდენ ამა თუ იმ აზრს სიმართლის წინააღმდეგ, ეს მოსდიოდათ უფრო შეცდომით, სხვის ნათქვამის ადვილად დაჯერებით, საქმის აუწინრობით, დაუკვირვებლობით, სუმბუქად საქმის დაჭერით, კრიტიკული აზრის ნაკლებობით, ფაქტების სხვა რიგათ დახსომებით, როგორც მაგალითად კარიჭაშვილი, დოდობერიძე და სხვანი, მაგრამ, რომ განგებ შესთხზონ ცილები, განგებ გადააკეთონ სხვის სიტყვები, განგებ მოსცხონ ვისმე ჩირქი და მოჭყვარონ ტალახში, სხვის კარგი საქმენი განგებ ისრე გადააკეთონ, რომ კარგი საქვეყნო საქმე ბოროტათ აქციონ, ქვეყნის ხსნა, ქვეყნის დაღუპვად გადააკეთონ, — ამას ვხედავთ მარტო ჯანაშვილში და ხახანაშვილში, რომელიც არ უკადრია ჯერ არა ქვეყნის მეისტორიეს.

დადგა მეცხრამეტე საუკუნე და გაჰქრა ქართველთა გმირობაც*). ქვეყანა დადედლდა. ლაჩრობამ, ანგარებამ, დაბალმა გრძნობებმა მოიპოვეს სახელი, ბატონობა ჩვენს ქვეყანაში. ბოლოს, როგორც ვიცით, მივედით აქამდის, რომ ვიდღესასწაულეთ ჩვენი ასი წლის მონება, ვიდღესასწაულეთ ისრე, რომ ხმა პროტესტისა არ გაძრულა, და, თუ გაუბედავად ვინმე დასძრა კრინტი, მასაც ჩასჩარეს ბურთი პირში, იგი მისცეს წყევა შეჩვენებას. ამგვარს გარემოებაში საჭირო იყო ყოვლი ღონის ხმარება, გამოფხიზლებულიყო ქვეყანა, მოსულიყო მისი სისხლი მოძრაობაში, გაეღვიძნა მასში ჩამქრალს გმირობას, გამოფხიზლებულიყო მისი ცნობიერება, აღმდგარიყო დაცემული ზნეობა, აღძრულიყო მის გულში ქვეყნის სიყვარული, ქვეყნისათვის თავის დადება, თავის გაწირვა. მწერლობაში ერთი ამ ძალთაგანი არის იდეალების დახატვა, იდეალების წამოყენება. იქ, სადაც ისტორიაში ან მომდინარე ცხოვრებაში არ მოიპოვებიან იდეალური ტიპები,

---

*) ეს დაწერილია ამ მოძრაობის წინად.

მწერლობა განგებ ჰქმნის ამგვარს ტიპებს, რომ ოცნებით მაინც არის დაუხატონ საზოგადოებას, ერს ამ ტიპებში ჩასახული ზნეობის აღმამაღლებელი, სულისა და გულის გამამხნევებელნი, ქვეყნისათვის თავგანწირულობის ხასიათები, რომ მათი მაგალითებით გამოიწვიოს წაბაძვა ამათი, გატაცება მათი ქცევით შეთვისება, ამ ხასიათებისა. და თუ ისტორიაში ან, კიდევ უკეთესი. თუ დღევანდელს ცხოვრებაში მოიპოვებიან ამგვარი გმირები, ეს ხომ კიდევ უკეთესი. ეს არც მოგონილი, არც ოცნებით შექმნილი, მაშასადამე საზოგადოება, ერი ჰხედავს აქ ტიპს, ხორცსა ხორცთაგან და ძვალსა ძვალთაგან თვისთა, და უფრო ადვილად წაიზიდება მათი საქმეებით, უფრო სადიდებლად, თავის მოსაწონებლად და საბაძავად ექნება, უფრო ხელსაყრდნობლად დაიდებს მათ, და ჩვენს ისტორიაში მოიპოვებოდნენ ამგვარნი პირნი. ჩვენი ისტორია არ იყო მოკლებული იმგვართა გმირთა, რომელნიც არა ჰზოგავდნენ თავს ქვეყნის ბედნიერებისთვის, ქვეყნის საბოლოოვოს დასაცავად. თუ ასრე არა ყოფილიყო, ეს ერთი ბეწვა ქართველი ერი ამ აუარებელ საუკუნეთა განმავლობაში, შემორტყმული ყოველ მხრივ ერთი ათად ერთი ასად ძლიერი მტრებისაგან, ვერც შეინახავდა თავს, ვერ დაიცავდა თავის ეროვნებას, თავის თავისუფლებას. და აქ მწერლობის ვალი იყო ეძებნა ისტორიაში ამგვარნი გმირნი, გაეცოცხლებინა ისინი ქვეყნის გონებაში, დაესახნა ქვეყნის თვალის წინ, ეჩვენებინა სრული თავისი სახით დიდებული თავის გაწირვით საქვეყნო საქმეებისათვის, და სხვა, რათა ამითი მოეყვანა კვალად მოძრაობაში მისი სიცოცხლის მოძრავი ძარღვები. მხოლოდ იმგვარს ხალხს, იმგვარს საზოგადოებას აქვს ბედნიერი მომავალი, აქვს წარმატების გზა, სიცოცხლის საფუძველი, რომელსაც ყოველი თავისი ძალა, თავისი გონი აქვს მოყვანილი მოძრაობაში საქვეყნო საქმისთვის, ქვეყნის წარმატებისათვის. ვიმეორებ, ერთი ამ ძალათაგანი არის იდიალური ტიპი, გმირნი საგმირო საქვეყნო საქმეებისთვის თავ გაწირულნი. ერთი ამ გმირთაგანი, რამდენიც მე გავიცან ჩვენი ისტორია, იყო დიდი მოურავი, გიორგი სააკაძე, და ვეცადე ჩემი ყოველი ძალით ამ ტიპის დასახვას ჩვენი ერის, ჩვენი საზოგადოების თვალის წინ, რათა მითი დამეხატნა იდეალი მათს გონებაში, მათს გულის ყურში. უმ-

თავრესად ესა მქონდა სახეში, როდესაც ვსწერდი ჩემს ტრაგედიას „დიდი მოურავი“, მაგრამ ჯანაშვილის გვარი კაცებისათვის ამგვარი იდეალები, ამ გვარი საზოგადო აზრი არა წერებულა მათს ტვინ-კოლში. ამგვარხი გმირნი, ამგვარნი საქმენი, ყოფილან, მათთვის სანატრელი და წასაბაძნი კი არა, გასაკიცხნი, სადევნელნი, ჩასაქვა-გვებელნი და აქ, მათ დასამცირებლად, საჭირო ყოფილა ცილიც, სიცრუეც, სიტყვებისა და აზრების გადაკეთებაც, თავისი მოგონილი და შეთითხნილი აზრების ჩამატებაც და აი ნიმუშები ამისი *).

ჯერ მოკლედ გადავავლოთ თვალი ჯანაშვილისაგან ისტორიის სრულს უვიცობას, აბდა უბდა წერას, უაზრობას და შემდგომ გადავიდეთ მის სინჯვაში, სადამდის იცის მან ფასი საქვეყნო საქმის სამსახურისა, და ბოლოს მისს საბუთების ფალსიფიკაციაზედ, ცრუ მოწმობაებზედ, სიტყვების გადასხვაფერებას, აზრების გადაკეთებასა და ცილებზედ.

როდესაც მოგვითხრობს ამ ამბავს, სადაც საააკაძე სცდილობს მოიმხროს ზურაბ არაგვის ერისთავი სპარსთა მოსაწყვეტად, ჯანაშვილი ამბობს: „მოურავმა აღუთქვა, ოღონდ დამეთანხმე და ბაგრატ მეფის დას ლელას შეგრთავო, ეს დედა ჰყავდა ცოლად კახეთის მმართველს ფეიქარხანს)“ (საქ. ისტ. ჯანაშვილისა, გვ. 306).

---

*) მე არ ვსინჯავ ჯანაშვილის ისტორიას ამ მხრივ, რასაც მიაქცია ყურნ. „ივერიის“ რეცეზენტმა („ივ.“ 1884 წ. № IV) რომ თითქმის მთელი მისი ისტორია არის სიტყვა სიტყვით ამოწერილი ჯერ სულხან-ბარათაშვილის ისტორიიდამ, სადამდისაც კი არის ეს ისტორია დაწერილი, და შემდეგ გოლოვინის ისტორიიდამ, «არც ერთი ფაქტი თითქმის, არც ერთი ამბავი, არც ერთი ქრონოლოგიური ცნობა, არც ერთი ცხოველი ისტორიული მოსაზრება არ გამოსულა ჩვენი თამამი ავტორის კალმიდამ, ამბობს ეს რეცეზენტი—ციფრებიც, ფაქტებიც, წყობაც და დალაგებაც ფაქტებისა, მომდინარეობა წერისა და აზრისა იგივეა, რაც ან ერთი ან მეორე ისტორიკოსისაგანს (ბარათაშვილის და გოლოვინისა) მოუღვაწნიათ თვისის ოფლითა და შრომით. ,,და ამ თავის სიტყვებს კიდეც ამტკიცებს ჯანაშვილისა და ზემოხსენებულთა ისტორიიდამ ამოწერილი ალაგები, და აქვე ამტკიცებს ავტორი, რომ ,,ავტორს თავი ცხოვრებაც კი არ შეუწუხებია, თითქმის არც ერთის წყაროს შესწავლით, და ქართლის ცხოვრებაც კი ძალიან იშვიათად უხმარია. ,,(გვ. 136). ამისი გამოკიდება ძალიან შორს წაგვიყვანდა და არც ჩვენს საგანს შეეხება.

ვნახოთ ვინ იყო ეს ლელა, ბაგრატ მეფისა, თუ [illegible] ლუარსაბ მეფისა.

იოსებ თბილელის „დიდმოურავიანში“ ვკითხულობთ: „მან ცოლი დასთმო (ზურაბ ერისთავმა), — ათქმევინებს თბილელი დიდმოურავს, ჩააგდო სირცხვილად სრულ არარათა. ვკადრე უკეთესს ქალს შეგრთავ, შენთვის მწვე გასახარადა... ლუარსაბ მეფის დის შერთვა შენთვის არს ეს საკმარადა“. (გვ. 34).

1829 წ. ბროსსესგან პარიჟში გამოცემულს „საქ. ცხოვრ.“ ვკითხულობთ. „ლუარსაბ მეფის და ფათმა სულთან ბეგუმა (როგორც ზემოთ მოყვანილი საბუთებიდან ვიცით, ლუარსაბის დას ლელას, როდესაც შეირთო აბაზმა, დაარქვა ფათმა სულთან ბეგუმა.) ყაენის სახლით გამოიყვანეს და ფეიქარის ხანს (ფეიქარხანს) მისცეს“. (გვ. 64).

მეფე არჩილ ამბობს. „აქ ომი რომ გადასწყვიტეს, ფეიქარ ხანზედ წავიდნენ, ბატონიშვილი ლელა მეფის ლუარსაბის და უნდა ემოვნათ და ზურაბისთვის შეერთოთ“ (მეფის თეიმურაზის ცხოვრ. გვ. 95),

საიდამ აქცია ლელა, ფეიქარ-ხანის ცოლი, ნაცოლარი აბაზისა ბაგრატ მეფის დათ, ჯანაშვილმა?

როდესაც აგვიწერს თათარხნის ჯართა თრიალეთზედ შემოსევას და მათზედ ლუარსაბ მეფისგან იარალის გაგზავნას გზების შესაკრავად, ჯანაშვილი ამბობს... „იარალიმ ჩახერგა გზა და ელოდა მტრის მოსვლას. ამ ლოდინში მას დაეძინა. თათარხანი მძინარეს მოუხტა და გაჟლიტა ქართველნი და მათთან იარალიცა“ (გვ. 268).

ვითომ ინება ჯანაშვილმა ამისი შემოწმება პირველ წყაროებთან? ეგ ჯანაშვილის საქმე არ არის. ვახუშტიმ ასრე ბრძანა, მოდი და ჯანაშვილი ნუ დაუჯერებს. ვნახოთ პირველი წყაროები რას გვეტყვიან ამაზედ. აი რას ვკითხულობთ ამაზედ ბროსსესაგან 1829 წ. გამოცემულს „საქართველოს ცხოვრებაში“, რომელიც ვახუშტიზედ ბევრით ადრეა დაწერილი.

„მოვიდა ამბავი მეფე ლუარსაბთან დაშქართ შემოკრებება თათარხნისა და თრიალეთს გადმოსვლისა. მეფემ დაუძახა (იარალის)

და უბრძანა: შენ იცი გზების შეკვრაო. გზები დაიცევით, თუ ჯარი ნახოთ, გვატყობინეთ. იახლა იარაღი... იმათ (იარაღმა და [illegible] ზაქარია) ვერა უგრძნეს რა ლაშქართა, სხვა გზაზედ გაიპარნეს, და ბოლოს მათვე დახოცეს“. (გვ. 38). ბოლოს, როდესაც ეს თათრხნის ჯარი შევიდა გულ ქართლში და შეიბნენ ქართველები და თათრები მეტეხისა და ახალქალაქის მახლობლად, სხერტის ჭალაში, არის აწერილი ამბავი, როგორ მიუხტა აქ ზაზა ციციშვილი თათრებს, თავი მოსწყვიტა ერთს ფაშას და გამოიტაცა, და სხვათა შორის სწერია „ზაზამ თავი (ფაშისა) კბილებში დაიჭირა და ცხენს მოახტა. ზაქარია და იარაღი მას თან მოსდევდეს“. (გვ 40).

„დიდმოურავიანში“, რომელიც ეგრეთვე ბევრით ადრე დაწერილი, ვიდრემ ვახუშტის ისტორია, ვკითხულობთ: „მან (მეფე ლუარსაბმა) უბრძანა (იარაღის) შენ იცი შეკვრა გზისანი, თან ზაქარია გამოგყვეს... თუ ჯარი ნახოთ, გვაცნობეთ... მათ ვერა უგრძნეს, ლაშქართა ჰქნეს სხვა გზას გაპარულობა. ბოლოს მაიგანვე მოიკლნეს“ (გვ. 9). შემდეგ თბილელი ათქმევინებს დიდმოურავს, როდესაც ასწერს სხერტის ბრძოლას. „ზაზა ციციშვილს იცნობდით. როგორ გულსრული არის... ზაქარია, იარაღი მას თან მოსდევდეს, მოვლენ მალა. მორწყულ-ხნულებში შემოვიდეს, მათი სისხლი იქ გამშრალა. ისინი ორივ დაჰხოცეს“, (გვ. 10).

ვკითხოთ ჯანაშვილს, სად მოჰკლეს იარაღი: თრიალეთზედ, ყარაულობის დროს, ისიც მძინარე მთელი ჯარით, თუ მაშინ, როდესაც ეს თათრის ჯარი ქართლის გულში შემოვიდა, არის მძინარე და ისიც მთელი ჯარით კი არა, ცხარე ბრძოლაში, გმირულად მებრძოლნი სხერტის ჭალაში, დარწყულს ხნულებში? ან თათართ მოასწრეს იარაღის თავისი ჯარ-ებით მძინარეს, დაჰხოცეს ისინი და ისე შემოვიდნენ ქართლის გულში, თუ სხვა გზით შემოვიდნენ, ასცდნენ იარაღის ჯარებს და ეს ვერ გაუგო იმათ იარაღიმ? როდესაც გაუგო, დაედევნა უკან, მოუსწრო სხერტაში ბრძოლას და სხვა ქართლელობასთან ერთათ შეება თათართა?.. ამას დაივიწყებს უნდოდა და ჯანაშვილს ეს არ უწერია დავთარში.

საქაძეების გვარტომობის აწერაში, ჯანაშვილი გვიამბობს...

„გიორგი მეფის დროს მათ მიეცათ თავადობის ხარისხი. (1593 [1]) და იწოდნენ მოურავებად (მოურავობა ჯანაშვილს ხარისხი ჰქონდათ და არა მოხელეობა), შაჰ-აბაზ ყეენმა (შაჰ-აბაზ სახელი ჰქონია ჯანაშვილს) 1622 წლის შემდეგ დაუმტკიცა მათ თარხნობა. ამ თარხნობის გამო იგინი იწოდნენ აგრეთვე თარხნისშვილებათ. აი ამ გვარს ეკუთვნოდა გიორგი სააკაძე“. (გვ. 288). [2]).

აქ ხომ თარხნობა შაჰ-აბაზმა მისცა გიორგი სააკაძის გვარს ახლა ჰნახეთ ვის მიაცემინებს ჯანაშვილი ამ თარხნობას.

„სააკაძის სამსახური დიდად დააფასეს შემდეგ დროის ყეენებმა, რომელთაც მის შთამომავლობას მისცეს თარხნობა“. ჰბრძანებს ჯანაშვილი თავისი ისტორიის მე 315-ე გვერდზედ.

აბა მკითხველო, ამგვარმა კაცმა კალამს ხელი უნდა მოჰკიდოს! რამდენიმე გვერდის წინ შაჰ-აბაზმა უბოძა გიორგი სააკაძის გვარს თარხნობა, და რამდენიმე გვერდის შემდგომ ამბობს, რომ შაჰ-აბაზმა კი არა, შაჰ-აბაზის შემდგომმა ყეენებმა დააფასეს გიორგი სააკაძის ნამსახურობა და მის გვარს მისცეს თარხნობაო!.. და ისიც რათ მისცეს? გიორგი სააკაძის დიდი ნამსახურობისათვის. რა ნამსახურობისთვის? ორი ხელობა თითქმის სრულიად ამოუწყვიტა შაჰ-აბაზს მისგნით მოსეული საქართველოს მოსასპობელად ჯარი, იხსნა საქართველო სპარსთა მონებისაგან; ოსმალებთან ბრძოლის დროს, როდესაც სააკაძე გაიდევნა საქართველოდამ სოსმალოში, ოსმალებზედ გამარჯვებულს აბაზს წაუხდინა ეოველი ჭორნახული თავისი გამარჯვებაებისა ოსმალებთან, დაუმარცხა ჯარები და განუდევნა საოსმალოდამ. ეს დიდი ნამსახურობა არ არის სპარსთა ყეენებისათვის?! აი ამ ნამსახურობისათვის მიაცემინა ჯანაშვილმა სპარ-

[1]) უნდა იყვეს 1603 წ., რათგან გიორგი მეფე მაშინ იყო.

[2]) გამოდის, რომ სააკაძე ყოფილა თარხნიშვილი, თარხნობა კი 1622 წ. შემდეგ მისცა აბაზმაო. შაჰ-აბაზმა მისცა თარხნობა მის შემდგომ, როდესაც სააკაძემ ულალატა იმას და გაუწყვიტა იმოდენა ჯარი! 1622 წლის შემდგომ მისცაო. შემდეგი 1622 წლით არის 1623 და შემდეგი წლები. 25 მარტი 1623 წელს გაუწყვიტა სააკაძემ აბაზს ჯარები. ეტყობა აბაზს ამისთვის თარხნობა ღალატისთვის მიუცია. ისტორია არ არის, მა რა ჯანაბაა!

სთა შაჭებს სააკაძის მთამამავლობისათვის თარხნობა! დაფიქრდა ამაზედ ჯანაშვილი?!.

აქვე ბრძანებს, გიორგი სააკაძის გვარს გიორგი მეფის დროს მიეცათ თავადობაო. და იწოდებოდნენ მოურავებად. რად მოჭხედა აქ თავისგნით ამძულვარებულს გიორგი სააკაძეს წყალობის თვალით და უბრალო აზნაურს, თუ გლეხის შვილს უწყალობა თავადობა? ძნელი მისახვედრია. მაგრამ ამ ჯანაშვილის წყალობას არა სცნობს ისტორია. ის ისევ დაჟინებით აღიარებს სააკაძეს უბრალო აზნაურად. ან გლეხის შვილად, და მთლად მისი ტრაგედია ცხოვრებაში არის აშენებული ამ, მის აზნაურობასა და უგვარობაზედ. აი ისტორია რას გვეუბნება ამაზედ.

იოსებ თბილელი, რომელიც იყო სააკაძის შვილის შვილი „დიდმოურავიანში“ ათქმევინებს სააკაძეს: „ვეჭვ ბევრს თავადსაც მოსწადდეს ჩემებრივ აზნაურობა“. (გვ. 55).

ვკითხოთ ჯანაშვილს, ვინ უფრო კარგად იცოდა თავისი გვარისა და პაპის ამბავი: იოსებ თფილელმა თუ თვითონ ჯანაშვილმა?

მეფე ლუარსაბის ცხოვრებაში ანტონ კათალიკოზი ამბობს: „დროსა მას იყო ხსენებული ზემორე სააკაძე გიორგი, აზნაურთაგანი“. (ქრისტ. ჩუბ. გვ. 325).

„ბროსსე ამბობს“. დიდებულებში უძლიერესი იყო გიორგი სააკაძე, ტფილისის და დვალეთის მოურავი, რომელსაც აზნაურობა რამდენი'ამე წლის წინად მიეღო“. (ტ. II გვ. 20).

არაქელ ამბობს: „კაცი ესე მოურავი არ იყო თვით შვილი აზნაურისა ან თავადისა, არც გამოჩენილის გვარისაგან, იყო დაბალი გლეხის გვარისაგან“. („ივერია“ 1885 წ. № VII, გვ. 25). აი ნამდვილი საბუთები რას გვეუბნებიან სააკაძის ვინაობაზედ.

იყო ვინმე ქაიხოსრო ომანიშვილი, გვარად ჩოლაყაშვილი, სახელოვანი მხედართმთავარი და სამეფოს მმართველი კაცი, ქეთევან დედოფლისაგან დიდად დაფასებული თავისი დიდებული ნიჭიერებოსათვის. თეიმურაზის მეფობაში ამავე თეიმურაზისა და ქეთევან დედოფლის ბრძანებით, გადუხტა დაღესტანს, რომელიც მუდამ არ ასვენებდა კახეთს, გასტეხა დაღესტანი, და მოსთხოვა მეფე თეიმუ-

რაზს სამეფო ბუკები, ცხადია მისთვის, რომ ეჩვენებინა დიდება მეფისა, ეჩვენებინა მითი მეფის ძლიერება, თავისი მეფის წარმოსადგენელობა.. აი ამაზედ რას გვიწერს ჯანაშვილი.

„ომანიშვილმა ითხოვა ბუკი, რომ მის დაყვირებით დაეშინებინა ლეკნი“. (გვ, 293).

აბა მეტი გონივრება და უნდა! დაღესტნელნი, რომელნიც თითქმის მთელს კაცობრიობაში ითვლებიან საუკეთესო ვაჟკაცებათ, ის დაღესტნელნი, რომელთაც ყოველი თავისი ძალით ებრძოდა უძლეველი სპარსთა ხემწიფე ნადირი ანუ ნადირ-შაჰი, რომელმანც შეარყია ინდოეთი, ერთი თავისი მრისხანე ბრძანებით დაასცლევინა რუსებს პეტრე პირველისაგან დაპყრობილი კასპის ზღვის ყოველი ნაპირები, ის ნადირ შაჰი, რომლის წინ ძრწოდნენ ყოველი მეზობელი სამფლობელონი, სამი წლის განმავლობაში ებრძოდა დაღესტანს, ვერა დაკლო რა და დაბრუნდა შერცხვენილი და გაწბილებული, უნდა მოსე ჯანაშვილს დაეზბრთხო ერთი ბუკის დაყვირებით, დაებრთხო ის დაღესტნელნი, რომელთაც სამოცი წლის განმავლობაში გაუწიეს ძლიერს რუსთა სახელმწიფოს წინააღმდეგობა, და დაპყრობილ იქნენ მხოლოდ ფულით და არა ძალით. აი ამ დაღესტნელთ ერთი ბუკის დაყვირებით გულები დაუხეთქა ჯანაშვილმა და დაამორჩილა კახეთს. ეგ დალოცვილი, სად იყო მაგ თავისი ბუკით, როდესაც იგივე დაღესტნელნი იპყრობდნენ და ალეკებდნენ მაგის სამშობლო ხალხს ენისელთ, რომელთაც დღეს მათი და ლეკების გამო ქძხიან ინგილოთ და დაუკარგეს საკუთარი ხალხოსნობის სახელიცა, დააყვირებდა მაგ თავის ბუკს და გაბრთხვალნი და გულ გახეთქილნი ლეკნი გაცვივდებოდნენ ისევ თავის სალეკოში, ენისელთ ქართველნი დღესაც ისევ ძლიერი ქართველნი იქნებოდნენ... აბა ბატონო მოსე, საჭიროა თუ არა დაფიქრება წერაში?..

ეს მე მარტო ნიმუშები მოვიყვანე ჯანაშვილის უმეცრებისა, უკრიტიკობისა, სრული ულოღიკობისა, უაზრობისა. და, თუ ყველას გამოვეკიდეთ, ბროსეს ნაწერი ისტორია ამასთან ბრწყინვალე და დიდებული დგაწლი გამოჩნდება.

გადავიდეთ ახლა მის ცილებზედ და გავსინჯოთ მისი შეხედულობა საქვეყნო საქმეების დაფასებაზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ გადავავლოთ მოკლედ თვალი თუ რა თვალითა და გონით უყურებს ჯანაშვილი საქვეყნო საქმეებს.

შემდეგ მისა, როდესაც საავაძემ მოსწყვიტა სპარსთა აუარებელი ჯარი, მოსული შაჰ-აბაზისაგან. საქართველოს მოსასპობლად, უფრო დიდათ განრისხებულმა აბაზმა მოუსია საქართველოს მთელი თავისი საბრძანებლის ძალა, საუკეთესო სპარსთა სარდლებით,*) რათა ეყარა ჯავრი თავისი მოწყვეტილი ჯარისა და შეესრულებინა თავისი დიდი ხნის გულის წყურვილი—მოესპო საქართველო ქვეყნის პირიდამ. ამ, მოსაგონებლადაც საზარელს დროს, თეიმურაზ მეფის წყალობით, რომელიც შეება სპარსთა, წინააღმდეგ საავაძის პლანებისა, ქართველებმა მარაბდის ველზედ წააგეს ომი. ამ ბრძოლაში გასწყდა და დაიჭრა თითქმის ნახევარი ჯარი ქართველობისა, გასწყდა საუკეთესო ვაჟკაცობა, მეფე თეიმურაზ, თავისი ჩვეულებისამებრ გავარდა იმერეთს და თავისი სამეფოები გაუშვა ღვთის ამარას. ჯარი, მეტი წილი დაჭრილი, მოქანცული სამი დღის ბრძოლით, გულ გატეხილი გაიფანტა და ეცა გასახიზნ ადგილებს, მხედართ მთავარნი ზოგნი გაცვივდნენ მეფესთან ერთად იმერეთს, ზოგი გავიდა მთებში გასახიზნად, ზოგთაც თვითონ მისცეს მხარი სპარსთა და გადუდგნენ ქართველობას. სპარსთა აიღეს თბილისი, საქართველოს თავ შეიმართა კვალად მახვილი შემუსვრისა და მოსპობისა. საქართველოს ხალხი უნდა აღგვილიყო პირისაგან ყოვლისა ქვეყნისა! აღარავინ, აღარავინ მისი პატრონი, მისი მხსნელი!... და აქაც აღიმართა კვალად მხსნელი მახვილი საავაძისა. დარჩენილი სამოცი მეომარი კაცით, საავაძე უმკლავდება მთელს სპარსთა ძალას, ხშირად რჩება მარტო ოცი კაცით და მათით უწევს ბრძოლას თავისი სამშობლოს მომწყვეტებს. ებრძვის, როგორც ქვემოდ ამ წიგნის წინა თავებში ვნახეთ, იმგვარი ცოდნით, იმგვარი მოხერხებით, იმგვარი ენერგიით, რომ ბოლოს და ბოლოს დააყენებს ფეხზედ მთელს ქართლ კახეთს, მოიმხრობს ოს-

*) ამათში სამი თავი სარდალი იყო ქართველი: ბეგლარბეგი ერევნისა ამირგურიხან (ქართული გვარი ამისი არა სჩანს), ხოსრო მირზა ბაგრატიონი, ბოლოს როსტომ, ქართლის მეფე, და ძმისწული გიორგი საავაძისა, როსტომ ხან საავაძე. ბეჟან საავაძის შვილი.

მალით, და გამოდის სრული გამარჯვებული, განდევნის საქართველოდამ სპარსთა, გაუწყვეტს საუკეთესო სარდალთ, უმეტეს მხედრობას და აუძლურებს იქამდის სპარსთა, რომ ახლა აბაზი არამცთუ აღარ ეძებს საქართველოს სისხლს, ის სცდილობს ახლა დაიმეგობროს ის, დაუახლოვდეს მას, დაიკავშიროს და აღიარებს თავის თანასწორად. და აი ამ შეუდარებელს დიდებულს საქმეზედ რას გვითხულობთ ჯანაშვილის ისტორიაში, რომელსაც საკაძე უწევს ამ, თითქმის ზღაპრულს ბრძოლას სპარსთა.

„საქართველოს უკეთესნი შვილნი კარგათ ჰხედავდნენ... მძლავრს მტერს ვერას დააკლებდნენ... ქვეყნის სახსნელი გზა ერთი ღა იყო: შერიგება მტერთან, დამორჩილება ყეენისა... სამწუხაროდ ამას ვერა ჰხედავდა მოურავი... მოურავი არა სწყნარდებოდა და მიუგზავნეს მიტროპოლიტი ტფილისისა დიანოსე და მცხეთის მამთავარი ტროფილე. ეს მამათ მთავარნი მივიდნენ მუხრანს და შეევედრნენ მოურავს... „ანებე ბრძოლას თავი. იდევ მახვილი ქარქაშსავე შინა!.. მოურავმა არ შეიწყნარა ეს ვედრება... იგი არა წყნარდებოდა და იძახოდა: „ჩემი ხმალი ბასრია *), რამდენს ლომს თავი წარკვეთაო“ აქაც თვის ხმალს მიენდო. შემოიკრიბა სამოცოდე კაცი და ხან ერთს რაზმს ეცემოდა, ხან მეორეს და ხან მესამეს და იმარჯვებდა კიდეც... (გვ. 312, 313).

დიახ მკითხველო, თურმე დიდი ცოდო ყოფილა თუ ძლიერს მტერს შეებრძოლე მცირე ძალით და მასთან კიდეც იმარჯვებს თურმე, რაკი მძლავრი მტერი მოგადგა კარს, უნდა დაემონო შენს მტარვალს, შენზედ შენს და შენი ქვეყნის მოსასპობელად მოსულს. თურმე ეს ყოფილა სადიდებელი, ეს ყოფილა საქებური. ამისი მქადაგებელნი ყოფილან საუკეთესო ქვეყნის შვილნი. ვინც ასრე არ იქცევა, ვინც მტერს ებრძვის თავისი ქვეყნის მოსპობისაგან სახსნელად უკანასკნელს წვეთს სისხლამდის, ჰხმარობს ყოველს ღონეს, არა ჰზოგავს ამისთვის არც თავს. არც ცოლს, არც შვილს, არც ქონებას, არც ძმას, არც დედას, არც საუკეთესო მეგობართა,—ესენი ყოფი-

---

*) ჯანაშვილი აქ ზურაბ ერისთავის სიტყვებს აწერს მოურავს.

დან ქვეყნის მტერნი, ქვეყნის მოღალატნე, ქვეყნის გამცემნი!..

იცი მკითხველო ვის ეძახის ჯანაშვილი „საქართველოს უკე-თესთა შვილთა“?— ეძახის სპარსთა მომხრე ქართველობას, სპარსთა-გან დაყენებულს მეფეს, მაჭმადიანს სვიმონს, მათგან მიგზავნილთ მღვდელთ-მთავართ!...

როდესაც სააკაძემ მოსწყვიტა თორმეტი ათასი სპარსნი და დაუხოცა და დაატყვევა სპარსთა საუკეთესო სარდალნი, პარტიზანული ომით სრულიად შეასუსტა სპარსთა ძალა, მეფე სვიმონს თბილის კარეთ ფეხი აღარ გამოადგმევინა, მრავალი სპარსთა მომხრე ქართველობა შემუსრა და დაატყვევა, მაშინ სპარსნი, სპარსთა მომხრე ქართველნი და მეფე სვიმონ უგზავნიან მოურავს ზემოდ ხსენებულთ მღვდელ-მთავართა, რომ დაასწყნარონ სააკაძე, ჩააგე ინონ ხმალი ქარქაშში, მიუშვას სპარსნი ნებასა, დაამორჩილოს ქართველნი, მისცეს ნება აღასრულონ საქართველოზედ მათი დიდი ხნის განზრახვა!

და ესენი გახლავან „საქართველოს საუკეთესო შვილნი“ ჯანაშვილის თქმით, და სააკაძე, მებრძოლი და შემუსვრელი თავისი ქვეყნის მტრებისა, ყოფილა მუხანათი და გამცემი ქვეყნისა!.. დიდი ბედნიერი არ იქნებოდა ჩვენი ქვეყანა, რომ ამ გვარი პუბლიცისტები და ქვეყნის სასარგებლო საქმის შემგონებლები ჰყოლოდა როგორიც გამოდის ამ ნაწერებიდამ ჯანაშვილი?!

იცი მკითხველო, რა მოუვიდათ ამ საქართველოს უკეთესთა. შვილთა, მღვდელ-მთავართა, როდესაც ვერა გაარიგეს რა სააკაძესთან სპარსთა და სამშობლოს მოღალატე ქართველთა ჩასვეს ციხეში მღვდელ-მთავარი დიონოსე და აქ გამოალპეს, და იქვე მოუღეს ბოლო*).

აი, ჩემო მკითხველო! თვით ეს უმაგალითო საქმე, სადაც ყოვლად შეუძლებელი იყო შეეტანა ვისმე სააკაძეზედ ღალატის იჭვი, იცნეს ჯანაშვილის მსგავსთ კაცთა სამშობლოს ღალატად და ქვეყნის სამტრო საქმედ, და სხვაგან, სხვა ადგილას, სადაც რამე მიზეზის მოკრება შეიძლებოდა, იქ, რაღა თქმა უნდა, უფრო არ ექნებოდათ ამათგან დანდობა სააკაძის მსგავსთ ქვეყნის მსახურთ კაცთა.

*) Жизнь Велик. Моур. Георгія Саакадзе.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადავიღეთ ჯანაშვილის განგებ მოგონილს და შეთხზულს მე-ზავებულს ცილებზე.

რომ დაამტკიცოს, რა საშინელი მტერი იყო სააკაძე საქართვე-ლოსი, ჯანაშვილი სწამებს, რომ მან მოჰკლა სხვათა შორის ერთი ქვეყნის საუკეთესო მსახური ქართველი, თავადი თამაზ მაჩაბელიო, და ზედაც უმატებს, ყველა მშვიდობის მყოფელს იკლებდა და ახრჩობდაო, და სხვათა შორის ამბობს: „ამგვარად აათხრა დვალე-თი (მშვიდობის მყოფელი დვალეთი)! და მოჰკლა თამაზ მაჩაბე-ლი“. (გვ. 312).

აბა ვნახოთ, ვინ მოჰკლა თამაზ მაჩაბელი.

„დიდმოურავიანში“ სადაც არის აწერილი სააკაძისა დვალეთს გადასვლა და ოსებთან ბრძოლა, თბილელი ათქმევინებს სააკაძეს: „თამაზ მაჩაბელს ისარი მიკრეს“. (გვ. 43).

პლატონ იოსელიანი სწერს. „ისტორიკოსი. რომელიც აგვი-წერს მოურავის შესვლას დვალეთში, სხვა გმირთა შორის, რომელ-ნიც ახლდნენ მოურავს, ასახელებს პაპუნა ვაშაყაშვილს, თამაზ მაჩა-ბელს, თამაზ ქარსიძეს, ინაშვილს. ამათში თამაზ მაჩაბელი მოჰ-კლეს ისრითა. მოურავმა დაჰკარგა ამაში საუკეთესო შემწე... აქ, ამ ბრძოლაში მოურავმა იჩინა ყოველი თავისი ძლიერმა და დიდ-სულოვნება. როდესაც მოჰკლეს მაჩაბელი და მისცვივდნენ ოსნი თავის მოსაჭრელად, მოურავმა იჩინა თავისი გულოვნება, ეცა მათ, უპირებდნენ მაჩაბელს თავის მოჭრას, გაფანტა იგინი, როგორც შეიგდო მამაკვდავი მხარზედ და თან იგერებდა მაზედ მოსულთ მტერთ, თან მიაქანებდა სისხლით მოსვრილს ამხანაგს სამშვი-დობოსაკენ“. (Жизнь Велик. Моур. Г. Саакадзе, გვ. 70).

როგორა გგონიათ მკითხველო: სააკაძემ მოჰკლა თამაზ მაჩაბე-ლი, ქვეყნის ერთგული გმირი, თუ სააკაძეს მოუკლეს მტრებმა თვი-სი უკეთესი მომხრე და შემწე, მეგობარი, რომლისაც გვამის გამო-ტანას კინაღამ შესწირა თავისი სიცოცხლეც?.. რად იკადრა ასრეთი სრულიად უკუღმა ლაპარაკი ჯანაშვილმა?.. მიტომ რომ ჯანაშვილის-თვის საჭიროა ქვეყნის ერთგულს და 'მხსნელს ჩირქი მოსცხოს და ამისთვის ის არავითარი საქმის წინ არ იხვალიებს.

დავუგდოთ უარესებს ყური.

ჯანაშვილი არ აჯარებს, რომ სააკაძე გამოიყვანოს ქვეყნის მტრად, იმას გამოჰყავს ის ქვეყნის თვალში უბრალო ქურდათ, ქურდათაც, ის გვიწერს. „სააკაძე დედაწულიანათ გაიქცა თავის სიმამრთან... დაპარული ცხენებით“. (გვ. 289).

იცით მკითხველო, რა დაპარული ცხენებით გაიქცა ცოლშვილით სააკაძე თავის სიმამრთან?

როდესაც კოჯრიდამ გამოგცეული სააკაძე, სადაც ის მიიტყუა მეფემ და დიდებულთა მოსაკლავად, ეცა ნოსტევს და გამოიტაცა ფეხშიშველანი, ტიტველ-შიშველნი ქვეითები თავისი ცოლშვილი და ასრე ტყე ტყე ირბინეს ორმოცი ვერსი მეტი, და ჰნახა, რომ ყველგან გზები ჰქონდა შეკრული და მტერს ვეღარ წაუვიდოდა ქანც მოწყვეტილი ცოლშვილით, მაშინ მისთა მხლებელთა დაჰპარეს ცხენის ხიდზედ, მის დასაჭერად დაყენებულთ მცავებთა ცხენები და ამ ცხენებით გაასწრო და გადაარჩინა ცოლშვილი მოწყვეტას. აი ამ დაპარულს ცხენებზედ ბრძანებს ჯანაშვილი. და განა ინება ისტორიკოსმა აეხსნა, რა დაპარული ცხენებით გაიქცა სააკაძე? არა! იმან იქვე ხომ შეაპარა მკითხველის გულში, რომ სხვა საზიზღრებასთან, სააკაძე ცხენების ქურდიც იყოო, და იმას სხვა არცა რა ედო რა გულში.

ჯანაშვილი არა სჯერდება, რომ თითონვე სთხზავს სააკაძეზედ ცილებს, ის ამის მოწმებსაც შოულობს.

ნიმუში პირველი.

„ყაენის წინაშე, მოგვითხრობს ჯანაშვილი, მისული მოურავი (როდესაც მეფისა და დიდებულთაგან დევნილი სააკაძე გაიქცა სპარსეთს) არაქელის სიტყვით, ჰფშვინვიდა, ვითარცა მებრძოლი ცხენი და შესძახოდა, ვითარცა ლომი და აღმოფშვინვიდა ლუარსაბზედა, ვითარცა გველის მფშვინავი ვეშაპი, და ეძიებდა სასიკვდილოდ მას“ (გვ. 298).

აბა ახლა დავუგდოთ ყური არაქელს, რას ამხობს, ან როგორ აგვიწერს ის იმ ამბავს, როდესაც სააკაძე მოვიდა შაჰ-აბაზთან.

„ყაზახის ხანმა—რომელთანაც მივიდა საქართველოდამ განდევ-

ნილდ სააკაძე—მიიყვანა ბირდაპირ შაჰ-აბაზთან. შაჰმა დაუწყო გამო-კითხვა მოურავს. ჰკითხავდა ვინაობას, სადაობას, ან რისთვის იყო წამოსული თავისი ქვეყნიდამ. მოურავი ყოველს კითხვაზედ რიგიანს პასუხს აძლევდა და ეტყოდა: უკეთუ მოვარგულობასა ქვეშე თქვენსა შამიღებთ და შემიწყნარებთ, მე მრავალს საქმეში ვიქნები გამოსა-დეგი სამსახურსა შინა თქვენსა. და დაშთა მუნ შაჰ-აბაზი ყიზილ-ბაჯს, შირვანში—თვისი ბანაკითა რაოდენსამე დროს და შემდგო-მად აიყარა და წარვიდა ისპაანს და წაიყვანა თან მოურავი და დაწ-ყნარებით წავიდნენ, მინამ ისპაანს მივიდნენ“. („ივერია“ 1885 წ. № VII გვ. 30).

სად არის აქ ზემოდ მოყვანილი ჯანაშვილისაგან სააკაძის მრის-ხანება მეფე ლუარსაბზედ შაჰ-აბაზთან მისვლის დროს? რათ იმოწ-მებს არაქელს, როდესაც აქ არაქელ სრულებით სხვას ამბობს?..

მაგრამ ჯანაშვილი ამისთანაებსაც არა სჯერდება. ის შოულობს მოწმეებს უარესს და უუსაზიზღრესს საქმეებში. ის შოულობს მოწა-მეს, რომ სააკაძე იყო ნამდვილი მოღალატე ქვეყნისა, რომ მან ამოსწყვიტა კახეთი და აჰყარა ქართლი. შოულობს მოწამეს სრულს სანდოს, ამ ამბების მომსწრეს. კახთა მეფის თეიმურაზის სიძეს, კახთავე მეფე არჩილს, მწერალს ჭეშმარიტს, ღრმა ფილოსოფოსს, ღრმად საქართველოს ცხოვრებისა და ისტორიის მცოდნეს, კაცს ყოვლად მიუფერებელს, მიუდგარს. როდესაც სააკაძე უპირებს სა-ქართველოს მოსასპობლად საქართველოში მოსულთ სპარსთა: ჯა-რებს მოწყვეტას, და ამაზედ ეხვეწება ზურაბ ერისთავს, რომ ის დახმაროს ამ დიდს საქმეში, ჯანაშვილს მოჰყავს არჩილ მეფის სიტყვები ამ ხვეწნაზედ ამგვარად:

„კახეთი ხომ ამოვსწყვიტეთ და ქართველნიც იქ ჩავგვართოთ? (შაჰ-აბაზს)... ჯერ აქ ლაშქარს უღალატოდ მერმე მეფე თეიმუ-რაზ მოვიყვანოთ და შევურიგდეთ. (ისტ. ჯანაშვილისა, გვ. 308).

ამ სიტყვებიდამ ცხადად სჩანს რომ მეფე არჩილ ამტკიცებს, სააკაძემ კახეთი კიდეც მოსწყვიტა, ამ თავისი სამეფოს მოწყვე-ტისათვის მეფე თეიმურაზ გამწყრალია სააკაძეზედ და უნდა ახლა სპარსთა ღალატით შეურიგდეს.

ვნახოთ, მართლა ამას ამბობს მეფე არჩილ, თუ პირიქით სულ სხვას ამბობს იმავე სტრიქონებში, რომელნიც მოჰყავს მოსე ჯანაშვილს. აი ის სტრიქონები. არჩილიანში მეფე არჩილ ათქმევინებს საავაძეს, როდესაც ისა სცდილობს მიიბიროს ზურაბ ერისთავი.

„კახეთი რომ ამოვწყვიტოთ, კვლავ ქართლიცა იქ ჩავგვაროთ მაგას ნუ ვიქმთ, ნურა საქმით, სხვაფრივ საქმე მოვაგვაროთ“. (მეფე თეიმურაზის ცხოვრება, 91).

როგორ გგონიათ მკითხველო, რომ ამოვსწყვიტოთ, და ხომ ამოვწყვიტეთ, სულ ერთია? „ხომ ამოვწყვიტეთ“, როგორც ჯანაშვილსა აქვს მოყვანილი არჩილის სიტყვები, გათავებული საქმეა, კიდეც ამოუწყვეტიათ „რომ ამოვწყვიტოთ“, როგორც თვით არჩილს უწერია, ის არის, რომ ჯერ არ ამოუწყვეტიათ და თუ ამას დავუმატეთ არჩილისავე მოყვანილი ზემოდ სიტყვები, „ამას ნუ ვიქმთ, ნუ რა საქმით, სხვაფრივ საქმე მოვაგვაროთ, „ეს ის არის, რომ არამც თუ არ ამოუწყვეტიათ, პირიქით, უნდა იხსნას მოწყვეტისაგან. რაც შეეხება სიტყვებს. „თეიმურაზს შეურიგდეთო, „არსად, არსად მთელს არჩილიანში ხსენება არ არის, რომ საავაძეს ეთქვას, თეიმურაზს შეურიგდეთო.

აი ჩვენი ისტორიკოსი რა ზნესა და ჩვეულებაზედ დაადგა სამწერლო ტაძარს, რომელიც ყოვლად წმიდათ და უბიწოდ უნდა იყვეს დაცული და რომელსაც არ უნდა ეხებოდეს არა მზაკვარი და ბინძური ხელი.

რათ უნდოდა ამგვარი სამარცხვინო ცილები ჯანაშვილს? რათ კადრულობდა სხვის სიტყვების უკუღმა გადაბრუნებას, სულ წინააღმდეგი აზრის გამოსაყვანად? რათ სწამებს, არამც თუ საავაძეს, თვით საავაძეზედ მწერალთ ცილებს და აბრალებს მათ იმგვარს თხრობას, რომელიც მათ სრულებით გუნებაშიაც არ გავლებიათ და პირიქით სულ სხვა ულაპარაკნიათ?

მხოლოდ ჩვენს უკრიტიკო მწერლობაში შეუძლიანთ გაჰბედონ ისტორიის წერა ამგვარათა კალმის მტერთა, როგორნიც წარმოადგენს ჯანაშვილთ და პოეტი ლახურიძე...*)

*) იხილე, „მოგზაურში“ საოკრია ნიმუშები პოეზიისა. პოემა „დავით აღმაშენებელი“.

ეს ცილები და უაზრობა. ახლა მოვ-უყვანოთ ერთიც ნიმუში მისივე შეხედულობისა, მისი საქვეყნო სასარგებლო მოღვაწეობისა მოვიყვანოთ ნიმუში, რაში ჰხედავს ისტორიკოსი ქვეყნის ბედნიერებას, ქვეყნისთვის სანატრელს საქმეს.

იმ დროს, როდესაც ჩვენი ქვეყნის ინტერესები ისრე უწყალოდ რჩებოდა გაუკითხავი, როდესაც ჩვენი უმცროსი მოძმენი მისულიყვნენ უკანასკნელს გაწირულებამდის,*) როდესაც მათი სისხლით მორწყული და მამაპაპათა ძვალთაგან გაპოხებული ადგილი მამული ურიგდებოდა უცხო ტომის ხალხთა და ესენი რჩებოდნენ უმიწაწყლოთ, როდესაც ყოველს ჩვენგანს ყოველი ღირსება და პატივი ჰქონდა აყრილი, ყველას ჩვენგანს დასტრიალებდა თავს დამავდავის მახვილი, როდესაც საჭირო იყო ყოველი ჩვენი გონება, ჩვენი ძალა მოხმარებოდა კაცთა უფლების აღდგენას, კაცთა ტალახისა და წუმპებიდამ ამოყვანას, კაცთა თვალების ახილვას, ზნეობის აღდგენას, გმირობის აღვიძებას ბნელთა ძალთა გასამკლავებლად, კაცთადმი სინათლის მოფენას, მეცნიერების დამყარებას, ბრძოლას ცრუმორწმუნებასთან, რომელიც იყო ერთი უმთავრეს მიზეზთაგანი ჩვენი საბოლოოდ დაცემისა, ამ დროს, სხვათა შორის, აი რასა ჰქადაგებდა ჩვენი ისტორიკოსი მაშინდელს „ივერიის“ ფურცლებზედ.

„თანამდებ არს ძვალნი წმინდა მეფისა (ლუარსაბ II-სა, რომელიც ჰმარხია სპარსეთს) მოვასვენოთ და მივაბაროთ წმინდა სამარხსა მცხეთას სვეტი ცხოველს... ხოლო ვიდრემ აღვასრულებდეთ ამ წმინდა საქმეს, შევუერთდეთ ჩვენთა მამა-პაპათა და მათთან ერთად წარვთქვათ საგალობელი: „წამებისა სისხლითა შეიმკე შენ, ღირსო მეფეო. რამეთუ მაღლით მოიღე გვირგვინი და წინაშე ქრისტე შენისა მოხ ედ, და რომელნი სახელსა შენსა ჰხადიან ყოველთა ვნებათა და ჭირთაგან იხსნებიან. ვითხოვთ შენგან ყოველნი შეწევნასა ჭირთა შინა, რამეთუ დღეს (20) მარტს შენ მიერ იხარებენ შვილნი ესე ეკკლესიისანი და დღესასწაულე-

---

*) იხილე ჩემი წერილები „ივერიაში №№ 1895 წ. „მახვილი თუ ინდუსტრია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენ ხსენებასა შენსა, და შენგან მიიღებენ მაღლსა კურნებათასა, სანატრელო ღუარსაბ“. („ივერია“ 1898 წ. № 61.)

დიახ, კურნებულსა ჰხედავს ჩვენს ქვეყანას ჯანაშვილი და მაშინდელი „ივერია“, რომელთა სადადდო გაჰხდა აღდგენა ჟამთა ვითარებისაგან ნგრეულთა ტაძართა და ჭირთაგან გამოხრულთა გახწნილთა ძვალთა.

ამასა და ამგვარებს ჰქადაგებდნენ მაშინდელი „ივერიის“ თანამშრომლები იმ დროს, როდესაც სხვა მხარეებს, სხვა შეხედულობის მწერლობამ და ახალგაზრდა მოღვაწეთა იცნეს გახრწნილება დღევანდელი ცხოვრებისა, იცნეს რომ ამ წესებს მიჰყავს მთელი ერი საფლავის კარისაკენ, თუ დროით არ ეპატრონა მას და არ ამცნეს მას შესდგომოდა იგი ცხოვრების განახლებას, ძველი დახრწნილი ცხოვრების მიტევებას, რათა მკვდარნი მიენდო მკვდართათვის, მხოლოდ ცოცხალთა ეზრუნად სიცოცხლისთვის.

დიახ, სწორედ აი ამ განწირულებისა და გახრწნილების დროს ჯანაშვილი და მსგავსნი მისნი ჰქადაგებდნენ მისტიციზმს, ჰქადაგებდნენ საიქიოს და მიეცათ დავიწყებისათვის სააქაოს ზრუნვა და შეჩვენებისთვის ყოველი სააქაოს ცხოვრების მზრუნველი. მათთვის სააკაძის მზგავსნი კაცნი, თქმა არ უნდა იყვნენ ღირსნი შეჩვენებისა, გმობისა, და მათთა საქმეთა წასახდენად, მათთა გასატეხად არ უნდა მორიდებოდნენ არცა ცილს, არცა ტყუილებს, არცა ტყუილების მოწმების მოყვანას. მაგრამ, რამ აქცევინა სიმართლის გზისათვის ამგვართ კაცთა, როგორიც არის დიდად პატივცემული მართლაცა და გულ-წრფელი სუფრთა მოღვაწე, სიმონ დოდობერიძე, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს რა ჯანაშვილის მსგავსთა მეისტორიებთან...

დიახ, აი ეს გახლავთ ჯანაშვილისა და ბროსსეს ისტორია. ეს ამოდენა შეცდომა, ამოდენა უაზრობა, ულოღიკობა, ჩაუფიქრებლობა, ერთი ერთმანეთის წინააღმდეგი ფაქტების სიმართლეთ აღიარება, და მასთან ამოდენა დაურიდებელი ცილები ჯანაშვილისა, როგორც ზემოდ ითქვა, სულ რამდენსამე გვერდზედ! და ამას ეძახიან ისტორიას, ამათ უჯერებენ დოდობერიძესთანა შეგნებული კაცები, უჯერებს მწერლობა, არ აძლევს ამათ პასუხს ჩვენი კრიტიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საშინელს ნაკლთან, ერთიც კიდევ ნაკლი მათი მწერლობისა. გადაავლეთ თვალი, მიაყოლეთ გულის ყური მათს, ბროსსესა და ჯანაშვილის ისტორიას, თუ ერთს ცოცხალს სიტყვას, ერთს ცოცხალს აზრს, ერთს ცოცხალს სურათს, ერთს გულიდამ ამოსულს გრძნობას იპოვით. ისტორიას, რომელიც არის სავსე ათასი ტრაგიზმით, სავსე კოლიზიით, სავსე დიდებული გმირული საქმეებით, სავსე ყოვლად შემაზრზინალი მოქმედებით, მტარვალობით, მესისხარობით, ღალატით, გამცემლობით, ესენი ამას უყურებენ მკვდრის თვალით, მკვდრის ხელში ჩადებული კალმით, და, როგორც რუსები იტყვიან მათი ისტორია არის простая перечень сухихъ фактовъ. ისიც ყოველს სიმართლეს მოკლებულხი.

და აი ვისი გვწამს ჩვენ!

———

БИБЛИОТЕКА

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მასალები მეორე გამოცემისა.

1) ქართლის ცხოვრება I ნაწილი, გამოცემული 1839 წ. ბროსესაგან.

2) საქართველოს ისტორია I ნაწილი, ვახუშტისა.

3) იგივე II ნაწილი, მისივე.

4) შემდეგი ქართლის ცხოვრებისა, უსახელო ავტორისა, დაბეჭდილი ქართლის ცხოვრების II ნაწილში, რომელიც გამოსცა დავით ჩუბინაშვილმა 1854 წ.

5) საქართველოს ისტორია ფარსადან გორგიჯანიძისა, გამოკრებილი სხვა-და-სხვა წიგნებიდამ.

6) ცხოვრება საქართველოსი, უსახელო ავტორისა, რომლისაც ხელთნაწერი იმარხება პარიჟის სახელმწიფოთ ბიბლიოთეკაში და 1829 წელს არის ლიტოგრაფიით დაბეჭდილი პარიჟში. *)

7) შემოკლებული ისტორია საქართველოსი ანუ ნარკვევი, დავით ბატონიშვილისა, დაბეჭდილი 1800 წ.

8) სპარსეთის ისტორია ისკანდერ მუნშისა, ნემეცური და ფრანციცული წყაროებიდამ.

9) სომხეთის ისტორია არაქელისა: ზოგი მდივანოვის თარგმანიდამ, ზოგი ფრანციცულიდამ, ზოგი ანტონ I კათალიკოზის ნაწერებიდამ.

10) დიდი მოურავიანი იოსებ თბილელისა, დაბეჭდილი და სხვა-და-სხვა დაუბეჭდავი ვარიანტებიდამ.

11) თეიმურაზ პირველის ცხოვრება, დაბეჭდილი და დაუბეჭდავი ვარიანტებიდამ, მეფე არჩილისა.

12) პიეტრო დელავალლეს მოხსენება პაპთან საქართველოზედ, თარგმანი ა. ჭ—ს.

13) მოურავის სიკვდილი, თეიმურაზ ბატონიშვილისა.

14) პეისონელის წერილები საქართველოზედ, თარგმანი დ—ს.

---

*) ამ ჩემი წიგნის შემდეგ ეს გამოსცა ზაქარია ჭიჭინაძემ.

15) შარდენის მოგზაურობა საქართველოსა და სპარსეთში.

16) თხზულებანი მეფის თეიმურაზ 1-სა, დაბეჭდ[illegible] ბეჭდავნი.

17) საქართველოს ისტორიისათვის მასალები, ბროსესი.

18) აღწერილობა წუქეთისა და ჭარის სადროშოსი, შემდგარი კახთა მეფეთა განკარგულებით.

19) დავით იმამყული ხანის გუჯარი მარტყოფის ეკლესიისა, მოცემული 1711 წ.

20) შესხმა და მოწმობა ღირსთა მოწამეთა გარესჯისათა.

21) საქართველოს თავად-აზნაურთა გვართა აღწერა, შემდგარი მეფეთა განკარგულებით სხვა-და-სხვა დროს და ცნობაში მოყვანილი მეფე ირაკლი მეორისაგან ტრაქტატისათვის, რომლითაც ის შეეკრა 1783 წ. რუსთა იმპერატრიცა ეკატერინა II-ს.

22) გეოგრაფია, ვახუშტისა [1])

23) წამება ქეთევან დედოფლისა, დაწერილი თეიმურაზ I-სა

24) წამება ქეთევან დედუფლისა, დაწერილი დიმიტრი ბაგრატიონისაგან.

25) მოწმობა ქეთევან დედოფლისა, დაწერილი თეიმურაზ ბატონიშვილისაგან.

26) წამება ქეთევან დედოფლისა, სომეხთ მეისტორიე არაქელისა.

27) შესხმა და მოთხრობა ღვაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა ქეთევან დედოფლისა, დაწერილი ანტონ I-ს კათალიკოზისაგან.

28) შესხმა და მოთხრობა მეფის ლუარსაბ II-სა, მისივე.

---

[1]) ერთი რამ ღირსია შენიშვნისა, რომელსაც უნდა მიაქციოს მკითხველმა ყურადღება. ბევრნი ჩვენზედ წინ და დღეს ჩვენ ჩვენს თავს ხშირად ვეკითხებით: საიდამ, რომელი მასალებიდამ შეარდგინა ბატონისშვილმა ვახუშტიმ თავისი გეოგრაფია. ზემოთ მოყვანილი „აღწერილობა წუქეთისა და ჭარის სადროშოსი“ და დავით იმამყულის გუჯარი მარტყოფის ეკლესიისა, მიცემული 1711 წ. გვიმტკიცებენ, რომ ქართველთა მეფეთა ჰქონიათ დაწვრილებით შეკრებილი გეოგრაფიული და ეტნოგრაფიული ცნობანი საქართველოს ყველა კუთხეებზედ. ვახუშტის გეოგრაფია სიტყვა-სიტყვით შესახებ ჭარისა და წუქეთისა არის ამ დოკუმენტებიდამ ამოღებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

29) წამება წმიდისა და ნეტარისა მეფისა ჩვენისა ლუარსაბისა, უსახელო ავტორისა.

30) ტიმოთე მიტროპოლიტის მოგზაურობა

31) თარხნიაანთ დოკუმენტები.

32) ჯანდიერიანთ დოკუმენტები.

33) ჯორჯაძიანთ დოკუმენტები.

34) ჯავახიანთ დოკუმენტები.

35) ბახუტაანთ დოკუმენტები.

36) საქართველოს სამოთხე, შემდგარი მიხ. საბინინისაგან.

37) ფშავური ლექსები, შეკრებილი დავით ხიზანაშვილისაგან.

38) ხევსურული ლექსები, შეკრებილი თედო რაზიკაშვილისაგან.

39) გახაჩენი გიორგი სააკაძესა და ქაიხოსრო ჯავახისშვილის სადავო საქმეებზედ სვიმონ II მეფის მდივანბეგთა: დაზნელ დაზნელისა, ბეჟან ბარათაშვილისა, გიორგი მელვინეთხუცესისა და კარის მდივნის თუმანიშვილისა, შემდგარი 1620 წ.

30) მეფე ირაკლი მეორეს დრო, ალექსანდრე ჯამბ. ორბელიანისა.

41) Жизнь Великаго моурава Георгія Саакадзе, Платона Іоселіани.

42) Описаніе г. Душета, егоже.

43) Историческій взглядъ на состояніе Грузій подъ властью царей Магометанъ, егоже.

44) Описаніе Шіо-Мгвимскаго монастыря, егоже.

45) Краткая исторія Грузинской церкви, егоже.

46) Отъ Тифлиса до Ахталы, егоже.

47) Описаніе Эртацминдскаго храма, егоже.

48) Кватахевскій монастырь, егоже.

49) Дипломатическія сношенія Грузинскихъ царей съ русскими государями, Плоэна.

40) Переписка грузинскихъ царей съ русскими, егоже.

51) Сношеніе Россій съ Кавказомъ Бѣлакурова. [1])

52) სხვა და სხვა გუჯრები და სიგელები.

---

[1]) ეს წიგნი გამოვიდა მაშინ, როდესაც მე ჩემი თხზულება დაწერილი მქონდა. რადგან ეს შეეხებოდა იმავე საგანს, რასაც ზემოთ ხსენებული პლატონის ნაწერები, ამის გამო ესენი შევადარე და შევამოწმე ერთმანერთს და შევასწორე ისრე, როგორც უფრო ნამდვილმა წყაროებმა გვიჩვენეს. ბელაკუროვის წიგნი არის პირდაპირ დოკუმენტებიდამ გადაწერილი, მაგრამ არის მიყვანილი მარტო 1613 წლამდის.

53) Кавказскіе археографическіе акты.

54) Историческія изображенія Грузіи въ политическомъ, церковномъ и учебномѣ его состояніи, сочиненно въ Александровской академій, изданіе 1802 г. Петербургъе

55) Кавказская война, Потто.

56) Исторія Госуд. Рос. Карамзина.

57) Тоже, Соловьева.

58) Путешествіе по Грузіи старца Суханова.

59) Посольсто въ Имеретію пословъ царя Алексѣя: Никифора Матвѣевича Толочанова и Алексѣя Ивановича Іевліева.

60) Грузинскія Дворянскія грамоты, димитрія петровича Пурцеладзе.

61) Церковные Гуджары, егоже.

62) Крест. грамоты, крѣпостные и судебные акты и письма грузинскыхъ и персидскихъ Царственныхъ особъ, егоже.

63) Шарденъ и его путешествіе по Грузіи (№ № 33, 34 и 35 газ. кавказъ за 1849 г.)

64) Реформа, Мишлэ, [illegible] თარგმანი.

65) Тифлисъ въ историч. и этнофрафическомъ отнашеніяхъ, Дм. Бакрадзе и Ник. Бердзенова.

66) Замѣтки о Закатальскомъ округѣ, Дмит. Бакрадзе

67) Грузія и Арменія, Муравьева.

68) Извѣстія древныхъ греч. и рим. писателей о кавказѣ, Гана.

69) ხალხში დარჩენილი თქმულებანი.

70) საქართველოს ისტორია, ბროსსესი.

71) საქართველოს ისტორია მ. ჯანაშვილისა.

72) არქანჯელო ლამბერტის წერილები სამეგრელოზედ, თარგ. ჭყონიასი.

73) ისტორია კათოლიკობისა საქართველოში. თამარაშვილისა.

74) ქრონიკები, შეკრებილი თედო ჟორდანიასი.

75) ბატონყმობა საქართველოში, ა ხახანაშვილისა.

76) ოსმალთა მეისტორიე ჴამერიდამ.

77) Сношенія Россіи съ единовѣрной Грузіей, Б. С. Эсадзе.

78) თევდორე დვდელი. თ ჟორდანიასი.

49) საქართველოს სიძველენი, შედგენილი ექვთ. თაყაიშვილისა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

# ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ.

XVII საუკუნის საქართველოს ისტორიულ პირების, რომელთა ცნობებიც მოიხსენებიან ანტონ ფურცელაძის მიერ დაწერილ დიდი მოურავის გამოკვლევაში.

—

სურათები გადმოღებულია მთლად მიხ. თამარაშვილის კოლექციდამ. დახატულია ავგუსტიანელების ორდენის მისიონერის ქრისტეფორე კასტილელისაგან 1633 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამ სურათების ამბავი.

ეს ისტორიული სურათები, რომლებიც ქართული მწერლობის ასპარეზზედ პირველად ისტამბება, დახატულები გახლავსთ 1630 წლებში, საქართველოში მყოფ, კათოლიკის მისიონერ, ავგუსტიანელების ორდენის ძმა, ქრისტეფორე კასტილელისაგან, რომელსაც საქართველოში ოცი წელიწადი მეტი უცხოვრია. ამ მისიონერს ქართული ენაც სცოდნია და მასთან შესწავლილი ჰქონია საქართველოს ისტორია და სხვაც ბევრი რამ ქართველი ტომის შესახებ.

ამ ქრისტეფორე კასტილელის მოსვლა საქართველოში, მიხეილ თამარაშვილის აზრით უნდა იყოს 1623 წ. სწორედ იმ დროს, როცა ქართლსა და კახეთს შაჰაბაზისაგან აყრა, გადასახლება და მოსპობა ელოდა. და ხსენებული მისიონერი მოწამე ყოფილა და თავის თვალით მნახველი ყველა იმ საშინელის ამბების, რაც კი მაშინ ქართლს და კახეთზედ ხდებოდა, რასაც იმ დროის ქართველთ მწერლებმა ხსენებულ ხანას ქართველთა ცხოვრებაში შავი დრო უწოდეს.

ქრისტეფორე მისიონერი ევროპიულად განვითარებული ბერი ყოფილა, მას დაუწერია სხვა და სხვა ისტორიული წერილები საქართველოს შესახებ და ნამეტურ იმ დროთა ამბების, როცა ეს მისიონერი საქართველოში სცხოვრებდა, როცა კახელების სისხლი ზღვასავით იღვრებოდა. ყოველივე ესენი ამ მისიონერს კარგად გაუცვნია, მერე იგი ზედ მიწევნით სინიდისიერათაც აუწერია. ამ აღწერაში მასვე მოუთავსებია იმავ საუკუნის საქართველოს ზოგიერთ მოწინავე პირთა სურათები და ასე შემკობილი ხელთნაწერი წიგნი მიურთმევია რომის პაპისთვის 1650 წ.

აი, ეს იშვიათი წიგნი რომის არქივებში მოიპოვა ჩვენთვის აწ უღმერთოდ დაღუპულ პატრმა მიხეილ თამარაშვილმა, რომელმაც ამ წიგნიდამ ზოგი რამ სურათებიც თავის ფრანგულს წიგნს „საქართველოს ეკკლესია“-შიც მოათავსა, რომელი წიგნიც რომში დასტამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხა 1910 წ. ჩვენც ვისარგებლეთ და ამ საძუძგლიანის წიგნიდამ გადმოვიღეთ ეს სურათები და მოურავის ცხოვრებას დაურთეთ, ვინაიდგან ამ პირთ სახელებს და ცხოვრების ცნობებს მკითხველი აქ ხშირად შეხვდება კითხვის დროს.

ხსენებულ მისიონერს ამ სურათების გარდა სხვაც ბევრი რამ უხატავს, ზოგი საშუალო საუკუნის და ზოგიც ძველის დროების, ჩვენ კი აქ მარტოდ ზოგი ის სურათები გადმოვიღეთ რაც XVII საუკ. ეხება. დიდი მოურავის სურათის სინამდვილის შესახებ ეჭვი არ უნდა გვქონიოთ, რადგანაც იგი დახატულია ისეთ დროს, როცა მოურავი სცხოვრებდა, უეჭველია ამ მისიონერს მოურავი ცნობაც კარგად ექმნებოდა. მოურავის სურათზედ მიწერილი ლათინურის თარგმანი ეს არის, რომ ლიც გამოგზავნა მის. თამარაშვილმა, მინაწერი თვით მისიონერის არის თურმე იმავ დროს, როდა იგი სურათი დაუხატავს. წიგნში. აი ლათინური მინაწერი: „მოურავი— საქართველოს მთავარი, მხნე და ველზედ მტკიცე (ძლიერი გულადი), საქართველოში სპარსელებთან ბრძოლის დროს დიდი სახელი გაითქვა. შემდგომ ბედმა უღალატა, თავისიანებმა პირი აქციეს, რაისა გამო გაიქცა და ოსმალების მთავრობას თავი შეაფარა, იქაც დიდებისა და ძლიერების გამო საწამლავით მოკლეს.

როგორც მომწერა მიხეილ თამარაშვილმა: ეს ქართული თარგმანი ლათინურის პირდაპირი თარგმანია.



**ლათინურის თარგმანი**:—„მოურავი საქართველოს მთავარი, მხნე და ყველაზე მტკიცე, (ძლიერი-გულადი) საქართველოში სპარსელებთან ბრძოლის დროს დიდი სახელი გაითქვა. შემდგომ ბედმა უღალატა. თავისიანებმა პირი აქციეს, რაისა გამო გაიქცა და ოსმალების მთავრობას თავი შეაფარა, იქაც დიდებისა და ძლიერების გამო საწამლავით მოკვდა". 1650 წ. ქრისტეფორე კასტილი. თარ. მ. თამარაშვილის.




ლევან დადიანი 1611—1637
ჭატრი მიხ. თამარაშვილის კოლექციიდამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ელენე ათაბაგის ასული 1633—1638 პეტრი მიხეილ თამარა-შვილის კოლექციიდან. ნახატი 1633.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქეთევან დედოფალი წამებული სჯულისთვის.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ლევან დადიანი სამთავროს სამოსით
XVII საუკ. დახატ. 1633 წ. მ. თამარაშვილის კოლექციიდამ.




ნიკიფორე · ირბახი, თეიმურაზ მეფის ელჩი ევროპაში, მცოდნე ევროპიულის ენების, ყოფილი მთელს ევროპას, კათოლიკობა მიიღო რომს, დაახლოვებით მონაწილეობა მიიღო რომში ქართული სტამბის გახსნის საქმეში 1626 წ. მ. თამარაშვილის კოლექციიდამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვახტანგ გურიელი 1639 წ.
პატრი მიხ. თამარიშვილის კოლექციიდამ.




თე:მურაზ I მეფე კახეთის: 1605—1663
პატრი მიხ. თამარაშვილის კოლექციიდამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ალექსანდრე მეფე იმერეთისა 1639—1660

ეროვნული ბიბლიოთეკა



მალაქია კათოლიკოზი, გამოჩენილი მღვდელ მთავარი XVII საუკ. საქართველოს ისტორიაში. მ. თამარაშვილის კოლექციიდამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



იმერეთის მეფის ალექსანდრეს წინაშე ჯირითი
მ. თამარაშვილის კოლექციიდამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ქ. ზუგდიდი, დადიანის სასახლით, ნახატი 1633 წ.
მ. თამარაშვილის კოლექციიდამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქალაქი გორი და მისი ციხე დახ. 1633 წ.
მ. თამარაშვილის კოლექციიდამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იმერეთის მეფის ალექსანდრეს მგზავრობა თეატინელთა ორდენის მისიონერებთან. ნახატი 1633 წ. მ. თამარაშვილის კოლექციიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოცემის ცნობა.

20 წლის წინედ, მე დავიწყე ზოგი წიგნების ხელის მოწერით გამოცემა. ეხლა ისევ განვაახლე ხელის მოწერით წიგნების ბეჭდვა: პირველად დავბეჭდე „დიდი მოურავი“ ან. ფურცელაძისა. გამოცემა დაჯდა ძვირად, რადგანაც წიგნში შეცდომები შეპარულიყო, 160 გვ. მეორედ დაიბეჭდა.

წიგნი დაიბეჭდა სულ 1200 ც. ხელის მომწერი იყო 600-სი. ამათგან მხოლოდ 300 მან. შემოვიდა, დანარჩენი სხვადასხვა პირებმა შეინარჩუნეს, წიგნები კი ყველას უნდა დაურიგდეს, ასე რომ, წიგნები გასაყიდათ ერთობ ცოტა და რჩება. 1200 ც. წიგნის გამოცემა კი 1000 მან. დაჯდა. მიუხედავათ ასე ძვირად გამოცემის, მე მაინც წიგნს ფასად 1 მან. დაუნიშნე. მერე გამოვცემ სრულს ნაწერების ტომს თავ. ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეტურის ნაწერებისას, რომელსაც დაერთვის სხვადასხვა პირთაგან დაწერილი კრიტიკული და ბიოგრაფიული წერილები პოეტის და მის ნაწერების შესახებ.

გამომცემელი **ზ. ჭიჭინაძე.**

## „დიდი მოურავის“ წიგნზე ხელის მომწერთა სია:

**თ ბ ი ლ ი ს ი.**

ალავერდის ეპისკოპოსი დავითი.
არქიმანდრიტი ანტონი.
არქიმანდრ. დოსითეოსი.
მღვდელ-მონოზონი ტარასი
დეკანოზი სოლომონ შოშიევი.
დეკანოზი ნიკიტა ტალაკვაძე
დეკანოზი გიორგი გამრეკელი.
მღვდელი დავით გარსიევი.
მღვ. ხარლამპე ხუციშვილი.
მღვ. ნესტორ თოთებაძე
კნეინა მარიამ ვას. ასული ჯამბაკურ ორბელიანისა.

კნეინა ელისაბედ გრიგოლის ასული საგინოვისა.
თავ. ივანე სულხანის ძე ჭავჭავაძე.
ივანე როსტომ მიქაძე.
თავ. დავით ალექსანდრეს ძე სუმბათაშვილი.
ნიკოლოზ ი-ძე ვაჟიკაშვილი.
მოსე ხელაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

## ქუთაისი.

იმერეთის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო გიორგი.
გიორგი ფელ. ზდანოვიჩი.
კიტა აბაშიძე.
იასონ ბაქრაძე.
სერაფიონ მიქაბერიძე.
ისიდორე კვიცარიძესაგან 10 წიგნი.

---

## ფოთიდამ წარმოდგენილი

**ბლათია** ნიკოლოზის ასული ტუღუშისაგან:

გურია სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ლეონიდი.
ნიკოლოზ იაკ. ნიკოლაძე.
იონა მ. მეუნარგია.
ლ. მ. ყრუაშვილი.
ს. პ. ოსიძე.
ს. თ. ხოშტარია.
კ. ი. გამყრელიძე.
დ. ცინცაძე.
ა. ლ. ქავთარაძე.
ა. ბ. ხოშტარია.
ი. ნ. ჩაჩავა.
კ. მ. გიგინეიშვილი.
კ. ო. ხუბუა.
ან. ი. ხოჭოლავა.
მ. ჭავჭანიძე.
კ. შათირიშვილი.
ბესარიონ ვაშაკიძე
ივანე სუხიშვილი.
ვასილი ნ. კობახიძე.
სამსონ კ. ჩიჩუა.
სიმონ კილურაძე.
ალექსანდრე მდივანი.
კ. ჭანტურია.
გ. თოხაძე.
გ. გვალია.
ივანე ბოლქვაძე.
ივანე თალაქვაძე.
ბ. ურიდია.
კაცია მალნარაძე.
ბესარიონ ჩიჩუა.
გიორგი საბახტარაშვილი.
ალექსი ხუმარაძე.
დიმიტრი იმნაძე.
ანდრია კალანდაძე
ეპიფანე ჩოჩუა.
იოსებ ოდიშარია.
კოლია ჩაჭავარიანი.
სოლომონ ქაჭუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალაქტიონ მიქელაძე.
გიგო დიდია.
ბესარიონ ხოფურია.
მღვდ. ეპიფანე ხონელია.
პროკოპი ჩიგოგიძე.
აკაკი თალაქვაძე.
პოლიკარპე ნაჭყებია.
ტარასი კ. მახარაძე.
მღვდ. ვარლამ მახარაძე.
ივანე სუხიშვილი.
მიხეილ კვერნაძე.
ბესარიონ რაზმაძე.
ვარდენ ზამბახიძე.
კონდრატე ბუკია.
ივანე ფრანგიშვილი.
ვერა ნამიჭყიშვილი.
ლავრ. ტულუში.

---

დიდა მოურავი სააკაძის ხელის მომწერნი. კახეთში ნიკო ახმეტელაშვილისაგან შეკრებილი.

ალექსანდრე გ. ლოლაძე.
შაქრო მათეს ძე სარალიძე.
აბრამ გ. ჯავახიშვილი.
ნიკო ნიკოლიშვილი
ილიკო მურმანიძე.
მარქარა გურგენიძე.
ილიკო ი. პეტრიაშვილი.
გრიშა გაბიშინაშვილი.
შაქრო ყარალაშვილი.
გრიგოლ ქართველიშვილი.
თ. ახო ვაჩნაძე.
გიორგი ინასარიძე.
კოტე ი. ჯაფარიძე.
შაქრო ი. რაზმაზიშვილი.
მღვ. გიორგი შიშნიაშვილი.
მიხეილ როსტუაშვილი.
ნიკო ტურაშვილი.
ირაკლი ჩიფაშვილი.
მათე გ. ახმეტელაშვილი.
ნიკო ივანეს ძე ახმეტელაშვილი.
დიმიტრი ნაცვლიშვილი.
მღ. გიორგი ციბალაშვილი.
ვანო ნ. უზნაძე.
მღ. იოსებ ახალშენიშვილი.
კოტე ი. მჭედლიშვილი.
სანდრო სიფრაშვილი.
შაქრო ნაცვლიშვილი.
მღ. იოვანე ახმეტელაშვილი.
მღ. გერასიმე ჭანტურიძე.
თ. დათიკო ჩოლოყაშვილი.
ნიკო დუგლაძე.
ვანო ზაქარიას ძე ყოჩიაშვილი.
ნიკო მ მჭედლიშვილი.
ექ. ნიკო ლ. ტურიაშვილი.
მღვ. ალექსანდრე ზირახაშვილი.
მღვ. მიხაკო ნაცვლიშვილი.
თ. იაგორ ვაჩნაძე.
მღ. ლიანოზ მერებაშვ ლი.
ვასილი დ. მირიანაშვილი.
ანტონა მ. ქაქაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჟდენ ი. შალვაშვილი.
გიორგი ბაბალოშვილი.
ალექსანდრე თათარაშვილი.
ალექსანდრე ზ. თ. ვაჩნაძე.
შაშა მენთეშაშვილის ასული.
ფილიმონ ზ. ხუციშვილი.
დათიკო დონჯაშვილი.
გიორგი ქაჩლიშვილი.
დიმიტრი ი. ოდიშერიძე.
ვანო ზარდიაშვილი.
გიორგი ჩალათაშვილი.
ნიკო ზუმბულიძე.
ლიმონა აბ. ტურიაშვილი.
თ. იასონი რ. ვაჩნაძე.
ტიტო კოპაძე.
კოსტა ხორავა.
პლატონ ცხვედინა.
მღ. მაქსიმე კახიძე.
საქულა დაბალოვი.
თ. გიორგი რ. ვაჩნაძე.
თ. მიხაკო ჩოლოყაშვილი.
ვანო თანდაშვილი.
დათიკო ნ. მირიანაშვილი.
წყალობა არუთინოვი.
კოტე ჩუტკერაშვილი.
ვანო ბ. თოდუა.
შაქრო მიქელაშვილი.
მღ. პეტრე დავიდოვი.
ვანო ილ. ნანობაშვილი.
მღვ. ივანე ჩილაშვილი.
მღ. გიორგი გულაშვილი.
მღ. ანდრია ჯამასპიშვილი.
ალექსი ხატიაშვილი.
დათიკო ჩახნაშვილი.
ილიკო კერესელიძე.
მღ. დათიკო ქოქიაშვილი.
აპალონ ბალაშვილი.
თ. ალექსანდრე ჯანდიერიშვილი.
კოტე ქარუმიძე.
თ. იოსებ ალ. ჯანდიერიშვილი.
სიკო დ. ცაცაბოი.
შაქრო მ. მამისაშვილი.
შაშა შინჯიაშვილი.
ლევან დ. ბერიაშვილი.
მღ. იოსებ ნაცვლიშვილი.
დიმიტრი ჯალიაშვილი.
სიკო ამირანიძე.
ფიფო გ. ალადაშვილი.
მღვდელ მონაზონი იროდიონი.
იასე შაიშმელაშვილი.
მიხაკო ს. ქადაგიშვილი.
გიგა ზ. შაიშმელაშვილი.
სტეფანე მდივანოვი.
ნიკა ავ. ნადირაშვილი.
მიხო გოგოსაშვილი.
ვლადიმერ ჯორჯაძე.
ბალდასარ აკოფოვი.
დავით ბაშინჯალოვი.
დავით შლამოვი.
გიგო ასლანის ძე მათეშვილი.
მღ. ირაკლი ცინცაძე.
ვარდო ალიხანოვი.
იაგორ ყ. აკოფოვი.
თ. ნიკოლოზ აკ. ჯანდიერიშვილი.
თ. ლევან დიმიტრის ძე ფავლენიშვილი.
ბოდშის ხევის სამკითხველო.
გურჯაანის სამკითხველო.
ქვემო მაჩხანის სამკითხველო.
თელავის წერ.-კითხ. განყოფილება.

სოფ. ანაგის სამკითხველო
კარდანახის სამკითხველო *).
კონსტანტინე იასეს ძე ტყავაძე. (ნ. ახმეტელოვისაგან.)
მიხეილ სეფაშვილი.
მღვ. კირილე მღვთისავაროვი.
ვანო ალექსანდრეს ძე ზურიევი.
შაქრო ლუკას ძე მოსულოშვილი.
ველის ციხის მამასახლისი 1911 წ. დარჩო ბოლვაშვილი.
კნეინა ქეთევან ალექსანდრეს ასული ჯანდიერისა. (ნ. ახმეტელოვისგან.)
ნიკა მჭედლიშვილი.
ნიკა სოზაშვილი.
სერგო სიმონოვი.
სანდრო მახარაშვილი
გიორგი ს. სარკისოვი.
კარაპეტ ტერ-აკოფოვი
ნიკო ჩუთლაშვილი.
მიხეილ საამოვი.
გეურქ მელქოს ძე სარქისოვი
შაქრო სოზაშვილი
მელიტონ მაქსიმეს ძე ჯუმუხაძე.
გიორგი აბასაძე ივ.
მიხო ქახ. მათეშვილი.
დათა ილ. პეტრიიშვილი
გიორგი იოს. დოსმიშვვლი
ხარიტონი კიკილაშვილი
მღ. ნიკო ფხალაძე.
აკოფ სააკოვი
მიხეილ გოცირიძე.
საქულა მარქაროვი
რაჟდენ მირინაშვილი
ვასილი ი. დარჩიაშვილი.

---

ხაშურში მცხოვრები სტეფანე ნოზაძისაგან შეკრებილი.

ელენე სტეფანეს ასული ნოზაძე.
ალექსანდრე სიმ. ნოზაძე.
ვასილი სტ. ტაგანაშვილი
მღვ. პეტრე კაპანაძე
გიორგი აბრ. მახარაშვილი
სერგეი სტ. ვართანოვი
ალექსანდრე სპირ. ჯულელი
ნოშრევან სპირ. გაბრიჩიძე
ნიკოლოზ ივ. სიხარულიძე
ეგნატე მაქ. ჯიბლაძე
თომა მ. ბარამიძე
სანდრო გ. ბითაძე
ილია ი. გიგაურიშვილი
მიხეილ ზურ. ულუმბელაშვილი
ალექსანდრე ივ. კაპატაძე
ამბროსი გ. ლამბაშიძე

---

*) ამ ხუთი სოფლის სამკითხველოებს და თელავის წერა-კითხვის საზოგ. განყოფილებას ვსწირავ ჩემის საფასით შეძენილთ, როგორც ჩემი სამშობლო კუთხის სახალხო დაწესებულებათ.

ნიკო ახმეტელაშვილი.

მელიტონ გრ. ჩხიკვაძე
გიორგი ალ. ჩაუჩ ძე
კოტე გ. უჩიძე
ალექსანდრე ლუარს. უთალიშვილი.
სანდრო დავ. პაპინაშვილი.
სპირიდონ ჩუბინიშვილი
აგაბო ვახტ. ლოლაძე.
მიხეილ ივ. მარიამიძე.
პორფილე ბეს. ყიფშიძე
გიორგი თევ. ბლუაშვილი
ბესარიონ ივ. კოშკაძე
ტარასი ლ. ქკუასელი
კოტე ივ. მარკოზაშვილი
სერაფიონ ბეჟ. ლორთქიფანიძე
ალექსანდრე ტარ. კილასონია
თომა ს. ციცქიშვილი
ნესტორ ქ. გოცირიძე
იასონ ას, ებრაელიძე

ზაქარია ს. გოგალიბძე.
პავლე ივ. ბირკაძე
ნიკოლოზ ს. კორკოტაძე
ტრიფონ იას. ჯაფარიძე
დომენტი უფლ. გოგალაძე
გიორგი დ. ფარემუზოვი
ვასო ი. ჯაფარაშვილი
კირილე პ. კალაძე
ფარნა პეტრ. წულაია
გაბრიელ გ. პტაძე
ნიკოლოზ ა. დავლიანიძე
იასონ ს. ოყროშიძე
ნიკო გრ. ტაგანაშვილი
რომანოზ დ. დვალი
გიორგი ყარ. ძნელაძე
ლევანტი ალ. მეტრეველი
გიორგი პ. ფანქველაშვილი
გიორგი ივ. ქავქიანიძე
ევგენი ფ. მაცაბერიძე
ალექსანდრე ბ. ჯანაშია
კონდრატი ბ. კალანდაძე.

---

**რაჭიდან** წარმოდგენილი იოსებ ისაკაძისა და განო ჭიჭინაძისაგან.

იობ სოფრ. ისაკაძე
მალაქია ი. არჩვაძე
მაქსიმე გ. იობაშვილი
ვასილ მ. გონგაძე
ქრისტეფორე ნ. კერვალიშვილი
მღვდელი ზაქარია გიორგობიანი
ნესტორ ი. სვანი
ილია გლ. აბაიშვილი.
კოსტა ერეკ. ისაკაძე
ივანე დ. ვარაზაშვილი
მალაქია სამ. სულაძე

მღ. ივლიანე ჩლაიძე.
მღ. ონისიმე მინდელი
ამირან ყ. ლომთაძე
ალექსი დ. კულულაშვილი
მასწავლებელი ალექსანდრე (სანდრო) ამირეჯიბი
მასწავლებელი ხარიტონ ი. საგანელიძე
მასწავლებელი სიმონ მესხი
ალექსანდრე ი. სხირელი
ასლან ი. ტოროშელიძე
მღვდლის-შვილი ალექსანდრე დ. სულაძე

დავლოსტი სარ. კაციტაძე.
ვანო ფ. ჭიჭინაძე
აფრასიონ ნიკოლოზის ძე ისაკაძე.
გრიგოლ ტარიელის ძე ჩიკვაიძე.
მღვ. ვლადიმერ ნასარიძე
ივანე სიმ. ბაქრაძე.
არქიპო ზურაბის ძე მაჭარაძე
მასწავლებელი ევსევი მაისურაძე
მღვდელი თედორე [illegible]ლიძე
რუბენ ბიჭ. გოცირიძე
სარიდან კერესელიძე
ვანო კაციტაძე
პროკოფი ვაჩაძე
სპირიდონ კვირკველია
ალექსანდრე თომაძე

---

**ონიდან** იობ ისაკაძისაგან.

დავით ვას. კერესელიძე.
მღვდლის შვილი ვლადიმერ (რაჟდენ) გრიგ. ნანუკაშვილი
იაკობ არუთ. ბერუჩაშვილი
პარმენ ილ. ბურდილაძე
მინა თ. კერესელიძე
ერმილე მოს. მდგვარელი
დეკანოზი მათე გორდეზიანი
სევასტი გრ. ჯანელიძე
მინა გოცირიძე.

---

**დუშეთიდამ:**

ზაქარია ჯინჭველაშვილი

**თფილისი:**

მიხეილ როს. ლომთაძე
ზაქარია ბუხარიაშვილი.

---

**ზაქათალიდამ:**

მღვდელი ბესარიონ ფურცელაძე (ათი ცალი.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განცხადება.

„დიდი მოურავის“ შემდეგ ხელის მოწერით მინდა გამოვცე სხვა წიგნები. ამ წიგნის გამოცემა დაგვიანდა, მიზეზი იყო სხვადასხვა დაბრკოლება. ხელის მოწერით მე ბევრი იშვიათი წიგნი გამომიცია, ბევრსაც გამოვცემ, ხოლო დაგვიანების გამო არავინ იფიქროს, რომ მე ფული გავფლანგო. ეს თავის დღეში არ იქნება. დღეის შემდეგ ყოველი გამოსაცემი წიგნი თავის აღნიშნულს დროზე გამოვა.

ეხლა ვბეჭდავ ხელის მოწერით

## ○○ ქართლის ცხოვრებას ○○

1446 წლიდამ.

ამ წიგნის გამოცემით მე მსურს მარტოდ ტექსტის აღდგენა. სხვა რამ შენიშვნები ამას არ მოესწრობა, ვინაიდგან მისი შოვნა ერთობ ძნელია; პირველად ეს წიგნი პეტერბურგს დაბეჭდა დავით ჩუბინაშვილმა, მას შემდეგ კარგა ხანია, რაც ეს წიგნი აღარ იშოვება. მე ჯერ დედნის მოპოვებას გავაადვილებ და სხვაგვარ გამოცემას სხვანი შემდეგაც მოასწრებენ.

წიგნი იქნება დიდი ზომის 700 გვ. მეტი. ხელის მოწერა ეღირება მანეთი, გასაყიდათ კი, სამი მან. იქნება.